სათნადო



2020 №2 (36)

მე მოვალ მამა

მე მოვალ მამა, მოგეშველები,
არ გაგრძნობინებ, ჩემს უჩემობას,
ბედს ისევ სხვაში თუ შეეშლები,
ღმერთი დაუშვებს განმეორებას.

მე მოვალ დედი, ჩაგეხუტები,
შემოგიმშრალებ, ცრემლიან თვალებს,
მხოლოდ დედიკო, ნუ მეხუტები,
ჩემს სიკვდილს უფალს ნუ დააბრალებ.

მე მოვალ დაო, მოვალ და გეტყვი,
რომ მიმიხედო, დედას და მამას,
მათი გოდება, სასულეთს ერწყმის,
თუ დაამშვიდებ, მექცევა წამლად.

მე მოვალ ბებო, გთხოვ არ იტირო,
თავს გაუფრთხილდი, ცუდად არ გახდე,
ქალაქში ჩასვლა თუ დააპირო,
არ გამიბრაზდე, იქ, თუ არ დაგხვდე.

მე მოვალ ბიძა, დათო ბიძია,
ვიცი უჩემოდ, გაგიჭირდება...
ბედისწერაა, ნულარ მძიძგნიან,
მე, უკვდავებას ღმერთი მპირდება.

მე მოვალ სკოლაე, გახარებული,
რომ ჩავაბარებ, უფლის გამოცდას,
თუმცა დედაა, გამწარებული,
მას საყვედური ღმერთზე ნამოცდა.

მოვალ ბიქებო, მოვალ ზაფხულში,
ცოცხალი ვარ
და ცრემლით ნუ მიმზერთ...
თქვენთვის მე დრო მაქვს, გადანახული,
ჩაუქეიფოთ ძირულის პირზე.

ბიცო, როგორ ხარ, ტკბილო ლალიკო,
მირზა, მუხრანი, როგორ არიან.
ღმერთზე გთხოვთ, კარგი ილაპარაკოთ,
გარდაცვლილები ჩემთან არიან.

ანგელოზი ვარ, უნდა ირწმუნოთ,
ჩემი ვარსკვლავი ცაზე აინთო.
არც იტიროთ და არ იწუწუნოთ,
ცოცხალი არის თქვენი დათიკო.

ლექსების ავტორი გულნაზ ხარაიშვილი

მოგზაურო

მოგზაურო,
მოგზაურობს ჩემი დათა,
იქნებ სადმე ინახულო, მზეჭაბუკი.
კენტად დადის,
სიცოცხლის გზას თითონ მართავს,
გააფრთხილე,
არსად შეხვდეს თოვლ-ქარბუქი.

მოგზაურო,
მოგზაურობს, გზას აგრძელებს,
სპორტი უყვარს,
ნადირობა, საჭეს მართავს...
მარტოდ დადის,
იქნებ ეშმაც შეებრძოლოს,
მართლაც მიკვირს,
მისი გზა რად დაიხლართა.

მოგზაურო,
მოგზარობს, ბრძოლის ჟინით,
სულით ძლიერს,
იქნებ შეხვდეს მყუდრო ბინა,
თუ, შეგხვდება,
ადექგრძელე, ჭიქა ღვინით,
ამალლებას, ხუთიშობელთან მიიძინა.

დათა შუბითიძე, ხათუნა ხარაიშვილი,
ხვიჩა შუბითიძე, დალანა შუბითიძე

დიდი და პატარა გურამ ჭავჭანიძე

ეს, პატარა ანგელოზი ცნობილი პოეტის ნანა კანდელაკის უმცროსი ქალიშვილია, მარიამ ჩალიგავა. მარიამი ამერიკაში ცხოვრობს, ის, ცელქი გოგონაა, ზედმეტი სახელითაც შინაურულად მოინათლა, დედიკო, თეა, (მაშას) ეძახის. პატარა მარიამმა, გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსულიყო, რათა გაეცნო დიდი და პატარა გურამ ჭავჭანიძეები. ცნობილი ტრუბადურის, ბატონ გურამ ჭავჭანიძის შვილიშვილმა მარიამს გააცნო გურამ ბაბუა. ოთხმოცდა რვა წლის პოეტმა რამდენიმე ეპიზოდი ბავშობის ასაკიდან გაიხსენა და ბოლოს ტრუბადურმა ლექსი ნაუკითხა მარიამს.

„ჩემო პატარა არ დაივიწყო, შენს სამშობლოში გელოდებიან, შორს თუ ცხოვრება კარგად აიწყო, აქ სიყვარული გადამდებია".

ცნობილმა პოეტმა გურამ ჭავჭანიძემ მარიამი და გურამი დაამეგობრა.

ევა მარგივა ცეკვას ასწავლის პატარა მარიამი ლონლაძეს

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2020 / 2 / (36)

თბილისი
2020



უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

უნდა იცოცხლო უწმინდესო

აკროსტიხი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,
ალაგდება გულში გლოვის ბორცვი.

იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,
ოცნებებით მე კი ფიქრის თოვას
ცისკრის დილის იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქართველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა წყდება წელში.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა გაბრიელი

მადლი მაფრქვიე, ლექსებად ვიშვი,
არ მოველოდი მეორედ მოსვლას..
მამავ,მტკივა და გულს გადაგიშლი
და როცა გეტყვი, საშველად მოხვალ.
დაჭრილ გულს ვიცი შემომიშუშებ,
არ დამტოვ მარტოდ, საჯიჯგნად ქართან,
ჩემს გასათბობად მზეს ჩამოუშვებ,
რომ არ დავიხრჩო ცრემლების ზღვასთან.
იმ უხილავი ლაჟვარდებიდან,
ერწყმის „ათინათს“ სიმშვიდის ქნარი,
ლექს ვქმნი მეორედ დაბადებიდან,
სამშობლოს გრძნობით გულგადამთრვალი!

გულნაზ ხარაიშვილი

წმინდა პეტრე და პავლე
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

წმინდა იოანე ნათლისმცემელი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

ძლეთის წმინდა გიორგი

ხატმწერი: **გიორგი ლარიაშვილი**



იქნებ!

მარტი ისე გავიდა, აპრილი და მაისიც...
მზე სულ გაქრა, ჩავიდა, აღარ ისმის ხალისი...
ცარიელა სიტყვებით, როგორ მოგეალერსოთ,
დარდის ბილიკს მივყვები, ლამის ხმალი ავლსო...

ვეღარ მივექლასნები, დღეებს, ღრუბლებს, თქორიანს,
გულო, ნუ იხავსები, ჯერ მწვერვალი შორია.
უნდა გავძლოთ, ძვირფასო, ნუ გკლავს დროის სიშმორე,
იქნებ ეს შეგვიფასონ, რაც აქამდე ვიშრომეთ!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია



ამირან ამირანაშვილი

კარანტინის დღიურიდან

ურწმუნოებამ მოგვივლინა განსაცდელები,
დაცემულია, უძლურდება მთელი სამყარო,
გონს მოდით ძმებო, დავივიწყოთ, ომი და მტრობა,
ვეეედროთ უფალს დედამიწა კვლავ გაამყაროს.
დედაო ღვთისავ, წმინდა გიორგი და წმინდა ნინო,
დიდნო წმინდანნო, ივერიის მარად მფარველნო!
ღმერთს შევავედროთ, ღვთივ-კურთხეული
ქართველი ერი,
განსაცდელისგან გამოიხსნას დღეს საქართველო!

---დღე პირველი --

აპრილი მოფრინდა, ჩუმად თავდახრილი,
დამნავეშავისავით თვალებს ვერ გვისწორებს,
მერცხლებიც მოფრინდნენ,ჭიკჭიკი არ ისმის,
მარტი აქვითინდა ცრემლებს ვერ იმშრალებს.
თვეო, რა გატირებს, რა შენი ბრალია,
აქ, ხომ დამნაშავე ადამიანია.
დაგროვდა ცოდვები უნდა განვიწმინდოთ,
ლოცვით და ვედრებით უფალი ვადიდოთ.
არც რჯულის კანონი, არც კონსტიტუცია,
ადამიანნო, ჩვენ არ დაგვიცვია.
ტირიან ტაძრები, დავხვრიტეთ მოძღვრები,
ციხეში დავწამლეთ ეპისკოპოსები.
უფლის უარმყოფელს ერქვა „ათეისტი“,
ტაძრებში შეყარეს ცრუ და აფერისტი,
მართმადიებელმა დაკარგა სიმართლე.
ეხლა კი ვისჯებით, თავს ვისთან
ვიმართლებთ.?
დავკარგეთ მორალი, სინდისი, ნამუსი,
მანტია მოვისხით ,,დემოკრატიული,“
სად გაქრა სამოსი, სირცხვილის მფარველი,
დემონი ბატონობს, გონების ამრევი.
მსოფლიო ზანზარებს, დადგა აღსასრული,
ხალხი იხოცება, არ აქვს დასასრული.
მსოფლიო ომია, ტრიალებს ავსული.
როდის დაესმება, ამ, რისხვას წერტილი,
ზეცაა, ცოდვებით, წელში გაწყვეტილი!

---დღე მეორე--

წუხელი დუმდა დედაქალაქი
შემზარავია დედის დუმილი,
უხილავ მტერთან ძნელია ბრძოლა,
არის მსოფლიოს გულის ტკივილი.
ზოგს ატომი აქვს, ზოგს მილიარდი,
მეგონა ამით თავს დავიცავდით,
სატანა მართავს, მსოფლიოს ნადიმს,
ათი მცნებიდან არცერთს ვიცავდით.
განრისხდა ღმერთი, მოვიდა რისხვა,
გონს რომ მოვეგოთ კაცი და ქალი,
სოდომ-გომორის დავგმოთ ცოდვები,
არ წაიბილწოს, წმინდანთა კვალი.
ამერიკელი სენატორები,
ახლა ლოცულობს, „მამაო ჩვენოს“...
ხალხი არ ყოფნით დიდ ევროპაში,
მიცვალებული რომ გაასვენონ.
სამწუხაროა, გლოვობს სოფელი,
შავად მოსილა დედაო ხვთისა,
თიკანი ცხოვარს გამოეყოფა,
მოგვიახლოვდა დღე განკითხვისა.
ღმერთო, შეუნდე შენს ცოდვილ შვილებს,
გამოგვიხსენი ცოდვებისაგან,
მკვდრეთით აღდგომა კიდევ გვაღირსე
და გაგვახარე აღდგომისაგან.

---დღე მესამე---

სად არ ვყოფილვარ, სად არ მივლია,
რა განსაცდელი არ გამივლია,
თითქმის მსოფლიო შემომივლია,
წამიკითხია, უფლის ბიბლია.
მთელი სამყარო ღვთის შექმნილია,
ადამ და ევაც უფლის შვილია,
მაცდუნებელი არის გველია.
გველი ყოველთვის დასაჯელია.
მიწა ცოდვილთა სამყოფელია,
შრომაში ოფლი დასაღვრელია,
არსობის პური მოსამკელია,
შობის ტკივილიც დასათმენია.
შეიარაღდა კაცობრიობა,
ბევრი შრომობს და ზოგან ომია,
მთავარი არის იყოს მშვიდობა,
და არსად იყოს მტრობა-ფლიდობა.
წმინდაო ღმერთო, შენ შეგვიწყალე,
ცოდვილი შვილი გთხოვ, შეიბრალე.
დედაო ღთისა გემუდარები,
მფარველი კალთა გადაგვაფარე.

---დღე მეოთხე--

ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა დიდი მტერი,
მთელი მსოფლიო დაიბყრო, აღარავინ აღარ მღერის.
სამყარო შეზანზარდა და... ხალხს შეახსენა გამჩენი,
უფლის გარდა არვინ არის, დედამიწის გადამრჩენი.
არც ტყვია აქვს და არცა ხმალი, არც ტანკი და რაკეტები,
მილიარდელებს წაართვა, ყველა ბანკის საკეტები.
ღარიბები გაგვაფრთხილეს, საქმეში ნუ „ჩაერევი“,
იმედია გადავრჩებით, თავმდაბლობას ნაჩვევები..
სატანასაც მოვერევით, მთელ მსოფლიოს გავავოცებთ.
მაცხოვარი არ გაგვწირავს, სასწაულ ცეცხლსაც გადმოგვცემს,
ქრისტე აღდგომას გვახარებს, მოწყენის ნებას არ მოგვცემს.

---დღე მეხუთე---

ყოველი კვირა მორწმუნეთათვის,
არის სიმბოლო დიდი აღდგომის,
მოძღვარი ვარ და მივდივარ ტაძრად,
არავარ უფლის გვერდზე განმდგომი.
ტაძარში შემხვდა, გახარებული,
დისტანციურად მრევლი ფუსფუცში...
ზოგიც კარებთან განლაგებული,
თვალებით ყველას ვიკრავდი გულში.
საკურთხეველში ვემთხვიე ტრაპეზს,
კურთხევას ვიღებ უმცროსი ძმისგან,
დისტანცია გვაქვს იდეალური,
ზეციდან მადლი იღვრება ღვთისგან.
გვიახლოვდება, დღე სასწაული,
ხარება, ბზობა, ქრისტეს აღდგომა,
წავა თავის გზით ისევ კორონა,
მას ხომ არ ძალუძს უფალთან დგომა.

---დღე მეექვსე---

იყო ცხრა აპრილი, მკაცრი და ავპირი,
ნიჩბით დაგვილეწეს, ქართველებს თავპირი,
თავისუფლებისათვის, სისხლი დაიღვარა,
ბოროტმა ძალებმა, მსხვერპლი არ იკმარა.
ეს, საუკუნეც მიდის სულ ომებით,
ეპიდემიებით, ერთმანეთს ვშორდებით.
მაინც ჩავატარეთ შვიდგზის ზეთის ცხება,
ხორცის საკურნებლად, რა სჯობს მირონ ცხებას.
ცხრა აპრილს გავხსენი, ფერიის სამება,
აჭარულ ფერხულში, ძმები რომ ჩამება,
ვიცი შეგვიწირა, უფალმა ყოველი,
მწამს, რომ გადარჩება, ცოდვილი სოფელი,
წმინდაო, სამებამ! შენ გემუდარები,

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ჰეი!..

ჰეი! – ძახილი სივრცეებს ლახვრავს;
გადამელეწა მოლურჯო ფრთები;
და მე ვარ, ახლა, ყველაზე დაბლა,
მაგრამ ყველაზე მაღალ ცას ვწვდები.
ჰეი! სადა ხარ! – არ იმჩნევ ძახილს.
მაინც მოგიწევს ხმის გაგონება.
მანათობელი ჩრდილები გამხელს,
და – პოეტური ჩემი გონება.
ახლა ისე ვარ, ახლა ისე ვწერ,
შეშლილი ნიცშე როგორაც წერდა,
და ჰორიზონტზე ამოსული მზე
მაინც შევნიშნე – სტრიქონთა ბედად...
შენ კი სარკის წინ გაიხდი კაბას,
შენივ სხეულის მშვენებით ტკბები,
და თმებს, ზეციურ წვიმებით ნაბანს,
ფრთხილად იჭერენ მთრთოლვარე მხრები.
ხელშეუხებო, უცქერი სარკეს,
დიდ სიამაყის აგავსებს გზნება,
ეგ სიამაყე სიყვარულს გაკლებს,
მაგრამ სიყვარულს გიმატებს ვნება.
ჰეი! – ძახილი სივრცეებს ლახვრავს;
გადამელეწა მოლურჯო ფრთები;
და მე ვარ, ახლა, ყველაზე დაბლა,
მაგრამ ყველაზე მაღალ ცას ვწვდები.

* * *

ისინი საუბრობდნენ
პოეზიის შესახებ,
და გრძნობდნენ,
რომ მათი სულები
თბილი სინათლით ივსებოდა...

ლოგოსი

ფერიც სიტყვაა.
ირწევა ფერთა ოკეანე,
წარმოიქმნება, მისგან,
ნახატი – პოეზია, –
უზარმაზარი ტილო,
სამყაროს რომ იტევს
(და – უფრო მეტსაც)...
ნოტიც სიტყვაა.
ამ ნახატში, ფერებთან ერთად,
მკრთალი მუსიკაც გვესაუბრება...
ირწევა, ოდნავ იტალღება,
უთვალავ ფერის ოკეანე.
განუზომელ ძლერებას
მალავს, იგი,
საკუთარ გულში...

სახლში დაბრუნება

მე ვფიქრობ ასე: არ კვდება კაცი,
იგი ზეციურ ღმერთში გადადის,
რადგან შეადგენს, კაცი, ღვთის ნაწილს,
ხოლო ღვთაება არსობს მარადის.
მე ვფიქრობ ასე: სიკვდილ-სიცოცხლეს
არა აქვს მკვეთრი სამან-საზღვარი...
ადამიანი არის სიობლე,
სიობლე – სულში ყინვაჩამდგარი. –
აი, რას წერდა ბარათაშვილი,
რატომ ბორგავდა გონი მანფრედის...
შეღებილია ზეცა მკრთალ ლილით,
ცაზე გაშლილა ნათლის აფრები,
რომ დაიძლიოს კოშმარნი ღამის,
თან გაგვახსენდეს აზრი-დიდება, –
ადამიანი ფრინველი არის,
და, ბოლოს, ღმერთში გადაფრინდება...
კი ასე ვფიქრობ: არ კვდება კაცი,
ის ცათა შინა ღმერთში გადადის,
რადგან შეადგენს, კაცი, ღვთის ნაწილს,
ხოლო ღვთაება არსობს მარადის...

კახა ბაციკაძე

ავანგარდზე მეტი
(პოეზიის ლაოკოონი)

ნეტავ რას გვპირდება ბორდოსფერ ღამეთა ფრთაჩუმი დინება?...
მთვარის ალმასებში მოჩანს ეგზოტიკად ფიქრის განტოტება...
რაც უფრო მეტს ფიქრობ, სულის ზღვა სულ უფრო დიდდება
და მეტად იხლართება სამყაროს ისედაც ზერთული განტოლება!
გრძნობისფერ მუჭებში ჩაიმსხვრევ კლდეთა ტიტანობას,
და ქარებს აუშვებ, ვიღაცის ჩამწყვდეულს, ბნელ-ბნელ უფსკრულებში...
ადამიანი ხარ და ვერ ეგუები ადამიანობას...
იქნებ ღმერთს დაეძებ, ნატანჯ და დაცრემლილ კოსმიურ თვალებში...
შენ იცი, რა არის მთავარი მიზანი... გწყურია ის გზანი,
რომელნიც სამყაროს გულამდე მიდიან,
მრავალი ხიდია,
რომელიც აერთებს სივრცეში პლანეტებს,
და იცი – პოეტი არასდროს ამეტებს,
როდესაც გაშლილი ხელებით ცდილობს, რომ
ჩაიკრას სამყარო, ვით სატრფო,
ოცნება თუ ათრობს, მიჰყევი,
იხილე ფერები სუყველა,
თვით გახდი ღვთისფერი...
დაიდე მზეების მაღალი ცეცხლები
თეთრ ხელისგულებზე,
და თვალის ფერდობებს, გადანისლულებზე,
აჩუქე სიცოცხლის სულ სხვა გაბრწყინება...
ნეტავ რას გვპირდება ბორდოსფერ ღამეთა ფრთაჩუმი დინება?..
ფიქრის ალმასებში მოჩანს ეგზოტიკად გრძნობის განტოტება,
ხარ ლაოკოონივით შებოჭილი
და გახვევია გველები, როგორც სამყაროს ზერთული განტოლება...

პოპ-არტის მუსიკა სიტყვებში

სიგარეტი.
სიდ ბარეტი.
ცას უხდება მზის ბალეტი.
რექვიემს ქმნის ამადეო,
ეს ხმა მიდის სადამდეო, გაგვანდეო.
ლამაზია – ვიოლინო სულის
ჩიტად იყოლიო.
გალაკტიონ, საოცრად შლი
პოეზიის აკორდეონს.
ბეატრიჩე თეატრია, პოეტები შენატრიან.
ზღვა ბროლია, საბრალოა მზის
ჩასვლისას მაგნოლია.
როცა გესმის ბეთჰოვენი,
ამ სამყაროს ეთხოვები...
ხელთათმანი, თეთრი ხელი,
ო ქალწული მზერით მწველით...
მეორდება ისტორია, უფრო მეტი მინორია...
არ იქმნება კრთომით რომი.
შნაიდერი გვხიბლავს რომი...
ფოთოლცვენა, ოქროს სცენა,
ფრენა, ფრენა...
სამახსოვრო მრავალია, თუმცა
შორს წარმავალია,
ცხოვრება – მატარებელი,
ბედი კი ორთქმავალია...
სად მივდივართ, ვინ გაიგებს...
იქ თუ რა კარნავალია...
სიგარეტი. ფიქრის რეტი...
გზა ღმერთისკენ – გზა პოეტის...

პოეტური გრძნობა

ხვალ, როცა დილა გათენდება, –
მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, –
უკვე ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში,
და მაშინ,
ადამიანებს საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

უდროობა

ვნებები, გზები, ტოტები...
ღამე – სიჩუმის ხმაური.
ქარია. განვმეორდებით:
შენ – თევზი, მე – მეზღვაური.
თვალები – გრძნობის სასახლე.
თითები – როგორც რვეული,
ალერსის ბეჭდებს ასახავს,
თავადაც სითბოდ ქცეული.
გულის ფეთქვა კი, ბარტყივით,
ფოთლებში გადამალული,
და სტრიქონების ლურჯ ტყეში
ვნების ბილიკი ფარული...
შენ – მზე, ხოლო მე – ღრუბელი.
ქარია, შენთან მომდევნის.
გამხელა – ჩუმი, გულწრფელი.
შენ – ტალღა, მე კი – ლოდები...
ვნებები, გზები, ტოტები...

ზეცისკენ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, –
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არა მწამს ისეთი ჩიტის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის ვკლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,
პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არა მწამს ისეთი ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

გიორგი ზუხბაია
(ზუხბა)

ფოთოლი და სიყვარული

ცა არასოდეს შენად ყოფნას აღარ ინანებს,
მერე სხივები საკუთარ თავს წყლისებრ შესვამენ..
და სიყვარული ფეხშიშველი დგას შენს წინაშე,
და თმებში გირთავს, უნაზეს, ცისფერ კესანებს..
და რბილი შუქი ვარდისფრდება ისევ და ისევ,
როცა არ გხედავ მე ვუარჰვყოფ საკუთარ თვალებს,
რა სიჩუმე დგას, გესმის ფოთლის შეხება სხივზე?
როცა ფოთოლი დაეცემა მიწაზე მალე...
იგი თანდათან, ვით სიზმარი ჰაერზე მოთოვს,
ეცემა ნელა თუმცა ტოტებს, ტოტებს დალოცავს..
მაგრამ უეცრად სიყვარული დაიჭერს ფოთოლს,
და ისევ ტოტებს დაუბრუნებს ფოთოლს, საოცარს...
შენი თვალები მოჰგავს ცისთვის გახელილ ედემს,
მე კი გრძნობისგან წერტილებად ასე ვიშლები.
დღე არის ჩუმი როგორც ჩიტი ათრენის შემდეგ,
და შენს წინაშე სიყვარული დგას, ფეხშიშველი...
ეს სიყვარული უსასრულო, ციური ოდეს...
ის არის ერთი, მას მოსულსაც, ისევ ელიან..
ის ფოთოლი კი, ისევ ლოცავს,
იმ მდუმარ ტოტებს,
რომელთაც მოსწყდა, რადგან იგი ხეთა ცრემლია..
მერე სიჩუმე ცის ნაპირებს ასე მოძებნის,
შენ ის ფერი ხარ ცისარტყელად მზეს, რომ ევნები..
რადგანაც თუკი ადამიანს უყვარს გრძნობებით,
მაშინ ამ ხეებს, ხეებს უყვართ ფოთოლცვენებით...
სულზე გეღვრება აუხსნელი სულის სინათლე,
ცრელი და სული შენს სიღრმეზე ერთმანეთს შეხვდნენ...
და სიყვარული ფეხშიშველი დგას შენს წინაშე,
რომ დაუბრუნოს ეს ფოთლები მდუმარე ხეებს...

ქაღალდის ჩიტი



ჩემთან მოფრინდა ქაღალდის ჩიტი,
დავდუმდი, რადგან ვერაფერს ვიტყვი...
მერე მინიდან პეიზაჟს წავშლი,
ქაღალდის ჩიტით თამაშობს ბავშვი...
ისევ საკუთარ თავს, წრეებს ვუვლი,
ჩემთან მოფრინდა ჰაერის სული...
ამ სამყაროზე არავინ დარჩა...
გამოსავალი არასდროს, არ სჩანს...
მხოლოდ ეს ჩიტი, ქაღალდის ჩიტი,
ახარებს ბავშვს და ვერაფერს იტყვი..
ეს ცხოვრება კი ჩემი - სხვისია,
და დროა წასვლის, საკმარისია...
ისევ ნერვების ვდგავარ ნაპირთან...
მერე ქაღალდის ჩიტი გაფრინდა...
იფრინა დიდხან, მერე გაფრინდა....

ვაჟა ეგრისელი

ქრისტეს ბოლო სიტყვები – "ელი, ელი, ლიმა საბაქთარი*".

სანამ სიცოცხლის კარებს
მოვხურავ
(თითქოს და „ძმარი" არ დამელიოს)
ჯვარზე გაკრული გიხმობ
კოლხურად –
* „ნუ მიმატოვებ, მამა ჰელიოს!"

1999

ჟამი უჟამო

ვერ მიენდობი წამითაც,
„უჟამო ჟამი" ვერაგია.
შენი „კოლხური ფსალმუნები",
ქაჯავეთში –
უხილავის ხელით ნაქსოვი
ჯაჭვის პერანგია.

1993

მედიუმი

ყოფნა,
არყოფნა,
აქ უფლობს ორი...
სიცოცხლე – წამია და წარმავალი...
სიკვდილი –
წევრია სხვა ამალის.
და... ცოცხალთა და მკვდართა შორის,
მედიუმია* –
შუამავალი.

1983

* მედიუმი (ლათ.) – პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან" ამყარებს ურთიერთობას.

საქართველო უკოლხეთოდ უწარსულოა!

ერთგულება

სამშობლო სხვაა...
სხვანაირი ალერსი უნდა!
სხვაა სამშობლოს ზღვები
და მთები.
შეხედეთ ფრთოსნებს,
თბილი ქვეყნისკენ
ვით ფრენენ გუნდად,
მე და ბეღურა აქ ვრჩებით და...
სიცივით ვკვდებით.

2014

სიცოცხლე

სიკვდილი უტყვი და მდუმარეა.
მზე – ცეცხლისთვალება,
ღრუბლებში მოჩანს წავად*.
სიცოცხლე?! –
იგი სტუმარია,
წამით შემოივლის და...
წავა.

1970

* წავი – თახვი.

ვით აქილევსმა

თავს ზოგჯერ ჩუმად გახსენებს
ლექსი,
ისე, ვით მაშინ, აქილევსს ქუსლი.
და საბრძოლველად ხმალს კვლავ
ილესავ,
რომ „დიდი ქვეყნის" –
ხილვად მოქუსლო,
მზის ფარით ხელში,
ვით აქილევსმა.

2011

ვით მენცარი დანიელი

დავიწყების სარეცელზე
მიძინებულ ქალდეველთა
სულს უფალი გააღვიძებს
(რადგან უხმობს და მიელის).
და იყვირებს –
ქალდეურად,
ვით მენცარი დანიელი.

1978

***

უფლის ხელით დარწეული,
მშობლიური ხეთა ორო*,
და სამოთხე ნუ მეღირსოს!
ქვეყნად წუთი თუ მეცხოვროს,
უკოლხეთოდ!
უეგრისოდ!

2014

* ორო (მეგრ.) – ჩრდილი.

ვიკინგების ხომალდივით

ცისქვეშ ძველებურად მისდევს
ასწლეულებს –
ასწლეული,
მგოსნებს მტვერი რომ ადინოს.
მაინც ზოგ-ზოგ „უფლის
რჩეულს“,
ცხვირი ზე აქვს აწეული,
ვიკინგების ხომალდივით.

2002

მოყვავილე ბროწეულის ხე ზღვისკარად

რაც თავი ახსოვთ პონტოს და
ფაზისს,
აქ ბინადრობდა ჩემი გვარ-ტომი.
რა ვქნა!
მე კოლხეთს ვერ ვუპატრონე!
ზღვისკარად მდგარი ბროწეულის ხის
ტანზე ვარდისფრად
გამოუყრია,
ჩუტყვავილას თუ წითელ ბატონებს.

1969

პოეტია?! რას ბრძანებ!

მას ჩუმ-ჩუმად ბაძავენ,
რადგან მისი ფიქრები
ცის ვარსკვლავებს ელტვიან...
პოეტია?! –
რას ბრძანებ!
ის პოეტზე მეტია!

2014

ისევ მოლოდინი

მომავალი გმირთა-გმირი,
მუცელში ჰყავთ მთებს –
ორსულებს,
რომელიც მტერს მუსრს გაავლებს,
ვით მითიდან გადმოსული –
უსუპი და ამირანი,
ამბრი,
ბადრი,
სეფედავლე.

1989

***

ეჰა,
ჩემო სამშობლოვ!
სიყვარული ულევი –
მიკიდია აბედად...
სანამ შენ მეგულები,
სიკვდილს როგორ გავბედავ!

2014

***

შორეულზე –
შორეული,
ბილიკებით მომავალი,
პონტოს სანაპიროზე,
რომ ჩამოდგა აისი,
იმ აისში შენეული
„ფსალმუნების„
ხმა ისმის...

1997

***

მწუხრი ცის ძელზე,
უსვამს შალაშინს,
ცას ვარსკვლავების ჯაჭვი
აცვია.
და მიტოვებულ პირას ჭალაში,
ვიღაც მოხუცი „მწყემსი ქაცვია“,
ნახირთან ერთად თხებს და
ერკემალს
ჩვენს ბავშვობაში მიერეკება.

1966

ედუარდ უგულავა

თუთიყუში

გამიგიჟდა თუთიყუში,
ცუდი სიტყვა მითხრა ყურში.

გავბრაზდი და იმავ წამში
გამოვკეტე გალიაში.

დავუყვირე – მითხარ ჩქარა,
ცუდი სიტყვა ვინ გასწავლა?!

ასე მითხრა – მე ვარ ჩიტი,
ვიმეორებ, რასაც იტყვი.

სიტყვა,
გულს რომ მოგხვდა მწარედ,
გუშინ შენგან დავისწავლე!

ისეთი ბიჭი ვიქნები

ჩემი ჭკვიანი წიგნები
დამიდგებიან თავდებად, –
ისეთი ბიჭი ვიქნები,
ქართველს რომ გაუხარდება.

მტერსაც რომ უყვარს შექება,
ოღონდ ვაჟკაცურ ფიქრებით,
ისეთი გული მექნება,
ისეთი ბიჭი ვიქნები!

ვერ მომერევა სიყალბე,
უსახური და მლიქვნელი.
მე რომ დედა არ მიყვარდეს,
მე რომ მამა არ მიყვარდეს,
სამშობლო რომ არ მიყვარდეს,
რაღა ქართველი ვიქნები?!

კარგად უნდა ვისწავლო!

მეც ხომ უნდა ვიცოდე,
მეც ხომ უნდა გავიგო,
რამდენ საქმეს აკეთებს
დედიკო და მამიკო.
მუდამ ჩემზე ზრუნავენ,
კარგად ვხედავ ამასაც,
თავზე მეტად ვუყვარვარ
დედასაც და მამასაც.
ყველა სურვილს მისრულებს
ბაბუა და ბებია,
მე კი ბევრჯერ სკოლაში
წასვლა დამზარებია.

რაღა დაგიმალოთ და
წიგნს როგორც კი გადავშლი,
იმ წამშივე მინდება
გართობა და თამაში.
მაინც თავზე მევლება
მამიდა და დეიდა,
მე კი როგორ ვიქცევი...
ამიტომაც, დღეიდან,
რაც არ უნდა დამიჯდეს,
რაც არ უნდა ვიწვალო,
კარგად უნდა მოვიქცე,
კარგად უნდა ვისწავლო!

ფეხბურთი

ფეხბურთი აქვთ თაგუნებს,
გააგორეს კაკალი:
– წრუწუნ პასი მომეცი!
– მიდი, ბიჭო, დაჰკარი!
მოედანი ფეხბურთის
გადაიქცა საგიუედ:
– ყურზე ნუ მკბენ!
– ვაიმე!
– კუდზე ფეხს ნუ მაბიჯებ!
მოატყუა წრუწუნამ:
ერთი, ორი, სამი და...
ნერვიულობს მეკარე...
დარტყმა!
არის!
გავიდა!..
– გოლ! – აყვირდნენ თაგვები.
– გოლ! – აყვირდა წრუწუნა
და საწყალმა მეკარემ
ბრაზით დაუწრუწუნა:
რა გაყვირებს, შე ბრიყვო,
ნეტა რა გიხარია?
გოლი რომ გაიტანე
ეს ხომ ჩვენი კარია?!.

ბუკნაჭო

უბუმბულო და უკლანჭო,
ტირის და ტირის ბუკნაჭო.
თუმცა, დროდადრო ისვენებს
და იწყებს ტირილს თავიდან.
მთლად გაებერა ისედაც
გოგრისოდენა თავი და
ცრემლების ფრქვევით აჰყურებს
მთვარეს, ღრუბლებში განაბულს.
დედა ბუ სახეს იხოკავს,
თავს ტოტებს ახლის მამა ბუ:
– თუ ვინმემ გული გატკინა,
ჩქარა მითხარი ვინ იყო!
რა გჭირს, რა ბზიკმა გიკბინა,
რა მოგივიდა, შვილიკო?!
უბუმბულო და უკლანჭო,
სლუკუნით ამბობს ბუკნაჭო:
– ის საზიზღარი ღამურა
ვერ მოვიშორე ვერაფრით.
როცა მარტო ვარ, მოდის და
თავგასიებულს მეძახის.

დაჩი და ნუცა

ზაფხულია. მზე ანათებს.
გული მშვიდად უცემს ნიავს.
ერთი ნახეთ ციცქნა ნუცას
რამოდენა ჩანთა მიაქვს.
იქვე დგანან ბიჭუნები,
ყურს უგდებენ მსუქან ძიას,
თუმცა გოგოს ყურადღება
მხოლოდ დაჩიმ მიაქცია.

რაც მართალი მართალია –
მძიმე არის ნუცას ჩანთა,
მაგრამ დაჩიმ გოგოს მაინც
ვაუკაცურად ჩამოართვა.
ხუჭუჭა და პირმღიმარი
ეუბნება დაჩის ზურა:
აი, შენ კი გენაცვალე,
კაცი ხარ და ქუდი გხურავს!

ნათია დაშნიანი

დათოს ყურშა

დილით ადრე ადგა დათო,
მამას გაჰყვა ტყეში,
მერე რა რომ სოფელს ათოვს,
ბრუნდებიან შეშით.
მამამ უთხრა: მოიცადე
შვილო ერთი წუთით,
შეშა მოგვაქვს, მაგრამ ტყეში
დაგრჩენია ქუდი.
- ვაი, მამი, შინ რომ მივალთ
არ ეწყინოს დედას,
ქუდი ადრეც დამეკარგა,
თქმას ვერ გავუბედავ.
უცებ ყეფა შემოესმათ,
ძლიერ გაუკვირდათ,
ბედნიერი ყურშა ყეფით
გამორბოდა ტყიდან.
თითქოს პატრონს გაუჯავრდა,
გააქნია კუდი
და ჩვენს დათოს მოუტანა
დაკარგული ქუდი.

გულყვითელა წიწილა

გულყვითელა წიწილამ
მთელი ღამე იწივლა,
კრუხმა ვერ დაიძინა,
მამალმა კი იწყინა:
- რატომ წივის წიწილა?-
გულმოსულმა იკითხა.
-თუ მოშივდა აჭამეთ,
თუ შესცივდა- გაათბეთ,
ოღონდ გააჩუმეთ და
რითაც გინდათ გაართეთ!
- წიწილა სულ წიოდა,
აჭამეს- არ შიოდა,
გაათბეს - არ სციოდა,
ვერ მიუხვდნენ ვერაფრით
მუცელი რომ სტკიოდა.
მოუყვანეს ექიმი,
ეცვა თეთრი ხალათი,
გასინჯა და დატოვა
რეცეპტების ბარათი.
იმ ბარათში ექიმის
დიაგნოზი ამბობდა:
დიდი ჭია ჩაყლაპა
მინდორში რომ დარბოდა.
ყველამ მშვიდად იძინეთ,
წიწილა არ იწივლებს.

ზღარბები

ქარი ქრის და ხეებიდან
წითელ ვაშლებს აგორებს,
სხვა რა უნდა ზღარბუნიას,
ზამთრის სარჩოს აგროვებს.
იქით მსხალი, აქ ატამი,
არც არავის რიდი აქვს,
დაიხმარა მეზობლები,
აკრიფეს და მიდიან.
თავში იცემს ბებო ხელებს:
- რა ვაჭამო პატარებს,
რაც ხილია მსუნაგ ზღარბებს
სახლში თუ გავატანე?!.

ლოკოკინა

ნიჟარაზე უკაკუნებს
გაზაფხულის თბილი წვიმა,
გამოდიო, მზეს წვეთები
აუკინძავს ბროლის მძივად.
ხან ღობეზე აცოცდება,
ხან გადაჭრილ მორზე სძინავს,
ბევრს შრომობს და არ იღლება,
ყველგან ზურგით დააქვს ბინა.
საფრთხეს თუ გრძნობს ნიჟარიდან
თავს არ გაყოფს ლოკოკინა

სასამართლო

ლომი იყო მოსამართლე,
მომჩივანი დათუნია:
იოლია თაფლის ჭამა,
მოპარვა კი რა რთულია!
ორი სკა აქვს დედა ფუტკარს,
ის ყველაზე მშრომელია,
ერთი ქილა თაფლი
ვთხოვე,
დამკბინა და მომერია.
განა მარტო ჩემთვის მინდა?!
გუშინ ბელი გამიცივდა,
არ მეგონა ტყის ყვავილებს
თაფლში თუ არ გამიცვლიდა!
ფუტკრების სკა აზუზუნდა:
ჩვენ გრამ თაფლსაც აღარ
დავთმობთ!
ნეტავ რომელს გაამართლებს,
მეფე ლომის სასამართლო?!.

ყიყინა ბაყაყი

გაზაფხული მოვიდა,
ცა საწვიმრად იხსნება,
სოფლის ბოლოს ჭაობი
ბაყაყებით ივსება.
ერთი მწვანე გომბეშო
გამუდმებით ყიყინებს,
დღისით ყველას აწუხებს
და არც ღამით იძინებს.
ფეხებს იქნევს რვაფეხა, –
გეტყვით ახალ ამბავსო,
წუხელ წერო მოფრინდა,
ყველას გადაგვყლაპავსო!
– მე ვერაფერს მიზამსო!
– ყურს არ უგდებს ბაყაყი,
ქვებზე დახტის ყიყინით
ტრაბახა და ამაყი.
ბრაზი ახრჩობს რვაფეხას:
– თავზე რატომ მახტები?!
მე კი წავალ, მაგრამ შენ
წეროს ლუკმა გახდები!

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

ავი სიზმარი

სიზმარი ვნახე, მიწას ჰქონდა შავი ბზარები,
ბზარნი განიხვნენ და დაიძრა მთა ვულკანებით;
ვერ მოვასწარი სულის მოთქმა, ვერცა ყვირილი,
თავს წამომადგა შავი ტალღა ავი ყივილით...
არ ვიცი როდის... ცამ ღრუბელი გადაიკარა, -
ზვირთები დაცხრა, რისხვა-ჯანღი გადაიყარა,
მე ორი ქვეყნის გასაყართან ვიდექ კარებში
და მოწყალებას ლურჯი ფრთებით დავატარებდი...
სათუთი ხელით მივეახლე ყველა იარას,
აღელვებული დავამშვიდე შავი ტალღები,
საკუთარ თვალში არეკლილი მზის სხივით ვმოსე,
ნარინჯისფერი გარდავსახე ცისფერ ზვავებად,
გადავაფინე მთის ჭრილობებს ლურჯი სტავრები,
კვლავ დავამსგავსე დედამიწა ცისფერ პლანეტას...

ა დ ა მ ს!..

ცარიელ ქუჩებს ვხედავდი სიზმრად,
დაცლილ შენობებს – აშვერილს ცაში...
თუმცა, არასდროს არ ვიხდით მიზნად,
გონების კარნახს მივაპყროთ თვალი...
ო, ადამ, კვლავაც დაკარგე თავი,
მსახვრალი შენი აღმართე ხელი...
ახლა ქუჩებში თარეშობს ქარი,
დარაბებს მიღმა – შიში და სტრესი!..
ვერ გაუმართლე სახიერ მამას,
გადაამრავლე ცოდვა და ბრალი,
ეს, მერამდენედ, ცოდვილო ადამ,
გამოიხურე სამოთხის კარი!..
სამყაროს ყველა ცთომილი ბრუნავს,
ბუნებას თავის სისავსე მოაქვს;
ყველა არსება ფუსფუსებს, ზრუნავს,
მხოლოდ შენ, – ადამ! გამძიმებს ცოდვა.
შენ, მეპატრონემ დავითის ჩანგის,
ვერ დაიმკვიდრე სიცოცხლის მადლი,
მზე მწვერვალებზე ადის და ჩადის, –
შენ ვეღარ იჭერ ღირსეულ ადგილს.
უფლის სიმდიდრე, მადლი და ნიჭი,
რად ანაცვალე ძრწოლას და შიმშილს...
უფალს, შენს გამო, დასდინდა ცრემლი,
დღეს, ღვთისმშობელი შენს გამო ტირის...
მსოფლიო გახდა სავაჭრო დახლი...
სინამდვილეში არ ვიცით, რა გვსურს,
უფლის დავკარგეთ რწმენა და მადლი,
უგულოდ ვყიდით სინდისს და ნამუსს...
სანამ ცუნამი შავ ზვირთებს აშლის,
ყველა ჩვენგანი კიდობანს ჭედავს,
ღმერთმა ქნას, მშვიდად მიადგეს ნაპირს,
სულს კათარზისმა მოჰგვაროს შვება.

ცის სილურჯეში ღვივის და ელავს, –
მზე დედამიწას სხივებით მოსავს,
გარეთ აპრილის კვირტები სკდება, –
ვარდის ფურცლობას იმედი მოაქვს!..

კვლავ ველოდები მზეს და განთიადს

როს დავიღლები დარდით, ფიქრებით,
ღამეულ ჩრდილებს გავემიჯნები,
კვლავ გავიხსენებ აისს ვარდიანს
და ველოდები მზეს და განთიადს...

მზე თავის სხივებს ისევ დაქარგავს,
ღამემ ტკივილი თუ დაიოკა,
ჩამოურიგებს საზრდოდ – საკვებად,
ტვინგაბრუებულ კაცობრიობას...

კორონობისას, მაისის თვეში

მიწის მადლმა ყვავილები ამოხეთქა,
დაფრიალობს გაზაფხული ჭრელი კაბით,
დილის ცვარმა მარგალიტი დაიბერტყა,
აკაციის რძისფერ მტევნებს ცრემლი დასდის.

ცის ნაჟურმა ზამბახებიც დაასველა,
ჟასმინის ტოტს ანანავებს მთვრალი ქარი,
ვარდის ეშხით გაიბადრა მირაბელა,
კესანემაც გაახილა ნატვრის თვალი.

ცისარტყელამ ველ-მინდვრები დაამშვენა,
გამიტაცა, – გული სახლში ვერ გაჩერდა,
ამ დილიდან საპოვნელამ ამამღერა,
ველზე ვეძებ პაწაწინა მარჯნის ყვავილს.

ბუდეს იწყობს მერცხალი და მაფშალია,
ელის ბუჩქმა მთის ფერდობი გადაპენტა,
მიხარია, მეც ბავშვივით მიხარია, -
ცამ, ბუნებამ, გულის კარი არ დაკეტა!..

მ ზ ე ა დ ი დ დ ა

წუხელ მზე ადიდდა, აღელვდა,
გალეკა – წაიღო ედემი,
ვარსკვლავთა გროვები გადადნა -
სამყარო აივსო ვნებებით...
ბაღებში ბალახი გადახმა -
არ იყო სიცოცხლე ფერების...
ზღვაც დადნა, სიბრაზემ ჩაყლაპა,
არ იყო წვიმა და შხეფები...
თითქოსდა, ნაპირიც არ იყო,
არ იყო სუნთქვა და ეთერი...
მერე, მზემ სიბნელე დაფანტა,
ცის ფონი დაფარა მტრედებით,
თაღებზე მშვიდობა აღმართა,
აღივსო სიწყნარე მშვენებით...

სული ლაჟვარდებით მზესთან ნაფერია

სული ლაჟვარდებით – მზესთან ნაფერია,
ფრთებზე დაფენილი – სივრცე – აფრებია,
სული წმინდა-წმინდა, – მადლით ნაფენია -
ცათა – ანგელოზთა დასი ახვევია...
სული დამშვიდებას ვეღარ ეღირსება,
სანამ ფანტაზიას ბინდი ეფინება,
სანამ ცრემლებია – არის გაწბილება,
სანამ წარმოსახვას თვალი აწილადებს...
აქ თუ, მიწიერი ტანჯვა მემუქრება,
აქ თუ , ყველაფერი მხუთავს – მავერანებს -
სული დაბრკოლებას ვეღარ ეგუება -
ჰოდა, ამ ქვეყნიდან, დროა, წამიყვანეთ...

დაბადებიდან მე მქონდა შიში

დაბადებიდან მე მქონდა შიში...
ყველაზე მეტი – ყველაზე დიდი,
ქების, პატივის და განდიდების
დაბადებიდან გამომყვა შიში...



გერონტი მესხი

დაკარგული სოფელი

„ორიოდე სოფელი დავკარგეთ...
ქვების გროვა იყო და მეტი არაფერი“ –
მ.სააკაშვილი ცხინვალის მოვლენებზე.

ზოგის გულს უფლის ცეცხლიც ვერ ათბობს,
ზოგს უცეცხლოდაც თბილი გული აქვს.
თუ მამულისთვის სიცოცხლეს დათმობ,
მაინც ცოცხალ ხარ კვლავ და სრულიად!..
სამშობლო ჰქვია ამ ფერდობს ტყიანს,
ადრეულ ვაშლს, თუ მწიფე შინდს, გვიანს.
მდინარის გასწვრივ ღორღი რომ ყრია,
იმასაც ჩემი სამშობლო ჰქვია.
„ქვების გროვაო!..“ ავი ზმანება!..
საღ გონებაზე ვერ იტყვი მაგდენს.
ქოჩრის ნამეტიც დაგენანება,
რომ მოიკვეთ და უაზროდ აგდებ.
ვისთვის საწუთრო ძალზედ მუქია,
ვისთვის ბატონობს მეფისტოფელი...
ჩემ სოფელს „ქვების გროვა“ თუ ჰქვია,
მაშინ, სადღაა მეტი სოფელი?..
...მთიდან სიბრაზის დელგმა მოვარდა,
ცა შემრჩა ხელში ჩამუქებული...
გთხოვთ, დამიბრუნოთ „ქვების გროვა“ და
სოფელი ჩემი, გაჩუქებული...

ეზო თუ არ შერაგვე

„ლოთი მძღოლის შვილი ქუჩას
დარჩება,ცოლი კი – სხვა კაცსო!” – მამის
შეგონებიდან. გ.მ.
„რუსებმა საზღვარი 300 მეტრით
გადმოსწიეს რაჭაში“...
„აზერბაიჯანელებმა ნახევარი დავით
გარეჯა მიისაკუთრეს“... – გაზეთებიდან

ქარი გაჰხვეტს, ეს უცოცხო მენაგვე,
ნაგავსაც და ლოთსაც არყის ჭიქით.
შენი ეზო მტკიცედ თუ არ შერაგვე,
აღმოჩნდება სხვისი ღობის იქით.
ყამირს გატეხ, თუ მომავალს დათესავ,
მზეს მოიმკი, ბღუჯა სითბო რო აქვს.
აჩქარებას, თანაც მთვრალის, საჭესთან
სავალალო შედეგები მოაქვს.
მოყვარე ჩანს შენს გარშემო რა კარგად!..
მტერს რეტს ასხამს შენი ცოლის მზერა.
როცა მთვრალი საჭის მართვას დაკარგავ,
სხვას დარჩება შენი ცოლი, მჯერა.
შვილს სჭირდება მამა-მიზანმართული.
მოიმედედ, ფხიზლად დღეც და ღამეც.
ვინ თქვა – ღობეს, მიწად როა გართხმული,
ღობე ერქვას, აკავებდეს რამეს?
ხომ გინახავთ, კაცი გორავს ფარაჯით, –
განა იგი რამით მოჰგავს მფრინავს?..
ნასვამ დარაჯს სულ არ ჰქვია დარაჯი,
მითუმეტეს, თუკი იგი ხვრინავს.
შვილს სურს, აღმართს მამის გვერდით შეუყვეს...
გრადუსის ქვეშ ვინ შემწვდარა ოლიმპს?
მაშ, ვიფხიზლოთ... მერე ვიტყვი მე უკვე,
რომ წინ მელის გამარჯვების გოლი.

დედას

უსათნოესი სახელი გქვიან,
ყველაზე თბილი სახელთა ზედა.
ვნატრობ და, ალბათ, არ არის გვიან:
სულ გვერდით მყავდე, მშობელო დედა!
ამწვანდებიან ხოდაბუნები,
მეც, შენი კვირტი, დავიყვავილებ...

ახლაც, სკოლიდან რომ დავბრუნდები,
გახარებს, როგორც ნამი-ყვავილებს.
ეგ უბე აფრქვევს იმდაგვარ სითბოს,
ეგ გულიც ჩემთვის იმგვარად ფეთქავს,
რომ შენც უფლისგან სხვას არას ითხოვ,
რომ მე სიკეთეს ვაფრქვევდე მეტხანს...

დიდი დრო

ეპოქებს, ხსოვნას შემორჩენილთ, კენტად, თუ წყვილად
ჩამოსათვლელებს წარჩინებულ საქმეთა წილად,
წუთებსაც, როცა გმირი შექმნა განგებამ წინათ,
დიდი დრო ჰქვიათ და გმირობის პატივიც წინ აქვთ.
დიდი დრო იყო დავითის დრო, უზომოდ დიდი,
იმგვარად დიდი, მსგავს დროებებს თითებზე ვთვლიდით.
ნიკოფსიიდან დარუბანდზე ეფინა ხიდი,
ძლიერდებოდა, მტკიცდებოდა... მტერს ჰქონდა რიდი.
დიდი დრო იყო, როცა ცის ქვეშ ჰქუხდა თამარი!
ქალი, ქვეყნისთვის ანთებული სულ სხვა რამ არი!..
შვილნი მრავლობდნენ, ვით ვარსკვლავნი ცისა კამარით,
არ გვეშურვოდა მომხვდურთათვის მიწა სამარის.
თავდადებულნი მრავლდებოდნენ **დიდ დროს** და კვლავაც _
ცოტნეს, დემეტრეს, თუ ბრწყინვალეს დარად და კვალად.
დიდ დროს განათდა ქრისტეს რჯულის მადლი და ძალა,
ამ **დიდ დროს** იქცა ქეთევანი ზეწმინდა ქალად.
რაც რომ ელოდა, დედოფალმა ზუსტად იცოდა:
დიდი დრო იყო, ქალი რწმენის გამო იწვოდა!..
უდრეკმა სულმა იმ დროს, რა დროც **დიდ დროდ** იწოდა,
ცნო უკვდავება, ვიდრე მასში გადავიდოდა.
რაიც ჰქნა ცოტნემ, იმ დროის ციკლს **დიდი დრო** ჰქვიან...
(კი, ეს ის დროა, დამპყრობელნი ერთურთს რომ ცვლიან...)
დემეტრეს ქცევაც **დიდი დროა,** და ოდნავ გვიან
ბრწყინავს **დიდი დრო** ბრწყინვალესი, ცაც მოჰგავს მთლიანს.
არაგველებმა სიცოცხლეში მტერს დასცეს რეტი...
ვინ სწირავს მამულს ცხრა შვილს ერთად, ქართველის მეტი!
დიდი დრო დადგეს რაინდებმა მცინარი ბედით,
მარადისობის მონათვალში **დიდი დროც** შედის!
მოურავმაც ხომ **დიდ დროს** დასთმო პაატას თავი...
დიდ დროს გაცუდდა არსუკიძის მარჯვენა მკლავი...
ერეკლეს ყველა ნაბრძოლები **დიდი დრო** არის,
დიდი დრო, მეფის საფერი და საფერი გვარის.
ქვეყანა ჩემი ოლიმპოსთან ახლოს მივიდა...
ზოგს ბოღმა ახრჩობს, გადაკვრია თვალზე ლიბიდო...
ღმერთო, განსაჯე გარდასული ყველა **დიდი დრო,**
მამული ჩემი გააბრწყინე!..
მარად იდიდოს!

ვაჟაობა ჩარგალში

მზენაკვები ქედები,
ლექსნათესი ველები...
მათ ხსოვნაში ცოცხლდება
ვაჟა ისევ ყმაწვილად.
აგერ,
მწყემსი ყმაწვილის ღონიერი
ხელები
ვაჟას ასამღერებლად
სალამურზე გაწვდილან.
მღერის მთელი ხეობა
და ბუტბუტიც წყაროთა
სულში ლექსად იღვრება,
მზის სხივებიც ჩადიან...
მთიდან ბერი ლუხუმის
ლოცვა უანგაროა,
ალუდას კი
ქისტებთან
შერიგება სწადიან.
აქ ფრინველთა ჭიკჭიკშიც
ვაჟას ჰანგი გაისმის,
აგერ,
ქალი ბილიკზე მღერის
ყელმოღერებით...
დაჭრილ არწივს
დაჭრამდე,
იმ ვარდოვან მაისში,
მოუხატავს ფრენით ცა
ვაჟას ნაკურთხ ფერებით.
გინდა,
მთისკენ გაიჭრა,
ნახო ვაჟას აჩრდილი,
და აუწყო ნაფიქრი
კრძალვით,
რიდით ფარულით:
მეც ამ მთების შვილი ვარ,
შენი ლექსით გაზრდილი,
და, თუ მოვკვდი,
მეც მომკლავს
ამ მთების სიყვარული.

ლამზირა შეყილაძე

ლ ე ქ ს ი ს ა კ ვ ა ნ ი
დღეს პოეზიელში
უნიჭიერესი
ლ ა მ ზ ი რ ა შ ე ყ ი ლ ა ძ ის
ლ ე ქ ს ე ბ ი

იესო

რაც თავი მახსოვს, მას აქეთ გეძებ,
დღისით თუ ღამით, სიზმარში, ცხადში,
ყველას გულის ხმას სიფრთხილით ვზვერავ.
რომ არ დავიწვე იუდას ალში.
შენგან ნაბოძებ იმედით ვცოცხლობ,
მართალი სიტყვა თავისკენ მძალავს,
ვკვესავ სიბნელეს, ვესწრაფვი ნათელს,
ვერ ვიტან ღალატს, ვერცხლის ხმა მზარავს.
ველიცლიცები ზეციურ სიბრძნეს
და ვეურჩები უსამართლობას,
მამლის ყივილზე ყოველთვის ვფხიზლობ,
ყოველ წამს ველი მკვდრეთით აღდგომას.
ჯვარცმულო ქრისტეე, მხოლოდ შენ იცი,
კოდური სიტყვის სიგანე, სიგრძე.
წმინდა გიორგი გველეშაპს გაჰკვეთს,
და გამჟღავდება ლაზარეს სიბრძნე.
იესო! შენი დიდი წყალობით
სიყვარული და სიკეთე მმოსავს,
ლოცვით შევყურებ ზეცის კარიბჭეს
როგორ შევხვდები მეორედ მოსვლას!

ამომაშენე ტაძრის კედელში

მარტყოფის ველზე გავიშლი კარავს,
ერის სიყვარულს შევსვამ თასებით,
გზა-კვალ არეულს ვატარებ მტარვალს,
მტერს შევებმები გაალმასებით.
იქ, წიწამურთან ვიდგები ფხიზლად,
სამშობლოს გულში არ მოხვდეს ტყვია,
წარსულის სიბრძნის ნაღვაწით ვსუნთქავ,
ჩემს გულის ცემას სამშობლო ჰქვია.
თუნდაც მტრის ჯარმა ჩამიგდოს ხელში,
თავს არ ვაკადრებ, წუწუნს და ჩივილს,
მომკვეთონ მკერდი, დამდაგონ ცეცხლში,
ქეთევანივით დავითმენ ტკივილს.
იქ მივალ, სადაც ჩემს თანამოძმეს
შიშველ სხეულზე ეხვევა მწერი,
ტყვიების წვიმას შევუშვერ გულ-მკერდს,
მარწუხებისგან, რომ ვიხსნა ერი.
ღმერთო! მუხლმოყრით შემოგღაღადებ,
ჩვენ გაგვახარე მზიურ ედემში,
მამულო ჩემო თუკი დაგჭირდე,
ამომაშენე ტაძრის კედელში !

იწვის აგონია

ახლა, შუაღამის მკენწლავს ჩუმი დარდი,
მთვარემ გადმომხედა რაღაც გაფითრებით,
ასე.. უსაშველოდ რატომ შემიყვარდი,
რატომ მენატრები ასე გაგიჟებით...
შენი სიყვარულით ღამე გადავღალე,
ცხადი თუ სიზმარი მგონი ამერია,
ცათა ბილიკები ფიქრით მოვიარე,
შემი მონატრების ჟინმა გადამრია.
გულში შენანთები... ცეცხლით ვიფერფლები,
მაკრთობს შემოდგომის ჩუმი ფოთოლცვენა,
ზღვის შმაგ ტალღებივით ფიქრებს ვეხეთქები,
მხოლოდ შენ ერთს ძალგიძს ჩემი გადარჩენა.
ახლა... შუაღამის იწვის აგონია,
გული იფერფლება გრძნობა შენანთები,
შენაოცნებები სიზმრებს გაჰყოლია
ურჩი სიყვარულის ცეცხლში ვიფერფლები...

რომ ყველაფერი კარგად იქნება

(უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს)

წმინდა სამების მადლი გამშვენებს,
ხატ-სალოცავად გაქვს ან-ბანია...
რა დაგაძინებს, რა მოგასვენებს,
როცა სამშობლო შენ გაბარია.
ვიცით ცხოვრება მეტად რთულია,
დროც ამინდივით ხშირად იცვლება,
შენ გვამწყალობებ ბრძენო ილია,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.

როცა სამშობლო გასაჭირშია,
მამულის ბედი მრუდედ იხრება...
მყის გვაიმედებს შენი სიტყვები,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.
ღვთის მოსაობით წმინდა ლოცვებით
ზეციდან მადლი ჩამოიფრქვევა,
შენი მადლით და უფლის წყალობით.
გვწამს *ყველაფერი კარგად იქნება*.

შემინდე დედაო

წმინდაო მარიამ, გაგტანჯე ცოდვებით,
ამდენი დარდით და ამდენი ტკივილით...
ამ ცბიერ საწუთროს ვერასგზით ვშორდები,
შენს ფეხთან ვეცემი ცრემლით და ტირილით.
ყოველ ჩემს გზასავალს ეშმაკი სდარაჯობს,
საითაც წავედი ხაფანგი დამიგეს,
უფსკრულის წყვდიადში უნდათ რომ დამმარხონ,
შენს გარდა ამ ტკივილს ვერავინ გამიგებს.
სადაც კი ვეცადე, რომ სული მომეთქვა,
იქ მასვეს უფრორე შხამი და სამსალა,

ეცადნენ უფალზე უარი რომ მეთქვა,
ურწმუნომ დამსერა, სისხლისგან დამცალა.
ახლა კი ნაგვემს და უღონოს, უპოვარს,
კვლავ სულის სალბუნად ლოცვანი აღმომხდა,
შემინდე დედაო, ამ ცოდვილ მიწაზე
ფიქრში თუ ვინმეზე აუგი წამომცდა.
დედაო, ვერ ვიხსნი ამ რკინის ბორკილებს...
და ცივმა ქარებმა წამლეკა სრულიად,
უწყალე დედაო, კართან რომ ფართხალებს,
ეგ ჩემი შიშველი, ტანჯული სულია!

შენი ნეკნია

ღმერთმა მიბოძა სასწაული, ეს საჩუქარი,
არ მახსენდება თუ ოდესმე შემიკვეთია...
ამიტომ არის, ჩემს სხეულზე გიჭირავს თვალი
რადგანაც იცი, ჩემს სხეულში შენი ნეკნია...
შენს კაპრიზებზე ხშირად მიწევს,რომ ვთქვა თანხმობა,
შემოქმედის აზრს, უმთავრეს მიზეზს, ვერაფრით მივხვდი...
და თავს ვიტყუებ, შენი ნეკნის ძალმიძს დათმობა,
ტყუილად ვწვალობ, შენ ვალს მაინც ვერ გადავიხდი...

* * *

საზოგადოება პოეზიელი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის, (თავმჯდომარე იმერეთში) საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და გაზეთ სახალხო განათლების რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი სახელით გისურვებთ წარმატებებს ქ-ნო ლამზირა.
პატივისცემით გერმანე საზანოელი.

ხათუნა ჩიტაძე

პეპელა ზვარის

ლილისფერი, ფრთაფრიალა, მჭვირვალი,
ეზო-ღობის ფა-ბალახებს გასცდა,
არ მინახავს ამდაგვარი მიტკალი,
პეპლის ფრთათა უნაზესი განცდა.
ლაზურიტის ფერი როგორ გიხდება,
იმერეთის სილურჯე და ქარი,
ცა მაგ შენი ფრტების თრთოლვით იხრება,
შემოგღიმის შინდი, ლოყა-ჟღალი.
ამ მხარეში, მხოლოდ პაპის მხარეში,
ამ სოფელს რომ სამშვენისად შვენის,
ლილისფერი პეპელა ჩვენს ზვარეში,
ფრთების ლურჯი სინამდვილით მღერის!
არსად სხვაგან არ მინახავს ამგვარი,
ციმციმა და იისფერა ფრთები,
ჩემს სიზმარში, ოცნებასა და ცხადში,
თვალწინ მიდგას ზემაღალი მთები!
ლაზურიტის ფერი როგორ გიხდება,
იმერეთის სილურჯე და ქარი,
ზვარის სივრცე პეპლის ფრთებით ივსება
და ოცნება მის ფრთისფერი ხალით!
2011წ.

დაუძლურება

შეეგუები?
თუ ვერ აიტან
ფერად სიზმრების დაუძლურებას!
ვერ ვითავისებ ,
და ვერ ავიტან
დღის სიშორეს და ღამის ცდუნებას!
რომ ყოველივე...
ეს ყოველივე,
როგორც სიზმარი მზეს გადაყვება,
ეს მე მჭირს სულის გაფერმკრთალება!
და სიყვარულის გარდაცვალება!
2011წ.

სასიმღერო

სარკმლიდან მზერას გადმოგაწოდებ,
დამიხვდებოდე ნეტავი,
ფერად სიზმარში ისევ დაგტოვე,
ვიცი, - იქნები ნეტარი!
ქარვის ფოთლებით ლარნაკს აგივსებ,
სულის სამშვენად გეყოფა,
გული საგულეს თუ ისევ გიზის,
შემოგაცვდება ეგ გრძნობა!
სარკმლიდან მზესაც გადმოგაწოდებ,
დამიხვდებოდე, ნეტავი!
ჭრელ ოცნებათა ფიქრში დაგტოვე,
ვიცი, იქნები ნეტარი!
2011წ.

გამეორება

ღამე სიცივე შემოიპარა,
ოთახს მოევლო, უცვალა ფერი,
გული ტკივილით შემოირკალა,
სარკმელს დავრაზავ დაღლილი ხელით,
მზიანი დილა გადამიღონდა,
ეკალთა ქარში,
წვიმების თვალში,
ცრემლი-მძივები გულს შემიღონდა,
ჩუმად, ქურდულად ჩამიდგნენ კვალში!
და როგორც ბოლოს, ყველას წესია,
მე სულ მარტო ვარ, როგორც თავიდან,
და რომ შემეძლოს, ამ ყველა განცდას,
გავიმეორებ ისევ, თავიდან!
2011წ.

ლურჯი აპრილი

ლურჯი აპრილი წვიმას აპირებს,
მე დავუდგები მხარში,
შემოვეხიზნეთ ზღვისფერ აპრილებს
და ცისარტყელებს, გაშლილს!
იმედის ცაა
ჩემგან - შენამდე,
ხომ იცი,
როგორც ვფიქრობ!
არ შეგეშინდეს,
ჩემი ლექსია,
ლექსით ტკივილებს ვიქრობ!
2012წ.

ძველი სამღერი

ფიქრები გავფინე მზის თოკზე,
გააშრო სიცხემ და ქარის ხმამ,
-ნუ ნაღვლობ, ასეა ყოველი,
ოცნების პირმშო და თვალი ხარ!
არ მოდის ის რითმა, რაც მითქვამს,
არ მღერის ლექსების სათავე!
სადა ხარ! - მოხვედი და მერე,
ასე უმოწყალოდ გამთვალე!
დღეს გზაზე გავფინე თვალები,
არ ვიცი, ამ ფიქრებს რა სურდა!
ფერადი დღეების თანხლებით,
,,რაღაცა" უთქმელად დასრულდა!
2012წ.

მითხარ რამე

ქარმა, ქარვისფერმა სევდა მომახვია,
რითმა ჩამომიბა, ჩამოწნილი...
სიტყვა-სამშვენისი რა მალია,
შენს გასალაღებლად ჩამოწნილი!
მთელი ცხოვრებაა ამ ქარს ვებრძვი!
თმაც ვერდ დავიმაგრე, როგორც მინდა!
და ცხოვრების ერთი, ჩემი ფესვი,
ლექსი! - არის ჩემთვის მართლაც წმინდა!
ცხრა მთას გადაფრინდა ის პათოსი,
ფიქრიდან ფიქრში რომ მახანებდა,
ცას რომ მიჭრელებდა მზე, ათასი!
ლექსს რომ მიკითხავდა, მახარებდა!
...ქარმა, ქარვისფერმა გამაბრუა,
მზე მეგონა და იყო მთვარე!
დღე მეგონა და იყო ღამე!
გამომეღვიძა და - მითხარ რამე!
2012წ.

მომავლუს სათქმელი

...და მართლა მტკივა
არგარდასული გარდასულობა!
ვხედავ, ყოფილა ვერშესახები - ხელშესახები!
როგორ ჩატიე ყალბ ღიმილში მზერა-სულობა?
გაცვდა სითეთრე, უფერული, კვლავ შესახები!
მთელი ცხოვრება ყვავილივით მომაქვს ლექსები!
მთელი ცხოვრება მხოლოდ კემსვა! რომ არსად ავი!
ამ გაზაფხულზე სულის კვნესით რატომ ვეცემი!
გულისწამღებად დაგსისინებს ურწმუნო ქარი!
მე უკვე მტკივა არგარდასული გარდასულობა.....
2013წ.

ფიქრი სარკმელთან

გაზაფხული მოდისო!
ბეღურები სხდებიან,
გამოზამთრებულ ტოტზე
და ალიონს ხვდებიან!
ვერ მოვარგე სიზმრის ცა,
ჩემი ფიქრის სათაულს,
ვერც აფთქიალებულ ლექსს
ვ ერ ვუმძღვარებ სათაურს.
ახლ ცოტა დაღლა და
ცოტა ტვირთი მეტია...
წუთი, დღე და საათიც,
საზომი და მეტრია.
მეც იმ ბეღურებივით,
ველოდები გაზაფხულს,
ვსაყვედურობ წარსულს და
ზამთრის მზერას, დაზაფრულს!
მომავალი? -კი, სავსე,
ყველა ნაოცნებარით,
ცისარტყელას სისავსე,
წვიმა და ოცნებანი!
მზის სხივებით ნათება,
იმედების მატება!
ყველა დარდი მიდის და
რჩება ხუთი ხატება!
...გაზაფხული მოდისო...
2013წ.

ბედის წერა

პეპლების ფრთები მომნატრებია,
ფიქრებს სადავე მონაცვლებია,
ღიმილს სიცილი მომატებია,
ლამაზი წლები სულ არ ცვდებიან!
ამედევნე და გიგანე თითქოს,
უცხო მგზავრისგან არც არას ვითხოვ,
ლექსს დაგადევნებ, მცირეს და თითოს,
გთხოვ, ნუ გაბედავ, რაიმე მკითხო!

იცი? სიზმრების მჯერა!
არც მჯერა!
კალამს გავატან ჩემს ბედის მწერალს!
ფერად ჭინჭებს კი ჩემს ბედის მკერავს,
ეს ჩემი ფიქრიც ჰგავს ბედის წერას!
2013წ.

შორენა ჩხიკვიშვილი

უკვდავი მუსიკა

მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს

დიდმა მოცარტმა შექმნა უკვდავი სიმფონია
და გატაცებით ააჟღერა საამო ჰანგი,
როდესაც ბრამსის მელოდიამ დაიგუგუნა,
ააწკრიალა ინსტრუმენტი, ვითარცა ჩანგი.
ბეთჰოვენმა კი სიზმარივით გაკვეთა წლები,
გაიელვა და დაარღვია სიჩუმე ღამის,
ღრმა შინაარსით ქმნიდა იგი უკვდავ აკორდებს
და ასე ლამაზად დაწერა „სონატა მთვარის“.
პოლიფონიას შეუერთდა ბახის ცხოვრება,
ტრიუმფალურმა დინამიკამ სივრცე გაკვეთა,
მან ვარსკვლავივით გაანათა შავბნელი ღამე,
მისმა კრეშენდომ განაცვიფრა მთელი პლანეტა.
შუბერტს უსმენდა ხალხი უიმედოდ მავალი,
მოწყენილი და ცხოვრებაზე დაფიქრებული,
სრულ აღტაცებაში მოვიდა მთელი მსოფლიო
ბიზეს „კარმენის“ ბრწყინვალეებით გაკვირვებული.
მძაფრმა პიესამ განაცვიფრა მთელი ქვეყანა,
როცა შოპენმა როიალზე შემართა ხელი,
მან მუსიკალურ ჰარმონიას სული შთაბერა,
გზა გაიკაფა და დამკვიდრდა მაღალი რწმენით.
იოჰან შტრაუსი კეთილხმოვან ვალსებს რომ ქმნიდა,
იგი უსმენდა წვიმის შხაპუნს, ფოთლების შრიალს,
ჰაეროვანი სინარნარე თან სდევდა მუდამ,
მის მელოდიას უჩვეულო სახელი ჰქვია.
ქმნიდა ოპერებს, დაუვიწყარ არიებს წერდა,
მუსიკას დაუკავშირა მან თავისი ბედი,
დაუვიწყარი მელოდიით გზას იკაფავდა
დიდებული კომპოზიტორი – ჯუზეპე ვერდი.
უკრავს შუმანი ცეცხლოვანი ტემპერამენტით,
შეძრა სამყარო ვირტუოზმა კიდიდან კიდით,
მისი პიესა თეთრ კლავიშებს ეალერსება
და მაჟორიდან მინორამდე წკრიალით მიდის.
გადის წლები და ვერაფერი მას ვერ ერევა,
ვოლფგანგ მოცარტი კვლავ მიარღვევს ბობოქარ სივრცეს,
მოაქვს ხალხისთვის სანატრელი ბედნიერება,
მისი კლასიკა კვლავ იჭექებს ბოლომდე მტკიცედ.

20.02.2011

ნატვრა

სამშობლო მინდა ისეთი
მტრის შიშით არა კვდებოდეს,
დავითისა და თამარის
ეპოქას ემსგავსებოდეს!

მე შვილი მინდა ისეთი,
მტერსა მტრულად რომ ხვდებოდეს,
მისი გული და გონება
ქვეყნისთვის იხარჯებოდეს!

გოგონა ქართულ მანდილის
ტარებით არ იღლებოდეს,
ვაჟი კი სამშობლოსათვის
სიკვდილს არ უშინდებოდეს!

ეს გული მინდა ისეთი,
სხვის გულისტკივილს ხვდებოდეს,
ჩაგრული ადამიანის
გულის სიმებს ეხებოდეს!

გონება მინდა ისეთი,
მაღალ იდეებს წვდებოდეს,
ცრემლები მქონდეს ისეთი,
მამულისთვის იღვრებოდეს!

ნეტავი, ყველა ქართველი
ღვთის სიყვარულით თბებოდეს,
ბოროტებისგან შორს იყოს
და უფალს ებარებოდეს!

ძმათაშორის ერთგულება
და ერთობა აღდგებოდეს,
აფხაზეთი და ოსეთი
ნეტავი დაბრუნდებოდეს!

ჩემი სამშობლოს მთა-ბარი
აყვავდეს, იფურჩქნებოდეს,
ნიკოფსით დარუბანდამდე
ქვეყანა გაიშლებოდეს!

ქართველთ შორის სიყვარული
არასდროს არა ქრებოდეს,
ეს ჩემი ტურფა მამული
სულ მალე, აყვავდებოდეს!

2018 წ.

სისხლის წვიმები

9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძეს

შენ, რუსთაველის პროსპექტზე მყოფს, ლოცვად აღვლენილს,
საქართველოსთვის მავედრებელს, მახვილი ჩაგცეს,
ბარბაროსულად გაუსწორდნენ შენს თანამოძმეთ,
ორლესურ ნიჩბით აგკუწეს და გულაღმა დაგცეს.

ოცი ქალ-ვაჟი დაუჩეხეს 9 აპრილს თბილისს,
მამულმა იმ დღეს ოცი კუბო ერთად ასწია.
ერთი მათგანი შენც იყავი ძვირფასო ნატო,
ვინაც ქართული ღირსებისთვის თავი გასწირა.

შენი სიცოცხლე შეეწირა მშობლიურ მიწას,
რომლის მხრებზედაც ავბედით ჟამს ბევრჯერ გივლია,
ვინაც გაზარდა რუსთაველი, აკაკი, ვაჟა,
ბარათაშვილი, სულხან-საბა, დიდი ილია.

ლურჯი აპრილი დაიტბორა სისხლის წვიმებით,
გაუტეხელი შენი სული ცამდე ამაღლდა,
და მამულისთვის თავგანწირულ წმინდანთა გვერდით,
შენც გერგო წილად ვალმოხდილი დადგე ამაყად.

გამზრდელი კუთხის საძვალეში დაიდე ბინა,
შენი გურია, დატანჯული დედა და მამა,
იამაყებენ, რადგან შენი საფლავი წმინდა,
მთლად საქართველომ ამაღლებულ ცრემლით დანამა.

მოგვიშუშებენ ეს ცრემლები ნაწამებ სხეულს,
მამული ჩვენი კვლავ დაიცავს თავის ღირსებას,
ისევ გამოზრდის ლომისა და ვეფხვის ბოკვერებს
და საქართველო პლანეტაზე კვლავ გაბრწყინდება.

1990 წელი

ეკა კეღოშვილი

ლექსებს აღარ ვწერ

ლექსებს აღარ ვწერ და ეს სული ისე დამძიმდა,
წყვდიადს ჩაეფლო, რაც კი დარჩა მისგან ნათელი,
გული დამითვლის უკანასკნელ სიტყვების მუზას,
შენთვის დაწერილ ყველა ლექსში მე ვთქვი სათქმელი.
არ შემიბრალო თუ ეს ღამე იყო უკუნი,
და უკანასკნელ წამებს ვუთვლი მე თეთრ ღამეებს,
უკვე ბევრი ვთქვი, ვიბაასე, მთვარესთან დღესაც,
მხოლოდ შენს გამო დამრჩენია, მე გულში სევდა.
იცი? მაშინებს ვეღარასდროს ვეღარ გიხილავ,
და შენს ლოდინში წამებს ჩუმად ვეღარ დავითვლი,
ხავსისფერ თვალებს უკანასკნელ სიზმარში ვხედავ,
ყველაფერი მაქვს, მაგრამ მაინც გული გრძნობს სევდას.
გზები გაიყო, აღარ ვიცი საით წავიდე,
აღარც ძალა მაქვს, ან როდემდე შევძლებ გაუძლო.
ამდენს სიარულს დღეს ვარჩიე, მეცქირა შენთვის,
ასე შორიდან მაინც არ ჩანს შენამდე გზები.
ლექსებს აღარ ვწერ, თუმც ზღაპარი გამომივიდა,
ერთ დღეს გადავშლი, ეს, ქარცეცხლი, როცა ჩადგება,
ხელის კანკალით გადავფურცლავ თეთრ ღამეებში,
როცა ლოდინით გადაღლილი სარკმელს დავხურავ.

შენამდე მოვალ

წარსულს მოგონებებს გაუცოცხლებ,
უნდა ავიხდინო ნატვრა.
გული სიყვარულით ავაჩქროლო,
შენსკენ წამოვიდე გზა-გზა.
ვიცი ეს, მანძილი კვლავაც დაგვაშორებს,
კიდევ ავირევით ხვალაც,
ღამეს გამოვატან შენთან ჩახუტებას,
შენზე ოცნებებს და ზღაპარს.

მთვარე ერთია და ზეცაც ერთია,
მხოლოდ მანძილია შორი,
მთვარეს არ მოშორდე, არსად დამეკარგო,
იქ, დავრჩეთ მნათობთან ორი.
თუნდაც არ ბრწყინავდეს ზეცა დარდიანი,
ბნელში დავიკარგო სადღაც,
გზას კვლავ გამოვძებნი, მაინც გამოვძებნი,
შენთან მოსასვლელ გზა-კვალს..

შვილს

ღამეა ცაზე, ვარსკვლავებს ვითვლი,
უკვე რამდენი ოცნება ახდა.
ეს მოლოდინი დალოცა ღმერთმა,
უფლის იმედი რწმენით, რომ მახლდა.
ამ ზეცის მსგავსად, მეც ჩემი ცა მაქვს,
და გრძანებელი შვილია მხოლოდ,
რომელსაც ციცქნა თითები აქვს და...
დედიკოს ფერის თვალებიც დაჰყვა.

იღიმის როგორც ამ დღისით ეს მზე,
და უციმციმებს თვალებში ალი.
მე ჩემი შვილით სიცოცხლე მიყვარს,
ჩვენი მფარველი არის უფალი..
ასდის სურნელი გაზაფხულისა.
შვილით მხურვალობს, დღეს ჩემი ფიქრი,
მას სიტკბოება შემოდგომის აქვს,
სული წმინდა აქვს ვით ზამთრის ფიფქი.

* * *

დაღლილ სხეულს აღარ უნდა გრძოლა,
ომიც უკვე წაგებული არის,
გზაზე ვდგავარ, შენს ნაკვალევს ვუხმობ,
და ლოდინში მთელი წლები გადის.
ასე ახლოს არ ყოფილხარ ჩემთან,
არაფერი არ მიგვრძვნია შენი,
დღესაც შენი მოლოდინი მიხმობს,
ამ ლოდინსაც დაეღალა ფრთები.
ნაბიჯების დათვლა აღარ მინდა,
არც დღეები უშენოდ რომ გადის,
მოლოდინსაც მოწყინდება წავა,
კარებს ალბათ გაიხურავს დარდიც.

ცრემლების ნაცვლად

ხან ეს დღე მაოცებს, წყვდიადს გაურბივარ,
ტკივლს სადღაც გულში ვმარხავ,
ნუღარ დამიცდითო, არსად მეჩქარება,
გული დროს აუწყებს ნათქვამს.
ნუთუ მეშინია, ნუთუ დავიღალე,
ნუთუ დღეს ჩამოვრჩი, ახლაც,
უკვე მერამდენე ღამეს შვეწირე,
თეთრად გაუთენე დარდსაც.
ხშირად ალიონსაც ცრემლებს დავახვედრებ
მთვარეს გაუღიმებ ნაზად,
სადღაც ცის სიღრმეში შენ თავს შემახვედრებს,
ვიცი, ამ ცრემლების ნაცვლად.

ოდესმე

სათქმელად როგორ ადვილი არის,
წარსულ დღეებზე ხმამაღლა ფიქრი,
მაგრამ ვინ იცის დრომ სად ჩააგდო,
გული რომელიც დღითი დღე იწვის.
სათქმელად მხოლოდ სიტყვები მყოფნის
და დასაწერად კალამი ერთი,
ამდენ დღეებზე უშენოდ ფიქრმა,
 მონატრებულმა მზეს შევაჩერდი..
დარდით იშლება გულის საკინძე,
თუმც არასოდეს არ მითქვამს შენთვის.

რომ ფიქრის წიგნში, შენს სახელს ვფენდი,
უბრალოდ მერე ლექსებად ვწერდი.
თურმე რამდენმა, დრომ განვლო უკვე,
მზეც ჩავიდა და ისევ ამოდის,
ვატყობ ისევ რომ ამიხდენს სურვილს,
გედის ვარსკვლავი, ციდან ჩამოდის.
თუკი ოცნება დაიფანტება,
ოცნებაც სადღაც სხვა გზებით წავა,
ფურცელზე დავწერ კარგო შენს სახელს,
ხომ წაიკითხავ დრო როცა გავა?..

აღსარება

სიტყვები არ მყოფნის, არ ვიცი რა გითხრა,
არ ვიცი მოაღწევს შენამდე სათქმელი.
ეს გზა ძალიან ისე შორია,
იწვის მონატრების სანთელი.
ზეცასაც სხვა ფერი აქვს,
ახლახანს შევამჩნიე,
მთვარეც სულ სხვაგვარად მოთქვამს,
იცი? სარკეში ჩემს ლანდს შევეჩეხე,
სახე აჩრდილივით მოჩანს.
უკვე უცხო არის ეს თვალები,
აღარც ის ღიმილი მახსოვს,
თმათა სურნელიც კი, ქარში დაბნეულა,
თვალებს, შენი სახე ახსოვს.
წლები ისე გადის, ამას ვეღარ ვამჩნევ,
როგორ დავივიწყებდი ამ დროს...
შენთან შესახვედრად გზაზე წამოსული,
ძალა არ მყოფნის და ვდარდობ.
დღეს ისე შორია შენი სიახლოვე,
დღეს ისევ მარტოობა ხარობს,
მჯერა დაბრუნდები, ისევ დაბრუნდები,
ჩემი სიცოცხლის ფარო.
დღეს ეს ცაც, ჩუმია და სხვა ფერია,
დღეს მეც შევიცვალე ვატყობ,
შენი სიყვარული სულში ჩამრჩენია,
მარტო მოლოდინით ვხარობ.
იცი, ზამთარს ახსოვს ძველი მოგონება,
ზამთარიც ჩემნაირად დარდობს...
შენი მონატრებით ყველა შეიშალა,
თუ მე შევიშალე კარგო.
წუთით გამახსენდა შენი გაღიმება,
როგორ იცინოდი ლაღად,
სახე მე, თვალიდან არ მცილდება,
გულში მსურს დავიქარგო.
მტკივა და სურნელება დამავიწყდა,
ვდარდობ, არ შემცვალოს ამ დრომ.
და თუ ფიქრები ქარით აირია,
გული შენ უნდა განდო...
არ მსურს შევეგუო უშენობას,
არ მსურს ავირიო გზები,
თუმც საფიქრალია ეს ცხოვრება,
ეს არის დარდის მთები.
არ მსურს შევეჩვიო მარტოობას,
უშენოდ ყოფნა არ მსურს,
დღეებიც ისე სწრაფად გამიფრინდა,
დღეებს ვიგონებ გასულს...
გარეთ შემოდგომას სევდის ფერი აქვს და...
ისიც ჩემს სადარდელს დარდობს,
შენი შეხება და შენი სიყვარული,
გულს შენთან უნდა მარტო.

არ მსურს ოცნებები დავთმო

ისევ ცარიელი გახდა სამყარო,
ისევ უფერული მოჩანს.
ყალბი ღიმილები როცა დავინახე,
ეხ! გული მაშინ მოკვდა.
ადრე მოფერებით ავსებდი სამყაროს,
მჩუქნიდი მზეს და მთვარეს,
ჩემი სიყვარული ქარს არ გაატანო,
გთხოვ შენთან შემიფარე.
ხან წვიმა მართობს და ხან ქარიშხალი,
ფიფქებიც ბევრჯერ მათოვს,
ვარ ბევრჯერ მწუხაე მე სევდის ქალი,
ჩემო გრძნობების მნათო.
დღეს კი სასჯელია მართლაც სიმარტოვე,
ნუთუ ყველაფერი გაქრა,
უშენოდ მცივა და დამათოვებს,
უშენოდ მზე არსად არ ჩანს.
მტანჯავს სიმარტოვე ნუთუ ვერ გაიგე,
გულიც გაჩერებაც ლამობს.
დღეს თუ დავნებდები,
ხვალ ვეღარ ვიბრძოლებ,
არ მსურს ოცნებები დავთმო.

ემიგრანტ დედას

ნუ გეშინია, ცხოვრებამ უკვე ბევრი მასწავლა,
ბევრჯერ მეტკინა, უხმაუროდ ბევრჯერ მატირა,
და სევდიანი სამყაროშიც მამყოფა დიდხანს.
და ჩემო დედი, უშენობამ გულიც მატკინა.
ბევრი ვიწვალე, უდედობამ ბრძოლა მასწავლა,
ბერჯერ გინატრე, ჩახუტება, მინდოდა შენთან,
მაგრამ ვერას გზით, მე შენს ნახვას, როგორ შევძლებდი,
როგორ მინდოდა საიდუმლო, შენთვის, რომ მეთქვა.
მჯერა ოდესღაც შემოაღებ, ჩემს სახლის კარებს,
ჩამეხუტები დამიკოცნი ცრემლიან თვალებს,
მხოლოდ გულები იგრძნობენ, რომ არ შევიცვალეთ,
ცხოვრება სადღაც უგზოუკლოდ გიღებდა კარებს.
დიდხანს ვფიქრობდი, გადაკვეთას ამ გზების დედი,
უნდა მენახე, უსათუოდ უნდა მენახე,
მაგრამ ო, მაინც მონატრების ცურავდა გემი,
აკანკალებით შენს სურათებს ხელი შევახე.
ნუ გეშინია, უკვე ბევრი ვისწავლე დედი,
და შევეჩვიე, უშენობის დღეების ლოდინს,
შენც გიჭირს ვიცი უცხო მიწას რომ შეაბერდი.
აღარ ვიტირებ, ოღონდ დედი, ოდესღაც მოდი.

ლალი გონგლიაშვილი

სამშობლო

მშვიდობის მტრედის გული მაქვს,
ფრთები ანგელოზს ვესესხე,
ზეთის ხილის რტო მიჭირავს,
სამშობლოს მტრებს დავეძგერე.

მინდა, რომ მკერდით დავიცვა
ჩემი ლამაზი ქვეყანა,
ცაფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი
ვაჟკაც ქართველთა ენა და
ტრადიციები ძირძველი.

ნარნარი ცეკვა ქალების,
ვაჟების თითის წვერებზე
ტრიალი, ცაში ბზრიალი
კოსმოსის ჰანგად ქცეული
ჩაკრულო მრავალ ხმიანი.

სტუმარ მასპინძლის ადათი
ქართული სუფრის ბარაქა,
ჩვენი მთაბარის სიტურფე
მსგავს წალკოტს ვერსად ვერ ნახავ!

არასდროს არ გადაშენდე
ოქროში მზირო ბადახშო
ქართველო ერო გამრავლდი
სამშობლო გაქვთ საამაყო!

რუსთავი. 13.10.2019

სიზმარი

წუხელ ძილში დამეკარგა შვილი,
შეწუხებულს ვერვინ მცემდა პასუხს,
ხალხო, ჩემი გოგლა არ გინახავთ?
ნუთუ ვერვინ მოკრა თვალი წასულს?
ნათესავებს, მეგობრებს, უცნობებს,
სათითაოდ თვალს ვუყრიდი თვალში,
იქნებ ვინმეს ჩემგან დაფარულად
გაგიმხილათ საიდუმლო დიდი.
ჩემი შვილი გულს
არასდროს მტკენდა,
კაცურ კაცის ყველას ჰქონდა რიდი,
ჩემო ტკბილო, დარჩენილო ერთავ,
სიბნელეში გეძებ დიდი რიდით
უცებ სულში ჩამეღვარა სითბო,
ლამაზს, ტანადს, თავგაპარსულს ვხედავ,
კუთხეში დგას და თავისკენ მიხმობს,
„მოდი, გულში ჩამიკარი დედა“.
ვეხუტები და ვუკოცნი სახეს,
ჩემ ვაჟკაცის უტკბეს სურნელს ვსუნთქავ,
სად იყავი, ჩემო ერთადერთო,
გული ლამის შუაზე გამეხსნა.
და უეცრად გავახილე თვალი,
მოჩვენება ფიქრთან ერთად გაქრა,
დამრჩა მხოლოდ ცრემლის ნიაღვარი,
უბედობის, უძლურების განცდა.

ფიქრები რუსთავის ციხეზე

ქართველებო, გამოფხიზლდით,
გაახილეთ თვალი,
სამშობლო ფეხქვეშ გვეცლება, ჩვენი ნატვრისთვალი,
ჩვენი კოხტა, მშვენიერი, ტურფა, საამაყო,
გარს გველეშაპი არტყია, ადგას ათი თავი.
ერთს მოჰკვეთ, სამი ამოდის,
მშობელ მიწას გვიჭამს,
ხაპავს, ყლაპავს, გულზე ადგას,
ვერ იოკებს მადას.
ამ მიწაზე დაუბერტყავს უფალს მადლის კალთა,
ლურჯი მთების თეთრ მწვერვალებს
ნისლი ფიქრად ადგას.
ფიროსმანმა თუ მოხატა
წალკოტები მთების,
ზურმუხტ მინდვრებს შეჰპარვია ფერი პეპლის ფრთების.
ქართველ გლეხის ოფლი მიწას
დაჰღვენთია წამლად,
თითო წვეთი ღვთის განგებით
ამოსულა ვაზად.
რქაწითელი, ოჯალეში, ციცქა, ხარისთვალა,
ხვანჭკარა და საფერავი, დირბულა და ჩხარა!
ვინ ჩამოთვლის ქართულ მიწის უკვდავების ნაჟურს,
ძველი ციხე-სიმაგრენი გვახსენებენ წარსულს,
წინაპრების სისხლით, უხვად გაჯერებულ მიწას
იმ გმირების აჩრდილები დღესაც ხმლებით იცავს
ციხე-კოშკთა ნანგრევები,
გალავნები ძველი,
ეკლესია და ტაძრები ენა ძველთაძველი,
გვახსენებენ გმირულ წარსულს,
განგაშის ზარს რეკენ,
ერთობისკენ მოგვიხმობენ
და მხარდამხარ დგომას,
სიძულვილის დავიწყებას, სამშობლოსთვის კვდომას
სანამ ერთ მუშტად ვიქნებით, ვერას გვავნებს მტერი,
გონს მოეგეთ ქართველებო, რომ არ გაქრეს ერი!

რუსთავის პარკი. 15.10.2019

იზა ჭკადუა

* * *

დროს მივყვები,
მორჩილი ვარ ძალზე,
როცა უნდა მაწვიმს
ანდა, მათოვს,
გზას მივყვები
მდუმარებით სავსე,
გზას ვაწბილებ,
რომ არ არის სანდო.
სად მიგიყვანს,
რომელ ჭასთან, კონცხთან,
რას შეგამთხვევს,
ფათერაკს თუ ქორწილს,
დრომ არ იცის,
ერთგულება, მოცდა,
წაგიღებს და...
მერე შუბლზე გკოცნის.
თვალს ვარიდებ
ცაზე ღრუბლის ჩენას,
მივალ მზესთან,
ნაზად, უხმოდ, ციმციმ
და რაც ასე,
მტკიცედ, ურყევ, მჯერა,
ყველაფერი
ამაოა ისიც.
ერთხელ მაინც
გადავიფრენ ტრამალს,
ერთხელ მაინც
მოგიწონებ სიცილს,
მერე წავალ,
წავალ, წავალ, წავალ,
არ შეგამთხვევ,
არ შეგაჭმევ სირცხვილს.

***

მე როგორ ვარ? როგორ გითხრა აბა..
ნაზი სიოც გრიგალივით მაშინებს,
ცა ცრემლს იშრობს, ცა, -თბილია, მაგრამ
ხან წვიმს, ხან თოვს.. ხანაც ისე მაშინებს.
მიდის წამი, ფიქრს ფიქრებში ხლართავს,
(სიყრმის გზაზე კვლავ უგულოდ მაცილებთ),
რომ არ მინდა არაფერი ახლა
მემჩნევა და.. სურვილი გაქვთ?.. დამცინეთ.
თავზე მთვარის ანარეკლი მფარავს,
ადგილს ვეძებ ზღაპრულს, ფერადს, საძილეს,
მე ხომ ახლაც საკუთარ თავს ვგავარ,
და არაფერს, სულ არაფერს, ვაპირებ.

***

მე, რომ ტყეში ხავსის ქოხი მედგა,
შენ ქარის გზით, უდარდელად ქროდი,
მახელებდა უნაზესი სევდა,
მიბევრებდა, ცა, სიშორის ლოდინს.
მე, რომ ტყეში ხავსის ქოხი მედგა,
ქოხის პირას მდელო მქონდა ხავსის,
შრიალებდა დიდი ალვის ხე და..
იჯდა ტოტზე მოწყენილი შაშვი.
ნაკადული ჩუხჩუხებდა წყნარად,
თითქოს შხეფებს გვასხურებდა თასით,
ღირდა მოსვლა იმ სიამის ფასად,
საუკუნევ! ჩატეულო წამში.
ვატარებდი გულისჯიბით ლექსებს,
ვბუტბუტებდი ათას ფიქრს და სევდას
და მმართავდა სული, - ყოვლისშემძლე
მაგზავნიდა უღალატო ღმერთთან.
მოვაგრეოვ უნდა წლები ახლა,
ყველაფერი თვალწინ მიდგას რაკი,
როცა ნატვრა ისევ იმ გზის მახლავს,
მე რომ მომცა ღირსებაც და ნაკლიც.
მჩატედ ვზიდე ის ბავშვური სევდა,
დედის მზერა მინათებდა გზაწვრილს,
(მე რომ ტყეში ხავსის ქოხი მედგა,
რა ძალიან მიხარობდა მაშინ).

* * *

მე, გრძნობის ქალი, ქალი- მგოსანი,
(ჩემში რამდენი უტყვი ქალია),
გაზაფხულია,- შეუმოსავი,
მე ვარ და ჩემი, - სულის გალია.

***

თქვენ დიდი ხართ, უსაშველოდ დიდი,
მე სულ მცირე, - ჩრდილში მდგარი სარო,
მორალს, როგორც გამართლებულ სინდისს
ისევ ვიცავ, როგორც უცვლელ კანონს..
ახლა თითქოს დაგიდევენ აღარ,
რომ გულის ქვეშ გულგრილობა იწვის,
მოყვარეესთვის ხან არავინ არ ხარ,
მტრისთვის კიდევ, მტვერი, ამა მიწის.
თქვენ დიდი ხართ და თუ მკვიდრობთ სადღაც,
ოკეანის, ზეცის, ზღვების გასწვრივ,
სულ მიიწევთ იქით, შორს და მაღლა,
ემსგავსებით გზააბნეულ არწივს.
მე აქ ვდგავარ, უბრალო და ლაღი,
(მსუბუქ ნიავს შეუძლია მომწვდეს),
დედამიწა ვერც დუმილით დამღლის,
ვერც ხმაურით ...(უხვად რომ მიბოძეთ.)
დღეებს ვკეცავ, ფურცელ-ფურცელ, ნაზად,
ლანდებს, ჩრდილებს ღამის სიზმრებს ვადრი,
თქვენ დიდი ხართ, თუმც მოსჩანხართ არსად,
მე მცირე ვარ... თუმც მართალი ცამდი.

* * *

მე ვკვდები, როცა ვიღაცა კვდება,
მეც მივალ, როცა ვიღაცა მიდის,
მე ვტირი, როცა შენ გული გწყდება
და მზის ნათელში შემომყავს ბინდი.
შენ ამბობ ხშირად, რომ სითბოც ქრება ,
რომ დარდიც კვდება და სადღაც მიდის,
რომ ვინც სულს გითბობს ყველაზე მეტად,
თურმე ამაოდ ირჯება ისიც ..
ვთანხმდებით ხშირად, რომ წამიც იცდის
როდესაც ვიღაც წუხს, ანდა ღელავს,
მე ვტირი, როცა ვერ ვისმენ სიცილს
და ვმღერი, როცა მზის არილს ვხედავ.
დამყვება ყველგან ჭარტალა გიდი,
უკან მოხედვაც არ მინდა მეტად,
წადი, მე ვიცი სამეფო მშვიდი,
სად არის, რა გზას გავუყვე კენტად.
არც, იმ აისთან შეხვედრას არ ვთმობ,
არც იმ ოცნებას, სულ, რომ თან მახლავს,
შენა ხარ შორს და ყველაზე ახლო
და დგახარ ყველა მწვერვალზე მაღლა.
.....
მე მინდა შენი დიდება ვნახო!...

* * *

იყო, რაც გვსურდა,
რაც აღარ გვსურდა,
არის რაც გვსურს და
რაც არ გვსურს, - არის,
არც ძალზე კარგად,
არც ძალზე ცუდად
მადლი აკლია
მოფრქვეულ მარილს..
გარბის დრო მძიმედ,
ამაოდ, უბრად,
უკან მოხედვას
გვიკრძალავს ქარი,
ის რაც გვღლიდა,- თუმც
არ გვაჩნდა ცუდად,
სუყველაფერი
უცვლელად არი.

* * *

მე უშენოდ აბა რა ვარ,
არაფერიც აღარა ვარ,
ლანდად დამდევს შენი გზა და ხედები,
სადაც ვარ და სადაც არ ვარ,
ყველგან თან მდევ, წუხილს მალავ,
თუ წამიხვალ, უკან დაგედევნები..
უცნობ ბილიკს ვეტრფი აღარ,
ერთადერთი სიზმრის გზა ხარ!
წამი წუთებს ეწევა და ვბერდებით,
თუ ერთმანეთს იქაც ვნახავთ,
ვიქორწინებთ ისევ ახლად,
დარდს და წუხილს ვიცი არ დავნებდებით.
ყველაფერი წინ გვაქვს ისევ,
ვიცი ავისრულებთ მიზნებს,
წლები რაა, - როცა ჰყვავის კორდები,
გული მწვერვალებზე მიშვებს,
წვიმა, წვიმას თავზე მიშენს,
მაინც მხნედ ვარ, მაინც არა ვღონდები.
არსად არ მსურს ცაო, წასვლა,
თუ სიცოცხლის სასმისს მასვამ,
აქ ვიქნებით მე და წუთისოფელი,
ღრუბლიანი მთების ნაცვლად,
(არ მსურს ბედის, ბედზე გაცვლა)..
მე შენს ნაცვლად, ვფიცავ
დღესვე მოვკვდები.

ეთერ ჭელიძე

გვიანია...

წუხელ ქარი ამოვარდა,
ქარი არა, გრიგალი,
გულიც უმალ შეენივთა
ვერ გაუღე ცის კარი...
ვეძებე და ძლივს ვიპოვე,
ნანგრევებზე ეძინა!
სიყმაწვილის ხვართქლა მზე კი
სახეს მშვიდად ეფინა...
გამაოცა გულწრფელობამ,
მოგზაურმა ქარებმა,
ბედ ნაძარცვი მაცნობ სურვილს;
რომ დაგიდგე თავდებად
რომ მოხვალ და შეგიყვარებს
ის თავნება გოგონა,
ვარსკვლავებში რადგან თვლემდა,
ვუყვარვარო, გეგონა!..
არც გიკითხავს სად ჩაკეცა
გზები გადატეხილი,
ღამის სკვერში როგორ თრთოდა
ვერხვი ამოჩეხილი...
ახლა წუხილს შეუფუთავს
ყოფა, დარდთან ნაზავი,
შენ წარსულთან გნიასობ და
გულთან ვეღარ დაზავდი?!
წუხელ ქარი მომიგზავნე,
ფანჯრებიდან მისტვენდა,
მე ბარათებს გიგზავნიდი,
ის დუელში მიწვევდა!!!

სათნოების დედას!

ქ-ონ გულნაზ ხარაიშვილს

ცხოვრებამ ჭირხლის უღელში შებმულს,
მოგახრევინა ვერასდროს მუხლი,
დღეს ანაფორა შემოხვეული
შენს დამბადებელს მადლობას
ვუხდი!
და ცისკენ ვიშვერ ღაღადით ხელებს
ღმერთო! რა ძალა შთაბერე ნეტავ?!
რომ უდიდესი ტკივილის დარად
იყო და არის რამდენის დედა!
ბოლთა ნაცემი გოგმანობს ქარი,
ნისლივით ბოლავს წარსულის სევდა
და გვედრი ღმერთო!
მიცოცხლე ქალი,
სათნოების და სიკეთის დედა!!!

***

სად არ მონასხურო
ჩემო სისხლის წვეთო,
ემსგავსები მთვარის პეშვით
მოყრილ ნამცვრევს,
ვცდილობ რომ საკუთარ
ძარღვში შეგადედო,
ვეძიძგილავები
შენი ფესვის ნარჩენს!
სწუხს კი არა, ღმუის,
ღმუის დედამიწა,
ნაბახუსევს მოჰგავს
ყოველივე ირგვლივ...
ვნების კვირა შფოთავს,
შფოთავს ქრისტეს დედა
მე კი ჯერ ჯვარცმას და,
კვლავ აღდგომას ვუცდი!!!

***

ალიონის აკორდიდან
ისე შემოფანცქვალდი,
ცას ბოლავდა მიძინებულ
გრძნობის ნამწვის ტკარცალი...
მელოდიის რიტმულობა
რიტმში ბგერა ცალცალი...
მთვარე, შენი უტყვი პრინცი,
შენ კი მისი წაწალი...

გული გამოტარებით!..

გული გამოტარებით,
გული შემოსახლებით,
სული რატომ შიმშილობს
საით მივექანებით!
უხერხული სიჩუმე...
ყოფა ისევ ცივია,
ხელოვნური სიშორე,
ბევრი გამომივლია,
გული გამოატარეთ
გულო, მოდი მიშველე!..
შემახსენე ვინა ვარ,
ვერაფრით ვერ ვიხსენებ!
შემახსენე ვინა ვარ
ბოროტი თუ კეთილი,
წასულს, ტაძრის კარები
დამხვდა გამოკეტილი!
განა შიში მაწვალებს
შიში, ფოთლის შრიალი...
გაყიდული სიმშვიდე...
ოქრო-ვერცხლის
ჩხრიალი!
გული შემორიგებით
ორომტრიალ შოუში,
დაიცალე, დაცალე,
მიეკედლე, მოუშვი...
ეგ არც ისე ადვილი
და არც ისე ძნელია,
გული შენი სახლია
შენი ფუძე-ჭერია!..
გული სიყვარულია,
და სულ სევდის ფერია,
გული მოხეტიალე, –
ვინ არ, –
სად არ ელიან!
გული შემოირიგე,
შენთან დააბინავე...
გულო, გულს მოეფერე
არასოდეს ინანებ!

14.05.2020წ

***

გულს ჩავიკარი უფლის იმედი
და რწმენა ღვთისა ავამზიანე!
რა დიდი არის ,,ცოდა“ სამყარო
რა ცოტა გვყოფნის ადამიანებს!
ზურგი ვაქციე მიეთმოეთებს
და რა ხანია არ ვახმიანებ...
გაგვიტანია ლელო რამდენჯერ
ვიცი, არც ეხლა არ ვაგვიანებთ!
არ დაედება ნავლი საწუთროს
მხოლოდ ერთურთს ნუ დავაზიანებთ,
დაირეკება ძლევის ზარები
და სიყვარული
გ ა გ ვ ა მ თ ლ ი ა ნ ე ბ ს !!!
წაუკითხავი სევდით მზირალი
ვიცი, ლოდინი გვადარდიანებს...
დღეს, სამყაროში შეუცნობელი
შიში, უცილოთ
გ ა დ ა ი დ ა რ ე ბ ს!

***

მზე ხვართქალებს ცის უბეში,
ნისლი უყეფს ძაღლივით,
მთვარის კავზე კონწიალობს
დედამიწა დაღლილი!..

თამარ ქალი!

ქალ იყო,
როგორც აბჯარი
სამშობლო ეცვა ტან ზედა,
მზე უკერავდა შესამოსს
გვირგვინს, მოსარგებ თავზედა!
ბრძენ იყო, მართლის მტვირთველი,
დამხვდური ქართველთ მტრისაცა
მთვარე, პლანეტის მმართველი,
თვალ გიშრიანი მზის სადარ!..
ემოსა ოქროს ბისონი
ქართველთა მეფის დარადა
და მისი მზერის ნათელი
მტერს ცელავდა და ხმალავდა!
იქ ენთო ერის მნათობად
სადაც ურჯულო სძალავდა,
უხილავ იყო მტერთათვის,
ვით ერთი უტყვი ბალადა...

***

დღევანდელი
გუშინდელზე მზიანია?..
მეჩვენება,
ხავსს ჰკიდია იმედი...
წლები რადგან
მუჭში ისე მილაგია
ვით პერანგზე
აწყვეტილი ღილები...

11.06.2020წ

შემინდე უფალო!

კარები ჩარაზულია...
მოყვასს ვერ ვუხმობ საშველად,
საკუთარ ცოდვის ყმა ვარ და
რაღა დროს თითის გაშვერაა...

მე, შენ, ის, კიდევ ვინ არა?..
ჩოქზე ვუდგევართ მაცხოვარს!
ვწუხვარ, რაც ვთესეთ მას ვიმკით,
ვერ ვაპურებდით მათხოვარს...

ტაბლას ვუსხედით, ჩიტის რძეც
არ დაკლებია ნასუფრალს,
და სული ხარბი, უძღები,
ცოდვის გობიდან გასუქდა...

ზეცამდე კიბე მივადგით,
კიბეც კი ისე დამოკლდა,
ვიღაც შიმშილით კვდებოდა
არც გვიკითხია რამ მოკლა...

და თუ გავეცით მცირედი,
თუნდ საღირალი გროშისა,
უფალს ვაწუხებთ ტრაბახით
-ჩემ გროშმა მადლი მოისხა...

მოდას ვართ აყოლილები,
ოღონდაც გვერქვას მარხული,
სანთლების ალში ვეხვევით
გავმხდარვართ ეშმას მსახურნი!...

უძრავ -მოძრავი ვაგროვეთ;
ჭინჭი, ძონძი და ქონება,
დრო გაგვეპარა, სიმდიდრის
ძებნაში გაცვდა გონება...

მაპატიეო უფალო!
აღსარებაში ვატყუებთ...
დადგება დრო და მომეტი,
კვლავ ვეღარ ვუძლებთ საცდუნელს!

ახლა ვკითხულობთ: ო, ღმერთო,
ნუთუ შენ გვიწყობ გამოცდას?
გვიკითხავს, ჩვენი ცოდვისთვის
რამდენჯერ კვნესა აღმოხდა?!.

მშობელი, რომლის სულის დგმა
მზე არის ამომავალი,
შვილია, თუნდ უმადური,
ყველა ტკივილის წამალი!

ძმა, შენი გულის ნათალი,
შენი სისხლი და გენია,
წინ გარბიხარ და ამავ დროს,
მისი ძმობისა გრცხვენია...

დავღალეთ დედამიწა და
მაჯები გადავუმტვრიეთ,
ვერ შეგვკრა უფლის ტაბლასთან
სინდისი ვეღარ ვუკმიეთ!

დღეს შეყუჟული სიჩუმე,
შიშის ფორიაქს მოუცავს,
და ცაის ცრემლით ნაწვიმით
ცოდვილთა ბაღი მოურწყავს!...

და თუ კვლავ შოლტი წამოგვცხო
კითხვას როგორ სვამ: - რატომ,
ცოდვის ლოდებმა დაღალა,
ის ადამიანს არ მტრობს!

დღეს სინანულის დანდგარში,
ვქმნით ზღაპრებსა და მითებს...
და განა ერთხელ აღმდგარა
ჩვენთვის ჯვარცმული ქრისტე?!

კარები დაგმანულია...
ცას ვეღარ სწვდება კიბე,
უფალო, ისევ შემინდე,
კიდევ, კიდევ და კიდევ!!!

10.04.2020წ

***

ვერა გწევ ბედსა ჩემსა
დამიჯერე,
აღარ ღირს წარსულის გაღვიძება...
აწმყოსთან ბავშვობა შევაჯერე
დავტოვე ბავშვური ახირება!
დრო დღეებს ქარიგით
მოატროლებს,
წარმტაცეს სისავსე ამინდებმა,
თეთრ ფურცლებს ანდერძად შევატოვე;
რაც იყო,
რაც არის,
რაც იქნება?!

***

დილის ცრემლების ნამცვრევებს
მუზის სტრიქონზე ვამშრალებ!
მზის ტაბლა , არც კი მიკითხავს
დილის სისხამზ ე გავშალე...
მოაგელვებენ მხედრები
ჯერ ვერ წაკითხულ ბარათებს...
საჩემოდ წერდა პრინცი და
არ წამაკითხეს, დამალეს...
დილიდან ვქექავ გონებას
თითებს ვიმტვრევ და ვაწვალებ,
და მსხვრეულ სარკის ჩარჩოში
გრძნობის სურები დავცალე...
შემომათენდა, სათქმელი
მეტად უტყვი და გრძელია,
ვით ობმოდებულ ბარათი
წასკითხად რომ ძნელია!
რადგან ცხოვრება სპექტაკლის
ამონარიდი ყოფილა,
სხვისი სცენარით თამაში
სიავადეში შობილა...
ახლა მაისის მზეა და,
მთას უჩვეულო ფარა ძოვს!
ენგურის ტალღის ქაფიდან
ქარაფს დავცქერი მონათოვს!

ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

XXIII
უცხო სანახავს, ტანადსა და გულ მდუღარესა
თავჩამოგდებულ მტირალესა გულწრფელობაში
ყოფიერების განსაზღვრა და განდეგილობა
შემამცნებელის შეცნობისთვის ხდება ნუგეში.

XXIV
დიდიხნის ჭვრეტა, გულს უმაგრებს ცეცხლსა ნაბადსა
სისხლი და ცრემლი ერევიან ვითა ნუგბარი
ამოკვნესილი წილხვდომილთან შერწყმა შედეგით
ხორციელდება არსებობით ადამიანში.

XXV
სეცდიანია დაღრეჯილი მეფე მდუმარე
დარდის მიზეზი, ნაკვალევის ვერვინ მპოვნელი
მოწყენილობა მამისათვის შვილთა სულებში
აუნთებელი ათინათი გულის არეში.

XXVI
წამლად იქცევა ნაპერწკალი ნება გულისა
პირის სინათლე უგავს მთვარეს მონარნარესი,
ქ-ალისა გვერდით ნელნელობით სიბრძნის სწავლება
საღმრთო ცოდნა შეიმცნობა უსასრულობით.

XXVII
ეს ძალა ჭვრეტით სიახლეა ლხინითვე სახლობს.
ვინცა სცნო იგი მარადიულ საწყისით ხარობს
საკვირველია, მოელვარე სიცოცხლის ფესვი
მსახური ღმერთთა, მსგავსია ქ-ალის მზეც კი მას ერწყმის.

XXVIII
დარდიანია მეფე ღმერთი და მოწყენილი
შვება აქამდის უკვე ექცა განდეგილობად
დარდმა შეიპყრო რომ ვერ ნახა მოყმე რჩეული
ცეცხლმოდებული ტანჯვამ სულმთლად დაისაკუთრა.

XXIX
გადავეყარე უცხოსა და საკვირველ ყრმასა
შუქია დიდი სამყაროსი, ხმელეთის, ზღვათაც
რაღაც უმძიმდა ტიროდა და კვნესოდა ღრმათა

ჩემს დანახვაზა ცხენზე შეჯდა და გაქრა ცათა.

XXX

ათინათს ესმა მამის შფოთი დაღრეჯილობა
მივიდა მასთან გულის წყლულის განმქარვებელი
პირის სინათლე ბრწყინვალება მამის ედემში
ურჩია აზრით მოეძებნა ყრმაც და ნუგეშიც.

XXXI

დაემორჩილა როს-ტევანი სიტყვას ქ-ალისას
შენახარ მხსნელი ამ მიწაზე ყველა კაცისა
დაძებნეთ ყველგან, იქნებ ნახოთ მცოდნე ამბისა
შორს წასვლა ჩემგან ბრძანებაა, პოვნა მადლისა.

XXXII

ძებნა სინათლის გონებით კავშირის დასაბამია
მასთან შეხვედრა გვიხარის წყურვილი ხდება აზრისა
ვიცოდეთ ცოდნა საქმისა მუდამდღე სანატრელია
ამ ძალით ჭვრეტა ტურფისა საყრდენის საფუძველია.

XXXIII

გონება ლაღი, უკადრო მივა არავის ცხვენოდეს
ცოდნის ნახვისთვის ყოველთვის ცრემლი მრავალჯერ გვდენოდეს
იგი უებრო ნათელი ელვისა მსგავსად გვშვენოდეს
მთვარესაც მისი შუქიდან უკუნი გადაფენოდეს.

XXXIV

მდუმარე იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა
სინათლემ ძალა შემატა ღონეა მისი ნდობისა
საწადელია აზრის თქმა, გულია ამის მთხრობელი
მიზეზი ცოდნით ივსება და ხდები მისი მფლობელი.

XXXV

ყრმამ ჰკადრა თვითონ სათქმელი ეთქვა ნუღარა იცდისა
რადგან მზეს მთვარე ეყრება, ცა კი დაიწყებს ღიმილსა
ფიქრად არავის სცალია, თავია ჩემი არსება
შენ თვითონ ბრძანე რაც გმძიმს გული ხარ ჩემი ხატება.

XXXVI

ქ-ალმა თქვა ეს საუბარი კეკლუცად არ ჩამითვალო
წამის ყოფამან საქმემან შენთანვე მე მომეტანოს
მინდა გითხრა რომ ეს სენი, გჭირს პირველსავე შექმნისა
თუმცა აქამდე შორს იყავ და არა გვქონდა ნებისა.

XXXVII

ახსენებს არსებობასა წინანდელ ცნობიერების
უკაცრიელი ადგილი ტანჯვისთვის განწირულების
ვნებიან ადამიანის რომელსაც შევხვდი ამ ტყეში
წარსული საქმე ნაყოფთა დათმობით არ დაითმობის.

ანზორ ჯაფარიძე

რა სიყვარული გოგო ხარ

რა სიყვარული გოგო ხარ,
დღითი-დღე უფრო მინდები,
ხანდახან შიში მაშფოთებს
ხომ არსად გამიფრინდები.
ამასწინ წითელ-წითელმა,
მთლად გადამრია ფიქრებით,
მე გადავწყვიტე შემდეგში,
მოგიყვან ჩემი იქნები.
მოფერების და ალერსის,
ათასი ფორმა არსებობს,
თორემ იცოდე ალერსით,
გული დარდებით ამევსო.
ვფიქრობ განვიცდი გაცდენას,
ვერა ვპატიობ ჩემ თავსა,
ნუთუ ვერაფერს შევძლებდით,
ვერ მოუვლიდით ჩვენ თავსა.
გულში მინდა რომ ჩაგისვა,
ისედაც ხომ ხარ ჩამჯდარი,
ღმერთმა არა ქნას ძვირფასო,
გვერდზე რომ გნახო გამდგარი.
სხვა პიროვნებებს რას ვერჩი,
დარდი სხვა მხრიდან მომედო,
თუკი ოდნავად მე გინდივარ,
გთხოვ, სამუდამოდ მომენდო.
მომანდე შენი სხეული,
გადარეულმა გაგითბო,
გულში ვნება და ალერსი,
მგზნებარე ალით აგინთო.

* * *

მსურს ერთად ვიაროთ ჩემო,
ერთად გადავკვეთოთ ქუჩები,
პატარა ბავშვივით გაქვს კარგო,
პატარა, პატარა, ტუჩები.
შენ სულ სხვა ხარ ძვიფასო,
არავის გავხარ ქალო,
და თუ მეც შემიყვარებ,
ვიტყვი, რომ ღმერთი მწყალობს.
პასუხს ველოდები შენგან,
ვფიქრობ და სულ ვარ შენთან.

მე ხომ პოეტი არავარ

მე ხომ პოეტი არა ვარ,
არ ვითვლი, რითმებს, ბგერებს,
ამას ვწერ იმას ვსაუბრობ,
რაც დამიმშვიდებს ნერვებს.
შენთვის ვქმნი, შენთვის ვსაუბრობ,
ლესექსებს მოგიძღვნი ქალავ,
გული სულ შენთვის ხმაურობს,
მჯერა არ ამიკრძალავ.
არ ვიცი რით გიმკურნალო,
რით ჩავწდე შენს ნაფიქრალს,
როგორ დავსაჯო ორგული,
მასთან შეხვედრაც არ ღირს.
ანდა მტერს ჩვენთან რა უნდა,
მოკეთეს ვხედავ უფრო,
მინდა მოგიხმო ძვირფასო,
ხშირ-შირად სასაუბროდ.
ოდნავ თუ მაინც იფიქრებ,
და მომენდობი კარგო,
მე შენს წინაშე ვიფიცებ,
მსურს გულში ამოგქარგო.

* * *

ცალმხრივი ყველა ცუდია
ორმხრივი არის კარგი,
ოღონდ შენ კარგადა მყავდე,
სხვისი არამაქვს დარდი.
მე გული შენ ერთს მოგანდე,
მინდა რომ გაგიფრთხილდე,
დარდი იმ, წარსულს ჩაბარდეს,
სულ ერთად დაგვილხინდეს!

* * *

შენ ჩემთვის ერთი ნატვრისთვალი ხარ,
გრძნობის, სიცოცხლის, ნანატრი წყარო,
რამ დაგადუმა რამ დაგამუნჯა,
მითხარი რამე ქალო.
შენ ვნებიანი მიხვრა-მოხვრა გაქვს,
ყველა დეტალი გრძნობის წყაროა,
მომეყრდენ ჩემო ნუ მერიდები,
შენ შემოგევლოს მთელი სამყარო!

* * *

მე შენს მოწყენას ვერ ვიტან,
ცხვირ ჩამოშვებულს გხედავ,
მე რომ ვიცოდე წამალი
რა გიშველიდა ნეტავ.
ალერსი ხვევნა, თუ კოცნა
შენ ჩემო ერთად -ერთავ,
კიდევ ძალიან ბევრს ვფიქრობ,
მაგრამ ბევრს ვერა ვბედავ.
შენს თვალებს დახრილს რომ ვხედავ,
რად არ ვსტირივარ ნეტავ,
ანდა ვით უძლებს ეს გული,
შენ რომ ცრემლიანს გხედავ.
განვლილი რაც თავს გადაგვხდა,
ცხოვრების გზას და ხიდზე,
შენ მასულდგუმლებ მაცოცხლებ,
შენს მკერდზე თავი მიდევს.
იქნებ შენც ასე იფიქრო,
ხომ ხედავ რჩევას ვბედავ,
ნეტავი ახლა ამ წუთში,
გულში ჩამხედო კარგო,
მინდა ბავშვივით შეგფუთნო,
რომ არსად დამეკარგო!

ელგუჯა ადეიშვილი

მსოფლიო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის

ეპიდემიის მიზეზით,
მთელი მსოფლიო აშლილა,
უფსკრულში მიდის, სიკვეთე,
რაც რომ კაცისგან შექმნილა.

არ ჩანს იმედი – შეჩერებისა,
არც ოქრო – ვერცხლი შველის „ხაზინის",
ნათლად გამოჩნდა ჭირის გაქრობას,
სჭირდება ცოდნა უფლის ხარისხის.
ეკონომიკა დაღმართში მიდის,
კრიზისი შთანთქავს ყველა ქმნილებას.

წამყვან ქვეყნებში ვერ გაუმკლავდნენ,
ეპიდემიას ხალხის წამლეკავს,
პანიკის დიდი გამოძახილით,
წყდება სიცოცხლე ქუჩები არ გვაქვს.

იზრდება მსხვერპლი ადამის მოდგმის,
ზომის მიღება დროზე ვერ შედგა,
პრეპარატები, რაც ამ ჭირს შველის,
ქართულმა გენმა გამოიყენა.

მძიმე გასაჭირს ჩვენი ქვეყანა,
შეხვდა, გმირულად და შემართებით,
დედამიწაზე ყველა დარწმუნდა
გვყავს მედიკოსთა რაზმი შედეგით.

ამ ელიტას, განათლება
მიუღიათ ჩვენს მხარეში,
რამაც საფიქრალი მისცა
მთელ მსოფლიოს სწავლის წესში.

შედეგები გვაქვს სიკეთის,
ვინემ სხვა ქვეყნების გვესმის,
მცირე გვყავს დაღუპულები,
სახე ჩანს გამოსწორების.

ექიმთა რჩევით – კონსულტაციით,
ხელისუფლება ატარებს ზომებს,
შეწუხებულა დიდი – პატარა
დღედაღამ ელის ბრძოლის შედეგებს.

მადლიერებით უყურებს ხალხი,
ჭკვიან პრემიერს **(გიორგი გახარია**) და
მრავალ მებრძოლს,
ექიმთა მხრიდან, შეუპოვრები
**(ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე,
თენგიზ ცერცვაძე, მარიკა ეზუგბაია,
მარინა ენდელაძე, ლევან რატიანი, ეკა
ნაფეტვარიძე, რეზი მეჭურჭლიშვილი...**)
შედეგს აღწევენ – ჭირის მოსვლიდან.

იმედს გვაძლევენ, რწმენას თესავენ,
რომ გადავრჩებით მძიმე სენისგან,
მედიკოსების უზადო შრომით,
მალე გამოვალთ ბრძოლის ველიდან.

ეპიდემიის მოსპობით
მსოფლიო რომ დამშვიდდება,
ყველა გაიგებს ჭირის გაქრობას
ბრძნული ქართული გარჯა სჭირდება.

2020 წლის აპრილი.

ბევრეთი!! – წინასიტყვაობის მაგიერ – სოფელი ბევრეთის წმინდა თეკლას სახელობის დედათა მონასტერი (პირობითი სახელი "კალამონი" – მთა ანტიოქიაში, სადაც მოღვაწეობდა წმინდა თეკლა) თბილისიდან 35კმ-ში, მცხეთა, სოფელი ბევრეთი, მდინარე დიღმისწყლის სათავე, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთის დაბლობი, ტყის შერეული (ნაძვი) მასივით დაფარული ხეობა, ზღვის დონიდან 1100 მეტრი {1995 წლიდან მონასტრისათვის აღგილის შერჩევის, მიწის ნაკვეთის პირადი სახსრებით შეძენის და მონასტრის მშენებლობის მოთავე – მამა თეიმურაზ ჩაჩიბაია}. წმინდა თეკლას დედათა მონასტრის წინამძღვარი – იღუმენია თეკლა {კუჭუხიძე}, მოძღვარი და წმინდა იოვანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი – †იღუმენი იოვანე {ჩაჩიბაია}.

მასალა სოციალური ქსელიდან მოიძიეს - თამარ ფოფხაძემ და სოფიკო ბოლქვაძემ.

ბევრეთის (კალამონი) წმ.თეკლას დედათა მონასტერი

თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.
ცად აზიდული მთების – საწყისში,
შეირჩა მართლაც წმინდა ადგილი,
ქალაქთან ახლოს, ტაძარში შესვლა
წესით, ყოველთვის არა ადვილი.
მარადისობის ხე ხარობს – ნაძვი,
როცა უყურებ გიქრება დარდი,
გიპყრობს გუნება – ულამაზესი,
იმედი ჩნდება ძალზე უღრმესი.

საოცარი რაღაც ვნახე,
უფლის სახლი დავინახე,
სამყარო სიწმინდის მარგი,
გუნება ღმერთის ნაქარგი.
ტაძარი დიდმოწამეთა,
სავანე წმინდა – მიზნითა,
იქვე არსებულ შირიმით,
ნაგები ძველი სტილითა,
მსახურთ მოიწვევს კომპლექსი –
რჩეულებს დიდი რიდითა.

ღმერთი ადიდებს დიდ წმინდანს – თეკლას,
მადლს გადმოაფრქვევს მონასტრის ამგებთ,
და აამაღლებს მსახურთა დიდ შტოს,
უკლებლივ ყველას, უკლებლივ ყველას...
ვერ დაივიწყებ ამ ძვირფას ადგილს...
სადაც ულევი მადლი ირევა
და ამიტომაც ნიადაგ მრევლი
ამ „სამოთხისკენ" მიედინება.
თბილისთან ახლოს, მცხეთის სანახში,
დიღმისწყლის ხევში არსებულ მხარეს,
უფლის სახლისთვის არჩეულ ადგილს,
მე ვუწოდებდი სამოთხის კარებს.



2020 წლის 10 მაისი.

უშანგი მოსიაშვილი

ფიქრები

სიჭაბუკე გამეპარა უეცრედ,
ამედევნა უკვე ავი ფიქრები.
მე არ ვიცი რას მოვასწრებ ამ ქვეყნად,
ანდა კიდევ მე რამდან ხანს ვიქნები.
წუთისოფლის გზა საკვლელად დიდია,
გასავლელი ბევრი ბეწვის ხიდია,
დაილოცოს ვინც რომ სწორად იარა,
ბევრ დავრდომილს მოუშუშა იარა.
იმათ რა ქნან ვინც რომ მრუდედ იარა,
ბევრ შემხვედრ კაცს გაუჩინა იარა,
ის სატანას მსახურია უიღბლო,
ქვეყნისათვის კარგი კაცი კიარა.

მონატრება

მუდამ ვნატრობ საქართველო,
იყოს ისევ დიდი,
მეზობლებთან მუდამ ქონდეს,
მისასვლელი ხიდი.
ძველებურად მეზობლობი
იყვნენ ჭირში ერთად...
მათ გასაჭირს ვიგებდი და..
თმებიც გამითეთრდა.
ქართველი ყველას ომში,
იყო მუდამ პირველი.
და მტრებისთვის მათი ქცევა,
იყოს გასაკვირველი.
მოწინავე იყო მუდამ,
საქართველოს ლაშქარი
მათ სარდლაბდა ვინმე გმირი,
თუ მუსლიმი ავშარი.
მათ გმირობით მოგვიტანეს,
ეს ლამაზი ქვეყანა,
მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ,
ჩვენ დიდება ვეღარა.
გეკრდები ჩამოგვაცალა
თითქმის ყველა მხრიდანა,
აღარ დარჩა ჩვენი ხალხი,
სულ წავიდა მთიდანა.
მთა კი სულ ყოველთვის,
იყო გლეხის საშველი,
ომში მუდამ მოდიოდა,
მეომარი მაშველი.
რა დრო დადგა, რათ დავკარგეთ,
წინაპართა გენები,
ომში მუდამ იმარჯვებდნენ,
წინაპები ჩვენები.
ქვეყნის შიგნით ავირიეთ,
აღარა გვაქვს კაცის ბერი,
ჩვენი ასეთი ქმედებით,
არ დარჩება არვინ მთელი.
ჩვენ ერთმანეთს დავერიეთ,
ვიჯიჯგნებით როგორც მგელი,
და შემყურე ამ ამბისა
მე, სიკეთეს აღარ ველი.
ანდა დავდგეთ ყვლეა ერთად,
დავიბრუნოთ მიწა ძველი.
ძველებურად ავაყვავეთ,
გამრავლდება ჩვენი ერი.

რატომ აჩქარდა წუთისოფელი

რატომ აჩქარდა წუთისოფელი,
დღეები სწრაფად გადის,
ბევრი უჯიშო და უგნური
მაღალ კვარცხეგზე ადის.
მიხედ-მოხედვას რომ ვერ მოასწრებ,
კვირეები ისე გადის,
ბავშვიც ესწრაფის წუთისოფელსა,
ცხრა თვისა უკვე დადის.
ეტყობა მიწაც ჩქარა ტრიალებს,
კაცი მთვარეზე ადის.
უნდა, რომ უფრო დიდხანს იცოცხლოს,
ამას იმიტომ ჩადის.
ეტყობა ღმერთსაც ვაწყინეთ რამე,
რომ თოვლი ხშირად ბარდნის,
თუ დააკვირდით საქართველოდან,
ყველა მეორე გადის.
თუ არ მოვეგეთ მალე ჭკუაზე,
და არ ვიწამეთ ღმერთი,
ალბათ, დარჩება ამ ვეყანაში,
კაცი და მხოლოდ ერთი.

ბერი თევდორე

თევდორე, შე სულნათელო,
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,
შენ რომ არ გამოგვჩენოდი,
დაგვეცემოდ ამეხიო.
მტერს რომ ეგონა ქართველი,
მალე ღალატობს კერასო!!!
შენთან შეხვედრით დარწმუნდა,
რომ ვერ დაგაკლებს ვერასო.
ერსაც უშველე მეფესაც,
შენ კი დაგიჯდა ძვირიო,
მტერი დაჯაბნე დათრგუნე,
დარჩი მათ გასაკვირადო.
შენს ნაკვალევზე თევდორე,
ბევრი გაზრდილა შვილიო,
ბევრი შემბია მტრის ლაშქარს,
სისხლი უღვრია თბილიო.
შენი სახელი თევდორე,
ქართველთ გულებში დარჩება,
შთამომავლობას გადავცემთ,
გვეყოფა გამოსარჩლებათ.
დღესაც კი ათბობს მთადა ველს,
შენი გმირული სახელი, საუკუნეებს ეყოფ,
დიდების გამომსახველი.
თევდორე არ დაკარგულხარ,
არა ხარ ჩენთვის მკვდარიო!
ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს,
იქნები ღმერთის დარიო.

დიდი წინაპრები

აბა მითხარით კიდევ ვის ყავდა,
ან გორგასალი ანდა დავითი,
განა არ არის ეს საკმარისი,
რომ ვიამაყოთ მარტო ამითი?
გორგასალი ხომ ძლიერი იყო,
მის დაძახილზე რეკდა ზარები,
დავითის დროშა ცას ნათელს ფენდა,
ნეტავ კვლავ გვყავდეს იმისთანები.
გზა გაკვალულით დღემდე მოვედით,
მამულს ატყვია ნაფეხურები,
ან მარტო რად ღირს მეფე თამარი,
რომლის ბადალი ქვეყნად არ არის.

გურამ ჭავჭანიძე

ნ ა ტ ვ რ ა

ისეთი ლექსის მსურს მოგონება,
ისე ამოვთქვა ამოსათქმელი,
რომ გაუნათდეს ქართველს გონება
და შეუყვარდეს მოძმე ქართველი.

ჩემო ქვეყანა, ჩემო ხატება,
ნეტა მომასწრო ის დრო ნათელი,
რომ არ მესმოდეს ეს მონატრება:
ღმერთო, უყვარდეს ქართველს ქართველი.

რა მომასვენებს

თუ არ მეგულვის ბედია, არცა ილორი,
თუ ბოროტება კვლავ ავად უმზერს ხერთვისს,
თუ არ იქუხებს მარტყოფი, არცა დიდგორი,
რა მომასვენებს, სული არ დავთმო შენთვის.

რა მომასვენებს, თუკი შენ არ მეყვარები,
თუ ჩემი ტრფობა ცათა სილურჯეს ერთვის,
რა მომასვენებს, არ დაგიკოცნო თვალები,
ვიდრე ეს გული არ დაიფერფლა შენთვის.

თუ საქართველო შენი ხატია

ყოველ ცისმარე, დილის საარზე,
შენს უნებურად თუ ამღერდები,
ანუ, თუ გული ტრფობით გაქვს სავსე,
მაშინ არასდროს არ დაბერდები!
თუ ოცნებებით მოგიხატია
ყინწვისები და ალავერდები,
თუ საქართველო შენი ხატია,
მაშინ არასდროს არ დაბერდები!

ღმერთმა მომასწროს

ჩემი სამშობლო, ჩემი უფალი,
ღმერთმა მომასწროს თავისუფალი,
განა ასეთი პატივაყრილი
შეშინებული ნაცარწაყრილი

უილაჯო და დაღონებული.
დაჩოქილი და დამონებული
არამედ მტკიცე და შემართული
ცერზე შემდგარი ნაღდი, ქართული

ღმერთმა მომასწროს ჩემი მამული
თუნდაც სისხლით და ცრემლით ნამული
მაგრამ ნამდვილად თავისუფალი
და სულნათელი როგორც უფალი

მჯერა სამშობლო კვლავ იდიადებს
კვლავ დაიბრუნებს ძველ სიდიადეს
რომ გათავდება ცრემლი და გლოვა
და ჩვენს ქუჩაზეც ზეიმი მოვა!

* * *

ნიკოფსიდან დარუბანდით,
ერთ დროს საძმოდ გახიდული,
მაგრამ დღეს კი უიალქნო,
უმმართველო,

ღმერთო, ღმერთო არ მანახო
საქართველო გაყიდული,
არ მანახო საართველო,
უქართველო!

პოეზია – სულის ამოძახილი

პოეზია სულის ამოძახილია,
თუ სული გაქვს „უსპეტაკეს თოვლისა“,
პოეზია ტრფობის გამოძახილია,
„პოეზია, უპირველეს ყოვლისა!“

ლექსის ტრფიალი

ლექსის ტრფიალი არ გადაივლის,
თუ ხარ იმ აზრის თანაზიარი,
„რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს
და ლექსი თვითონ ტკივილი არი“.

ჩემი წყლულეთი

არც მამულია, არც დედულეთი,
მაინც მეძახის ჩემი წყლულეთი.
იქ, სადაც ჩემი თეთრი ბლეგია
და შავთვალეგა ალუბლეგია.

ვიცი, მელიან ჩემი მუხეგი,
ამდენი წელი ხელშეუხეგი,
ჩემი ქოხმახი მიუხედავი,
რითი უდგია სული ნეტავი.

ქართული მიწის მიხმობს სურნელი,
სიყვარულივით განუკურნელი.
არც მამულია, არც დედულეთი,
მაინც მეძახის ჩემი წყლულეთი.

ნუ მიჯავრდეგი

ნუ მიჯავრდეგი, რომ შემიყვარდი,
ტრფობა ხომ ზეცით დანაფერია,
შენ რომ ვარდი ხარ, შირაზის ვარდი
და ბულბულეგიც რომ გიმღერიან.

მეც გამინელდა სევდა და დარდი,
ასე არასდროს არ მიმღერია,
ნუ მიჯავრდეგი, რომ შემიყვარდი,
ცხოვრეგა სხვა კი არაფერია!

შენი ღიმილი

შენი ღიმილი ნათელმზიანი
სულში მეღვრეგა როგორ,
მაგრამ შემინდე თვალცრემლიანიც
რა ლამაზი ხარ გოგო

რაც შენ გაცრემლეგს, რაც შენ გაწვალეგს,
მხოლოდ მე ვიცი ერთმა,
ვკოცნი ნამიან შენს ლამაზ თვალეგს
ოღონდ შემინდოს ღმერთმა.

ნეტა თქვენ

ნეტა თქვენ თეთრო ღრუბლეგო,
ცა გიჩანთ იალაღადა.
ნეტა თქვენ თავისუფლეგო,
მიდი-მოდიხართ ლაღადა.

ნეტა თქვენ, რომ არ გადარდეგთ
ამ ქვეყნის გასაჭირიო,
ვაი ჩვენ ხვედრს და სადარდელს –
ვერ მოვიშორეთ ჭირიო!

ახლა მაინც

ალბათ ახლა მაინც ხვდეგით
რა შეცდომა დაუშვით
დასაჭერი პრეზიდენტი
ასეირნეთ როგორც დენდი
და ჩვენ ჭირად გაუშვიღ!

P.S.
არც კი არის დასაჭერი
ახლაც მიჭირს დასაჭერად
კაცი თვითონ დასაჭერი
სხვეგს რომ სდევდა დასაჭერად

,,მე თუ გინდა თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა
მე ვერ ვიტყვი კახაბერად!"

მოძმე უკრაინას

გული მტკივა, ნეტა ასე რად ხდეგა,
ავკაცეგის ნატვრა ხომ არ ახდეგა?
ჩვენი ძმობა ნუთუ ისე წახდეგა –
ჩემი მტერი შენი დოსტი გახდეგა!

ჭკუით, ქართველეგო!

ადრეც ბევრი დაგვიშავდა,
ახლაც ბევრი რომ შავდეგა?
ჭკუით, თორემ რომ წაშავდა,
ისევ უკან მოშავდეგა!

ერთი კოცნა რა იყო?

საოცარი რამ იყო:
შევეშველე ლამაზმანს,
უნებურად წაიქცა,
ერთი კოცნა რა იყო?
წამოხტა და გაიქცა.

საგაზაფხულო იუმორესკა

(მუნასიბი)

გაზაფხულსაც ახლავს გლოვა,
გულსატკენი ძალიანო,
საყვარელმა მიმატოვა,
შენთვის არა მცალიანო,

არც გავბრაზდი, არც ვიგლოვე,
სად მაქვს თავი დასახრელი,
მეც უბრალოდ მივატოვე,
დრო არც მე მაქვს თავსაყრელი.

თუ გაზფხულს დააბრალებს,
ჩემთვისაც ხომ გაზაფხულდა,
მეც ვიპოვი სხვა საყვარელს,
თუ ის სხვისკენ გადაბრუნდა.

თუ ასეა მისი წესი,
მეც დამაწყდა თვალებიო,
მასზე ბევრად უკეთესი,
თვალს მიკრავენ ქალებიო.
P.S
გაზაფხული კიდევ მოვა,
ვერსად დავემალებიო,
თუ ამანაც მიმატოვა,
სხვაც ბევრია ქალებიო.

22.05.2020წ

საქართველოში

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
ვაჟა-ფშაველა

საქართველოში დღესაც ბევრია,
ვინც არ არიან ხსენების ღირსი,
მაგრამ ის ერი რაღა ერია,
თუ ვერ იგუა გენია თვისი.

ამდენი ბოღმა, ამდენი ღვარძლი,
ნუთუ ქართველთა საკადრისია?
ვინც ვერ იგუა სტალინის ღვაწლი,
,,ფურთხის კი არა მეტის ღირსია!"

ვინ იცის

უსტალინოდ რა ელოდა
ამ სამყაროს ვინ იცის,
არც მოსკოვი იქნებოდა
და არც დედა თბილისი.

რა ელოდათ ახლებს, ძველებს,
ჩვენს ბნელებს თუ ნათელებს,
გაღმელებს თუ გამოღმელებს
და მათ შორის ქართველებს
ვინ იცის?

* * *

მე მიყვარს მზე და ზეცა ქართული
და ის ვაჟკაცი მხნე, შემართული
რომელსაც სწამს და სჯერა მისია
რომ საქართველო მარადისია!

ამბობენ

თურმე ვერ არჩევს ვირუსი
ვინ-ჩინელია, ვინ-რუსი
ასევე ვერ ცნობს მასონებს,
მათ ძმაკაცებს და ამფსონებს.

თურმე ვერ არჩევს ძაღლებსა,
მით უფრო მამაძაღლებსა,
ჰოდა, გაფრთხილდით ძაღლებო,
მეტადრე მამაძაღლებო!

მზია ელიაძე

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, ამინ!
07-08.04.2020 (ხარების დილას)

დიდება

დიდება უფალს! ამ სამყაროს არსთა გამრიგეს
ულევი მადლით უანგაროს, ცა-მიწას შორის,
ყოფიერება მიწად ყოფნის თუკი გავიგე
ბედნიერებით შევღაღადო: – უფალო, მოდი!
მე, წილად მერგო, საქართველო, მისი შვილობა!
ვმადლობ შემომქმედს, უანგაროდ რაც მოწყალობა.
დღეს, გამძლეობა მართლაც არის დიდი გმირობა,
მტკიცე მოთმენით – ნებისყოფაც მან მისახსოვრა!

მაღალთა

მაღალთა შორის მაღალია ჩემი უფალი!
ზესამყაროში – ანგელოზთში გამორჩეული...
არ უნდა ვიყოთ უსუსურნი, არცა უგვანნი
მისი დამოძღვრით ვართ ძლიერნი, გამობრძმედილნი.
თუკი ცხოვრებამ მოგვიმზადა მცირე გამოცდა
გულს ნუ გაიტეხ, ჩაიბეჭდე გონში იმედი...
ეს ყოველივე ისე წავა, როგორც გამოჩნდა
და კვლავ სიცოცხლით, სიყვარულით სავსე იქნება!

შინა

შინა შინაურთ გვიცავს, გვმოძღვრავს სამყაროს მეფე,
მეფეს – ბადალი რომ არა ჰყავს მიწით და ზეცით!
– ნეტარ, ტკბილ ბაგით ყოველივე წარმოვთქვი და ვქმენ.
ჩემთვის, უკვდავი, სანატრელი შევქმენი ხელით!..
ჩემი შვილი ხარ, ამ სამყაროს ოქროს გვირგვინი,
მეტიც, მეუფე – წარმმართველი ყველა ცოცხალის!
თქვენს ცოდვებისთვის ხშირად მიწევს მწარედ ქვითინიც,
რად არ შეისმენთ ნათქვამ სიტყვას ერთგული მოძღვრის?!

ღმერთსა

ღმერთსა, ერთარსსა, განუყოფელს ტკბილისა ძითურთ
არ დაუკლია მოკვდავთათვის მადლი, წყალობა...
სხეულით ტკბობა, სულის კვება, რა, როგორ, ვის სურს
ეს ყოველივე ცხონებაა – გონის წამლობა!..
ზომიერება, ღვთის შეწევნით იყო და არის!
მარად იქნება, სანამ ზეცა მიწას თავს ხურავს.
მთავარი არის, არ ვირწმუნოთ უგვანის, ავის;
კაცთ ჭკვა-გონს აცლის და წმინდა გულს გესლ-შხამით ბურავს.

ქვეყანასა

ქვეყანასა ზედა სუფევდა? სუფევს უფალი!
კვერთხ-სკიპტრით ხელში სამყაროზე ფიქრით დაღლილი.
თვალს ვერ გვაცილებს, ერთგულ მოყვასთ, წუხს დარდს, უგონთის*,
შემოგვციცინებს, რომ არ ვიყოთ მადლით დაცლილი!
ცნობიერება, ზესთსამყაროს არსთა გამრიგის:
მიზანი ერთი – წმინდა ჯვარი კაცთ ფარად, ხმალად!
ჩვენი ცოდვებით გვემა-ტკივილს ისევ განიცდის
არ ვასვენებთ და გულს ვტკენთ, ვაი, ვახარებთ მტარვალს,

ზედა

ზედა, ზემდგომ, მესამე სამყაროს სუფევს მამა ღმერთი,
მოკვდავთ დიდი მოამაგე, ქომაგი, მფარველი...
ამ სამყაროს მესაჭე და ერთადერთი ღერძი!
სიბილწის და უზნეობის, ავისა მშთანთქმელი!..
დიდება ღმერთს! დიდება ღმერთს! აწ და მარად, მარად!
სიყვარულით, სათნოებით ხსნა არისო ჩვენში
იმედით და დიდი რწმენით ვიდგეთ ღმერთში მყარად!
გამოარჩევს უთვალავში რჩეულ კრავთო ბევრში...

მშვიდობა

მშვიდობა, თქვენდა! მარად, ყველგან, მშვიდობა თქვენდა!
მიწად მოვლენილ გამობრძმედილთ ერო და ბერო...
თვალის ახელა, ნარეკლიან გზის გავლა თქვენგან
გამოცდა არის ზესამყაროდ, შორი გზით მრევლო!..
სულიერ მამის-არსთ გამრიგის მადლი, წყალობა,
მარადი ყოფის შეცნობის და გაგების ხიბლი...
სიფხიზლით დგომა, მოთმენა და სულით მზაობა,
ღვთიური ხელით გადარჩევა უხილავ ნიშნით!

და

და მოვალს, კვალად! დე, მოვიდეს, მოვიდეს, ველით!
კაცთა იმედი, სნეულთათვის მალამოს მცხები...
ის თუ გვიშველის, გონს მოგვიყვანს, თუ არა ჩვენით
ვერღარა შევძლოთ, უწმინდური გვითხევს შავ ეშვით!..
ყოფნა-არყოფნის გვემა-ჭიდილს ნაგვემი კაცი
ნეტა დააღწევს მარტოსული, საცდურს, უგვანის?
ჩასაფრებულა ყოველ ნაბიჯს ვით ცხვარში ვაცი;
ჯვარიღა გვრჩება დიდ ფარ-ხმალად, ვჯაბნოთ უმაქნისს!..

კაცთა

კაცთა ცხონების, სპეტაკ სულის გადარჩენისთვის
უწყვეტი ლოცვა-რწმენით მდგარი თვალს ცრემლნამცვრევი;
ამ სამყაროულ იმ სამყაროს განახლებისთვის

* უგონთი – აქ; უჭკუო

ო, დაითმინა უცოდველმა, ვქმენთ* ხორცნაგვემი
ამ დიდი ცოდვის შემხედვარე მზეც კი გათეთრდა
ფერი დაკარგა, დაიფერფლა, ცა ცრემლად იქცა.
დედა, ნეტარი – ღვთისმშობელი სიმწრით გახევდა,
უძლური გახდა, უფლისათვის, რაც რომ ბრბომ იქმნა**:

შორის

შორის დგას ჩვენგან, გვაკვირდება ცა-მიწას შორის,
ეშმაკის კლანჭებს ჯვარით გვიმსხვრევს და გზას გვინათებს...
დაუღალავი შრომით, ჯაფით კაცთ, თუნდაც ორი,
სულის სიმშვიდე თუ შეიძლო, ზეცად ნეტარებს.
ვაი, უძლურო ადამის ძევ, უფლის გარეშე!
უსუსური ხარ, დაუცველი, მეტად საბრალო...
გთხოვთ, შემოქმედო, მტარვალ მტრისგან შორს, შორს განვერნეთ.
შენთან ვილაღოთ, ვიგალობოთ მშობელ სამყაროდ...

სათნოება

სათნოება გადაგვარჩენს, ქვრივ-ობოლზე ზრუნვა;
ზესამყაროს დაბრძანებულ, ჩვენი უფლის სიტყვა...
არა ბილწი და უხამსი ქცევით მოყვასთ თრგუნვა:
სიყვარული, უფლის რწმენა, არამც გვემა, რისხვა!..
დიდება ღმერთს! დიდება ღმერთს! ამ სამყაროს შემქმნელს!
ჩვენზე ზრუნვით, ჩვენთვის მლოცველს ანგელოზთა დასით...
გვმართებს ღვთიურ მოკრძალება, უცნობ-ნაცნობ-შემხვედრს
ყველა კაცი ღვთის შვილია, ქვეყნად არ ჰყავს დარი!..

ამინ!

ამინ! ამინ! გეტყვით, მე, თქვენ, ამინ! ჩემო შვილნო,
თქვენით ვხარობ, რამეთუ ცა, მიწა შევქმენ ნებით!
ცრემლისა ღვრით, მარად შეგთხოვთ: – სულს უფრთხილდით, ტკბილნო,
სული ჩემი ნაწილია, გაღებული თქვენთვის
დიდება ღმერთს! დიდება ღმერთს! მაღალს მაღალთა შორის!
შინ და გარეთ, **ღმერთსა,** მფარველს; ქომაგს ორთავ სოფელის...
ქვეყანასა ზედა მდგომსა, მფრქვეველს თავს **მშვიდობის.**
და სამყაროს – კაცთა შორის სათნოები მფენელს.

---

* ვქმენთ – ვაკადრეთ
** იქმნა – ჩაიდინა

ლალი ლაზაშვილი

მ ა რ ი ტ ა

ზეცამ გადიხსნა საკინძე,
გრძნობას გახადა ფარჩა,
ქალს ტანზე შემოახვია,
რაც სილამაზედ დარჩა.
ზაფხულის ნიავს მოჰქონდა,
მთიდან საამო ღიღინი,
მინდორში პეპლებს ათრობდა
მარიტას თბილი ღიმილი.
მაგრამ ბავშვობას შემორჩა,
ის მოჩითული კაბა,
თმებში ჩაწნული გვირილა
და სიყვარულის განცდა...
შორს მიდიოდა მარიტა,
ცრემლი სწყუროდა თვალებს,
თან მიათრევდა სიყვარულს
და გრძნობას ნაიარევს...
სოფლის წყევლა და აუგი,
თითქოს ართმევდა ძალას,
გათელილ გრძნობას ტიროდა
და არა ნასროლ ტალახს.
ზოგჯერ,ლამაზი ზღაპარიც
არა სრულდება ზღაპრად,
ხან საოცრებად მთავრდება,
ხან უჩვეულო ამბად.
...იქნებ,ოდესმე შემოგხვდეთ,
შორით შეავლოთ თვალი,
არ დაუძახოთ მარიტას
თავლაფდასხმული ქალი!

სიზმრად ვნახე ერთი ქალი

სიზმრად ვნახე ერთი ქალი,
ქალს ღრუბლები ემოსა,
გზას უაზროდ გასცქეროდა,
ალბათ მგზავრს მოელოდა.
ცრემლს ღაწვები დაენამა,
დილის ცვარს შერეოდა,
ისე მოხდენილად იდგა,
თითქოს უხმოდ მღეროდა...
სიყვარულით ჩამქრალ თვალებს
დარქმეოდა წარსული,
სევდის ზღვასთან მეგობრობდა
ერთ დროს ნაზი ასული.
სხეული მთლად გათოშოდა,
ერტყა ყინვის არტახი,
იდგა ცოცხალ ქანდაკებად,
ვით ღვთიური ნახატი.
გამვლელი და გამომვლელი
ხსნიდა გულის დარაბებს,
ის ხან ზეცას გაჰყურებდა,
ხან შორეულ ტრამალებს...
მხოლოდ ერთი არ ტოვებდა
ქალს იმ უცხო მხარეში,
ეს,იმედი გაჰკიოდა
მის სევდიან თვალებში!

სითბო

მზეს ვეძებდი,
სად არ შემოვიარე,
ხან იყო და
ხან არ იყო თითქოს.
ზედ მცვიოდა
აბრეშუმის სხივები,
ზედ მცვიოდა და
არ ჰქონდა სითბო.
ჯადოსნური ფუნჯით
ვსინჯე მოხატვა,
რომ ჰქონოდა
ჩემს მზეს
მეტი სითბო,
მერე მაინც
გათოშილმა ვიარე
და გზადაგზა
ისევ სითბოს ვითხოვ!..

მ ა გ ნ ო ლ ი ა

მაგნოლია,
მშვენიერო დედოფალო,
შენი სახის
სილამაზე მათბობს,
აბა, გვერდზე
რა სიმშვიდით ჩაგიარო,
როცა შენი სურნელება
მათრობს.

ნეტარებით გაგიშლია
ეგ მკლავები,
და არავის
არ იკარებ ახლოს,
იქნებ მართლა
სიამაყე შეგპარვია,
ანდა სატრფოს
მოლოდინი გაკრთობს.

ყვავილები
პატარძლობას იჩემებენ,
უხმოდ დგახარ,
არაფერს არ ამბობ,
თუმცა, ერთხელ
მზის სხივებმა ჩაგჩურჩულეს,
პატარძლების
პატარძალი ხარო.

სულ ცოტა და
მოვარდება უფლისწული,
შემოანგრევს
შენი ბაღის კარებს,
ფრთხილად იყავ,
თეთრი კაბა არ დახიო,
თორემ ვიღა
გაათეთრებს ღამეს.

ვეძებ ბილიკებს გასაქცევად მაგრამ სად არი

სევდიან გულზე ყველაფერი
შავად ტრიალებს,
კარგიც კარგია, მაგრამ ავი
კარგი რად არი?!.
დამღამებია უცხო ჭერქვეშ
მე გზაარეულს,
ვეძებ ბილიკებს გასაქცევად,
მაგრამ სად არი.

სიმწრის ფიალას წვეთ-წვეთად ვსვამ,
ვერ გამოვცალე,
ბნელი საწუთროს ლაბირინთი
ვერ გამოვთვალე...
გულში ლახვარი ბევრჯერ ჩამცეს,
არ მიტირია,
სულში ხელების ფათურისთვის
დამიჩივლია,
კარგი კაცობის სადღეგრძელოც
კი შემისვია,
თუმცა ბევრისთვის ავი საქმეც
კი შემინდვია.

მე თუ სითბო და სიყვარული
უკვე დავკარგე,
სიტკბო ნაღველში, დარიშხანში
თავად გავავლე.
დროა მაკმაროთ წუთისოფლის
ტანჯვა-ვარამი,
ვეძებ ბილიკებ გასაქცევად,
მაგრამ სად არი!

ჩემო ჭიამაია

რა დიდგულა ყოფილხარ,
ჩემო ჭიამაია,
შემისახლდი სულში და
ალბათ შენი ბრალია.
მშვიდათ მიცქერ,მიღიმი,
შენმა ნახვამ ამრია,
მოგეფერო მინდა და,
არ თქვა,რამ გადარია.

იქნებ მიტომ მოფრინდი,
სიყვარული გწადია,
მინდა მოგეალერსო,
გავხდე შენი გადია.
ვშიშობ,არ გამიფრინდე,
ნუ დამტოვებ,მადლია,
მერე სადღა გიპოვო,
ჩემო ჭიამაია.

თამარ მეფეს

შენ პატარა არ ყოფილხარ,
შენ პატარაც დაიბადე დიდი,
შენ სამშობლოს გვირგვინს ჭედდი,
საქართველოს დიდებას და სინდისს!

იქნებ გულში შენც ოდესღაც დაგიზამთრდა,
იქნებ როგორც გარეთ თოვდა,
ისე თოვდა შიგნით,
პირადულზე არასოდეს გიფიქრია,
ლოცულობდი საოცნებო დღისთვის.

ნუთუ ღრუბლებს ფეხშიშველა გაუყევი,
შენ ხომ ასე მიუძღოდი ლაშქარს,
თუ არა და რად ატყვია ნატერფალი
ცის კაბადონს, მიპასუხე თამარ!

ვინ დათვალოს ვარსკვლავები,
ანდა შენგან გაღებული მადლი,
შენ ვერავინ შეგედრება ღვთის რჩეულო,
შენ იმედის დედოფალი გვყავდი!

იქნებ ტყუის ისტორია,
იქნებ გული სულ ამაოდ ღელავს,
მოდი, ფრესკებს ვეახლოთ და დავეკითხოთ,
დავეკითხოთ ბეთანიას, გელათს...

დღემდე თუ ვერ მივაგენით ნეტარ სხეულს,
ალბათ ღირსნი არ გავმხდარვართ თამარ,
ან მიწაზე რას დაგეძებთ ანგელოზო,
ანგელოზი ანგელოზთან წავა!

ჩუმი ტკივილი

მე მთვარის შუქზე დიდხანს გეძებდი,
ვხატავდი,ვშლიდი წარსულის ლანდებს,
მეჩვენებოდა,როგორც ავაზა,
კუდში მომდევდა ეს ბნელი ღამე.

ფოთლების შრიალს ხმები მოჰქონდა,
ეულმა ფიქრმა სად არ იარა,
მივიწყებული და გაძარცული
სული მტკიოდა,ხორცი კი არა.

თან მომყვებოდა ყეფით სიჩუმე,
საშინლად მძულდა ეს მდუმარება
და ისევ ფიქრი გავბედე შენზე,
მიუსაფარმა და მარტოსულმა.

მე მაშინებდა ეს სიმარტოვე
და შორეული ჭოტის კივილი,
შენს სასთუმალთან სიცოცხლე იდგა,
ჩემს სიახლოვეს ჩუმი ტკივილი!

ნამთვარევი ბილიკები

ღამით ცის ფერდობზე
მიყვარს ხეტიალი,
ზოგჯერ ღიღინები,
თუნდაც სევდიანი.
ღიმილ-ღიმილები,
ზეცის თილისმები,
ციცინათელები,
ღამის ყირგიზები.
თავზე მოხვეული
ფიქრთა მარმაშებით,
ზეცა მოქარგული
ვარსკვლავ-მაქმანებით.
გრძნობა არეული,
ცრემლებგარეული,
როცა უძილობით
დახვალ მთვარეული...
ნამთვარ-ნამთვრალევი,
ღამის ბილიკები,
ირმის ნახტომები,
ფოსფორბილილები.

წყრება ფაეტონი-
ბრწყინავს ფაინონა,
ტირის დეზდემონა-
ზეცა დაიმონა.
ქრება სელენა და
ქრება პირეოსი,
მე თან მესალმება
უკვე ჰელიოსი.

მე სიყვარულის წვიმებად მოვალ

მე მოვიარე
გაზაფხულები
და შემოდგომის
კართან შევჩერდი,
გადმოვალაგე
მოგონებები,
ზოგს ვინახავდი
და ზოგს კი ვხევდი.

შორს გაფრენილან
ოცნების წლები,
ვდიე და ვდიე,
ვერ დავეწიე,
ისევ წარსულში
თუ ვიქექები,
გაცრეცილ ფურცლებს
ვერ შეველიე...

ვინ იცის,ნეტავ,
ჩემი ზამთარი,
იქნებ შორსაა,
იქნებ ახლოა,
მე სიყვარულის
წვიმებად მოვალ,
ბედმა თუ მეტი
აღარ მადროვა!

შემოდგომა ათენში
φθινοπωρο στην αθηνα

ძველებურად ახმაურდა
ისევ დილა
და ცისკარი ფერებს
უხვად აფენს,
შემოდგომის სუსტი
სიო მობრძანდება
და ჩამოჰგვის
უთენია ათენს.

თან ფოთლების
შარიშურა მელოდია
ქუჩ-ქუჩა ლამაზ
გრძნობებს ქარგავს,
მოფუსფუსე ქალაქს
ფრთხილად გამოსტაცებს
და ქვეყანას მოსდებს
ჭორს და მართალს.

ქართველ ექიმებს

(კორონა ვირუსთან მებრძოლ ექიმებს)

ჩემი სამშობლო საქართველოა,
ჩემი სამშობლო ჩემი ხატია,
ღვთითბოძებული ზეცის ფრესკაა,
თითქოს ანგელოზს დაუხატია!

მე მაოცებენ მისი თვალები,
ხან ცრემლიანი,ხანაც მღიმარნი,
დედაო ღვთისავ, შენ გევედრები,
არ მიგვატოვო გზაში მტირალნი!

უგუნურება თავად ვიმწვნიეთ,
შეხეთ,რა ძნელი ჟამი დაგვიდგა,
როცა გვეგონა მიგვატოვებდა,
უფალი გვერდში მაშინ დაგვიდგა! ...

და რომ ღამეში თეთრი ხალათი
მედგრად ფრიალებს უფლის ნებაა,
სიკვდილს პირიდან აცლით ავადმყოფს,
ეს ექიმების გამარჯვებაა!

გაოცებული გიცქერთ სამყარო,
ანგელოზები თქვენთან არიან,
თქვენს გვერდში არის დღეს საქართველო,
მე ამაყი ვარ და მიხარია!

ქედს ვიხრი დიდი საქმის წინაშე,
ლოცვა ლექსებად დამაწერინეთ,
მჯერა ამ ომში თქვენ გაიმარჯვებთ
და სიკვდილს უკან დაახევინებთ!

ნანა ჩარკვიანი

***

მზემ სარკმლიდან
შემომჭყიტა
გაქრა ავი ფიქრები,
გაზაფხულმაც გადმოფინა
აივნიდან მზითევი.
ჭიკჭიკით და ჟრიამულით
მამხნევებენ ჩიტები,
სიყვარულით მესალმება
ჩემი ეზოს ტიტები.
გულს ეხება სიხარულის
უხილავი სიმები,
სიცოცხლის ხე
არ მომკვდარა,
იმედებით ვივსები.

მეორე შანსი

ღამე ფიქრებში გავცვითე
და გავაცალე ქანცი.
გამთენიისას ცისკარზე
ანგელოზს ვსთხოვე საშვი.
მეღობებოდა ეშმაკი
და არ მიშვებდა კარში.
მაინც დავძლიე ავიჭერ
უფალთან მაღლა ცაში.
მუხლზე დავეცი ქვითინით
ცრემლიც მდიოდა თვალში
სნეული დედამიწისთვის
ვთხოვე,მეორე შანსი.

უფალსაც ცრემლი სდიოდა
ჩვენი ცოდვების განცდით.
შუბლზე პირჯვარი დამსახა
წყენა დაეტყო ხმაში.
მითხრა....

„შვილო ოო უთუოდ,
რწმენა დაბრუნდეს ხალხში“,
დედამიწისთვის გადმომცა,
კვლავაც მეორე შანსი.
როცა გავშალე, წაკითხვით
გაოცებული დავრჩი.
გახსოვდეთ ვისთვის ვეწამე
„ჯვარცმა“ ვიხილე კადრში.

დრო მიჰქრის

დროს ვერ მართავ
ტყვიასავით
ჩაგიქროლებს,
ყველა სევდა შუბლზე
ღარად დამჯდარა,
ნაოჭები ღიმილებში
ჩაკარგულან,
თმებშიც თეთრი
ფანტელები
გამჩდარან.
წლები ასე ლამაზი და
მშვენიერი,
თოვლის ნაზი
ფიფქებივით
გამქრალან.
ის გრძნობები,
სულს რომ
ასე გვიმშვენებდა,
სიშორემ და
მონატრებამ
დაღალა.
შენი გული
ჩემი ნდომით
შეპყრობილი,
სიყვარულის ტბაში
ხომ არ
დამხვრჩვალა.
არ გაბედოთ,
ქალს არ ჰკითხოთ
წლოვანება,
ვარდი, ვარდობს
თუმცა ცოტა
დამჭკნარა.
სანამ გულში
ისევ ყვავის
გაზაფხული,
სულში ისევ
მზე იცინის
ცხრათვალა,
ქალი მანამ
ივარდებს და
იმაისებს,
სანამ თვალში
ნაპერწკალი
ჩამქრალა.
დროს ვერ მართავ,
ტყვიასავით
ჩაგიქროლებს
მერამდენედ
ჩაიარა ზამთარმა,
წუთისოფელს
რას გაუგებ
წუთში მიდის
და ის გოგოც
უკვე ქალი
გამხდარა...
ბრუნავს ჩარხი,
ცხოვრების და
ბედისწერის,
ყველა ნატვრა და
ოცნება ამხდარა,
და ის ქალი
გუშინ კიდევ
ნუშისფერი,
ასე მალე
უკვე ბებოც
გამხდარა....

* * *

მზემ ცის კაბადონზე
მუდამ იბრდღვიალოს,
სიცოცხლის ხეებმა
ლაღად იშრიალოს.
ეკლესიის ზარმა,
მუდამ იხმიანოს,
ვერცხლმა სიხარბისგან
აღარ იჩხრიალოს,
სიკეთის ბორბალმა,
წაღმა იტრიალოს.
ხ ა რ ე ბ ა ს
გილოცავთ მთელს
საქრისტიანოს.

ცხრა აპრილი

გვახსოვდეს!

მაშინაც ემოსა
ფარჩა და ატლასი,
აპრილი ჰყვაოდა,
ხარობდა მშვენებით.
მთვრალი გაზაფხული კი
თავს იწონებდა,
თავისუფლებით და
თავის სურნელებით.
ბრძოლის და ერთობის
ჟამი დამდგარიყო,
წრფელი გულებით და,
შიშველი ხელებით.
თავისუფლება,
სულს ისე სწყურდა,
დროშების ფრიალი
ცეკვა სიმღერებით.
იყო მოწოდება,
იყო სიყვარული,
ერთმანეთს,სიმღერით,
მიტინგზე უხმობდნენ,
თავის მიწაწყალზე
ჰქონდათ „პრეტენზია“
მეგობრად წოდებულ
მტერს, რომ
არ უთმობდნენ.
გამთენიისას კი,
როცა სამრეკლოდან
ზარების გუგუნი
ზეცამდე სწვდებოდა,
ანგელოზთა გუნდებს,
სიმღერით
მგალობლებს,
ეშმაკი ფიწლით და,
ნიჩბებით ებრძოდა,
იმ ღამეს სიმღერა,
გოდებამ შეცვალა,
იმ ღამეს,
ქართველი გმირები
ეწამა.
იმ ღამემ
ქართველთა
ცხოვრება შეცვალა.
დილა გაგვითენდა
მწუხრით დაზაფრული,
და სისხლში დაიხრჩო,
მაშინ
გაზაფხული....

მთვარიანი ღამე

ჩაშავებული ცის
კაბადონი
გააპო, მკრთალმა
შუქმა მთვარისმა,
აფეთქებული ატმის
სურნელი, შეისუნთქა
და გაითავისა.
ღამის სიჩუმეს
არღვევს ჩურჩული,
ჭადრებისა და
ნიავ ქარისა.
და მთვარის შუქზე,
სჩანს სილუეტი,
ჩაფიქრებული
ლამაზ ქალისა.
ეს ღამეც თავზე
დაათენდება,
მას არ ასვენებს
ფიქრი ხვალისა.
დარდი აქვს გულზე,
თავის ქვეყნის და,
გაუსაძლისი
მძიმე ჟამისა.
დაე, გუნება
გამოუკეთოს,
გათენებამ და
დილის აისმა.
ეხლა კი მთვარე,
ცის კაბადონზე,
დაკიდებულა
,ჭაღად" ღამისად.
სწუხს დედამიწა და
მისი კვნესა,
ღამეში ისმის,
შესაბრალისად.

* * *



სიკვდილი მეფობს
დღეს დედამიწას
შემოჰხვევია
მწუხრი და ბინდი,
უბრძანებს ქრისტე,
ვნახავთ სასწაულს,
ლაზარესავით
აღსდგება იგი.
დედამიწაზე
დაისადგურებს
კვლავაც ცხოვრება
წყნარი და მშვიდი.

ბავშვობა

წუხელის სტუმრად
მყავდა ბავშვობა,
არ მიეკარა ძილი
ჩემს თვალებს.
შემოვირბინეთ
მთელი სოფელი,
გადავათენეთ,
იქ მე და ღამემ.
მოგონებები
ამოტივტივდა,
მინდორში პეპლებს,
როგორ დავსდევდი,
ჩემში ისევ ის
მორცხვი ბავშვია,
შენ რომ ბავშვობას
ულამაზებდი.
მწვანე თვალება
პატარა გოგოს,
მოკლე კაბით და
თეთრი ბაფთებით,
სულ სათითაოდ
გადავიკითხე,
შენ ,რომ უწერდი,
ის ბარათები.
ეხლაც ატმები
ისე ყვავიან,
კვლავ
მოჩუხჩუხებს
წყარო ანკარა,
ვერ შეაჩერებ,
დრო ისე მიჰქის,
თავი მგონია,
ისევ პატარა,
წუხელის სტუმრად
მყავდა ბავშვობა,
მთელი სოფელი
შემომატარა.
სკოლის ეზოში,
მტირალ ტირიფთან,
ეხლა უცნობი
წყვილი დამჯდარა.

მევიოლინე

ავად გაგვიხდა
გაზაფხული,
სწუხს დედამიწა,
თითქოს სიზმარი
ნახა ცუდი ისე
აბორგებს,
ხალხი სახლებში
ჩაკეტილა,
როგორ აოცებს,
ვერ გაუგია
სიცხე აქვს თუ,
ძილში აბოდებს.
მევიოლინეს
შეშრობია თვალზე
ცრემლები,
და დასტყობია
ნაკვალევი
ტუჩებს
ნაკოცნებს.
ცარიელ ქუჩებს,
ეფინება ტკბილი
ჰანგები,
მევიოლინე,
ისევ გრძნობით
კრიბავს
აკორდებს.
ცარიელ ქუჩებს
მოსდებია
შიში და ძრწოლაა,
ვირუსი დადის,
უხილავი და
დააბოტებს.
გოგონა უკრავს
სიცოცხლეზე და
სიყვარულზე,
მოწოლილ ვნებებს
ჩამწყვდეული
ვეღარ აოკებს.
ამ უჩვეულო სიჩუმეს,
რომ ტრფობა
ახშობდეს.
მუსიკის ხმები,
აუტანელ შიშს
რომ ახრჩობდეს,
წითელ კაბაში
ღვთაებრივი
სიმშვენიერით,
დგას გოგონა და
მისებურად იმედს
გადმოგვცემს,
დგას აივანზე
სიცოცხლეზე
შეყვარებული,
გასაოცარი
სისათუთით
კრიბავს
აკორდებს.

ქართული ჰიმნი დავაგუგუნე

როგორც სხვა,
დანარჩენი
მსოფლიო,
იტალიასაც ებრძვის
კორონა,
მოუსვენარი ერია
მართლაც,
სახლში ჩაკეტვამ
თუმც დააღონათ.
მაინც აღნიშნეს
დისტანციურად,
კათოლიკური იყო
აღდგომა.
იყო ყიჟინი და
ჟრიამული,
აივნებიდან
იყო მილოცვა.
„აუგური“ და
„ბუონა პასკვუა“
თან იტალიის
ჰიმნი ისმოდა.
ჭიქებს ლალისფერ
ღვინით ავსებდნენ,
და აივნებზე
მწვადიც იწვოდა.
როცა მიწყნარდა
ირგვლივ ყოველი და
წამიერად
დადგა სიჩუმე,
რატომაც არა,
რატომაც არა,
უნებლიეთ ეს
დავიჩურჩულე.
მუსიკა ჩავრთე
და მაღალ ხმაზე
ქართული ჰიმნი
დავაგუგუნე.
მერე კი,
როცა ამ წუთს
ვიხსენებ,
ჟრუანტელივით
დამივლის ტანში,
„ჯორჯიანა“ო,
იძახდა ხალხი და
არ წყდებოდა
მქუხარე ტაში.
ჩემს საქართველოს
და იტალიას,
უფალი ერთად
ლოცავდა ცაში.
ეს დღე დამრჩება
ტკბილ მოგონებად,
რომ დავბრუნდები
მშვიდობით,
სახლში.

* * *



გლოვის დღე უდგას
ქრისტიანთ,
მდიდარს,მწყურვალს,თუ
მშიერსო.
დილიდან ლოცვას
ვიწყებთ და
ვაკეთებთ
მეტანიებსო.
კაცობრიობის ცოდვები
სულ მხრებით
ათრევიესო,
არც დედა ღვთისა
დაინდეს,
ცრემლები აღვრევიესო.
ოცდაათ ვერცხლად
გაყიდეს,
ჯვარზე გააკრეს
ი ე ს ო.
თავს ეკლიანი მავთული
გვირგვინად
მოახვიესო.
ხელფეხს ლურსმნები
აჭედეს და,
სისხლი ადენიესო.
მამის საგმობი სიტყვები
მაინც ვერ
ათქმევიესო.
გიბლია ცხადლივ
გადმოგვცემს,
მაშინდელ ისტორიებსო.
ხალხის ცოდვების
სახსნელად,
დაბადებულა იესო.
წითელ პარასკევს
ჯვარს აცვეს,
ტალახიც ესროლიესო,
და სისხლი,
სისხლი წითელი
წვეთ წვეთად
ადენიესო,
უგუნურთ არც კი ესმოდათ,
რა ცოდვა აიკიდესო,
კიდევ მათ ცოდვებს
სტიროდა,
ჯვარზე გაკრული
ი ე ს ო.
გთხოვ გვაპატიე,
შეგვინდე,
რაც ტანჯვაც
მოგიზღვიესო,
მამა გიყურებს ტკივილებს
ხორციელს და
სულიერსო,
წითელ პარასკევს
აწამეს და აღესრულა
იესო.
მალე დადგება
აღდგომა,
ქრისტეს
მიწიერიესო,
და სამუდამო
ტახტრევანს,
ცაში დაიდგამს
ი ე ს ო.

ნელი გიუნაშვილი

ცა და ხმელეთი

რამ გადაკეტა ცა და ხმელეთი
რად მოიწყინეს მაღალმა მთებმა,
ვინ დაატყვევა ადამიანი,
უხილავმა და ვერაგმა მტერმა.

ოცნებად გვექცა თავისუფლება
და გვენატრება ჩვეული რიტმი,
დაძაბულობამ, შიშმა და სტრესმა,
დაგვაკარგვინა ცხოვრების ხიბლი.

დღეს გამხნევება გვჭირდება ისე
გვჭირდება ისე, როგორც არასდროს,
ნუ მოიწყინეთ, ღმერთი არს ჩვენთან
და დაგიბრუნებთ ცხოვრების ძველ დროს.

კვლავ მოგვანიჭებს უფალი ყველას
ლამაზ ცხოვრებას და დიდ სიყვარულს,
ყველას გაჩუქებთ ბედნიერებას,
ბედნიერ დღეებს და ბევრ სიხარულს.

08.04.2020

გთხოვ მიპასუხო

რატომ დაფიქრდი, გთხოვ მიპასუხო
სხვაგან წახვედი აზრებით თითქოს,
დანაღვლიანდი, ნეტავ რას ფიქრობ,
ეს შენი გული ნეტავ რას ითხოვს.

ამოვიკითხე შენი ფიქრები,
მივხვდი შენს სევდას, ფორიაქს შენსას,
მეტყველი გახდა შენი თვალები
და ვერ იგებენ ჩუმ გრძნობებს ჩემსას.

ჩუმი გრძნობები მოკვდება ისე,
როგორც მოკვდავი ადამიანი
და საიდუმლო გაჰყვება წარსულს,
სევდით მწუხარე და ნაღვლიანი.

02.04.2020

ბულბული

ვარდის სურნელით დათვრა ბულბული,
ნაზად და ტკბილად თავს დამღეროდა,
თვალდახუჭული და მთელი გრძნობით,
ეტრფოდა შორით და უმღეროდა.

ისე მოხიბლა ვარდის მშვენებამ,
მისი ეკლები მთლად დაავიწყდა
და როცა სისხლმა, წვეთ-წვეთ იდინა,
სიმწრით გალობა გადაავიწყდა.

მიხვდა ბულბული ამაო იყო,
მისი გალობა და სიხარული,
ხანმოკლე იყო ბედნიერება,
ტრფობა ამგვარი და სიყვარული.

მაგრამ რად გინდა, ვერ დაივიწყა
ვარდის ტრფობა და სიმწარე ეკლის,
ვერ დაივიწყა მშვენება მისი,
მას შემდეგ სევდით კვნესის და მღერის.

28.04.2020

მარი ბერუაშვილი

* * *

გაიზრდებიან ეს შიმელებიც,
დაბერდებიან ვერხვებიც ხვალ-ზეგ,
ჩაივლის წყაროც ქვებს შიშ – ფეთებით,
ნაოჭს დაითვლის ყაყაჩოც, ხალზე.
ბაღი მებაღეს დაუწერს უსტარს,
გადმომხედეო ბოლოდან სოფლის...
ქაცვი აიყრის ღობეზე ცრუ ტანს,
წელს ვერ ივარგებს ნაყოფის მოსხმით.
ქება-დიდებით დამდგარი წელი
გაითუთქება, როგორც ტყემალი...
აუმღერდება გლეხს საწნახელი,
შემოდგომაზე, მაჭრით შემთვრალი.
კვლავ დაიწყებენ თევზივით ფართხალს
თვეები, დრო რომ მოაკლებს ჰაერს,
ფიფქის ღილები ასწყდება ზამთარს,
წამოედება ყინვა თმით სარებს.
გაქრება თოვლი, მე რომ მიყვარდა!
ვინანებ, ლექსი რად ვერ ვუთხარი?!
მარტი შეიწმენდს ცრემლებს ყვრიმალთან,
კარს შემომიღებს ია – სტუმარი.
ბოსტანში მწვანილს გამარგლავს
დედა, აუვა ჰაერს რეჰანის სუნი...
ხან გაგვიღიმებს, ხან კი შუბლს შეკრავს
წუთისოფელი, ლხინით თუ ურვით.
სტრესის ქურაში გამომწვარ დღეებს
უავადდებათ გულის სარქველი...
მიწა გამოზრდის ახალ შიმელებს,
ხეს ჩამოტყდება ტოტები ხმელი...

***

ქვაზე დაწერილი სოფლის არაკები,
ქარი უწიგნური, ყალბი მეიგავე.
ქუჩას სატკივარი სჭირსო, გადამდები,
თვალის ჯებირები ცრემლებს ვერ იკავებს.

დაფრინავს სიმართლე, ვით ჩიტი ჯაფარა,
ტყუილი, ღობეზე მიმწვარი ძეძვია.
შიშებით აიკლო ოთახი ფანჯარამ,
ჩრდილები ძირს ყრია, გამხმარი ძენძიდან.

თან მახლავს სიკეთე – თეთრი სერაფიტა!...
ვარდის თვე მაისს და თიბათვე – ივნისს ჰგავს...
აი, ეს კალამი, ჩემი წერაქვია,
ლექსი კი სუნთქვაა და სულის ბილინგვა.

დილიდან კალვადოსს ისხამდა ჭიქაში
გრძნობა და საღამოს ისევ გააფრინა,
თავნებობს, არ უშვებს სიმშვიდეს ჭიშკარში, –
წყურვილს ასე იკლავს იგი, არაფრიდან.

ქვაზე დაწერილი სოფლის არაკები,
მიწა – მეტაფორა და ქუჩა – შაბლონი.
ისვამს ფერუმარილს ისევ არაფერი
და კაცს საპატრონოს, თავი ჰყავს პატრონი.

ნინო უძილაური

„აი ნამდვილი სიყვარულისთვის ყოველთვის ღირს ბრძოლა და არავინ არ თქვას, რომ სიყვარული ომი არაა“....

გოდერძი ჩოხელი

სიყვარულის სტრიქონი

მალე არ ღამდებოდეს,
მალე არ თენდებოდეს,
შენს მკლავებზე მეძინოს,
ტუჩებს კოცნა წვდებოდეს.
შენი ტანი მფარავდეს,
შენი სუნთქვა მესმოდეს,
მზის სხივები ღრუბლებში,
სიყვარულზე მღეროდეს.
ვნების ალში მხვევდე და
დილის ცვარით მნამავდე,
მარადიულ ტრფობისთვის,
ხან მთვარესთან მმალავდე,
ზღვას ფეხებთან მირწევდე,
ღრუბელს ტანთ მიფარავდე,
წვიმის წვეთით თვალებს და,
მთელ სახეს მინამავდე,
შენთან ყოფნის წუთები,
არასოდეს ქრებოდეს,
ვნებიანი ჩურჩული,
აღარც მენატრებოდეს.
სიყვარულის სტრიქონებს,
თავად თხზავდე და ჩემთვის,
წნავდე ფერად გვირგვინებს,
სიცოცხლედ რომ ზედ მერთვის.

ლამაზი ქალი

ლამაზი ქალი ამშვენებს ქუჩებს,
ამშვენებს ოდა-ეზოს,
ვარდის ფურცლები უფერავს ტუჩებს,
დილის მზის სხივიც ვერ თმობს.

ლამაზი ქალი, გრძნობათა მუზა,
ღამის სიმშვიდეს არღვევს,
ამღვრეულ გულში, ვით გემის ღუზა,
წამოსდებია ძარღვებს.

ლამაზი ქალი, შლეგი და ნაზი,
მსხვერპლი უმართავ ვნების,
სპეტაკი ცრემლი, ვით ცრემლი ვაზის,
ტვირთადქცეული მხრების.

ხან სალოცავი, ხან საწყევარი,
გაუჩენია გამჩენს,
გზააბნეული ვინმე მდევარი,
მარტოობასაც ამჩნევს.

რა ძალამ შექმნა ეს სილამაზე,
ნეტავ რა ბედი ელის...
ქალი ნაკლებად ფიქროს ამაზე,
გულარხეინად მღერის.

02.04.2020

შემომესია ფიქრები

შემომესია ფიქრები,
ღამე გადაწვა საკიდზე,
გულს დარდი როგორ ვაკმარო,
ღმერთო იმედად ამკინძე.

მაკმარე ცრემლი, გოდება,
სიცოცხლე გამიხალისე,
სადაც ბულბული ვარდს ეტრფის,
იქ მარტიც გამიმაისე.

ბოღმას ასწავლე სიტურფე,
სიყვარულს შეხსენ საკინძე,
სავალ ბილიკზე ვიტურფე,
ღმერთო, სიცოცხლე მაღირსე!

ღმერთო

ჩემი სახელი რამ გაგახსენა,
რატომ მეძახი, ღმერთო,
დედამიწა რომ ცოდვით სავსეა,
ცოდვას კაციც რომ ვერ თმობს.

ტაძარში სანთელს რომ აღარ ვანთებ,
გულში ლოცვად რომ ვერ გხმობ,
რომ დამამძიმა ამაოებამ,
ამიტომ მიხმობ, ღმერთო. ,

ჩემი სახელი რომ გაიხსენე,
გამომაფხიზლე, ღმერთო,
მადლიერი ვარ, სული რომ მიხსენ,
შენს გაჩენილს რომ ვერ მთმობ.

მიყვარს ძალიან

ის რაც ნაღდია და სულის ძარღვია,
პოეზიაა... სიტყვათა ხატია,
სულის ხან დარდია,
ლხინად რომ ატყვია,
უდაბნოს ქარია,
მზის სხივთა დარია,
ხანდახან ცეცხლია,
ხანდახან წყალია,
სიცოცხლის აზრია,
ცხოვრების განძია,
კარგად ალესილი
სიმართლის ხმალია,
ბრძოლის ველია და
მიჯნურთა ბაღია,
სიყვარულისთვის ნაჭედი ფარია,
ვნებაა,
სიტურფით საქარგი ძაფია,
პოეზიაა ...
ღვთის დიდი მადლია,
კარგზე კარგია
და მიყვარს ძალიან.

პაპუნა ქვარიანი

ექო

უფალი განსჯის და განაგებს
წყალობას მადლიანს...
ტრამალის ასაცრელ სანახებს
ფაფარი აშლიათ.
ქარაფმა გამოსცრა ყარიბის
უმწეო ექო და
ამ დილის სისხამის ნამიც კი -
საცრემლად მეყოფა.

ნაბიჯი კანტი-კუნტ შეეწყო
სანუკვარ ხვაშიადს,
ლაჟვარდმა აღლუმი მოუწყო
მერცხლების აშრიალს.
თანდათან დაეტყო სიწითლე
იმედის ჩანასახს...
არტახის ახსნა თუ ვიტვირთე -
გულში მზეს ჩავხატავ!

როგორღა

მილეთო, როდემდე ვუსმინოთ
ამაო ლაყბობას?
ჩაგრულმა როგორღა ითმინოს
ღირსების ჩაქოლვა!...
ზოგზოგებს მეტადრე აშფოთებთ
ძვირობა ამგვარი,
არადა კერიებს დაშორდნენ -
კოშკებში ამძვრალნი.
ზეგარდმო შემოდეს კუდები
დაბღილულ ყავარზე...
უტიფარ სიბილწით უძღები
ჩაადნა სავარძელს.
ოდესმე, იმგვარად დაკვესოს
ცარგვალის ბრიალმა,
ცდომილთა აურა ასხეპოს,
აყუჩოს იარა!

როს ვეღარ

საზღვრები მიმოხნეს შლეგურად,
შინდები ოხრავენ...
მირონი სამზეოდ ეპკურა
ნაომარ ყორღანებს.
როს ვეღარ იბარტყებს ტბორები
ავდარი ბაცდება...
ნებივრობს მსუნაგი ზმორებით,
ღადარი ნაცრდება.
აფითრებს მიმწუხრის ფერები
ნაღვლიან სახეებს;
ჯალათმა აწმინდა ხელები
სისხლიან სახვევებს.
იფხიზლე, გაბედე ქართველო,
მჭვარტლი რომ ახვეტო,
უფალმა პირჯვარი დაგვწეროს -
მყოფადის საბედოდ!

მივათრევ

ეჰ, როგორ დაგვშორდნენ მოძმენი,
შორეთში დათრთიან...
ჩამკვდარა სურვილი მოლხენის,
ხევს ძონძი აცვია.
მივათრევ უფსკრულის პირამდე
ნიღბიან სილაჩრეს...
ეხ, ნეტავ თავს როგორ ვიმართლებ
სინდისის წინაშე?!
მეზმანა, მისტიურ ფრთიანმა
ბოძალი მომართა...
ნაბიჯის აღრევა ნიადაგ
ბიძგია კოშმართა.
საზარლად მოისმის ნაწრთობი
ჯაჭვების ჟღარუნი...
მომწყურდა ურთიერთ არგმობის
სტიმულის ზღვაური.

ვით შევძლო

მაშინებს სიშორე ვარსკვლავთა
და მთვარის სიცივე,
ჩიტების ცქრიალი დამთავრდა,
დაბნელდა, იწვიმებს.
დახშულა დარაბა ანაზდად,
ვეახლე თბილ ბუხარს,
სტიქიამ კარები ჩარაზა,
ვთბები და თან ვწუხვარ.
ჩამთვლიმა, ვიხილე
ჭინკების მაცდური გალობა,
გალაღდნენ ადამის შვილები,
ეროსი სწყალობდათ.
ნიმფებმა ლაჟვარდი გასანთლეს,
თვალს ვერ ვწყვეტ, მიზიდავს...
რით გავძლო, ვით შევძლო წასვლამდე -
ცას ვეძმო მიწიდან!

ეკატერინე ციცქიშვილი

ჟამის სახადი

ამ საფიქრალის მთიების
სიმკრთალე გადამდებია...
განსაცდელს შევეხიდები,
ნისლები მოლზე წვებიან.
ო, როგორ მიჭმუჭნულია
ჟამის სახადის ფარდები...
ჭინკები დავლურს უვლიან –
კადნიერების თანხლებით.
გაუღიავდა გულმკერდი
ეულად შთენილ შარა-გზას...
ჩაყუჩდა შვილი უძღები,
ცვარი ღვარცოფში განზავდა.
ობოლი ხოდაბუნები
მარჯვენის ძალას ელიან...
ცდუნების კატაკლიზმები
ოდითგან დასაძლევია!

გ ვ ა კ მ ა რ ე

დეპრესიათა მუხტები
ჩაებღაუჭა ქვეყანას,
ნირაღრენილი ვრწმუნდები –
ცამ დაგვაკისრა ბეგარა.
რადგან ვერარას გახდება
მახვილი, თუნდაც ლაზერი,
აისის ღია სარკმელთან
მთქნარებ-მთქნარებით ჩავთვერი.
ეს შინაგანი სიმძიმე
სამუხრუჭეა ოინის,
ვინც სახვალიოდ იფხიზლებს,
უფლის წყალობას მოიმკის.
ნაზამთრალ სულში ღვარღვარებს
ცნობიერების კრუნჩხვები,
უზენაესო გვაკმარე
ამ საცდურეთის ხუნდები!

განსაცდელის ანომალია

გახუნებიათ კულულები ქათქათა ფარდებს,
ჟამიანობა სიმარტოვის მასპინძელია,
საყოველთაოდ დასახვეწი სიფრთხილე გვმართებს,
ვაი, თუ შიშმა მიანაცროს სულის კელია.
ვაი, თუ მზისკენ ცისარტყელის გაწვდილი ხელი
შეეყინება განსაცდელის ანომალიას,
ვაი, თუ გედი, მართლაც ბოლო სიმღერას მღერის,
თუ გისოსები არ გაუცვდა ღრუბლის გალიას.
ო, ამ მკვნესარე გულის სითბოს გამოძახილი
როგორ ამაოდ ეჩხირება ყელში მარათონს,
მგლოვიარეა სათნოება წამწამდახრილი,
ჩამოიწრიტა სინანულის ცრემლი საავდრო!

გამოსავალის ძიება

ქვენა გრძნობების დაძლევას
როს ეწირება განწყობა,
ფიქრები მაინც არ ცხრება
ბრმა ნაბიჯების საწრთობად.
თანაც სულიერ სინაზეს
თუ ასპარეზი მიეცა,
გვირაბის ბოლოს სინათლე
ბუღის ბახალებს ირეკლავს.
გაადვილდება თანდათან
გამოსავალის ძიება,
დელგმამ ქარაფი ჩაფარცხა,
ხოდაბუნს კუდი მიება.
მზე ალმაცერად დაჰყურებს
მიწიერ ვადადარიას...
დაე, სიტყვიერ საუნჯეს
დაეფრთიანოს ყავლია!

უებრო ფორა

ოდითგან ჩვენში ასე ვიცით, რომ -
როს ვეღარ ფეთქავს გულის სიმები,
უკანასკნელი სუნთქვა სიფრიფობს,
მიწის აურას ვესიკვდილებით.
ზოგჯერ კი სული ისე იქცევა -
სიცოცხლეშივე დაფრენს ეულად,
თან წარმოსახვის საკიწკიწებად
გალაქტიკაში მიმოფრქვეულა.
მასთან კონტაქტი ძალზე რთულია
და სიახლოვის გვიჭირს შეგრძნება,
ეს არც კვდომაა, არც სასრულია,
მყოფადს უებრო ფორა ეძლევა.
ყოველგვარ ჟამის აღმსრულებელის
შეუცნობია ნება გრძნეული...
ბობოქრობს სენი უკურნებელი -
ცოდვით ნაშობი, სიმწრით ძლეული!

ბელა ალანია

* * *

სიცოცხლე ჩემი ქარბუქს მაგონებს,
სიმშვიდე მაინც აღარ მაღირსა,
სევდის მორევში თუ გავეხვიე,
წარმავლობამ თუ გამითავისა...
ერთხელაც ასე მოხდება ალბათ,
გადავაბიჯებ სიმშვიდის არეს,
შეთქმულთა ჯარი, სავსე სიჩუმით,
გაღმა ნაპირთან დამიდარაჯებს.
ცრემლი სინანულს ვერ დამიზოგავს,
ბინდი ჩრდილებსაც შესვამს ყლუპებად,
მაგრამ ყვავილის ქორფა კოკორი,
ნუთუ შენს გულშიც დაიღუპება?!
ერთხელაც ასე მოხდება ალბათ,
კიდეც იმზეებ, კიდეც ინათებ
შენი ფიქრების ფერად ჭალებში
უჩემობასთან თავს გაიმართლებ.
სულ დაინთქმევა ცუდიც და კარგიც
და არც არავის დაეკითხება,
დაგავიწყდება რამდენი რამე,
ისე ჩაივლის, რომ არ ითქმება.
დრომ თუ გამთელა, არ მიერთგულა,
თუ ბნელმა მაინც სძლია სინათლეს,
ერთად გავლილი ყოველი წუთი,
ამ სიყვარულით შემოინახე
ერთხელაც ასე მოხდება ალბათ...

* * *

დღეს დილიდან ისე ნაზად თოვს,
სათვალავი აერია დროს.
გული, ჩემი, შენთან ყოფნას მთხოვს,
გაუსაძლის მონატრებას გრძნობს...
გვყოფს ქედები, ზღვები, მთები გვყოფს,
სულერთია ახლო ხარ თუ შორს,
ვერ გივიწყებ, ფიქრადაც ვერ გთმობ
და ვიჩემებ ბედნიერის როლს.
დღეს დილიდან უთავბოლოდ თოვს...

* * *

ბროწეულები ისევ ჰყვავიან,
დარად მბზინვარე შენი ტუჩების,
არ მემეტება სხვასთან არშიყად
თვალები შენი - გიშრის მძივები;
არ მემეტება მე სხვის ამბორად,
ნათელი შუბლი, თლილი თითები;
მოპარვით კოცნის მომლოდინეა,
მოღერებული შენი კისერი.
ამ ქუჩის ბოლოს ისევ გიცდიან,
შენთვის ჰყვავიან თავგამეტებით,
წითელ კვირტებად გაბნეული და
გადარეული ბროწეულები!
არ მემეტება უშენობისთვის,
ჩემი სამოთხის სასწაულები!

* * *

ქარია
მოდის და ტეხავს რია-რიას,
შფოთავს, თან კივის და წივის.
ქარია
სულსწრაფი, გიჟი და ჩქარია,
რა უნდა, არავინ იცის.

ქარმა
დღეც კანკალით ყლუპებად დალია,
ნამქერად აქცია ფიფქიც,
მზისფერ კულულებში ხელები დამრია-
აღარ დამაცადა ფიქრიც...

ქარია...
ამ დღეებს სითბო თუ აკლია
სულ შენი ბრალია, იცი?!
თუმცა მზეს, ხის ჩრდილებს ვერაფრით ერევა,
უთუოდ დამტყუებს სიცილს.

ეს ქარიც შენსავით გიჟი და ჩქარია
ქარიან ქუჩაში გიცდი...

* * *

ერთ დღესაც, როცა მზე დაილევა,
დაილეწება გრძნობის ველები,
მე შენზე დარდი დამიმარტოვებს,
ვერსად წავუვალ, ვერ მოვერევი,
სხივებით ნაქსოვ ჩვენს ლამაზ დღეებს,
გააფერმკრთალებს დრო ულმობელი,
ხელშეუხები, როგორც სინათლე,
დარჩები ჩემში, ვერ შეგელევი.
ერთ დღესაც, როცა ვერ გამიტაცებს,
ვერ მისაკუთრებს ვნების ტალღები,
კვლავ დავიჩემებ მე ამ სიყვარულს
და მასთან ერთად დავიმარხები.

...
ნაღადრ გულსაც კი მოეფონა შენი სიტყვები,
,,ნიათგამოცლილს მე შენს მკერდზე მიმეძინება".
...
ნანინანატრო რომ მეტყოდა ოდესღაც ბებო
იყო სიტყვაში ნანინაც და მუდამ ნატრული ის მოლოდინიც,
შვილიდან რომ მოთამდე მიდის.
...
ნაპურალიდან როცა მესმის მწყერის ჭუკჭუკი
და იქვე ახლოს მეგულება მონადირე თოფშემართული,
მინდა გავქვავდე - არც მესმოდეს, ვერც დავინახო,
ანდა ნარეკალს გადავევლო,
სამყაროს გავცდე...
და იქ მივიდე, სადაც არ ცხოვრობს მონადირე...
...
შევცქერი როგორ ნანაობს და ხარობს ჯეჯილი.
ის არ ამხელს და უეჭველად ნიავქარს ჰყვარობს.
...
ნახედნი ცხენი არემარეს ისე აიკლებს,
ძველებურად რომ ისევ ისე ლაღი გვეგონოს...

* * *

მე და შენ -
მზე და ცა,
ტყე და მთა,
ზღვა ნაპირს
ვერასგზით
ვერ გასცდა...
სულ მერჩის,
თან დამაქვს
ეს განცდა.
შენ გნახე,
სიცოცხლის
იმედი მომეცა.
ჩემს გულში
სამყარო
მთლიანად
მოექცა.
არ იცი
ღამე რას,
დღე რას შობს...
როცა წვიმს,
როცა ქრის,
როცა თოვს
ნუ წახვალ,
ჩემგან შორს!
ნუ წახვალ,
ნურასდროს!
ტყე და მთა,
მიწა-ზღვა,
მზე და ცა,
შენი გზა
ჩემს ბილიკს
ვერ აცდა.

გიგი თეთრაძე

* * *

იქნებ გავასწრო, იქნებ წავიდე
და ვინავარდო იალაღებზე, გავცდე,
გავექცე
ამ საწუთროს ნისლში დაფარულს,
რაღაც სხვა მინდა უცნაური, სუფთა, კრიალა
ვერ გამიგია ჩემი გული
ამ ცოდვილ სულში რად აგრიალდა,
მართალს ვადიდებ, მაგრამ ქრისტეს
ვკლავ წუთში სამოცჯერ
და ვინ მოსთვლის წლებში რამდენჯერ,
ცოდვის მორევში გამოსასვლელ გზად
მხოლოდ შენ ხარ
მხოლოდ შენ გძალგიძს რომ ჩამკიდო
ხელზე ხელები
ქრისტეს სიკვდილში გავიწაფე
და ალბათ მალე იუდასთან დავმეგობრდები,
იქნებ გავასწრო, იქნებ გავფრინდე თორემ
ცოდვას ცოდვაზე ვალაგებ აგურივით
და სულ მალე ერთ დიდ სასახლედ გადაიქცევა
რომლის დანგრევა თვით უფალსაც გაუჭირდება,
ჩემი ყოველი გაფიქრება, ბილწი აზრები,
ვიცი, გულს გიკლავს ჩემზე ლოცვით
ხარ გადაღლილი
ვიცი სასთუმალს თუ დავადე თავი ამაღამ
სიზმარში გნახავ, უფალო, ჩემო, არ გამიბრაზდე,
წუთში სამოცჯერ ქრისტეს სიკვდილს მე ვაღიარებ
და უნდა ვზიდო მძიმე ჯვარი სოფლის ბოლომდე,
გზა ხორკლიანი, გზა ეკლიანი მე არ მაშინებს
და ღვთის სიყვარულს მისთვის
სიკვდილი თუ მაზიარებს!

* * *

ის, რაც მქონდა, უკვე დავკარგე,
ტყის ფოთოლივით ქარმა წაიღო,
ის, რაც მინდოდა, წლებში ჩავქარგე,
გულმა გრძნობისთვის ბევრი გაიღო.

სიმარტოვეა თავშესაფარი,
თავისუფლება ამგვარი არ მსურს,
ვიცი, დადგება დრო შესაფერი,
სული სუფთაა, არავინ არ სძულს.

მერე გაივლის ათასი თოვლი,
ათასი ფიქრით მოგწვდები ღამით,
ვფიქრობ, არაა შენამდე შორი,
თუ შეგაწუხე, ბოდიში ამით.

ვიცი ვერასდროს აგიხდენ
ცხოვრებას გაყვები ტკვილად,
წასულ წლებს ვალად ავიღებ
და გულში დაგრგავ ტირიფად.

გააქრეთ შავთეთრი სამყარო,
წავალ და ჩემსას დავხატავ,
აქ ცივა, ყინვა და სუსხი მაციებს,
იქ ყველაფერს თბილად დავქარგავ.

ალიონს ელიან დაღლილი თვალები
ცრემლი შეაშრა მარტოსულ სასთუალს,
გაყინულ ქუჩებში ყეფენ ძაღლები,
სიყვარულს მაჩუქებს, ვიღაცა ამ დილას.

24.03.2020

* * *

და ჰა, გავიდა წლები უმზეოდ,
შენს ლამაზ თვალებს მიწა აყრია,
დგას თეგერვალი ყავარჯნით ხელში
ლურჯი თვალები ცრემლით ავსია.

შორს ჰორიზონტზე მოსჩანს სისხლები,
აქაც სისხლი და მკვდართა ჯარია,
არ გაგეყინოს თბილი თითები,
თბილად ჩაიცვი, ცივი ქარია.

მოწყალების და სიკეთის მტრედო,
თავისუფლების წყურვილი გკლავდა,
ბოლო წვეთამდე, ბოლო სუნთქვამდე,
შენი თვალები ლომისას გავდა.

მარადისობის ცივ სამარეში
შენი დიდების ცეცხლი ანთია,
შენს დაღვრილ სისხლზე მიდგას ფესვები
სისხლი, რომელიც ამ გულს ატყვია.

და ჰა, გავიდა წლები უმზეოდ,
შენს ლამაზ თვალებს მიწა აყრია,
დგას თეგერვალი ყავარჯნით ხელში,
ლურჯი თვალები ცრემლით ავსია.

მარო მაყაშვილის ხსოვნას

2020

* * *

წასვლას ინატრებდა კაცი,
მაგრამ სიყვარული რჩება,
ალბათ, ცხოვრებაა მკაცრი,
რადგან ყველაფერი ქრება.

რადგან ყველაფერი მიდის,
უკან მოსახედი რა მაქვს,
მირბის, ეს ცხოვრება მირბის,
აქ ყოფნასაც აზრი არ აქვს.

წავალ თითქოს არც ვიყავი,
თითქოს მოლანდებად დავალ,
კარგად მხოლოდ შენ იყავი,
მე კი არაფერი არ ვარ.

გული რომ მატკინა ქარმა,
ყინვამ რომ იმატა ჩემში,
მაინც დამიძახა ქალმა,
მაინც ჩამიხუტა მკერდში.

როცა ღმერთად აქცევ გრნობას,
როცა სიწმინდეებს ეტრფი,
მაშინ აქვს აზრი ყოფნას,
შენ რომ სიყვარულზე მეტყვი.

თითქოს ლანდად დავალ ქვეყნად,
გული გაგიჟებით ფეთქავს,
ნეტა ახლა ვიყოთ ერთად,
გარეთ გაწვიმდა და ელავს.

გარეთ საშინელი დროა,
წვიმა ეხეთქება მინას,
მალე ოთხიც მოვა,
მე კი, საერთოდ არ მძინავს.

ფიქრით მთელ სამყაროს ვუვლი,
ჩემი ოცნებები კვდება,
ქარო, რა შორიდან მივლი,
ხედავ, ყველაფერი ქრება.

ახლა ღამის არის ხუთი,
ნეტავ, სად გამიქრა შვება,
ყელში მეჩხირება ბურთი,
ფიქრი თავისას შვრება.

ვიცი, რომ ვიქეცი მონად,
წლებმა და ფიქრებმა დამცეს,
ღმერთო, დამიფარე ყოვლად,
ღმერთო, ქრისტესავით გამცეს.

როცა განვადიდე გრძნობა,
მაშინ მე ვიწამე ღმერთი,
გულმა მაშინ იწყო დნობა,
გულმა მაშინ მითხრა ერთი.

თუკი სიცოცხლეა წყნარი,
თუკი გიხარია რამე,
მხოლოდ სიყვარულით არი,
გინდ მზე და გინდა მთვარე.

2017



თემურ გოგსაძე

* * *

... მიზიდავს, მხიბლავს, რაც
სამყაროში –
ცოტა, მარტივი და უბრალოა?!
წუთისოფელში,
დროის მადლს – დროში,
არ ვფლანგავ, რადგან სავალალოა!

არ მინდა- ბევრი,
ცოტას-ვჯერდები!
რადგან ამ ქვეყნად,
კარგი- ცოტაა?!
ბოროტთან, ვიცი, ვერ შევჯერდები!
ბევრში კი, რადგან, ბევრი – ცოდვაა!

აღტაცებულის
ცრემლით მასველებს –
გარშემო, რაც კი, ბუნებრივია!
მარტივი, რადგან,
სიბრძნით მეტყველებს!
უბრალო, რადგან,
ღვთაებრივია!

და ღმერთიც,
მერე, მარტივად, მოვა?!
უბრალო, იმ დროს,
ცოტა-ვიქნებით?!
ანტიქრისტესგან –
მოვლენილ გლოვას,
განვეშორებით,
უფლის მიგნებით!

„რაგბი ჩვენი თამაშია!“

კავკასიის მთები გვზრდის და,
ჩვენი ძალაც, ამაშია!...
როგორც იქნა, ხმა აზვირთდა –
„რაგბი ჩვენი თამაშია“!..

საქართველოს სიყვარული,
საქართველოს ერთგულება! –
საიდუმლო, ამაშია!....
დე, იქუხოს, ტრიბუნებმა-
,,რაგბი ჩვენი თამაშია“!!!

მსოფლიოს და ერთა თასი,
ხვალვე, მაღლა, რომ ავწიოთ,
ვერ ექნება, სრული ფასი –
მტერი, პაპის ყანაშია?!
- -
ეს საზღვრები, გადავწიოთ,
ქვეყნის დახსნა – ამაშია!!!
მაშინ ვიტყვით, ვალმოხდილნი –
„რაგბი, ჩვენი, თამაშია!!!

ნაბიჯ - ნაბიჯ, ჩვენს სამშობლოს,
დავუბრუნოთ ძველი რწმენა! –
მისიაც, ხომ ამაშია?!!!
რწმენის ძალის აღსადგენად –
,,რაგბი ჩვენი თამაშია!!!“

მოედანზე – გულით, ცხელით –
სიყვარული – ამაშია! –
დაივიწყეთ, გვარ – სახელი,
საქართველოს თამაშია!...

საქართველოს გამარჯვება-
ერთად დგომის, ძალაშია!...
თავისუფალ ერს ემღეროს –
„რაგბი, ჩვენი თამაშია!!!“
- -
თავისუფალ ერს ემღეროს-
„რაგბი ჩვენი თამაშია!!!“

სიყვარულის ხატი

* * *

ხელისგულზე ვაზავებდი ფერებს...
გიხატავდი სიყვარულის ტაძარს!..
ჩემი თავი, თითქმის დავაჯერე-
ჩავაქრობდი განშორების ხანძარს?!..

გუშინ, ზეცას ვუგალობდით, ერთხმად....
ხვალ კი, უკვე, მოგონება-ვხდებით ?!..
სიყვარულის მზე, გვაჩუქა ღმერთმა...
თუმცა ამას, ძალზე გვიან, ვხვდებით !...

დრო, წამების, ბოლო წამებს მითვლის...
ფერებში ვდებ, ყოველდღიურ კოცნას...
ჩვენი, ნაზი, სიყვარულის მითი,
პლანეტებზე, ვიცი, გაიტყორცნა!!!

ემოცია, გონმა გადაფარა...
ძველმა სიბრძნემ, სევდაც მომიქარგა...
არაფერიც, არ მთავრდება, არა-
იმას ვიძენთ, თურმე რასაც ვკარგავთ !!!

გაიხსნება გზა, იქ, სადაც, არ ჩანს-
უსაზღვროა, რწმენის ანდამატი!...
მთავარია-სიყვარული დარჩა
და ნახატი- სიყვარულის ხატი!!!

სიყვარულის ანარეკლები

* * *

კოცნით დაგიშანთავ-
ნანატრ, ლამაზ სხეულს!...
სულზე მოგიხატავ,
მარტის ყოჩივარდებს..,
რომ ამ სიყვარულით,
სავსე- გადარეულს,
ქვეყნად სხვა არავინ,
აღარ შეგიყვარდეს !!!

მერე ამ წამებსაც,
ტილოდ გარდავსახავ-
სულში შემოვარდნილ,
გრძნობის, პირველ მეკვლეს !..
მარადისობისთვის
ასე, შევინახავ-
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!

- -

მარადისობისთვის,
კრძალვით შევინახავ
ჩვენი სიყვარულის,
ლამაზ ანარეკლებს!!!

თამარ ჯაჭვაძე

ხვალ აღდგომაა

შენ ახლა ჩვენთვის ჯვარზე ევნები,
სიკვდილის შიშით ბოდავს სამყარო...
დგანან მდუმარედ ფარისევლები,
და გცდის ცოდვილი; ღმერთს შეაყვარო!

ვის წვავს სისხლიან შუბლის ტკივილი,
ვის ესმის დედის წამება - გლოვა...
უკვე მიწყნარდა მამლის ყივილი...
უფალი სუფევს, უფალი მოვა!

იმედი უკვე ჯვარზე ჰკიდია,
ვიდგეთ, ველოდოთ, ვზვეროთ შორიდან...
სხვა მნათობები ციდან მიდიან...
და დღის ნათელი ნელა მოვიდა.

და... სიყვარული ღმერთივით არ ჩანს...
ისევ სველია ღია ჭრილობა...
კიდევ რამდენი გამოცდა დაგრჩა,
რომ დაამწიფო კაცობრიობა?!

რომ არ ხიბლავდეს ჩხრიალი ვერცხლის,
რომ არ ჩაწიხლოს მოყვასის რწმენა...
საკუთარ ცოდვებს სამყარო ვერ ცვლის
სიტყვების ტყვიებს ვერ ტოვებს ენა.

განგრევს დუმილი და სიძულვილი...
ქვების სროლა არ დააგვიანო!
ზეგ კვლავ გაჩნდება, ჯვარცმის სურვილი,
ხვალ აღდგომაა, საქრისტიანო!!!

აღსარება

სიცოცხლის ბილიკებს ტკივილით ქარგავენ,
ძალუძს მედიცინას რჩენა იარების?!
გაძლების ნიჭი მაქვს ჯერ დაუკარგავი,
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
როგორ დაცრეცილან ეკვდერის ხატები,
ჟამთა გარდასულთა შუქ-ნაამბორალი,
ცოდვილ სულს სატანჯველს ისევ ამატებენ;
ჯვარცმულის შუბლი და იუდას მორალი.
ბედი ჯოჯოხეთის კარებს მიჭრიალებს,
მომელის სიშმაგე მის შავი თვალების...
და აღმსარებელთა აყუჩებს იარებს;
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
თავს ნუ მოიტყუებ, ნუ დაიტანჯები
და ჩემს დაშინებას ნუ ცდილობ სატანავ,
ყელსაც შემიმკობენ თვითმკვლელი ქანჩები,
შევძელ ჯოჯოხეთის ამქვეყნად ატანა.
ქრისტე, მამაღმერთზე უფრო ლმობიერი,
იცოდა შენდობა ვინაც ჩემდარების,
მოვა, მოიტანოს რწმენაზე ძლიერი;
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
კანდელში კანკალებს იმედი აჩრდილად,
სამყარო ტაძართან დამჯდარა მათხოვრად...
და რწმენის შერყევა ვინც გამიადვილა,
ბორგავს, ფარისეველ სექტანტების ხროვა.
ბინძური მგონია მე ჩემი ტუჩები,
ღვთისმშობლის ხატებო, ვერ გეამბორებით,
ვინ იცის, რამდენი გლოშნით ლაყუჩები,
სხეულში უჩინარ ცოდვათა გორებით...
და ვიდრე საფლავზე მარტოხეს დარგავენ,
სულში შრიალია სველი იარების,
ღვთისმშობლის იმედი გვაქვს დაუკარგავი,
ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.

* * *

ცივი დუმილი მანგრევს გულგრილთა,
შენც ტკივილივით არ დამიამდი...
რა ვუპასუხო, ღრუბელმა მკითხა;
რითი ფასდება ადამიანი?

დედავ, ქართველად აღზარდე შვილი!

მდუმარე შუბლზე მეხს გადაივლებს
კავკასიონი, ფიქრებაშლილი...
დედავ, გაძლება ასწავლე შვილებს,
დედავ, მებრძოლად გაზარდე შვილი!

დღე გვედგა უფრო ცივი და მკაცრი,
დუღდა მდინარე მოკვეთილ თავთა...
თავს არ იკლავდა ქართველი კაცი,
ქართველი კაცი თვით სიკვდილს კლავდა!

არ ჩაიმუხლო, სულს ნუ გაიშრობ,
ცრემლით ჩარეცხე დარდი ფარული...
დედავ, ქართულად გაზარდე პირმშო,
უფლის მოშიში და მოყვარული.

სად მიდის ნუკრისთვალება ბიჭი?
სიმართლეს უყვარს განდეგილობა.
თვითმკვლელობაა გაბედვის ნიჭი,
თვით სიცოცხლეა დიდი გმირობა!

პოპულარობის მკვლელი ბაცილა;
კრივი, შეჯიბრი, ლექსად თარეში...
ერისკაცთაგან ერი დაცლილა,
მზე აღარ მზეობს მზიან მხარეში!

ვიდრე ზამთარი ფოთლებს ჩაგვილევს
ნერგი მიხარე, ვარდად გაშლილი...
დედავ, გაძლება ასწავლე შვილებს,
დედავ, ქართველად აღზარდე შვილი!

ორი ქალი

"14 წლისა მონაზვნად აღმკვეცეს
74 აქ შემისრულდა. რა ლამაზი იყავი ბიჭო!"
ვანის ქვაბების წარწერა.
"გაღმა სოფელში ასკილი ყვავის."
ეპიდემია მოდებულ სოფელში ჩაკეტილი
დედის მიერ კედელზე მიწერილი.

დაგიცოტავდათ ბიჭის აკვნები,
განდეგილ ქალს და მომაკვდავ დედას.
ვით დაიტევდა ბნელი საკნები
სიკვდილის სარძლო ქალების სევდას?!

ვანის ქვაბიდან გაზაფხულს გაჰყვა
მონაზვნადქცეულ გოგოს გოდება...
უკვე სამოცდათოთხმეტის გახდა,
ისევ ის ბიჭი რად აგონდება?!

მთას საკუთარი კანონი იცავს,
ქალი კი არა, ქარიც არ ურჩობს...
კვდება, ახუტებს ტიტველა მიწას
რძიან ძუძუებს, უჩვილისტუჩოს.

იმ გაზაფხულზე სულ პირველ ყვავილს
ქალის ოცნება დახვდება ღრიჭოდ...
"გაღმა სოფელში ასკილი ყვავის."
და... "რა ლამაზი იყავი ბიჭო!"

ჯარისკაცი მწვერვალები

ირყევიან მეხის პირველ შეძახილზე!
როცა მიწას გაზაფხული ეძალება,
ბორიალობს კავკასიის მთაგრეხილზე
თოვლიანი მწვერვალების ელვარება.

მეწყერივით მტერი თუნდა მტერს მოებას
აშინებენ ხმალთა თეთრად ელვარებით...
დარაჯობენ საქართველოს მყუდროებას,
თეთრჯავშანა ჯარისკაცი მწვერვალები.

მე მარტო შენ გეძახოდი

სად დაგეწიო, სად წახველ,
ფიქრებით ნაალერსები...
დავჯექი და სიყვარულზე
ტირილით ვწერე ლექსები.
ჩამოვახიე ცის კაბას
გულისპირს სველი ღრუბელს,
არ ვიცი სად გაინაბა
ეგ ცრემლებგადაუღები.
საით გამიქრი, რა იყო,
ბილიკ-ბილიკ თუ ახოთი...
რამდენმა კაცმა გაიგო,
მე მარტო შენ გეძახოდი.

ლეილა გაფრინდაშვილი

მომნატრებიხარ

მე დავემსგავსე ღრუბელს,
 ცაც ისეთია, მოთოვს,
წარსულში ვმოგზაურობ,
მომნატრებიხარ, როგორ!

მთვლემარე ფიქრით ლექსს ვწერ,
ვიცი, სიზმარშიც ვნახავ,
იქნებ გიბიძგოს თოვლმა
ჩემს მივიწყებულ სახლთან.

დაგემალები თოვლში,
მომძებნი, როგორც მაშინ...
ვეხარბებოდით ფიფქებს
ორი, ცერცეტა ბავშვი.

შემოგვაპარა თოვლმა
სასიყვარულო განცდა,
გავიბუტეთ და, მორჩა...
ჩემი გზა შენს გზას აცდა.

თოვლის ფიფქების ფარფატს
მოჰყვება შენზე ფიქრი,
მოვა, არ მოვა, მოვა...
ისევ ბავშვურად ვითვლი.

დავსგამსებივარ ღრუბელს,
ცაც ისეთია, მოთოვს,
თოვლზე თითებით გხატავ,
 მომნატრებიხარ! როგორ!

მე ფიქრები ვარ

საკუთარ ეგოს ჩავეძიე, ვინ ვარ და რა ვარ?
მე ფიქრები ვარ, ჩემ სხეულში მოხეტიალე,
აზრებს გიხატავთ ჩემივ სულის ანარეკლიანს,
ზღაპრის გმირი ვარ, მეოცნებე, მზის მოტრფიალე.

განა ერთი ვარ? ერთდროულად მიწა ვარ, ცა ვარ,
 ხან ღრუბელი ვარ, ხან ნისლი ვარ, ხან ცისარტყელა,
არ ვარ ღალატი, არც შური ვარ, არ ვარ ბოროტი,
(ნურც თავის ქებად ნუ ჩამითვლით, გადანამეტად).

ხან უგნური ვარ, ხან ვარ ბრძენი, ხან, ისე რა, ვარ
მე ფიქრები ვარ, ხან ჩუმი, ხან ხმაურიანი,
 მეგობრის დარდზე გულნატკენი სისხლის ცრემლი ვარ,
მიყვარს სამშობლო, ოჯახი და ადამიანი.

ბულბულის სტვენას აყოლილი ცელქი სიო ვარ,
ვარ ოცნებებში მაწანწალა მოხეტიალე,
იმ წარსულს ვეძებ, როს ფიქრები ქარმა დამტაცა...
 მეტი შემექმნა, შემეძლო და დავაგვიანე.

მაქვს სიყვარულის მელანი და შიგ ვაწებ კალამს
ერთგულება ვარ, უცილობლად, მადლობა, ღმერთო!
სიყვარულისთვის ფეხაკრეფით ვივლი ამ ქვეყნად,
წავალ და... მინდა თქვენს გულებში კელაპტრად ვენთო!

მოწყენილი გაზაფხული

მზე სხივებს აფენს,
მაგრამ... რა,მერე? ბუუტავს ხალისი,
ეზო მთვლემარებს,
ბავშვების ხმა აღარ გაისმის.
აპრილი ღვივის,
 ტყემლის ყვავილს კვირტი ასკდება,
სახლის კედლებში დრო გველივით მიიზლაზნება.
შეყვარებულებს ო, რა რიგად უყვართ აპრილი,
ახალგაზრდობას გაზაფხულის ყვავილთა ცვენა,
დღეს გისოსებში მოქცეულა გულთა წადილი,
ნეტავ როდემდე? ყმაწვილ ქალ- ვაჟთ ეყოფათ თმენა.
რა დრო დამდგარა, ჟამიანობს მთელი სამყარო,
ტაში, ლოცვა და დაფასება ექიმთა გარჯას,
დღეს ისე უნდა შევკავშირდეთ, როგორც არასდროს,
რომ საკურნებლად, ხელი გვედოს სამყაროს მაჯას!

11 აპრილი 2020წ.

მყარი გალავანი

ჩვენს ყოფას თან სდევდა ერთგულება,
ჩვენს შერწყმას- ქარბუქი, ქარიშხლები
და მაინც, ახლიდან ვიწყებოდე?
მე ისევ შენს აღმართს ავირჩევდი.

ჰო, აღმართს, ძნელ სავალს, წვიმებიანს...
(შემეძლო, მერჩია ხავერდები),
კაცურ ღირსებების ფუფუნებას,
არ ვცვლი ალმასებში, არ ვნებდები.

ფოტომ მეზღვაური ჯარისკაცის,
მაცრემლა, გამხადა მოგზაური,
პირნათელს, ღიმილებს შემაგებებ
ოდეს, ამევსება საწყაული.

ბარტყები ერთგულად გამოვზარდეთ,
იყავ სიყვარულში ფალავანი,
არ ვშიშობ, იმ სახლში, სად შენ სახლობ
მყარი მეგულება გალავანი!

კითხვი ნიშნები

დედამიწა თითქოს აღარ ბრუნავს,
კვირეებს და თვეებს თითზე ვითვლით,
კითხვის ნიშნებს ასპარეზი უდგათ,
აირია სიმართლე და მითი.

დღეს ჩემს სახლში სიჩუმე რომ მეფობს,
არ ჰგავს დუმილს მყუდროების სახლის,
კუთხე-კუნჭულს ეხეთქება სევდა
ხმაურიან ნაბიჯებით დადის.

სასთუმალთან მივიყოლებ დღესაც
დაღლილობით მინავლებულ ფიქრებს,
მოლოდინოთ, რა იქნებ ხვალე ...
ვერ ვისვენებ, ძილიც ღამეს მითევს...

მერე, ზლაზვნით ძლივს მიათრევს სხეულს,
უღიმღამოდ ვხვდებით დილას, უჟმურს
და მოწყენილ ჩემს ციხებურჯ სახლში
ყური ისმენს იმედების ჩურჩულს!

2020წელი აპრილი

პოეტი

ხან სევდა არის პოეტი და ხან გაღიმება,
ფიქრის მორევში მოცურავე სველი კალამი,
ოცნების ფრთები, სიყვარულით თავდავიწყება,
ამოუცნობი საიდუმლო, სულის ფანარი.

ხან ღრუბელია პოეტი და ხან ქარიშხალი,
ხან უცაბედად მოვარდნილი სიტყვის ღვარცოფი,
გულისფეთქვაა პოეტი და სულის ძახილი,
ქალის მანდილი, მტერთა ზავი და წყალგამყოფი.

ხან ვარსკვლავია პოეტი, ცად მოხეტიალე,
მზის ათინათი, მთვარის შუქი, ციცინათელა,
სიტყვის სეტყვაა პოეტი და, სიტყვის მახვილი,
უფლის რჩეული, კაშკაშა მზის ამონათება!

დავიწყებული სალამია ზოგჯერ პოეტი,
ქვეყნის ვარამის მოზიარე, ჭირისუფალი,
თვალსევდიანი ჯარისკაცი, ქვეყნის პორტრეტი,
საძირკველია, ერის ბურჯი და სასთუმალი.

გრძნობის მთავარი არტერიაა პოეტის გული,
ტრფობის, ამბორის, სიყვარულის აგიზგიზება,
ჰქონდეს კალამი, წყალი,პური, მზე, ცა, ჰაერი,
მუზებთან დოღი არასოდეს არ მოწყისნდება.

მიგაცილებდი

ვერ გიმეტებდი, გაცილებდი, არ იყო სხვა გზა,
დარდის ქარიშხალს აეშალა სულის აფრები,
ხვალინდელი დღის შიშის ზარი რეკდა სხეულში,
კბილით მძიძგნიდნენ ტკივილები, როგორც აფთრები.

თვალწინ წარსულის კინოფილმი გადაშლილიყო,
ჩვენს შეუღლების ქარიშხლიან დღეებს ხატავდა,
მთიელერთგულა კაცის უზღვავ სიყვარულისთვის
ნაომარი- ნადიდგულევი შენი „მარაბდა“.

მიგაცილებდი, ცრემლების ზღვა რეცხავდა სახეს,
თავგზააბნეულს ხელს მრჩებოდა დარდი ულევი,
გულზე მეფინა ერთადერთი, იმედის სხივად
შვილები,შენგან ნაფერები, ნაერთგულები.

რა მეგობრობა სცოდნია ლექსს, დარდის მკურნალმა
ამივსო კალთა,სკივრი, სულის საბარგულები,
შევხვდებით ოდეს პირნათელი, იმედს არ ვკარგავ,
თუმცა ამ ქვეყნად არცერთ კუთხეს არ მეგულები.

მზიური დათიაშვილი-აფციაური

უიარაღოდ წამებული სიცოცხლის მიჯნა

უიარაღოდ წამებული სიცოცხლის მიჯნა,
გარდაცვალების უტყუარი საწინდარია...
გაუმართავი მეთოდებით, ვითომდა წინსვლამ,
ჩვენი ცხოვრება შეუმჩნევლად არივ-დარია.

ყველა ფენომენს საკუთარი არგუმენტი აქვს,
და მოაზროვნე დაღლილია მათთან ჭიდილში,
სად სიმართლეა, სივაგლახე, სად კვალიც არ ჩანს,
ზღვრული ყოველთვის გადაზრდილა სხვაგვარ ქილიკში.

თუ სიავკაცე ინიღბება რაღაც ჩრდილებით,
და ან სიმართლეს ეფარება „მზის დაბნელება“.
მხოლოდ მამაცნი მოიმკიან რაღაც ცვლილებით,
დღის სიდიადეს „ღრუბლიანში“ გზა გაძნელდება.

ო, რა ძვირია სივრცისა და დროის ჭოჭმანი,
რა ძლიერია ჭირთა როკვა ცივ სარეცელზე,
უმადურია ყოველდღიურ დარდთა მომთმენი –
ტანწაკვეთილი, გაწოლილი გაკვერილ ცელზე...

და უზუსტობა, საოცარი ნიჭის წარმკვეთი,
გაოგნებული; ლაბირინთის მუდმივი მონა,
თქვენს წინაშეა უტაქტობის სწორი აღმკვეთი, –
საღი გონება – ორჭოფობის არც პწკალის ქონა...

ჰგონიათ ყველას, რომ სჩადიან კეთილ-კაცობას,
ვიღაცის მიმართ, და ის – მათი მონაგარია.
მაგრამ ვაი, რომ ამტკიცებენ თავის ლაჩრობას
მოიმკი იმას? – რაც რეალურს მოუგვარია?

ათასწლეულნი სიკეთისთვის ომებს იხდიდნენ,
ოფლს იწურავდა გუთნისდედა მიწაზე ფიქრით,
ბოროტები კი ბრწყინვალებას იმით იძენდნენ,
როს მონაპოვრებს აქარწყლებდნენ შედგენილ ნიხრით.

რეალურ თვალს ათვლის რაღაც მომენტში,
მეექვსე გრძნობის დახმარებით იძენს სწორ იმპულსს,
სწორი ხედვაა – რეალობის განივ-გამკვეთი,
მოცემულ დროში, როს წარმოშობს სიკეთის ამ პულსს.

ორაზროვანი ცხოვრება ქმნის სიბოროტის ალს,
ერთი მიზანი გასაოცრად კვლავ კეთილია,
ამ სამყაროში, თუ რაიმე ეწერება ქალს, –
საბედისწერო მომავალი? – მოკვეთილია...

ბრძნული აზრია: საქმე შენი – შენი სახეა,
უეკალბარდო გზა არავის არ გაუვლია,
ამ ბილიკებზე დაგებული დიდი მახეა,
მაგრამ გზას ფრთხილნი გასაოცრად კარგად უვლიან...

ყრმობა სიცოცხლეს უმღერის და ცრუა ყოველი,
სავსე სიცოცხლე არ დაგიდევთ ბოროტების ხმას,
მაშინ იწყება განურჩევლად უცხოდ მთოველი.
სიკეთის ველზე რომ გააჩენს, ნაუცბადევ ხრამს.

აღზრდა ძირია და ამ ძირის ფესვთა სიმაგრე,
მორყეულია, თუ ბრძენს ვინმე ჩაეზიარა,
ნაყოფი ხისა კენწეროში მაშინ ივარგებს,
თუ ზომიერმა მდინარებამ ფესვის, იარა.

ძნელია სხვათა აზრით სჯიდე რეალურ საფრთხეს,
ხშირად ბორკილი შეუმჩნევლად გაცვეთილია,
ისე შეჯექი, უხედნავი კვიცი არ დაფრთხეს, –
ყრმათ აღსაზრდელად საოცარი გაკვეთილია...

უფრო ძნელია გახედნილი ცხენის ტარება,
უნდა ეფერო და ეჭვები უნდა უფანტო,
ვაი, თუ სადღაც შეგამჩნია მან გაორება,
ძირს დაგანარცხებს, მოგექცევა, მრუმედ, უტაქტოდ...

ტორეადორად ყველა, მაინც, ვერ გამოდგება,
ნაგიუმაჟარი ხარის რქების ხდებიან მსხვერპლნი,
ბრძენთ შეუძლიათ გმირებივით თავგამოდება,
მიზანთან ახლოს ისწრაფვიან მხოლოდღა კერპნი...

P.S.
თვალით გაზომე, გონებით გასჭერ,
ყველა ცხოვრების მონატრულია,
ბიჯი გადადგი ათჯერ, და ასჯერ,
თან შეამოწმე, გამართულია?..

1989 წლის 9 აპრილი

იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან,
იმ ღამეს ქარი გლეჯდა ხეებს,
იმ ღამეს წვიმა ნელა ცრიდა,
და ცაში აგზავნიდა მხევლებს...
იესოს ჩამოეშვა კიბე,
ემბაზში ნათლობა არ ჭირდა,
მიწას დაბჯენოდა კიდე...

ნათელ, საუცხოო ცაში,
ერთმანეთს მიჰყვებოდნენ ჩვილნი,
ეს ცხრა აპრილი გახლდათ,
ღმერთთან მიფრინავდნენ შვილნი...
სამოთხე ღია იყო მათთვის,
სამშობლოს შეეწირნენ გმირნი!
ეს, თავდადება იყო ქართლის –
მღერდნენ განაწირნი:
რისხვა თავს დაატყდა მიწას
და ეს – მერამდენე მსხვერპლი,
შვილებს საქართველოჲსას
უხმობს ღვთისმშობელის ეტლი...
ტანჯვას, წამებას და გვემას,
სიცოცხლით თავგანწირვა შველის,
ეს გზა სიწმინდეა ღვთისკენ,
ირმის ნახტომია... შველის.!.
ყველა სულს ვარსკვლავი ანთებს
მით გაბრწყინებულა ფსკერი...
ცა არ ეპუება ლანდებს,
ცხვება დამაშვრალთა კვერი...
იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან...
და აიაზმა ადუღდა ცრემლის,
მთავრობის სასახლის წინ
ჯვარცმა აღიმართა,
რუსთაველს სისხლი ბანდა ცხელი!

1989 წ. 09/IV



ინდიკო დოლბაია

ინდიკო დოლბაიას შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, მისი ლექსები კარგა ხანია იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მისი სტრიქონები ეხმიანება ცხოვრებისეულ ურთულეს კითხვებს, სამშობლოს წარსულს, მომავალს და მის შფოთვარე დღევანდელობას, პოეტის მზერა ადამიანთა სიკეთისა და ურთიერთსიყვარულისკენაა მიპყრობილი.

ინდიკო დოლბაია, როგორც სამშობლოს პატრიოტი და საინტერესო წიგნის ავტორი, ახლო მომავალში შესაძლებელია არჩეულ იქნას საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ წევრად.

რედაქტორი:
აკადემიკოსი **ვაჟა ეგრისელი**

როცა ბაღში შაშვი გალობს

როცა შაშვი საგალობოდ
ტოტზე მჯდარი
ყელს იღერებს,
მეც ვჯდები და სიყვარულით,
ვითარც შაშვი
ვთხზავ სიმღერებს.
სიხარულის ფრთა ესხმება
ლამაზ ფიქრებს
და ოცნებებას.
როცა ბაღში შაშვი გალობს
ცა და მიწა
სხივოსნდება.

საქართველოს

ჩემს გატანჯულ საქართველოს
შემართება მართებს დიდი,
რომ იმედით აღდგენილი
არ ჩაუტყდეს რწმენის ხიდი.
არ ისვენებს ჩიტი მტერი
და უცქერის კვლავ მალულად
საქართველოს –
გასაგმირად
დამიზნული თოფის ლულა.

უსიმღეროდ და ულექსოდ

იქ იყო ჩემი სოხანე,
ჩემი სახლი და პალატა
და სულ იქ ირითმებოდა
ჩემი ლექსი და ბალადა

იქ სადაც უზენაესმა
ჩამბერა ლექსის გენია,
უსიმღეროდ და ულექსოდ
დღე აღარ გამიცდენია.

სამშობლოს რომ ვუერთგულო

წუხელ ძილში რომ ვიხილე,
ღმერთმა ცხადად
მომივლინოს.
მუხლმოყრილი ვევედრები
სანთლით ხელში წმინდა ნინოს.

მეც მარგუნოს მაცხოვარმა
„ერის წყლული“,
თუკი წყლულობს.
მრავალ ბრძოლაგადანახად
სამშობლოს რომ ვუერთგულო.

სხვისი ოქროც აღარ გინდა

ნუ უჩივი უქონლობა,
კმარა ის რაც გაბადია.
სხვის სიმდიდრეს გირჩევნოდეს
შენი გუდა-ნაბადია.

ოღონდ შენი საკუთრი
თუნდაც იყოს ერთი ციდა,
განერიდე სხვის ქარვასლას,
სხვისი ოქროც აღარ გინდა.

საკუთარი ეზო-კარი,
შენ გემოზე გაშლი ლოგინს,
მიიძინებ გემრიელად,
არ დაუწყებ ცდას და ლოდინს.

თურმე შენისხვა ყოფილა –
მშობლიური მთა და ბორცვი.
შენს ქალს ლამაზ ბროლყელიანს –
როცა გინდა მაშინ კოჩცნი.

ტერენტი გრანელს

არ ქონდა ბინა,
თავშესაფარი,
ღამეს ჩიტივით გარეთ ათევდა.
და კუთვნილ დღეებს
როგორც მძიმე ჯვარს,
დაღონებული ძლივს მიათრევდა,

„წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე“. –
თქვი, ტვირთის ზიდვა,
როცა გემძიმა.
შენ უკვდავებამ მაინც გიპოვა,
თუმცა ჩითივით გარეთ გეძინა..

სანამ

დრო მოვა და განშორებას
ჩამორეკავს ზარი.
ნასათუთევ ჩვენს სიყვარულს
გაუჩნდება ბზარი.

და ჩვენ დარგულ სიცოცხლის ხეს
ჩამოტყდება ტოტი.
ტყეს კივილი ჭოტის.
სევდის ქარი გადაუფრენს
ჩვენს ატმებს და
იფნებს.

დაემსხვრევათ ბროლის ფრთები
ოცნებებს და ფიქრებს.
მიწის მკერდი გაიჭრება
და იქნება გლოვა.
სულ გვიყვარდეს ერთმანეთი
სანამ ის დრო მოვა.

შუა ხორგა

მე ხორგაში დავიბადე,
მიყვარს მისი მინდორ-ველი.
ხობისწყალის ადიდება
ახლაც მაკრთობს შიშისმგვრელი.

შემოდგომა ისევ მოდის
და ყანებში ჩალას ჩალავს.
შაშვები და მწყერჩიტები
შესევიან პარას ჭალას.

მოვედი და ისევ აქ ვარ.
რადგან ღმერთმა ეს ინება.
გაყოლია სიყმაწვილე
ხობისწყალის ჩქარ დინებას.

წუთი არ უნდა ავის ქმნას

წუთი არ უნდა ავის ქმნას,
კარგი იკითხე თორემა –
ასე მიამბო ერთხელა
ღარიბმა,
არრას მქონემა.
სხვის კარში შურით მზირალი,
წაიღოს
გეზელ-ქორებმა.
გული მომიკლა მოხუცის
სახლმა და
ღობე-ყორემა.

ჭყონდიდი

ებრძოდა ქარს და ქარიშხალს
ხე მარტოხელა,
ეული.
და მაინც იდგა ამაყად,
ძალღონე გამოლეული.
თოვლით,
ყინვით და სიცივით.
შებმოდა ქარი – აშარი. და მაინც ვერაას
აკლებდა,
შავი დღეების ლაშქარი

ტირიფი

თმაგაშლილს და მგლოვიარე
არ გშორდება შავი ფიქრი
და ფოთლებიც ფიქრებივით –
ქარიშხალთან სადღაც მიქრის...

დგეხარ წყლისპირ მოწყენილი,
გულზე ხელებდაკრეფილი.
თუმცა ციდან გიალერსებს
ოქროს წვიმა და ზეფირი.

რადგან ღმერთმა ეს გარგუნა,
ასეთია შენი ხვედრი.
და... შენ მაინც აღარ ტირი,
და... შენ მაინც ბედს არ ყვედრი.

ასეა წუთისოფელი

წლები ჩიტივით გაფრინდნენ,
ჩამომათოვეს ჭაღარა,
კაცი მზეს მიფიცხებული
აღარ ივარგებს,
აღარა.
ასეა წუთისოფელი,
გვატირებს...
და არ იტირებს,
ჩვენი დღეები ტივივით.
მიაქვს და
მიატივტივებს....

აპრილის თვეში

(ჩემს დას ვალენტინას)

ადიდდებიან მდინარეები –
მთიდან ჩამოაქვთ
ქვა და ლოდები,
ხელებს უბორკავთ წვიმა და თქეში.
გაზაფხული კი წინ ელოდებათ
დაბადებულებს
აპრილის თვეში...

შარიშურობენ სოსნები

მარტის თვე მოგვიჭკვიანდა,
ტყემლები თეთრად შემოსა,
რარიგ უხდება ბუნებას,
თეთრი მანტიით შემოსვა.

ამწვანდა მინდორ-ველები.
დამზრალი მიწა აფუვდა.
ფუსფუსებს მუშა ფუტკრები,
მდინარეები აქუხდა.

მწყემსისალამურს აკვნესებს,
მოისწრაფიან ფრთოსნები.
ბაღში ატმები ლაღობენ,
შარიშურობენ სოსნები.

ჭიჭე ტურა

ერთხელ მელა,მელაკუდა,
დაეძებდა სახრავს ტყეში.
ციბრუტივით ტრიალებდა,
ვერ აეღო მსუნაგს გეში.

დაღლილსა და მშიერ-მწყურვალს,
ღალატობდ ალბათ ალღო.
ციყვმა ხიდან ჩამოსძახა:
ცემით უნდა ჩაგაძაღლო.

დღე და ღამ რომ დაწანწალებ,
ამოგიწყდეს ზნე და ფესვი.
მელაკუდას ჩაეცინა:
– „ჭყალა მუთუნს ვანიშნერსი“

ღობე-ყორე მიცუნცულებს,
კუჭდამწვარი ჭიჭე ტურა.
არსაიდან არ ჩანს შველა
შქირენულო ელუ ღურა.

დაიძინე მშვიდად

ავთდანდილ დოლმაიას ხსოვნას

მაგონდება ამაზრზენი
თვალთა შენი სევდა,
შენ კვდებოდი,
ზამთრის დილა
თეთრ ფანტელებს ჰფენდა,
სადღაც,
შორეთს მიილტვოდი,
თვით არ იცისაით,
ჭერი თავზე გენგრეოდა –
უითა და ვაით.

ნაადრევი იყო წასვლა,
ცოტა მოგეთმინა,
იმ არეულ ქვეყანაში,
ალბათ მოგეწყინა.

დაგხვდებოდა შენ იქ ძმები –
ოთარი და ჯოდო.
მე კი ისღა დამრჩენია
ცრემლი მოგაწოდო.

ბრუნავს ქვეყანა

ისევ იცვლება
ზამთარ-ზაფხული,
ისევ ყვავიან ორქიდეები.
სიკვდილი ისევ მოგვდევს ტიალი.
სადღაც მიქრიან
ჩვენი დღეები,
ბრუნავს ქვეყანა....
და ცხოვრების ჩარხი ტრიალებს....

ბიჭო სესე

ადე,
თვალი გაახილე,
ჩიტი გიხმობს:
„კაფე-თესე“,
ცხვარიც მთაზე გაშლილა და
შენ მოგელის,
„ბიჭო სესე“,
ჰა,
დაიჭი ლერწმის ღერო,
ჩააბარე და აკვნესე.

გიხსენებს მთელი სოფელი

ფედოსია (ბაძუნია)
მირცხულავა-დოლმაიას ხსოვნას.

ვით დედა მშობელს მუდამ გიგონებ,
ჟამთა ბრუნვაში ნირშეუცვლელი
და გულით გიძღვნი ლექსის სტრიქონებს,
რომ დამიმშვენოს
წიგნის ფურცელი.
დღე უამური და ფერმიხდილი
არარაობის ქარმა მოდენა,
ვერ აიტანე შვილის
სიკვდილი,
უკან გაჰყვა მოულოდნელად.

და ჰა, მას შემდეგ
წლები გადიან –
ამქვეყნიურის უარმყოფელი.
ჩემო მშობელო,
ჩემო გადიავ,
გიხსენებს ჩემთან მთელი სოფელი.

ცის და მიწის გასაგონად



ვუძღვნი საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა საქართველოს“ პრეზიდენტს, სახალხო სიტყვის ოსტატს, ქართული პოეზიის რაინდს, „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულის ავტორს, პოეტ აკადემიკოს ვაჟა ეგრისელს.

პირჯვარს უნდა ვისახავდე
და დღედაღამ ვლოცულობდე,
ბატონ ვაჟა ეგრისელის
სახელს, ვით ღმერთს ვფიცულობდე,
მგოსნის მშობელ კოლხურ მიწას
ვუდიდებდე რძიან ფესვებს.
ცის და მიწის გასაგონად
ვღაღადებდე მის წრფელ ლექსებს.
რადგან სიყვარულით ბევრჯერ
მან მიქცია ფქვილად ქატო
სად წავიდე,რა ვიღონო,
ამაგი რით გადვუხადო,
ოქრო-ვერცხლი მე არა მაქვს.
(თავის ქება არ ღირს კიტრად)
არც იმედი გამაჩნია,
ვინმე მომცემს ტახტს და სკიპტრას,
მინდა მარად ვუგალობდე,
მის მაღალ მზეს,
და მის დილას
სხვა რაღა მაქვს ლექსის გარდა,
ვუძღვნი ამ ჩემ ნაცოდვილარს.

ნუშის ხე

აფეთქბული და მოყვავილე
ერთი ბებერი ხე მედგა ნუშის,
მასთან ახლოსაც ვერ მოვიდოდა
ტყემალი რაა,
ალუჩის ბუშიც.
წლეულს შეაჭკნო გვალვამ ფოთლები,
დაუდგა ჭამი –
ყოფნა-არყოფნის,
და ახლა ვუმზერ და მენატრება
ჩემი ნუშის ხის
ტკბილი ნაყოფი.

ზღვა და გრიგალი

ჩამოინგრა ჩამოიმსხვრა
ზანზარებდა ცა და მიწა,
ცა უსხივო, შემურული
ჭვარტლიანი ღამე იწვა.
ტალღა ტალღებს შემსხვრეული
ბუყბუყებდა ზღვა უძირო
მწუხარე და სევდიანი
ბნელში იწვა ის უძილო.
გრიგალი არ ეშვებოდა,
საშინელი იყო ღელვა
ფარღალალა ღია ცის ქვეშ
ანათებდა წყვდიადს ელვა.

ელვა

საცა არის გაწვიმდება,
იკლაკნება
ცაში ელვა.
სეტყვას მალე წამოუშენს
და ატყდება ზღვაზე ღელვა.
ხედავ?
ერთმა მებადურმა,
კვლავ აუშვა თეთრი აფრა.
მერე უცებ,
სიზმარივით,
ზღვის ტალღებში უცებ გაქრა.

მე და შენ

ელვა ღრუბლის აპობს სისქეს,
ხმა ათრთოლებს
ჩანგს და ებანს.
მე და შენ კი ვზივართ ხის ქვეშ,
კენწეროზე –
მთვარე ჯდება.

ვაზო უხსოვარ დროისა

ღვთიური ხელით-ნაზარდო,
ნაკურთხო მამა-პაპურო,
მტრის რისხვას გადარჩენილო
და ოქროს ცვარნამნაპიკურო.

მარგალიტებით შემკულო,
ვაზო უხსოვარ დროისა.
მაამებელო სულისა,
ყელმოღერილო ბროლისა.

ვაი, ნანა, სამეგრელო

მეხუთე ლაშქრობა სამეგრელოში.
ვინ გატკინა გული ჯიმა,
ვინ შებილწა
სიდიადე
ჩვენი კერის.

ვაი, ნანა,
სამეგრელო
ბანდიტებმა გათელეს და.....
ძველებურად „დიდოვ ნანა“
აღარ მღერის.

მამულო ჩემო

თუ ჩემ სიცოცხლეს ზვარაკად
ითხოვ,
შენი მსხვრეპლი ვარ,
თოკით მიბმული შენს დედაბოძზე,
აწ და მარადის შენზე ვილოცებ,
ოღონდ მამულო,
შენ კარგად მყავდე,
ოღონდ მამულო,
მარად იცოცხლე...

ზამთარი

ფერი იცვალა ბუნებამ,
არ ხაროობს მინდვრად ყვავილი,
საკვებს დაეძებს ბეღურა,
ისმის ნახირის ბღავილი,
ყინვა თანდათან მატულობს,
აბოლდა საკვამურები.
გულზე გადნება ღადარი,
ბუხარო, საამურდები.

იმერეთში

ციცქნა ნიავი
ბაღჩა-ბაღებს
ალერსითუვლის,
ყვავილთა ზღვაში იმერული
დგანან ოდები.
მე რა ვქნა, კარგო!
სუნთქვა მეკვრის,
ცახცახებს გული,
როცა მეძახი,
ან როდესაც
მიახლოვდები.

მუხა

ზამთრის სუსხს შეუსუდრია
ხე,
მარტოსული,
ეული.
მაინც მხნედ დგას,ამაყად,
ძალ ღონე შემოლეული.

სიცივით აკანკალებულს,
ქარიც შებმია აშარი.
თავს დასტყდომია საცოდავს
საავდრო ღრუბლის ლაშქარი.

მანანა კორძახია

და თუ ერთხელაც გამოიდარებს

უკვე დაზამთრდა სულშიც აცივდა,
და თუ ერთხელაც გამოიდარებს
მე გავუყვები ჩემს ნაცნობ ქუჩას,
სადაც ოდესღაც დამრჩა სინათლე.

დღეების სუსხი გაბმულან ყველგან
აისი ბრწყინავს ჩემგან ძლიერ შორს,
და თითქოს ახლა სერაფიტების
ცრემლები აწვიმს ქალაქს და მიხმობს.

უკვე დაბინდდა, სულშიც აცივდა
და თუ ერთხელაც გამოიდარებს,
მე გავუყვები ისევ იმ ქუჩას,
სადაც ოდესღაც გავიზაფხულე.

ახლა

ახლა ეს მთვარე ისე მანათებს
თითქოსდა გრძნობსო ჩემ გულის ნადებს.

ახლა ეს ღამე ისე მდარაჯობს
თითქოს მე ტყვე ვარ სამარადჟამოდ.

ახლა ეს გული ისე მარტოა,
როგორც ნიკალა სარდაფში როა.

ახლა მე ფიქრი შენზე მაწვალებს
ვერ მოვიცილე ვერსად გავაგდე.

ახლა სიჩუმე მე ისე მწამლობს
არაფერს ვითხოვ ამის სანაცვლოდ.

ახლა ეს ლექსი ისე მამშვიდებს
თითქოს დრო-ჟამი უკვე მაცილებს...

საუკუნის დონკი ხოტი

ქარის წისქვილებს ვებრძვი დღე და ღამ
ქარი აშარი ჩემი სტიქია,
მე ამ ცხოვრების დონკი-ხოტი ვარ
საით მივდივარ ვერ გამიგია.

მე უხილავი სხივი მომიხმობს
თითქოს ზრუნავსო მისებრ ვბრწყინავდე
შემოიჭრება გულის კუნჭულში
და ყველა ნაღველს გამიცამტვერებს.

მერე ჩემს ცრემლებს თვალთა უპიდან
ვით ბრილიანტის მძივებად მიქცევს,
მომიალერსებს როგორც გრძნეული
და სამარადისოდ მისკენ მიმიღებს.

ქარის წისქვილებს ვებრძვი ქარდაქარ,
როგორც მიჯნური ისე მამშვიდებს;
ამ საუკუნის დონკი-ხოტი ვარ
და სხვა სტიქიებს ვეღარ გავუძლებ...

დ რ ო ე ბ ი თ

შენს ბილიკზე გავანათე დროებით
მერე ისევ გავუყვები ქუჩას;
როცა წავალ დასრულდება ეჭვები
და ტკივილი თან რომ მახლდა მუდამ.

გაგინათე შარა ლამაზ ფაბრებით,
მოირკალა ცისარტყელას გამა.
და პეპლები სიხარულის ფერებით
გახსოვს, როგორ დაფრინავდნენ ჩვენთან.

შენს ბილიკზე ვარსკვლავები ვაბნიე,
მთვარის შუქი მაყოლებდა მზერას,
და მღეროდა სერენადას ჩურჩულით
სიო ნაზი მონაბერუ მკერდთან.

შენს ქუჩაზე ჩირაღდნები დავანთე
გაგინათე მისასვლელად კარი.
გულის კარი ვერ გაგიღე ვერასდროს,
და ამისთვის იცოდე ნუ განმსჯი.

აირია უცებ ირგვლივ ამინდი
სიხარული მიმოჰფანტა ქარმა.
და დღეები საათები ძვირფასი
ლამაზ წარსულს მოგონებად დარჩა...

პ ა ტ ი ე ბ ა

მოდი დავივიწყოთ წყენა
ახლა გაზაფხულის მჯერა
სიო მონაბერი ნაზად
ალერსს ამბორების ჰფანტავს.
ყველა ტკივიკები ძველი
თოვლის ფანტელივით დადნა.
მჯერა, ერთხელ კიდევ მოხვალ,
ვიცი, უსათუოდ მნახავ.
მოდი დავივიწყოთ წყენა,
სადღაც უსაშველოდ ბნელა,
სადღაც ჭოტი კივის მწყრალად,
მე კი ლამაზ სიზმრებს ვქარგავ.
მოდი დავივიწყოთ წყენა,
ახლა გაზაფხულის მჯერა,
თორემ სიო მეტყვის ჩუმად,
როგორ მოგენატრე უმალ.
და თუ მიბრაზდები მაინც
და ვერ მაპატიე წყენა,
მაშინ მე მოვირბენ ისევ
შენი სახლის ახლოს სკვერთან.
ვიცი, გაზაფხულის მჯერა,
სურნელს რომ მოაფრქვევს ირგვლივ.
მაშინ იმედების წყებას
გული ვერ გაუძლებს ვიცი.
შენი მორთმეული ყავა
ისევ გამიცივდა ფიქრში,
ნუღარ იბუტები კარგო,
უკვე გაპატიე გულში...

ა ბ ხ ა ზ ე თ ს

აბხაზეთო, ლამაზო, ჩემო ტკბილო ოცნებავ,
როგორ მინდა გიხილო, ნეტა თუ მეღირსება?

გაგრა, ჩემო წალკოტო, ვერ გიცილებ თავიდან
ცხადში ვარ თუ სიზმრებში შენს ქუჩებში დავდივარ.

მახსენდება ყოველი როგორც კინოკადრები,
მანდარინის ბაღებით დახუნძლული ხეები.

ჩემი სკოლა პირველი რუსთაველის ქუჩაზე
„უნივერმაღს“ ვიხსენებ, კინოთეატრს „პლიაჟისკენ“.

ძველ გაგრისკენ პროსპექტზე ულამაზეს პეიზაჟს
მაგნოლიის სურნელს და ზღვის ტალღების მლაშე ქაფს.

აფხაზეთო, ლამაზო, ჩემო ტკბილო ოცნებავ,
ცხადში ვარ თუ სიზმრებში შენს ძებნაში დავღლილვარ.

ხელოვნების სამყარო

პლანეტებზე დავქრივარ,
არ მწყინდება არასდროს
და მუზებიც გიუმაჟი
დამყვებიან მუდამ დროს.

ვმოგზაურობ ღამესთან,
მასთან ვიყოფ სარეცელს,
მთვარე მარწევს სათუთად
და მიუღერებს მის სონეტს.

ღამე ვსტუმრობ ვარსკლავეთს
სტუმარი ვარ ზეცისა.
მე სხვა გალაქტიკის ვარ,
მიწის მხოლოდ მტვერი ვარ.

ვერიდები ბომონდებს
„ელიტარულ მაქციებს“
ნამდვილად არ მაღელვებს
და სხვა უფრო მამშვიდებს.

წავიკითხავ მრავალჯერ
ბაირონს ან ტიციანს
და შექსპირის სონატებს
გზად მოვფანტავ მადლიანს.

შემდეგ ვნახავ შედევრებს
ჯადოსნური ფუნჯისა,
მათი ცქერა ვერ მომღლის,
შვებას მომცემს სულისას.

მერამდენედ მოვუსმენ
ბრამს ვივალდს და სალიერს,
და ჯოკონდას ღიმილი
გზაზედ გამომაცილებს.

ხელოვნების სამყარო
რჩება ჩემთვის ერთგული
და ჰანგები შოპენის
დამაქროლებს მოლბერტით.

მე სხვა გალაქტიკის ვარ
გგონიათ რომ კარგი ვარ?
მხოლოდ მიწას ვერ ვგუობ,
სულ ზეცისკენ დავფრინავ...

ფერონია თურქაძე

* * *

მე რომ გაფრენა არ მიწერია,
ეს სიცივე ნეტავ ვისი ბრალია?
ფიქრები მიდიან, სიტყვები წარსულის მოგონებას ემსგავსებიან...
ქუჩაში თოვს, გაცრეცილი ნისლია, ქალაქი დუმს...
ფიქრებში გახვეული მივდივარ.
სიჩუმე ქუხს!არეული დროის ბრალია, ხალხი რომ წუხს...
გამოვამჟღავნე გრძნობები და ასე მგონია, განვეშვი დროს ,
დასამტკიცებლად ცხელა და ძალიან თოვს!

* * *

სანთლად ქცეულა ეს სიყვარული,
თანდათან იწვის,თანდათან ქვრება,
მე კი ცეცხლი ვარ ამ სიყვარულში,
ტანჯულმა თავი ვასტუმრე ზეცას...

ო... სიყვარულო, სანთლად რომ დნები,
შენ ჩემ ხელებში რატომ არ ტკბები ?...
ო...გრნობავ ჩემო დაღლილო, მთებში,
თავს გიმშვენებენ ქუჩაშიც სხვები...

აღარ დავეძებ, ლერწამი ვხდები,
გაშლილ ტოტებში წვიმაღა მერწყმის,
აქაურობას შესძულდა ღელვა ...
აქაურობამ ინატრა შვება!

არ მკადრულობდა ჩიტი მე მზეში!
არ მკადრულობდა მიმინოს ფრთები!
არ მკადრულობდა ქარი...მე ქარშიც ,
უკადრისობამ იმძლავრა ჩემშიც!

* * *

სიმშვიდე დარჩა, სიმშვიდის შემდეგ,
აირევიან ღმერთები ისევ,
ჰერესს დაჰკრავენ ძვლებს და მახვილებს,
იუდას მხოლოდ სატრფო აღვიძებს.
შენში ისევ ჩანს მძინარე ბავშვი,
ვენერა ხდება სამეფოს კარი.
სიყვარულს ვერ ავსებს სითბო...
სითბო,რომელიც გაცივდა თითქოს.
ზეციდან ხმა ისმის კედლების ნგრევის,
სამოთხის თაღებს დაედოთ ფერი თეთრი...
ჩუმი, ნაზი და სველი,
სურნელი დგება ედემის ბაღში
გიუნგაპადად მაქცია ბედმა,
წოდებული ვარ ქარიშხლის ღმერთად...
სად წაგიყვანო? ცეცხლია ყველგან!...
მუსლიჰაიმში იშლებიან გზები,
იქ მხოლოდ ცეცხლია, ერთი ფერის!

* * *

ვარ შექსპირი და პოემას გიძღვნი შენ!
ვარ პიკასო და ფურცლად გხატავ შენ!
ვარ დავინჩი და ყველგან ცად გძერწავ მე!
ვარ ნილოსი და ეგვიპტეს გჩუქნი შენ!
შენ ზევსის ცოლის წოდება მიბოძე
და როგორც ზევსს, გული ისე გატკინე,
ოლიმპოს მთაზე ცეცხლი მაჩუქე
და მე იმ ცეცხლით ყველა განვკიცხე.

* * *

ლურჯი ცა და მწვანე მინდვრები,
უსიყვარულო შენი სიტყვები,
ხმამაღალი და მდუმარე სახე
თავს მანატრებენ თვალები სავსე...

შემომეხვია ტკივილი შენი
და სამუდამოდ განვეშვი ფიქრებს,
აღარ მახსოვდა დღეების სიგრძე...
ყველა მუზეუმს ეწერა თავზე –
„დაკეტილია, გვესტუმრეთ მარსზე“.

ირონია და გამხდარი სევდა,
გაურკვეველი ფიქრების ცქერა...
არეული და მტვრიანი სახლი,
უსიყვარულოდ დამტკბარი ხალხი,
თავს იმშვიდებენ წარსულის მადლით.

* * *

ცაზე თითქოს მართლა ღამე აღმოხდა.
ყველა ფიქრი სიმშვიდეში გამეფდა,
ეს საღამო დაწყებული არც იყო,
როცა სულით ჩემი ლოცვა წამოგცდა...

სიმშვიდეში იშლებიან ფერები,
ცას ფარავენ მიწიერი ვნებები...
ცაზე თითქოს ვარსკვლავებიც გამოჩნდა,
ღამემ თითქოს ჩემი სევდა დამალა.
მზეზე ძლიერ შევიყვარე ნათება,
უხილავი, თითქოს გარდაცვალება.

* * *

თოვლის ფანტელები ეკიდებიან გაზაფხულის ხეებს,
რა საოცარი სურნელია და ლურჯი ზეცა,
არა, უფრო თეთრი და ღრუბლებში ცივი სევდა.
თოვლია და თოლიები მღერიან,
რომ ვერ ვიგებ, მათი ენის ბრალია...
რომ ვერ ვიგებ, ხომ არ ნიშნავს, არ მესმის...
მე მესმის და მთელი დღეა, აქ ვდგავარ!

გერმანე საზანოელი

მე შენ და აპრილი

გრძნობას ზეცაში ღრუბლად ნაჭედებს,
ზნეს რომ უხდება გაკეკლუცებად,
მზევ ჩემს საფიქრალს ისე აჭენებ,
ვით ალექსანდრე ერთგულ ბუცეფალს.
გრძნობის სადნობი, მეტრფი და მიხმობ,
არასდროს გითქვამს, მორჩი, რთულია,
მოკაზმულია საარემარო,
და სადარდოში მოჩითულია.
მე ვენაცვალე აპრილის თვალებს
აპრილის თვალებს თბილს და ვნებიანს.
როგორ წააგავს სურნელით ქალებს
და სამაისოდ, აივნებიანს.
რამდენი თოვა, რამდენი თქეში,
ეხლა მარტიც კი შენთან ჩაის სვავს,
მწამს შეგიყვარდი აპრილის თვეში
და ფიქრმაც კოხტა გულში ჩამისვა
ბოლომდე ვადნოთ ჩემო სიცოცხლევ,
მცირეც არ დაგვრჩეს დარდის ხურდებად
ვიდრე საფერე, კვირტთა სინაზეს,
მაისის მზით არ გაუხუნდებათ.
მრავალ ბრმა სიტყვას სულში ნაჭედებს,
მზეს რომ გიხდება გაკეკლუცებად,
მზევ, გაზაფხულეთს ისე აჭენებ
ვით ალექსანდრე ველურ ბუცეფალს!

****

ერთადერთი ხარ ტრფობად ვინც გაქე,
ყვავილს მოგართმევ თავის მთიანად,
მე შენს გარეშე ვსუნთქავ იაქეთ,
ბგერობ, ფრჩხილიდან თვალ წარბ,
თმიანად.!

რწმენა გადაგვარჩენს

იარე ქვეყნად და უალერსე,
ხატ-ღმერთის წმინდა სივრცის ბილიკებს ,
ყველა ცოდვაში ეძებე ,,არა"
ნუ ჰყვები სიტყვას შენ, ნაქილიკებს.
იშოვნე ფული,ვხედავ მოირგე
შენაწირებით სუფთა სახელი ,
კი დღეს ეს საქმე არ გახლავს რთული,
მაგრამ ღმერთისთვის შენ ხარ ბრმა ხელი.
თუკი აგრძელებ მაინც სიბეცეს
მლიქვნელობ, ისევ ეტრფი მათ ხროვას,
გახსოვდეს შენზე სუფთა სული აქვს
კი ზარმაცს, მაგრამ ბოლო მათხოვარს.
ბევრი შეცოდე ? ბევრი იწამე !
ააჩუქურთმე გამოსწორება,
სხვა ვერა შველის ეხლა იმ წამებს,
გამოიძერწე რწმენის გონება.
იარე ქვეყნად და უალერსე,
ხატ-ღმერთის წმინდა რწმენის ბილიკებს,
ყველა ცოდვაში ეძებე „არა“
ნუ ჰყვები სიტყვას შენ, ნაქილიკებს !

მენატრები

მბეჭავი არ ვარ, მხოლოდ შენ ვერ გშლი,
და სატრფოეთის ლექსით მდის დარი,
მენატრები და ეს გრძნობა შემშლის
მხოლოდ შენთან და შენთვის მდინარი.
შებოჭვით მომაქვს აგვისტოს სიცხე,
მედილეგედ ვგრძნობ სიშორით შენს სულს,
მსურს მოვანგრიო მგრგვინავი ცხე,
ნუ დარდობ თუ მთოვს ფიქრებში შესულს.
ჩვენი მეჯვარე ნიავი მოვა,ნიავი მოვა ჩემზე
მეზარე,
მიწას მიაყრის ცრემლსა და გლოვას,
მოაფრთოსანებს, ჩვენს დარს მგზნებარევ.
ულამაზესო, ღვინით დაგლოცე,
მქროლავი გახლავს დღეს მეინახე,
ქარიშხალი მაქვს, რითმებით გკოცნე,
ლექსად მას ვატან და შეინახე.
შემოიფრქვიე გრძნობის ჰამბალი,
შენთვის და ჩემთვის დიდ მემარხულევ,
მალე საცრემლოც სევდად დამბალი
გამოიდარებს, მეგაზაფხულევ!

ემიგრანტებო!!

დიდი სიყვარულით.

თქვენი ბგერა, ჩემი ცრემლი,
მიჰქრის, სევდის ნავს ახლავს,
მიჰქრის აუყვავოს ველი
ატირებულ ნასახლარს.
გენაცვალეთ, გენაცვალეთ,
მშობლიურ გენს მომენდეთ
გენაცვალეთ, წვეთს ზღვა ცვალეთ,
ვიცი, მაგრამ როდემდე?
დავიწურე ყურძენივით,
არც დადუღდა იმედი
ყველგან ესმის ყურს ბრძენივით,
აქ ჭირდებით შვილს დედი.
მოვესწრებით ხსნის ამოსვლას
დაღუპვა ვის სურს ენის,
ჩემს კალამს და ჩემს გამო სვლას
არევია სურნელი.
ასაკიც რომ კრთის და ელავს,
თან გახსენებს ვინა ხარ,
შთამომავალს, ერთად ყველას,
ღმერთო ვინ შეინახავს.
გეფერებით ემიგრანტებს,
დებს და დედებს, დებო, დეე,
სულგრძელსა და მძლე ტალანტებს,
და მართლაც მსურს, ვცდებოდე.
ტყვია ჰქვია, ტყვია თოფის,
უადგილო რჩენის გრანტს,
„მწვანე“ მხოლოდ ავადმუოფის
მეპატრონე ემიგრანტს.
ნალექივით მოვიფანტეთ,
ვქარიშხლობთ და ზვარს ველით,
აქ გიორგით მოდის დანტე,
მოჩიავდა ქართველი.
უსაშველო დაგვემართა,
მოლაყლაყე ქულებით,
რაც გვქონდა და რაც გვემართა
ყველა მიმართულებით.
ჩემი ბგერაც, თქვენი ცრემლით,
სევდით სავსე ნავს ახლავს,
ნუ დავარქმევთ საქართველოს,
სხვის კერძსა და ნასახლარს!!

****

ქალის სახება შეიძლება იყოს ბრწყინვალე,
სხივასხლეტილი დაგაბრმავოს მისმა ნაკვთებმა,
სამწუხაროა სული სხეულს თუ სდევს მყინვარე
შეხედულება ამ თბილ გრძნობას სწრაფად აკვდება!

ფერდობი რომელიც მე დიდი მეგონა

რა მცირე ყოფილა თურმე ,
არ ვიცი რომელი ვატყუებთ ერთმანეთს
ის ჩემი აღმართი თუ მე.
ორმოცდამეათე გაზაფხულია და
ორმოცდამეათეს ვეტრფი,
და კიდევ აწი მე ან რამდენს გავუძლებ,
ან რამდენს მიყვარხარს ვეტყვი.
ვინ მოთვლის ჩემსავით რამდენი ყმაწვილი
ებრძოდა ამ სოფლის კიდეს,
და შემდეგშიც მრავალი უიღბლო კვლავ მოვა
და კიდევ კიდევ და კიდევ.
უამრავი გზა გავთელე
მე მცდარად, უაზროდაც ვფლანგავდი წამებს,
და თავს ვეკითხები უკან რომ დავბრუნდე
ნეტავ თუ შევცვლიდი რამეს ?
არა და არაო, არა და არაო,
არ ვგავარ მე ჯავრის ნამწვავს,
ამ ასაკშიდაც კვლავ ბიჭის გული მაქვს
კვლავ ბიჭის გული დამაქვს, ამ წამს.
ასი წლის რომ ვიყო ვერაფრით დამაბერებ ,
ჩემო მტანჯველო წლებო,
თანაც წლის სიცოცხლე ჩემთვის ხომ ათს უდრის
თქვენ, ჩემო დებო და ძმებო,
მოვდივარ სიმღერით და მოვდივარ ხალისით,
მწვავს სიყვარულის ცეცხლი,
არ მინდა ოქროდ და ბაჯაღლოდ დინება,
მსურს თავისუფლება მერცხლის.
რომ სადაც ვისურვებ
იმ მხარეს გავფრინდე,
მასავით გავშალო ფრთები,
რა არის სიცოცხლე თუ ლომი არა ხარ,
ჩირგვებში ზიხარ და ფრთხები??
ცხოვრება ისედაც ძალიან მცირეა
მიდის და მივყვებით მძიმედ,
საჩემო ფერდობო რა ცოტა ყოფილხარ
მაინც ვერ მიწბილებ იმედს!

ლეილა ვადაჭკორია

ვერ შევადრი

* * *

აქ, მთებს შორის ჩაქარგულა,
ნისლის კვალი,
მწვანე მდელო მოუხატავს
ფერთა გამას,
წამით შევდეგ,
უჩვეულო შვება ვიგრძენ,
აქ, დღეები ვერც გაიგებ,
ისე გავა...
თუმცა მუხლი აღარ მიჭრის,
ძველებურად,
გული მაინც მწერვალისკენ,
მიწევს მაღლა,
აღმართს ვუტევ, წინ მივიწევ,
ნაბიჯ-ნაბიჯ,
მივიწევ და სიხარულით,
ვერ ვგრძნობ დაღლას.
ავაღწიე გადმოსახედს,
დავდგი ფეხი,
ღმერთო ჩემო, სილამაზემ
დამატყვევა.
დაილოცოს შემიქმედო,
შენი მადლი,
ვერც ერთ ნახატს,
შენს შედევრებს,
ვერ შევადრი.

* * *

კაცმა ჭიანჭველას,
ფეხი დაადგა და...
შნდობა ითხოვაო,
ღმერთო, ამრავლე
ის წმინდა კაცი,
ამრავლე ღმერთო.

ზურგის ქარი

იცი? ვერსად მოვისვენე,
მოვიოხე გული ვერსად,
ვერ ვიპოვნე ის ადგილი,
რომ ვთქა აქ კი ფერი-ფერსა.
გაუღიმებ, გამიღიმებს,
ვით მოვიხადე ვალი,
მე ნაპირთან დავრჩი ალბათ,
თქვენ კი ყველას ზურგის ქარი.
გაუღიმებ, გამიღიმებს,
ვით მოვიხადეთ ვალი?
მე ნაპირთან დავრჩი ალბათ,
თქვენ კი ყველას ზურგის ქარი.

მიმოიხედე

***

მაღალმა ღმერთმა დაგაბედა,
ძლევის იღბალი,
შიშის განცდა ხომ არასოდეს
არა გქონია,
ძალა შეგწევს და
წინ მიიწევ შეუპოვარი,
რომ დაამარცხო,
შეებრძოლო, ბოროტ გოლიათს,
მაგრამ გახსოვდეს,
რომ სიფრთხილეს,
არ სტკივა თავი,
იმავ მინდორზე,უცოდველიც,
აგროვებს ღოლოს,
სანამ მოსრავდე,
ერთხელ კიდევ მიმოიხედე,
უმანკო ბავშვი,
ნაბან წყალს არ გადააყოლო.

ბეწვის ხიდი

მეც ამ მიწიდან ვიზარდე,
როგორც პატარა იამა,
მზის სხივმა გული გამითბო,
სული ჩამიდგა ნიავმა.
მაღლიდან მთები მლოცავენ,
თეთნულდი, შრამა, იალნო,
მადლი ვამრავლო იმდენი,
ბეწვის ხიდს გადავიარო.

ძველი კერა მიხმობს

***

სანთელს ვანთებ ტაძარში,
სხვისი სანთლის ალზე,
ნაკვერჩხალსაც ვაღვივებ,
ჩემს ახალ კერაზე.
თითქოს ყველაფერი მაქვს,
მაინც არაფერი.
გაღმა დამრჩა ოცნება,
მზისგან დანაფერი,
ძირძველ ფუძეს ვიხსენებ,
სუნთქვა მიმძიმს თითქოს,
დროით უკურნებელი,
ძველი კერა მიხმობს,

გაბრწყინებული მენახოს

* * *

არ ვნატრობ ბროლის სასახლეს,
დავეძებ კეთილ ფერიას,
წყაროს წყალს დავეწაფები,
მზე დამიკოცნის კერიას.
არ ვნატრობ დედა-ბუნებამ,
თვალ-მარგალიტით ამავსოს,
მე მცირე ტაბლაც მეყოფა,
ბევრი ეშმაკმაც დალახვროს
იმძლავროს მუხის ფესვებმა,
და ვღიღინბდე „ვენახოს“
ჩემი პატარა სამშობლო,
გაბრწყინებული მენახოს.

საყურე

სიბერეს თავის ხიბლი აქვს,
მიხარია რომ მიყურებ,
ახლა შევნიშნე იმ დროის,
შემოგრჩენია საყურეე.

დროის დინება

* * *

დროის დინებას,
ვერც ვერვინ მოსდო,
მუხრუჭი,
სიმწრით ხასხსებს,
ვერ შვწირავ
სიტყვათა ხროვას,
კეთილშობილი გაიმეტე,
სულის ნამცეცი.
ისე მოველი, როგორც მარტში,
იების თოვას.

ბუდიდან გადმოვარდნილი

ცხადშიც სიზმარში,
ჩემთან ხარ,
ფეხდაფეხ დამდევ,
ლანდივით,
უშენოდ ახლა ბარტყი ვარ,
ბუდიდან გადმოვარდნილი.

იზა კვანჭილაშვილი

შენ არწივობა გჩვეოდა

გულ-მძიმ გავხედე სოფელსა,
უკუნეთ მიყურს ყორესა,
მგლის ყმუილ ყურსა მომესმა
ჩიტიც არ მძვრალა ღობესა.

როგორც ეს სოფელ კვდებოდეს,
სიცოცხლე ყოფნას ნანობდეს,
გული სიმწრისგან დნებოდეს,
სახლებ ტიალად ობლობენ

ნეტავ გენახათ წინათა,
რა კაცნი აქა ზეობდნენ,
ბანზე გადმომდგარ დიაცსა,
ვაჟკაცის თვალი ვლებოდეს.

საღამოს ხინკალ მადიანს
ცეცხლის კოცონთან ელოდნენ
ვაჟი ჩონგურზე კაფიას,
ლამაზ ქალისთვინ მღეროდეს.

სოფელს სიკეთე ეფარა,
სახლის კედლები თბებოდა,
მთებს შეფენილი ცხვრის ფარა
მეცხვარის ღიღინს ფერობდა

მთის ჯიხვი იყავ ლაღადა,
შენ არწივობა გჩვეოდა,
ეხლა კი შენთვის დაღამდა,
ტურის ყმუილი გჩემობდა.

2017წ.

შენი ფესვები აქ არის მუდამ

გავყურებ ოკრო-ბოკრო ბილიკებს,
და ის სამოთხე მინდა შევიცნო,
როდესაც,ბაბუ ჩემთვის იღვიძებს
მისი დალოცვის მადლი შევიგრძნო.

წვიმის წვეთები ცრემლებს მირეცხავს,
სასწაულია – არა ვსველდები
გულის გიდელში სევდა მიელავს
სულს ეძენძება გრძნობის კალთები.

ეხლა უშენოდ გავყურებ სივრცეს,
მზეს ვუჭრიტინებ სევდის ღიმილით,
შენი სიტყვების მაკლია სიბრძნე,
და სიჩუმეში ვეძებ ტკივილით.

მერე სიჩუმეს დავუგდე ყური,
და მშობლიური მეჩვენა სივრცე,
შენმა ჩურჩულმა გამითბო გული,
თითქოს მლოცავდი ბაბუა, იქვე.

ჩემო ნაგრამო და ჩემო სისხლო
იყავი დიდხანს, ამას ვთხოვ უფალს
სისხლმა იჩქეფოს, რომ გულში იგრძნო,
შენი ფესვები აქ არის მუდამ...

2017წ.

* * *

მაისმა ისევ აინთო მზერა
როგორც მრავალი ათას წლებია
ამ გაზფხულზე ვით ცაში ფრენა
სიცოცხლე ისე მომწყურებია
მზით ნაფერები ქარი ნარნარობს
ისევე ატმის ყვავილებს ფურცლავს,
შაშვის გალობა რიჟრაჟზე მამცნობს
რომ გაზაფხულის აკორდი სუნთქავს.
ყურში ჩამესმის ქარის ჩურჩული
რატომ ხარ ასე ფერმკრთალი ქალო,
ან რატომ კვნესის მაგ მკერდში გული
დღეთა სიმშვენით რად არა ხარობ?
მე ეხლა ცოდვის ზეიმი მიცქერს
ანთებული აქვს თვალებში მზერა,
და ბოროტება აკვანს რომ ირწევს
ნაბილიკარებს სევდა მისერავს.
უფლისგან შექმნილ ამ სამყაროში
როცა ცოდვები შეიკეცავს ფრთებს
მაშინ სილაღე იფეთქებს ჩემში
და გაზაფხული ,გახსნის დარაბებს.

მინდა, რომ დაგიფიცებ მთელ სამყაროს ეყოს

ალისფერი თენება ჰორიზონტში რჩება,
ვეღარ ვხედავ განთიადს და ვერც ცისფერ ზეცას,
ვგმობ იმ ყოფას რაიც,რომ სიცოცხლეში კვდება,
მე კი მინდა ირაო,რომ შემოჰკრა დღესაც!

ჩემო ქვეყნის სილურჯევ,ამღვრეულო შტორმით,
მუჭში დასატეო და დაგლეჯილო წილად...
მენატრები ისეთი მუხლს, რომ ვიფცქვნი ლოცვით
კავკასიის მთებივით,გიყურებდე ზვიადს.

ერთ დროს თავაწეულნი... დავალთ გალახულნი,
ნეტავ სად დამიმთავრდი..ანდა რაღა დამრჩი,
სიტყვა გაწყვეტილები,აზრში დაკარგულნი,
ჩამქრალ კელაპტარივით დავიშრიტეთ ნამწვში.

დედასავით მიყვარხარ გეფიცები მის სულს,
არ იყავი ესკიზი,სრულქმნილებავ ერთ დროს
წარსულში, რომ გიხსენებ გულში სევდა მიდუღს,
მინდა, რომ დაგიფიცებ,მთელ სამყაროს ეყოს!

2018 წ.

* * *

ეხლა შემოდგომა ტანზე ღრუბელს მაქსოვს,
მე კი შიშნაჭამი ჟრუანტელი მივლის,
ქარი თავისუფლად ასე,რომ ნავარდობს,
გამიწეწავს თმებს და თეთრ ტალღებად ივლის.

სიფერმკრთალის ცქერით,თვალს დანისლავს ცრემლი
თითქოს ეჭვის სხივი სულში ძაფებს წყვეტავს,
ნელა-ნელა კრთება.თვალთასაწიერი,
დარდიანი სახით წლები ფრთებსა კეცავს.

ნოემბერის ქარი არაფრით არ მინდობს
ცრემლიან ლოყაზე სილას მწარედ მაწნავს
მე კი შავ ძაძებში ყვითელ ფოთლებს ვიგლოვ
ხიდან მოწყვეტილნი სიცოცხლეს,რომ კარგავს.

მალე ზამთრის მზერა ნაზად თვალს ჩამიკრავს,
ჩუმად ჩამჩურჩულებს,რა კარგი ხარ ქალო,
ჩემს შემცივნულ ლოყებს მორცხვობა გადაჰკრავს,
ზამთარნაფერები წლებთან აღარ ვდაობ..

* * *

ბევრისთვის წვიმა მხოლოდ წვიმაა,
უბრალოდ ჟინული ციდან მოსული,
ჩემთვის კი წვიმა ფიქრთა ცვენაა,
ღამენათევი და დაქანცული.

წვიმა მისველებს გულზე იარებს,
ფიქრების ტბორზე ტივტივებს სევდა,
როდესაც დილით გამოიდარებს,
კრისტალებივით სიმშვიდე ელავს.

წვიმის წვეთები კოცნიან ღამეს
სველ წამწამებს კი იბერტყვს მთვარე,
ჩემი ფიქრები აწყდება სარკმელს,
რომ განიბანოს სევდისგან გარეთ.

მასველებს მაგრამ, არ ვერიდები
წვიმა მეღვრება გაწეწილ თმებში,
მერე რაა თუ ხან გავგიჟდები,
ერთმანეთს ვგევართ მე და ცის თქეში.

ზოგისთვის წვიმა მხოლოდ წვიმაა,
უბრალოდ ციდან ღრუბლის ნაჟური,
ჩემთვის კი წვიმა იმ დროს ხილვაა,
როცა სევდაც კი იყო ბავშვური.

დრო მოწეულა სიყვარულისა

დრო მოწეულა სიყვარულისა,
მზეს ეფერება ოქრო წვეროში,
მეჯლის-ზეიმობს ია გუნდისა
ჭენებით მოჰქრის ღმერთი ეროსი.

აჯანყებულან ყვირილით მთები,
დაწყვილებულა ცხენების რემა,
გულის სწორს უხმობს ირემი კენტი,
ძახილი ხარის ზეცის კარს სწვდება.

მზის სხივი ლოკავს ყინულის ნაპირს
ღრუბლიდან მთვარე განთიადს ებრძვის
ფრთა გაუშლია ირაო არწივს
ცისფერ კიდობანს ასე რომ შვენის.

გამოეპარნენ ყინვიან ზამთარს
თვალებს იფშვნეტენ მზეში ნელ-ნელა
ღელეზე თოვლი აღარც კი დარჩა,
მიმობნეულა მინდვრად ენძელა.

დრო მოწეულა სიყვარულისა,
მზეს ეფერება ოქრო წვეროში,
მეჯლის-ზეიმობს ია გუნდისა
ჭენებით მოჰქრის ღმერთი ეროსი.

* * *

მაისმა ისევ აინთო მზერა
როგორც მრავალი ათას წლებია
ამ გაზფხულზე ვით ცაში ფრენა
სიცოცხლე ისე მომწყურებია

მზით ნაფერები ქარი ნარნარობს
ისევე ატმის ყვავილებს ფურცლავს,
შაშვის გალობა რიჟრაჟზე მამცნობს
რომ გაზაფხულის აკორდი სუნთქავს.

ყურში ჩამესმის ქარის ჩურჩული
რატომ ხარ ასე ფერმკრთალი ქალო,
ან რატომ კვნესის მაგ მკერდში გული
დღეთა სიმშვენით რად არა ხარობ?

მე ეხლა ცოდვის ზეიმი მიცქერს
ანთებული აქვს თვალებში მზერა,
და ბოროტება აკვანს რომ ირწევს
ნაბილიკარებს სევდა მისერავს.

უფლისგან შექმნილ ამ სამყაროში
როცა ცოდვები შეიკვეცავს ფრთებს
მაშინ სილაღე იფეთქებს ჩემში
და გაზაფხული, გახსნის დარაბებს.

შენი ფესვები აქ არის მუდამ

გავყურებ ოკრო-ბოკრო ბილიკებს,
და ის სამოთხე მინდა შევიცნო,
როდესაც,ბაბუ ჩემთვის იღვიძებს
მისი დალოცვის მადლი შევიგრძნო.

წვიმის წვეთები ცრემლებს მირეცხავს,
სასწაულია – არა ვსველდები
გულის გიდელში სევდა მიელავს
სულს ეძენძება გრძნობის კალთები.

ეხლა უშენოდ გავყურებ სივრცეს,
მზეს ვუჭრიტინებ სევდის ღიმილით,
შენი სიტყვების მაკლია სიბრძნე,
და სიჩუმეში ვეძებ ტკივილით.

მერე სიჩუმეს დავუგდე ყური,
და მშობლიური მეჩვენა სივრცე,
შენმა ჩურჩულმა გამითბო გული,
თითქოს მლოცავდი ბაბუა, იქვე.

ჩემო ნაგრამო და ჩემო სისხლო
იყავი დიდხანს, ამას ვთხოვ უფალს
სისხლმა იჩქეფოს, რომ გულში იგრძნო,
შენი ფესვები აქ არის მუდამ...

მინდა, რომ დაგიფიცებ მთელ სამყაროს ეყოს

ალისფერი თენება ჰორიზონტში რჩება,
ვეღარ ვხედავ განთიადს და ვერც ცისფერ ზეცას,
ვგმობ იმ ყოფას რაიც,რომ სიცოცხლეში კვდება,
მე კი მინდა ირაო,რომ შემოჰკრა დღესაც!

ჩემო ქვეყნის სილურჯევ,ამღვრეულო შტორმით,
მუჭში დასატეო და დაგლეჯილო წილად...
მენატრები ისეთი მუხლს,რომ ვიფცქვნი ლოცვით
კავკასიის მთებივით,გიყურებდე ზვიადს.

ერთ დროს თავაწეულნი... დავალთ გალახულნი,
ნეტავ სად დამიმთავრდი..ანდა რაღა დამრჩი,
სიტყვა გაწყვეტილები, აზრში დაკარგულნი,
ჩამქრალ კელაპტარივით დავიშრიტეთ ნამწვში.

დედასავით მიყვარხარ გეფიცები მის სულს,
არ იყავი ესკიზი,სრულქმნილებავ ერთ დროს წარსულში,
რომ გიხსენებ გულში სევდა მიდუღს,
მინდა, რომ დაგიფიცებ,მთელ სამყაროს ეყოს!

2018 წ.

დროი კი მიდის და არაფერს ნანობს

კედლის საათმა ორჯერ დარეკა,
ახრჩობს სიჩუმე ღამეულ სივრცეს,
სიცარიელე ისე დამძიმდა,
თითქოს სამყარო მოექცა ჩრდილქვეშ.

გადმოეკიდა სიზმრები თვალებს,
მე გავეყარე ისევე ჩემს თავს,
საფეხურებზე ავუყევ ფიქრებს,
ვით ნისლიანში ვერ ვიკვალავ გზას.

მესმის საათი რეკავს..რამდენჯერ?
ვეღარც კი ვითვლი--დარდებს ვეხლები
ყოველ რეკვაზე უკვე მრავალჯერ,
სულში ფათურობს შიშის ეჭვები

დროის საათმა ჩამოჰკრა უცებ,
ღამე ნელ-ნელა იხდის მანტიას,
მოძალებულ დარდს რა გამიყუჩებს
ისევ ვაგრძელებ ჩრდილქვეშ ხეტიალს.

ცა დაეყუდა მოთეთრო სვეტებს,
კედლის საათი რეკავს და მამცნობს,
ცოდვები თელავს ცხოვრების დღეებს,
დრო კი მიდის და არაფერს ნანობს.

* * *

ღამეს ნელ-ნელა რიჟრაჟი სცელავს,
მთვარის აჩრდილი ღრუბელმა შთანთქა,
გრძელო ზამთარო დღეებს ნუ წელავ,
ველი გაზაფხულს ჩემს გულის კართან.

წლების ნათოვი ნაზი მზერიდან
ისევ ნაცნობი გრძნობა კიაფობს,
თავაწყვეტილი თითქოს მთებიდან
მოთქარათქურობს ლტოლვით იაბო.

გრძნობის ესკიზებს მაქმანებივით,
წლების სიმრავლე შემოექარგა,
თვალს რომ დაატკბობს სრულყოფილებით
ჩარჩოში ჩასმულ ნახატებსა ჰგავს.

ისევე მოდის ეს გაზაფხული
მე კი სიბერე თმებზე მეფრქვევა
გრძნობით ნაჟური სავსე ეს გული მიკვის,
არა და არა ბერდება.

სევდა შემდგომია ბიჯგად,
ფიქრი გავატანე ქარებს,
რადგან ვეღარ გიძლებ მშვიდად,
უსიზმროდ მოსულო ღამევ.

რიჟრაჟს სიფერმკრთალე
დაჰკრავს თეთრი სამოსელის
მსგავსი ზამთრის ილუზია გაჰქრა
როგორც ფოთოლცვენა ქარში.

მზის სხივებით ვეღარ ვქარგავ,
სიყვარულის ლამაზ ფარდაგს,
უსასრულო სევდას ვართავ,
მძიმე ბოღჩასავით დამაქვს.

აგორებულ ტალღას მოჰგავს
მოლოდინი გაზაფხულის,
სულში აკორდები ბორგავს,
დარაბები გახსნა გულის.

ველი გაზაფხულის მოსვლას,
სუნთქვით გამიზავებს ტკივილს
უღიმღამო ფიქრთა დრო-ჟამს
წამართმევს და გადამივლის.

ქარის ზუზუნსა და ყინვას,
თითქოს დუელი აქვთ ჩემთან,
რა ვქნა ოცნება თუ მიყვარს,
გაზაფხულთანა და მზესთან.

ლალი მჭედლიძე

დედას....

ყველა ტკივილზე მეტი ხარ ახლა,
თვალის გუგებთან გაჩნდა შიშები,
კანკალებ ,როგორც ბეღურა ზამთარს,
მოვდივარახლოს და შენც მშვიდდები...
ტანს ჭინჭარივით მესუსხა რაღაც,
შემოვიშიშვლე ტკბილი სიზმრები,
დამთავრდა ვითომ?! არ მჯერა ,არა!
წამოგაყენებ,მე შენ მჭირდები!
დაუჯერებლად წყნარად ვარ მართლაც,
არის სიჩუმე დიდი რისკებით,
დილაადრიან იჩხავლა ყვავმა,
შენ ლოცულობდი,სხვისთვის ,იმედით.
ავკინძავ ახლა დღეებს სიკეთის,
შევადგენ ლამაზ ამბავთა ალბომს,
ცით გამოჩნდება ოქროს ირემი
,ბალახს რომ ხელით აწვდიდი ,გახსოვს?
გარეთ ცრემლი და ნისლია ახლა,,
შენთან -სითეთრე,მზეც აღარ მათბობს.
მე გავაცილებ სევდიან ქალს
და გამოვიგონებ რამე გასართობს....

მე უშენობა მეტკინა დღესაც

მე უშენობა მეტკინა დღესაც,
არ აღმომაჩნდა ლოდინის ნიჭი,
ჰო,მოვისურვე სიცოცხლე შენთან,
ისე მეშორა ყველა ნაბიჯი.
თითქოს ახლოს და მაინც შორს ჩემგან,
როდის დადექი ,ახლაც არ ვიცი,
ვიგრძენი შენი სუნთქვა ჩემს თმებთან,
ხელი ჩამკიდე ,მეც არ გაგიშვი...
ნუ გეშინია,დამტოვა ღმერთმა,
როგორც ქალი და სულის ძახილი...
მაქვს პაემანი უშენოდ,შენთან ,
ჩვენ სიმარტოვეს გავუნაპირდით.

მალე შენგან უხმაუროდ წავალ

მალე შენგან უხმაუროდ წავალ,
ისე უხმოდ,მოგეპარე როგორც...
გაგეყრები ჩემი სულის წაწალს,
დავბრუნდები შენთან ,ფიქრით მხოლოდ.
რკინის ჩიტი გადაკაწრავს ღრუბლებს,
მონატრება მოვა ცრემლის წვიმად,
მე ჩემში ვგრძნობ ქალს და ატმის სურნელს,
მაინც შენი მარტოობა მტკივა.
ყაყაჩოსფერ კაბას ვირგებ უკვე,
სენტიმენტებს შემოვიღებ მძივად,
ვტოვებ სახლში სულ ცარიელ ფურცლებს,
ყველა ფიქრი,რაც გავბედე,მიმაქვს.
მე ვერასდროს ვერ ვბრუნდები უკან,
ვერ ვპატიობ ,რომ მიშვებენ ხელებს,
დამჭკნარ თითებს შევატოვე ხურდა,
ვეძებ,ვეძებ სიკეთეს და იმედს.....

ეს საათიც გაჩერდა,

ეს საათიც გაჩერდა ,
ეს ხომ სხვისი სახლია?!
კიდევ ერთხელ ღამდება,
თუ გათენდა ,კარგია!
ჩემს კოპწია თოჯინებს
ახლა ალბათ არც მოვრთავ,
უკვე წასვლა მომიწევს,
ვიდრე ისევ გათოვდა....
ფაბიანის 'მიყვარხარ"
ცრემლს და სევდას მაყოლებს,
მე ახლოს ვარ მიზანთან,
წარსულს თქვენთან დავტოვებ.
ყველაფერი ,რაც იყო,
წლებმა უკვე წაიღო,
უცნაური ქალი ვარ ,
თქვენ ვერასდროს გამიცნობთ!
როცა ყველა იცინით
და არავის არ ინდობთ,
როცა სხვისი ტკივილით
უდარდელად კაიფობთ,
მაშინ ვიდუმალდები,
დარდმა რომ არ წამიღოს,
 უცხო ვიზუალები,
დრომ თავისად გაიგო...
ეს საათიც გაჩერდა....
ეს ხომ სხვისი სახლია?
ეს შენ დგახარ კარებთან,
არა ,არ მელანდება.....

ისევ ჩუმად, ისევ ჩემთვის

ისევ ჩუმად ,ისევ ჩემთვის,
ვეძებ სიტყვას ,მე რომ მშველის...
ვაზის ფოთლით ნაფერები
რჩება სხვისი აივნები...
არის გზები,იქნებ-თქვენი,
მინდა იყოს ერთიც -ჩემი,
ზოგჯერ ფიქრის ,ზოგჯერ თმენის,
მაჯის ცემასავით ცელქი!
იყოს ნატვრა -პაუზებით,
ზოგჯერ ცრემლით,ზოგჯერ სევდით,
მაგრამ იყოს სიყვარული
ყველა ფერით,ყველა ბგერით!
იყოს მუდამ მონატრება,
იყოს ჩემგან,იყოს ჩემთვის ...
გადამალეთ პაიკები,
მე დედოფლის გვირგვინს ველი!
მაინც ჩუმად,მაინც ჩემთვის
მე მივაგნე ლოცვას შენთვის....
მოვიხდინე მაქმანები
ატმის ყვავილების ფერში.
შენ გიგრძვნია მზის ალერსი?
ან ჩურჩული კედლის,ფრესკის?!
აზელილი სისხლით,ქვიშით,
ნახე ანგელოზი ჩემი?
ხელისგულზე რწმენა მეწვის....
მე შენ შეგხვდი!

ანას...

როცა ფიქრის ფანტელში გაეხვია ფერია,
როცა ჩიტიც კი მიხვდა ,რომ ცხოვრება ძნელია,
როცა ცამ გადმოსძახა;" ეს ტკივილი შენია!"
როცა მამის ძახილმა-"ღმერთო ,შვილი ჩემია!"
ზღვის ტალღებიც გაშოლტა ,ეს რა ჩაუდენიათ?!
თოლიები აკივლდნენ;"ეს სირცხვილი ჩვენია!
დააბრუნე უფალო,დააბრუნე ფერია!..."
მაგრამ.....
მაღლა მიარწევს ანას ,ურჩი ტალღები...
მზეო,როგორ დაბნელდი?!
დღეე ,რა დარდით შავდები?
ანგელოზთა სადარი,სულ ღიმილით წავიდა,
დაამარცხა სიკვდილი,დაიბადა თავიდან!
ღრუბელს ფეხი დაადგა და ნიმფებთან ავიდა....
დარჩა საქანელაზე ფერი მისი კაბიდან....

პატარა ქრისტის

თმები,როგორც გიშერი,
დაუნდობლად შავია,
ფაიფურის თოჯინავ,
დაიძინე ,ღამეა!
შენ არავის არ ჰგავდი,
უშენობის ნისლია,
ვეღარ დაიჭიკჭიკებს
პაწაწინა ნიბლია....
შეწყვეტილი ტანგოდან
ირევიან ფერები,
დაგისრულდა ბავშვობა,
ზღვა აზვირთდა ცრემლების...
შავს და წითელს ომი აქვთ,
სისხლის მოლეკულები
ვერ დასძლევენ გოლიათს,
ზეცას შენ ესურვები!
ეს ამდენი ნახატი,
ეს ნატკენი ფერები,
ქრისტი,უკან დაბრუნდი!
ყველა მოგეფერებით.
რად ჯიუტობს სიკვდილი?!
იქნებ მხოლო ღამეა
და სიშავე სიბნელის
მხოლოდ ამის ბრალია?!
ფაიფურის თოჯინავ,
დაიძინე,ღამეა!

მტირალა გულებს ვერ დავხატავ

მტირალა გულებს მე ვერ დავხატავ
და ვერც ვიპოვნი წასაშლელ წუთებს....
ნუ მომაწოდებთ წვიმის საღებავს,
მინას დავატყობ ლალისფერ ტუჩებს.
მერე გადავხსნი მსუბუქ ჩემოდანს,
ჩავაწყობ ფერად კაბებს და რუკებს
და გავეცლები ნაცნობ შენობას,
იქნებ არასდროს დავბრუნდე უკვე....

ირაკლი გოცირიძე

* * *

სათავისოთ მოიზომა – ზღვა და მინდორ ველი,
არ მიგვიშვებს სიახლოვეს, მისგან სხვას არც ველი.
ნაცად ხერხს კარგად იყენებს, არ გვეშვება „დათვი“,
სულყოველთვის მოინდომებს – დაგვაბიჯოს „თათი“.
ჩვენთვითონვე უნდა შევძლოთ, აღვადგინოთ ნდობა,
დავამთავროთ დამღუპველი ქიშპობა და მტრობა.
კარგად ვხედავთ, რომ ერთი გვყავს ჩვენ საერთო მტერი,
„დათვს“ გენში აქვს მტაცებლობა, მადა შერჩა ძველი.
პატივი ვცეთ დაღუპულებს, ერთმანეთის ხელით,
ოცდაშვიდი წელიწადი სამძიმარებს ველით...
გავიხსენოთ წინაპართა ომში ერთად ბრძოლა,
მეზობლობა, მეგობრობა, ჭირში ერთად დგომა.
ღმერთო, შეგთხოვ მოგვაშორე, ყველა ბილწი-ფლიდი,
რომ შევცოდეთ შენთან ყველამ ვიცით – კარგად მივხვდით.
დაგვაბრუნე აფხაზეთში, მტრობა მოსპე დიდი,
ერთობით აღგვადგენინე ჩატეხილი ხიდი.

...♥...
ყოველთვის ასე ყოფილა,
იყო, არის და იქნება,
ერთს უყვარს,თავს ანაცვალებს,
„მეორეს – როცა სჭირდება“...
ორმხრივ სიყვარულს გისურვებთ,
ყველას რომ ასე გვჭირდება...
მოგვმადლა ღმერთმა წყალობა?
მას წრფელი გული სჭირდება,
სიყალბეს ვერ ეგუება,
„ჩიტივით გაგვიფრინდება“...
.....
სიყვარულია მთავარი,
ყველგანმფრინავი – ფრთამალი,
მოგმადლოთ ღმერთმა წყალობა,
წლები გაცხოვროთ მრავალი...
გახაროთ, გაბედნიეროთ,
ლხენით გალიეთ სავალი,
უხალისობის, მოწყენის,
სიყვარულია წამალი...♥♥

* * *

გული ლამის საგულეედან ამოვარდეს,
იწვის! – ღვთისგან კურთხეული ტყე, მთა-მიწა
რასა ფიქრობთ, უგუნურნო, რას სჩადიხართ.
საქართველოს უმოწყალოდ რატომ გვიწვავთ?!
ღმერთო, შენ გთხოვ, წვიმა მაინც მოგვაშველე.
ხომ ხედავ, რომ ალი ასდის დედა მიწას
შენც ხომ გესმის ტყე საბრალოდ როგორ კვნესის
ცეცხლმაგული ლამის ყველას ამოგვიწვას...

* * *

ისევ იმძლავრა ბოროტმა,
ისევ გაჩაღდა „ომი“
ისევ დასჭირდით სამშობლოს.
კვლავ მამულისთვის სწორდით,
ღმერთმა დაგლოცოთ გმირებო,
ისევ ცეცხლს აქრობთ ბრძოლით.
ერთად დალოცვას ძალა აქვს.
ერთად დავლოცოთ – მოდით.

* * *

წმინდა ნინოს ჯვარს ვატარებთ,
სანთლებს ვანთებთ ბერი-ერი,
მის შეწევნით ფეხზე დადგეს
ავადმყოფი და მშიერი...
სამტროდ ისევ წავეკიდეთ,
ხარობს მტერი-დღეს ცბიერი,
გაბნეულ ცხვარს დავემსგავსეთ,
დავივიწყეთ ყველაფერი...
უფლის სიტყვა შეგვასმინოს,
სავედრებელი გვაქვს ერთი,
სამშობლო არ დაგვეღუპოს
დედასავით ერთადერთი...
დაგვიფაროს, დაგვამშვიდოს,
გაძლიერდეს ჩვენი ერი,
მრავალჟამიერ გვამყოფოს
მისმა მადლმა ბედნიერი.

* * *

სიყვარულით გავიხაროთ,
მხოლოდ ეს სურს წმინდა ნინოს,
ჯვრის ძალამ გაგვაძლიეროს,
არავინ არ მოიწყინოს.
შურს და მტრობას აგვარიდოს,
სხვისი ტკივილი გვეტკინოს,
უნდა ვისწავლოთ შენდობა,
რომ უფალმა ჩვენც შეგვინდოს.

ლიკა
(ლიკა ქავუარაძეს)

რამდენი დარდი გქონია,
რა აღარ გამოგიცდია,
სევდას ნახატზე ატევდი.
მხოლოდ იქ გადმოგიშლია,
იქაც კი, ანგელოზივით
სიკეთე არ დაგიკლია.
მარადიული სიცოცხლე
პეპლისთვის გადაგიცია (მიგიცია)
ყვავილთა ფერით გულისთქმა
ლამაზად გადმოგიშლია...

ალბათ გაჰყევი იმ პეპლებს,
ვერ შეგელიენ, გიცდიან,
შენს სიყვარულში გვაჯობეს.
ჩვენ შენთვის ვერ მოგვიცლია.
გულის დარდების მოსმენა
ჩვენ კარგად არც კი გვიცდია.
მშვიდობით, ლიკა – „მარიტა“.
ანგელოზები გიცდიან.
ალბათ დაგვხედავ ღიმილით
ცის კარებს რომ გაგიხსნიან...

10 მაისი, 2019·

დიდი მადლია სუყველგან,
საითაც უნდა გავხედოთ,
მეტად გვიყვარდეს მამული,
უფალს! მადლობით ავხედოთ...
გულწრფელად უნდა ვილოცოთ,
მოყვასს, თვალებში ჩავხედოთ,
დაქსაქსულობას რომ გვატყობს,
ხომ ვხედავთ ყველა თავხედობს?!..
თუ გვინდა ღირსება შეგვრჩეს,
ყველა არ გავათავხედოთ,
ერთი მიზნისკენ შევიკრათ,
საით მივდივართ? გავხედოთ!..
.....
ხომ გვიყვარს ჩენი სამშობლო:
მთა-ბარით, ზღვით და კლდიანად?!
ოცნება ყველას ერთი გვაქვს,
რომ ისევ ვნახოთ მთლიანად!...
„ბილწს არ შევეკრათ“ არაფრით!..
დაგვღუპავს ვერცხლი ჩხრიალა,
ღრმა მორევივით ჩაგვითრევს,
რამდენი გაატილა...

ხომ გვიყვარს ჩვენ საქართველო?
მდინარით, ზღვით და ტყიანად,
გულწრფელად მასზე ვიზრუნოთ,
რომ ისევ ვნახოთ მთლიანად!..
.....
ს ი ტ ყ ვ ა, უფლისა გავიგოთ,
რომ დავამარცხოთ – სატანა,
გავმრავლდეთ და გავძლიერდეთ,
ხომ გვინდა „ლელოს გატანა?!“
კვლავ ამღერდება ქართველი,
ამაყად, ლაღად, ხმიანად!...
გფარავდეთ ღმერთი სუყველას
და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს...
მ თ ლ ი ა ნ ა დ!!
.....
სულ გვმოძღვრავს მამა-ილია,
ბრძენკაცი-გამოცდილია,
თუ ერი – გახლეჩილია,
გამარჯვება-ტყუილია...

* * *

ხან ლექსად ვცადე სათქმელი,
ხანდახან ვწერდი „არაკებს“
სამშობლოს ბედი მაღონებს,
ტკივილი მალაპარაკებს...

იაკო კოჭლამაზაშვილი

დრო ცოტა ხნით შეაჩერე ღმერთო!

დევგმირებიც ეცემიან ველზე, ყაყაჩოებს მოუქუფრავთ მდელო.
ნაფერებო ხელებო და წლებო, წლებო ჩემო, სიყვარულზე მეტო.
სევდისფერი ჩამომდგარა ღამე, უნდა გავძლოთ, უნდა გავითენოთ,
მიდიხარ და ცის ნათელი მიგაქვს, არ გაბედო, არ მომიკვდე მზეო.
მოსაუბრე თვალებს ვეღარ ვუგებ, დავმუნჯდი თუ ამოგწურე ჩემო,
მოიმედე,სევდიანი მზერა, მოგონილი ჩემდა უსაშველოდ.
მიდიხარ და ჩემი გული მიგაქვს,
დრო ცოტა ხნით,
დრო ცოტა ხნით,
დრო ცოტა ხნით შეაჩერე ღმერთო!

აი, ეს არის საქართველო და ქართველობა

სპილოსძვლისფერად ჩამოქნილი ქართველი ერი.
მხრები მაღალი,შუბლი ნათელი,შარმი ღვთიური.
აზროვნება ყოვლისმომცველი,უკვდავების გენის მდევარი,
სამშობლო ბრძოლით მოსაპოვარი
მშფოთვარე ძარღვში სისხლი მყეფარი.
არის სამყაროს საიდუმლო ამოუხსნელი,
შელაჟვარდებულ ქართული ცის გასხივოსნება.
ზეციურ თაღში უკვდავების ცეცხლის გიზგიზი
და ქართველობის სხივთა ფენით გაცისკროვნება.
აი, ასეთი მზის ცეცხლია ჩემი ქვეყანა!
ქართველი ერი!
ოდით გვიცავდა სარტყელი ცეცხლის,
ჩვენ ვერავინ ვერ მოგვერია, ვართ პატრონები
მირონმდინარე მიწის და ზეცის.
ღმერთხელნადები სამშობლო ჩემი
აღბეჭდილი მიწიერი სამოთხის ბეჭდით
განმტკიცებული ღმრთისმშობელის წილით და ხვედრით
გაბრწყინებული იესოს კვართით
უფლის დიდების საგალობელი,
ენით ქართულით-უფლისა ნიჭით
ეს საოცრება შექმნა ღმერთმა ნებითა თვისით
აქ დააწესა ქართველობის განვრცობა ხიბლით.
ჩვენ ამ სამოთხეს ვეუფლებით ჯვრითა და ფიცით
გვიცნოს სამყარომ იესოს ნიშნით.
ყველა კუთხეში ზედაშით და ქვევრისა ნიშით
გვიცავს უფალი, მზის ცეცხლი და სარტყელი მისი.
მოდგმა ქართული, გამოხსნილნი იესოს სისხლით
გენი უკვდავი, სული მდევარი
სამშობლო ბრძოლით მოსაპოვარი
მშფოთვარე ძარღვში სისხლით მყეფარით
საქართველოა-უკვდავების გენის მძევალი.

სიყვარულზე მეტი

ნედლი მიწიდან აღერილი სურო ვარ
მწველი,
შენს ძლიერ ტანზე ნახვევი ღერი,
ნალეწი ვნებით.
ვერ შეგელევი,ვერ გაგიშვებ,
შენ ჩემო ღამევ და გათენებავ
აღმართი ჩემი,
უმწვერვალო მთა,
სავალი დიდი,
დაგიპყრობ ვიცი.
მე ვარ გვირგვინი სიმაღლის შენის.
სულის სიმშვიდე და ფეთქვა შენი,
სანთელი ერთი,ნაღვენთი ჩემით.
მე სისუსტე ვარ შენში ნაშენი,
შენ ციხე-კოშკი ჩემით ნაგები.
ნედლი მიწიდან აღერილი სურო ვარ
მწველი
მჭიდროდ ნახვევი შენს ძლიერ ტანზე,
შენზე ნამყნობი
ეს ფესვძლიერი
გამთბარი შენით.
მე ვერ გაგიშვებ,ვერ შეგელევი.
მე ვცოცხლობ შენში!
შენ სუნთქავ ჩემით!

გულში მიშენიხარ, ჩემო საქართველოვ!

ძუძუდაშანთულ მე შენს სხეულს შევავედრებ წმინდა სამებას,
ამონაწრთობი მდუღარ სისხლიდან, შენს გაბრწყინების
მოქანდაკე დაუღალავი.
ცისარტყელების, შენი ცის ფერის, ცისფერ ზღვების დიდი ტფიალი,
მაგ მსუყე მკერდზე მზედაკრული თავთუხთა ღელვა
სურნელოვანი შენი მიწის და ტაძრების ხატის მწერალი.
ოთხივე დროის, ოთხივ კუთხის შენზე მლოცველი
შენი სიწმინდის, გოჯი მიწის ვარ მომლოცველი.
სისხლში და ხორცში მიშენიხარ შენ საქართველოვ,
ჩაკირულია სისხლძარღვებში სიძველე შენი.
ზარი ვარ შენი მოგუგუნე, მქუხარების შენის შემყრელი
ფრინველთ გუნდების, შენი ტბების და ირმების გადამრეკელი.
წმინდა სამებას შევავედრებ შენს ნატანჯ სხეულს,
შენს დაშანთულ მკერდს წამლად ვედები.
ოთხივე დროის, ოთხივ კუთხის შენზე მლოცველი
შენი სიწმინდის, გოჯი მიწის ვარ მომლოცველი.

* * *

უფლის ნათელი აინთება თვალებში როცა,
ანგელოზები დასხდებიან მხრებზე მტრედებად,
იღვრება სული სიყვარულად, ჩამოღვენთავს გონებას,სხეულს,
ზეციურ ვნებებს თუ ვერ მოვთოკავ,
მაშინ არღვევს სისხლი ცხელი ძარღვებს უღონოს და ვიღვრები მოთქმად და ლოცვად.
ამ დროს ყველაზე უმწეო და შესაბრალი ვარ,
როგორც ყალიბი გამდნარი სანთლის,გააჩნია ჩემს სულს რა სტკივა, ლექსი ჩემი იღებს იმ ფორმას.
შემომეყრება გზაში ქრისტე გამოწვდილ ხელით და შეუმჩნევლად ვაპურებ ყველას.
მაღელვებს თეთრი ბედაურები,ვეძებ რაინდებს,
ქართველურ ბეჭებს ხელის მტკავლით გადავუზომავ
და ვავედრებ წმინდა გიორგის მეომართ შველას.
მზე მათბობს, არ მწვავს,ხან თვითონ მზეც ვარ,
ხან ცის გუმბათი და სამშობლოს ვადგევარ მცველად.
მომაქვს ზღვის ღელვა,მოვდივარ წვიმად და
ბალახ-ბულხს ჩამოვთოვ ცვრებად.
ხან საფლავებს ჩამოვიცრემლებ, მშობელ მიწის სალოცავთა მუხლის მოყრით ლოცვა დამჩემდა.
ქართული გენის წინარებას ვლოცავ და ვეტრფი,
ვეფერები პურის თავთავებს,გულსევდიან მინდვრის ყვავილებს ნაწნავში ვიწნავ,
ჯიხვებისა და ირმების მხარეს, არწივების ასაფრენ ბილიკს,
ოცნებაც რომ ხან ვეღარ წვდება,
მადლობელი ვარ ამ ჰაერის,რომლითაც ვსუნთქავ.
ძვალთშესალაგს რომ არ ამიყრის,იმ მიწას ვლოცავ
სულში - სანთელი რომ ჩამომღვრის ვნებად და ცეცხლად,
ალები მათი გამინათებს სულიერ თვალებს,
უფლის ნათელი ინთება როცა,
იბადებიან ჩემი ლექსები მოთქმად და ლოცვად.

ზაირა კეღოშვილი

ოდა

მოდი გადავსეროთ გზები
უწინ ქარები რომ ქროდა,
ავიდეთ, დავლაშქროთ მთები,
ცამდე ავამაღლოთ ოდა.
სანამ ხელისგულზე მოთოვს,
სანამ იტყვიან რომ ,, ცხონდა",
მოდი ვახმაუროთ სახლი,
მოდი ავაშენოთ ოდა.
უნდა ვიოცნებოთ მაინც,
სიბერე გვეწვიოს თუნდაც ,
ბნელში მოციმციმე სანთელს,
ხელი შევაშველოთ უნდა.
გმართებს , შემაშველო ხელი,
გავიტანოთ ხნული ჰე...და ,
მოდი ვიგალობოთ ქნარი,
მოდი ავაშენოთ ოდა.

ახალს რას მპირდები რას?

გელოდი ჩაიარა დრომ,
ახალს რას მპირდები, რას?
თმებში ვერცხლია შეპარული,
მოდენის დალალებს შავს.
ვერც შენმა ნუგეშმა ჩაიტია,
დრო და ავბედითი გზა,
წახვედი ხელში შემატოვე
წმინდანთა ნაკურთხი ბზა.
და ჰა მობრუნდა წელიწადი,
ძველს შეცვლის ახალი ბზა,
მე ისევ ტაძართან გელოდები,
ახალს რას მპირდები , რას?

ათენი თეთრი ქალაქი

თეთრი ქალაქი თეთრ ფიქრებს მახვევს,
ეს მოლანდებაც თოვლის ფერია,
ზღვამ გამოდევნა ტალღების რემა,
ჭრელ ნაპირს ქაფი შემოერია.

მთვარეულივით ვაწვალებ ფიქრებს,
მთვარე ალავერდს გადმოდის ჩემთან,
ქარმა სასმისი გამომიცალა,
არც კი მაცალა, სათქმელი მეთქვა.

თეთრი ქალაქი თეთრ ფიქრებს მახვევს,
ეს მოლანდებაც თოვლის ფერია,
გულზე მაჩნია ეს სისადავე,
თეთრზე შავით რომ დამიწერია.

ზღვა, უნაპირო კიდით-კიდემდე
თოლიებს თეთრად დაუფერიათ,
მე კი მაჩნია ქართული დამღა,
თეთრზე შავით რომ დამიწერია.

დუღს, ბრუნავს, იწვის კაცობრიობა

ზოგი თავისთავს დაუდგამს ბიუსტს,
ზოგი დაამსხვრევს ოცნებებს ძველს
ზოგი რეალურს უსწორებს თვალს
და მომავალი ამგვარი სწამს.

ზოგი გილგოთას დაადგა რიდით,
მან თავად იცის გზა საით მიდის,
თვით ,,ტიტანიკი" დაიმსხვრა, გაქრა
და მსხვერპლი მისი ლეგენდად დარჩა.

ზოგი აფრენას ლამობს და ნატრობს,
რათა სამყარო ზემოდან ნახოს,
ზოგს კი ატომი ლოდივით აწევს,
სურს, ააფეთქოს და სამყარო გახლიჩოს, გაყოს.

ზოგს პლატონური სწამს სიყვარული,
ამ გრძნობის მარად ერთგული რჩება
ზოგი ღალატით სუნთქავს და ხარობს,
ავკაცობაში კაცობას ხედავს.

დუღს, ბრუნავს, იწვის კაცობრიობა,
ბუნების ჯილდო გაუხუნარი,
ბევრი სიავის, კარგის ჩამდენი
აბელის მოდგმა და სახსოვარი.

მსოფლიოში გაფანტულ ქართველ ემიგრანტ ბავშვებს

პაწია გულებში დაანთეთ ხანძარი
ვინ იცის, ამ გზაზე რამდენმა იარა,
მოხაზეთ ანბანი პაწია თითებით,
რომ საქართველო ჩატიოთ მთლიანად.
გლობუსი დახატეთ-მთებით და ველებით,
მამული ჩახატეთ, ტაძრები მთლიანად
და ჩანგი ამღერეთ, იმღერეთ ,, შავლეგო",
რომ მამულს მოგანოთ ის ძველი იარა...
იმედი ხვალისა თქვენშია იცოდეთ!
დრომ ჩვენში ისედაც ბევრი რამ არია...
დაბრუნებაზე ნიადაგ იფიქრეთ,
იცოდეთ, ეს თქვენი რწმენა და ვალია!
გზაჯვარედინთან სამშობლო დაწონის,
იმ ცაზე მერწმუნეთ, ავდარიც დარია,
გელიან მუხები ჭაღარა ფესვებით
ტაძრები გელიან უკვე რა ხანია.
მერცხლები სამშობლოს დროებით ტოვებენ!
უარი უთხარით ევროპას, აზიას...
მადლობა უფალო, რომ გვქვია ქართველი
და სისხლი ანკარა უცხომ ვერ არია.
ღვთისმშობლის წილ- ხვედრი გვერგუნა
ქვეყანა,
განგების ნებაა ქართველად გაჩენა,
ავდარმა გულები ბროლივით გაკაწრა
და მტკივა მამულის უთქვენოდ დარჩენა.
დავეძებ მამლუქებს, სხვის ომში დაღლილებს
,მწადია მათ სულებს ბორკილი ავყარო,
ვერ დაგვანაწევროს, ვერ დაგვყოს სამყარომ
და მერე სიკვდილმაც ვერასგზით გაგვყაროს.
მადლობა უფალო რომ გვქვია ქართველი
და სისხლი ანკარა უცხომ ვერ არია...
გზაჯვარედინთან სამშობლო დაგიცდით
იმ ცაზე, მერწმუნეთ , ავდარიც დარია.

ბეღურა ქანაობს ქარში

მარხილი ჩამიქროლებს კენტი,
მეწყვილე არა ჩანს არსად,
ალბათ, შეაყოვნა სადღაც
,, უღმერთოდ" მიტოვებულ კართან.
ცის ბილიკს აუყვება ფრენით,
ვარსკვლავებს ჩამოჰკრეფს ციცქნას,
გაუძლებს მერცხალი ყინვას,
მზემ თუ ჩამოხედა ციდან.
ბუდეს შეატოვებს ზამთარს,
კერიას სიყვარულით გამთბარს,
წავა, სხვას მიაფიცხებს
ლამაზ ფრთებს ყინვისგან დამზრალს.
სადენზე ბეწვის ხიდს გასდევს
სიკვდილ- სიცოცხლის ზღვარი,
ერთგული მთისა და ბარის
ბეღურა ქანაობს ქარში.
მარხილი ჩამიქროლებს კენტი,
მეწყვილე არა ჩანს არსად ,
ალბათ შეაყოვნა სადღაც
,,უღმერთოდ " მიტოვებულ კართან.

საწუთრო

საწუთრო ბრუნავს , ჩარხი ყველას დაგვატრიალებს,
კარგ დარებს მზიანს ხშირად მოსდევს დიდი ავდარი,
ვის რა ახარებს, ვისთვის რაა ბედნიერება,
ვინ იტანჯება, ვის მიეცა ბედი რაგვარი.
მწყერმა ყანაში დაიპურა თავი ტაატით...
ცად ასაფრენად გამზადებულს წასწვდა მწევარი,
და ასე ლუკმაგაჩხერილმა ამოიხავლა,
წამომეწია უიღბლობა, ჩემი მდევარი.
ყოფნა- არყოფნის განაჩენი ეწყო პინაზე,
ბედმა მდევარმა ხელით ხელში გადაინაცვლა,
მწევარის პირით მირთმეული ნანადირევი
იმ მონადირემ წელზე სარტყლად გადაიტანა.
მწყერმა ყანაში დაიპურა თავი ტაატით...

რუსთაველი და კაცობრიობა

ბატის ფრთას კალმად შემოხვია თლილი თითები,
მერე ნელ- ნალა ჩამოწურა მუჭში შარბათი,
გაბაცდა, გაცვდა წუთისოფლის ამაოება,
სიტყვა ქართული ამობრწყინდა როგორც ბადახში.
,,ვეფხისტყაოსნით" მიჯნურობის ფილოსოფიას
კაცობრიობა აზიარა და რაღაც ბედად,
საუკუნეებს გამოსტაცა სათქმელ- განცდილი,
მიჯნურობის და მეგობრობის იქცა ლეგენდად.
თავად მიჯნური განეფინა ფუძე-საფუძვლად,
თავად პირველმა გააცა ხალხი მილეთის,
თავად პირველი მიეახლა წმინდა საუფლოს
და რუდინებით აიარა გზები გოლგოთის.
კაცობრიობავ , ვერ აღსდგები მკვდრეთით იცოდე,
არ წაიძღოლე თუ მეგზურად სული ქართული,
თუ არ გშვა სიტყვამ ჭეშმარიტმა, თუკი არ გახდი
თავად მიჯნური, თავად გმირი, თავად ჯვარცმული

მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

და მაინც ვიფრენ

ჩემი ჭუპრიდან გამოვედი, გარეთ ნელ-ნელა,
მინდა დავლაშქრო დედამიწა ზეცა და წყალი,
მსუბუქი ფრთებით დავფარფატებ, როგორც პეპელა,
მცირე საგზალი მადევს მხრებზე, დღეის და ხვალის.
მაგრამ სურვილი მამაოძრავებს ძალიან დიდი,
მაცდურ ხილვებად გამიტაცებს, ხან ერთ და ხან ის,
მზიან დარშიც თუ გამოკრთება ქუში ამიდი,
ფიქრის უმალვე ავიფარებთ, ნიღაბს მასხარის,
და არა იმ დროს რომ შევყავავარ, ტანგოს აზარტში,
ან მიცვალებულს თავს რომ ვაკლავ, უცნობ სამარის,
შენ მცირდავი ხარ,ნაკლს დაეძებ ახალ ფაზაში,
ეფერემებში პატივს არ ცემ სიცოცხლის ხარისხსს.
და მაინც ვიფრენ, ვერ შებორკავ, დახვეწილ ზადით,
რომ თავად გზები სხვადასხვაა, ჩემი და შენი,
რაც გაგაჩნია მიიტანე ბოლო სხლამდის,
შენ მქირდავი ხარ, სხვა ხელობა, არც კი შეგშვენის.

* * *

მე ჩემთვის ჩუმად ვღიღინებ,
ვის ფეხაკრეფით ქუჩმაჩობს,
შენთვის ჩუმად კრეფ გვირილებს,
თუმცა რა მაქვს საჩუმათო,?
თურმე არც ისე ჩუმად ვარ.
თურმე მთელი ხმით გავყვირი,
ვიღაც მანიშნებს ჩუმადო.
ყურს მიხეთქს შენი საყვირი.
ამ შენიშვნებით შენამდე,
სულ ფეხაკრებით ვიარე.
დრომ გადამასწრო უმალვე,
და მოსვლა დავაგვიანე.
მაინც ვერ მოგიბოდიშებ,
ახალ სიმღერის ლოდინში,
საბოდიშო ძალას კარგავს,
გამუდმებული ბოდიშით,
ძვირფასო, ეს ხომ შენც იცი,
ნუ გაიფუჭებ ხასიათს,
ეს უბოდიშო სიტყვები,
იქნებ ბოდიშით სავსეა.

*

დროის გასვლას ვჩქარობთ,
ვეღარ ვითმენთ ლოდინს,
დაწამს მისდევს წამი,
თვაფლითა და შხამით.
რას გვძენს და რა მოაქვს,
გვეფიქრება როდის.,
გაფრენილი წამი,
მიგვაქროლებს საით.
და ჩვენი ზღვა შფოთავს,
ებრძვის ტალღა-ტალღას,
კბოდეს გამოარღვევს,
ლურჯი ზედაპირი.
შფოთარე ძღვის ძვირთებს,
ვისმენთ აალ- მაყალს,
სულ სხვა შეძახილით,
სულ სხვა დანაპირით.
ზოგჯერ ოცნებათა,
დამსხვრეული ფრთებით,
კვლავ იმედებს ვძერწვავთ,
ველოდებით ახალს.
სად ვინ როგორ შეძლო,
გაშლა იალქნების,
ამსახაო ამიდს
ნეტავ ამ დროს სად ხარ?
თქვენთან მოსვლამდე

*

თქვენთან მოსვლამდე მაგიური, გზნებით ვიარე,
და ჩემი მოსვლა ინებ თქვენთვის რამედ არ ღირდა.
გზები მომზეზრდა, მივატოვე ვით ბნელი მხარე,
და მაღალ რისკით ჟამბაზივივით თოკძე დავდივარ.
და არ მანაღვლებს გამოვლილი, დრო და მანძილი,
ეს, ახირება სად წამიყვანს, ან სად შეწყდება,
თუ მივნავლდები, აქ დარჩება სულის ნაწილი,
ძღვაურ ტალღებად მივარდნილი, ლექსების წყება,
რადგან მოვედი, იქნებ ჩემგან ძალზე ბევრს ითხოვთ,
მანამ თქვენ ხილვას უფალს ვთხოვდი, აღვსილი ნდობით,
მთრალი ლექსები მოვიტანე,სულიერ სითბიოთ,
ვით გაზაფხულისსურნელება ტყით და მინდორით.

ზურაბ გრიგალაშვილი
(ჰერეთელი)

ნასიცოცხლარზე ბიბინებდა ია და ვარდი

ლექსი ეძღვნება ჩემი მეგობრის ნანი ფოფხაძის ხსოვნას.

მოულოდნელად სიყვარულის ნისლი ჩამოწვა,
სანთლის ციაგი ბუნდად ჩანდა ნისლის იქიდან,
დუმდა გარემო ცივდებოდა აურა ცხელი,
სულს მიჰყვებოდა სიყვარული ნაძერწ თიხიდან.

ნისლი ნელ-ნელა მუქდებოდა მზის სხივს ჰკვეთავდა,
სევდას მოსთქვამდნენ უხილავი კოშკის ზარები,
განა სხეული დაიღალა სულის ტარებით,
ეს უფლის ნება მოდიოდა თავშეკავებით.

ნასიცოცხლარზე ბიბინებდა ია და ვარდი,
ლამაზ ფერებად მკვიდრდებოდა სურნელთა დარი,
ისმის საამოდ ანგელოზთა გალობა წყნარი,
წუთისოფლიდან გადიოდა ერთ-ერთი მგზავრი.

მზე ჩასულიყო და ნათელი მოჰქონდა მთვარით,
კვლავ სიკეთეზე ჩურჩულებდა ნისლებში ქარი,
თუმც მოთმინებას აღარ ჰქონდა ხილული ზღვარი,
მეუფლებოდა ლოცვის ძალა და იყო მყარი.

თუ ბოლო სიტყვას შენს მაგივრად მე ვიტყვი მენდე,
ის სიყვარული გამომივა შენ რომ იცოდი,
მხოლოდ ერთს გეტყვი, თუმც ბევრი მაქვს შენზე სათქმელი,
ბედნიერებად ისიც მყოფნის შენ რომ გიცნობდი.

მთის ხალხის ხიბლი მაქვს

ლექსი ეძღვნება (ბესო წოწკოლაურს და ჩემს არაგველ მეგობრებს. 02 . 01. 20. 20.)

მთის ხალხის ხიბლი მაქვს, პატივს ვცემ ვაჟკაცებს,
ძმობაში ერთგულებს, ბრძოლაში მამაცებს.
კაცი რომ კაცია, ქალიც რომ იკაცებს,
მე მთის სიმღერები, მატკბობს და მიტაცებს,
სიტყვას იტყვის და არასდროს გატეხავს.
თითზე რომ უნდობლად დაისვამს სატევარს,
ძმობის ფიცს გეტყვის და სიყვარულს ატეხავს.
ერთგულად ჩაიბავს თავის წილ საყევარს,
სანდოა, ძმობის ხიდს არასდროს ჩატეხავს.
ლუკმასაც გაგიყოფს, შუაზე გატეხავს,
ზევიდან არასდროს, არავის დახედავს.
გულსაც მთელს გაჩუქებს და არა ნახევარს,
სადაც შენ არა ხარ, იტყვიან საქებარს.

თამამად გეტყვიან თუ გავხარ „სახედარს“
არვის პატიობენ, ძმობაში გაცემას,
ვერასდროს შეატყობ შიშსა და დაცემას
თქვენ, ხასიათი გაქვთ შერწყმული მთებთანა.
მთანი ცას წვდებიან ახლოს ხართ მზესთანა,
„ხატი გეწეოდეთ“ მეცა ვარ თქვენთანა,
მეტი სათხოვარი არა მაქვს ღმერთთანა.

P.S.
არაგვის შვილნო ეს, სიყვარული,
გულით არის და მიიღეთ ჩემგანა,
არ დაგავიწყდეთ მუხლის მოდრეკა,
სამასჯერ,...სამას არაგველთანა.

თუ ასეთი ხარ

შენ სიყვარულის გაჩუქება ჩვევად გქონია,
სიკეთის ხარჯვა უანგაროდ შენი ჰობია,
გულში არასდროს სხვისი ბოღმა არ ჩაგყოლია,
შენ, „ავი“ კაცის მოფერების ნიჭი გქონია.
შენ, ის კაცი ხარ, მიტევება ვისაც ცოდნია,
ვისაც კეთილი კაცთმოყვარე გული ჰქონია,
ვისაც ბეჩავთა ჩახუტება, წესად ცნობია,
ვის სიამაყე ვაუკაცობა არა ჰგონია.
დაუფიქრებლად აღიარებ თუ სხვა გჯობია,
შენი სიმაღლე, თამდაბალი კაცის ტოლია,
შენი სიმშვიდე, შენ სიცოცხლეს თან დაყოლია,
შენი ცხოვრება მართალ კაცის თანასწორია.

ხმელი ფოთოლი

რა უმოწყალოდ მიჰქრიან
წლები,
ამას სიცოცხლის მიწურულს ვხვდები,
რას ვიზამ, ბედის მორჩილი ვხდები,
ხმელი ფოთოლის ბედს ვერ
ავცდები.
სიცოცხლე ღრმად რომ შეგიყვარდება,
ცხოვრების ქარი ამოვადება,
დატკბი ცხოვრებით, შენ სხვა დაატკბე,
სანამ
ფოთოლი
ჩამოვარდება.

„გაიხარე გენაცვალოს დედამ“

აღარა მყავს მენატრება დედა,
ღმერთო, ჩემო ასე რატომ ხდება,
რა იქნება წელიწადში ერთხელ,
მაინც ვნახო,... საყვარელი დედა.
ნეტავ ის დრო კიდევ ერთხელ ვიგრძნო,
,,იავნანას,, როცა მიმღეროდა,
ან როდესაც წითელ ქუდას ზღაპარს,
ძილის წინ რომ ტკბილად მიყვებოდა.
ვინ იყავი რა იყავი ჩემთვის,
გული ამას ახლა უფრო ხვდება,
ახლა თვალებს რომ დავხუჭავ დედა,
შენს ღიმილს და შენს სიხარულს ვხედავ.
რამდენ ტკივილს აიტანდი ხოლმე,
მეც რომ გული არ მტკენოდა დედა,
მასე არვინ მიფრთხილდება ახლა,
სწორედ მაგან გამიჩინა სევდა.
ნაცნობ ადგილს რომ გავივლი ეხლაც,
მახსენდება შენი სიარული.
ხეგაშლილი მაგებებდი ღიმილს,
მენატრება ის დრო მხიარული.
მე შენს მერე არ მიგვრძნია მეტი,
მოფერება ასე ტბილზე- ტკბილი,
ამდენ ამაგს, ამდენ შრომას, ზრუნვას,
სიცოცხლეში ვერ აფასებს შვილი.
დიდებო და პატარებო ჯერაც,
ვისაცა გყავთ საყვარელი დედა,
მოეფერეთ ჩაეხუტეთ ხშირად,
სანამ გულში ცრემლი ჩასახლდება.
ახლა ამას როცა უკვე ვხვდები,
ერთ რამეზე მწყდება გული დედა,
დედას ახლაც დავიძახებ მაგრამ,
შენ ამ სიტყვას ვეღარ დაუხვდები.
არც არავინ მეტყვის უკვე შვილოს,
ახლა მჩაგრავს უშენობის სევდა,
მაგრამ თუ რამ გამიჭირდა მაინც,
შველას შენ გთხოვ საყვარელო დედა.
ხან როდესაც სიზმრად მოხვალ ხოლმე,
ის ძველი დრო ისევ მიახლდება,
ღამის სიზმარს ვტირი, მენატრება,
უშენოდ რომ დილა გათენდება.
გახუნებულ სურათს როცა ვუცქერ,
გულს ხალისი ვეღარ გაუბედავს,
რამდენ რამეს გამახსენებს ის დრო,
ფოტოგრაფს, რომ წამი დაუბეჭდავს.
ახლაც შენზე როცა ვფქირობ იცი?...
ჩახუტება როგორ მომინდება,?
ფიქრს ვერ ვტოვებ, გული მტკივა რადგან,
ვიცი ის დრო, აღარ დაბრუნდება.
მერე სურათს გულში ჩავიხუტებ,
სითბოს ვგრძნობ და ჩვეულ ღიმილს ვხედავ,
სურათიც კი ამას მეუბნება,
გაიხარე გენაცვალოს დედამ!

ლალი ჩხეიძე

გულმა მწარედ დამცინა

გულმა, მწარედ დამცინა.
ცხარე, ცრემლი მადინა...
შენ, ჩემ გულში ყვავილობ,
ღმერთმა, გადამარჩინა.
ჩემო სულის ყვავილო,
უშენობის, დარდი მკლავს.
ღამე ძილი არ ვიცი,
დღე კი, შენით მთვრალი ვარ.
იქნებ მითხრა, ლამაზო,
სად დადიხარ, საით ხარ?
ჩემო სულის ბადაგო,
სიყვარულით მთვრალი ვარ...
10.05.2020წ.

* * *

მზე მაღვიძებს ყოველ დილით ადრე...
ის მიღიმის და სხივებით მიქსოვს მზისფერ კაბას,
სიყვარულით ნაქარგს...
კაბას უმალ გადავიცმევ ტანზე, -
სიხარულით მზეს ვუღიმი ნაზად, -
ის კი, მორცხვად თვალებს მიპაჭუნებს, -
მეუბნება: - ხომ, იცი, მიყვარხარ...
კარებს ვაღებ და კვლავ საჩუქარი,
თეთრი ვარდი კიბის მოაჯირზე...
ვარდი ნაზად მიღიმის და ელის,
რომ შევეხო მის დანამულ ფურცლებს.
ეკლებს მალავს, სიყვარულით მიმზერს
მეუბნება: - იცი, როგორ გელი?
სიხარულით ვარდს მე, გულში ვიკრავ,
თითქოს მათრობს მე, მისი სურნელი...
მიყვარს, მზე და მიყვარს, თეთრი ვარდი,
სიყვარულის სურნელით რომ მათრობს...
6/08- 2018წ.

პაემანისთვის მზადება...

ღამეა...მთვარე ეული...
პაემანისთვის მზადება...
დღე-ღამის გზის გასაყარზე,
მზის სხივებს ესალბუნება...
წამში, სიხარულს მწუხრი ცვლის...
იმედი გულში არ კვდება.
ახალ პაემნის ლოდინში,
კვლავ დარდი, მხრებზე აწვება.
ღამეა...მთვარე ეული...
პაემანისთვის მზადება...
18.04.2020წ.

* * *

გიყურებ, თვალებს მარიდებ,
ცეცხლოვან გრძნობებს ძლივს თოკავ.
სადავეს თუ არ გაუშვებ,
გრძნობებით, დავიფერფლები ...
შეცდომა შიშად ქცეული ...
გული, გონების მორჩილი ...
გრძნობები, სიცოცხლის ხიდი...
ვნება, წყურვილი გრძნეული...
გიყურებ, ცეცხლი მედება.
თვალებში ტკივილს ვკითხულობ...
გული, გონების მორჩილი,
გაუსაძლისი ტკივილი...
მიზიდავ ანდამატივით,
არ დავიღლები ლოდინით...
13.04.2020წ.

* * *

პოეზიაზე შეყვარებული,
და სიყვარულის მეხოტბე ქალი,
სიყვარულისთვის დაბადებული,
ანგელოზების ენაზე გალობს...
დრო-ჟამის მწუხრმა,
რუხ ფერებში გახვია ქალი.
სასოწარკვეთას არ მიეცა მებრძოლი სული
და ძველებურად, მისი თვალები,
სიყვარულით სავსე თვალები, უძირო ზღვაა...
ფიქრებში ხატავს ედემის ბაღს,
სულის სიმშვიდეს...
ნათელ მომავლის აკვანს
არწევს ნატიფ ხელებით...
2.04.2020წ.

* * *

ტაძარი,
სანთლები
და ჩუმი ვედრება...
ცრემლებით სავსეა დღეს შენი თვალები...
ტკივილმა დაიპყრო ცოდვილი სხეული,
ვიცი რომ უფლისგან შენდობას მოელი.
ლოცვა და ვედრება,
ცრემლები,
სანთლები...
ღმერთი მოწყალეა,
ის ყველას შეინდობს,
მამაზეციერი მფარველობს ყოველთვის...
ტაძარი,
სანთლები,
ლოცვა,
და ვედრება...
ცრემლებად იღვრება ტაძარში სანთლები...
შენდობას ითხოვენ ცოდვილთა სახელით.
ღმერთამდე მიაქვთ მათ
ეს ჩვენი ლოცვები...
ტაძარში ცრემლებად იღვრება სანთლები...

3/12-2016წ.

* * *

ფიქრებმა იცოდე, გზა შენსკენ, აიღეს...
თავ-ზევით ძალა,ნამდვილად არა მაქვს...
ფიქრების მონობას, გეტყვი: ვეღარ უძლებ...
რა ვქნა, თუ ფიქრების, ჩემი გზა, შენახარ...
ფიქრები... ფიქრები...დღედაღამ ფიქრები...
მე, შენზე ფიქრებმა დამღალა, დამქანცა...
ვფიქრობდი, დავხურე წარსულის კარები...
გრძნობები... გრძნობები, კვლავ
ჩემში, გაცოცხლდა...
აბობოქრებულ ზღვის, ტალღებს მაგონებს...
ტალღები, წასულის, კარებს ეხეთქება,
მოგლიჯეს, წაიღეს, დამტოვეს, დამტოვეს...
წარსული, დღეს,ჩემთან, აწმყოში, იჭრება...
წარსული... წარსული... დრო ბევრი გასულა...
დღეს უკვე აღარვარ პატარა გოგონა,
უყვარდი რომელსაც... გიყვარდა, ძალიან...
დრომ, არ დაგვინდო,სიყვარულს გაგვყარა...
ერთი გზა არ გვქონდა, ცალ-ცალკე ვიარეთ...
ცხოვრების გზა კი, რა რთული აღმოჩნდა...
ტკივილით, დღეს სული, სალამურს აკვნესებს...
ტკივილი...ტკივილი...ცხოვრების გზად დამრჩა...
ფიქრები...ფიქრები... დღედაღამ ფიქრები...
ფიქრების, ჩემი გზა,შენახარ, შენახარ...
13/05-2017წ.

* * *

არ მინდოდა, შენთვის მეთქვა, ჩემს ტკივილზე...
დავიღალე...ალბათ ძლიერ დავიღალე...
გულის ტკივილს,ვეღარ უძლებს ჩემი სული,
დავიღალე, დავიღალე, დავიღალე...
ცხოვრების გზა,დარდიანი,სევდიანი...
ჩემი გული,სიყვარულით სავსე გული,
გრძნობებისგან დაღლილი და დაქანცული,
ვეღარ უძლებს, სიძლიერის ამ მარწუხებს...
ძლიერი ხარ... ძლიერი ხარ, მესმის ირგვლივ...
როგორ მინდა, ვიყვე მხოლოდ, სუსტი ქალი...
  მე ცხოვრებამ,მისაჩუქრა სიძლიერე,ბრძოლა...
ბრძოლა...ბრძოლის გზა მაქვს, გამოვლილი...
დავიღალე...მართლა ძლიერ დავიღალე...
მე ხომ სულით, არ ვყოფილვარ ამორძალი...
ამ ცხოვრებამ უკითხავად, მე მარგუნა,
მებრძოლ ქალის, ამორძალის მძიმე როლი...
აღარ მინდა...აღარ მინდა, დავიღალე...
სიძლიერე ქალის ალბათ სისუსტეა...
როგორ მინდა, ისევ ვიყვე ნორჩი ქალი,
სუსტი ქალი სიყვარულის მოტრფიალე...
მაგრამ არა, არ არსებობს, ჩემთვის სხვა გზა,
სიძლიერე არის ალბათ, ჩემი ჯვარი...
მან სისუსტე, მე სისუსტე, შემაყვარა...
რა ვქნა, მინდა ისევ ვიყვე ნორჩი ქალი,
სუსტი ქალი,სიყვარულის მოტრფიალე,
მქონდეს გული, სიყვარულით სავსე გული...
2/06-2017წ.

* * *

მახსოვს, ვტიროდი ბავშვივით თუ რატომ, დღეს ვეღარ ვიხსენებ...
მომიახლოვდი და მითხარი: - ძვირფასო ცრემლები გიხდება ...
შემოგხედე და ღიმილი ჩემს სახეს შეეხო მზის სხივად.
ზღვისფერი შენი თვალები, ზღვასავით აღელდა რატომღაც.
სინაზით შეეხე ჩემს სახეს ცრემლებს მიმშრალებდი ჩურჩულით...
მესმოდა, ფერიას მაგონებ, ჩემი ბავშვობის წიგნიდან.
გეტყვი: - მიყვარხარ ლამაზო, უარს ნუ მეტყვი გეთაყვა.
 შემომხედე და გიცანი, იცი? ონებაში გხატავდი.
სიზმარში ერთად ვართ ყოველთვის,
დღეს კი, რეალურად გიხილე ხელს არ გაგიშვებ,
არ გჯერა? ჩემი ხარ ლამაზო, ჩემი ხარ...
თუ როგორ მიყვარხარ ძვირფასო, შენ ამას სულ მალე მიხვდები.
მე ლამაზ სიყვარულს გპირდები, მხოლოდ სიხარულის ცრემლებით...
ღიმილი კვლავ სახეს შეეხო, გითხარი: გეძებდი, გეძებდი...

17.04.2019წ.

* * *

შენ, ჩემი სულის ყვავილო,
ამწვანებულო მდელო,
ახლშობილი ბავშვივით
ნაზო და მშვენიერო.
მიზიდავს უმანკოება,
სიწმინდე შენი სულის.
ამ საუკუნის შვილი ხარ,
მიკვირს საიდან? როგორ?
არა მიწიერს მაგონებ,
სითბოს, სიყვარულს აფრქვევ.
შენ, ერთადერთი ქალი ხარ
ჩემს სულში ცეცხლს,რომ ანთებ...
უსიყვარულოდ გავლიე
ჩემი სიცოცხლის წლები
დაგინახე და გიცანი,
გაგიკვირდება ალბათ,
სხვა ცხოვრებაში, ლამაზო,
სატრფო იყავი ჩემი.
დღეს, სასწაული ვიხილე,
ვიცი რომ დამიბრუნდი...
ვიტანჯებდი, ბნატრობდი,
სურვილი მკლავდა შენი...
მე ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი,
მზის სხივიად მომევლინე...
მარადიულ ჩვენს სიყვარულს ვიცი,
რომ გაიხსენებ.. ..
შენ ჩემი სულის ყვავილო,
ედემის ბაღი გველის...

20.05.2019წ.

მადონა ჯავახიშვილი

* * *

და იდგა სველი იასამანი
ცისკარი ელფერს იცვლიდა ინით,
ღამემ მოიხსნა,ჩადრი ქალური.
მზე მოიწევდა მეფური ჟინით,
ტანთ ძოწისფერი ენთო ალმური.

გალობას მოჰყვა ბაღში ტოროლა,
იასამანი-ნატიფი მდედრი,
ღილი შეიხსნა, თითო-ოროლა
და გამომწვევად იშიშვლა მკერდი.

ნიავმა მისი ნაზი სურნელი,
ღრმად ჩაისუნთქა,სძლია ცდუნებამ.
ახლა მთვრალივით დაჰქრის სულელი,
და ღობე-ყორეს ელამუნება.

ძნელია გრძნობის მოთოკვა როცა,
მაცდურად გიცქერს ლურჯი აპრილი.
არაფრად გიღირს ამდენი მოცდა,
არც საზღვარი და აღარც ნაპირი.

ბრძენს გააბრიყვებს,გააპარტახებს,
ფილოსოფიას აქცევს არაკად.
წესსა და კანონს ახსნის არტახებს,
სიყვარული თუ ალაპარაკდა.

მზემაც კი, გრძნობა ვეღარ დამალა,
მის გულისცემას აჰყვა ბუნება.
ჩიტებს შეეკრათ ცაში კამარა,
ეგებობედნენ მზის დაბრუნებას.

აპრილმა მორთო გზები სავალი,
მოქარგა ტილო,მთის,ხეთა,ველთა
და იდგა სველი იასამანი,
ვით დედოფალი საკუთხეველთან.

20-04-2020

* * *

ღვინობისთვის ცამეტი
არც შვიდი და არცა ცხრა,
იყო უფრო ცა მეტი.
დამშვიდდა და ჩამოცხრა,
ღვინობისთვის ცამეტი.

ამბობენ რომ თარსია,
ფორმა არ აქვს რკალური,
ვერასოდეს იქნება,
თურმე ვერტიკალური.

ღვინობითვე სიმთვრალით,
აურევდა ნაბიჯებს,
მეც ჯადოსნურ ცამეტ წრეს,
ვეღარ გადავაბიჯე.

შორს დავტოვე ბავშვობა,
ზოგჯერ დარდიც მაწვალებს,
ალხა,შემოდომის მზეს,
ვუწნავ ოქროს ნაწნავებს.

მერე,მოვა სიბერეც
კარს მოგლიჯავს ზამთარი,
მოვარდება სიკვდილი,
ვით,მშიერი აფთარი.

სადღაც ხელის ცეცებით,
გალაკტიონს შევხვდები.
ისიც როგორც ხელმწიფე,
წცერზე ხელის შეხებით.

გაიღიმეს და იტყვის:
- მისტიკა აქვს ცას მეტი.
ალხა რიგში ჩააწყვე,
ტყვია,მხოლოდ ცამეტი.

არც შვიდი და არცა ცხრა,
ალბათ შვენის ცას მეტი.
ღვინობისთვე მლოცავდა,
რიცხვი იყო ცამეტი.

13-10-2019

სველი ვალსი

წუხელ გიჟი წვიმა ასფალტზე ცეკვავდა,
წვეთები უკრავდნენ მინაზე არიებს.
ფიქრებმა სიზმრების კარი შემოაღეს
გული ააჩქარეს და სულ გადამრიეს.
    მღეროდნენ შხეფები ისევ იმ სიმღერას,
    შენ,რომ მომიძღვენი ოდესღაც ფარულად.
    მუსიკას გავყევი და ვალსი ვეცეკვე,
    წლები ფეხაკრეფით სადრღაც გაპარულან.
მერე ღრუბლებიდან წარსულმა იელვა
შეჩერდა ორკესტრი დამშვიდნენ წვეთები.
წამით გაიელვა ღამის სიბნელეში,
შიშით აცახცახდნენ ძლიერი ვერხვები.
    და თუკი ფეხშველი ვცეკვავდი წვიმაში
    ვის რა დავუშავე რატომღაც ვერ ვხდები.
    ხანდახან შევხვდები ჩემს ბავშვურ ოცნებებს
    ცხოვრებით დაღლილი,მკლავებზე ვეხვევი.
როდესაც იწვიმებს,კვლავ მოხვალ წვეთებად
არ დამეძინება მუსიკის ლოდინში.
ვერასდროს გავბედე,რომ ცხადში გვეცეკვა,
ალბათ გვიანია დღეს, ჩემი ბოდიშიც.

29-06-2018

მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს

ცა რომ მადლის კალთას დაიბერტყავს,
მინდა ჩვენც იქ დავხვდეთ ქართველები.
სული სამოსივით გაგვეწმინდოს,
ვიყოთ სასწაულის მნახველები.
    ჩვენზე გადმოვიდეს ყველა მადლი,
    რაც რომ ადამისთვის უფალს სურდა.
    გულით დაგველოცოს ერთმანეთი,
    გზებზე გაგვეშალოს ხვავის სუფრა.
მეკვლედ შემოვიდეს ანგელოზი,
ქართლის ზეცამ ისევ იკაშკაშოს.
ქალი სიყვარულით შვილებს ზრდიდეს,
კაცმა,ირაინდოს,ივაჟკაცოს.
    მტერი დასუსტდეს და დაუძლურდეს,
    ჩვენ კი გავმრავლეთ და გავიხაროთ.
    მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულით,
    ქვეყნის სიყვარულით დავიღალოთ.
ცა რომ მადლის კალთას დაიბერტყავს,
მინდა გულში რწმენა ისევ გაჩნდეს.
მხოლოდ სიყვარული ქართველებო,
მხოლოდ ერთად ყოფნა გადაგვარჩენს.

26-12-2018

რატომ არ სძინავთ ღამით პოეტებს

ღამით პოეტებს არსდროს სძინავთ,
გრძნობებს ახვევენ ლექსის ბადეში.
მელნის მაგივრად ხმარობენ ცის ნამს,
და უყურებენ მთვარეს თვალებში.

როცა ქალაქში სუყველას სძინავს,
პოეტი დადის ვიწრო ქუჩებში.
ხან დარდს გაატანს მონაქროლ ნიავს,
ხანაც ქარიშხალს ჰკოცნის ტუჩებში.

იპოვის,კარგავს,აბნევს,აგროვებს,
ის პოეტია იცვლის ხასიათს.
ეს ქუჩა იქნებ სატრფოს აგონებს,
აქ უნდა შეხვდეს ყოველ განთიადს.

იქნებ მთვრალია,ანდა შეშლილი,
ის პოეტია ეპატიება.
დღეს სამყოროა ცოტა შეცვლილი,
მაგრამ პოეტი არ შეიცვლება.

პოეტებს ღამით რა დააძინებთ,
ყარაულობენ თავის კაეშანს.
ცად მიჰყვებიან მუზას და რითმებს,
არც კი იფიქრო დაბლა დაეშვან.

სანამდის დილა თავის ტახტს გაშლის,
პოეტი ლექსებს ახვევს ბადეში.
გრძნობებს იოკებს,ვნებებით აშლილს,
იქ პოეზიის სამოსახლოში.

ღამით არ უყვართ პოეტებს ძილი,
გრძნობის ბადეში იხლართებიან.
როცა ეწვევათ ერთ დღეს სიკვდილი,
ისევ ლექსებად იბადენიან.

27-01-2019

შეხვედრა გალაკტიონთან

მელიქიშვილს,ფეხით გაჰყვა მთვრალი.
ახლაც ისე,როგორც ჰქონდა ჩვევად.
მთვარე შიშით,სახე გადამკრთალი,
იყუჩებს და ელოდება რჩევას.

ის მთვრალია,სიყვარულით,ღვინით.
ვინ გაუგებს გულის ალთა ციალს.
მზერას ისე შეაგებებს ჟინით,
ვარსვკავებიც ყანწებს გამოსცლიან.

გააბნევს და კვლავ იპოვნის ქარში,
მარგალიტებს,ამოაფრქვევს ენა.
ერთი უყვარს იმ მილიონ ქალში.
ის ერთია ღმერთიც,რჯულიც, რწმენაც.

მთაწმინდიდან გადმოხედავს თბილისს,
მთავრის შუქზე გაუყვება ბილიკს.
სანამ სხივი შემოხვდება,ივლის...
მაგრამ მაინც ვერ იყუჩებს ტკივილს.

ამოიღებს ერთ ბოთლ ღვინოს,დასცლის.
კალმის ბაგეს,შეაგებებს ფურცელს.
გათენებას დილას აღარ აცლის.
და ღრუბლებში ანგელოზებს უცქერს.

სიგიჟეა,მეფისა და მგოსნის.
ბედისწერის აჰყოლია თამაშს.
ღმერთო ჩემო,ცისკარს ჰკოცნის ხელზე,
ლაჟვარს აბნევს, წელზე ვერცხლის ქამარს.

ეს სიგიჟე დაბრალდება ბახუსს.
არც ტროფას და იმედების კარგვას,
ასე ხდება მგონი ყოველ ზაფხულს.
მკათა თვეა,ეს თვე სხვა თვეს არ ჰგავს.

იქვე ვდგავარ,აჩრდილივით დავდევ.
ვხედავ ლომურ წვერზე ისმევს თითებს.
გალაკტიონ,მე პირობა დავდე.
სიკვდილამე რომ გავხედნი რითმებს.

ბავშვობიდან ჩემს რაინდად იქეც,
ლექსის წერაც შენ მასწავლე მახსოვს.
როგორ მინდა გიჟად გადავიქცე,
იმ შეშლილად,ლექსი თავს,რომ ათოვს.

მერე ხალხმა,რაც უნდოდეს ის სთქვას.
არ აშინებს პოეტს,მოთქმა-მითქმა.
თუ სხვის გულში აფრთიანა სიტყვა,
იმ პოეტის აღსასრული ვინ სთქვა.

23-07-2018

მტერს არ დავანებოთ საქართველო

ისე შემოჰკარით გრდემლს და რკინას
ხმამ, რომ ყველა ძარღვში დამიაროს.
ძალა მოიკრიბოს ბებერ-მუხამ,
ღმერთმა დაგვლოცოს და გვაზიაროს.
ისე ამიმღერდით ქართველები,
სიმი არ ჩაწყვიტოთ მაგ ფანდურის.
მერე ადღეგრძელეთ ერთმანეთი,
იყოს ალავერდი,ვახტანგური.
ისე ახმაურდით ვით რიონი,
ანდა თერგი,მთებზე დახლართული.
ოღონდ თქვენი ხმები გამაგონეთ,
სული დამანახეთ კვლავ ქართული.
შინდისფერი დაჰკრავს ივერთ ზეცას,
იქნებ წამომდგარა დადიანი,

ძმათა სიყვარული დაანახეთ,
უკან არ გაუშვათ დარდიანი.
ჩქარა არ დაგვასწროს ჩვენმა მტერმა,
თავად ვიყოთ ქვეყნის მშენებელი.
ჩვენ ვინ დაგვაჩოქებს ბებერ მუხლზე,
ციდან გვლოცავს აღმაშენებელი.
სისხლი აყივლდეს და ახმაურდეს,
ქართულ გენში ცეცხლი გაატაროს,
მტერი არასოდეს გამიხაროთ,
მიწის მტკაველიც არ გაატანოთ.
ისევ გველოდება იალბუზი,
ქართლის გული უნდა გავამრთელოთ,
„მრავალჟამიერი“ შემვოსძახოთ
მტერს არ დავანებოთ საქართველო.

25-05-2018

თინათინ ხაბურზანია

ბოლო ფურცელი

„სირცხვილი იმ გუთნის დედას
თავის მამის საფლავს ხნავდეს“.
იეთიმ-გურჯი

ცარიელია ბოლო ფურცელი,
იქნებდა ლექსს მაზიაროს სულმა.
ის ერთი დარდი ამოუთქმელი,
რა ხანია ატუზულა გულთან.
თავისუფლების დროშის სანაცვლოდ,
თავისუფალი ხელთ სექსი შეგვრჩა.
მაშ! ყველა ცრემლი იყო სადაო,
დაღვრილი მის სადიდებლად ჩვენგან.
მამა-პაპებმა ალალი სისხლი
თუ მიიტანეს ზვარაკად ღმერთთან,
რით დავუფასეთ? ზნეობა სხვისი,
რომ ვანაცვალეთ ზნეობას ჩვენსას.
დაიტევს განა ერთი ფურცელი,
ყველა ტკივილს, რაც მომაწვა ერთად,
გავცვითეთ ყველა სიტყვა უცვეთი
და შევიგინეთ მშობელი დედაც.
დრო თითქოს არც წინ, არც უკან მიდის,
ისეთნაირი ქარებიც ქრიან,
რომ ლამისაა დღეს ქვეყნის იმიჯს
„კალგოტკიანი“ ბიჭები ქმნიან.
გულში არ წყდება დღეს ჩვენი ბედი,
რწმენა, ღირსება საქართველოსი,
რადგან გონება დახარბდა მტრების,
მიერ ცდუნებებს გასამრჯელოთი.
ცარიელია ბოლო ფურცელი,
მინდოდა, რაღაც ლამაზი მეთქვა...
გაყიდულ მომავალს თუ ვეღარ ვშველით,
რა პირით წარვსდგეთ წინაპრის ძვლებთან.

მინდა მახსოვდეს

შენი ღიმილის მახსოვს ფერებიც,
გემო სიცოცხლის ნავარდის ტკბილად,
მთაწმინდის თავზე ცისარტყელებით
ამოყვანილი შვიდფერი დილაც.
მახსოვს, ქუჩებში ჭადრების ჩრდილქვეშ,
მოხეტიაე ქალ-ვაჟნი წყვილად
და უდარდელად შენს ნათელ ცის ქვეშ,
სინაზე, სიტკბო, რომ ერთურთს ცვლიდა.
მე მახსოვს მშვიდი ღუღუნი მტკვრისა
და დაკვნესებაც მეტეხის ჩრდილთან.
როგორ მიყვარდა ცქერა მის პირას,
ღამე თუ როგორ იცვმევდა რიჟრაჟს.
დამათენებდა მემაწვნე ნამდვილ
მაწვნის ქილებით მოტანილ დილას,
წყნეთის მიწაზე მოკრეფილ მწვანილს
შემთავაზებდა ალერსით, ტკბილად.
სადღაც ფანჯრიდან ისმოდა როგორ
უკრავდა ლაღიძის „თბილისოს“ ვიღაც,
სიკეთე სძლევდა ავსა და ბოროტს,
შენს ცის ქვეშ სიცოცხლე მართლაც რომ ღირდა.
დღეს იმ მემაწვის ტკბილ ხმას დავეძებ,
დამეხმარეო! შემჩივლებს ვიღაც.
მშიერ-მწყურვალი უფალს ავედრებს
სასოწარკვეთილ სიცოცხლეს თვისას.
ცივი სახით და მძიმე ნაბიჯით
სად მიდის, სად მიიჩქარის ნეტავ?
და სიყვარულთან ძმობა-ნაფიცი
ქალაქის მაკრთობს დღეს გამოხედვაც.
ვერ ვხედავ ვერც მის ჯადოსნურ ღიმილს,
პირქუშმა დრომ ჩამოწერა წვიმად,
მე ვეღარ ვუძლებ ღრუბლიან თბილისს,
მუდამ მზიანი მახსოვდეს მინდა.

მანანა ზაზიკაშვილი

ჩანთა

ერთ ჩემს მეგობარს
წაართვეს ჩანთა,
ჩანთა თითქოსდა
მდიდრული ჩანდა.
წაიღეს ხურდა
და გასაღები,
არც არა ჰქონდა
სხვა წასაღები.
მას შემდეგ ვეღარ
ყიდულობს ახალს,
ასე ჰგონია
იმ ჩანთას
ნახავს.

ცა ლურჯია

ცა ლურჯია,
ეგ თვალებიც ლურჯები,
მიყვარხარ და აბა,
რად დავმუნჯდები?!
შენი შუქი გზად მინთია
კელაპტრად,
ჩემო კარგო, სხვა
რა უნდა მენატრა?!
გულში სითბო
ჩამიღვარე მაშინვე,
სხვა წამართმეს შენ თავს,
მე ეს მაშინებს.
ბარათაშვილს დაემსგავსე
ლექსებით,
გვაკავშირებს პოეზიის ფესვები.
შენთან ვნატრობ
ქუჩა-ქუჩა ხეტიალს,
ეს ხომ იცი სიყვარულზეც
მეტია!!!

ძველი პალტო

დამიზამთრდა,
ძველი პალტო
მოვირგე,
ცხოვრებაში ბევრი რამე
მოვიგე,
ზამთრის სუსხი,
როცა მაგრად მაშინებს,
თავდაცვაზე გადავდივარ
მაშინვე.
ჩემი ნავი დამაქროლებს
ნიადაგ და
ცხოვრება
უკვდავებას მიაგავს.

ჩემი სამშობლო ჰქვია

ზვარი ჩაშაქრულ მტევნებს,
სანთლისფრად ქცეულ ბიას,
მზით განათებულ ოდებს,
ჩემი სამშობლო ჰქვია.
ჩემი სამშობლო ჰქვია
ცაში მტრედების ღუღუნს,
ლილეოსა და ლალეს
და გუგულების გუ-გუს!!!

ჩემი ხატი

შენ ხატი ხარ,
ჩემი ხატი,
ჩემს ოჯახში
შემოსული,
გხატე სულით,
გხატე გული,
ავისრულე ნატვრა
სრული.
ახლა თუნდაც
ვინმემ გხატოს,
გხატოს, ასე
ვერ დაგხატოს!
სიცოცხლეში
სანთელს გინთებ,
გადავყევი
შენზე ფიქრებს.

დავით იოსებაშვილი

დავიბადე ქუთასში პოეზიის ქალაქში. წითელ დიპლომზე დავამთავრე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ათი წელი ვიმუშავე ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსად. სტაჟირება გავიარე ბუდაპეშტის ევროპის უნივერსიტეტში და ინგლისის პარლამენტში. ამჟამად ვხელმძღვანელობ საერთაშორისო ორგანიზაცია YMCA-ქუთაის და მასთან არსებულ მრავალდარგოვან სტუდია „თამარიონს“. 2017 წელს მომენიჭა საქართველოს ხელოვნების ამაგდარის ორდენი. მყავს მეუღლე მაკა გიორგაძე და პატარა ქალიშვილი ნინო.

მაისი ქუთაისში

შენს მოფრენას,
ქუთაისში – თრთოლვით ელის – ვარდები..
ცვრით ნაფერი დედოფლები, შენი
დანაბადები.
თეთრ – ბაგრატზე გიდგას ტახტი –
ცისარტყელით შემკული,
კაბას გირთავს – ოქრომკერდი,
მზით ნაფერი – ქართული....
შენს ფეხის ხმას გაიგებენ –
თბილ ბუდეში მერცხლები....
გაბაშვილის ზურმუხტ-პარკში...
იმღერებენ გედები. კვლავ აგვავსებ,
ოცნებებით – გაზაფხულის – გვირგვინო..
ბებერ – უქიმერიონზე –
სულ მტრედებმა იფრინონ...
ტრფობასა და მშვენებაში,
გხვდებით, მაისს – მღელვარეს,
ხარობს შენი მობრძანებით,
ქუთაისი – ელვარე.

ქუთაისს

ქუთაისო, ჩემო დედავ...
მინდა გულში ჩაგიკრა,
ფეხქვეშ ატმის ყვავილები,
ფარდაგივით გაგიკრა...
დავედევნო ჯაჭვის-ხიდზე,
გვირილიან -გოგონებს...
მოვეფერო მოწიწებით,
პოეტ-ძმათა აჩრდილებს.
მსურს ქალაქო საფიცარო,
შენს ძველ ბაღებს ვუმღერო
ვარდის რტოზე ბულბულების
სონეტები ვაღმერთო...
მწადს ვუცქირო ქუთაისო,
ფაზის უფრო მჩქეფარეს,
მედეას – ოქროს საწმის,
დაბრუნებულ მზის-ნატეხს..
მხარზე მინდა დავიჯინო,
მტრედი წითელფეხება,
მოვიტანი თეთრი – ლოდი
შენი ციხის კედლებთან...
ქუთაისო-ჩემო დედა,
მინდა გულში ჩაგიკრა,
ფეხქვეშ ატმის ყვავილები –
ფარდაგივით გაგიკრა.

2მაისი 2017 იმერული ოდა.

ნოსტალგია

სადღაც გამეპარა,
ძველი ქუთაისი.
დავედევნე უკან,
უძახოდი „სად ხარ???“..
ვინ მათხოვა ყური . .
აიღო და გაქრა...
თან წაიღო ჩუმად –
ბავშვობა და დედა..
ბაღისკიდეს აწევს
ნისლისფერი სევდა..
მხოლოდ სიზმრად
ვხედავ – ფერებს სამაისოს...
ნაცნობ სილუეტებს ...
ფრესკებს გამურულებს..
მესმის მელოდია,
ხიდზე ანცი ქარის..
დამეკარგა გოგო,
ბაფთიანი ლაღი.
ბაგრატს დახვევია
ჩუქურთმები ვაზის,
მტრედებს გავატანე
ბარათები ტრფობის..
ღმერთო მაპოვნინე
ის ქალაქი – ნატვრის.

30 ივლის 2017 წელ

გაზაფხული

გაზაფხული ამეტუზა – კარებთან.....
თეთრი კაბით, იასამნის სურნელით...
მიღიმოდა იდუმალი – ღიმილით...
თავს ეხურა, გვირილების გვირგვინი...
ლურჯ თვალებში, დაუხტოდენ ჭინკები...
სიყვარულის უფეთქავდა – კვირტები...
სევდა უცებ შემიცვალა იმედით...
ბახუსივით ამიფეთქა გრძნობები...
გაზაფხული ამეტუზა კარებთან...
თეთრი კაბით, იასამნის სურნელით.

* * *

არც მზისა არც მთვარისა...
არც დედის და არც მამისა...
არც ცისა და არც მიწისა...
არც წვიმის და ცისარტყლისა..
არც დღისა და არც ღამისა..
სილამაზე – მოდიოდა...
დაკარგული – სამოთხისა.

ლაზარე...

ჩემო საყვარელო ქვეყანავ,
გულო გაბზარულო სევდით
ჭიგოს მოწყვეტილო ვენახო,
დაუნდობელი სეტყვით..
ცეცხლით გამურული სამრეკლო,
ხავსმოდებული ქვებით..
ჩემო იმერო და ამერო,
ჯვარზე ვნებულო დღემდის...
ბასიანის და დიდგორის,
დიდი გმირობის ექო...
ღვთის ეკლიანი გვირგვინი,
დაბადებიდან გვერგო...
მკვდრეთით აღდგენილო ლაზარევ,
კვართო იმედის მზეო...
წინაპართ ლოცვით ნაფერო
ხანძდა, ოპიზა, გრემო...
წაგლეჯილს არვინ შეგარჩენთ,
კარგად გახსოვდეს მტერო...
ნიკოფსიიდან დარუბანდს,
ერქმევა საქართველო

შენ გაგიმარჯოს

შენ გაგიმარჯოს,
ქართველო – ქალო!...
გაზაფხულივით,
ლამაზი ხარო..
დაუცხრომელო
და მოელვარე
დაუშრობელო,
სიციცხლის წყარო..
საქართველოის
სვეტო- ცხოველო,
მისთვის ათასჯერ –
მსხვერპლო-ტარიგო..

იდუმალება შენი გულისა,
ვერცერთმა მტერმა,
რომ ვერ გაიგო...
ჯადოსნურ ფერთა გალობავ,
ატმის ყვავილში აფეთქებულო...
შენ გაგიმარჯოს –
ქართველო ქალო!
სიყვარულის და მუზების ქარო..
ყველა ყვავილი –
მინდა მოგიძღვნა.
შენ საფიცარო –
ქართველო ქალო.

მდიდრებს

ქარები ხევენ – აფრებს იმედის..
სადღაც ნისლებში – ფრენენ გედები..
არეულია გონი – სამყაროს...
ოქრო ვერ აძღებს თვალებს. ადამის..
ბავშვების სევდა, ტანჯვა მოხუცთა..

მათ მევახშე გულს.. არცკი ანაღვლებს...
არ ახსოვთ მდიდარ – მეფუკა კაცებს..
მაგალითი თავდამბლობის და სათნოების.
დიდი მესია – იესო ქრისტე,
ერთი პერანგით ავიდა ჯვარზე.

12-5-2020

თამარ რაზმაძე

მესაჩუქრები

(ხათუნა კვესელავას)

სამშვენისია შენი სული წკვარამ ამინდში,
ფრთებზე გეყრება ფიფქ-ღიმილი,
ნუღარ მარტვილობ,
გზა გადავრეცხეთ ერთმანეთის
გლოვის და ოხვრის,
მესაჩუქრები...
რენუარის თეთრო ყვავილო...

დგახარ შროშანად ველ- მინდორზე
ჩემი კაეშნის,
შენს ღიმილებთან ზავს დებს,
დნება
ყინვის ტბორები,
მესაჩუქრები, სიხარულით სულით ვენახობს,
არ გაიწირო,
არ დაგჯაბნოს ცრემლის მორევმა!..

შენს სტრიქონებში რომ ხმატკბილობს
ბარის ჩონგური
და მშობლიური, ლორთქო მიწის
ნელსურნელება,
ისე,თავისით,სულ უბრალოდ
შენ შეგიძლია
კალმის მონასმით
კოლხეთის ცით გამასულელო!..

მარმარილოსკენ
თითქოს ღვრაში წავიდა
ღვინო,
ღვინო და თაფლი,მეგობარო,
როცა კი გიმზერ
და დაესესხა გაზაფხულებს
დეკემბრის ის დღე,
როცა შენ გაჩნდი,
მზე – თვალხატულა გიცინის პირზე.

და მე ვიჯერებ
იმ დღეების, ჯერ არმოსულის –
სითბოს და სიტკბოს,
ერთად რომ დავალთ,
სიხარულში სული ვენახობს,
მომეცი ხელი – მარმარილოს
თეთრი ნასხლეტის,
შენ რენუარმა ერთი წუთით
ფუნჯი შეგახო...
მესაჩუქრები...

იასამანი

ჰა, გულშემატკივარ ბგერებად ფეთქავ,
აპრილი – სულს შემომდნარი მთენთავს წამალი,
მისატევებელ ცოდვათა გონით გხედავ,
მკლავს სიყვარული – ვერდასამალი...

მაოცებს ჩემივ ცრემლების სითბო,
შენით შემოსვა – იასამანი...
მოგონებების მზერს სასაფლაო –
სიკვდილ-სიცოცხლის ლურჯი სამანი.

ღრუბლების სევდას ისევ ანათებს
ლაჟვარდისფერად გამოსანათი
ქრისტეს თვალების ფერი და შუქი,
ნახატი მისი – იასამანი...

უამინდობას სძლია რომელმაც
და გადაფლითა ზამთრის საბანი,
ვიდრე ცხონდება აღდგომა სულში,
დამაიმედებს გამოსავალი.
თვალზე მაკოცე, აპრილო ჩემო
იასამანი...

მანანა მიქაძე

ვარდობის თვეს, მაისობას...

აფეთქებულა სიყვარულის კვირტები ხეზე.
ამ გაზაფხულის მაისობა ზეცამ გვახარა.
ჩუმი სიცოცხლით გახალისდა
ყვავილთა ფერი და
სამკაულად შემოევლო სიო ნარ-ნარა.
დროებამ ფერი გაუხუნა ყვავილის კალთას.
ბევრი ცრემლებიც აღვრევინა
დრო და დრო დარდმა.
ყვავილთა ფურცლის ჩამოჭკნობა
შენიშნა ღმერთმა.
შეკრთა: „ს, როგორ მოხდა?!"-თქვა
გაკვირვებით
და ყვავილს ხელახლა ჩაბერა
მანდილოსანი პოეტის სული!
ამიტომაც, მას შემდეგ, არ დანებდა
ვარამს.
დგას შემართული,ვაჟკაცურად
პირმოღიმარი.
მუხლ მოუხრელი, შეუფასებელ
ღვაწლის ფასად, სასწაულებრივ!
ზეცის კიბესთან დააყენა უფალმა
პოეტი ქნარით,
რომ ასწვდომოდა საუფლოში
მონატრულ ქმარ-შვილს,
გულცრემლიანი, დარდით მოსილი
გალობა დედის!

ემიგრანტის ფიქრი!

ჩემს მეგობრებს!

მე დავბრუნდები,
შენს კალთაზე თავს დავიამებ.
მოგაჩერდები გარინდული
და მონატრული,
მოგეხუტები,
შორი გზიდან დაბრუნებული,
თვალებს მივლულავ
საიმედოდ უშფოთველ ძილით.
სამშობლოვ ჩემო,
როგორა გვცვლის წუთისოფელი,
რანი ვიყავით და უკან რანნი
ვბრუნდებით.
სად არ ვიყავი, მოვიარე ქვეყნიერება.
მე, შენზე თბილი ვერვინ შემხვდა ამ
საწუთროში!
ჩემო მშვენებავ, ნატანჯო და ძლევამოსილო,
გაუტეხელო, ფიქრიანი, შენ გზას
მოვყვები!
მომნატრებიხარ, ოი, როგორ
მომნატრებიხარ,
ვიცი, ჩამიკრავ
მშობელი დედის გულივით გულში.
მშობლიურ მიწას, სიყვარულით
ვემთხვევი ცრემლით.
მსურს შენს კალთაში,
დაბერება მაღირსოს ღმერთმა!

2020.04

ნანა შათირიშვილი

ორიოდე სიტყვით მინდა გითხრათ ჩვენი ნანას წინათგრძნობის შესახებ, რომელიც მან ლექსად გადმოგვცა. მე და ნანა ხშირად ვუკითხავდით ხოლმე ერთმანეთს ჩვენს ლექსებს და ვუზიარებდით აზრებს ერთმანეთს, მე მას მასწავლებლად მივიჩნევდი, სულიერ მასწავლებლად, მე გუშინ მხვდა წილად მენახა ნანას ეს შემოქმედება რომელიც აქამდე ჩემთვის არ წაუკითხავს და წაკითხვის შემდეგ განცვიფრებული დავრჩი, სიტყვებს აზრს ვერ ვაბამდი. მეგობრებო ამ რწმენით ნაკარნახევი და გენიალური შემოქმედებით, გავაცილოთ ჩვენი „თეთრი გედი“ უკანასკნელ გზაზე.

თეთრი გედი

მიიწევს სული სადაც ღმერთია
და უკვდავების წმინდა ნამქერი,
ჩემი სიცოცხლე თეთრი გედია
ერთ თბილ სიმღერად გადანამღერი.

მიყვარდით, ტკივილს ვუძლებდი თქვენთვის
და გამხნევებდით მებრძოლი სულით,
არ მიგატოვებთ, როგორც ყოველთვის,
გულს კვლავ გაგითბობთ ზღვა სიყვარულით.

მოგეფერებით ლაჟვარდი ციდან,
სულის ჩვეული სისადავეთი...
მუდამ თქვენს გულში ვიცოცხლო მინდა
მაპატიეთ, რომ ადრე წავედი...

2, აგვ. 2017 წ .

ჩუმად

გრძნობა
რომელიც გულზე დამღად მადევს ფარულად
თქვენ მოგიძღვენით,
მხოლოდ ისე, ჩუმად, მალულად,
ყაყაჩოს მუდამ
დარაჯობენ ღამის მთევლები,
როგორც დარაჯი,
ნიავივით აგედევნებით
და თუ უეცრად
დაგადნებათ ტუჩებზე ფიფქი,
თოვლს მანდ რაუნდა
კოცნას გპარავთ ესბ ჩემი ფიქრი.

6.11.2002.

ფიალა

ფარული დარდი, ფარული სტრესი
შენიც და სხვისიც უნდა იტკიო,
ცხოვრების ტერფით ბევრჯერ გასრესილ
გულის ფიცარზე რომ დაიტიო;

ამისთვის უნდა ფიალა გახდე,
ხელიდან ხელში გადადიოდე...
ნეტავი ყველას ოცნება ახდეს!
ნეტა, არავინ აღარ ტიროდეს!

მითია მხოლოდ პრომეთეს ფუძე
და სისიფოსის დაუღლელობა.
ადამიანი ან როგორ უძლებს
ამდენ სიკვდილს და ამდენ მკვლელობას
სასათლაოდან ვბრუნდებით ჰეი,
როგორაც რიგში ჩამდგარი ფარა,
უსუსრობით ვიფშვნიტავთ ხელებს
საფლავს ყვავილის ხალიჩით ვფარავთ,

მეტს ცოცხლობ მეტი გაგყვება სევდა
ბევრი ახლობლის დაკარგვის შემდეგ,
ჩვენ ვიღუპებით მომავლის ბედად
რომ მომავალი ჩვენს მხრებზე შედგეს.

ცოტა სიხარულს ბევრი აქვს დაღლა
და სიცილს ხშირად სჭარბობს ტირილი
ჩვენ გვიწევს დგომა ჩვენს თავზე მაღლა
რომ ავიტანოთ ყველა ტკივილი.

24.11.2019.

ეკა მარშანია

დროში გაფრენილი სული..

(ვუძღვნი ჩემს ერთერთ სულიერ დას)

იქნებ შენც გიყვარდა ნატვრა
მზეებრ გაბრწყინებულ გულით,
ფიქრებს ახდენიათ ნატვრა
დროში გაფრენილა სული.
....
გაქრა მოგონების ტალღად
ერთ დროს ბობოქარი გული,
სადღაც მიილია დარდად
უხმობს ანგელოზებს სულის.
.....
იქნებ არც კი გსურდა გევლო
დარდად აკინძული სულით,
მაგრამ ვერსად გაექეცი
მზერას ავსებული შურით
.....
კაცთა მოდგმის მტერთან
ჭიდილს რა ხანია იტან,
უნდა დაიჯერო"უფლის"
სამართალი გიმზერს" ციდან"
.....
ოხ, რა მწარეა და ძნელი
იყო ყველასაგან მარტო,
აღარც მზის ამოსვლა გშველის
და არც დაბინდებას ნატრობ.
... ...
ისევ გაილევა ღამე
ისევ გათენდება დილაც,
და შენ უსაშველო ტკივილს,
ისევ ძველებურად იტან.....

13.05.2020

მარიამ ბაქანიძე

ქართველს ვინ დასძლევდა!

ქართველს ვინ დასძლევდა...
იმ ტოტს რომ არ სჭრიდეს, რომელზეც ზის.
ქართველს ვინ დასძლევდა...
ბოღმა რომ არ ხრავდეს, თვისივე ძმის.
ქართველს ვინ დასძლევდა...
სიღრმეს რომ სწვდებოდეს მშობელი ცის.
პაპის ნაგებ ციხეს თავად რომ არ სტეხდეს...
მტრის წერაქვით.
ქართველს ვინ დასძლევდა...
გუმბათს რომ ფერავდეს დედაენით.
ქართველს ვინ დასძლევდა...
მიწას რომ ალხენდეს მუხის ფესვით.
ქართველს ვინ დასძლევდა
ხიბლი რომ არ ღრღნიდეს სარევლის.
ვერცხლის ზარდახშებით სულს
რომ არ გასცემდეს გამცემელი.
ქართველს ვინ დასძლევდა...
დარდი რომ იცოდეს ხალდის მთების.
ქართველს ვინ დასძლევდა...
დარდი რომ იცოდეს ხალდის მთების.
ქართველს ვინ დასძლევდა...
ფიქრი რომ ესმოდეს ხვამლის გზების.
როგორ დაუჩოქა დიდმა წინაპარმა
ბებერ ტაოს...
ქართველს ვინ დასძლევდა...
ერთხელაც რომ ეთქვა ცისა ვარო!
ხერხი რომ ელესა ვაზის გასაჩეხი
ცულის ნაცვლად.
ქართველს ვინ დასძლევდა...
ბოღმა რომ არ სჭამდეს თვისივ-თავთან.

რწმენა, სასოება და სიყვარული
გერგეტობას გილოცავთ!

„ხევის პატარძალი“! თეთრ ღრუბლებში ზეცას ამბორსყოფს და...
დაბლა ვინ რა იცის,
ციურ ლაჟვარდებში რა სიყვარულია...
ისევ მოიტაცე „სამგორველი“...
ისევ... ყორანო და...
ისევ ნიში დადე სწორედ ისევ-ისე როგორც დაგიდია.
შენ ბრძენო მეცხვარევ!
ისევ ამოზიდე „კალატას“
წყარო და...
ისევ ნისლი გვბურავს, სულში საძირკველი ჯერ არ გაგვიჭრია...
ქვა ამოგვაშველეთ ძალის მოსაკრეფად „დევ-წიქარებო“ და...
მყინვარს შეატოვეთ რაც რომ ფუჭია და უქმე სასმისია...
„ხევის პატარძალი“ თეთრ ღრუბლებში ზეცას ამბორსყოფს და...
დაბლა ვინ რა იცის ციურ ლაჟვარდებში რა სიყვარულია!

გციოდეს, გშიოდეს, გაწვიმდეს კიდეც რომ...

ჭერიც რომ ვერ ჰპოვო მიწიერ თავსხმაში.
მწყურვალიც რომ კცნესდე,და ჭა ვერ იპოვო,
ქვაც რომ გეწეოდეს უსიერ აღმართში.
ცეცხლთან თუ გიხმობენ, სულში ჩაიხედე,
გულში იმეორე ძირ-ძველი ნათქვამი.
ცეცხლი ვინ დაანთო,რომელ ხეს წვავენ და....
მართლა ცეცხლია თუ ცბიერი ხანძარი.
მშიერს თუ გაჭამეს ლუკმა მიმტვრეული,
ჯერ ნუ იზეუმებ ვიდრე არ განჭვრიტავ:
ვისი ნათესია ყანა მოწეული.
ვინ რა საფუარს ყრის ცომში
გულმაძღრისად.
გინდაც გასველებდეს წვიმა თავქცეული,
ჭერიც რომ ვერ ჰპოვო არა ქმნა განგაში.
ყველა ზღურბლის მიღმა სათლი არ იპოვო,
არც ყველას უშველო ფერხთა განბანაში.
მწყურვალი სისხლიან ბაგეს რომ იკვნეტდე,
გუბეს ნუ გახედავ გრძნეულის ქვაბია,
გულში იმეორე...
უფალო მომხედე,გახსოვდეს სიტყვები ცას კიბედ აბია.
შენ არ აერიდო მშიერს და დაჩოქილს,
პურიც მიეცი და საპურე მარილიც,
შენც დაიჩოქე და ისე მიეშველე,
მკერდზე მიიყუდე,ნალოცი ხატივით.
ყველა ღვთის შობილი სულში შეიფარე,
ძმობა თუ არ ძალგიძს,გმობად ნუ გაიხდი.
ბორგავს სამყარო და იცვლის მზის პერანგებს,
ზღვაში წრეებს ითვლის შიშველი დაისი.
ძონძი ნუ შეგაკრთობს,"მზეც" მინახავს ძაძით...
უბე მორღვეული ღრუბლის ფარჩა სცმია.
ცასაც უტირია გახელილი თვალით,
და სველ წამწამებზე ცეცხლიც მოსდებია.
გციოდეს,გშიოდეს,გაწვიმდეს კიდეც რომ,
ჭერიც რომ ვერ ჰპოვო მიწიერ ზღაპარში
შენი ღვთის ხატება ქვაზე არ დატოვო,
ჯვრამდე მიიტანე, წუთების თავსხმაში.

ეკა ბრეგვაძე

* * *

მე შენს თვალებში სამყაროს ვხედავ!
შენ მაძლევ ძალას სიყვარულის და სიკეთის ქმნისა!
ზეცას ღაღადებს-ვითარცა ხმა ანგელოზისა!
შენ ხარ სიმბოლო – უკეთურზე გამარჯვებისა!

* * *

რამდენი უნდა დაიტიო, გულო, ტანჯულო?!
რამდენჯერ უნდა დაემონო, ცდუნებას, სულო?!
იქნება სუნთქვა, შემაგებოს, სიომ დილისმა,
რომ შენი ნახვა, სიყვარულის მექცეს თილისმად!..
და აღარ ვიცი, მონატრებას, რითღა ვუშველო?
მეც მინდა, ჩემში, რეალობის ნერგი ვახარო!-
წუთისოფელი გაილია, თითქმის, უშენოდ,
ოცნებით ვქარგე, შენთან ერთად, მთელი სამყარო!

****

...სულში შემოხვედი,
როგორც მარტის თოვლი,
პაწაწინა ქალი,
ფანჯრის რაფას მდგარი,
თვალები გაქვს წყნარი,
მუდამ გზისკენ მდგარი,
სამყარო ხარ ჩემი
ფერადი და ლაღი,
უკვე გაიზარდე
აღარა ხარ ბალღი,
თუმცა მახსენდება
მკერდზე შენი თავი.
ქმნილება ხარ ღმერთის,
ჩემი თეთრი ვარდი,
ჩემი ერთი ციდა,
ჩემი მეგობარი.
ჩემი პაწა ქალი,
ჩემი მარი -მართა !
გფარველობდეს მუდამ
ღვთიშობელის კალთა!

07.07.2018 წელი

ლაიზი ონიანი

ქარი

აჰყვება მუზას თებერვლის ქარი,არეულ გზებით,
მეწამულ ფერთა გრადაციებით ,ლურჯი იებით,
დამზრალი ხელით,
ჩამოხსნის გვირგვინს
და მიაცილებს გადაღლილ ზამთარს,
ფერმკრთალი ისიც და სევდიანი ,თითქოს სულს ღაფავს...
თებერვლის ქარი
ცად აწვდილ ალვებს,
ალერსით ავსებს,
გაცრეცილ დღეებს,
დროში განფენილთ
უსასრულო ერთფეროვნებით,
დაათრობს ვნებით.

ქვიშის საათი

მოვარდნილ ქარიშხალს მკერდით მიეგებე,
ზღვის ნაპირებზე დადიხარ
ტაატით,
უკვე დაიღალე? გვიანიც არ არის,
ჯერ ხომ ნახევარზე დგას
ქვიშის საათი.
შენამდე მოღწეულ მუსიკის
ჰანგებზე ,მოგონებები
აიშლება სევდის ნოტებით,
სანაპიროსთან ლაჟვარდოვან ფერებით
მთვრალი,
შეეერცხლილ თმებით,
ფუჯით ხელში იდგა მხატვარი.
ფიქრებს აჩემებულს,
ჩამოქნილს მუზებად,
თეთრ მარგალიტებად
იწყობდი ხელისგულზე,
რამდენს დახატავდი
ან რამდენს დაწერდი,
ფერთა ჰარმონიით,
ლამაზ სიყვარულზე.
ბინდი აფერმკრთალებს უკვე პეიზაჟებს,
ჩამავალ სხივების,
კრთება ათინათი,
ნაბიჯს აუჩქარე, ხმაურობს ტალღები,
საცაა იცლება ეს ქვიშის საათი.

ღამე

სერავდა ღამეს ქიმმოქნილ
მთვარის სხივი რძისფერი
და ცივი სარკმლის მინანქარს აჩნდა თრთოლა
თითების...
ცა ვერცხლისფერი,
სწვდებოდა სიზმარს არაცნობიერს ჩემი
ფიქრები...
ტყდებოდა ღამე და იმსხვრეოდა ეული ხის
ტოტებზე ყინვა,
რუხ ბეღურებსაც ,სადღაც
სხვაგან დაედოთ ბინა,
მქრქალი ჩრდილები შერჩენოდა ,
თვალებს თაფლისფერს
და იღვრებოდა მისტიური
ზურმუხტის დილა.

შორენა მამალაშვილი

ნუ დაღონდები...

წვიმის წვეთები, თითქოს შიშველ სულზე მეხება,
დგას გალუმპული უნაზესი ხე აკაციის...
და ველოდები დღეს, როდესაც ფრთები მექნება,
როცა კანონი აღსრულდება ლევიტაციის.

როცა მიწიდან გაქცევისთვის მეყოფა ძალა,
როცა წამლეკავს ღვთაებრივი ცისფერი შუქი...
შენც უჩვეულოდ აგტკივდება ნაკლული მალა
და იგრძნობ როგორ მისახლდება სხეულში სუსხი.

დგას თავდახრილი უნაზესი ხე აკაციის
და მინდა გთხოვო, რომ შენ ასე ნუ დაღონდები,
რომ სიკვდილია დასაწყისი იმ სხვა საწყისის,
დაბადებიდან მოუთმენლად რომ ველოდები...

ნუ შეშინდები!

ნუ შეშინდები თუ ერთხელაც მარტო დარჩები,
თუ მოგაკითხავს ოქროსფერი მელანქოლია,
თუ ოქტომბერი შეიმოსა სევდის ფარჩებით,
და გულისგულში შეგისახლდა ეიფორია.

ნუ შეშინდები თუ ყველა გზა მოჭრილი დაგხვდა,
ანდა მოშლილი ყველა ხიდი, ყველა ჯებირი,
ვისაც უცქერდი სასოებით უნდობი გახდა...
და როგორც სხვენში დაგდებული ძველი თეჯირი,-

დრო გაიხიდა გულებს შორის სევდის საპირედ...
თუ დაუნდობლად აგებს ეჭვი ხილულ სამანებს,
თუკი ცრემლები გადმოლახავს თვალთა ნაპირებს
და შენს ოცნებებს სამუდამოდ დაასამარებს.

ნუ შეშინდები, თუ სანთლები ერთბაშად ჩაქრა,
თუ მარტოდმარტოს გეშინია ბნელის გაგნება,
ნუ შეშინდები, თუ იმედი უკვალოდ გაქრა
და მარტოობის ცივი თოვლი სულზე გადნება.

* * *

თითქოს დახუჭა მთვარემ თვალები,
მზერა მოწყვიტა წვიმის ბორიალს,
გემბანზე ღმერთივით გაკრული აფრები
სველ მკერდზე იკრავენ თოლიას.

თავი ჩამოიხრჩო სინათლემ ღამეში,
ქარის და ტალღების ზრიალში,
თოლიას თვალებში
მიმქარალი სიცოცხლე
ინთქმება უკუნეთ წყვდიადში!..

გუდამაყრელო გვირილა

გუდამაყრელო გვირილა
ასე რამ აგაღიმილა?
არ ენდო მიწას ნამიანს
და არც ამინდებს ქარიანს...
სულ გაზაფხულის ბრალია
შენს გულს რომ ფრენა სწადია,
თუმცა ვერავინ მიმხვდარა
მაგ შენი გულის ხვაშიადს.
ყაყაჩოების ბრიალმა,
არ მოგასვენა მთაშიაც,
მიტომაც გეღიმილება,
გაფრენაც მიტომ გწადია...

წმინდაო მარიამ!

ეს სულის ტალახი... ნაგვემი ფიქრები...
ამ მრუმე ღამიან -
მოდი და წარმხოცე ვით ცუდი სიზმრები,
წმინდაო მარიამ!

ყოვლის წამლეკავი წვიმები, წვიმები...
ღრეებიც წვიმებით მთვრალია...
გრძელი პროცესია უსახო იჭვების,
სული რომ უეცრივ არია...

არსაით იმედი, არსაით ნუგეში,--
სამყარო ცივი და ავია...
მიხსენი და შენს თბილ უბეში მამყოფე,
წმინდაო მარიამ!

გურა ანგურა

ღვთისშვილთა გადმოსვლა საყმო ლაშქარის დასახმარებლად

მითოსური პოემიდან „მორიგე ღმერთმა ღვთიშვილნი
დასხნა გერგეტის მთაზედა"

რქადახრილასთან დაიჩოქა საყმო ლაშქარმა, წინ წარსდგა ხევისბერი – მკადრე ღვთაებისა და მორიგე ღმერთს ლაშქრის დალოცვა და კურთხევა შეჰღაღადა, შეჰვედრა ღვთისშვილთ შემწეობა, მტერზე გამარჯვება და სახელოვანი სიკვდილი. მორიგე ღმერთმა არ დააყოვნა „სენსამსალაით" დაფერილი იარაღი დაულოცა ღვთისშვილთ; მათრახი, ლახტი და სხვა საომარი სასაგნავები და ლოცვა-კურთხევით გამოაგზავნა საყმო ლაშქარზე შემწეობის მოსაღებად.

კოპალამ, წმინდა გიორგიმ და იახსარმა სამასსამოცდასამი მხარე მათრახი (სამოცდას მხარიანი მათრახი, ზეცის 9 კარით და სინათლის 7 ფერით გადაფერილი) აღიღეს ხელთა, გრდემლი მოსწყვიტეს მიწიდან იმ მათრახებით და ზეცად ზეაიტაცეს.

სხვა ღვთისშვილთაც, წყაროსთვაულმა, ნაღვარმშვენიერმა, ბერბაადურმა ხელთ იბყრეს ელვის მათრახები, ქარის მათრახები, მზის მათრახები; შესხდნენ ლომებზე, ჯიქებზე, ავაზებზე, ორბსა და ფასკუნჯებზე და გამოემართნენ საყმო ლაშქარის დასახმარებლად.

მათრახები გადმოუჭირეს და კლდეზე ჩანჩქერები დაჰკიდეს. გრდემლი ესროლეს დევთა როკაპთა ავსულთა და ერთიანად ამოჟლიტეს. განახვნეს კარნი ქვეშეთისანი და იქიდან, ბროლის წყარო კლდის დედა გამოიყვანეს, მზეთუნახავი შუქსხივმფინარე.

დასწყვიტეს ველზე მათრახნი
მიკლაკ-მოკლაკნეს ხეობად,
ცაში აფრინდა ალალი,
ამცნო ღვთისშვილთა ზეობა,

გაუშვეს წყლანი კლდისანი,
ნახეთქი მიწის გულიდან;
მდინარე არაკისანი,
მლოცველი გაზაფხულისა.

საყმო ლაშკარი. მხატვარი **ბესო გედევანიშვილი.**

მათქვამნი მლერენ საგმიროს

მათქვამნი რასას ამბობენ, რასაც მოსთქვამენ კლდენია,
რასაც იტირებს ყვავილი, რასაც იყმუვლებს მგელია,
რასაც დაიმღერს მდინარე, რასაც ნიავი ფრენია,
რასაც ალერსით მოუთხრობს ვარსკვლავებს მთვარე-მზენია.
იმასაც იტყვის მოლექსე, თუ რამე სტკივა მიწასა,
სხივებსა დედის მაგვარებს, წყაროებს დასაფიცარსა,
ღრუბლებსა მდოვრედ მადინებს, ცვარ-ნამს, ღიმილებს ცისასა,
სულსა შუადღის ალმურში სიზმარეულად მცინარსა.
სტვირსა გაიტანს ველ-მინდვრად, რადგან ის სივრცის სტვირია,
ამოაკვნესებს სალამურს, ტბა-ლელწმის გამოზრდილია,
სხივსა ფანდურზე დაიწვენს, უნდა ახსენოს გმირია,
ვინც კლდენი გამოანგრია და კარნი ბროლის პირია.
ვინც მოკლა ბნელი ურჩხული-გველი ცეცხლისა მფრქვეველი,
ვინაც დაიხსნა ნათელი, ყოველთა უბიწოდ შემქმნელი,
ვინც შვების წყაროდ მოხვივნდა, ვინც გამოიხსნა მზე ბნელით,
ვინც არის ნისლთა ბურუსში, ჩვენის საწყისის მძებნელი.
მათქვამნი რასას ამბობენ, რასაც მოსთქვამენ ხენია,
რასაც გაიგებს ყურთეთრი, თოვლი ზამთარის მქმნელია,
რასაც დაღვრიან წვიმები, ღვარცოფა ნიაღვარებია,
რასაც პირიმზე დაჰკიდებს კლდეს სევდა-შემომცქერიად.
რწმენითა სჯიდნენ მათქვამნი, ცად გამზირალებს სჯეროდათ,
მადლი ცით მოვლინებული ღუბისათავს წამოდგებოდა,
ანგელოზები ღვთისშვილნი აბჯარში სხმულნი, ერთობად,
გაფერილ სასაგნავებით მოვლენ დევ-კერპთა მტერობად.
ქარი სისინებს, ქარიშხალს უხმობს მომეცი ძალია,
მუდარის ცრემლი ჩამოსდის, გულს სჭვალავს სატკივარია,
უხილავს, ჯერუხილავი, ღრუბელთ მგლისფერი ჯარია,
ციხენი ჯანღით ნაგებნი, ელვის პრიალა ხმალია,
საომრად გამზადებული დევთა შეკრული რაზმები,
თვალები გადარღვეული, შუბლს გაწყვეტილი ხაზებით,
ზვავთა ლაჯებით დამშვებნი, ღვართა სამზადი ბრაზები,
ამბობენ: მთები მოვგლიჯოთ, მიწას ვუმტვროთ რაზები,
დავლეწოთ კაცთა ნაგები სახლ-კარი, მივცეთ დელგმებსა,
რომ ვერ შეირგეს უღირსთა, ვბუგავდეთ იმათ ედემსა,
დავაწიოკოთ ცოლ-შვილით, ვსჭრიდეთ სახვეწარ ყელებსა,
საძიძგნად მივცეთ ქორ-ძერებს, ზედ დავახვევდეთ გველებსა,
ჩავყაროთ კუპრის მდინარეს, ქვესკნელს გავუღოთ ხახანი,
წავლალოთ მათი ხარ-ძროხა, ცხვარი, სარჩო და აღალი-
წავართვათ, მწირზე დავტოვოთ; ტურა, მგელი და აფთარ
იმათის ლეშით დავაძღოთ, ჩავქოლოთ კლდეთა ნაშალით.
ქარს გაუშლია მკლავები, სწეწავს ღრუბელთა ტყვიებსა,
ელის ქარშხალ-გრიგალებს, ავთა საკლავად, მშიერსა
და აჰა, დანაპირები ზეცის კივკივა ტინებსა
მოადგა თეთრი გრიგალი, ზათქით მოდენის ტივებსა.
დაშალა რუხი ბალღამი, ჩაჰპირა ელვის ლაშები,
წააძრო შავი ნაბადი, გამოუშიგნა ფაშვები,



ბერი ლომისა. მხატვარი **ბესო გედევანიშვილი.**

ბერი ბაადური. მხატვარი **ბესო გედევანიშვილი.**

აჰკაფა ბილწი ნადირი; არწივნი სისხლზე ნაგეში
ზედ მიუსია, უმტვრია რვალი, ჩაჩქანი, დაშნები.
გამოაჩინა ზეცაში გველი, საზარის სახითა,
უზარმაზარი ფრთეენის ხევის-ხევამდე გაშლითა,
ავის თვალეგის ბრიალით, ჭანგთა ფოლადებრ მაშითა,
პირიდგან ცეცხლის მფრქვეველი, სავსე სიბილწე-შხამითა,
გველზე შემსხდარი ლაშქარი; ალნი, ჭინკები, ქაჯები,
ხელში ნამსხვრევი მზეებით, შარდის ნაღვარის დამშვებნი,
დევები ბანჯგვლიანები, ჯოჯონი-მათი რაშები...
შურდულში დიდრონ ლოდებით, კუდებით-ქამანდგაშლებით.
შეძრწუნდნენ, როცა გრიგალმა პირბადე ჩამოახია,
ჩაუტყდათ კოვზი ნაცარში, ქარმაც დაჰღმუვლა... ახია...
ეძგერა, ზეცას მიჭუჭკნა, ცუდად არ უვაგლახია,
გამჩენი დააწყევლინა, მისცა შიში და ფახია.
ქარიშხალს მოჰყვნენ ღვთისშვილნი-მშველნი საყმოის ჭირისა,
ლაშარ, კოპალა, იახსარ, ლომისა, მტკიცნი პირისა,
საბრძოლო ლახტით, ჰორროლით, შუბით, ნაწრთობის რკინითა,
ცეცხლ – ნავთით ბერი – ბაადურ, თერგვაულ ჯაჭვის კრინითა,

გოირგი ნაღვარმშვენიერს მოსძახის წყაროსთვაული,
გამოჩნდის ბრძენი კვირიაც და მზეჭაბუკი ფარულით,
ისარ-კაპარჭით, მშვილდებით, სამძივარ, პირმზის მხარულით,
ვით მნათნი, დიდნი ვარსკვლავნი-დანი მზისა და მთვარულის,
ზოგნი ფასკუნჯზე მსხდომარნი, ზოგნი ორბზე და არწივზე,
ხარებზე სპილენძიანზე, ლომებზე ფაფრიანებზე,
ცის იალქნებზე წეროთა გუნდებზე ნაფრთიანებზე,
მთვარისა ტყუპსა ძაღლებზე, ტახზე ეშვ-ადლიანებზე,
აწიეს მთაგრეხილები, ქედს შეაწყვიტეს ქედები,
დასეტყვეს ზეცის ცხრა ფონი, ქვანი შესტყორცნეს ფეთებით,
ზეაიტაცეს ჩანჩქერნი, ჩანჩქერნი ბროლის წვეთებით,
ამსხვრიეს მყინვართ ენები, იმარჯვეს კომბალ-კეტები,
დააცხრენ ციურ გველეშაპს, მისი ლაშქარი ცემესა,
ზოგსა კისერი უგრიხეს, ზოგსა აჭრიდნენ ხელებსა,
ზოგნი დაჰბუგეს და ზოგნიც, ხევსა ღვარცოფით მხეველსა
თავგაჩეხილი დაუშვეს, ბნელო! ჩაეშვი ბნელეთსა.
საყმო ერთ თემად შეკრული, ერთ მუშტად, ერთის სულითა,
ერთსა ვულკანში ნადუღი, ერთ გრდემლს ნაფერის რკინითა,
ერთ აზრით, ერთის გუმანით, ერთის წადილის ხიბლითა,
ერთ სალოცავის დამცველნი, ერთის იმედის სხივითა;
ჩასხმული ჯაჭვის პერანგში, თორ-მუზარადის რვალებით,
სახითა სვილისფერებით კლდის ვეფხვნი, ვეფხვის თვალებით,
ფარებით, საფუხრეებით, უროთ უმძიმეს მკლავებით,
მუხლებით ფეხჩაუხრელნი, მამულზე ლოცვიანები
ბილიკით გადაპოხილით, იმათის სისხლის პოხითა,
წინაპართ საძვალეებზე ბრძოლნი და მშრომნი ოფლითა,
არც რის დამთმობნი, არ მშიშნი, მტრისა ჭირის და შფოთისა,
ფეხდაფეხ მიჰყვნენ ღვთისშვილებს, ძლევის სურვილმა მოთიბა;
ნისლები დარდიანები, ბურუსნი ბინდიანები,
ბილიკნი შვავით წამღებნი, მთები ხმალ-ქამრიანები,
დრონი ჟამგაუტეხელნი, ჭიუხნი თოვლიანები,
სივრცენი დაგრეხლები, დღეები ღამიანები.
შურთხი გაუსტვენს, გასძახებს მოძმეს წარსულში მსტვენავსა,
კლდეებში გადაფრინდება, ცვარზე დაიწყებს ლხენასა,
ჩამოჰკრავს როჭო ზარის-ზარს, გველი ისწავლის ფრენასა,
არწივი დაიყაშყაშებს სიმღერით გამარჯვებასა
ლოდებს ანთხევდნენ დროები, დროები დაკარგულები,
არწივთ უხმობდნენ ქორები, მეხთა სტყორცნიდა ღრუბელი,
ელავდნენ ელვის დარებად ფარები, გმირთა – გმირების,
გადმოდიოდნენ ქანებად ღვთისშვილნი უფლის გზირები;
ხელში ეჭირათ ლახტები, შლიდნენ ფრთებს ფასკუნჯისასა,
ფრინავდნენ მათი ტახტები, ჯადოსნურ ხალიჩისასა,
იახსარ ბერსა უხმობდა – თერგვაულს, კოპალასაო –
გორგი ნაღვარმშვენიერ, შუბნურსა – თავის ძმასაო,
ნისლის ფერებიც მოჰქროდნენ, ლურჯანი სჭამდნენ ლაგამსა,
ლახტის ნარტყამის ბოლომდე ცეცხლის აჩენდნენ ღადარსა,
ჰბუგავდნენ წყვდიადაეთის მოციქულთ, ავის მზრახველთა,
იწვოდა ოკეანეთი, ტყე ეხვეოდა ძახველსა.

იახსარისა და ცხრათავიანი დევის ბრძოლა

იახსარ-დევი შეიბნენ, დაბუღრეს კდლისა ფლატენი
დალეწეს ყველა ჩაჩქანი, დახიეს რკინის ჯაჭვები,
ამსხვრიეს მუზარადები, - საფუხრე, - მკლავის სალტენი,
ფარები შეჭედილები, აფთანი მოკიაფენი.
კბილები შემოუმტვრიეს, ყველას-საგმიროდ სახმარსა;
ხრმალსა, ლახტსა და ყამასა, თასმა ღვედიან მათრახსა,
პიროფლიანი შეიქმნენ, თუმცა ვერ გრძნობდნენ დაღლასა,
მყრალი ჰქშენს, წითელენანი, ლაშზე უწყებენ ფართხალსა.
ბოლოს, ფლატეებს მოედვნენ, ქვები ისროლეს წვრილები,
შემდეგ ლოდებით დიდრონნით დევს შეუმტვრია წვივები,
იახსარ მარჯვე გამოდგმა, ღმერთ ძალა მოსცა ტინებრი,
დევი მუხლებით ჩასჩოქა, შვავს დააცურა ტივებრი.
თვითონაც მიჰყვა ფეხდაფეხ, ლომგული მტევი ლავებრი,
უბეს ნაქონი ხანჯრითა დევსა დააჭრა თავები,
კარი გაუღო მზე-მთვარეს-მოჰფინა ნატვრის თვალები,
დევისგან იხსნა მოყმენი, მაცნედ გაუშვა ქარები.

***

ბერი-ბუქნაი-ბაადური ეშვება ციდან ამხედრებული ბედის ბედაურზე

ბერი-ბაადურ ეშვება ციდან, მხრებზე უსხია არწივის ფრთენი,
კოჭობნ უბყრია ნავთ-ცეცხლით სავსე, რათა დაჰბუგოს სასტიკნი დევნი.
მორიგე ღმერთმა მისცა საგმირო, მორიგე ღმერთმა ცად მოავლინა
უჩინ-მიწვრილნი უნდა განგმიროს, უნდა დაიცვას სამკვიდრო ბინა.
ღვთაების მორჩილ და ერთგულ ყმების, უფსკრულთა პირას, სამოთხის წინა.
წყვდიადეთს უნდა დალახნოს გზები, შავეთას მოსპოს ქაჯ-დევთა ქშინვა.
ეხში რომ ქაჯნი იმალვის, მზეს რომ ამწყვდევენ ბნელშია
არ გამოუვათ მცდელობა – ზეიმი ქაჯავეთშია.
ბერი – ბაადურ, თერგვაულ – მთის მალი თეთნი ქორია
მზე-მთვარე-ვარსკვლავთ დაიხსნის უფლის განგებათ მდომია.

***

ხმელგორზე ლაშარის ჯვარი

ხმელგორზე ლაშარის ჯვარი ჩამოდის შიბით მუხაზე,
მუხა იმჟამად ბაბანებს და როდის არის უარზე.
ღვთისშვილი, როგორც არწივი მის მძლავრ ტოტებზე ივანებს,
თვალშეუდგამი რამ არის, სიზმრად თუ ნახავს მძინარე,
ანდაც, მგრძნობელი გრძნებისა კაცი, თვის ხორცთა მთმობელი,
„მკვდარში წასული“ – წარსდგება, მარად სოფელზე მგლოველი,
ვით მკადრე მავედრებელი, საყმო – ჭირისა მოზარე
შესთხოვსა შველას ბრძოლებში, რათა სიკეთე მომრავლდეს;
დაამხონ ქვესკნელს მავალნი დევ-კერპნი – ავი სულები,
არწივო! ზეცად მავალო, ნატვრა გვიხდინე სრულებით.
ირხევა ზეცად გაბმული ჯაჭვი, უხილავ შიბისა,
ეშმათა დამაქცეველის ზარი რეკს, ზარი შიშისა,
მოვდივართ მკვიდრნო ქვეშეთის! პირთა აგივსებთ ქვიშითა,
ფრთას გაშლის ხევთა სულღუმი, დაჰყეფავს ძლევის კრინითა.

ციათეთრი ყურშას ბროლიას (ფრთიანი ძაღლის) გამზრდელი მითიური ორბი.
მხატვარი **ბესო გედევანიშვილი.**

***

საყმოთა მშველად, ბრძოლის ველს, ომის ქალღმერთი მიმოჰქრის

ომის ქალღმერთი მიმოჰქრის, ისრებს უბლაგვებსს პირებსა,
არ აჭრევინებს მახვილსა, მოყმეზე დანაპირებსა,
შეჰყრის რამ ნისლსა და ჯანღსა თვალთა შეაყრის რთვილებსა,
არ გაახარებს მტერს, არა, ჰპატრონობს ერთგულ შვილებსა.
სამძივარ შემოძახილობს, ქარს აუყენებს ბუქებსა,
ჩამოშლის ღამის საბურველს, ყიამეთს მუქით-მუქებსა,
დაღალულთ მიეშველება, რკინის ჩაუდგამს გულებსა,
ილოცეთ, ხალხნო, ილოცეთ, დედა ჩვენ გვიერთგულებსა.
-ღაღადებს ბერი ხვადია, ფარ-ხმალთა გააქვს ჟღრიალი,
„ისარნი მოციქულობენ, ქერუბიანნი, ფრთიანნი“,
ვერა სჭრის საფეხურეებსა დუშმანთა შუბის ტრიალი,
ფეხთქვეშ ეშლებათ ტინები, ზვავები ტიალ-ტიალი.
პირქუშის გაჭედილია ყველა ჯაჭვი და რვალია;
ლახტი, ჰორროლი, მახვილი, ხანჯალი ნაკვერალია,
ჩაფხუტნი, ბექთარ-პერანგნი დაწნული-ნაგრეხალია,
თუ, ნიავია მოყმეთთვის, ავთათვის ქარიშხალია.
შედგების არხოტის თავზე იახსარ ცეცხლის მფრქვეველი,
გრდემლით მიჰხვეტავს ხეობას დევთა და კერპთა მტვრეველი,
უფსკრულში გადაუძახებს ქაჯთა ლაშქრობას, მზე-ველი
ვეღარ იხილონ, ბოროტთა, დღე უდგათ დამანგრეველი.
ბევრი სიმური გასჩქვიფეს ღვთისშვილთა, ბევრი ნისლები,
კოპალა შუბნურს მოუხმობს, გველსა დავაძროთ კბილები,
დავაჭრათ შხამის თავები, ამოუქოლოთ პირები,

ვაყლაპოთ ლამი, ღვარცოფი, თვალნი დავსთხაროთ მზირები.
ორბისა ფრთენით ფასკუნჯზე ბერ-ბაადური მღელვარებს,
გიორგი ნაღვარმშვენიერს ღრუბელთა ფერდის-ფერდაზე
მიუგდავს თავის ლურჯაი, ბედით ჰკიდია ღმერთაზე,
ყურშა ჰყეფს, ჰყივის არწივი, სიკეთის გამარჯვებზე.



ავტოპორტრეტი, კახური ქუსით.

ხევსური მეომარი.



კოლხი მეომარი
/ანტიკური ხანა/

ნახატები: **გურამ გედევანიშვილისა.**

***

თეთრი მთის ქორი – თერგვაულ და პირქუში ცეცხლის ალებით ერთადა მბრძოლნი, სინათლის დედის ლოცვებით

მთის კალთა ჩამოაზვავეს აბჯაროსანმა ლოდებმა,
წამოიყოლეს საჯაროდ ქალთა უთქმელი გოდება,
ბავშვთა უძუძუდ ბოჟირი, მკერდთა ურძეოდ ლოდნება,
უბრძნეს მოხუცთა ჩიფჩიფი, სატრფოთ ყელდაყელ ტოტება,
უენო ხართა ბღავილი, მიწის ბელტებად ლოდინი,
სამწყემსურები დაცლილი, ძაღლნი ბრძოლებით მოღლილნი,
მგელთ ხროვა გალაღებული, ხევთა უმთვარო მოტივი,
თვალები ნათვალთვალები, ვნების მიმხმობი ფოფინით.
ჩამოჰყვნენ საყმო ლაშქარსა ღრუბელნი რუხის-რუხები,
ღვთისშვილნ-მოცაურები, ელვით და ქუხა-ქუხებით,
ცაზე გაშალეს ნაბდები, თავს წამოიცვეს ქუდები –
ჩაფხუტნი მტკიცე რვალისა, სამკლავნი, რკინის ფუხრები.

კოტეგით ნაირნაირი, მორჭმულით მონახატეგით,
ფარეგით გორჯღალიანით, მკერდეგით ხატის-ხატეგით,
დიაცთა ამოქარგული, ნამღერი ციცა-კატეგის,
გეგთარი, ჯაჭვის პერანგი, ცეცხლზე ფიც-ვერცხლით ნაფერი.
თეთრი მთის ქორი-თერგვაულ, სინი-მთოვარე ვერცხლისო,
დღეს სინ-დელიოდ მოვალის, ვერას დააკლეგსმგელიო,
ნათელვარსკვლავის სახით სჩანს იახსარ, ჩვენი მშველიო,
კოპალა-ირმის ნახტომი, იგრი-წყლის ღმერთი სველიო.
მანგური მეტად მშფოთვარი გადაიქცევა მღერიოდ,
ხატეგი-ლომისკარული, ცის ლაჟვარდეგის კლდენიო,
პირქუში ცეცხლის ალეგით, ცეცხლის მათრახის მჭერიო,
პირიმზე გზეგსა გვინათეგს, სხივთა დაუწნავს წნელიო.
სინათლის დედაც გადმოდგა, ანათა ქვეყნის კიდენი,

ლილიო და დიდება შენდა!
დიდება შენდა, ზეციურო!

მო, შევსვათ
ვახტანგურადა!

ნახატები: **გურამ გედევანიშვილისა.**

ჰა, აგერ მჰერიც-ვანის კლდე, დედის ბროლს შენაბინდეგი,
ქვეშეთს მიმავალ გზეგზედა შეხვდათ გველჭრელა ქიმერი.
სულღუმი ფრთეგს რომ გადაშლის მზე დაბნელდეგა ცაზედა,
ფასკუნჯი, ნატვრის თვალივით, წიოკს მიიტანს ავზედა,
გადმოენთეგა ბროლია, ალმასეგრ ციას ასწვდეგა,

ქაჯნი კბილსავარცხლიანნი დღე-ათინათზე დაფრთხება.
გაიქცევიან დევები, ლოდთა დალეწენ ფეხითა,
იმათ მიჰყვება როკაპი, შხამით, კრულვით და წყევლითა,
ჭინკანი წიოკს მორთავენ, ეშვთა და კბილთა კრეჭითა,
შეჰგალობს შაშვი ტოროლას, მტრედი ფრთებს გაშლის ლხენითა
ისეთი ჰანგი ასტყდება, ისეთი ჟივლ-ხივილი,
კბოდეს მოდგება ხარლაღი, დიდის გაბმულის ყვირილით,
ცა გაიხსნება ცხრა ზეცის, ცისკრის ლაჟვარდა ღიმილით,
ვისაც სურს როკვა დაიწყოს და სიხარულის ტირილი.

****

რამოდენიმე ლექსი შექმნილი 2019 წელს

ლოცვად დამდგარან ხეობები, მთანით მაღალნით,
და ტყეთ გუგუნით, უზარმაზარ შოლტა ხეებით
ცად აუწვდიათ სალოცავად გრძელი ხელები.
ქართა წოკში ხმა მოისმის მიღმიერიდან,
ზეცის უჩუმარ და მრავლისთქმელ გარინდბაში,
სადაც სიყვარულს ანგელოსნი ვნებით მღერიან.

****

გულში დავანებულა მოგონებათ ჩრდილები,
ლანდებივით განქარდნენ ჩემთან შემოზრდილები,
სევდას ზღვარი არ უჩანს, ბიჭი ცხენებს აგელვებს
და ის წამი უჩუმრად ძველ სიმღერას ამღერებს.

****

კვლავ შემოივლის გაზაფხლი? ხშირად ვკითხულობ,
ვის ვეკითხები?.. უფრო მზეს და ღამით მთოვარეს,
ისინი სდუმან, მზე იცინის, მთვარე კი მწუხრობს
და თავს მესხმიან იჭვნი ჩემნი, ჩემი ფიქრები.
სად დავიძინებ, ანდა როდის?.. აბა ვინ იცის??..
შრიალებს სიო, თეთრი კაბის შარი-შურობით,
ტყე ჩუმად მღერის, მაყვლიანში კვლავ მიცდის გოგო,
რომელსაც ერთ დროს წყაროსავით ძლიერ ვწყუროდი.
სად მეძახიან, ან საიდან, ან ვინ მეძახის?..
მე, არ ვპასუხობ, ძახილთათვის არა მცალია,
ვიცი,... სიზმარი ღრუბელივით შემომექარგვის
და ესე, ალბათ არცა რისის და არც ვის ბრალია.

****

შემოვიარე შრიალა ტყენი,
ქართა გუგუნით, ზეცის კაშკაშით,
ფრთოვანა ჩიტთა ფრთათა ვაშათი.
იდუმალება ჩრდილთა ლანდების,
უტყვი თვალთვალით, შორი ძახილის,
წყარიშმაფათა ძუძუს ვარდებით,
ჟღალ ფერთა ტბებით შემოკვართული.
მისი თეძონი ვნებისთვის თრთოდნენ,
თვალნი კვესავდნენ მწვანე შუქებით,
მე, მასში გავქრი, აწ, ნუღარ გოდებთ,
მოვალ სხვა ტყეთა გაზაფხულებით.

ოდესღაც აქ ისმოდა ჟრიამული იების

ოდესღაც აქ ისმოდა ჟრიამული იების,
გვირილთა თვალების სხივ მფინარი კაშკაში,
ღიღილოთა მზერანი, ფურისულთა სიმორცხვით,
ველის ნართ და ფამფარათ მხიარული ვაშანი.
ყაზახათა ცისფერი, ვით ციური ნათება,
ენძელათა კორდების უეცარი ფეთებით,
ბულბულების კვდომანი სურნელოვან ვარდებთან,
ჟოლოს მაყვლიანებთა თვალთა გადაკვეთებით.
წყაროთ მომღიმარობა, ნაკადულთა ლიკლიკი,
ფშანთა ვნებიერობა შიმელთა მორჩებთან,
ბუვის ბუ-ბუს ძახილი, ჭოტის შორი კივილი,
ღრუბლის ფაფუკ მკლავებში მთვარის გადაჩოჩება.
აქ, ცელქობდნენ ნიავნი, ფოთოლთ შრიალ-შრიალით,
მაცნეები, ურიცხვი სოფლიური ჭორების,
ცაში ჰკრავდა ირაოს ქორი ოქროსფრთიანი,
ბექნუ ქონდარს აქ სძოვდნენ ჯიქან სავსე ძროხები.
აქ, უკრავდა სალამურს ბიჭი სალამურივით,
აქ, სევდისფერს მღეროდნენ სასაფლაოდ სულები,
აქ, ყამირი ტყდებოდა, დოლის ყანა-პურისთვის,
სამაიას ცეკვავდნენ ლურჯთვალა ასულები.
აქ, ისმოდა მახვეწართ ლომისობას ლოცვანი,
აქ, ფრიალო კლდეებთან ფრენდნენ ორბის მართვენი,
ცეცხლზე აქ თუხთუხებდა სულიწმინდის ქოთანი
და მოძმისთვის ბღაოდნენ შინდისფერი ხარები.
აქ-აქ იკურთხებოდა ღვთისშვილების ლაშქარი,
დიდგორობას შეწირულ უსახელო გმირების,
დედან ინავლებოდნენ დარდისაგან დამდნარნი
და მალულად ტიროდნენ შვილებს ღამის იანი.
აქ, ისმოდა გუთნური, გრძელი ოროველებით,
ბერი ხნავდა ანეულს, მადლობელი ციერის,
სული მისი ზეცისკენ გაეტაცნათ ტოროლებს,
ყანეულში ჰოო-პუნას მჭრელ ცელების წკრიალით.
აქავ მირონცხებული სიყვარული მღეროდა,
ქურცკივით ქალების, ვეფხისდარი ვოჟების,
ალგეთურა ბოკვერნი ყველგან იბადებოდა,
ლილედ მრავალჟამიერ, ვით უდრეკი გმირები.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

იმედი

იმედი არ მოკლა, იმედი ღვთისაა,
არა გაქვს უფლება, დღეები დათვალო,
სიცოცხლე კაცისთვის სულ ასი წლისაა,
სატანა ისედაც იბრძვის და ავთვალობს.
იმედით ადექი, იშრომე, იღვაწე,
საღამოს ხატებთან თქვი ყველა სათქმელი,
იცოცხლებ, ბოლომდე ას წელსაც მიაღწევ...
თუ, რწმენით აანთე უფალთან სანთელი.
გჯეროდეს, შეძახილს, ცუდი აქვს აურა,
ყოველთვის იმედით უყურე სამყაროს.
წუწუნი იმ შენს მტერს, არ უღირს შაურად,
ამიტომ ფარხმალი არ უნდა დაყარო...
ტირიხარ?... იტირე, თუ გინდა იყვირე,
რას შეცვლი ასეა, დღეს ღამე მოყვება.
დილით კი ეზოში მამალი იყივლებს,
ქარიც კი მზის სხივთან ხანდახან მოყვრდება.
მდინარის დინებას მიყევი უშიშრად
ხან მიიზლაზნება, ხან ჩქარი ტალღაა,
ნაპირთან სულელმა ხმალი თუ იშიშვლა,
ჩათვალე ნაპირი ჯერ შენთვის გაღმაა.
იმედი არ მოკლა, იცოცხლე, იმედით,
რომ ას წელს მიაღწევ, ირწმუნე, გჯეროდეს,
უფალი იქ, იყო ბილიკს რომ მისდევდი,
რა იცი ხვალისთვის „ჩაკრულოს“ მღეროდე?

ბრმა

ბრმა ვერ ხედავს ცისარტყელას,
ვერც სხივების ლიცლიცს ცაში,
ვარდის ყვავილს, ხედავს ტყემლად,
ხელს თუ წაკრავ, ყვირის მაშინ.
უხერულად შენ ხარ მუდამ,
ჯიკაობას, არ კადრულობ,
ტკივილს შენთვის გულში გუდავ,
ცრემლი თვალში ნაკადულობს.
ბრმა კი დადის აბდაუბდა,
ბრმის სტატუსი მოიხდინა,
როცა უნდა ხედავს ხურდას,
ყაჩაღობაც ჩაიდინა.
ასეთები ბაირამობს,
შენ კი ნამუსს დაფოფინებ.
შენ რომ სადმე შეიღამო,
მილიციას ატყობინებს.
ის ბრმაა და შენ გიჭერენ,
ბრმა კი დადის მუდამ მთვრალი.
ბრმა იმ სტატუსს სულ იყენებს,
ბრმისკენაა სამართალი ...

დროს ვსადილობ

დროს ვსადილობ დარდის ლუკმით,
სასმელად კი ცრემლს ვიყენებ...
ვიცი ტირის შველის ნუკრიც,
ირმის ჯოგი მიაჭენებს.
საით მიდის ის ტრამალი,
საქართველოს ფერდობს გაცდა,
არ იყივლებს იქ, მამალი,
ღრუბელია, სხივი არ ჩანს...
იმ გზას მიდევს ბრმად სუყველა,
არ იციან სად მიდიან...
საქართველო ვინ დაწყევლა,
ამ ჩვენს ცაზე სულ ბინდია.
შეიცვალა აქ, როლები,
აქ, სხვა რჯული დაჯლაგუნობს,
არ ჭირდებად გასტროლები,
ლამის გული გამომგულონ.
დროც ვივახშმე... ახლა უკვე,
დაძინებას შევეცდები,
დარდის ფიქრებს გავაუქმებ,
რადგან დარდით გარდვიცვლები.
უპატრონოდ დამირჩება,
წიგნები და ჟურნალები...
არც ერთი არ გადარჩება,
ჩემი სულის ცრემლნავლები.
ჯერ ბევრი მაქვს მოსასწრები,
მერე დაისს ჩავბარდები,
თუმც გული მაქვს ნაკაწრები,
ცაში არ გადავბარგდები...
წიგნს ვერაფრით ავატირებ,
რაც არ უნდა გული მთალონ,
შორს წასულებს ვაპატიებ,
გინდათ ცუდად ჩამითვალონ...
შვილი დედას ვეღარ იცნობს,
კაცს მეუღლე ენატრება.
შვილებს ლავაშს უცხო უცხობს,
დარდით გული მეფატრება.
დრო გათენდა, სულის მარხვით,
ჭიკჭიკობენ მერცხლის გუნდი,
კი, გავყვები ცათა მარხილს,
შვილებს დედა ჩამოუდის!

თამაროობას გილოცავთ

ზოგი თამუნიაა,
ზოგიც ჩემი თამარი,
ქართველ ქალის ბუმია,
ნაზია და თამამიც.
ღმერთო, კარგად მიმყოფე,
იჯამრთელონ, ილაღონ,
თუ კი ჩემს გულს იყოფენ,
სულაც ამომიდაღონ.
თამუნიაც ჩემია,
ბებო, დიდი თამარიც,
ბედის განაჩენია,
არ სწორდება მთა--ბარი.
ხან კორონა ვირუსი,
ხანაც ქარის წისქვილი.
გული გამონატრუსი,
მენატრება სიცილი.
ჩემო, გულის წილადნო,
ციცქნაც, დიდო ქალებო,
ბედო, აღარ მადარდო,
ცრემლში ამონავლებო ...
დამილოცე სუყველა,
გაზდილიც და პატარაც,
არსად მიწვდეთ ცრუ მელა,
არ გადაძვრეს ფანჯარას ...
ჩემი არის თამუნა,
ქართველ დედის გაზრდილი,.
ცაში ფრინავს ღამურა,
სახე გადაბადრული .
მისით ევნო მსოფლიოს,
დაიკეტა საზღვრები,
დამდის სიმწრის ოფლიო,
მაგრამ, სულ არ გავქრები.
მოვა, ცხელი ზაფხული,
ქაფქაფა და თაკარა,
დროც გაძვრება ფაფხურით,
ღვინოს დავლევთ ხვანჭკარას.
იმ, ღამურას მივწვდები,
ნახევრად რომ თაგვია.
წავა, წეწვა-წიწკვნები,
საძაგელი ავია.
თამარები იცეკვებს,
იმღერებენ ალილოს,
ყველას გამოვეცეკვოთ,
გულო, დარდით დაღლილო!

ბედის წისქვილო

სახლში ჩამკეტე ბედის წისქვილო,
გადამითვალე, წლების ასაკი,
ეს, დრო ისედაც, იწილ-ბიწილობს,
მაისს ველოდი კბილის კაწკაწით...
ჩემ წლებს ნუ ითვლი უკვე ქვაა და...
ჩემთვის სიკდილიც არაფერია,
სიდინჯე ჩემი, სიბრძნის რქაა და..
რწმენა მზის სხივით შენაკერია.
ვცოცხლობ ცის სივრცით, ჟინის ქარცეცხლით,
ცალუღელა ვარ, სევდის უდაბნო,
სინდისს არ გავცვლი ოქრო-ვერცხლებით,
სახეც არ მინდა ცრემლით დავბანო.
ამორძალი ვარ, დედა ქართველი,
მიყვარს ქართული ადათ-წესები,
სხვისი სიკეთით მე ვარ ჯამრთელი,
არ გამიხმია, მუხის ფესვები.
მტკივა გულს მიწვამს, ბავშვის ცრემლები,
წელს, რომ მიათრევს მოხუცებული,
წლები ისეც მაქვს ანაცრემლები,
თოვლით და ქარით ანაცრელები.
სახლში დარჩენით ვის მივეფერო,
ვიცი მელიან, სულის შვილები,
მათთვის მუდამ ვარ, გულის ჩერო და...
არავინ არ მყავს განაშვილები.
რას გამომკეტე ბედის წისქვილო,
როგორ ველოდი...მაისის ვარდებს,
ქარო, შეჩერდი! დროის სირცხვილო!
ივლისში ჩემთვის გამოიდარებს!

დედინაცვალი

ამ ღამის ფუსფუსში დაიწერა,
სიტყვები ლექსის მაგვარი
და ღამეც ისე დაიწურა,
თვითონ აერია თავზარი.
ეგონა, მას რომ დამათრობდა,
დილას შევხვდებოდი ბარბაცით,
ანდა დარდებით გამაქრობდა,
თქვენც იცით ღამე რაც არის.
შევერკინე და შემერკინა,
ჰოჰო, რა მწარედ მირტყავდა,
ცდილობდა, გულში რომ ეკბინა,
გემი თვითონვე მიყავდა.
შევატყვე, ღამე დაიღალა,
სადღაც გაიძურწა ბანცალით,
მაჯობა...ზეციდან დაიბღავლა,
რას მერჩის დედინაცვალი?

წყლიდან გამოცურეს წურბელებმა

წყლიდან გამოცურეს წურბელებმა,
განზე გავიწიე, შემეშინდა,
ვარდო, არ დაკარგო სურნელება,
შენ მე გელოდები შარშანდლიდან.

სიტყვებს იმეორებს თუთიყუშიც,
რაქნას ოთახში ვართ, დაკეტილი.
ფრთხილად... ჩავჩურჩულე ჩუმად ყურში,
ბევრჯერ, ჩაუტარე გაკვეთილი.

აირ -დაირია, ყველაფერი,
ვცდილობ, მტერ- მოყვარე გამერჩია.
სიტყვა ვერ მოვძებნე შესაფერი,
რას არ საუბრობენ ეთერშია.

ბედმა თუთიყუშთან დამამწყვდია,
უკვე სამი თვეა დავძმობილდით,
რამდენ დაბრკოლებას წავაწყდი და..
დავრჩი დარდის ფიქრით დაძონძილი.

ჰოდა, დაძვრებიან წურბელები,
ყველგან, სადაც უნდათ იქით ზიან...
ქარიც ნაწრთობი და ნახელები,
აღარ გამეცალა ჩემი გზიდან.

ვშიშობ, აზროვნება არ ჩავკეტო,
ვამბობ, იმეორებს თუთიყუშიც,
სახლშიც მწირი საქმე გავაკეთეთ,
ერთად მოვადუღეთ ფელამუში.

ჩვენ კი გაგვიგრძელდა მეგობრობა,
ნეტავ, წურბელები სად დახტიან,
ვწუხარ, ზაფხულიც არ შემერგება,
ეს, დრო, ხელოვნურად ნახატია.

ბორბალა

ბორბალა, მწვანე კაბა გაცვია,
ზამთრის სითეთრეს როგორ უხდები.
იქნებ კანკალებ, ვინ იცის გცივა,
თვალს გადევნებ და ძალზე ვწუხდები.
თხმელა შიშვლდება მთელი სხეულით,
შენ კი ერთ ფოთელს ძირს არ დააგდებ,
იქნებ ყინვას ხარ შენც შეჩვეული,
გამძლეობაზე ღმერთან ქადაგებ.
ამტანი რომ ხარ ცხადზე, ცხადია,
არ შეგადარებ ნეკერჩხლის ფოთლებს,
შემოდგომითვე ფეხით დადიან,
ეს, უგულობა ძლიერ მაშფოთებს.

შენ რა ამაყად, დგახარ დიდ მთებში,
შენთან ბინადრობს, ჭყორი და ძმერხლი,
მწვანე შუქივით ანათებ კლდეში,
ყურს ჩაგჩურჩულებს ხმაური მეხრის.
როგორ მინდა რომ მომიყვე ბევრი,
წარსულ მითებზე და ლეგენდებზე,
მე ჩემი მიყვარს, კენჭი და კევრი,
მინდა ვიცოდე, ბებერ კლდეებზე.
ვერ შევეგუე, ხეთა სიშიშვლეს,
არანაირად არ მესმის მათი,
შენ კი ბორბალავ, მაძლევ სიმშვიდეს,
ვკანკალებდი და--- უკვე... გავთბი!

ჯერ ისევე მარტია

აპრილის თვეც
გადის და...
გულში ისევ მარტია,
არ მსურს შევხვდე დარდებით,
მზის სხივს
ლამაზ ბანტიანს.
გაზაფხული ასეთი,
მე ჯერ არსად მინახავს,
ვარდი გახდა თავხედი,
შემეკითხა ვინა ხარ.
ხელით ატამს შევეხე,
მითხრა სახლში დარჩიო,
სიო როცა შეარხევს,
დაიფარე ჩადრიო.
გამიკვირდა, განცვიფრდი,
გაკვირებით შევხედე,
მითხრა შენ თუ გაცივდი,
წამალს ვინ შეგახვედრებს.
გავტრიალდი სახლიკენ,
თვალი მათკენ მრჩებოდა,
დაკეტილა სახინკლეც,
არა გამეგებოდა.
ნუთუ ასე მოხუცდი,
არ მიკარებს ქუჩები,
ისევ მაისს დაუცდი,
იმედ შენაქუჩები...
არ ბერდება პოეტი,
ნეტავ რად არ იციან,
ვფრინავ ვით კაპოეტი,
წლებს ვერ გამომცინცლიან.
შევასრულებ ბრძანებებს,
წავალ სახლში დავჯდები,
წერას თავს არ ვანებებ,
ლექსით დავიხარჯები!

წვიმს, უცნაურად წვიმს

წვიმს უცნაურად წვიმს,
ეს, წვიმა სხვანაირი წვიმაა,
ვფიქრობ და ძალიან მწყინს,
უცხოა ნეტავი ვინაა...
წვიმა კარგია ჟუჟუნა,
მიწას, რომ დანამავს, სინაზით,
ეს, წვიმა გადიქცა უკუნად,
ამიტომ წკმუტუნობს ნაგაზი.
ხანდახან თითქოსდა... დარია,
წამებში იცვლება ამიდი,
არ მღერის არავინ არიას,
სახეზე ცრემლები დამიდის.
აპრილში მზე აღარ ბატონობს,
მაისიც კვლავ წვიმას გვპირდება,
სევდავ, არ დამეპატრონო,
ვგრძნობ უკვე გამიჭირდება!

გათენდი

გათენდი, ხუთო, მაისო,
გათენდი, ვიგრძნო სითბო...
არსად ჩანს შუქი მთვარისო,
ნეტავი ხომ არ ითოვს.
დაგეგმილ ამ დღის საღამოს,
უნდა მწვეოდა ხალხი.
ფიქრებო, აღარ დამღალო,
შენ მუდამ მგზავრად მახლდი.
ხუთ მაისს უფლის წყალობით,
ველოდი ყვავილთ თოვას...
გზა ვკაფე წვალებ– წვალებით,
სევდამ კვლავ ხელი მთხოვა.
სიხარულს სხვისას ვერგები,
ვიხდენ ვით როგორც ჩემსას...
დავრგე, ვახარე, ნერგები,
ნაყოფიც გამოესხათ...
სახლში ვარ, ახლა რა ვიცი,
ჩაკეტილ სივრცეს, ვართობ...
ვდარდობ და ვეღარ დავიცდი,
ვგრძნობ უკვე ამას ვატყობ.
მომნატრებია შვილები,
დიდი პატარა ყველა,
გულით არიან თბილები,
კახა, სერგი და ბელა.
ჩემს სითბოს, ვიცი ელიან,
აკადემიის დედას...
განა ეს ისე ძნელია,
ყველაში ჩემს შვილს ვხედავ.
ჰო, და ხუთ მაისს ველოდი,
საჩხერიდანაც სტუმრებს,
გაგიკვირდებათ, ვმღეროდი,
ლექსებით განვიკურნე...
ახლა, მარტო ვართ ფიქრებო,
დავემორჩილოთ კანონს,
როგორ ხართ მთათა ირმებო,
როგორ ხარ, ჩემო ხვანო???

დამიჯერეთ

დამიჯერეთ...
დავივიწყებ ყველას წყენას,
ამიკვნესდა თუ კი გული,
მწარედ ოდეს...
ლოცვას არის შეჩვეული ჩემი ენა,
სიტყვის ტყვია,
ოღონდ თქვენით აღარ მოხვდეს.
დამიჯერეთ...
არ ვიმეტებ მტერს, ცუდისთვის,
მხოლოდ უხმოდ
გავეცლები დარდით სავსე,
მან რა იცის,
მილოცია ბერჯერ მისთვის,
ცრემლით ხატებს,
მოკრძალებით ვებაასე.
დამიჯერეთ...
ჩემი ნაკლი სულ ეს არის,
კიდევ ის, რომ გამიტეხავს
ლუკმა სხვისთვის,
გულს აცილდეს,
ბოროტობის, მწკირი ბზარიც...
ტკივილები,
დამიმალავს ჩემი ძმისთვის...
დამიჯერეთ...
არა მაქვს და მდიდარი ვარ,
ჩემით დასაც დარდს,
არასოდეს მიუმატებ,
არ ავყვები არასოდეს შარიან ქარს,
თუმცა ბედი,
დაუნდობლად წელში მამტვრევს.
დამიჯერეთ...
ხარებას, რომ მტერსაც ვლოცავ,
მხოლოდ ღმერთს ვთხოვ,
აუხილოს მასაც თვალი,
ბევრჯერ მიკვირს,
ავი თვალით რად მიყურებს,
სულაც არ ვარ,
ბოროტი და ავი ქალი!
დ ა მ ი ჯ რ ე თ!

მზე როგორ წვალობს

მე, ვხედავ ამას, მზე, როგორ წვალობს,
მსურს ვანუგეშო, ვხედავ ღონდება,
ღრუბელი ცდილობს რომ დააცალოს,
არა და მთვარე, მზეს ელოდება.
მზე გულს შეუთბობს, ყინვით გათოშილს...
მთვარე ლოდინში ღუმელს აანთებს,
მზე ცხელი ბაგით, როცა ალოშნის,
დედამიწელებს მაშინ ანათებს.
...და როცა ღამით უკუნეთია,
ზღვაში ბანაობს, მნათობი მაშინ...
მნათობმა, მნათობს ღამე უთია,
დარდის ღრუბლები ბატონობს ცაში.
ნაბანავები მზე ზღვის, რიჟრაჟებს,
ნამს ანაწილებს, ვარდთან ბაასობს...
შუადღისით კი... ცეცხლს ყრის, გიჟმაჟმაჟობს,
ღამით კვლავ ღამით, მთვარეს გაათბობს.
მზე ბატონია, ჩემი გაგებით,
მთვარე მორჩილი, უსათნოესი...
ეს, თუ ასეა უფლის განგებით,
სად არის ნეტავ ნავი ნოესი???

გაათენე

გაათენე, ღმერთო, მშვიდად გაათენე,
რომ ცეკვავდეს,
ძველებურად ცისკრის დილა...
ეს, ღრუბლები ერთიანად გადათელე,
თორემ დარდმა,
მზეს საერთოდ გამაცილა.
გაათენე,
დაჟანგდება, სახნისები,
აპეურში შებმა მინდა წყვილი ხარის...
ისევ ცივა, ამ ყინვაში გავსხვისხდები,
დაჟანგდება,
დაბლაგვდება, დედო ზარი.
გაათენე, დღეს,
იმედი არ დააკლდეს,
ისევ უნდა იყვავილოს, ჩემმა ფესვმა...
არც არავის,
შვილი მტერსაც არ მოუკვდეს,
არასოდეს,
დედის კვნესა არ მომესმას.
გაათენე, იზეიმოს, ჩემმა გულმაც,
დედამიწა დააბნელა, ამ შავებმა.
ცდება ქარი,
თუ სუსტ ქალად დამიგულა,
მიტომ ვდუმვარ
არ ვიკადრებ, რომ შევება.
გაათენე, გულის ეზო ახმაურდეს,
სახლის ჭერზე,
დავინახო მერცხლის ბუდე...
ყინვის ლოდზე,
ურემი არ გადაბრუნდეს,
ღმერთმაც ნუ ქნას,
მერცხლები არ დამიბრუნდეს!

რა ჯობია?

მირჩევნია, ტყეში სადმე ვკრეფდე სოკოს,
ვიდრე ვიჯდე, ჩუმად სახლში უსაქმურად...
ეს დარდები, სადღაც უნდა გადავრეკო,
არც მიდის და... ზეცაც ქუდად დაიხურა.
მას, რა უშავს მსოფლიოში დაპირველობს,
ყველა ქალაქს, უსინდისოდ იფათურა...
აგერ მოწვდა, ჩემს საყვარელ საქართველოს,
მოვიდა და გულის კარიც დამიხურა.
სახლში დამსვა, ოთხ კედელში დამაწყვდია,
მოვიმზადე, პური, ძეხვი, კარტოფილი,
წლის სარჩო კი, არც არავის არ უწყვია,
დარდი დარჩა, თავისთავად კმაყოფილი.
აპრილია, მეც ჩემს სახლში, წასვლა მინდა,
შვილის საფლავს გამოვმარგლო, ყვავილები.
ქარიც არ ქრის, ხმა იმანაც გაიკმინდა,
აღარც დადის ხალხი, ჯაფით დაღლილები.
მირჩევნია, თოხი ხელში რომ მეჭიროს,
ან ლობიო, ჩემი ხელით გამოვცეხვო,
რა ჯობია, ცოტა კიდევ გავიჭირვო,
თუ კორონას, ჩემი თავი ჩავაცეცხლო???



* * *

გულში ტყვიას ნუღარ მესვრი,
ბევრჯერ მომკლა ბედმა ისეც,
ხმის ჩურჩულიც აღარ მესმის,
დუმილის გზას ჩუმად მივსდევ.

პოემები

სერგი ლომაძე

სიტყვა

(ჩემს ამ პოემასა და ჩემსავე „უსათაურო პოემას "შორის შეიძლება პარალელების გავლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ორი ქმნილება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან).

.....ველი.
ველზე – გზა.
გზას ტბას ჩაუვლის.
ზაფხულია.
შუადღის ხვატი.
სანაპირო.
ფერადი ქვიშა.
კაცები, ქალები, ბავშვები,
ბევრნი არიან,
ნაპირზეც, წყალშიც.
მზე და წყალი
ახალისებს ადამის მოდგმას,
სიცოცხლით ავსებს.
ტბაში – ნავები, მოშავონი.
ცოტაა ნავი.
თითო მათგანში
თითო კაცია.
ანკესები. თევზაობა...
მზე დნება და –
იღვრება და
სხივთა ჩანჩქერი მუხტავს
ჰაერს.
გზა – უსასრულო.
ტბა. ნაპირი.
ნაპირზე ხე დგას.
მწვანედ ღვივის.
მოყვითალო-მოწითალო
ფერებშიც ღვივის –
მზის სხივებისგან.
ხის ქვეშ ჩრდილია.
ჩრდილში ზის კაცი,
სივრცეს გასცქერს იგი
(უფრო, მაინც,– ზეცასა და
მთებს).
მეორე კაცი მივიდა ხესთან.
ეტყობა, ბევრი იარა და
დაღლილია,
არის გასავათებული.
მგზავრმა რომ ნახა ჩრდილი,
ისიც ჩრდილში დაჯდა
გამარჯობა-გაგიმარჯოს
გაიცვალა
ერთმანეთისათვის უცნობ
ადამიანებს შორის.
მერე, მგზავრმა, მის ჩანთიდან,
მათარა ამოიღო და
წყალს დაეწაფა.
წყურვილი მოკვდა.
შემდეგ გაიბა საუბარი.
მალე გაირკვა,
რომ ის კაცი,
ვინც ჩრდილში დახვდა,
თურმე პოეტი ყოფილა.
_ „მე კი უბრალო კაცი ვარ". –
ამბობს მგზავრი. –
„უსწავლელიც ვარ.
წიგნებს თითქმის არა
ვკითხულობ.
მართალი გითხრა,
ზუსტად ისიც კი არ ვიცი,
თუ რასა ნიშნავს პოეტობა.
მითხარ: რას ნიშნავს
პოეტობა?" –
და თავისივე კითხვაზე
გულუბრყვილოდ გაეცინა.
– „ვიცი, მარტივი კითხვა არის,
მაგრამ...
– „მაგრამ შეიძლება, რომ
არ აღმოჩნდეს მარტივი...
მომწონს ეგ კითხვა,"–
ეუბნება, მგზავრს, პოეტი,
ხოლო შემდეგ ამას ეტყვის,–
„მოხეტიალე მებრძოლს
ვიცნობდი,
მეომარს ვისმეს,
ბოროტების ბევრჯერ
დამთრგუნველს.
ალგეთელი – ასე ეძახდნენ.
(ბევრისმცოდნე პიროვნება
იყო ეს კაცი).
ერთხელ, თურმე,
ერთ ქალაქში ჩავიდა სტუმრად.

ხმალსა და კრივში, იქ,
დაამარცხა მეტოქენი, –
ადგილობრივებიც, სტუმრებიც.
ვით გამარჯვებულს,
შეხვდა ქალაქის ელიტა.
ელიტაში პოეტებიც
გამოერივნენ.
– „თქვენთან კითხვა მაქვს," –
ეუბნება, მათ, ალგეთელი,-
„მითხარით:
ვინ არის პოეტი,
– „პოეტები ჩვენა ვართ, ჩვენა!" –
იყო მჭექარე პასუხი.
– „თქვენ ვინ ხართო,
არ მიკითხავს.

პოეტი ვინ არისო,
მე ეს ვიკითხე,“ –
ასე თქვა, მაშინ, ალგეთელმა...
საკმაოდ კარგად ვიცნობდი მას.
არაერთხელ
და ხანგრძლივად გვისაუბრია.
(გვიკამათია კიდეც ცხარედ,
თუმცა მაშინაც
ვაფასებდით, ჩვენ, ერთმანეთს).
ვადასტურებ, –
იგი ბრწყინვალედ აზროვნებდა,
მან უამრავი რამ იცოდა...
რას მოვაყოლე მისი ამბავი?
ვიცი რასაც მოვაყოლე,
მაგრამ... შევეშვათ...
სხვა რამეს გეტყვი:
ახლა, რატომღაც, მგონია, რომ
აი, მე და შენ,
პერსონაჟნი ვართ პოემისა,
არაუბრალო პერსონაჟნი“.
– „სხვებზე რას იტყვი?“ –
ჰკითხავს მგზავრი. – „სხვებიც
არიან, ნეტა,
მთავარი პერსონაჟები?“
– „არ არსებობს არამთავარი
ადამიანი.“
ამბობს პოეტი,
მერე ისევ გახედავს სივრცეს.
იგი ფიქრობს.
პოეტებს უყვართ ჩაფიქრება,
ძლიან უყვართ...
და ფიქრობს კაცი...
და დრო მიდის.
სულ მოქმედებს.
გაჩერება არ შეუძლია.
რომ გაჩერდეს,
კიდეც მოკვდება....
– „რაზე ფიქრობ?“ –
ჩაჰკითხავს, მგზავრი,
ჩაფიქრებულს.–
„თითქოს მოწყდი აქაურობას“.
– „გეტყვი: ხილვა მქონდა
ადრე,
რომელიც, მერე, არაერთხელ
მომგონებია.
ხილვა, ზმანება,სიზმარ-ცხადი...
წარმოსახვად ჩათვალე თუნდაც...
ჰოდა,ახლაც მაგონდება“...
– „ეგებ მომიყვე“.
– „კარგი, კარგი,–
ეტყვის პოეტი,–
„აბა მისმინე...
მაშინაც ზუსტად აქ ვიყავი.
ამ ჩრდილში ვიჯექ,
და სივრცეებს გავცქეროდი.
კი, ასე იყო, როცა, მერე...
როცა, მერე,
თვალებმა ცა მყარად მონახა.
ჩემი სული ცით აივსო.
საოცარია
ცის და კაცის ურთიერთობა.
კაცი იქცა
ცის ნატეხად დედამიწაზე.
ამ ნატეხისათვის
მიღწევადია გასხივოსნება...
აი – ის დრო.
აი – ის კაცი.
იგი მე ვარ...
და ხედავს იგი:
მაღლა გამოჩნდა წერტილები,
შემდეგ, ისინი,
ფიფქდებიან, ფიფქდებიან,
და მოდის თოვლი.
ბარდნის. ბარდნის.
თოვლი – ზაფხულში.
(ჰო, მაშინაც ზაფხული იყო).
ზამთარ-ზაფხულის ერთად
ხილვა.
(მინდა ვახსენო, აქ,
გაზაფხულიც
და – შემოდგომაც)...
თოვს.
თეთრი ფერით ივსება სივრცე,
ლურჯითაც,
იასამნისფრითაც,
სხვა ფერებითაც...
უფრო, მაინც, თეთრია
სივრცე...
და ლბილი შუქი,
მკრთალი შუქი ავსებს
გარემოს.
ესაა ფანტელების სინათლე.
მათი ნათელი მოიმატებს.
ფანტელები
სიტყვები აღმოჩნდებიან და
მნათი სიტყვები იპყრობენ
სივრცეს.
მოდის,
მოდის სიტყვათა თოვლი.
სიტყვებით ლექსები შენდება,
შენდება მთელი პოემები...
ასე აშენდა ქალაქი,
მერე– ქალაქები,
სიტყვის დიდი ქალაქები...
ყოვლისშემძლეა პოეზია“...
– „ რა არის პოეზია?
ვინ არის პოეზია?“ –
იკითხავს მგზავრი,
თუმცა, იქვე, მსწრაფულ
დაამატებს„–
„ნასწავლო კაცო,
მაპატიე, მე უსწავლელს,
ასე მარტივი კითხვები“...
– “შენ ფიქრობ, რომ
ეგ კითხვები მარტივია?“ –
ახლა პოეტი ჩაეკითხება,
და დუმილი ჩადგა სივრცეში...
– „ის ამბავი...
გთხოვ, ის ამბავი დაასრულე.“ –
გამოარკვევს, მგზავრი, ფიქრის
კაცს.
– „ახ, ის ამბავი,
პოეტზე რომ გიყვებოდი!“–
გაეღიმება პოეტს,
მერე განაგრძობს თხრობას:
„ხედავს, კაცი, უთვალავ
სიტყვას,
თუმცა იცის, რომ
სიტყვა ერთია.
იგი სამყაროს ნაწილია,
მაგრამ...
არ არის, იგი, სამყაროს ნაწილი...
(აღემატება, ღმერთი, სამყაროს)...
ფიქრობს პოეტი:
– „აი, დღევანდელობაში,
ნეტა თუა შესაძლებელი,
რომ კაცი სიტყვად გადაიქცეს?
ხომ იყო ერთხელ,
ადამიანად შობილი
სიტყვად რომ იქცა.
მითოსისა და რეალობის
გზაჯვარედინზე,
ირეალობა-რეალობის ჯვარი

ხომ იყო,
და გზა – ჯვარცმამდეც,
იმის მერეც...
ხომ მოხდა ერთხელ,
აი, კაცი სიტყვად რომ იქცა,
და თუმცა იგი, –
იგი კაცი,
თავიდანვე სიტყვა იყო,
ხოლო სიტყვა
სულ იყო,
არის
და იქნება...
მაინცკი მოხდა, –
კაცი სიტყვად რომ გადაიქცა...
არა, ხომ იყო ეს ამბავი,
თუნდაც – ერთხელ,
მაინც ხომ იყო!..“
თოვს,
და თოვლისაგან იკვეთება
თეთრი იესო.
მერე, ნელ-ნელა,
ქრება თოვა,
და – თოვლის ხატიც...
მიეჩერებოდი სივრცეებს.
მზე კვლავ აცხუნებდა,
აი, როგორც
ზაფხულს შეჰფერის.
ადამიანთა ხმაურში იკარგებოდა
ზმანება თუ –
წარმოსახვა...
ასე სრულდება ეს ისტორია“,–
ამბობს პოეტი.
– „იმან, რაც ახლა მოყევი,
ძალიან დამაინტერესა, –
ეტყვის მას მგზავრი, –
„ეგებ ისევ მომიყვე რამე...“
თუმცა, ამ დროს,
სხვა მგზავრები ჩაივლიან
შორიახლოს,
(კაცებიცა და ქალებიც),
და გასძახებენ
პოეტის ნაცნობს:
– „ასე ძალიან, მაინც,
როგორ გამოგვასწარი?!“
– „სწრაფად დადიხარ,
ზედმეტად ჩქარობ!“
– „იმიტომ ხარ ეგრე
დაღლილი!“
„წავიდეთ ახლა,
მთელ ჯგუფს ნუღა
ჩამოგვარჩენ!“
– „ხედავ? – ვინც გარბის,
ბოლოს, იგი,
სუყველაზე უკან რჩება!..“
– „ხალხო,
ეს კაცი პოეტია!
მოდით, რა, ერთად
მოვუსმინოთ!“ –
გასძახებს, მგზავრი, მის
ამხანაგებს.
ისინი შეყოყმანდებიან,
კი შეჩერდნენ ერთიხანობა,
მაგრამ,მერე, გზას
განაგრძობენ.
აგე, ბილიკს მიუყვებიან,
აგურისფერს.
ემშვიდობება, პოეტს, მგზავრი,
ბოლოს კი ჰკითხავს, –
– „აი, ამ ტბასთან
ხშირადა ხარ?“
– „ძალიან ხშირად.
(განსაკუთრებით მიყვარს აქ
ფიქრი).“
– „ხოდა, მაშინ, ისევე გნახავ...
ქვევით, დაბაში გავჩერდები
ამ დღეებში.
იქ რაღაცა საქმეები გვაქვს.
ერთხელ მაინც ამოვალ,
ამხანაგებთან ერთად,
რომ მოგისმინოთ“...
მერე მიდის...
პოეტი, ერთხანს, ხის ჩრდილში
რჩება.
მერე კი ჩრდილს მიატოვებს.
მზეს ეფიცხება.
იგი ივსება მზის, ცის ძალით.
მერე გახედავს დიდ გზას,
აი, უსაწყისოს, უსასრულოს.
გზა მაღლდება.
იგი გადადის მთებზეც, ზეცაზეც...
ხოლო პოეტი,
გონების თვალით ხედავს
სრულს სივრცეს.
აი სივრცე – მარადისობა:
მთელი მსოფლიო,
უფრო მეტი, –
მთელი სამყარო,
ადგილი შემოქმედებისა
(ქმნადობისა).
(მსურდა, რომ გზისთვის, მე,
სახელი დამერქმია,
ვთქვათ, იგივე
„შემოქმედება,“ „ქმნადობა“...
ვფიქრობდი სხვა სახელებზეც...
მოკლედ, ბოლოს, ეს საკითხი,
ღიად დავტოვე).
ადამიანი ქმნისო,
ამაში ჰპოვებს აზრს და,
ემსგავსება, ქმნით,
შემოქმედსო,–
ასე ამბობენ...
საფიქრალს ბევრ რამეს
ამბობენ,
მაგრამ მე კი...
აი, მე კი
ვერ ვასრულებ
ჩემსა ქმნილებას,
ვერა ვსვამ წერტილს...
ახლა ვფიქრობ, თუმცა ადრეც
მიიქრია, რომ
პოემები არა სრულდება,
და არ ვსვამ კითხვას, –
ჩემამდე, ასე, თუ რამდენმა
გაიაზრა ისინი...
დასასრული არ არსებობს...
მაინცკი, ბოლოს, პოემაში,
ხომ რაიმე უნდა დავწერო.
ხოდა
მე ვწერ,–
პოეზია...

P.S.

1. პოემის ფრაზა – „საფიქრალს ბევრ
   რამეს ამბობენ“, თავიდან მეწერა
   ასე – „ბევრ დიდებულ რამეს ამბობენ“.
   ორივე ვარიანტი მისაღებია...
2. თუ ვიტყვით –
   „სიტყვა – წიგნი“, უნდა ვიფიქროთ,
   ალბათ, რომ ის უავტორობა....

3. ჩემს ყველა ქმნილებას, ერთად,
   საერთო სათაურად, „ვუწოდებ
   ხან – „ფერთა წიგნს,“ ხან -
   „თეთრ წიგნს, „ხან - მწვერვალს“,
   ხან – „ სიტყვა - წიგნს,“ და ასე
   შემდეგ. თანაც, სათაურების ზუსტი
   განმარტება შეუძლებელი მგონია...
   მოკლედ, საერთო სათაური, სინამდვილეში,
   ვერ დავარქვი ჩემს შემოქმედებას...

4. ჩემს მიერ მოფიქრებული
   სათაურების ნაწილი მერყეევია
   და არამყარი. მაგალითად, –
   ზღვარელების მთელ შემოქმედებასაც
   ვერ დავარქვი ერთი საერთო
   სახელი, ხან „უსაზღვროეთს“ ვარქმევ,
   ხან „უსაზღვროებას“
   ხან – სხვა სათაურებსაც
   ვამბობ ხოლმე...

5. ყოველი ფერი მიყვარს. არაერთხელ
   მითქვამს, – „თეთრი იმპერატორი“,
   „ლურჯი იმპერატორი“ და სხვა
   ამდაგვარი. ლურჯი და თეთრი იგივდება,
   თუნდაც იმიტომ, რომ ესენია ძირითადი
   ფერები ცისა(ზეცისა), ხოლო ცა
   არის სახლი იდეალების.
   ცა არის ლურჯი, ღია ლურჯი (ცისფერი),
   თეთრი, მზისფერი... ზეცა დარბაზია,
   რომელშიც
   თვით ღმერთი მბრძანებლობს...
   რაც შეეხება, ისევე, ფერებს, ვიტყვი, რომ,
   საერთოდ, ფერები იგივდება.
   ყველა მათგანი დიდებულია,
   ლურჯი და თეთრი კი –
   მითუმეტეს, უფრო ხომ
   ესენი არიან პოეზიის
   ფერები...
   კიდევ ბევრი რამის თქმა
   მსურს, მაგრამ...

არდავიწყება მოღვაწეთა

Mirza Gelovanis Memorialuri Saxl-muzeumi
თიანეთის მუზეუმების გაერთიანება

მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმი გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავს!

ცეცხლში ნაწრთობი პოეზია

მირზა გელოვანი

„მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი...“ წერდა ომიდან ქართველი პოეტი მირზა გელოვანი, რომელმაც მხოლოდ 27 წელი იცოცხლა. მირზა (რევაზ) გელოვანი 1917 წელს დაიბადა. თიანეთის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იყო თბილისის უნივერსიტეტი. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალებში და დიდ მოწონებას იმსახურებდა. ცხოვრება თითქოს, ლამაზ პოეტურ გზას უმზადებდა... მაგრამ 1939 წელს, 19 წლის ბიჭი ჯარში გაიწვიეს და ისიც უყოყმანოდ ჩადგა თავისი ქვეყნის დაცვის სამსახურში, მალე ომი დაიწყო... მირზა გელოვანი, (რომლის თანამებრძოლთაგან არავინ იცოდა, რომ მათი კაპიტანი დიდი პოეტი იყო), რომელიც დედას მადლობას სწირავდა იარაღის, სიმართლისა და ვაჟკაცობის სიყვარულისთვის, მდინარე დვინის გადალახვის დროს დაიღუპა. დედა ევა მაჩურიშვილი, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ელოდა შვილის დაბრუნებას. იგი მირზას წერილებსა და ლექსებს, ომის ქარ-ცეცხლში ნაწრთობს, აურზაურში მიმოფანტულთ, იღებდა ფრაგმენტულად, რაც ასაზრდოებდა, იმედს უნერგავდა ...

პოეტი-კაპიტანი, მირზა გელოვანი დაკრძალულია ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქში, ბეშენკოვიჩის რაიონში სანიკის ძმათა სასაფლაოზე.

ვაჟიკა ფხოველი

ახალგაზრდა პოეტი ვაჟიკა ფხოველი – მიტო ცალხელიშვილი 1922 წელს თიანეთის რაიონის სოფელი საყდრიონში დაიბადა. სკოლა თბილისში წარჩინებით დაამთავრა. ლექსებს ჟურნალ "ჩვენი თაობა"-ში აქვეყნებდა. სრულიად ახალგაზრდა 1941 წელს წავიდა ომში. ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბალტიისპირეთი. მონაწილეობდა ლანდსბერგის მეზერიტის, შვიბუსისა და ცილხაუს აღებაში. დაჯილდოებული იყო "წითელი დროშის" ორდენით და მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის". მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიცოცხლე, ომის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიღუპა. დაკრძალულია ფრანკფურტში. სამწუხაროდ მისი ბევრი ლექსი დაიკარგა. ვაჟიკა ფხოველი ერთ ლექსში წერდა:

არ იქნება გმირთა საქმე
საუკუნოდ არ გვახსოვდეს,
ვინც დაეცა სამშობლოსთვის,
არ მოკვდება არასოდეს!

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

გარდაცვლილთა სამეტყველო ენა

ბრძნული ნათქვამის მოტივი: „არც კაცი ვარგა ცოცხალ იყოს მკვდარსა ემსგავსოს“, გასაგებია, მაგრამ სავალალოდ, ისიცაა გასაგები, როცა ბევრი ცოცხალი იმ მკვდარს ვერასდროს დაემს გავსება, რომელმაც კაცობრიობას მემკვიდრეობად ისეთი ბრძნულ-ფილოსოფიური სამეტყველო ენა დაუტოვა, რომლითაც იგი სამარადჟამოდ ეგაასება მას...

ვინ არიან ისეთი გარდაცვლილნი, ვინც ადამიანის გულ-გონებას ასე ძალუმ, მარადიულ დოკუმენტურად რომ ესაუბრებიან? თანაც უხმო ხმით და მეტიც, საუკუნეების გარდაცვლილნი ცხოვრების სიბრძნის ავ-კარგს დეტალურ-აფორიზმულად, დღენიადაგ, სიკვდილამდე ლეგიტიმურად რომ ასწავლიან?

ვინ და ვინც თქვეს: „სწავლა სიკვდილამდე შენიაო“, „რასაცა გასცემ შენიაო“, „სწავლის ძირი მწარე არისო“, „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამსო“, „მე ამიტირდა მუხრანი... ანა... მე რომ გავყიდო, იყიდი განა?“ (ბეჟან ხარაიშვილი), „მეგობრობა გზად და ხიდადო“, „ხერხი სჯობიაო“, „წინა კაცი უკანას ხიდიაო“, „სჯობს სიცოცლესა ნაძრახსაო“, „სჯობს სახელისა მოხვეჭაო“, „ისმინე სწავლის მძებნელოო“ და განა ასე იოლია, გარდაცვლილ მეტყველთა ხატოვან-ქარაგმულ ენით საკონტაქტოდ, მილიარდობით ნათქვამ ჭეშმარიტ სმენად სასიტყვეთის სიბრძნე, სამარადო მესიჯ-შეგონებათა ჩამოთვლა? რითაც, მართლაც ცხოვრების ბოლომდე რომ უნერგავენ და უჩიჩინებენ ადამინებს? ხოლო ის კი, მეცნიერების სხვა უტოპიაა, ამ სიბრძნის წვდომა-შემეცნება ვის შეუძლია და ვის არა...

არც ისაა იოლი, ამგვარ ბრძენ, გარდაცვლილ მეტყველთა იმ ჭეშმარიტების ხილულ-ფილოსოფიური დოქტრინის ფაქტობრივ ვერსიად მტკიცება, რომ ისინი, მარად ზეციურ ცოცხალ-მემუსაიფენი არიან და მათი სიკვდილი რომ არ არსებობს. ამის მასაბუთებლად, თანმხვედრ, ზუსტ მონათესავე აზრთა მოშველიება და მასზე მყისიერი დაყრდნობა თუ შეიძლება მხოლოდ. მაგალითად, ასეთ გონებრივ, მგრძნობელურ, სიცოცხლეზე მეტყველებს პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ალალ-მართალ, პრაგმატული ლექსის „მეუფევ შენით ვიწამეს“, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სტრიქონები, რომელშიც ქვეყნის წარმტაც კუთხის, ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ – მეუფე თადეოზ (იორამ იორამაშვილზე) აპოდიქტურად ამბობს:

არ არსებულა სიკვდილი
მეუფევ შენით ვიწამე.



– მეუფე, რომელმაც ხალხს სწორედ მემკვიდრეობად ბრძნულ-ალიტრაციული მეტყველებანი დაუტოვა აზრ-საწვდომ და არა კოსმიურ სივრცეში, რის გამოც ქალბატონ გულნაზის იგივე ლექსში მეუფე ზეცამდის აჰყავს და წრფელ-პოეტურ ჟესტით, გულჯვარმკობილს

ლაკონურად განუკითხავს შემოქმედებით საერო ღვაწლს, რამეთუ საქვეყნოდ, უანგაროდ, ღვთიური სიტყვის მესაჭედ რაცხავს მას:

მე კრძალვით გულს ჯვარს გიკოცნი
ღვთური სიტყვის მესაჭევ.

– მეუფე, რომელიც განისვენებს ქრისტიან ქართველთა პატივსაცემ წმინდა ადგილზე, სიონის ეკლესიის ღვთის ნაკურთხ, სანუკვარ ეზოში, იქ სადაც საქართველოს გულსაც უწოდებენ და საიდანაც გზა ქართველთ, მსოფლიოსაშურ, საგანძურ მიწის ყველა კუთხეკუნჭულისაკენ რომ მიემართება. საუკუნოვან, მცირე, მაგრამ სასწაულმომქმედ ადგილზე, სადაც მხოლოდ ერთეულთა ნეშტები ასვენია, რაც მნახველთა ჩაფიქრებას, გარინდებას, კრძალვასა და მუხლდრეკით უფლისგან მფარველობის, მამშვიდებელ, მდუმარ ლოცვა-ვედრების აღვლენის სამორჩილო გრძნობას რომ იწვევს.....

ერეტისტი, ქართულ საქრისტიანოს თაყვანმცემი, მეუფე იორამ იორამაშვილის სურვილიცაა და თან წინასწარმეტყველებაც, საკუთარ ერზე ლექსში, ,,ერი ჟამთა ხსოვნაში", მის მარადისობაზე ასე რომ მსჯელობს:

გელოდება ნათლის ცა
და მზეს მარადისობის.

აგრეთვე, მშობლიურ, მიწის წრფელი სიყვარულიცაა და მაღალ-პოეტური ხედვაც გამოხატული, მეუფის კავკასიონივით ამაღლებულ ლექსში „სონეტი ქართულ მიწას", ასე პითოგრაფიულ-ხატოვნად რომ ლოცავს მის ზეცის ფერს:

შენ კი ამაღლდი და ცას შესწვდი
კავკასიონით
მარად და მარად ლურჯი იყოს შენს
თავზე ზეცა.

ტკბილმოუბარი, ქრისტიანი მელექსე, მეუფე თადეოზი, უსათაურო პოემის ერთ-ერთ სტროფში ასე დიდ-პატრიოტულად ნატრობს:

გამოგვიშუქე მაღლიდან
მარადი სინამდვილეო,
გვიცოცხლე „ მრავალჟამიერ"
ტკბილი „ნანა" და „ლილეო"

კვალიფიციურ მორწმუნისთვის ქვეყნად ლოცვაზე და ხატზე მეტი რა უნდა იყოს, ამადაა მეუფე ლექსში „მთები", თავის კრედოს, სალოცავად აღქმულ მამულზე, ფაქიზ-სიწრფელით ასე რომ გამოხატავს;

ჩემო წმინდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო, მამულო ჩემო.

ვფიქრობ. კურთხეულ მეუფეს უკვდავმეტყველად წოდებისთვის ეს ერთსტროფიანი ლექსიც ეყოფოდა, რომელშიც მისგან ქართული ისტორიული ეპოპეის უდაო, სრული ცოდნაც გამოსჭვივის:

მზით სავსე ზეცაც ხშირად გვქონია
თუმც ისტორის გზაზე ბნელოდა,
„ვეფხის და მოყმის" ლექსიც გვეყოფა
უკვდავებად და სადღეგრძელოდა.

თუმცა, თავად მეუფეს უკვდავებად მორწმუნეობა ანუ ღმერთის შვილობაც ყოფნის, როცა ასე მსჯელობს ერთ-ერთ სტროფში.

ვინც ღმერთის შვილია
ყველა გამოდგება,
სიცოცხლის მსახური
არასდროს მოკვდება.

ღვთის და სიცოცხლის მსახურ, ამაღლებულ თეოლოგი მეუფის შემოქმედებაში მთლიანი გლობალური მოტივი სამშობლოს სიყვარული და მისი გადარჩენის სურვილია, ლექსში „პატარა ანგელოზის ნატვრაში" ასე რომ ნატრობს:

მახსოვს ღარიბს უსაჩუქრე ოქროს ქისა
და უდაბნოს სურნელს აფრქვევ ყვავილებს...
კვლავ ინებე სასწაულთა გამოჩენა
ღმერთს შეჰვედრე საქართველოს
გადარჩენა!... ამინ!...

მრავალი გენიალური ფრაზა და ციტატა დაგვიტოვა თევდორე მღვდელივით სამშობლოზე შეყვარებულმა მეუფემ ჩასაფიქრებლად, თუნდაც ლექსის ,,მთების'' შესავალში ნათქვამი მთის და წინაპრის სიმაღლე-სიძლიერის გამაიგივებელი შედარება:

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები

მგონია მთები.

რომელი ნათქვამის აზრის ფილოსოფიურობის გრამატიკული დედააზრის დასკვნაც თავად მკითხველისთვის მიმინდვია, სიტყვებისა, რომელიც მის წიგნშია ,,იცნოს სოფელმან'' შეტანილი, ხოლო ლექსში „სამშობლოსადმი" ნათქვამ ერთ-ერთ მგრძნობიარ წინადადებაზე;

„ვარ შენი მიწის ერთი სანთელი",

აზრთქმა ასე შეიძლება გადმოიცეს: ავტორი ნამდვილად ერთი, მაგრამ ქართული სასიტყვეთის კარიბჭესთან ვარსკვლავივით უქრობი ციმციმა სანთელია.

ამდაგვარ მრავალ, დღემდის საკონტაქტო მეტყველ ნათქვამის გამო, მეუფემ ბომონდის დიდი აპრობაცია დაიმსახურა. ამიტომ მჭევრმეტყველი, ვირტუოზი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მას საჯარო ვერდიქტად უფლის რჩეულს უწოდებს და ხალხისგან სიყვარულს, უსათაურო პოემის ერთ-ერთ სტროფში, ასე წარმოუჩენს:

შენს საფლავთან ჰყვავის ია-ია
გაზაფხულდა და აღდგომაც მოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან
სიყვარულით ყვავილების თოვას.

თუმცა. ბრძენმთქმელი მეუფე თავისას თუ თანამოაზრის ზოგ ფილოსოფიურ მოსაზრებას, (იქნებ თავმდაბლობის მიზნითაც), ორჭოფულად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან ლექსში „ნუ მოგვიშალოს", ასე მსჯელობს:

და თუ ჩვენი ხმა ხალხს დარჩა ფარად.

– მაშინ როცა ეს აქსიომასავით ჯიუტი ფაქტია, რომ გარდაცვლილი მეუფის მრავალმხრივი სამეტყველო უკვდავი ხმა, ნამდვილად დარჩა ხალხს ფარად და უფრო მეტიც, მისი უკვდავი სახელი გონიერ, მორწმუნე წინაპართა ისტორიაში და ზეცის წიგნშიცაა ჩაწერილი, რასაც მისივე ლექსის „სად ყვავილი ყვავილობს", ერთ-ერთი სტროფი აღწერს;

სად ყვავილი ყვავილობს
ლამაზ თვალებს ახელს
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.

პოეზიისა და უფლის გზანარჩევი, ნიჭიერი, მიტროპოლიტი – მეუფე, იორამ იორამაშვილის უბიწო სახელი, რომელმაც მემკვიდრეობად პოეტურ-ფილოსოფიური სამეტყველო ენა დატოვა, ხალხის გულებშია დავანებული. მისდამი მიძღვნილ ამ მცირე სტროფს კი სასიტყვეთის მატიანეში, ალბათ თავისი კრძალული კრედო აკისრია:

საფლავშიც გულჯვარმკობილო,
ერს ახსოვხარ მარადწამს,
ბრძენმეტყველო მეუფევ!
უკვდავი ხარ მარადჟამს.

ლუარა სორდია

ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი

ბეჟან ხარაიშვილის ქრესტომათიული, კლასიკური შედევრები

კლასიკური ლიტერატურის უპირველესი კრიტერიუმებია რელიგიურობა, დინების წინააღმდეგ სვლა, ობიექტური განსჯა წარსულისა და აწმყოსი, მომავალში მოსახდენი მოვლენების უტყუარი განჭვრეტა, მხატვრული ინდივიდუალობა, არა დეკლარაციების ღაღადი, არამედ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება.

მხოლოდ მორწმუნეს მიემადლება საღვთო, მარადიული სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ნიჭი, რაც მარადისობაში დამკვიდრების საწინდარია.

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება ზედმიწევნით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მის შემოქმედებაში, როგორც პოეტების მეფე გალაკტიონი ბრძანებდა, „ხელიხელგადახვეულია წარსული, აწმყო და მომავალი“.

დიდი ხელოვნება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების შორს გაწევაა, რაც ჯვარცმაა, სისხლის, სულის, სიცოცხლის გაღებას, მსხვერპლს მოითხოვს. „ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ“, ასეთი სიმაღლიდან განჭვრეტს ბეჟან ხარაიშვილი ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მსახურის მისიას.

მის პოეზიაში მრავალი ქრესტომათიული შედევრი იქცევს ყურადღებას. აქ არის ეროვნული ფენომენის სრულყოფილი წვდომა, სამშობლოსთვის თავშეწირვის იდეა, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის, მისი აქტუალური პრობლემების გონივრული განჭვრეტა, მომავლის ორიენტირების ძიება, სისხლისა და მიწის ყივილი, ნეგატიური მოვლენების გაბედული მხილება, ეროვნული ნოსტალგია, ფილოსოფურ პრობლემების სიღრმისეული წარმოჩენა.

ძალზე ხშირად პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ვლინდება სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით, უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტებით.

ბეჟან ხარაიშვილის „გულის ძარღვები მამულის სუნთქვას იწერენ (სხვაობა), მუხის, ხმელი წიფლის, ჭადრების სახეში ნაგულისხმევი სამშობლოს ფესვების ფეთქვას, მის გულისძგერას შეიგძნობს, ერის სულს ხედავს.

ეროვნული შემოგარენის ჭადრები, მტკვრის მკერდზე გაშენებული თბილისი იყო პოეტისთვის „ოცნების ნატვრის თვალი“, აუწონავი განძი და მისი შემყურე ნატრობდა არა მატერიალურ სარგებელ-ღირებულებას, არამედ მამულის მარადიულობას.

ედგარ პო ელდორადოსა და კოლორადაში ეძებდა ოქროს, გალაკტიონი – კლონდაიკში, ორივენი არა ოქროს მადანს, არამედ სიტყვის ოქროს მოპოვებისკენ მიმართავდნენ მთელ ძალისხმევას.

„არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არის, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“, აცხადებდა გალაკტიონი.

ბეჟან ხარაიშვილი „არა ფულს და ოქროს, არა სახლს და დახლს“, არამედ საქართველოს უკუნისამდე დღეგრძელობას, მისი ღირსეული მსახურების უნარს შესთხოვდა უფალს (მტკვარი გველივით შეცურდა კადრებში).

ქართული პატრიოტული კლასიკის შედევრებში დამკვიდრდა პოეტის „ჩემი მამულია“, „არაგვს“.

წინაპართა კვალობაზე, სამშობლოს სიმბოლოდ მოიაზრებდა მუხას, ჭადრებს, შინდის რტოს, ხარს.

საოცარი სიზმარ-ხილვები შთააგონებდა საკუთარ მაღალ მისიას.

თითქოს თამარის ხელი ესათუთებოდა შუბლზე, რათა მეხივით ეჭექა მის სიტყვას, უკვდავთა საუფლიდან მოვლენილი შოთა რუსთაველი აწვდიდა კალამს...

პოეტის თვალთახედვის არეში ექცეოდა არგონავტების მიერ ადრე მოპარული ოქროს საწმისი, იგივე გრაალი, ფილოსოფიური ქვა, რომელიც გაიგივებულია „კოსმიურ სიბრძნესთან, სულიწმინდასთან, მარიამ ღვთისმშობელთან“ (ზვიად გამსახურდა, საქართველოს სულიერი მისია).

საწმისის დაკარგვა მომავლის ფიქრებს ასევდიანებს, რადგან მზის შვილის – აიეტის სამეფოში მომრავლებულან ღვთის გლახები, „გაქართველებულებულან, გადიდებულან ჭრელსისხლიანები“ (ოქროს საწმისი ადრე მოიპარეს).

პოეტს აღაშფოთებს ნასახლარები, სული-

ერების დაკარგვა, ხორცის, ნივთის გაფეტიშებბა, გადაგვარება, „სისხლის გათეთრება“, რწმენის, ტრადიციების ღალატი (წახდა საქართველო). მისი იდეალია არა „ხორცის ქვეყანა“, არამედ სულის ნავთსაყუდელი.

უცხო მიწა, უცხო სული, უცხო სისხლი მუდამ იყო ქართველი კაცის უპირველესი სატკივარი, როგორც ბიბლიაში, როგორც ქართველ კლასიკოსებთან.

პოეტის გაუნელებელი დარდი იყო მესხეთ-ჯავახეთში ქართველთა დაკარგული ტაოკლარჯეთი, დიდი თურქობა (მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში).

„დაცლილი ქართული სოფლების სიცარიელე“, ეროვნული ნოსტალგია ტანჯავდა ბეჟან ხარაიშვილს (ფერეიდნელის ნათქვამი, ხდის ხეობიდან). როცა ამ პრობლემებს ეხებოდა, იერემიას გოდება თუ აგონდებოდა: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები – გადამთიელმა“ (5,2).



და ასევე არ შეიძლება არ მოგაგონდეს დავით წინასწარმეტყველი: „როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?” (ფს. 136,4).

უბედურების მომტან უცხოს ებრძოდნენ სიტყვით და საქმით ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ მიშველაძე, ბეჟან ხარაიშვილი.

პოეტის მიერ „საქართველოს გულზე“ საუბარი გვახსენებს გიორგი ლეონიძის ტევად ფრაზას: „ახლოს მოიწი, სამშობლოს გულო“.

ბეჟან ხარაიშვილს უვლია დიდი ვაჟას, ანა კალანდაძის ნავალ გზებზე, ფოლკლორულ ექსპედიციებზე სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში.

ლაშარგორის კაი ყმათა უსიტყვო საუბარი ესმოდა, იახსარზე საქართველოსთვის ჯვარცმული ჭაღარა ვეფხვის-ვაჟას ნაკვალევს ხედავდა, „საქართველოს ეშხით“ ბარბაცებდა (არაგვს).

ხატობაზე დაკლული უმანკო კრავის სისხლის დაღვრა არ მოსწონდა, მისთვის მთავარი იყო ჭეშმარიტი რწმენა, რაც წმინდა წერილის სიბრძნის ასოციაციას იწვევს: „...აღარ მსურს მოზვრების, კრავებისა და ვაცების სისხლი!“

„...ხელები სისხლითა გაქვთ სავსე!“

„განიბანეთ, განიწმინდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა!“ (ესაია წინასწარმეტყველი, 1,11,15,16).

პოეტი კიცხავს ეროვნულ ბედოვლათობას, რასაც მასპინძლის ფუნქციის დავიწყება, სტუმრის უზომო გალაღება, ძირძველი მოსახლეობის უფლებების შელახვა, უცხოთა თავხედური მოძალება მოსდევს (ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი).

ეს პრობლემა ქართული მწერლობის რჩეულთა ერთ-ერთი თავსატეხი იყო (გრიგოლ რობაქიძე, შოთა ნიშნიანიძე საქართველოს ბაბილონს ადარებდნენ).

ამასთან, ბეჟან ხარაიშვილი ისევ ერთგულია ქართველთა ტოლერანტული ბუნების (გპატიჟობთ ყველას).

პოეტი ვერ ურიგდებოდა საქართველოს კარების, საზღვრების მოშლას საბჭოთა პერიოდში, რაც დღესაც გრძელდება.

გრიგოლ რობაქიძე ქვეყნის ბედს არწივისა და ხოხბის, მდევარ-დევნილის ჭრილში გაიაზრებდა (მცველნი გრაალისა).

გალაკტიონ ტაბიძე აჯამებდა სამშობლოს ტრაგედიებს და ალვის ხის, მუხის, ბაღის გადარჩენით მიგვანიშნებდა ერის მარადიულობაზე.

პოეტების მეფე აფრთხილებდა ერს: „შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე, ...უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“ (მშვიდობის წიგნი).

კონსტანტინე გამსახურდიას, „დავით აღმაშენებელში” ძლევამოსილ, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული საქართველოს ძლევამოსილ მეფეს სიკვდილის წინაც არ ასვენებდა საქვეყნო საფიქრალ-საზრუნავი და ტაოს კარს მომდგარი თურქთა ლაშქარი ელანდებოდა. ეს იყო მომავალში გენიოსური გადახედვა,

გაფრთხილება, რომ მიღწეულით ტკბობა კი არა, გამუდმებული სიფხიზლე-შემართებაა მარადიულობის გარანტი.

აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველება მიუტანია ერს გულთან, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ტაბუს“ გაფრთხილების ზარები დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ვერც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ სათქმელი გაიგეს თავის დროზე...

ბეჟან ხარაიშვილს ყაყაჩოს წითელ ფურცლებზე დასმული შავი წერტილის სახეში ამოუკითხავს ქართველი კაცის სიცოცხლის განსაცდელები და მარადიულობა: „ყაყაჩოს წითელ და თხელ ფურცლებზე შავად ნაფერი შავი წერტილი, არა არის რა, თუ არა ტყვიით ქართველი კაცის სისხლში, დასმული მისი სიცოცხლის მრავალწერტილი“...

პოეტი მზად იყო, მარჯვენა მოეჭრა, სული მიეცა მამულისთვის (გაზაფხული).

გამოსავალს რწმენაში, ღვთიური გზისკენ მიბრუნებაში ხედავდა, იზიარებდა მესიანისტურ იდეას, რომ ჩვენ ვართ უძველესი მართლმადიდებელი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი, ქრისტეს კვართის შემნახველი ერი და ეზრა წინასწარმეტყველის სიტყვით აფრთხლებდა თანამემამულეებს, უარი ეთქვათ მკრეხელობაზე, უკეთურებაზე და სიმართლის მსახურები ყოფილიყვნენ.

პოეტი დიდი ხნით ადრე გრძნობდა სამშობლოს მომავალ კატაკლიზმებს.

ბეჟან ხარაიშვილი იყო ერთგული მსახური ეროვნული ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნოება“. პოეტი სულის ეკრანზე ხედავდა ყველაფერს, რასაც ფიქრობდა მისი დიდი წინამორბედი წიწამურთან (ხსოვნის ეკრანი გაფატრა ელვამ).

ბეჟან ხარაიშვილს სიზმარ-ცხადში დაემგზავრებოდა ლოკალური თუ გლობალური სატკივრები, ვერ შერიგდებოდა ახლომხედთა უგუნურებას, გადაგვარება-გადაშენების მაუწყებელ სიმპტომებს და ქვეყნის ავ-კარგის შემცნობი, გაფრთხილების ზარებს რეკავდა, სამეუფო გზას უჩვენებდა უფსკრულში მობორიალეთ.

ბიბლიის კვალობაზე, პოეტისთვის სამშობლოს პარადიგმა იყო ბაღი, ვენახი.

აქტუალურ ეროვნულ და მსოფლიო სატკივრებში გვახედებს ბეჟან ხარაიშვლის ლექსი „სიზმარი“.

სიზმარს, ინტუიციას, წინათგრძნობას, არაცნობიერ, ტელეპატიურ ფენომენებს უკავშირებდნენ ზიგმუნდ ფროიდი, კარლ გუსტავ იუნგი, ანრი ბერგსონი.

„სიზმარში“ მუხის ცრემლები მიგვანიშნებს ერის განსაცდელზე, მრავლისმთქმელია სურნელებადაკარგული ვარდი, ნარცისი, ია, ნამის შენაცვლება არაყ-ნარკოტიკებით. მუხა ერის სიმბოლოა, ვარდი-უზენაესის, ია-ღვთისმშობლის, ნამი, ცვარი-უზენაესის.

ლექსის ავტორი კეთილმოსურნე გულისწყრომას ვერ ფარავს, ამხელს ბაღის (ხალხის) გადაგვარების ნიშნებს...

ჭეშმარიტ მამულიშვილს ძილს უფრთხობდა სხვისი ტერიტორიებით გაუმაძღარი იმპერიული მონსტრის პოლიტიკა, მის მიერ ჩვენი ეროვნული, სახის წაშლის მცდელობა.

ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“ პოეტმა გაუმაძღარი მგლისა და ხარის პარადიგმებით გააკეთა აქცენტი სამშობლოს განსაცდელზე.

ამა ქვეყნის ძლიერთა მგლურ ინსტიქტებზე მიგვანიშნებენ წმინდა წერილში ესაია წინასწარმეტყველი (25, 27), სოფონია წინასწარმეტყველი (3, 1-3).

მგლის სახისადმი ინტერესი ვლინდება მითოლოგიაში, კლასიკურ მწერალობაში, ვაჟა-ფშაველა (ჰერმან ჰესე, კონსტანტინე გამსახურდია, გოდერძი ჩოხელი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მიშველაძე).

ბეჟან ხარაიშვილს ლექსში ღვინიას (სამშობლოს მეტაფარაა) ჩასაფრებული მგლები ჩვენი ჩრდილოელი მონსტრის მადაზე მიუთითებს.

წიგნში „ხვედრი პოეტთა“ თოვლის, ყინვის, ქარის სახეთა ქვეტექსტებით გვამცნობს მეზობელი თოვლიან-ყინულიანი იმპერიის ავბედით ზრახვებს, უბედურების მაუწყებელია მისი მზაკვრული სულის გამომხატველი „თოვლის ბარათები“.

მგლები არა მხოლოდ ერთ ნასახლარს, ან ერთ სოფელს შემოსჯავრიან, არამედ მთელი ქვეყნის გაქრობა-გადაშენების მცდელობებს ავლენენ და თუ პატრონობა არ გაუწიეს და არ გამოფხიზლდნენ მიზანში ამოღებულნი, ამ სამოთხეს სხვა ჩაიგდებს ხელში, ჩვენი თანამოძმეების, სამშობლოს ნაშიერთა სისხლისღვრაც გარდუვალია...

ეს იყო ჩვენი მამულის საფრთხეების უტყუარი განჭვრეტა გაცილებით ადრე, ვიდრე სამაჩაბლოს და აფხაზეთს აგვაცლიდა სისხლით გაუმაძღარი „გაიძვერა მოყვარე“.

ბეჟან ხარაიშვილი უტყუარად ჭვრეტდა არა მხოლოდ ხილული სამყაროს საგნების და მოვლენების გულისგულს, არამედ ჰადესის მოხილვის უნარიც მომადლებოდა. მისი ფილოსო-

ფიური ლირიკა და პროზა გვიჩვენებს სიკვდილისათვის მზადებას, გარდაუვალთან შეხვედრას, საკუთარი სიკვდილის დასიზმრებას, დამარხვას, საიქიოში გამგზავრებას, პოეტი თვით ესწრება საკუთარ გასვენებას. მიუხედავად ბრძანებისა, ის სიკვდილზე არ ლოცულობს, წარმავლობას არ ეპუება, სჯერა სულის უკვდავება.

ეგვიპტური და ტიბეტურ მკვდართა წიგნებში, როგორც გარდაცვალების სახელმძღვანელებში, საუბარია ფიზიკური სიკვდილის შემდეგ სულის უზენაეს სამსჯავროზე წარდგომის შესახებ, როცა ჰადესში გამოცხადებულმა ცოდვების უარყოფის ტექსტი უნდა წარმოთქვას.

მიცვალებულთა სამეფოზე არსებული წარმოდგენები ეფუძნება კლინიკური სიკვდილის გადამტანთა გამოცდილებას და ადამიანს შთააგონებს ამქვეყნიური ცხოვრების მცირე დროის გონივრულ გამოყენებას.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, „შავ და თეთრ გზებს“ შორის ადამიანის არჩევანს განაპირობებს სულის სიწმინდე და ზნეობის სისპეტაკე. (როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ.1993).

ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებაში საყურადღებოა ორეულებთან შეხვედრა.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი შედგება შვიდი საწყისისგან. ესენია: ფიზიკური სხეული, ასტრალური სხეული, პრანი ანუ სასიცოცხლო ძალა, ინსტინქტური ჭკუა, ინტელექტი, გონება, განსჯა, სულიერი ჭკუა, განჭვრეტის უნარი, ინტუიციური ჭკუა, მეშვიდე არის სული.

ხუთი ფიზიკური გრძნობის პარალელურად, ადამიანს აქვს ხუთი ასტრალური გრძნობა, რომლებიც არიან ფიზიკური გრძნობის ორიგინალები. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მეექვსე გრძნობაც, რომელიც იძლევა ტელეპატიურ უნარს. ფიზიკური გრძნობის შესატყვისია ასტრალური ორეულები, რომელსაც შეუძლია გადაადგილება ნებისმიერ სიმაღლეზე. ეს ხელეწიფებათ ოკულტისტებს.

დანტედან დაწყებული, ორეულებით დაინტერესებას ავლენდნენ რომანტიკოსები, სიმბოლისტები, გოეთე.

ხშირად სიკვდილის მაუწყებელია ორეულის ნახვა.

რ. შუმანი აცხადებდა, რომ გარდაცვალებამდე ევლინებოდნენ შუბერტის და მენდელსონის სულები.

ასტრალური გამოსახულება იყო ჰამლეტის მამის აჩრდილი.

ილია ჭავჭავაძეს აჩრდილის სახით გამოეცხადა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“.

ბეჟან ხარაიშვილის „უსახელო მკვდრებში მამხილებელი ორეული ააშკარავებს ადამიანის სულში ჩაბუდებულ გველს, ბოროტებას, შურს, შულლს, დაცინვას, მიჩქმალვის ნიჭს, ნიღაბს, რასაც ადამიანი მიწაში ჩაჰყავს.”

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მიწიერი, მდაბალი პრაგმატული ინტერესებით მცხოვრებთ მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა.

„ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს“, წუხდა რუდოლფ შტაინერი და შეგვაგონებდა: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994. გვ 269, 270, 243).

წმინდა წერილი სწორედ ადამიანის სულის ამ უკეთური მხარეების მხილებაა, ხოლო მათგან განრიდების საშუალებაა „რწმენის მახვილი“ (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე).

ჭეშმარიტი პოეზიის მთავარ პოსტულატებს – ცას და მიწას ერთდროულად ვიპოვით ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში: „...რომ გამოვცადო ცის სიახლოვე, მიწაზე ბოლო სუნთქვას ვიმეტებ“ (და ვტოვებ, ვტოვებ).

ზეციური, ღვთიური, სულიწმინდის იმპულსების გარეშე შეუძლებელია მიწაზე უმაღლესი იდეალების სრულყოფილი მსახურება.

მიწიერ-ზეცური იყო აკაკი წერეთელი, „მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზო“, წერდა ვაჟა-ფშაველა.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“, „ზეცა მწყურია და მიწა მშია“, ამბობდა ტერენტი გრანელი. „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი“, ეხმაურებოდა დიდ წინამორბედებს ანა კალანდაძე.

წინაპართა ამ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებდა ბეჟან ხარაიშვილი.

ოცდაცხრა წლის ასაკში აღსრულებული პოეტის შემოქმედება ყურადღებას იქცევს ვაჟა-ფშაველას რემინისცენცირებით, მის სახეიდეათა ახლებური გათავისებით. ასეთი პრობლემებია სულისა და ხორცის დაპირისპირებაში სულის პრიმატის აღიარება ორივე პოეტთან.

ბეჟან ხარაიშვილს ორგანულად ჰქონდა შესისხლხორცებული ვაჟას „კაი ყმის“ იდეალი, ლუხუმისა და კვირიას გმირული სული, ბუნებაში, სამყაროში ჰარმონიის ძიება, ბუნების პერსონიფიკაცია, ხმელი წიფლის სახე, ბებერი მუხების დაკოჟრილი ფესვების იმედი, ვაჟას ესმოდა „მთების გულისძგერა“ (არაგვს). ბეჟან ხარაიშვილთან „სუნთქავენ მთები”, „არ ჩანს

ვარსკვლავი“).

ეროვნულ ჭრილში მოიაზრა ვაჟასეული სახეები – დევის ხახა და დაკარგული ბილიკი (დინჯად ალოკეს).

ვაჟა „ნაიალაღარი ხარის“ სახით გვეცნაურება, ბეჟან ხარაიშვილი ღვინია ხარის სახეში მოიაზრებს სამშობლოს.

მთის ტრუბადურს მთის მწვერვალზე ევლინებოდა შთაგონება.

მთაზე ასაფრენი არწივის სახით დამკვიდრდა ბეჟან ხარაიშვილი მკითხველის ცნობიერებაში (გახსენება).

„ვიცანი, ღმერთო სამყარო“, აცხადებდა ვაჟა. „ხომ გაიცანი, ვინ რა ფერია“, ეპასუხებოდა დიდ წინაპარს ახალბედა პოეტი.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია ყურადღებას იქცევს წინასწარმეტყველური ხილვებით. მორწმუნე პოეტი კარგად არჩევდა წარმავალს და მარადიულს, „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვთის მადლს“ (პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 1, 12).

წმინდა წერილის მიხედვით, მხოლოდ უმანკო სულებს ხელეწიფებათ განჭვრიტონ მომავალი, გავიდნენ დედამიწის საინფორმაციო ველზე, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია ცოცხალ არსებათა შესახებ.

ანრი ბერგსონი განარჩევდა ცოდნის ორ სახეს – რაციონალურს და ინტუიციურს და აღნიშნავდა, რომ ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას. ამასთან, არ არსებობს უფსკრულ ინტუიციასა და გონებას შორის (ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1955, გვ 24, 85).

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინათგრძნობის უნარს (ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1955. გვ 24).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის“ შესახებ: „მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი – ინტუიციურს.

„გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც წარმოადგენს ნათელხედვის ორგანოს და ადამიანის ტვინის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული“, იმოწმებდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელს მერაბ კოსტავა.

როგორც ჩანს, ეს ორგანო ჰქონდა მომადლებული ბეჟან ხარაიშვილს.

ათეული წლების წინ იწინასწარმეტყველა პოეტმა ჩვენი ნასახლარების ბედი, მოისმინა ჩვენი ხარების ცხელ სისხლზე, ღვინოზე დახარბებული მგლების ყმუილი, მშობლიურ შემოგარენში, უცდომლად წაიკითხა თოვლის სამყაროდან გამოგზავნილი „თოვლის ბარათების“ შინაარსი. ამიტომ მოუწოდებდა სოფელს, ქვეყნის შვილებს, ღირსეულად დაპატრონებოდნენ სამშობლოს (შეციებიათ მთაში ღელეებს).

ეროვნულ ტრაგედიაზე მინიშნებაა დევის ხახა და დაკარგული ბილიკი ლექსში „დინჯად ალოკეს”.

ავის მაცნეა „სისხლისფერი ნიჩაბი,“ „ბაბაძგნარი“ (მდინარეზე).

საკუთარი ტრაგეკული აღსასრულის მოლანდებაა ლექსი „ნება-ნება“.

თითქოს ჰადესის აჩრდილები ევლინებოდნენ და კარნახობდნენ უზენაესის განაჩენს (ისევ გინატრე).

წინასწარმეტყველურია „წინაგრძნობა“.

ლექსი „და ვტოვებ, ვტოვებ” გამოტირებაა უდროო აღსასრულის, დაუწერელი სტრიქონების...

საქვეყნო ინტერესებისათვის მებრძოლი პოეტი გრძნობდა ღალატს. მის მიერ აგებული სულიერი ტაძრის უგულებელყოფას, ესმოდა უკეთურთა გინება, ხედავდა დანის ალესვას (მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა).

მაგრამ „თავთან დაკლული სიკვდილი“ ედო (ნატვრა).

ვაჟასავით, პოეტის ოცნება იყო ხმელი წიფლიდან ამოსული ფესვის გახარება, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ფიქრით ათენ-აღამებდა, დიდი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უღალატო, დაუცხრომელი თანამებრძოლი. ეს უპირველესი მიზანი აუხდა კიდეც, თუმცა მსხვერპლის, ეროვნული ხელისუფლების განდევნის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვის ფასად....

მისი დიდი გვარის ფესვები ვერ დააზრო ყინვამ, ღირსეულ არსებობას აგრძელებს მისი შთამომავლობა... ეროვნული ტრიადის ერთგული ბეჟან ხარაიშვილის გვარს ამშვენებს შესანიშნავი პოეტი, კულტურის და ხელოვნების დაუცხრომელი მოღვაწე გულნაზ ხარაიშვილი, ათი პოეტური კრებულის ავტორი, გალაქტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, რომელსაც ძალზე საყურადღებო წიგნი უძღვნა ჩვენმა უნიჭიერესმა პოეტმა და მწერალმა სერგი ლომაძემ სახელწოდებით – „გზა მწვერვალისკენ“,

ასევე ძალზე საინტერესო ეპიზოდების შემცველი ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ გულნაზი მამა გაბრიელის მადლშემოსილია... მაგრამ ამ გვარის პოეტთა გასამების მაუწყებელია ბეჟანის და გულნაზის ძმისშვილი – ახალგაზრდა გვანცა ხარაიშვილი, რომლის მხატვრულ სიტყვასაც სულიწმინდის მადლი ატყვია და რომელსაც ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ნიჭის, ჩვენი პოეტური კულტურის მესაჭეები – კახა ბაციკაძე და სერგი ლომაძე პოეზიის ჩემპიონს უწოდებენ. ხარაიშვილების ამ შტოს კიდევ მრავალი, ასაფრენად გამზადებული ახალი თაობა ეზრდება საბედნიეროდ...

და კიდევ: როცა ბეჟანის კრებულს – „ხვედრი პოეტთა“ – გავეცანი, მაშინვე ჩვენი დიდი მეცნიერის, უპირველესი ნოველისტის – რუსთაველის პრემიის ლაურეატის რეზო მიშველაძის ნოველები და პუბლიცისტიკის შედევრი გამახსენდა (რომელიც ამშვენებს არა მხოლოდ მის მრავალტომეულს და ქართულ აზროვნებას, არამედ საკაცობრიოა თავისი იდეურ-ესთეტიკური ასპექტებით, გლობალური პრობლემების წარმოჩენით), რომლის მრავლისმთქმელი სახელწოდებაა „რა გადაარჩენს საქართველოს“. ავტორები მომავლის ორიენტირებს გვიჩვენებენ, ეს წიგნები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ჩვენი ერის მომავალი განვითარების უტყუარი პროგრამებია.

სწორედ გადარჩენა – ფიზიკური, დამოუკიდებლობის, შემოქმედებითი, ინტელექტუალური, ზნეობრივი უნდა ეწეროს ყოველ ჭეშმარიტ ქართველს გულის ფიცარზე და ამის მაგალითად უნდა ესახებოდეს ჩვენი კლასიკური მწერლობა, ამჯერად დასახელებული წიგნები, გზამკვლევად რომ გამოადგება ყოველ მამულიშვილს.

დიდება ასეთ მოაზროვნეებს, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემებისთვის დამაშვრალ მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს.

და კიდევ: რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟების – ტარიელის და ავთანდილის მეგობრობას გვაგონებს ლევან ბაბუხადიას და ბეჟან ხარაიშვილის ურთიერთობა. ლევანმა საკუთარი ხარჯებით გამოსცა ბეჟანის I წიგნი – „სადღეგრძელო” და ჰონორარი მის ობლებს გადასცა. პირველმა მან მოიძია მეგობრის ნაწერები, პირველი გამოეხმაურა მის შემოქმედებას. ეს ახალი კრებულიც მისი უანგარობის, დიდბუნებოვნების ჭეშმარიტი მამულიშვილობის დასტურია, ხოლო მეორე წიგნიც მრავალჟამიერ ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით გამოვიდა, რომლის ხარჯებიც ბესო ხარაიშვილმა გაიღო.

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-9 ტომსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№ 18-34 ნომრებში

* * *

ზეცა გაუნათებია
ვარსკვლავების კრთობა, ციმციმს,
მთების რკალში მოქცეულა
სამი გმირი ძმადნაფიცი,
იცრიცება ლამის ბინდი,
მთებზე უკვე წვება დილა,
აქ ჯარები მოიყვანა
გულმამაცმა მურადილმა.
წითელ ქუდში ხან ნესკარა
თეთრ ბედაურს მოაჭენებს,
ეშმაკს, ცბიერს, ხან ბორონჩუს
უშან-ხანი გვერდს უმშვენებს.
ყალმუხელი ხან ჟოლოი
გაბერილა როგორც ტიკი,
ბრძოლის ჟინით ავსებულა
მანტუკელი ბოზკერტიკი.
ქალი არის თუმც ორონგუ,
მკერდში ლომის უძგერს გული,
ბევრი ახსოვთ მისი სარჩით
დაკოდილი, დაისრული.
დაიწყება მალე ბრძოლა,
შუბების ტყე ავად ბრწყინავს,
დღეს ვისი მზე დაბნელდება,
ავი ბედი ვის გასწირავს?
და მდინარეც ისე ღმუის
თითქოს გული მოეწურა,
ოცდაათი გვარის დროშა
მაღლა ცისკენ აღმართულა.
და ხეობის ვიწრო ყელი
ჩინელთ ჯარმა გადარაზა.
მოღრუბლვია სახე მანასს,
არსადა ჩანს არც ხსნა, არც გზა.
გულზვიადმა ხან კონურმა
ასე შეუთვალა მანასს,
„ტყვედ მოგვეცი ალმა და შენ
უბრძოლველად წადი თალასს.
სჯობს რომ სისხლი არ დავღვაროთ,
ჩემი სიტყვა დაიჯერეთ!
თუ არა და, ურჩობისთვის
ყველას ცოცხლად დაგატყვევებთ.“
ალმანბეტმა უთხრა მანასს: –
„ჩინელებს ტყვედ ჩავბარდები,
მე სიკვდილი არად მიჩანს
ძმებო, თუ თქვენ გადარჩებით.
დაე, თავი მე მომკვეთონ,
სხვა გზას მაინც ვერა ვხედავ,
მუდამ დარდი, მუდამ ტანჯვა
მიწერია მაინც ბედად.“
მანასმა თქვა: – „ვის უნახავს,
გამეტეხოს ძმობის ფიცი,
სიკვდილი ან გამარჯვება,
ჩემი დევიზია, იცი!
თუკი შიში გულს გავივლე,
თუ არ ვიცი ძმობის ფასი,
თუ მტერს თავი დავუხარე,
არ ვყოფილვარ ერ-მანასი.“
ჩინელების სიმრავლისგან
ლამის გადაბნელდეს მთები,
ფერდობებზე მოცოცავენ
ვით მშიერი კალიები.
სამ გოლიათს შეუტია
ჩინელების მხედრიონმა,
ავის და კარგის გარჩევა
ნეტა, როდი იცის ომმა.
დაუბურავს ზეცა ისრებს,
წამოვიდა სისხლის წვიმა,
მართლაც ზღაპრად სათქმელია
სამი გმირის თავგანწირვა.
ტყვედ ჩავარდნას, ურჩევნიათ,
ბრძოლის ველზე დადონ თავი,
მაგრამ ამ დროს დობულბასის
ხმა გაისმა საოცარი.
ისე, როგორც მთიდან ზვავი,
ისე, როგორც ნიაღვარი,
ისე, როგორც ქარიშხალი,
ყირგიზების მოდის ჯარი.
დოლის ხმა და შეძახილი
მდინარესაც გააშეშებს,
მეომართა სიმრავლისგან

ლამის მიწა იძრა ფეხქვეშ.
ყაზახების მეთაური
ჯარს მიუძღვის კოკჩე-ხანი,
მხარს უმშვენებს ტოშტიუკი
ყივჩაღების ფალავანი.
ანდიჟანელ სანჟიბეკის
საბრძოლველად უცემს გული,
ხმალს აელვებს ხან ჟამგირჩი
ეიტეკთა მეთაური.
სახელოვან ხან ურბიუს
უკან მოსდევს ბოკმურუნი,
ორმოც მებრძოლს, რჩეულ ჩოროს
ვერ უპოვოს ვერვინ წუნი.
აგერ გამოჩნდა ყირგილიც
მოჰქრის, როგორც ნიავ-ქარი,
კოშოი ხანს გვერდით მოსდევს
სახელგანთქმული ბაკაი.
საყვირმა დაიგუგუნა
დიდმა მთებმა მისცა ბანი
და დაიწყო ხეობაში
ხოცვა-ჟლეტა სისხლიანი.
ყველგან კვნესა, ყველგან ოხვრა,
ვაება და სიმწუხარე,
და მეომრებს ამდენ ბრძოლით
აერიათ დღე და ღამე.
მოდის სისხლის ნიაღვარი
ვაი, ასეთ შავბნელ დილას,
დაეწია ერ-ჩუბაკი
ჟოლოას, შუბით განგმირა.
აქ იმარჯვა ხან უშანმა,
ჩუბაკს შუბი სტყორცნა ფერდში
ალმამ უშანს მოჭრა თავი
გააგორა ბალახებში.
მიაბარეს სული უფლს
მუზკინდიკმაც, ილამამაც,
ასეთია ბრძოლის წესი,
როდი ინდობს ლომგულს, მამაცს.
ამ ბრძოლაში დაიღუპა
გოლიათი მადიკანიც,
ჩინელების სიამაყე,
ჩინელების საფიცარი.
აი, პირისპირ შეიბნენ
მანასი და კონურბაი
ატყდა ხმლების ჭახა-ჭუხი,
შეზანზარდა მთა და ბარი.
ხმალი უწვდინა მანასმა
კონური მხარში დაიჭრა,
ცხენი უცებ მიაბრუნა
ბეიჟინისკენ გაიჭრა.
კონურბაის უკან მიჰყვნენ
შიშნაჭამი ჩინელები,
ბრძოლის ველზე მიატოვეს
უმოწყალოდ დაჭრილები.
ჩინელების მწყობრი ჯარი
აირია როგორც ხროვა,
ხან ნესკარას მოწოდებას
ყური არავინ ათხოვა.
ჩეტ-ბეიჟინამდე მიჰყვა
გაქცეულებს ყირგიზთ ჯარი,
მაგრამ ჩარაზული დახვდა
მდევარს ალაყაფის კარი.
„თუმც შეგვასწრო ბეიჟინში
კონურმა და მისმა რაზმმა,
ქალაქს ალყა შემოარტყით!“
ასე ბრძანა ერ-მანასმა.

. . .
ჯარმა ცოტა შეისვენა,
ბრძოლისაგან გათანგულმა,
„დავითვალოთ მეომრები“!
ბრძანა ასე მეთაურმა.
მოახსენეს: – დავითვალეთ
მტერს რამდენი მართებს სისხლი,
ცოცხლებზე მეტია მკვდრები
დიდი არის დანაკლისი.
აქ შენიშნა ალმანბეტმა
რაღაც ჩუბაკს ვერა ვხედავ,
გულმამაცს და შეუპოვარს,
ყირგიზების განთქმულ მხედარს.
გააგზავნეს მაძებარნი,
სულ ამაოდ ივაგლახეს,
ვერც მკვდრებში, ვერც დაჭრილებში
ერ-ჩუბაკი ვერსად ნახეს.
ვერ გაიგეს, თუ სად გაქრა,
სად დაუგო ბედმა მახე,
დილით, როცა ირიჟრაჟა
ცხენზე მჯომი დაინახეს,
დატყვევებულ, ბეჩავ ნესკარს
წინ ჩუბაკი მიუძღოდა
და ცხენივით ყელზე ჩინელს
საბელი შემოხვეოდა.
უკან ცხვრებივით მოსდევდა
ნესკარას დაცვა ჩანჩალით,
ჩუბაკმა უთხრა: – „ერ-მანას!
მომყავს ჩინელთა სარდალი.“
მზე მოეფინა ერ-მანასს,
„ჩუბაკო, ცოცხალს გხედავო,
შენთვის რა ცრემლი დავღვარე,
ჩემო გულადო მხედარო!
ეს გაიძვერა ნესკარა
მოგყავს ვით ცხენი ჯაგლაგი,
კარგად ამოსდე ლაგამი,
შემოვატაროთ ქალაქი,
ყარაკირში რომ ყოჩობდა,
ახლა შემკრთალი რად არის?
აკი არ დააბიჯებდა
ამქვეყნად მისი ბადალი?“
„შენ გაიმარჯვე ერ-მანას,
გეყო ამდენი დაცინვა,
შენ შეგიძლია, აქ მომკლა,
დამარცხებული კაცი ვარ.
მაგრამ თუ იზამ წყალობას,
სიცოცხლეს შემინარჩუნებ,
გავხსნი ხაზინას, ოქროს ფულს
და ლამაზ ქალებს გაჩუქებ“.
იღიმება ერ-მანასი,

სურს წყალობით გახსნას ბაგე,
მაგრამ უცებ გაახსენდა
ნესკარ-ხანის სივერაგე.
ხმალი იშიშვლა მანასმა,
გული მრისხანებით უცემს
მას ხელში სწვდა ალმანბეტი,
გმირი შეაჩერა უცებ.
„მანას, გთხოვ, ნუ გაფიცხდები,
ხმალი ჩააგე ქარქაშში,
დიდძალ გამოსასყიდს მოგვცემს
ესენ-ხანი ნესკარაში.
გავაგზავნოთ ურბიუ და
აჟიბაი, ენამჭევრი,
შევუთვალოთ ესენ-ხანს, რომ
მალე გახსნას კარიპჭენი,
მათ თარჯიმნად გააყოლე
შიიკუჩუ მზარეული,
შენ გერგება ხანის ტახტი,
მანას, დაიმშვიდე გული.

. . .
ბეიჟინის სასახლეში
ესენ ხანი ელჩებს ხვდება,
აიჟანჟუნს და კუნჟანჟუნს
თითქოს ჩაუყლაპავთ ენა.
თქვა ჩინელმა შიიკუჩუმ
მზარეულმა ერ-მანასის,
„ღმერთსა ვფიცავ, არ მინახავს,
ხანო, ერ-მანასის მსგავსი,
უძლეველი გოლიათი,
არა მარტო მზიან ჩინეთს,
თუ ისურვებს, ის ბურუტი,
მსოფლიოს დაიმორჩილებს.
არ გაბედოთ მასთან ბრძოლა,
არ მოტყუვდეთ, ესენ, მწარედ,
თუ გსურთ, ხალხის გადარჩენა,
ბეიჟინი ჩააბარეთ.“
ისაუბრეს, ითათბირეს,
ელჩთა სიტყვებს უგდეს ყური,
ეგებება მოკრძალებით
მანასს ხანი ფერნაკლული:
„გაიმარჯვე გმირთა-გმირო,
ყირგიზები ასახელე,
შენ გადმოგცემ ჩეტ-ბეიჟინს,
ტაძრებსა და სასახლეებს.
უძლეველო ერ-მანასო,
შენ გერგება ხანის ტახტიც,
ნუ დაანგრევ ზღაპრულ ქალაქს,
არ დახოცო ჩვენი ხალხი,
რადგან ასე მოწყალე ხარ,
შემისრულე ერთი თხოვნაც,
დამიბრუნე ნესკარ-ხანი,
დიდებულს ნუ აქცევ მონად!
ჩვენს ხანებს ტყვედ ნუ წაიყვან,
ნურც ამაზე მეტყვი უარს,
ბრძოლაში დაღუპულთათვის,
მანას, გადავიხდი კუნას.
ფეხზე წამოდგა ესენი,
გაათავა მასლაათი,
მანასს ხალი გაუშალა
მოსირმული ოქროს ძაფით.
აიტაცეს გმირი ხელში
დააბრძანეს ოქროს ტახტზე,
თაყვანი სცეს მოკრძალებით
გვირგვინი დაადგეს თავზე.
და ჩინეთის ყველა მხრიდან
ძღვენითა და საჩუქრებით
მოდიოდნენ მანჟუები,
ჩინელები, ყალმუხები.
მსახურნი ფეხთ ეგებოდნენ
დიდებულნი სთხოვდნენ ძმობას,
პირფერობდნენ, მლიქვნელობდნენ
და ასხამდნენ მანასს ხოტბას.
ერ-მანასი დადიოდა
სიამაყით გაბადრული,
ალმანბეტსაც არ ეთქმოდა
უკვე ბედის საყვედური.
დაიბრუნა სამფლობელო,
დაივიწყა გასაჭირი,
ალმამ ცოლად მოიყვანა
ესენხანის ქალიშვილი.
და ახარეს კანიკეის,
„ნუ იდარდებ აწი ქმარზე,
გმირთა-გმირი ერ-მანასი
დააბრძანეს ხანის ტახტზე!“
სიხარულის ნაცვლად ტირის
კანიკეი გონიერი,
„ჩინურ ტახტით ერ-მანასმა
უფრო გაიმრავლა მტერი.
განსაცდელი ელის არწივს
თუ დაშორდა თავის ბუდეს,
გული რაღაც ავს მიგრძნობს და
ნეტავი მალე დაბრუნდეს.
არც კი იცის ერ-მანასმა
აქ ჩვენ ვაჟი შეგვეძინა,
ჯერ არა აქვს სოფლის შიში,
სემეტეის ტკბილად სძინავს.
ღმერთო, შვილს ნუ დამიობლებ,
დაიფარე ჩემი ქმარი,
ჩემ სიყვარულს შენ გაბარებ“,
– მწარედ ქვითინებდა ქალი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერის უკვდავების გასაღები

ვინც იცის ჭეშმარიტი პოეზიის ფასი, ვინც იცის, რომ პოეტი მიწისა და ცის შუამავალია და საკუთარი ხალხის წინამძღოლი, ვინც იცის, რომ ერის სულიერი კონსტიტუცია ყველაზე უკეთესად მწერლობაში აისახება, ის უსათუოდ უნდა გაეცნოს ყაზახი კლასიკოსისა და განმანათლებლის აბაი კუნანბაევის უკვდავ შემოქმედებას.

საქართველოს უპირველესი პოეტი შოთა რუსთაველი წერდა:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“.

სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ყაზახი კლასიკოსის და მისი ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებლის აბაი კუნანბაევის სიბრძნით სავსე შემოქმედებას გავეცანი. საღმრთოდ გასაგონმა ამ უმშვენიერესმა პოეზიამ მსმენელებში, ანუ ყაზახ ერში წარუშლელი კვალი დატოვა. აბაის ლექსები იმდენად დიდაქტიკური და ყოვლისმომცველია, იმდენად ეროვნული და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიოა, რომ თავისუფლად იტევს, როგორც სამყაროს შემეცნების რეალურ შესაძლებლობას, ასევე მისი ფილოსოფიურად გააზრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სწორედ ამიტომ დაივანა აბაი კუნანბაევის სახელმა ერის სულში საუკუნოდ; სწორედ ამიტომ იქცა მისი შემოქმედება მთელი კაცობრიობისთვის სიკეთის და სიბრძნის ნიშანსვეტად.



ყველა დიდი მწერალი და განმანათლებელი საკუთარი ქვეყნის სიმბოლოა, მისი სახეა. ერის ძლიერების ფესვია და უკვდავების გასაღები.

განუყოფელია სიტყვები: საბერძნეთი და ჰომეროსი, სპარსეთი და ფირდოუსი, საქართველო და რუსთაველი, ინგლისი და შექსპირი, რუსეთი და პუშკინი, ყაზახეთი და აბაი... ყველა ზემოთხსენებული უკვდავი სახელი კი ერთად სიბრძნით სავსე კაცობრიობაა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი მკითხველისთვის ყაზახი გენიოსის, აბაი კუნანბაევის შემობრძანება დიდ ქართულ პოეზიაში.

მაყვალა გონაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

აბაი კუნანბაევი

***

ყოვლისმხილველო, გთხოვ, დამეხმარე,
როგორ ვიპოვო, გზა სამართალის,
როგორ ჩავიკლა ბრაზი უსიტყვოდ,
როდესაც ყელში მწვდება მტარვალი.
ეწაფებიან ჩემს სიბრძნის წყაროს,
არგინცები და ნაიმანები,
მაგრამ ჩემს სიტყვებს, ჩემს შეგონებას
არად აგდებენ ჩემიანები.
თუნდაც ვაჩუქო ბაჯაღლო თასით,
მათთვის არა აქვს სპილენძის ფასიც
და ურჩევნიათ ჩვენებურ ფარჩას
სამარყანდული ტილო და ფლასი.
მამავ მოწყალეევ, უგნურთა ქცევამ
და გულგრილობამ გამაგულისა,
როდის ალაგმავ სიბრიყვეს ქვეყნად,
როდის გაგლიჯავ კვანძს სიცრუისას.
მითხარ, უფალო, ჩემი მოძმენი
გონს ნეტავ როდის მოეგებიან
და შენს წინაშე დაჩოქილები,
შენს ფარულ სიბრძნეს თუ მიწვდებიან?

ზაფხული

ზაფხულში, როცა მინდვრები ჰყვავის,
ხეთა ჩრდილები იწყებენ შრიალს,
მდინარის ფართო სანაპიროზე
მომთაბარენი განაკებს შლიან.
მზე იალაღებს ააფერადებს,
რაშებს ბალახი სწვდებათ წელამდე
და ეზარებათ განავარდება
მწვანე ბალახით გამაძღარ ცხენებს,
დგანან მდინარის ნაპირას, კუდით
იგერიებენ აბეზარ მწერებს,
ხოლო კვიცები მდინარის პირას,
ტოლს არ უდებენ წამითაც ნიავს.
გადაიფრინა ბატების გუნდმა,
მათმა ყიყინმა ზეცა გაკვეთა,
ჭალებს ედება ხან მათი ხმები,
ხანაც სიცილი მომთაბარეთა.
ქალები ველზე შლიან იურტებს,
მათში ყველაზე მარჯვე ვინ არის
და ირწევიან თეთრი ხელები,
როგორც ჩქერები ჩქარი მდინარის.
ბაიმ ცხვრის ფარას შემოუარა,
მერე შინისკენ გაქუსლა რაშით,
ალბათ დაანთეს უკვე კოცონი,
ვახშმად ელიან იქ, იურტაში.
შინაურობამ უკვე წრე შეკრა,
კუმისს არიგებს ნუშისთვალება,
მოჯამაგირე ბიჭუნა დედას,
„ხორცი მომეო“, - ემუდარება.
სხედან ამაყად ბატონკაცები,
მასლაათობენ, ჩაის ელიან,
ერთი ლაქლაქა ენას იქავებს,
სხვები გულგარეთ ეთანხმებიან.
და თეთრპერანგა ჩია მოხუცი
წრიალებს, დგება ბაისთან ახლოს,
სხვის დასანახად ყვირის და ანჩხლობს,
– „ეს საქონელი გარეკეთ, ხალხო“! –
იცის, მის სიტყვას ჩალის ფასი აქვს
და მაინც გულის მოგებას ცდილობს,
იქნება ბაიმ შეამჩნიოს და
ცხვრის ხორცი მასაც გაუნაწილოს.
სანამ ცას ბინდი არ გადაკვრია,
სანამ მზეა და სანამ დარია,
მეჯოგეები შავრა ცხენებით
აულისაკენ მიიჩქარიან.
ველურ იხვებზე ნადირობისთვის,
ახალგაზრდები ემზადებიან,
თან ცალი თვალი უჭირავთ ცისკენ,
თანაც ერთმანეთს ეხუმრებიან.
აი, სერს მოწყდა ვეჟანა ძერა,
იხვის ბუმბული სისხლმა დაფერა,
დგას ბერიკაცი და ახალგაზრდებს
სიჩაუქეს და სიმხნევეს უქებს.
იყო დრო, მუხლი მასაც უჭრიდა,
არ დაბრუნდება, რაც იყო უკვე,
მან წუთისოფელს შესწირა წლები,
ვის ძალუძს, შეძლოს შეუძლებელი.
ახალგაზრდების გულის მოგებას
სიცილით ცდილობს ჩია ბებერი.

***

ღამეა წყნარი, მთვარის ნათელი
კამკამა წყალში თრთის და ციალებს
და არცკი ესმით მდინარის შფოთვა
შრომით მოქანცულ ადამიანებს.

მთვლემარე ტყეთა ფოთლების სუნთქვა
და შარიშური წვდება მიწამდე,
დაყურსულია დედა ბუნება,
მოუხვევია ბნელი სიმწვანე.

ისმის შორეულ მთათა გუგუნი,
სიჩუმეს არღვევს ძახილი მწყემსთა,
აულის უკან მე თრთოლვით გელი,
შენ პაემანზე იჩქარი ჩემთან.

ასე თამამი, ასე მიმნდობი,
ბავშვივით მშვიდი, ბავშვივით ნაზი,
სულს ძლივს იბრუნებ, სიმორცხვეს მალავ,
სიტყვებმა თითქოს დაკარგა აზრი.

და ჩემი გულიც გაფრენას ცდილობს,
მკერდში ფრთხიალებს და მეურჩება,
უცებ გაქვავდა წამით სამყარო,
შენი შეხება იგრძნეს ტუჩებმა.

***

უტყვია ენა სიყვარულისა,
როდესაც შენში გრძნობები კივის,
რად უნდა სიტყვა, საწყისთა საწყისს,
წამიერ მზერას, ღვთაებრივ ღიმილს.

იყო დრო, ტრფობის ვიცოდი ენა,
მესმოდა, გული რა გრძნობებს იტევს,
მაგრამ ვაი, რომ დიდი ხანია
იმ განცდას ჩემთვის დაედო კლიტე.

***

ბუნება თუმცა წარმავალია
ადამიანი არის უკვდავი,
რაა სიკვდილი, სხეულთან გაყრა,
ვერ შეაჩერებ სიკვდილს მუდარით.

თუმც სული ხშირად გვიჭირავს კბილით
ვემორჩილებით განგების ნებას,
ვინც განადიდა სამყარო სიტყვით,
ის მკვდრად არა და არ ჩაითვლება.

ზღვის ხილვა გინდა? - ტალღას უცქირე,
გამარჯვება გსურს? - უნდა ომობდე,
შენ საკუთარ თავს როგორ შეიცნობ,
თუ არ ჩასწვდები აზრებს ბოლომდე.

ვინც სიკვდილს კიცხავს, უმღერს სიცოცხლეს,
მე მას უმეცარ მოწაფეს ვადრი,
ვისაც სიკვდილი არ უღირს ჩირად,
მან თვით სიცოცხლის არ იცის ყადრი.

***

საათი როცა წიკწიკებს, ითვლის
სიცოცხლის წუთებს, გაფრენილ დღეებს,
გავიდა წამი - დამოკლდა ჟამი,
ცხოვრების რბოლას რა შეაჩერებს!

„წიკ-წიკ“ აღრიცხავს ჩვენს განვლილ მანძილს,
დარდიც და ლხენაც ერთ დროს სრულდება,
ვიგონებთ წარსულს, თუმც დროის ჩარხი
უკან არასდროს შემობრუნდება.

გინდა იდარდე, ასეა მაინც,
საათის წიკწიკს მიაქვს ცხოვრება,
გინდ მოიტყუე თავი, ჩავლილი
დღეები აღარ განმეორდება.

ასე დღე დღეს და წელი წელს მისდევს
და აი, კართან სიბერე გველის,
მაინც წუთია წუთისოფელი,
გინდა იცოცხლო მრავალი წელი.

***

გულგახსნილი იყავ ხალხში,
შინაურად იგრძენ თავი,
დროა შრომით მოიპოვო,
საკუთარი გზა და კვალი.
მოკლე არის ზარმაცის გზა,
სულ ამაოდ ხუმრობ, ცქმუტავ,
სხვა ფასი აქვს შენი შრომით,
მოპოვებულ ალალ ლუკმას.

***

ლეკვი დაიწკმუტუნებს და
ბიჭუნა ჯოხს მოუღერებს,
აქეზებენ უფროსები,
ბალღიც ქებას შეიფერებს.
იმ ბავშვივით სიმართლის ჯოხს,
სხვების დასანახად იქნევ,
როცა სცოდავ, ღირსებასთან
ქედი მოიხარო, იქნებ?

***

მოისურვილე მიუწვდომელი,
გონების სიღრმე იფარე ფარად,
ოდეს ტკივილებს განეშორები,
სისუსტეს შენსას შეიცნობ თავად.
უვიცთა წრეში ისე დავბრუნდი,
ვერც კი ვიგრძენი, ვერ შევამჩნიე
ო, ენავ ჩემო, ათასხმოვანო,
თქვი, ასეთ ყოფას თუ შეეჩვიე.

***

ტანჯვის მალვა უჭირს სხეულს,
თუმც სულს აწრთობს სნეულება,
მე ამ სოფლად თანამგრძნობი,
აღარავინ მეგულება,
ვინ შემიშრობს თვალზე ცრემლებს,
როგორ სუსტად ფეთქავს მაჯა,
დროსტარების სიყვარულით
თავი ჩემი გამიხარჯავს.

***

უწიგნურმა და უცოდინარმა,
ვით აისრულოს ნატვრა, მიზანი,
უმეცარი ხომ უსინათლოა,
მოკლეა მისი თვალთა ისარი.

მას უნდა მხოლოდ პური და წყალი,
რომ გაძღეს, მერე ძილს მისცეს თავი,
მე თუმც სწავლაში გავლიე ჟამი,
რატომ არ მწყალობს იღბალი ავი.

***

ძველ იმედებს შემოაჭკნა ფოთლები და
ეს რა ფუჭად მიცხოვრია ოცნებაში,
ჩავლილმა დრომ მე სიმშვიდე ამირია,
ჩაიძირა ზმანებათა ნისლოვანში.

თურმე ის, რაც გონებისთვის ნათელია,
ოცნებისთვის მტკიცედ არის ჩარაზული,
განა შენში ერთმანეთთან მეგობრობენ,
მტკიცე ნება და მთრთოლვარე ცხელი გული.

ხალხისათვის სამართალი მირაჟია,
ვერ შეურხევ წრფელი სიტყვით გულის სიმებს,
ერთი მითხარ, ბრბოს აზრს შენთვის რა ფასი აქვს,
შენი დროა, საკუთარ თავს მოუსმინე.

***

მე ბავშვობიდან ვერ შევძელ სწავლა,
უბირთა ბედი გავიზიარე,
როცა დავიწყე ცოდნის გზის ძებნა,
მივხვდი, ძალიან დავაგვიანე.
ჩემთვის ეს მწარე გაკვეთილია,
ახლა დრო-ჟამთან თავს ვერ ვიმართლებ,
უნდა ვასწავლოთ პატარებს, ცოდნა
გახსოვდეთ, არის თვალის სინათლე.
არა ჩინისთვის ან პატივისთვის
წიგნიერება მე როდი მინდა,
მე მედრესეთში ვასწავლი ბავშვებს,
რომ სული ჰქონდეთ მაღალი, წმინდა,
სიტყვიერების ხელჩართულ ომში,
მე უმეცრებთან დამღალა ბრძოლამ,
იქნება ჯობდა სახლში დარჩენა,
და მხართეძოზე ნებივრად წოლა.

***

ქექა-ქუხილის ღმერთი რაგიტი,
ცეცხლით შობილი და განბანილი.
იქ, სადაც მისი მადლი იღვრება,
თავს იწონებს და ხარობს ყვავილი.

არა ჰქონია ტკბილი იღბალი,
ვისაც მისწვდება ცეცხლის ისარი,
საჩუქარია სიტყვის ნათელი,
მის სიბრძნეს ხვდება მხოლოდ მისანი.

ვინ ჩასწვდა სიტყვის მხურვალე ძალას,
ვინ აყურადებს კოცონის ღიღინს,
ბაი ხარ, მაგრამ სულით ღარიბი,
წარმომავლობა არაფრად გიღირს.

სჯობს გონს მოეგოთ უგუნურებო,
თავი ანებოთ მტრობას, სიავეს,
დამსგავსებიხართ ცოფიან ძაღლებს,
რომ არ ინდობენ ადამიანებს.

რა ცხოვრებაა?!
ეს რა ხალხია!
რაც ხდება ჩვენზე მართლაც ახია!

სიცოცხლე გახდა ამაოება,
გაღვივდა სულში უთანხმოება.

***

ლეკვს კოფაკად ვწვრთნიდი, ვზრდიდი,
არ დამინდო, კბილი გამკრა,
ვინც აღვზარდე მე მერგენად*,
მან ისარი გულში დამკრა,

* მერგენი – კარგი მსროლელი

***

ცხენიანიც და უცხენოც
ყველა ცდილობს გადამთელოს,
არ ინდობენ არც ჩემს ლექსებს,
გული როგორ გავიმთელო.

***

უხმობს ტრფობას ზოგჯერ სული,
საბრალო და ჭირვეული,
ეწაფება ტანჯვის შარბათს
ჩუმად კვნესის, ფეთქავს გული.

მძიმე წელი ჩაივლის და
არ ნელდება მკერდში ალი,
სიყვარული სიცოცხლეა,
მაგრამ არის წარმავალი.

უკვე არაფერი მშველის,
დაეკიდა ცრემლი წამწამს,
მითხარ, როგორ არ ვიტირო,
მწუხარების ალმა დამწვა.

***

უსიყვარულოდ საწუთრო
ერთი დიდი ტანჯვა არის,
კაცს რა მოჰკლავს თუ ჰყავს კარგი,
ცოლ-შვილი და მეგობარი.

პატივი და ნეტარება
დასთმე, ენდე გულს მოყვასის,
თუკი არ გყავს მეგობარი
თვით სიცოცხლეს არ აქვს ფასი.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

Luara Sordia
Verlag Tbilissi
Tbilissi 2018

AUS SAMEBAS GLOCKENTURM

Der Titel des vorliegenden Buches ist "Aus Samebas Glockenturm". Sameba als allerheiligstes, untrennbares Wesen, als Einheit – bedeutet aus dem Georgischen -Dreifaltigkeit, Dreieinigkei. "Drei" ist eine sakrale Zahl und wird sich mit der dreigliedrigen Familie Sameba (als Vater, Sohn, heilige Geist), mit dem dreistimmigen georgischen Lied (als Refrein/Kerreim, zweite Stimme, der Bas), mit der Sonne (als Rundheit, Licht, Wärme) assoziert werden. Die Hauptpersonen des Buches sind die Dichter: Bejan, Gulnasi und Gwanza Charaischwili. Dieses Buch ist nach dem vorbildlichen Monographie von Frau Sordia Luara aufgebaut worden.

Flehend und die Hände emporhaltend, von dem georgischen Lied bezaubert und von der georgischen Sonne betäubt stehen diese drei Dichter auf der Wache der georgischen Poesie. Eine von ihnen ist im Raum des philologischen Denkens frei wie ein Adler, der zweite aber-ein Sänger mit der Stimme von einem Kanarienvogel, der Dritte –aber der (auf megrelisch-Mapschalia) dem Stern der Morgendämmerung, vervolgte singende Vogel, der seine Stimme verfeinert. Unter den Himmel bewegen sich alle drei Dichter (Bejan, Gulnasi, Gwanza) fest auf der Wache der georgischen Poesie. Lass es sie, nach den Worten aus dem Gedicht von Muchran weitergehen, gehen und gehen. Amen!

Leg dein Hand nicht an mein Herz
Es tut mir weh…
Es tut mir weh..
Und
Mein Herz ist durch die Adern und den Zweifel miniert
Das Nachtsgeräusch…
Ich sehe dich immer im Bildschirm des Mondes
Ich halte die Augen offen
Mein Blick geht um deine Fenster herum,…
Das Herz ist doch der grösste Friedhof.

Ich habe einen Wunsch, mit dem Pinsel von Rustaweli zu malen
O, mein Gott , wenn ich doch die Seele des Dichters erreicht hätte…
Wenn ich malen werde, soll es sich mein Wunsch in Erfüllung gehen,
Wäre doch Himmelsleben von neuem begonnen,
Wenn doch Neid, Feindlichkeit, Schimpferei,
Intoleranz, Ehebruch, Menschenhass nichj gewesen wäre ,
Ich würde dort den Recken im Tiegerfell von Anfang an lernen,
Und durch die Denkensdurst an die Ergebenheit/Treue/ nicht sterben.
Charaischwili Gulnasi..

Wenn ich dich nicht sehe, lege ich den Kopf auf deinen Schulter in Gedanken.
Ich bin ruhig durch das Schaukeln auf den Wellen des leisen Ozeans unseres Glückes .
Charaischwili Gwanza

Die Poesie von Charaischwili Bejan

Derjenige, der das Buch “Charaischwili Bejan, das Schiksal der Dichter”, das 2014 in Tbilissi ausgegeben wurde, nicht gelesen hat, dann fehlt es ihm die Gnade und die Charme der unsterblichen Poesie. Einst hatte Thumanian Owanes sehr schön ausgesprochen, dass “in Georgien alle Poeten sind, alle Poeten seinen zweifach Poeten .“Nachdem wir mit dem Lesen des Buches “Das Schiksal der Dichter” fertig sind und wir es erkennen werden, uns bewusst machen werden, soll sich jeder von uns ihn huldigen, sich über zweifachen Poeten und diesen würdigen Namen -Charaischwili Bejan niederbeugen. Die Anbetung, Verehrung der vieljahrhundertlangen georgischen Poesie ist eine wichtige Pflicht von Anfang an. Das Schiksal der Dichter ist doch ein sonniges Offenbaren darüber, dass die innige Anstregung des georgischen poetischen Denkens unerschöpflich und sein Raum grenzlos ist.

In den siebzigen und achtzigen Jahren des XX Jahrhunderts hatten wir solch einen Poeten gehabt und wir kannten ihn nicht. Woher könnten wir aber von dem poetischen Auf- und Abstieg sochen Autors etwas wissen, der in seinem Leben nur ein einziges Gedicht veröffentlichte. Sein geistiger Freund, Babuchadia Lewan teilt uns darüber mit, dass Charaischwili Bejan nicht liebte, von einer Redaktion zu den anderen zu laufen. Niemals war er gierig gewesen und er versuchte nie seine eigene Schriften auszugeben. Die Stimmung des Poeten, des echten Poeten schien, durch sein inniges, wie ein Morgentau, echtes Gewissen hochsinnig für das Bedenken zu sein, dass das Gedicht ununterbrochen verfeinert werden sollte, ehe es seinen Leser erreichte. In der Zwischenzeit wälzte der unerwartete Tod auf ihn, wie ein Scharfrichter. Er starb im Alter von dreiβig Jahren, ohne seine eigene gedrückte Gedichte und ohnehin eine kleine Gedichtsammlung gesehen zu haben,

Neun Jahre später nach seinem schonungslosen Tod hatte Bejans Freund Babuchadia Lewan alle seine Gedichte gesammelt und sie auf seine eigene Kosten im Jahre 1992 ausgegeben..Für die georgische Geschichte war es die schwierigste Zeit, als der erste Präsident Georgiens Gamsachurdia Swiadi (Bejan war sein Gleichsinniger und Mitkämpfer) und nationale Staatsmacht abgestürzt, Tbilissi, Rustaweli Alee verbrannt, Samegrelo(Westgeorgien) von den Banden der drogenabhängigen Menschen-“Mchedrioneli” fünfmal ruiniert, zerstört, verwüstet worden war. Das war das Jahr, als die Scharfricher/die Henker von Schewardnadse, Ioseliani, Kitowani, Sigua in Abchasien einstürzten und dort kriegerische Handlungen gefürht haben. Charaischwili Bejan ist von einer Seite her glücklich, dass er diese tragische, Ereignisse mit seinen eigenen Augen nicht gesehen, sie nicht erlebt hatte.

Wenn man sich mit der Biographie von Charaischwili Bejan eifrig bekannt macht und sich in das Wesen seiner philosophischen Lyrik vertieft, fühlt man sich die Reue. Die Wurzeln des Herzens werden aus Mitleid und unheilbare Barmherzigkeit gebrannt werden. Man sagt mit Seufzer (man atmet auf und sagt) : Wenn doch ihm Gott ein langes Leben gegeben hätte, zugunsten der Verlängerung des Lebens, des physischen Lebens unserer Nation und poetischer Kutur. Wenn doch…I Wenn doch…Wenn doch! Das ist solch ein Erlebnis, das jeder georgischer Leser empfand und empfindet heute auch, der die Poesie liebt und sich mit der Poesie und der Biographie von Asathiani Lado, Gelowani Mirsa, Sadjaia Alexander, Naphetwaridse Giorgi, Isiani Sewerian, Badsagua Thamas, Gulua Datha..bekannt macht. Könnte sein, dass in diesem Moment beruhigt man sich damit und gut auffasst das, dass Herr Gott und die Engel vorher nur ihre Ausserwählte zu sich ins Himmelsreich nehmen.

Es sei erwähnt, dass Bejans physischer und geistiger Freund Babuchadia Lewan, ein gottähnlicher Mensch hatte als Erster die **Gedichtesammlung** unter dem Titel”Trinkspruch von diesem begabten Dichter auf seine Kosten 1992 veröffentlicht und seinem elfjährigen Erben –Charaischwili Lascha einen Autorgewinn im Ganzen übergegeben. Dannach wurde es zweiundzwanzig Jahre später vergleichenmäβig ein vollständiges Buch dieses ausgezeichneten Schöpfers ausgegeben, das seinem sechzigjährigen Jubiläum 2014 zusammenfiel.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-34-ში)

მეორე ნაწილი

ბელურა გემის ანძაზე

იმ საბედისწერო დღის შემდეგ 27 წელი გავიდა და მოწამლულნი დღემდე მკურნალობენ. იმ ეპოქის ტიპურ კურიოზს მოგიყვებით.

* * *

ბატონო სტუდენტებო

იცოდეთ, ქვეყანა დამარცხებული მაშინაა, როცა დამარცხებას შეეგუება და ფრთებს ჩამოუშვებს.

თქვენ ისტორიის მასწავლებლები იქნებით და ყოველ მეორე გაკვეთილზე უნდა შეახსენოთ მოსწავლეებს, რომ ჩვენ იმპერიებმა წაგვართვეს საქართველოს ძირძველი ტერიტორიები: სოჭის ოლქი, საინგილო, ლორე, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი და სამაჩაბლო...

უნდა ჩააგონოთ ბავშვებს, რომ წართმეული მიწების დაბრუნება მათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ერთ ავღანეთგამოვლილ პატრიოტ ქართველ გენერალს შევხვდი ამას წინათ.

მასთან საუბარმა ეს ორი მოთხრობა დამაწერინა:

* * *

დავმარცხდითო, მთელი საათია მეწუწუნები. შენ რომ დამარცხებას ეძახი, იმ „დამარცხებას“ ისე არ შევუძრწუნებივარ, როგორც შენმა წუწუნმა შემაწუხა. მე ცხრა ომში გამოცდილგამოჯეგილი გენერალი ვარ და გულისტკივილით გეუბნები, დამარცხება მაშინ იწყება, როცა ერის ღირსეული შვილები ირწმუნებენ მას. ჩვენ გვებრძოდა ორასმილიონიანი რუსეთი. შენმა გონებამ ომის დასაწყისიდანვე დაიჯერა, რომ უნდა დავმარცხებულიყავით და იქნებ ამიტომაც წავაგეთ პირველი ბრძოლა. შენ მაინც არ გეკადრება ასეთი ლაპარაკი. საქართველო არ დამარცხებულა. სანამ ერთი შურისმაძიებელი მაინც დადის ამ დუნიაზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველო არ დამარცხებულა. მეტსაც გეტყვი: ხალხის, ერის დამარცხება შეუძლებელია. დედალი პოლიტიკოსები გადმოკიდებენ თეთრ ალამს, დაიყრიან თავზე ნაცარს და კაპიტულაციას გამოაცხადებენ. მთელი მსოფლიო დაესია ჰიტლერს და გაიმარჯვა მის არმიაზე. დიახ, ცხრა მაისს ფაშიზმმა თავი დამარცხებულად სცნო, მაგრამ ჩვენ გერმანელი ერი არ დაგვიმარცხებია და რომ არ დაგვიმარცხებია, დღესაც აშკარაა. ორად გახლეჩილმა ქვეყანამ იმდენი იბრძოლა, იმდენი იშრომა და იქიჩმაჩა, ფენიქსივით აღდგა და მშვიდობიანი გზით, თოფის გასროლის გარეშე გაიყვანა საოკუპაციო ჯარები თავისი მიწიდან. მითხარი, არის ახლა გერმანიაში ერთი უცხოელი ჯარისკაცი? სად წავიდა „კომენდატურა სოვეტსკიხ ვოისკ“, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ეწერა გერმანიაში? დამარცხებულმა აიძულა დამმარცხებლები ხელი მოეწერათ მის გაერთიანებაზე, მსოფლიოს ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ცნობაზე და ისევე, როგორც შემოვიდნენ, მარშით დაეტოვებინათ გერმანიის ტერიტორია. ასე რომ, გულს ნუ გაიტეხ, ყველაფერი წინაა.

ეს გერმანია იყოო, შენ მეტყვი, შუაგული ევროპაა. ევროპამ ვერ იგუა შუაზე გაყოფილი დაპყრობილი გერმანული სახელმწიფოო. ახლა აზიაში გადმოვიდეთ, თუ გინდა.

შენ ხომ იცი, რომ მე ავღანეთის ომის მონაწილე ვარ. ომის პირველი დღიდან ბოლო დღემდე, ანუ იქამდე ვიყავი ავღანეთში, გორბაჩოვის ბრძანებით, ჩვენი ტანკებიანად ეშელონებზე რომ დაგვსხეს და სტვენით გამოგვაცილეს მსოფლიოს ჟურნალისტებმა. დამიჯერე, უსტვენდნენ და დაგვცინოდნენ მხოლოდ უცხოელი ჟურნალისტები და დიპლომატიურ კორპუსთა წარმომადგენლები. ავღანელები მდუმარედ იდგნენ და შემოგვყურებდნენ. არ დაიჯერებ და რაღაც სევდაც კი შევნიშნე ამ ულამაზესი კაბიანჩალმიანი, თუ გინდა ყაბალახიანი ხალხის თვალებში. იდგნენ გაწამებული მეომრები და ჩვენს გამაიმუნებას, გასაცოდავებას უხმოდ ათვალიერებდნენ.

მტრისადმი სიბრალულის გრძნობაც კი გაუჩნდათ.

ასეთი გაუმხელელი თანაგრძნობა მხოლოდ ვაჟკაცს შეუძლია. არ გეგონოს, რომ ვაჟკაცები იყვნენ რუსისგან შეთამამებული აფსუა ნაძირლები და სომეხჩეჩენი ყაჩაღები. ვაჟკაცი მტერი ტყვეს მაჯიდან სისხლს არ მოწოვს და მისი თავით ფეხბურთს არ ითამაშებს. შარტავას ცეცხლმოდებული რეზიდენციის წინ გაშმაგებული რომ ცეკვავდა, ან ენგურის ხიდთან რომ ტანკს ციბრუტივით ატრიალებდა, იმ „გამარჯვებულს“ შიშისგან შარვალი სველი ჰქონდა და დღეს სანთლით რომ ეძებო, ვეღარ იპოვი. იმ შიშნარევმა, მოჩვენებითმა ეიფორიამ გაუარა და ახლა გულდაგულ იმალება, შიშისგან აღარ ეძინება და ყოველდღე ელის სამაგიეროს გადახდას. ვერ მოისვენებს, ვერა, თავისი ნებით ჩაბარებული მთავრობის თავმჯდომარის ჟიული შარტავას მკვლელი. ვისზე გაიმარჯვა მან, ქამარშემოხსნილ, უიარაღო, მოლაპარაკებაზე წამოსულ კაცზე? ეს იყო მშიშარა კაცის ნასროლი, ე მანდ ცოცხალი არ გადარჩეს და არ მიცნოს, როცა ქართველები თავიანთ მიწაზე დაბრუნდებიანო.

ღირსეული მტრობისას ერთ საოცარ ამბავს გეტყვი:

უცნაური, მსოფლიოში უმაგალითო ძეგლი დგას ავღანეთში, ქაბულთან ახლოს, ყანდაგარში. ეს არის მარმარილოს დიდი, ძველთაძველი სვეტი, რომელსაც აწერია: „მოგზაურო, წამით შეჩერდი. დღემდე ალაჰის ნებით მხოლოდ სამმა სარდალმა შეძლო ავღანეთის მამაცი მხედრობის დამარცხება. ისკანდერმა, ჩინგის ხანმა და გურჯმა გიორგიმ“. იქვე ახლოს ამ სამი დამპყრობლის სიმბოლური საფლავებია. რატომ, ვერ გეტყვით, მაგრამ ავღანელები პატივს მიაგებენ ღირსეულ მტერთა საფლავებს, რასაკვირველია, დიდი ხანია ჩაიარა ისკანდერის ხათქახუთქით ატეხილმა გრიგალმა, დრომ წაშალა მათი ცხენების ნაფლოქვარი, მაგრამ ძლიერი მტრის ხსოვნა დარჩა წერაკითხვის უცოდინარი ავღანელის გონებაში. ისინი თაობებს გადასცემდნენ ტყუილსა თუ მართალს იმის შესახებ, რომ ავღანეთის აურაცხელ მტერთაგან სწორედ ამ სამმა ვაჟკაცმა უბრძანა გამარჯვებულ ჯარს: გაეთავისუფლებინათ ტყვეები, ხელი არ ეხლოთ ქალბავშვთა და მოხუცთათვის, აეკრიბათ ალაფი, ოღონდ ისე, რომ ოჯახისთვის უკანასკნელი ლუკმა არ წაერთმიათ. ვინ არის, თუ იცი, ავღანურ სტელაზე გამოსახული სამი დაუმარცხებელი სარდალი? ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგის ხანი და საქართველოს მეფე გიორგი მეთერთმეტე. სხვათა შორის, „გურჯი გიორგი“ აქამდე ყველას გიორგი სააკაძე ეგონა, მაგრამ ახლახან ლევან სანიკიძემ დაადგინა, რომ „გურჯი გიორგი“ არც მეტი, არც ნაკლები, გიორგი მეთერთმეტეა.

რატომ გიყვები ახლა ამ ამბავს? დიდხანს ვიბრძოდი მე, ქართველი გენერალი, ყანდაგარის ჭიშკართან. ავღანელები გააფთრებით გვებრძოდნენ. ყველა აული, ყველა სახლი ციხესიმაგრედ აქციეს. გაგიჟებული ვიყავი, ამ თითქმის უიარაღო სამხედრო წვრთნაგაუვლელ, ბრინჯის მთოხნელივით გამოწყობილ ფეხშიშველა ხალხს საიდან ჰქონდა ამხელა ეშმაკობა და გამჭრიახობა, რომ არ ველოდით, იქედან დაგვესხმოდნენ. ერთს ჩათვლემდა ჩვენი პატრული თუ არა, მაშინვე კატასავით ამოძვრებოდა მიწიდან ავღანელი და ყელს გამოჭრიდა. ვინ ვიყავი მე მათთვის, სისხლისმსმელი, დამპყრობელი, რუსის მუნდირში გამოწყობილი გენერალი, მაგრამ ხმები მომივიდა (დაზვერვა იქაც მუშაობდა, ხომ იცი, თითო გამყიდველი ყველგან მოიძებნება), რომ იციან შენი გურჯობა და შენს სახელს რაღაცნაირი პატივისცემითაც კი ახსენებენო. რა კარგს მე ვუკეთებდი ამ უწყინარ, მშვიდობისმოყვარე ხალხს. დღისით, მზისით თავს დავესხით და ავაწიოკეთ. მაგრამ ერთი კი იყო, ლოცვის დროს არ ესროლოთმეთქი, ვეუბნებოდი საარტილერიო ბრიგადის მეთაურს და ლოცვას რომ დაიწყებდნენ, მაშინვე შეწყდებოდა სროლა, თურმე იცოდნენ ეს და ამ შეღავათს ჩემგან დიდ პატივისცემად მიიჩნევდნენ.

როცა შევიტყვე ყანდაგარის ბჭესთან გიორგი მეთერთმეტის სიმბოლური საფლავის შესახებ, მოსვენება დავკარგე. ბრწყინვალე მეფისა და სწორუპოვარი მეომრის ბედი ჩემს იმდროინდელ მდგომარეობას შევადარე და უმწეოდ მეჩვენა თავი ჩემი. მე, კონდოტიერი, დაქირავებული მკვლელი, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაშიც უსახელოდ წასვლა მელის ისტორიიდან, ის დიდებული მხედართმთავარი, თავისი ხმლით და თავისი ნებით მებრძოლი, რომლის ვაჟკაცობასაც დამარცხებული მტრები ძეგლს აუგებენ.

სურვილი მკლავს, მუხლი მოვიყარო ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგის ხანისა და გურჯი გიორგის სახელებით დამშვენებული სვეტის, მათი სიმბოლური საფლავების წინაშე.

არადა, ვერ ვიღებთ ყანდაგარს. წინ ვერ მივდივართ. იერიში ჭიანურდება. უდაბნოს ომი კლიმატს მიჩვეულ და მთის ბილიკების თვალდახუჭვით მცოდნე ავღანელებს ჩვენზე უკეთ ეხერხებათ.

ილაჯი რომ გამიწყდა, ბიჭებს წყალზე ჩამოსული ავღანელი გლეხი დავაჭერინე და მისი პირით შევუთვალე ავღანელთა პარტიზანული დივიზიის მეთაურს – მე, გურჯ გენერალს, გიორგი გურჯის თანამემამულეს, სურვილი მაქვს ჩემი დიდი წინაპრის საფლავს თაყვანი ვცე და, თუ ნებას დამრთავთ, ხვალ 3 საათზე უიარაღოდ მარტო გადმოვალმეთქი. არავითარ გარანტიას არ გთხოვთ, მეომრის სიტყვის გარდა. იცოდეთ, მეც თქვენსავით პატარა ქვეყნის შვილი ვარმეთქი.

შუაღამისას დაბრუნდა მოენე. უდაბნოს მტვერში ამოგანგლული, მშიერმწყურვალი. თარჯიმანს ძლივს აგებინებს, ნაწყვეტნაწყვეტ ლაპარაკობს, თან შიგადაშიგ იღიმება კიდეც.

შემოეთვალათ, ჩვენ უფრო მეტი ვიცით გურჯი გენერლის შესახებ, ვიდრე თვითონ ჰგონიაო. ჩვენთვისო რიტუალის შემსრულებელი კაცი წმიდათაწმიდაა და მოსისხლეც რომ იყოს

(მოსისხლე ვიყავი, აბა რა ვიყავი), არაფერს დავუშავებთო. მოვიდეს, ბაშუსტა. მუხლი მოიყაროს თავისი დიდი პაპის წინაშეო. ჩვენ ჩვენის მხრივ, დერეფანს გავუკეთებთ, რომ ვინმე მოხალისეპარტიზანმა შემთხვევითი ტყვია არ გაისროლოსო.

დათქმულ დროს უიარაღოდ, შილიფად ჩაცმული წავედი. თეთრი კვართის მსგავსი მოსასხამი მაცვია და გენერლის ქუდი მახურავს. ხელები უკან მაქვს შემოწყობილი და ხანდახან ნაბიჯს ავაყოლებ, რომ კარგად დამათვალიერონ. თუმცა ეჭვიც არ ეპარებათ, რომ უიარაღოდ ვიქნები.

ზონას რომ გადავცდი, ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო. ახია ჩემზე, ვფიქრობ, რაც მომივა. რამ ამაცუნდრუკა. რა უფლება მქონდა, მე, გენერალს, ჩემი სიცოცხლე სასწორზე შემეგდო? რას იტყვის სარდლობა, ამას რომ გაიგებს? მაგრამ ამ სრულიად ადამიანურ შიშს ამარცხებდა ჩემს არსებაში გაღვიძებული საოცარი გრძნობა – მე ხომ ქართველი ვარ, გიორგი მეთერთმეტის კვალზე მოსული, დიახაც რომ პატივი უნდა მივაგო ალექსანდრე მაკედონელის გვერდით მემორიალურ სვეტზე უკვდავყოფილი ქართველი მეომრის ხსოვნას.

ყოველ ოც მეტრში თეთრად თავყბაშეხვეული პარტიზანები დგანან და ახლოს რომ ჩავუვლი, გაფართოებული თვალებით მიღიმიან.

მივედი გრანდიოზულ სტელასთან. ავღანური ასოები ვიცი, მაგრამ ავღანურად საუბარზე უკაცრავად ვარ, ავღანური ძალიან რთული ენაა. დავადე ხელი იმ ადგილს, სადაც „გურჯი გიორგი“ წერია. მერე საფლავის წინაშე მოვიყარე მუხლი. კარგა ხანს ვიყავი მუხლმოყრილი. როცა წამოვდექი, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. აწი თუნდაც მესროლონ, მე ხომ ჩემი გავაკეთემეთქი, ჩემს თავს ვეუბნები.

სანამ უკან წასასვლელ გზას დავადგებოდი, იქეთ გავიხედე და, თუმცა ორიოდე მცველის გარდა, ახლოს ვერავის ვხედავდი, მადლობის ნიშნად ორივე ხელი მაღლა ავწიე. ავწიე თუ არა ხელი, იქვე, დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის მანძილიდან სროლა გაისმა. არ შემეშინდამეთქი ვერ გეტყვი, მაგრამ არ შევიმჩნიე. არ შეიძლება ამათ შეშინებული მნახონმეთქი და წელში უფრო გავიმართე. თუ მოსაკლავად მესვრიან, შემირცხვენია ამათი პირობამეთქი.

თურმე ჩემი გაბედულებისადმი პატივისცემის ნიშნად ჰაერში ისროდნენ. რამდენ პატრულსაც ჩავუვლიდი, სამხედრო წესით კარაბინს ჩამოიღებდა, გაისროდა, მერე თოფს ისევ გადაიკიდებდა, თეთრ კბილებს გამიელვებდა და მარჯვენა ხელით გზას მიჩვენებდა – გაიარეო.

სიცხისგან, შიშისგან, გულისგამგლეჯი სიხარულისგან ოფლში გაღვარული დავბრუნდი ჩემს ბლინდაჟში.

მეორე დღეს ომი ისევ გავაგრძელეთ, როგორც ეს ომის წესია.

ერთი თვის შემდეგ ავიღეთ ყანდაგარი და, ხატზე შემიძლია დავიფიცო, ქორივით ვედექი რეგვენ ჯარისკაცებს, არავინ გაეძარცვათ და გაეუპატიურებინათ, თითოოროლა შემთხვევა მაინც მოხდა. ომს ასეთი რამეები თან ახლავს.

ლამის ათი წელი ვიდექით ავღანეთში, მაგრამ მთელი ჩემი სამხედრო სინდისით უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ეს ქვეყანა ვერ დავამარცხეთ.

იცი რატომ ვერ დავამარცხეთ? ავღანელს არ სურდა დამარცხება. იგი სიკვდილს არჩევდა თავისუფლების დაკარგვას და ახლა რომ ვუკვირდები, გულის სიღრმეში არც ჩვენ გვინ
დოდა ბოლომდე გამარჯვება, რაკიღა ვიცოდით, რომ სხვის მიწას, სხვის სახლს ვეპოტინებოდით!

***

– სხვას არ ვეტყოდი, – მაგრამ შენ უნდა გითხრა. რომ არ გეთქვა ჩემთვის: თქვენი ბრალია, ბოგანოდ რომ ვიქეცი, თვარა რა მჭირდა მე აფხაზეთიდან გამოსაქცევიო, თუ ტრაკი არ გქონდათ, რაზე დაიწყეთ ომი და რას მოფართხუნობდით სოხუმში თქვენი დაჟანგულდაფეხვილი ტანკებითო. ჩვენ ძალიან კარგად ვიყავით აფსუებთან, თქვენ რომ არ აგემღვრიათ წყალიო. შემოხვედით, ააწიოკეთ აფსუები (არა მარტო აფსუები) და იმ ხალხმაც ხელი გამოიღო, აბა, რას იზამდაო... რაც შენ ახლა მითხარი, მარტო შენი აზრი რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი. კერძო კაცთან საჯაროდ კამათი არ მეკადრება, მაგრამ შენსავით, როგორც ჩანს, ბევრი ფიქრობს და, მგონი, დადგა დრო, ყველას ერთად გიპასუხოთ.

ჩემო იმანო, აბა, კარგად გაიხსენე ომისწინა აფხაზეთი და იქ მცხოვრები ქართველების ეროვნული წონასწორობა? ქართული სული ინავლებოდა, ეროვნული ორიენტაცია ორმოცდაათში ერთს თუ ჰქონდა. საიდან ვიცი? საკუთარ ოჯახში, საკუთარ ცოლშვილშიც კი უმეტესობა თქვენგანი ქართულად აღარ ლაპარაკობდა, შე კაი კაცო, ბავშვებს რუსულ სკოლებში აბარებდით და მერე რუსეთში აგზავნიდით უმაღლესი განათლების მისაღებად. გიბრუნდებოდნენ იქიდან რუსეთუმე ახალგაზრდა სპეციალისტები, ან იქვე რჩებოდნენ საცხოვრებლად „ნატაშაზე“ და „სერგეიზე“ დაქორწინებულები. არ იყო ასე? გამომიტყდი, იმ კაი მამის სულს გაფიცებ.

ახლა ომისდროინდელი აფხაზეთი გავიხსენოთ. გულზე ხელი დაიდეთ, იბრძოლეთ, როგორც საჭირო იყო აფხაზეთის შესანარჩუნებლად? ყოველი სახლი ციხესიმაგრედ აქციეთ? ჩასჭიდეთ ჩვენს მოხალისე შვილებს ხელი და მათთან ერთად გაამაგრეთ შემოსასვლელები, გათხარეთ სანგრები, უკანასკნელი სახსრებით იარაღი შეიძინეთ და მტრის დასახვედრად მოემზადეთ? შენც არ მომიკვდე, თხუთმეტიდან ოცდახუთ სექტემბრამდე სოხუმიდან ავეჯით

და მაგნიტოფონჭაღებით დატვირთული საბარგო მანქანები გადიოდა. არა, არ იყო ყველა ნაძარცვი, ათიდან ერთ მანქანას თუ ნაძარცვი მიჰქონდა, ცხრაზე თქვენი ბარგი იდო გადასარჩენად გამიზნული. უცხოსავით ექცეოდით ჩვენს ჯარისკაცებს, თქვენს ჯარისკაცებს, თქვენს დასაცავად ჩამოსულ, თავწაკრულ, სასიკვდილოდ განწირულ ულამაზეს ბიჭებს. არ თვლიდით იმ ჯარს თქვენს ჯარად, რაკიღა ცოტა რამ გაკავშირებდათ თბილისში, ქუთაისში, თელავში... ხელისუფლების მიერ მოტყუებით შეგროვილ მოხალისეებთან.

რა თქმა უნდა, რუსეთი გვებრძოდა. აფსუა, ჩეჩენი და სომეხი რუსის მიერ იყო მომართულდაგეშილი ჩვენ წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ომის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ დაბეჯითებით გეკითხებით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დადექით ყველანი სოხუმის დასაცავად? ისტორიიდან ხომ მაინც იცით რომის, კართაგენის, კონსტანტინეპოლის, სპარტის, თბილისის, ქუთაისის დაცვის და იმ საარაკო გმირობის მაგალითები, რასაც თავისი მიწის დამცველები სჩადიოდნენ. შორს რომ აღარ წავიდეთ, როგორ იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, ბერლინის დასაცავად, თუ არ წაგიკითხავს, კინოში მაინც არ გინახავს?

გამორბოდა მშვიდობიანი მოსახლეობა ასე ცხვრის ფარასავით მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან? მინსკის და კიევის მხოლოდ ათი პროცენტი იყო ევაკუირებული, დანარჩენი ადგილზე დახვდა მტერს. სული მოითქვეს და უზარმაზარი იატაკქვეშა ბრძოლა გაუმართეს ფაშისტებს. თქვენ კი რომ გამოიქეცით ერთპირად და ერთგულად, სად მირბოდით, თქვე კაი ხალხო? შეშინებული თხის არვე როგორ არ მინახავს, მაგრამ თქვენ რომ იყავით ჭუბერის გზაზე გამწკრივებული, ისეთი?

იყვნენ აფსუასომეხჩეჩენი ნაძირლები, როგორ არ იყვნენ. ვაჟკაცობისაგან დაცლილი გარეწრები ქალებსა და მოხუცებზე რომ მძლავრობდნენ, იყვნენ, გეთანხმები, მაგრამ ჩემიც მოისმინე: შენ პირადად მოგადგა ვინმე სახლში, დაგიკაკუნა და გითხრა, აბა, სასწრაფოდ აიკარი გუდანაბადიო? ნუ ყოყმანობ, შვილიშვილს გაფიცებ, ტყუილი არ მითხრა. არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, ხომ?

იცი, რატომ გკითხე? მე ყოველ მეორე ლტოლვილს მივმართავ ამ შეკითხვით და ასიდან ოთხმოცდაათი ამბობს, ჩემთან არავინ მოსულაო, მაშ, რატომ გამოიქეციმეთქი? რა ვიცი, ყველა გარბოდა და მეც გამოვიქეციო. ასე იძახდა ხალხი; სამი დღით უნდა დავტოვოთ ქალაქი და სამ დღეში დაგვაბრუნებენო.

მტერი რომ შენი ბუდიდან აყრილს დაგინახავს, ის იმ საათშივე რომ დაეპატრონება შენს სახლკარს და მთელი შესაძლებლობით ეცდება, უკან აღარ დაგაბრუნოს, ეს ახალი ამბავია შენთვის და პირველად გაიგე?

კარგი, გაგრასოხუმოჩამჩირეგულრიფშში სროლა იყო და საშიში იყო იქ გაჩერება, გალი? გალიდან ისე გამოიქცა ბრიგინბრიგინით ორასი ათასი ქართველი, რომ უკან არ მოუხედავს. იმის მაგივრად, რომ გალის რაიონი (თითქმის ნახევარი აფხაზეთი) გაგვემაგრებინა, მავთულხლართებით, ბეტონის ფილებით და სანგრებით გაგვევსო იქაურობა, კბილებით დაგვეცვა ჩვენი ნაოფლარი, ერთი ხელის დაქნევით, თითქმის პრავაკატორის მიერ დარხეული ჭორით; არიქა, მოდიან და ყველას დაგვხოცავენო, დავთმეთ ამხელა ტერიტორია. ამას ამბობს არძინბა მათხოვარი – სხვა არაფერს, ქართველობა რომ აფხაზეთში მკვიდრი მოსახლეობა ყოფილიყო, ასე იოლად, ასე ერთხმად და ერთბაშად როგორ აიყრებოდა, სად გინახავთ, „ჰაის დაძახილზე“ მიეტოვებინოს ვინმეს მამაპაპის ნაფუძარიო. ჩვენაო, მშვიდობიან მოსახლეობას არ ვერჩოდით, ვისაც ქუდი ეწვოდა, ვისაც ჩვენს სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი, იმას ვაძევებდითო. თქვენ? თქვენ რა სისხლში გქონდათ, თუ ძმა ხარ, ხელი გასვრილი? მე ხომ მაინც ვიცი, რომ რამდენიმე კაცი სეირს უყურებდით და ხელუკუღმა, მტრისკენ ერთი ქვაც არ გისვრიათ.

ახლა ომისშემდგომ სურათს შევხედოთ. საქართველოს ხელისუფლებაზე არ მაქვს ამჯერად ლაპარაკი. მთავარი დამნაშავე ომის დაწყებაში და ომის წაგებაშიც, რასაკვირველია, ხელისუფლებაა და ღვთისა თუ ისტორიის წინაშე ყველა მისხალმისხალ აგებს პასუხს. ჩვენმა ხელისუფლებამ რომ სამამულო ომი დაუმალა ხალხს, საყოველთაო მობილიზაცია არ გამოაცხადა და რუსეთთან ომი აფხაზეთის კონფლიქტად მონათლა, მერე მოგვატყუა, სოხუმი საიმედოდაა გამაგრებულიო, მტერთან დანაშაულებრივი გარიგებით ჩვენი ჯარი განაიარაღა და ბოლოს თვითონ დედლურად გაიქცა ბრძოლის ველიდან, ამაზე არა მაქვს ლაპარაკი, მე შენზე და შენისთანებზე ვამბობ, ლტოლვილებზე მოგახსენებ და ისიც კარგად ვიცი, აფხაზეთის დაბრუნება რომ მთელი საქართველოს საქმეა და მე თვითონ მითქვამს არაერთგზის – უაფხაზეთო საქართველოს არ ვღებულობმეთქი.

ვგავართ ჩვენ ომში დამარცხებულ, გალახულ და ლამის მესამედტერიტორიაწართმეულ ქვეყანას?

გინახავს ამდენი ცეკვათამაში, ამდენი შოუ და ჯაგაჯუგი სხვაგან სადმე?

ვემზადებით ჩვენ აფხაზეთის დასაბრუნებლად? თუ ერთი ფიორი მაინც გჯერა იმათი, ვინც რვა წელია ენერგიულად გვატყუებს, მოლაპარაკების გზით შევძლებთ, მტერს გამოვგლიჯოთ ხელიდან საქართველოს უძველესი ტერიტორიაო? ერთი ტაოკლარჯეთი გამოგლიჯე თურქს, სოჭი – რუსს, ლორე – სომხეთს თუ საინგილო – აზერბაიჯანს. რა დაიბრუნე მოლაპარაკებით?

შენ რას აკეთებ? ვის იმედზე ხარ? ვის ეუბნები აფხაზეთი დამიბრუნეო? ვინც თავისი უვიცობით, სულელური გარიგებებით და ბეცი პოლიტიკის გატარებით დაგაკარგვინა?

თუ ხელი დაიბანე აფხაზეთზე, თქვი ერთხელ და სამუდამოდ და დაანებე წუწუნს თავი, თუ არა და იცხოვრე ისე, როგორც თავისი მიწაწყლიდან ძალით გამოგდებული შურისმაძიებელი უნდა ცხოვრობდეს. მოლოდინით, მომენტის შერჩევით, წამდაუწუმ მუშტებზე ყურებით, ქვების შეგროვებით, ერთმანეთის გამხნევებით, შურისმაძიებელთა რაზმების ჩამოყალიბებით და დღედაღამ საომარი ვარჯიშით უნდა იყო გართული! ორ წელიწადში ერთხელ რომ დევნილთა ყრილობას ჩაატარებთ და ერთმანეთს ეჯიბრებით პატრიოტული სიტყვების თქმაში, იმის მცდელობაში, ვინ უფრო გულისამაჩუყებელ სიტყვას იტყვის და ცრემლს მოადენს სხვებს თვალზე, ეს ეყოფა საქმეს?

უცხოელები ჩამოდიან და გვეკითხებიან, სად არიან ლტოლვილებიო. აგერ, მეტროს გაჩერებებზე ვაჭრობენმეთქი, ვპასუხობ. როგორ, მუდმივი აქცია არსად არა აქვთო? გაოგნებული არიან. ამას მაინც რა უდგას წინ, შე კაი კაცო. ასჯერ მაინც ვთქვი, დავწერე, გთხოვეთ: დაჯდეს სადმე ოცდაათი ლტოლვილი სხვადასხვა ენებზე ტრანსპარანტებით ხელში: „დაგვაბრუნეთ ჩვენს სახლში“, „აფხაზეთი – საქართველოა“ და ა. შ. თითოეულ თქვენგანს ორ თვეში ერთი საათი მოუწევდა დაჯდომა, მეტი კი არა. ესეც არ გააკეთეთ. ხომ უნდა იგრძნოს ხელისუფლებამ, მსოფლიომ, რომ თქვენ არ შეურიგდით თქვენს მდგომარეობას. შეურიგებლობის ერთერთი ფორმა მუდმივმოქმედი მშვიდობიანი აქციაა. ამასაც ვერ გაუკეთეთ ორგანიზება და აფხაზეთის დასაბრუნებელ ომში ჩამბმელი ხართ თქვენ? არ დაიჯერო, თუ ძმა ხარ, ეგ ამბავი.

არძინბამ მიაღწია თავისას. რეფერენდუმი ჩაატარა, ჩვენი მკვიდრი ტერიტორია აფხაზთა სახელმწიფოდ გამოაცხადა, თავი პრეზიდენტად აარჩევინა და როგორც პრეზიდენტი პრეზიდენტს, ისე ელაპარაკება შევარდნაძეს. უძახე შენ ახლა „თვითმარქვიაპრეზიდენტი“ და იყავი. მტერმა თავისი გაინაღდა, ექსკურსიაზეც არ გიშვებს შენს ლიხნში და ბიჭვინთაში. რაც მთავარია, მშვიდად სძინავს მტერს, ესაა ყველაზე დიდი ნიშანი ჩვენი დადედლების და დაცვედნების.

შეიძლება „მე არაფერი მამივას?“ თეორიით წაგებული ომის მოგება? ათი გამოქცეული ოჯახიდან ერთი ახალგაზრდა მაინც არ უნდა იყოს პარტიზანული შენაერთის წევრი? წამდაუწუმ არ უნდა შეახსენებდეთ მტერს, რომ სხვის სახლში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მას მოსვენება არ ექნება?

ვის ელოდები, თუ ძმა ხარ? სხვა გააკეთებს შენს საქმეს? შენ გგონია, სინით მოგართმევენ შენს აფხაზეთს აფსუები და რუსები? მე ნუ მიყურებ, მე რაც შემიძლია, ბრძოლაქიჩმაჩს არ ვაკლებ ამ საქმეს და იცი შენ, სიტყვას მოჰყვა, თორემ არ გეტყოდით; მე ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნდა – ერთადერთი შვილი შევწირე აფხაზეთის ომს – უფრო სწორად, რუსეთსაქართველოს ომს აფხაზეთისათვის.

ამას რომ ვამბობდი, წამდაუწუმ პირი მიშრებოდა და ენას ნერწყვით ვისველებდი.

ცხელოდა.

ჭრიჭინობელა ჩამალულიყო იპოდრომზე კვადაცის ბუჩქებში, როგორც სანგარში და ერთგულად ჭრიჭინებდა თავის საჭრიჭინოსაჭირბოროტოს.

კარგა ხანს ვდუმდით ორივენი.

ლტოლვილი წკირს ნაწილნაწილად ამტვრევდა და განზე ისროდა.

მერე წამოდგა, კიდევ ერთხელ დაღლილი, ფიქრჩამდგარი თვალებით შემომხედა და გავარვარებულ ასფალტზე გააბიჯა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №№28-33-ში)

– მცდარ აზრს მეტყველებთ ბატონო ზვიად, არ არსებობს ცუდი მასწავლებელი, ის ყველას ერთნაირად ზრდის, იმ მასწავლებლისაგან აღიზარდეთ თქვენც, რომელმაც წიკლაური აღზარდა, მაგრამ ჩემი შეხედულებიდან გამომდინარე, რაღაც ბოროტი გენები განაგებენ ადამიანს სწავლამდე და სწავლის შემდეგაც. გთხოვთ მე მასწავლებელი აღარ დამიძახოთ, რადგან განათლების სამინისტროში განცხადება შევიტანე განთავისუფლების შესახებ. ჩემი ყოფილი მოსწავლეა წიკლაური, რომელიც ვერ აღმიზრდია, ჩემი მოსწავლე იყო ოჯახში და სკოლაში ჩემი შვილი, რომელთა სულიერ სიმახინჯეს თვალნათლივ ვხედავთ და ვინ იცის იქნებ სხვებიც მრავალი სულიერად გაგვინადგურებია. ამის შემდეგ მე არ მეკუთვნის ვიყო მასწავლებელი. რაც შეეხება კვალმაძიებლის სპეციალობის შესწავლა შეუძლებელია. ადამიანს ბუნებისაგან ნაბოძები ნიჭი უნდა გააჩნდეს და იმისათვის აუცილებელია თანდაყოლილი სიმამაცე, საკუთარი ღირსების შეგნება, ხალხის და სიმართლის სიყვარული, ბოროტებასთან ბრძოლა და სიძულვილი, სიამაყისა და შეუვალობის გრძნობა. ეს გრძნობები თუ ადამიანს გენებით თანდაყოლილი არა აქვს, მასწავლებელი უძლურია მოსწავლის წინაშე.

ყოველთვის როდი გამოუდის ადამიანს და მითუმეტეს მასწავლებელს კეთილის ქმნა, რომელსაც ის ესოდენ თესავს და ნერგავს, უფრო ხშირად თავის დანთებულ ცეცხლზე წვავენ როგორც უმეცარს. ასეთი ყოფილა მასწავლებლის ხვედრიც. მე როგორც მასწავლებელს მიჯობდა ცეცხლზე დავეწვი ინკვიზიტორებს, ვინემ ჩემს აღზრდილ მოსწავლეებს ცოცხლად თავზე ლაფდასხმული გამოვებუნძულებინე იქედან, სადაც ნახევარი საუკუნე ძალი და ღონე არ დამიშურებია ახალგაზრდობისთვის ჩამენერგა პატიოსნება და სიყვარული.

– ჯერ ნაადრევია, არ უნდა დაგეყარათ ფარ—ხმალი ბატონო მინდია, თქვენ რომ მარტო სიკეთისაკენ ღაღადებთ, არც ასეა საქმე, როდესაც სიკეთე დაიბადა, მაშინ გაჩნდა ბოროტებაც და ჩვენ კეითლის მთესველნი ვალდებულნი ვართ ვებრძოლოთ ბოროტებას. ცხოვრება კი უკეთესი და საუკეთესო არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს ასე იყო ყოველთვის ფათერაკებით აღსავსე და თვითონ ბოროტმა სულებმა იმდენად იზრუნა კეთილ ადამიანებზედ, რომ ყოველ ნაბიჯზედ ვსწავლობთ რაღაცას მათ დასამარცხებლად.

თქვენ დატოვეთ ბრძოლის ველი, მიდიხართ, მე წავალ და ასე ნელ—ნელა გაიბოჭება სინდის—პატიოსნება. ბრძოლის ველზე კი გამარჯვებული თავისთავად ბოროტება დარჩება. ერთი ადამიანი ყოველგვარ საქმეში სუსტია, მხარდაჭერა და ერთობაა ძალა. თქვენ ცუდად აღზრდილ მოსწავლეს რომ ხედავთ, რატომ ვერ დაინახეთ თქვენს მიერ აღზრდილი კეთილი ადამიანები? მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები, მევენახეები, მჭედლები და სხვა?

– ორიოდე ცუდმა აღზრდილმა დაჩრდილა ყველა ის დიდება, რომელთაგანაც შარავანდედით მოსილ გვირგვინს ველოდი, ჩემი უმწიკვლო პატიოსნებით მინდოდა დიდების კვარცხლბეკზედ ავსულიყავი, მაგრამ დღეს ჩემმა აღზრდილებმა საზოგადოების თვალში სამარცხვინო ბოძზე გამაკრეს.

„ჟიგულის” კარები გაიღო და აკვალანგებში გამოწყობილმა აკვალანგისტებმა გამომძიებელსა და მასწავლებელს საუბარი შეაწყვეტინა:

– ბატონო ზვიად, ჩვენ მზადა ვართ შევასრულოთ ყოველგვარი თქვენი ბრძანება, მოგვეცით მითითება – სამხედრო წესით გამოეჭიმა ერთ—ერთი აკვალანგისტი გამომძიებელს.

გამომძიებელი ავტომანქანიდან ჩამოვიდა, ტბას გახედა და შემდეგ აკვალინგისტები შეთვალიერა.

– აი ბიჭებო – თქვა მან ოდნავი ფიქრის შემდეგ – თქვენს წინაშე დიდი ამოცანა დგას, ტბის ფსკერზე უნდა ვიპოვოთ ადამიანის გვამი. ვამბობ „გვამს”, მაგრამ ის ადამიანის გვამი ექვსი თვის წინათ იყო, ამჟამად შეიძლება დაფარული იყოს შლამით, ან უფრო ადვილი შესაძლებელია ჩონჩხად ქცეული. ამიტომ უყურადღებოდ არ დატოვოთ ტბის არც ერთი მონაკვეთი, ტბა ღრმა არ არის, მაქსიმალური სიმაღლე შვიდი მეტრია და იმედი მაქვს არ გაგიძნელდებათ ფსკერის ძირფესვიანად გამოკვლევა, წარმატებას გისურვებთ...

აკვალანგისტებს გამომძიებლისათვის სიტყვა არ შემოუბრუნებიათ, სახეზე ნიღებები მოირგეს და წყალში სათითაოდ უკუღმა მოადინეს ზღარტანი. გამომძიებელი ისევ თავის „ჟიგულში” ჩაჯდა, მასწავლებელს გაუღიმა, სურვილი აღჩობდა

მასთან საუბარი გაეგრძელებინა, ძალზედ იზიდავდა მასწავლებლის ბრძნული, თავისუფალი და მიმზიდველი ლაპარაკი.

– ბატონო მინდია, – მოკრძალებით წარმოთქვა გამომძიებელმა – მაინც რა გითხრა ასეთი ეროდი წიკლაურმა, რომ სულიერად აგაფორიაქათ?

– თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით – ოდნავი ფიქრის შემდეგ წარმოთქვა მინდიამ – და არ მინდა თქვენს წინაშე გავიმეორო ის უხამსობა რა თემაზედაც ის მესაუბრა, თქვენ სხვაგვარად არ გამიგოთ, ახალგაზრდა კაცის ბუნება ასეთია: მუდამ დაუჯერებლობისა და შეუძლებლობისაკენ ილტვის, მათ ახასიათებთ ახლის შექმნა და სიძნელისაკენ ნაბიჯის გადადგმა, იმას კი არ დაგიდევენ რა შედეგი მოჰყვება მათ მოუფიქრებელ წინსვლას.

– მართალს ბრძანებთ ბატონო მინდია, მაგრამ ნუ მიწყენთ და მე არ მივეკუთვნები ისეთ ახალგაზრდობას, რომელიც თქვენ გყავთ მხედველობაში, თქვენი მაშინდელი საუბარი გამორიცხული არ არის იქნება დღევანდელი ძიებასაც გამოადგეს.

– ძიებისათვის გამოსადეგი საუბარი ნამდვილად არ გვქონია, ჩვენ უბრალოდ სინდის—პატიოსნებაზე ვლაპარაკობდით და მან დამიმტკიცა სინდის—პატიოსნების სიკვდილი, რომ დიდი ხანია იმისი ადგილი ცხოვრებაში ბოროტებამ, უსინდისობამ და ღალატმა დაიკავა.

კი ბატონო, მე ჩემს ყოფილ მოსწავლეზე უკეთესად ვიცი, რომ მოსალოდნელია მსოფლიო ევოლუცია, გარდაქმნა, გარდატეხა, ზრდა ან დაკნინება, ძველის წაშლა და ახალის აღმოცენება, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ეს ხმამაღლა ვიყვიროთ, რადგან მომავალ თაობათა შორის მსოფლიო ევოლუციის მოლოდინი სახელმწიფოში ქაოსს გამოიწვევს. აბა თვითონ წარმოიდგინე: თუ ადამიანმა იცის ხვალ რომელიმე კომეტა დედამიწას დაეჯახება და ყოველ სულიერთა არსებობა შეწყდება, ისინი დღეს მოუთვინიერებელ მხეცებად გადაიქცევიან, მსოფლიოში იფეთქებს პროსტიტუცია, მკვლელობა, ყაჩაღობა, ღრეობა და სხვა უმსგავსოებანი.

– ეროდი წიკლაურთან საუბრით თქვენც იმ დასკვნამდე მიხვედით, რომ გარდაუვალია მსოფლიო ევოლუცია?

– როგორ გეკადრებათ, ხომ მოგახსენეთ სხვაზე უკეთესად ვიცი ჩვენი პლანეტის წარსული და თვალნათლივ მივჩერებივარ მომავალსაც—მეთქი!

ჩვენი პლანეტა – დედამიწა – ოთხ პერიოდს ითვლის, უფრო სწორად მეოთხე პერიოდში იმყოფება და ამ პერიოდის მეხუთე პერიოდით შეცვლა გარდაუვალია. ზოგიერთმა ეს იცის და ხმამაღლა გაჰყვირის, მე კი ხმამაღლა ამის თქმა არ შემიძლია, რადგან მებრალება კაცობრიობის სისხლითა და ცრემლით, ნაღველითა და იმედით დატვირთული დედამიწა. ჩვენი მოვალეობაა მივყვეთ აუფორიაქებლად ბუნების განუზომელ საიდუმლოებას და ნუ ჩავიხედავთ იმის სულში, რამეთუ მცირეოდენი საიდუმლოების ამოხსნაც კი საგრძნობლად ააფორიაქებს კაცობრიობას ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ცივლიზაციის იმ საფეხურს, რომელზედაც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი ახასიათებს.

დღეს თქვენ მკვლელობის საქმეს იძიებთ, მისასალმებელია, გაწუხებთ ადამიანის ბედი, მაგრამ მე დედამიწის ბედი უფრო მაწუხებს, რომელსაც დედოფალასავით ათამაშებს განგება, ხან ოქროს ჯინჯილებით მორთულ აკვანში ჩააწვენს და თეთრი ნისლის აბრეშუმით შებურავს, ხან ფოთოლცვენის ყვითელ კაბას ჩააცმევს და ბაღში მოსეირნე ბავშვივით ატარებს. ხანდისხან შავ ნაბადსაც წამოახურავს და მოტაცებული მზეთუნახავივით პანეტათა შორის უხილავი ხდება. დედამიწა კი ნერვიული ქალივით ჭირვეულობს, ხან უმიზეზოდ გაიცინებს, ხან ასევე უმიზეზოდ ატირდება.

სამყაროს ბედის ვარსკვლავმა იმ ზომამდე გაათამამა კაცობრიობა, რომ მომავალ დროთა ჯადოსნურ სანთლად აინთო ტექნიკა და შემოქმედება, საიდანაც იელვა სიყვარულის, ბრძოლისა და მეცნიერების შარავანდედმა, ამ ღვაწლს კი ადამიანთა უმადური მოდგმა, დედამიწის გულის გამოგლეჯვით ან მოძმეთა სისხლით შეღებვით იხდის...

აკვალანგისტები თანმიმდევრობით ამოვიდნენ წყლიდან, წინამ ნიღაბი მოიხსნა და „არსაიდან ხმა არსით ძახილიო“ – წარმოთქვა.

– აქ თევზია იმდენი, რომ რომელი გვამი დაურჩებოდათ შეუჭმელი? – თქვა მეორემ.

– თევზს არც უნდა ჭამდე ადამიანი, ბინძური საზიზღრობაა – თქვა მესამე.

გამომძიებელმა აკვალანგისტები თავიანთ ავტომანქანაში შეიპატიჟა – ამ ექვსიოდე თვის წინათ ამ ტბიდან ქალის გვამი ამოიღეს, მაშინ თქვენს შორის რომელი ღებულობდა მონაწილეობას იმ ექსპედიციაში? – შეეკითხა გამომძიებელი აკვალანგისტებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მერაბ ზაქარიაძე



ძახილი!

ამ ჩემს მამულში დამამარხვინე ძვლები!
ჯანსუღ ჩარკვიანი.
შენი სამშობლო ვარ, ვიცი გენატრები.
სადაც გინდა იყო , ყველგან გეყვარები.
ვიცი 9 მთას იქით რამაც გადაგკარგა.
ჩემზე სევდა-დარდმა რარიგად გაგთანგა.
ვიცი არვინაა შენთვის ჩემზე ტკბილი!
ო! არა, შენ არა ხარ ,,უძღები შვილი!"
ცუდი ვით წამომცდეს, ან რა დაგაყვედრო?
სახლში დაბრუნებულს, აქ რა დაგახვედრო?
ღთისმშობლის წილხვედრი ვარ, ჩემში სხვა მადლია.
ირგვლივ მოშურნე, მტერი არ მაკლია.
ადრეც ,,ბეწვის ხიდზე" ბევრჯერ გამივლია.
დღესაც გოლგოთას ვარ, უწინც ამივლია!
ჩემთან მსუბუქია, სამარის შავი ლოდი,
მანდ, რომ მოიპოვო ოქროს, თუნდაც მთები!
ოდესმე დამიბრუნდი, ბოლოს მაინც მოდი!
ჩემთან დაიმარხე, სხვაგან ნუ დარჩები!

21.09.2019 წ.

აღსარების საიდუმლო
(მინი ნოველა)

მამა ანდრია, საბურთალოს სასაფლაოზე, თავისი ვაჟის საფლავზე იპოვეს გამვლელებმა. მაშინვე დარეკეს 112-ში. სასწრაფო დახმარების მანქანაც საკმაოდ სწრაფად მოვიდა, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. სამედიცინო დასკვნაში, გარდაცვალების მიზეზად: გულის მწვავე უკმარისობა, მიოკარდიის ინფარქტი, – ჩაწერეს.

ქალბატონი ნინო მეუღლის საწერ მაგიდას ალაგებდა. ზემოთა უჯრაში, პატარა უბის წიგნაკი იპოვა. გადაშალა. ჩანაწერებით იყო სავსე. კედელზე დაკიდებულ, შავ ჩარჩოში ჩასმულ, სურათს ახედა, თითქოს მისგან ითხოვდა ნებართვას. ბოლო ჩანაწერი, სამი თვის წინ, დილით, მისი გარდაცვალების დღეს იყო გაკეთებული: ,,გუშინ, შვიდმა პატიმარმა აღსარება ჩამაბარა. ექვსი მათგანისგან ადრეც მიმიღია იგი. მეშვიდემ მითხრა, რომ ოთხი წელია ქურდობაზე ზის და, რომ თავის ცხოვრებაში პირველად აბარებდა მოძღვარს აღსარებას. უფალო! მე, მას განვუცხადე, რომ თუ მისი სინანული, ნამდვილად გულწრფელი იყო და გულიდან წამოსული, მაშინ, შენ, მას იმ, საშინელ, უმძიმეს ცოდვას, უდანაშაულო ადამიანის, დაღვრილ სასხლსაც შეუნდობდი, აპატიებდი და მიუტევებდი.

ამ საღამოს, უნდა მივიდე პატიმრების აშენებულ, ციხის ეკლესიაში, შაბათის ლოცვაზე დავდგე. პატიმრებს, მათ შორის იმ პირველად აღმსარებელს, ზეთი ვცხო, ხვალ კი, შენს უკვდავ ხორცსა და სისხლს ვაზიარო. ერთი თვის შემდეგ, ის პატიმარი ციხეს დატოვებს და თავისუფლებაზე გავა. მან არ იცის, ვის ჩააბარა აღსარება. ათი წლის წინ, როცა ჩემი შვილი მიწას მივაბარე, მის საფლავზე, ჩემს ვაჟს, პირიბა მივეცი, რომ უსათუოდ ვიპოვიდი მის მკვლელს და პასუხს ვაგებინებდი. მაშინ, ჯერ კიდევ ერის კაცი ვიყავი. ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო! გევედრები: ახლა იმის ძალაც მომეცი: როცა იქ, საფლავზე მივალ, ქვაზე ამოტვიფრულ, ჩემი ვაჟის სურათს შევხედო და მის თვალებს მზერა გავუსწორო!

22.01.2018 წ.

ვარსკვლავბიჭუნას ზღაპარი იცი?

სწრაფად მოძრავმა, ,,BMW" მარკის ავტომანქანამ, კიდევ უფრო უმატა სიჩქარეს, უწყვეტი, ღერძულა ხაზი გადაკვეთა და შეეცადა წინ მიმავალი, სამარშრუტო ტაქსისთვის გადაესწრო, საჭესთან მჯდომი მიხვდა მანევრის შესრულებას, ვერ მოასწრებდა, სიჩქარეს უკლო და საჭე მოატრიალა, წინიდან მომავალმა, „მერსედესმაც" დაამუხრუჭა.

– რას აკეთებ?! მე შენი დედაც...! გამწარებით წამოიძახა „მერსედესის" მძღოლმა და შეეცადა თავზეხელაღებულს როგორმე გარიდებოდა. დაჯახებას მაინც ვერ ასცდა, წამით საჭე გაექცა, ამაოდ სცადა მართვაზე კონტროლის შენარჩუნება, მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ტროტუარზე ავარდა. ანაზდად თვალი ჰკიდა, დედის კაბის კალთას ჩაფრენილ, პატარა ბიჭის, შიშისგან გაფართოებულ, დიდრონ თვალებს, იმავ წამს საშინელი კივილის ხმაც ჩაესმა, თავზარდაცემულმა, თვალები დახუჭა და კიდევ ერთხელ გამეტებით დააწვა სატერფულს...

ცოტა ხნის შემდეგ, ყველა ტელევიზია იუწყებოდა, დედაქალაქში, ავტობუსის გაჩერებაზე მომხდარი საშინელი ტრაგედიის შესახებ, თუ როგორ ემსხვერპლა, საბავშვო ბაღში მიმავალი, სამი წლის დათუნას და მისი დედის სიცოცხლე, საგზაო მოძრაობის წესების უგულვებელმყოფი, დაუდევარი მძღოლის წინდაუხედაობას, უთაურობას და უწესრიგობას.

იმ დილით, უცნაურმა და უსიამოვნო სიზმარმა გამოაღვიძა ემზარი. თვალები მოიფშვნიტა, ფანჯარას მიაპყრო მზერა. გარეთ უკვე დღის სინათლე იდგა, თუმცა, ეტყობა მზე, ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. ყური მიუგდო, მშობლები უკვე ამდგარიყვნენ. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ეზოში, მამა ძროხას უწყრებოდა, ალბათ, საბალახოზე უშვებდა. გვერდით საწოლზე, მისი უმცროსი ძმა მშვიდად ფშვინავდა. მობილური ტელეფონი აიღო და საათს დახედა. ექვსი შესრულებულიყო. კიდევ ერთხელ გახედა მძინარე ძმას და მერე შეეცადა ნანახი სიზმარი გაეხსენებინა. ვერაფერი გაიხსენა, მაინც არ ტოვებდა უსიამოვნო გრძნობა. თავი გაიქნია და წამოდგა. ჩაიცვა და აივანზე გავიდა. წინაეზოს გახედა, მამა ეზოში აღარ ჩანდა, სამაგიეროდ ბროლია ღობესთან დარბოდა და გადაღმა, სოფლის შარაზე, დინჯად მიმავალ ძროხებს მონდომებით უყეფდა.

– დილა მშვიდობისა! – მოესმა ზურგსუკან ძმის ხმა. მოუხედა. მხიარულად უღიმოდა, – როგორ გეძინა?! რა იყო რას მოღუშულხარ, ნახე რა დღე თენდება!

ძმას სალამი დაუბრუნა, – არა, არაფერი, მგონი რაღაც უცნაური სიზმარი ვნახე, ოღონდ კარგად ვერ ვიხსენებ რა?

– როდის იყო, სიზმრების გჯეროდა? – ისევ გაეცინა ძმას.

– ჰო, არაფერი, წამოდი ვისაუზმოთ და საქმეს მივხედოთ, თორემ ხომ იცი, მეტს ვეღარ დავრჩები, ხვალ დილით სამსახურში თუ არ მივედი, გამომაგდებენ და მერე შენ არჩენ ჩემს ცოლ-შვილს?!

– ცოლ-შვილის რჩენის თავი, რომ მქონდეს, მოვიყვანდი და ჩემსას ვარჩენდი! – ისევ გაეცინა ძმას, – ნუ გეშინია, საღამომდე სულ ბდღვირს ავადენთ იმ ყანას!

უხმოდ საუზმობდნენ, ვერაფრით მოიშორა, ის, რაღაც, უსიამოვნო განცდა. დედამაც შენიშნა უხასიათობა: – შვილო, შეუძლოდ ხომ არ ხარ?!

– არა, დედა, კარგად ვარ!

– ხომ იცი, ჩემი სიკეთის არ იყოს, როგორ ეხალისება ყანის თოხნა, მარა თავშეკავებული კაცია და სიხარულს არ ამჟღავნებს! – გაეცინა ძმას.

წასვლის წინ მეუღლეს დაურეკა: – როგორ ხართ?

კარგად, შენ როგორ ხარ!

– რა, ვიცი, ვარ რა, ახლა ყანაში მივდივართ, შენ რას შვრები?

– დათუნა მიმყავს საბავშვო ბაღში. როდის ჩამოხვალ?

– ამ საღამოს, რა იყო მოგენატრე?!

– შენ არ მოგენატრეთ?!

– მაგას კითხვა უნდა? დათუნას ხმა მესმის, რას გთხოვს?

– მამიკოს დამალაპარაკეო?

– მერე, დამალაპარაკე!

– საღამოს დაელაპარაკე, ახლა, ჩვენი ავტობუსი გამოჩნდა და უნდა ავიდეთ!

– კარგი!

ადრიანად შეუდგნენ მუშაობას, ის და მისი ძმა თითო რიგს მიუყვებოდნენ, მამა ორს, მაინც ძვლივს უბამდნენ მხარს, მართალია, არასოდეს სიამოვნებდა ყანის თოხნა, მაგრამ მაინც, გულმოდგინედ იქნევდა თოხს, სპორტსმენი იყო და ჯანი და ღონე არ აკლდა, არც მონდომება, სულ უკვირდა 28 წლის კაცს და მის ,,მუტრუკ," 25 წლის ძმას, 50 წლის მამა როგორ სჯობნიდათ. მამას, ეცინებოდა: „ბებერი ხარის რქანიც ხნავენო!" ეტყობა, მართლაც ასე იყო.

იქვე, ყანაში ისადილეს, ისევ დაურეკა მეუღლეს. ტელეფონი გამორთული ჰქონდა. დიდად არ გაჰკვირებია, ოღონდ ისევ იგრძნო, ის აუხსნელი, რაღაც მოუსვენრობა.

ყანას ბდღვირი ააღინეს. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, სახლისაკენ, რომ გაუყვნენ გზას. ავად ენიშნათ ჭიშკართან მოგროვილი მეზობლები: – რა მოხდაო, – შორიდან დაიძახეს შეშფოთებით. ყველამ მოიხედა, ოღონდ ხმის ამოღება ვერავინ შეძლო. ფეხს აუჩქარეს.

– დედას რაიმე მოუვიდა? – იკითხა მიახლოებულმა ძმამ.

– დედაშენი კია ცოცხალი, მარა ... ვეღარ დაამთავრა მეზობლის ქალმა, წამით ემზარს შეხედა, უმალ აარიდა მზერა და ცრემლები წასკდა.

– რა უბედური ყოფილხარ, შვილო, ყველანი რა უბედურები ვყოფილვართ?! – ამოიკვნესა – ამოიტირა, სახე დახოკილმა და თმებჩამოშლილმა დედამ, ოთახში შესული უფროსი ვაჟის დანახვაზე და ისევ წაუვიდა გული.

– მეგი? – იკითხა უცნაურად შეცვლილი ხმით ემზარმა, შვილი მაინც ვერ გაიმეტა.

კარზე ზარის ხმა გაისმა, მერე კიდევ ერთხელ. დიასახლისმა კარი გააღო და მის წინ მდგომ კაცს ახედა.

– ემზარ, შვილო, შენ ხარ? ღმერთო, რას დამსგავსებიხარ! – ქალმა ენაზე იკბინა, უნებლიედ წამოსროლილი სიტყვების გამო, თუმცა ნათქვამს უკან ხომ ვერ დააბრუნებდა?

სტუმარს სევდიანად გაეღიმა.

– გიკვირთ? – შეწუხებული ქალბატონის პასუხს არ დალოდებია, – ძია ისიდორე სახლშია?

– სახლშია. შემოდი, შვილო, შემოდი! – გამოერკვა შეცბუნებული ქალი.

ძია ისიდორე და მისი მეუღლე, დეიდა ნატა, ემზარის კარის მეზობლები იყვნენ, მოხუცი 66 წლის იყო მისი მეუღლე 61-ის, გასულ წელს ერთად გავიდნენ პენსიაზე. დასვენება გადაწყვიტეს და ახალგაზრდებისთვის ადგილის დათმობა, მასწავლებლობას თავი დაანებეს და სახლში დასხდნენ. ძია ისიდორეს მალე მოგზრდა სახლში ჯდომა, მათი პენსია, იქნებ, ასე თუ ისე, კიდეც ყოფნოდათ ცოლ-ქმარს, მაგრამ გათხოვილ ქალიშვილს, ძველებურად ფულით ვეღარ ეხმარებოდნენ, ადგა და მოხელეობას მიჰყო ხელი. ხელგამოსული კაცი იყო და საქმეც გაიჩინა. მართალია, მუდმივი არა, მაგრამ მაინც საქმე და თან, არც თუ ისე ცუდი. მოკლედ თავსაც იქცევდა და ქალიშვილსაც უმართავდა ხელს. ადრე, სანამ ემზარს ეს უბედურება შეემთხვეოდა, კარგი მეზობლობა ჰქონდათ, მით უმეტეს, მას მერე რაც პატარა დათუნამ ფეხი აიდგა და წამოიზარდა, ხშირად სტუმრობდა თავის კარის მეზობლებს, მოალერსე ნატა ბებოს, ხომ მუდამ ჰქონდა მისთვის შოკოლადის კანფეტები და ტკბილეული. ოთხი თვე იყო გასული იმ უბედურებიდან. ბოლო ორთვენახევრის მანძილზე თვალიც აღარ მოუკრავთ მეზობლისთვის. კარები სულ დაკეტილი ხვდებოდათ. არც ზარზე პასუხობდა, არც ტელეფონზე. მერე კარზე წარწერა ნახეს: სახლში არ ვარ! კიდევ კარგი, თორემ უკვე ფიქრობდნენ, თავს რაიმე ხომ არ აუტეხაო და ახლა, ის მაინც იცოდნენ, ცოცხალი იყო.

მისაღებ ოთახში ისხდნენ, საღამო ხანი იყო, ვახშმობის დრო. დიასახლისს მაგიდა გაეწყო, თუმცა სტუმარს პირი არაფრისთვის დაუკარებია. უხმოდ, ჩუმად იჯდა. ერთ ამოჩემებულ წერტილს მიშტერებული. ოთახში უხერხული სიჩუმე იდგა.

– ნახევარი წუთი! – აღმოხდა უცებ გახევებულ სტუმარს.

ცოლ-ქმარი შეკრთა: – რა? – ჰკითხა დაბნეული ხმით მასპინძელმა.

– ავტობუსი ნახევარი წუთით ადრე, რომ მოსულიყო, ასვლას მოასწრებდნენ.

დეიდა ნატას ცრემლები გადმოსცვივდა, ძია ისიდორესაც აუწყლიანდა თვალები. ყელში ბურთივით მოაწვა რაღაც, ძვლივს შეიკავა თავი, მეუღლის მსგავსად, არ ატირებულიყო.

სტუმარი ისე წავიდა, არაფერი უჭამია, მასპინძლებიც ვერ ბედავდნენ რაიმეს დაძალე-

ბას. მარტო დარჩენილი მეუღლეები დიდხანს ისხდნენ ჩუმად.

– როგორ შეცვლილა, – როდის როდის ამოილაპარაკა ქმარმა, – აფსუს, როგორი ვაჟკაცი ბიჭი იყო, ეჰ, ასეთი საშინელი ამბავი ვის არ მოტეხავდა? – სინანულით გადააქნია თავი და ცოლს შეხედა.

– კაცები უბედურებას უფრო ძნელად იტანენ, – თქვა დეიდა ნატამ, – იქნებ იმიტომ, რომ ტირილი არ ეხერხებათ ქალებივით. რომ იტირებდეს, ცოტათი მაინც მოეშვებოდა გულზე.

– დიდი მწუხარება ცრემლს აშრობსო, არ გაგიგონია?

– გამიგონია, მაგრამ დაგავიწყდა, იმ დღეს, აქ რა ამბავი იყო, კაციან-ქალიანა ყველა რომ მოსთქვამდა?!

– მაგას რა დამავიწყებს, მგონი პირველად ვიტირე, ჩემს ცხოვრებაში, რაც გავიზარდე. მაშინაც, მარტო ეგ არ ტიროდა, მაშინაც ასე მუმიასავით იყო გახვეული. ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო, ვითომ დრო უშველის მაგ საბრალოს, არა მგონია, რაღაც!

საწოლზე გაუხდელად იწვა. ოთახს მკრთალად ანათებდა კედლის ბრის შუქი, რომლის ზემოთ, მეგის და დათუნას სურათი იყო ჩამოკიდებული. სურათზე დედა-შვილი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ბედნიერად იცინოდნენ.

– რატომ არ დამალაპარაკე, ჩემი ბიჭი? იქნებ, რის თქმა უნდოდა? – ამოილაპარაკა უცებ „მუმიამ“. პასუხის გამცემი არავინ იყო. საწოლზე გადაბრუნდა, სახე ბალიშში ჩარგო. ისევ იცვალა გვერდი, წამოდგა, სურათთან მივიდა: – რატომ არ მოდიხართ ჩემთან? სიზმარში მაინც მოდით, ასეთი რა დაგიშავეთ, რომ ერთხელაც არ დამესიზმრეთ, ხომ გიყვარდით? შემიბრალეთ და ერთხელ მაინც დამესიზმრეთ. სიზმარში მაინც ვიგრძნო თავი ბედნიერად! იქნებ, იმიტომ მიბრაზდებით, სხვებივით, რომ ვერ ვიტირე და ვერ ვიღრიალე, მინდა ვიტირო, მაგრამ რა ვქნა? მარტო ცეცხლი ტრიალებს გულში და ცრემლების ადგილი აღარ დამრჩა!

კიდევ გავიდა ერთი თვე. ემზარი, მეზობლებთან ისევ მიდიოდა, ასე, კვირაში ორჯერ, რაღაც რიტუალივით დასჩემდა, მივიდოდა საღამოხანს, დაჯდებოდა და იჯდა ასე გახვეული, მერე ისევ სადღაც იკარგებოდა და ისევ მოდიოდა. იმ საღამოს ისევ მივიდა. ამჯერად მასპინძელი ლოგინში დახვდა მაღალი სიცხით.

ავადმყოფი, თავზე მეტად, იმაზე წუხდა, სასწრაფოდ დასამთავრებელი საქმე, რომ ჰქონდა ხვალისთვის და ვერ წავიდოდა.

– მისამართი მომეცით, მე წავალ! – წყნარი ხმით თქვა სტუმარმა.

– კაფელის აკვრა შეგიძლია? – ჰკითხა მასპინძელმა.

უსიტყვოდ დაუქნია თავი.

– რას ამბობ კაცო, მაგის თავი სადა აქვს ბიჭს? – უსაყვედურა ქმარს დეიდა ნატამ.

– გულს მაინც გადააყოლებს! – დაასკვნა ისიდორემ, მოგვიანებით, როცა სტუმარი წავიდა.

ეზოში შევიდა, ახალგაზრდა ბიჭებს, მანქანის კარბურატორს, რომ უკირკიტებდნენ შეეკითხა, მიასწავლეს. მეორე სართულზე ავიდა და ზარის დასარეკად ხელი ასწია. დარეკვა აღარ დასჭირდა, კარი გაიღო და ახალგაზრდა, მოხდენილმა ქალმა გარეთ გამოსვლა დააპირა, მის წინ მდგომი წვერებიანი, გამხდარი, მკაცრი სახის მამაკაცის დანახვაზე შეკრთა და შემცბარი, წამით ადგილზე გახევდა.

კაცმა მშვიდად და უინტერესოდ ახედა: – ბატონი ისიდორე ავადაა, მე ვიმუშავებ მის ნაცვლად.

– არა უშავს ხვალ ან, თუნდაც ზეგ მოვიდეს, მირჩევნია მისი დაწყებული საქმე მანვე დაამთავროს.

– როგორც გინდათ, ოღონდ, ფილტვების ანთება აქვს და მეეჭვება ხვალ და ზეგ მოვიდეს, – ისევ მშრალად თქვა მოსულმა, მიტრიალდა და წასვლა დააპირა.

ქალი დაფიქრდა, – კარგი, მოიცათ, შემოდით! – თქვა და ოთახში შეუძღვა, – დედა! – გასძახა მეორე ოთახში, – ერთი წუთით მოდი!

საძინებელი ოთახიდან ხანშიშესული ქალბატონი გამოვიდა.

– ისიდორე ავად ყოფილა, ეს კაცი მის მაგივრად იმუშავებს, აჩვენე სამზარეულო, მე მეჩქარება, უნდა წავიდე!

– დედიკო, მოდი! – მოისმა საძინებლიდან პატარა ბიჭის ხმა.

– დათუნა, გეყოფა ჭირვეულობა, სამსახურში მაგვიანდება, იცოდე, ბებო არ გააჯავრო, თორემ ხომ იცი, მე ყველაფერს ვხედავ და საღამოს კანფეტებს აღარ მოგიტან!

საძინებლიდან გამოსული ქალბატონი მოსულს მიესალმა და მერე ქალიშვილს მიმართა.

– მზია, შვილო, მითხარი, ეს ვარსკვლავგიჭუნას ზღაპარი რომელია, ეგეთი ზღაპარი საერთოდ არ ვიცი, დაუჟინია, ეგ ზაპარი მიამბეო. იქნებ იცი რომელ წიგნშია, რომ მოვძებნო და წავუკითხო.

– არ ვიცი, მგონი ის უყვებოდა, წარმოდგენა არ მაქვს როგორ ახსოვს, რამე სხვა მოუყევი! კარგი, წავედი.

ქალი წავიდა. მოხელის მაგიერი იდგა და ელოდებოდა მასპინძელი ქალბატონი როდის მიხედავდა. მხოლოდ მაშინ შეკრთა, როცა ქალმა თავის ვაჟს სახელით მიმართა. გულის მხარეს ჩხვლეტა იგრძნო, ცოტა ხანში გადაუარა. ქალბატონი სამზარეულოში შეუძღვა და აჩვენა რა იყო გასაკეთებელი, მერე მიბრუნდა და კარები გაიკეტა.

მზია ეზოში ჩავიდა. ბიჭებს, ემზარს, რომ მიასწავლეს, მიესალმა და თავის მანქანას მიაშურა. ბიჭებმა მეზობელს ახედეს.

– მაგარი, ლამაზი ქალია, – თქვა ერთმა.

– ჰო, ოღონდ, ქმარი ჰყავს დეგენერატი, წარმოიდგინე, როგორი სულელი უნდა იყოს კაცი, ამისთანა ქალის ხეხვას, რომ ციხის კედლების ხეხვა არჩიოს!

მზიამ ყური მოჰკრა, ბიჭის ამ უხამს სიტყვებს, წამოენთო, წამით საშინელმა სიბრაზემ შეიპყრო. დააპირა მიბრუნებოდა და გამოელანძღა ეს უზრდელი და უტიფარი, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც შეძლო თავის შეკავება. სამსახურშიც იგვიანებდა და ეგ კიდევ არაფერი, უფროსი თავად იყო და ვერავინ შენიშვნას ვერ მისცემდა, ოღონდ, თავად არ უყვარდა დაგვიანება და თან არც ის ისურვა, ახალი სამუშაო კვირა ჩხუბით და ნერვიულობით დაეწყო, ისედაც უგუნებოდ იყო, ცალკე, დათუნა ჰყავდა გაცივებული, მართალია, ამ დილით სიცხე აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ წაიყვანა ბაღში, ისევ არ გაცივდესო. მანქანის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა. – ისე, მართალია, ეგ უზრდელი. მართლა სულელია, ჰო სულელი! – გაიფიქრა ქმარზე და მანქანის გასაღები გადააატრიალა. მერე, უცებ, ისიდორეს მაგივრად მოსული კაცი გაახსენდა: – რა მკაცრი და რა საშინელი სახე ჰქონდა და თან, რა უცნაური ცისფერი თვალები, – გაიფიქრა, – ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა! – გაეღიმა და მანქანა ადგილიდან დასძრა.

შუადღე მოახლოვდა. დათუნა ლოგინში იწვა და დაძინებას საერთოდ არ აპირებდა, ამაოდ დაშვრა მისი ბებო, ხან „იავნანა“ უმღერა, ხან „წითელქუდას“ და „კონკიას“ ზღაპრის მოყოლა სცადა, პატარას ჯიუტად არ სურდა ასჯერ მოსმენილი ზღაპრების, ას მეერთედ, მოსმენა.

– ბებო, „ვასკვლავბიჭუნას” ზღაპარი არ იცი?!

– არ ვიცი ბებო, არა, დედა მოგიყვება საღამოს!

– არც დედიკომ იცის!

– მაშინ, ბაღში რომ წახვალ, იქ მოგიყვება, შენი ია მასწავლებელი!

– არ იცის, ია მასწავლებელმა!!!

– აბა, ვინ იცის? – ცოტა არ იყოს გაბრაზდა ბებო, – მამაშენი გიყვებოდა? ერთი წლის წინ მონაყოლი, როგორ დაგამახსოვრდა, ნეტავ?

– მამიკო მალე ჩამოვა? – იკითხა ბიჭმა.

ქალმა ამოიოხრა: – მალე, შვილო მალე!

– როდის მალე, დღეს?

– არა, დღეს არა.

– ხვალ, მალე?

– არა.

– აბა, როდის, მალე?

– დათუნა ნუ მაწვალებ, თორემ ხომ გაიგონე? იცოდე, მზია კანფეტებს აღარ მოგიტანს!

– არ მინდა „კაფეტი“, მამიკო მოვიდეს!

ქალი ფიქრებში წავიდა. თავიდანვე არ მოსწონდა ნუგზარი სასიძოდ. იქნებ დედის გულის და ავი წინათგრძნობის გამო. მზიას შეყვარებული, არც გარეგნობით დაიწუნებოდა და არც ხასიათით. არ დაუჯერა ქალიშვილმა და მაინც გაჰყვა. მზია ბედნიერი იყო, მერე დათუნა დაიბადა და სიდედრის გულიც მოლბა, მაგრამ მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია და მზიას ბედნიერებაც ერთი წლის წინ დამთავრდა. რამდენადაც კარგი იყო ნუგზარი სიფხიზლეში, იმდენად ცუდი და აუტანელი სიმთვრალეში, ახირებული და ჩხუბისთავი. იცოდა თავისი თავის ამბავი და დალევას ერიდებოდა, მაგრამ მოსახდენი, მაინც მოხდა. რესტორანში, მთვრალმა ჩხუბი ატეხა და ვიღაც მძიმედ დაჭრა. ის ვიღაც სვანი აღმოჩნდა, ის კაცი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ დამნაშავეს საქართველოში აღარ ედგომებოდა. ცალკე პოლიცია ეძებდა, ცალკე

დაჭრილის ნათესავები. რუსეთში გადაიხვეწა. ერთი თვეც არ იყო გასული იქაც, ვიღაც დაჭრა. ამჯერად გაქცევა ვეღარ მოახერხა, დაიჭირეს და 10 წლით ჩასვეს. როგორ აეხსნა პატარა შვილიშვილისთვის ეს ყველაფერი...

ბიჭი ისევ რაღაცას ეკითხებოდა, სამზარეულოდან რეზინის ჩაქუჩის ყრუ კაკუნი ისმოდა, ნელ-ნელა მიელულა თვალები. დათუნა ცოტა უფრო დიდი, რომ ყოფილიყო, ალბათ, სიცილით გაიგუდებოდა: ბებო მის დაძინებას აპირებდა და თავად, არ ჩაეძინა?!

ბებოს ეძინა, სამზარეულოდან კი დრო და დრო ისევ ისმოდა ჩაქუჩის კაკუნი. ბიჭი ლოგინიდან ჩამოძვრა, ფლოსტებში შიშველი ფეხები შეყო და სამზარეულოსკენ გასწია. ღია კარებში შეიხედა და კარებთან შედგა.

ემზარს, ბიჭი თავიდანვე არ დაუნახავს. სკამზე ასული კედელზე კაფელს ამაგრებდა. ჩასვა და მორიგის ასაღებად შემობრუნდა. მზერა გაუშეშდა, წონასწორობა დაკარგა, კინაღამ გადმოვარდა სკამიდან, ძვლივს შეიმაგრა თავი, წამით მოეჩვენა რომ კარებში მისი დათუნა იდგა. პატარა ბიჭი თავისი ლამაზი, დიდრონი თვალებით ცნობიმოყვარედ შეჰყურებდა. ძვლივს ჩამოვიდა სკამიდან. იგრძნო მუხლები ეკეცებოდა. იქვე დამტვერულ, ჭუჭყიან იატაკზე ჩაჯდა. ბიჭი მიუახლოვდა და მის წინ შედგა.

– შენ, ჩემი მამიკო ხარ? – ჰკითხა.

ამაოდ შეეცადა რამე ეპასუხა, ყელიდან რაღაც დაუნაწევრებელი ბგერები ამოუვიდა.

ბიჭი, მუხლებზე ააბობღდა და მკერდზე მიეკრა. ქვემოდან ამოხედა: – „ვასკვლავბიჭუნას“ ზღაპარი მინდა!

ბებოს გაეღვიძა. შეიძლება სიჩუმემ გამოაღვიძა, არც დათუნას ტიტინი ისმოდა და არც სამზარეულოდან ჩაქუჩის კაკუნი. საწოლს დახედა. ცარიელი დახვდა.

– დათუნა, ბებო, სად ხარ? – შეშფოთებით წამოიძახა და სწრაფად წამოდგა. მისაღებ ოთახში გამოვიდა, იქაც არავინ იყო, სამზარეულოს კარი ღია დაინახა, არადა ახსოვდა, რომ დაკეტა, იქედან გამოსულ ხმაურს რომ არ შეეწუხებინა, კარებს მიაშურა და ზღურბლზე შედგა. უცნაურმა სანახაობამ ადგილზე გააშეშა:

კაცი, პირდაპირ მტვრიან იატაკზე იჯდა. მის მლავებზე მშვიდად ეძინა დათუნას. მამაკაცს გულზე მიეკრა პატარა. თავგადაწეულს, თავისი, საოცრად ცისფერი თვალები ფანჯრისთვის მიეპყრო, სადღაც იქ გარეთ, სარკმლის მიღმა სივრცისთვის მიემართა სახე და მზერა, მძინარე პატარა ბიჭს ვარსკვლავბიჭუნას საოცარ თავგადასავალს უყვებოდა, თვალებიდან კი, ღაწვებზე ცემენტის და რემონტის მტვერსა და ჭუჭყს, ქვემოთ რეცხავდნენ და ორ ნაკადულად, თქრიალით, მოედინებოდნენ ცრემლები.

26.04. 2017 წ.

„თვალს ცრემლი მოედინოსა!“
სევდა, უარყოფილ სიყვარულის,
ღელვა, მიღებულის, გრძნობათ შერწყმის!
ცრემლი, ტანჯვისა თუ სიხარულის.
უფალო, მადლობა ორთავესთვის!

09.05. 2004 წ.

გივი სიხარულიძე

იმედის ხაზები

რის ვაივაგლახითა და წვალებით მიღებული ამერიკის ვიზით, ერთი ინტელიგენტი ქართველი ქალბატონი, ლუკმა-პურისა და ბედის საძებნელად ოკეანის გაღმა მიემგზავრებოდა... მიემგზავრებოდა და ცრემლის ნიაღვარში ტოვებდა თავის ერთადერთ პირმშოს. დედამისს კი ასჯერ გაუმეორა: შენ იცი, ჩემს სიცოცხლეს როგორც მოუვლიო. წასვლის წინ შვილი კედელს მიაზომა, თავთან ხაზი გაუსვა და თვალცრემლიანმა უთხრა – „ჩემო ვაჟკაცო, იცოდე, სანამ კედელზე მეორე ხაზი გაჩნდება, ან თან წაგიყვან, ან უკან დავბრუნდებიო“. მერე, ელდანაკრავივით შეტრიალდა და ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს, ჩაესვენა მანქანაში, რომელსაც აეროპორტში მიჰყავდა. ბიჭი გარინდული იდგა და კედელზე გასმულ ხაზს შესცქეროდა. მერე თითის წვერებზე აიწია და ცდილობდა ხაზს ასცილებოდა. თვე თვეს მისდევდა, წელი-წელს. ბიჭი იზრდებოდა და, კედელზე ხაზებიც ისევე მატულობდა, როგორც მის ოთახში გამოგზავნილი ამანათების გროვა. დედა კი არა და არ ჩანდა. ბიჭი ტელეფონის ყურმილში დედის ხმას კი არა, უკვე სუნთქვასაც გრძნობდა.

– დედიკო, როდის ჩამოხვალ და თან წამიყვან, – ამით იწყებოდა მათი საუბარი.

– მალე, ჩემო ერთადერთო, – გაისმოდა დედის შორეული ხმა ყურმილში. მაგრამ, ეს „მალე“ უსასრულობაში იკარგებოდა.

ერთ დღეს, მეზობელს, ონკანი ღია დარჩა და წყალმა ქვედა სართულის კედლები ჩამორეცხა. უცნაური ის გახლდათ: იმ კედელს, რომელზეც ბიჭის ზომები იყო აღნიშნული, წყალმა ვერაფერი დააკლო. ბიჭმა ხაზებიან კედელს ააყოლა თვალი, რომელიც ცისკენ მიმავალ უსასრულო კიბეს დამსგავსებოდა: – „თქვე მატყუარა ხაზებო, თქვე მოღალატეებო!“ – სიმწრისგან მუშტი გაჰკრა კედელს და გულში ამდენი ხნის დაგუბებული ბავშვური ბოღმა და ნაღველი ცრემლს გაატანა. ოთახში ზარის ხმა გაისმა. ბიჭი ყურმილს დასწვდა: „ალო!.. გისმენთ, რომელი ხართ,“ – ისმოდა მისი ათრთოლებული ხმა – მე ვარ, შვილო, როგორა ხარ, დედა გენაცვალოს... – კარგად“ – უპასუხა ბიჭმა და საკუთარ ცრემლს მოერია. მერე კი, დიდი ვაჟკაცივით, დინჯად მიუგო – გამაგებინე, დედა, სანამდე უნდა ვავლო ხაზები კედელზე – ცოტაც მოითმინე, ჩემო პატარავ, ხომ იცი, იმისათვის ვარ აქ, რომ არაფერი მოგაკლო. ხომ ყველაფერი გაქვს, რასაც ინატრებ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო! – კი, დედა, ყველა ოცნება შემისრულდა, შენი ნახვის გარდა, – სევდით წარმოთქვა ბიჭმა და ყურმილი იქვე მდგომ ბებიას გაუწოდა. მათი მცირე დიალოგის შემდეგ, სატელეფონო ხაზი გაწყდა და ყურმილში გაისმა გამაღიზიანებელი წყვეტილი ხმა. თითქოს ტელეფონისა და კედლის ხაზებს ერთმანეთში პირი შეეკრათ და არც ერთი აღარ აპირებდა ბიჭის ცხოვრებიდან გაქრობას.

პატარა კი იზრდებოდა უდედოდ, ტელეფონის ხაზის წკრიალსა და კედლის ხაზებს შორის... ერთ დღეს, ამერიკიდან დარეკეს და ბებიას მწუხარე ხმით ამცნეს, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც თურმე, უკურნებელი სენით იყო დაავადებული, გარდაცვლილიყო – ვაი, შვილო! – შეჰკივლა მოხუცმა და გულწასული დაეცა – ბებო, ბებო! – გაიძახოდა ბიჭი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჯანჯღარებდა ახლა უკვე თავის ერთადერთ იმედს. როგორც იქნა, ქალმა თვალი გაახილა. როცა გონებაში ყველაფერი აღიდგინა, გრძნობები დათრგუნა, შვილიშვილი გულში ჩაიკრა – არ შეშინდე, ბებო, არაფერია, ცოტა ცუდად გავხდი...

ერთი კვირის შემდეგ, ამერიკიდან ცხედარი სახლში ჩამოასვენეს. ხოლო ბიჭს დედის სანაცვლოდ მის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიში შეაჩეჩეს ხელში.

გახსნილი ანგარიში და დახურული ცხოვრება... აი, იმ მრავალი ემიგრანტის ბედი, რომლებიც, ბედის უკუღმართობით, მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. იყო ერთი ვაივაში და თალხით შემოსილ ქალთა გოდება. მეზობლებმა სარდაფში ჩაგდებული მტვრიანი ტახტი ამოიტანეს, საგულდაგულოდ გაწმინდეს, ხალიჩა გადააფარეს და ცხედარი ზედ დაასვენეს. იდგა ბიჭი და დასცქეროდა გარდაცვლილ, ნანატრ დედას. თვალი რამდენიმე ხაზისაგან დაღარული კედლისაკენ გაექცა. მერე, კედელთან მშვიდად მივიდა, იმედის გამაცრუებელ ხაზებს წაშლა

დაუწყო... როგორც კი დედის აღნიშნულ ხაზამდე მივიდა, ცხედარს გახედა... მიცვალებულის უკვე დასვენებული სახე ზუსტად მის მიერ ათი წლის წინ აღნიშნულ ხაზს საყვედურობდა...

ბიჭს, ბავშვისათვის შეუფერებელი გმინვა აღმოხდა: – მადლობა, დედა, სიტყვის შესრულებისათვის. აკი შემპირდი, სანამ მეორე ხაზის გასმა დაგჭირდება, დავბრუნდებიო...

სიკვდილის ყუთი

განა არსებობს ქვეყნად ადამიანებს შორის სიყვარულზე ძვირფასი რამ? არსებობს და თან როგორი მძაფრი, მას ძაღლური ერთგულება ჰქვია. სიყმაწვილის წლებიდან ჩემი ოცნებისა და ნატვრის საგანი იყო კავკასიური ნაგაზი. რადგანაც, ერთოთახიან საერთო ბინაში მშობლებთან ერთად ვიყავი გამომწყვდეული, ჩემი ოცნება ლამაზ ოცნებად დარჩა, მაგრამ სიყვარული ამ უტყვი არსების მიმართ წელთა დინებამ ვერა და ვერ გაანელა. ერთხელ ქუჩაში მონადირე მეძაღლეებმა ორი მაწანწალა ძაღლი დაიჭირეს და განწირული წკმუტუნით ჩაუძახეს სიკვდილის ყუთში. მანქანით ვიყავი და გზა გავაგრძელე, ერთი კილომეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ უცებ მანქანა შემოვატრიალე, დავეწიე და ფულით დავიხსენი ისინი სამუდამო დადუმებისაგან.

უნდა გენახათ რა შეშინებული და ბედნიერები იყვნენ უცაბედი თავისუფლებისაგან. საწყლებმა მთელი ძალით გაკურცხლეს ღია ჭიშკრისკენ და სადღაც მიიმალნენ. ის იყო მანქანაში ვჯდებოდი, რომ ძაღლის საბრალო წკმუტუნი შემომესმა, შემოვტრიალდი და მეძაღლეების მანქანას ავახტი, სიკვდილის ყუთიდან ქუჩის მაწანწალა, პატარა, ლამაზი ძაღლი განწირულად შემომცქეროდა. თითქოს მეუბნებოდა, შე კაი კაცო, მე რაღად დამტოვეო. მანქანასთან მდგომი მეძაღლეები მიხვდნენ, რომ ფულის შოვნის წყარო გაუჩნდათ, ჰოდა, მეც აღარ დავაყოვნე, მანქანიდან ათლარიანი გადავუგდე და ვანიშნე, სიკვდილის ყუთი გაეხსნათ. ერთმა მათგანმა ძაღლი ამოიყვანა და ქუჩაში დასვა. მაინტერესებდა, გაიზიარებდა თუ არა იგი თავისი წინამორბედების ხვედრს და სასწრაფოდ გაეცლებოდა იქაურობას, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, იგი ადგილზე გაქვავდა და ფეხს არ იცვლიდა. იმის შიშით, რომ ამ ძაღლიშვილებს ეს უცოდველი ცხოველი, ჩემი წასვლის მერე, ისევ სიკვდილის ყუთში არ ჩაეგდოთ, მანქანა არ დავძარი ადგილიდან. ისინი გამომეშვიდობნენ და ახალი სიცოცხლის მოსანუსხად გაემართნენ. როცა მათი მანქანა თვალსაწიერს მიეფარა, მეც გავემართე ჩემი მანქანისაკენ. ძაღლი გამომედევნა და ფეხებში მებლანდებოდა. – წადი ცუგა, წადი! – ვუთხარი მე და ნელი სვლით გზას გავუდექი, თან სარკეში ვიყურებოდი, მაინტერესებდა, რას იზამდა. მან რამდენიმე ნაბიჯი მანქანისკენ გადმოდგა და რომ მიხვდა, ვერ დამეწეოდა, სასოწარკვეთილი ადგილზე დარჩა.

ფიქრით შორეულ წარსულს დავუბრუნდი, გამახსენდა ბავშვობის წლებში მომხდარი ამბავი, როცა მე და ჩემმა მეგობარმა სტადიონზე შესვლა გადავწყვიტეთ. მე მამა მყავდა დაპატიმრებული, მას დედა გარდაეცვალა და მამამაც მიატოვა. თავის უფროს და-ძმასთან იზრდებოდა. შესახედავადაც უხეირო იყო, თითქოს ბედს დაეცინა მისთვის. ფეხბურთზე დასასწრებად ჩემი გეგმა მქონდა შემუშავებული, რითაც ყველა მატჩს ვესწრებოდი. როცა ვინმე ბილეთიანი დარბაისელი კაცი გამოჩნდებოდა, მოკრძალებით მივდიოდი და ვთხოვდი: – ბიძია, ვითომ თქვენი შვილი ვარ, იქნება სტადიონზე შემიყვანოთ-მეთქი. არ მახსოვს, ამ თხოვნაზე ვინმეს უარი ეთქვას. ჰოდა, ჩემს მეგობარსაც ვასწავლე, როგორ უნდა მოქცეულიყო. პირველად მე ავარჩიე ვიღაც ჭაღარა კაცი. ჩემს თხოვნაზე ღიმილით ხელი გადამხვია და სტადიონზე აღმოვჩნდი. შიგნიდან ვუყვიროდი: მიდი, ბიჭო, ვინმესთან და სთხოვე, შემოგიყვანოს, მაგრამ ბუნებით მორცხვმა ვერ გადადგა ეს ნაბიჯი. როცა ძალიან შევუჩნდი, ვიღაც ახმახი კაცი აარჩია, მივიდა და სთხოვა, ვითომ თქვენი შვილი ვარ, შემიყვანეთო. ახმახმა ცუდად ჩაცმული ბიჭის შვილობა იუკადრისა, რაღაცა ჩაიბურტყუნა და გასცილდა. საწყალი კი დარცხვენილი იქვე მდგარ ბოძს ნირდაკარგული აეტუზა. იმ წუთას გარეთ გამოვვარდი, ხელი გადავხვიე და ვუთხარი, ეგ ვიღაცა არაკაცი ყოფილა, სხვა ავარჩიოთ-მეთქი. მან მწარედ ჩაიღიმა: – საკუთარმა მამამ მიმატოვა ბიჭო, სხვა როგორ მიშვილებსო?! გული დამეწვა, ვინანე საერთოდ სტადიონზე მოსვლა და ვუთხარი: იცი, რას გეტყვი? ძალიანაც კარგი, რომ ვერ შევედით, მაინც „ფარჩაკულ“ გუნდთან თამაშობენ. ის იყო, შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ, რომ ვიღაც მაღალმა კაცმა, ჯიბიდან ბილეთი ამოიღო და შესძახა: – ზედმეტი ბილეთი ვის უნდა? – ნაბიჯი წინ გადავდგი, მაგრამ რადგან დიდი ბიჭები მისცვივდნენ, ადგილზე გავშეშდი, მივხვდი, ის ბილეთი მე არ მერგებოდა – უცებ ხმა შემომესმა: – არა, არა, ეს ბილეთი ამ პატარა ბიჭისაა, ხალხის რკალი გაარღვია და თანაგრძნობით გამომიწოდა ბილეთი. მადლობა გადავუხადე და ბილეთი ჩემს მეგობარს ვაჩუქე. ჩემი საქციელით გაკვირვებულმა მკითხა: – შენ

რატომ არ დაიტოვეო? ბიძია, ვუთხარი მე, – ამ ბილეთით ჩემი მეგობარი შევიდეს, მე კი, როგორც შვილი, ვინმეს შევყვეში-მეთქი. რაღა სხვის შვილად, ბარემ ჩემთან ერთად შემოდიო, მითხრა მან და მანიშნა, წინ გამიძეხიო. ასე მოვხვდით იმ დღეს ფეხბურთის მატჩზე – მე შვილად, ხოლო ჩემი ძმაკაცი, ბილეთით. როცა ფიქრიდან გამოვედი, სასწრაფოდ დავამუხრუჭე მანქანა და უკანა სვლით მოვწყვიტე ადგილიდან. სწრაფად მცირდებოდა მანძილი ჩემსა და ძაღლს შორის. როგორც კი შენიშნა მანქანა, ჩემსკენ გამოიქცა. მანქანა შევაჩერე და გადმოვედი. ჩემი გადმოსვლა და იმის მანქანაში შეხტომა ერთი იყო. როცა ჩავჯექი, გერდითა სკამზე წამოსკუპდა. სევდიანი, მაგრამ მადლიერი თვალებით შემომცქეროდა. ასე აღმოვჩნდით სახლში მე და ჩემი პატარა უმწეო მეგობარი. ჩემიანებმა ძაღლი ლაზათიანად დაბანეს. როცა ოთახში შემოიყვანეს, ისე გალამაზებულიყო, თავი ვეღარ შევიკავე და მოვეხვიე. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. წლები მიდიოდა. ვეტექიმის დასკვნით ძაღლი ხუთი წლის იქნებოდა, როდესაც საზღვარგარეთ სამუშაოდ მიმიწვიეს, ყველაზე ძალიან მშობლების მიტოვება გამიჭირდა, ამას ზედ დაერთო ძაღლის სიყვარულიც. განშორების წუთები ახლოვდებოდა. ცუდ ხასიათზე ვიყავი... ჩემი ცხოვრების თანამგზავრი და თანამოზიარე უტყვი არსება გრძნობდა ჩემთან განშორების ტკივილს, მაგრამ მის თვალებში იმედის ნაპერწკალი შევამჩნიე. ალბათ, ფიქრობდა, იქნება თან წამიყვანოსო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ნაპერწკალს ხანძრად გადაქცევა არ ეწერა. ღამე საწოლში ჩემს ფეხებთან გაატარა. არც მე და არც მას თვალი არ მოგვიხუჭავს. ორივე მეორე დღის განშორების სევდით ვიყავით შეპყრობილი. დილით მაგრად ჩავიკარი გულში. შემდეგ ჩემს მშობლებს გადავეხვიე, მერე უცებ შემოვტრიალდი და ისე, რომ უკან აღარ გამომიხედავს, გზას გავუდექი.

ჩემი საზღვარგარეთ ყოფნის მეორე წელი იწურებოდა, როცა მეგობარმა დამირეკა – მამაშენი ძალიან ავად შეიქნა და უნდა ჩამოხვიდეო. გულმა რეჩხი მიყო. მეორე დღესვე ჩამოვფრინდი, როცა სახლს მივუახლოვდი, ყველაფერს მივხვდი. არ მახსოვს, როგორ ავირბინე ხალხით სავსე კიბე. ძაძებში გახვეული დედა მამის ცხედართან იჯდა. გავქანდი, დედის კალთაში პატარა ბავშვივით ჩავრგე თავი და ავქვითინდი. როცა გონს მოვეგე, ძაღლი მოვიკითხე. მეგობარმა მანიშნა წამომყევიო. კიბეზე დავეშვით. ძაღლის საცოდავი წკმუტუნი შემომესმა. კიბის ქვეშ შევიხედე და გავშეშდი. ძაღლი საშინელ მდგომარეობაში დამხვდა. სახესა და თავზე, რამდენიმე ადგილას სისხლის ნაიარევი აჩნდა. – რა მოხდა, ვინ დაასახიჩრა ასე? – შევყვირე გამწარებულმა. ჩემს ხმაზე ნელი ბარბაცით გამოვიდა და თავი სიყვარულით დამადო. მთელი ტანი უთრთოდა. მუხლზე სისველე ვიგრძენი. მეგონა სისხლი მოსდიოდა. ხელი მოვხვიე და სახე ავუწიე. ნეტა სისხლი ყოფილიყო. ეს იყო მისი სამძიმრის ცრემლები, რომელიც უკვე მიმქრალი თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. გული ჩამწყდა. – რა მოხდა? გავიმეორე გიჟივით.

– რა მოხდა და მამა რომ გარდაიცვალა, ცხედარს არ მოსცილდა. ვერაფრით გარეთ რომ ვერ გავიყვანეთ, დავტოვეთ კუბოსთან. დილის ხუთი საათი იქნებოდა, რომ დარტყმის ხმა შემოგვესმა. სასწრაფოდ ოთახში შევედით და გავოცდით, საცოდავი ძაღლი მთელი ძალით ურტყამდა თავს კუბოს ფიცარს. ძლივს, ძალისძალად მოვაცილეთ, შემდეგ ამ კიბის ქვეშ მოიკალათა და ახლოს არავინ გაგვიკარა. როცა ვნახეთ, გული მოგვიკვდა, ერთ ღამეში დაბერებულიყო.

ის ღამე მასთან ერთად კიბის ძირში გავატარე. თავი თავს მივადეთ და ასე შევხვდით გარიჟრაჟს. როგორ არ მეხვეწნენ ჩემიანები, მაგრამ არ მივატოვე. მივხვდი, რომ იგი ღმერთს ჩემს სულიერ სამყაროში უბედურების თანამოზიარედ შემოეგზავნა. ბედნიერი ვიყავი, რომ ქვეყანაში, სადაც ბობოქრობდა უგუნურება, უგულობა, სიავე და სიბინძურე, ღმერთმა უზადო სიყვარულის ღირსი გამხადა. პირველად ჩავფიქრდი იმაზე, რომ ქუჩის მაწანწალა ძაღლს უფრო მეტი ერთგულება და სიყვარული შეუძლია, ვიდრე ჩვენ ყველას ერთმანეთის მიმართ. როცა მამის ნეშტი მიწას მივაბარეთ, უკან ვბრუნდებოდით მწუხარებით სავსე სამი არსება – დედაჩემი, მე და ძაღლი. მთელი საღამო სიტყვა არ დაგვიძრავს. არც ძაღლს დაუყეფია ან დაუკვნესია. ყველამ ის საღამო მწუხარე იდუმალებით მოსილებმა სიჩუმით მივუძღვენით ერთმანეთს. მეორე დღეს ჩემს უდროოდ დაბერებულ ჭირისუფალ ძაღლთან ერთად აეროვაგზალის სალაროს მივაკითხე, რათა უკან დასაბრუნებელი ბილეთი ჩამებარებინა. ვუყურებდი ძაღლს და მივხვდი, რომ შესანიშნავად იგრძნო, რაც მოხდა. ალერსიანად მომადო ფეხზე თავი და გაირინდა, ამით გამოხატა თავისი მადლიერება. მივხვდი, რომ არაფერი უნდა მეთქვა. მუხლზე ჩავიჩოქე და უხმოდ გავიზიარე მისი გრძნობები ჩემს მიმართ. ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარულით დაიწყო და შეუდარებელი, აუნაზღაურებელი ძაღლური ერთგულებით გათავდა.

ნინო რეხვიაშვილი

დედა, მადლობა ყველაფრისათვის!

დედა... ვერ მშველი შვილო? – კი დედა, ნუ გეშინია, ექიმებმა მითხრეს დედიკო საახალწლოდ სახლში გეყოლებათ, ყველაფერი კარგად იქნებაო, ვუპასუხე და ცივი ოფლის წვეთებით დანამულ საოცრად ტკბილ შუბლზე ვეამბორე, აცახცახებული, კოხტა ხელის მტევნები დავუკოცნე და გულში ჩავიკარი, არადა ცრემლი მახრჩობს, ვიცი რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრაა, ბოლო დედა-შვილური ალერსი ამქვეყნიურ წუთისოფელში. – ფორთოხალი... ფორთოხალი მომიტანე, მეუბნება შეფარვით, ჩურჩულით, იცის, რომ არ შეიძლება, მაგრამ მთხოვს, მთხოვს უკანასკნელად, – მოგიტან დედა, ახლავე მოგიტან, ვუთხარი სიმწარენარევი ღიმილით და ექიმთან მივვარდი, გთხოვთ ექიმო, გთხოვთ დამრთოთ ნება ფორთოხალი მოვუტანო-მეთქი, – კარგი, მოუტანეთ, მითხრა და ელვისებური სისწრაფით დავეშვი რეანიმაციის კიბეებზე, გული მიგრძნობდა, რომ წუთები გვაშორებდა მე და დედიკოს და აი, 5 წუთში რეანიმაციის ბლოკში აღმოვჩნდი, ხელში ბანანი და ფორთოხალი მიჭირავს, უეცრად გავშეშვდი, მზერა გამეყინა, ვხედავ დედა სასუნთქ აპარატზეა შეერთებული და პულსი აქა-იქაღა ურტყამს, ვახ, ღმერთო ჩემო... ნუთუ ამით მთავრდება ყველაფერი, ნუთუ აღასრულა ვალი იჯახის წინაშე, ... ვაი, რომ დამთავრდა, ჩაეშვა დედას ღუზა... 45 წელი აქტიური პედაგოგიური ცხოვრებით იცხოვრა, 71 წელი ოჯახის ერთგულებაში განვლო, ოთხი შვილი გაზარდა, 10 შვილიშვილი უხარებდა გულს, მეთერთმეტეს სულმოუთქმელად ელოდა, მაგრამ ვეღარ მოუსწრო...

დღეს კი, მის საფლავთან დაჩოქილი და მუხლმოყრილი სურათს ვეფერები, მიწას ხელით ვუსწორებ, თითქოსდა სიმძიმის შემსუბუქებას ვცდილობ...

ვფიქრობ... უსასრულოდ ვფიქრობ... ჭრილობა არა და არ შუშდება, პირიქით, რაც დრო გადის უფრო და უფრო მენატრება, რამდენჯერ მინანია ჩემს მოლოდინში მისი დაღლილი თვალების გამო, რამდენჯერ მიტირია, რომ ჩვენ ყველანი ავად თუ კარგად მივყვებით ცხოვრების რიტმს და ის კი... ის ჩვენთან აღარ არის... დედა, შენ ჩემი ყველაზე ლამაზი გაზაფხული ხარ, აღმაფრენა ხარ, ჩემი სული და გული ხარ, რომელიც წარმგლიჯე და თან წაიყოლე...

ახლა კი ისღა დამრჩენია, პატიება გთხოვო, პატიება ყველაფრისათვის, თუნდაც ჩემ გამო ჩამოვარდნილი ერთი კურცხალისათვის, მადლობა გითხრა, რომ გამზარდე, მომეცი ყველაფერი, რაც შეგეძლო, ყველა სურვილსა და ნატვრას უყოყმანოდ მისრულებდი... მე კი, შენი საბოლოო თხოვნის შესრულება ვერ შევძელი...

დამრჩა მძიმე მოგონებად ჩემი ავადმყოფობისგან დაღლილი, დაღარული და მაინც, უსაშველოდ ლამაზი დედიკოს მიმქრქალი სახე, შველის სათხოვნელად გამოწვდილი ათრთოლებულ-აცახცახებული ხელის მტევანი, – ვერ მშველი, ნინიკო? – ვერ გიშველე, დედა, ვერა, დაავადება ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა... კიდევ ერთი უშენო გაზაფხული, კიდევ ერთი დედის დღის მილოცვა საფლავზე და კიდევ და კიდევ ცრემლი და ცრემლი უსასრულოდ, მანამ ცოცხალი ვარ...

– ვუცქერი იებს, ენძელებს, ფურისულებს... და მაგონდება წარსული,... ბავშვობა... ჩემივე ხელით დაკრეფილი კონებით და სიყვარულით მორთმეული ნიშნად უსაზღვრო სიყვარულისა... დედა, იცი როგორ მინდა ახლაც დავკრიფო და მოგართვა იები... მერე ჩუმად კალთაში ჩაგიდო თავი და ჩემი ფიქრები გაგანდო... დედა... იცი როგორ მჭირდები? იცი როგორ მენატრები? მოფერება მენატრება... შენი ხმა მენატრება, შენი სურნელება მენატრება... ის სურნელება რომელსაც განუმეორებელი გრძნობა "დედაშვილობა" ჰქვია..

ღმერთო, ნათელში მიმყოფე დედიკოს სული!

უფალმა ყოველ ჩვენგანს ბედნიერი და მშვიდობიანი დილა გაგვითენოს.

მადლი

ჯვარში ხვავრიელი თოვლი მოვიდა. ჭანტურიებისას ღუმელში ცეცხლი ლაღობს, ბედნიერების კოცონი გიზგიზებს, სამი შვილი, დედა, მამა – სავსე და ბედნიერი ოჯახი.

პატარა ლუარა სულ რაღაც 6 წლისაა, პირვე-ლკლასელი გოგონა სახლში ვერ ჩერდება, ფანჯრის მიღმა გასცქერის ფანტელების ქორწილს, წრიალებს, გასვლა უნდა, მაგრამ არ უშვებენ, გაცივდები, ზოიკო, ძალიან ცივა, მოეფერა დედა და გულში ჩაიხუტა. დედი, გეხვეწები რა, სულ ერთი საათით გავალ, გუშინ აი იქ, ღობის ძირას ყოჩივარდა შევნიშნე, მოვძებნი, თოვლისგან გავათავისუფლებ და ცოტა ხანს მაინც ხელით ფოთლებს გავუთბობ, გეხვეწები დედი, გამიშვი რა.

– ზოიკო, ამ შუა ზამთარში ყოჩივარდას რა უნდა, აა... თუმცა ეს დღეები ისეთი თბილი ამინდი იყო, შეცდა საწყალი, ამოსვლა იჩქარა, წადი, ჩემო კუდრაჭა, თბილად ჩაიცვი და მასაც ზამთრის ტვირთი შეუმსუ-ბუქე, უთხრა ნუცამ გოგონას და თოვლით დაფარულ ეზოს გადახედა. ჩაფიქრდა, ასეთი დიდი თოვლი ჯვარში დიდი ხანია არ ახსოვთ. წალენჯიხამდე მისასვლელი გზა ჩაიკეტა.

საღამოს ლუდოვიკომ მეუღლეს გულის ნადები გაანდო, – ნუცა, გამთენიისას რაიონში უნდა წავი-დე, როგორმე გზას გავიკვალავ, სხვა საშველი არ არის, არცერთ სკოლას (3 სკოლა იყო სოფლად) ხელფასები არ მიუღია, გზა არ არის და კვალი, ხელფასებს ვინ ჩამოიტანს, საცოდაობაა, ამხელა ზამთარ-ში მასწავლებელს ხელფასიც არ ქონდეს, არა და ამ ამინ-დის შემყურე გამოდარების იმედი არ მაქვს. ნუ გეშინია, განთიადისას წავალ და იმ დღესვე უკან დავბრუნდები.

რა ექნა ნუცას, უარს ვერ ეტყოდა, მეუღლე თოვ-ლთან საპაექროდ შეამზადა და მართლაც დილის 4 საათზე ჯოხით ხელში სახლიდან გაისტუმრა. ლუდოვიკო ჯვარიდან საჩინოს გავლით რაიონში ჩავიდა, სამი სკოლის ხელფასი ჯიბეში ჩაიდო და უკან გამოემართა. გზად ხალხი დიდი პატივისცემით ეგებებოდა მგზავრს, საჭმელს აწვდიდნენ, ეპატიჟებოდნენ.

ნუცა მთელი დღე ნაღვლიანი გასცქეროდა შარას. მეუღლის მოლოდინში გული დაეღალა, მაგრამ შვილებს არაფერი აგრძნობინა. დაღამდა. ბავშვები დააძინა, თვითონ კი სარკმელიდან გასქეროდა გზას, გზას, რომლის კვალიც თოვლის საბანს წაეშალა. ღამის 11 საათია. ხედავს თეთრ ფონზე შავი ლანდი გამოჩნდა, შორიდან ადამიანის სილუეტი თოვლის ფანტელებში შემოდიოდა და წინ მოიწევდა. მოვიდა, როგორც იქნა მოვიდა, შვებით ამოისუნთქა ნუცამ და მეუღლეს კართან შეეგება.

დაღლილ დაქანცულმა ლუდოვიკომ ამ დღეს მარ-თლაც რომ საგმირო საქმე ჩაიდინა. მეორე დილით მასწავლებლებლმა ხელფასი აიღეს, თუმცა დიდხანს არავინ იცოდა, ამ უგზოობის ჟამს, როცა სოფელი რაიონულ ცენტრს იყო მოწყვეტილი, ვინ ჩაიტანა პედაგოგების ხელფასი.

მასწავლებლების მადლიერი და გაოცებული სახე-ები ლუდოვიკოსთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო. მადლმოსილი კაცის მადლიანი ქცევა ჯვარში დღემდე ახსოვთ.

ლუდოვიკო ჭანტურია თანასოფლელთათვის მისაბაძი ადამიანი გახლდათ.

გაზაფხულა

გაზაფხულის კარიბჭე ფართოდ გაიღო და ყინვისაგან დამბრალი მიწა საკინძეშეხსნილ გულ-მკერდს ძალუმად უშვერს უკვე ძალაუფლება აღჭურვილ ცხრათვალა მზეს, ოდნავ ამოწვერილი ბალახი ყინვისაგან დაღლილ დედამიწას, მწვანე ხასხასა ფარდაგით მოსავს. ახლად მოფრენილი მერცხლები ჯარასავით დატრიალებენ რომ ახალი ბუდე აიშენონ და ჭიკჭიკით აყრუებენ არემარეს. იები და ენძელები ამ ყოველივეს ეშხსა და ლაზათს ჰმატებენ. ყინულის არტახებს თავდაღწეული მდინარეები თავისუფლების ჰიმნს მოიმღერიან და სიხარულის ცრემლებს შხეფებად აქეთ-იქეთ აფრქვევენ. ბუნებას მეჯლისი გაუმართავს. გოგონა, რომელსაც შემდგომში გაზაფხულა დაარქვეს, სწორედ გაზაფხულის ლიბრეტოს ერთ-ერთი პერიფრაზია. სითბოსა და ალერსში გაზრდილი გაზაფხულა დღითიდღე მშვენდებოდა, ლამაზდებოდა. ქათინაურები არასდროს აკლდა. დედა მუდამ ზღაპრების წიგნს უკითხავდა. რატომღაც კონკია მოსწონდა. ღელავდა, კონკიას ბედს განიცდიდა. რა იცოდა, რომ უკვე ზრდასრულ ასაკში მასაც კონკიას სავალ გზაზე, სადღაც შორს დედოფლის გვირგვინი ელოდა. არც ობოლი იყო და არც ფინანსურად გაჭირვებული. თითქოს ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ რეალურად სიცარიელეს დაეტყვევებინა. ოცნება არასდროს ჰყვარებია. არადა რამდენი რამ უნდოდა, არც პრეტენზია

გამოუთქვამს ოდესმე. ასეა და მორჩა, ეტყოდა ხოლმე საკუთარ თავს და ბედს შეგუებული ცხოვრების ჭაპანს ეწეოდა. ნირწამხდარი, დაჩაგრული, გამორჩეული აღნაგობითა და გონიერებით არარსებული სიმაღლისაკენ მიილტვოდა და ცარიელ სივრცეში შორს ვარდისფერ ხაზებს ჭვრეტდა. ამ დროს მხოლოდ სინანული, ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ესეც კიდევ ერთი მოჩვენება, ჩაილაპარაკებდა და კვლავ თავის ქურქში ეხვეოდა. გავიდა დრო. გაზაფხულამ წლების გარკვეული ნუსხა სკივრში მწყობრისად განალაგა და უეცრად მოულოდნელობის ქარცეცხლში გაეხვია. ნუთუ ყოველივე ეს ჩემ თავს უნდა მოხდეს? ფიქრობს გაზაფხულა და ბედისგან გაუთვალისწინებელ მოულოდნელ საჩუქარს თვალცრემლიანი ეპოტინება, თითქოს ხელს ჰკიდებს და ამ დროს ხელიდან უვარდება. ეს სადედოფლო გვირგვინია. უფალმა გაზაფხულასათვის დედოფლის გვირგვინი მოგვიანებით გაიმეტა და სამოთხის ბაღში დაუდო ბინა. მას შემდეგ გაზაფხულას ცხოვრება სრულიად შეიცვალა, ბუნებამ არ უღალატა, ხასიათი არ გაუფუჭა, არ გათამამდა, პირიქით, თითქოს თავს მოხვეული ბედნიერების არ სჯერაო, თვალზე სულ ცრემლი ადგას და მუდამ ღმერთის სამადლობელს ღაღადებს. გაზაფხულა დღეს დედოფალის ცხოვრებით ცხოვრობს, ნატვრა, რომელიც არასდროს გაუბედავს ბედიღბალმა ხელის გულზე დადებული მიართვა და ცხოვრების სიტკბო არგუნა. ამაზე იტყვიან "ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო".

მადლიანი ქალი

შემოდგომა იყო, ფოთოლცვენის ჟამი, ხრაშუნა ფოთლების ორომტრიალში მიგორავდა ჩემი ეტლი და ისედაც სასიკვდილოდ განწირულ ფოთლებს ბდღვირს ადენდა. მეცოდებოდნენ, მაგრამ რა უნდა მექნა, მე თუ არა, სხვა, უამრავი გამვლელი აქცევდა ნაცარტუტად მათ გამოფიტულ, გაყვითლებულ სხეულს. ეს ყოფილა მათი ბედი, ჩემი არ იყოს, სასიკვდილო განაჩენი! სასიკვდილო-მეთქი ვამბობ, რადგანაც სასომიხდილს აღარაფერი მახარებს. მეუღლე, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა, ინვალიდობის გამო გამშორდა, ალბათ ჯანმრთელი, ლამაზი, მომხიბვლელი, მოხდენილად ორ ფეხზე მდგარი ქალბატონი იპოვა მეწყვილედ. ახლა დაბადების დღე მაქვს, არ ვიცი ვის გავახსენდები, დიდი ხანია გულის კარი ჩარაზული მაქვს, თითქოს ნაცრისფერი ლინზები ჩამიდგესო, ფერების აღქმის უნარი დავკარგე... უიმედობა... უუნარობა... სიმარტოვე... თითქოს ზედმეტი ხარ, ამძიმებ ვიღაცას, მაგრამ რუსთაველის ფრაზის არ იყოს "არ გასწირავს ღმერთი შენგან განაწირსაო"-ო, ასე დამემართა სწორედ! უეცრად ჩაყვითლებულმა შემოდგომამ გამოიზაფხულა. უბიდან ისევ ამოლაგდა ნატვრა-მოლოდინი, შველივით თვალები ცრემლით დაენამა, ქალგულს სიყვარულის ფერის ფოთლებმა სადედოფლო აფრა აუშრიალა, – "ტატა! საყვარელო, შენ ძალიან ლამაზი ხარ, იცოდე, სიძლიერე გჭირდება, ის, ვინც შენ ზურგი გაქცია შენი ღირსი არ ყოფილა, შენად მიგულე, აი ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი, მართალია შენი თანატოლი არ ვარ, მაგრამ მეგობრობა შემიძლია... ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის სიტყვები ამქვეყნად კეთილშობილებისა და სიყვარულის დედოფალს, ქალღმერთის ტოლსა და სწორს, იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკულ, მთელი ქვეყნისათვის მისაბაძ ქალბატონს ლალი ჯაფარიძეს ეკუთვნის. მისგან მსგავსი თანადგომა არავის გაუკვირდება. ფინანსურად შეძლებული, როდესაც საკონტაქტო ნომრად ფარულ სერვისს ირჩევენ, ნომერს დახედავენ და თანადგომის მთხოვნელის ამოცნობისას პიროვნებას ირონიულად მოიხსენიებენ, ქალბატონი ლალი საკუთარ ნომერს სოციალური ქსელით ავრცელებს და სულიერად შეჭირვებულ ადამიანს მეგობრობას სთავაზობს. გარდა ამისა, მისი ძირითადი და უპირველესი პროფესია ექიმობის გარდა ადამიანობა და ოჯახის ქალობაა. იგი მანათობელი შუქურასავით აბრწყინებს შოთა ჯაფარიძის ოჯახს. დაჰხარის და დაჰფოფინებს სიყვარულით ნაგებ სამოთხის მსგავს ბუდეს და მზიანი გულის კარი მუდამ ღია აქვს. აფრქვევს მადლს, სთესავს სიკეთეს და მოსავალსაც ამ არაადამიანური ყოფის შემყურე უხვად იწევს.

ეს მზიურ კალთაში ამოზრდილი მშვენიერი ქალბატონის , ლალი ჯაფარიძის ანატომიაა.

ლევან ბაბუხადია



თანამედროვე მაწანწალა და კეთილი ადამიანები

ექვსი წლის ვიყავი, მამამ პირველად რედაქციაში რომ მიმიყვანა. დიდი ხანი მამზადებდა ამისათვის, ლექსს მასწავლიდა, მარგიბედა. მე უკვე ბევრი ლექსი ვიცოდი, მაგრამ მამა სულ იმას მამეორებინებდა.

დილით მამამ ხელ-პირი თვითონ დამბანა, თმები დამვარცხნა და ერთ კეთილ ძიასთან წავედით. მივედით, მაგრამ კარებთან გავჯიუტდი, შიგნით არ შევყევი მამას. ვიდექი თავჩაღუნული და ქვეშ-ქვეშ გავყურებდი გამვლელ-გამომვლელს.

მამა რომ გამოვიდა, ის კეთილი ძიაც გამოჰყვა, თავზე ხელი გადამისვა და — კარგი კაცი გაიზარდეო! – ალერსით მითხრა.

ორიოდე დღის მერე ის კაცი ბაზრის კუთხეში დავინახე. მე და ჩემი პატარა და დედას ძველმანზე ვეჯინეთ და ვმათხოვრობდით. მაშინ უკვე დამუღამებული მქონდა: „დეიდებო, ბიძიებო, დამეხმარეთ!“ იგი უკვე ფულს მიდებდა კოლოფში, რომ ჩვენი მზერა ერთმანეთს შეეჯახა და ორივეს შეგვრცხვა. მე კოლოფი გვერდზე გავწიე, კაცმა ხურდა თითებში დამალა და გზა განაგრძო.

ამის შემდეგ დამჯდარს აღარ მიმათხოვრია. დავიჭერდი ხელში ჩემს იღბლიან კოლოფს და მთელ ბაზარს შემოვივლიდი. ყველას ვაკვირდებოდი და მხოლოდ უცნობებს ვეხვეწებოდი, დამეხმარეთ-მეთქი. დროდადრო დედასთან მივდიოდი, კოლოფს კალთაში გადავუცვლიდი, ჩემს პატარა დას მოვეფერებოდი და ისევ საქმეზე მივეშურებოდი. – ჩემი ჭკვიანი და იღბილიანი ბიჭი! – მეფერებოდა დედა-ჩემი.

მამა ბაზრის ქვედა შესასვლელში ვაჭრობდა. ფეხზე დასადგომი ადგილი ძლივს იშოვა და ხან რა ეჭირა ხელში, ხან რა. შორიდან დავინახავდი ხოლმე. იქ სულ ჭყლეტვა იყო და ახლოს ვერ მივდიოდი. თანაც აქეთ მდიდარი ხალხი არ დადიოდა.

ჩემზე მეტს შენ აკეთებო! – მეტყოდა მამაჩემი საღამოს, როცა „მარშუტკას“ ველოდებოდით. თან დედას სახეს არიდებდა, რომ სიმთვრალე არ შემჩნეოდა. დედაც თითქოს ვერ ამჩნევდა და თუ ძალიან არ დათვრებოდა, აღარ ეჩხუბებოდა.

სახლში ჩემი ორი უფროსი და გველოდებოდა. სკოლაში დადიოდნენ და ცეცხლსაც თვითონ ანთებდნენ ხოლმე.

ჩვენი ბინა ქალაქის განაპირას ერთ დაუმთავრებელ კორპუსში, მეორე სართულზე იყო. ფარღალალა კარები და ერთი შუშიანი ფანჯარა ჰქონდა. დანარჩენი აჭედილ-ამოგმანული გვქონდა, ქარი რომ არ შემოგვვარდნოდა, არადა ჩვენს სახლთან ისეთი ქარი იცოდა, ერთხელ მთელი ოჯახი კინაღამ ხევში გადაგვყარა.

მამა ამბობდა, ეს ბინა მთავრობამ მოგვცა, მაგრამ ქვეყანა რომ დაინგრა, ველარ დაამთავრესო. სინამდვილეში თურმე სხვას ეკუთვნოდა. ერთხელ მოვიდა პატრონი, ამხელა კორპუსში რაღა ჩემი ბინა ამოირჩიეთო! – გვეჩხუბა, მერე ოღონდ საშარო არ გამიხადოთო და ფულიც გვაჩუქა.

მალე მამას ლექსები საბავშვო ჟურნალში დაიბეჭდა. მაშინ მამამ ოთხივე ბავშვი წაგვიყვანა რედაქციაში. ნამცხვრებით და შოკოლადით გაგვიმასპინძლდნენ და ჰონორარიც მოგვცეს.

მერე ის რედაქციის კაცი სახლში მიმავლებსაც დაგვემგზავრებოდა ხოლმე. მამა სულ პოეზიაზე ელაპარაკებოდა. მე მრცხვენოდა და გასუსული ვუგდებდი ყურს. მამა გახარებული იყო, ჩემი ლექსები სხვა ჟურნალმაც დაიტოვა გამოსაქვეყნებლადო. რუსთავის თეატრს პიესა მოეწონა და მომავალი წლის რეპერტუარში შეიტანესო. უფროსი გოგოები სკოლაში კარგად სწავლობენ. ეს ბიჭი კიდევ მეტად დაუზარელი მშრომელიაო.

მე მართლაც გავიწაფე მათხოვრობაში, უკვე მეტროშიც მარტო ჩავდიოდი და ვმუშაობდი. თუმცა დიდი ბიჭები მეჩხუბებოდნენ და იქედან მაგდებდნენ, მე მაინც ვშოულობდი ფულს. ყველაზე მეტად მილიციის მეშინოდა და სათოფეზე არ ვეკარებოდი.

ამასობაში რვა წლის გავხდი. მამა უკვე ძალიან ცუდად იყო, დედას ბაზართანაც აღარ აჩერებდნენ სამათხოვროდ. მთელი ოჯახი მე დამაწვა სარჩენად. მეც თავს არ ვიზოგავდი და ათას ხერხსა და ხრიკს ვიგონებდი, როგორ მეშოვა ფული.

ერთ ღამეს მამის ტირილმა გამომაღვიძა – სიკვდილის კი არ მეშინია, მაგრამ თქვენ რა გეშველებათო. – სუნთქვა ეკროდა და გულა-

მოფსკვინილი ამბობდა.

– კარგი, ბავშვები არ გადამირიო! – ამშვიდებდა დედა.

დილით დედა მამის თავთან იჯდა და ჩუმად ტიროდა: – იმდენი იძახა, მართლა მოკვდა ეს საცოდავიო.

მამა სოფელში წავასვენეთ და იქ დავასაფლავეთ. ცოტა ხანს ჩვენც იქ დავრჩით, მერე ისევ ქალაქში ჩამოვბარგდით. დედა და ბიცოლა შეამხანაგდნენ და ბაზარში ერთად დაიწყეს ვაჭრობა. პატარა და იმათ ეხმარებოდა, უფროსები სკოლაში დადიოდნენ, მე მათხოვრობას ვაგრძელებდი, მაგრამ ბოლო დროს თანდათან გაჭირდა ცხოვრება.

ჩემი ტოლი მათხოვრები ქურდობაზე და წაგლეჯვაზე გადავიდნენ. მეც მაგულიანებდნენ ქურდი ბიჭები ჩვენთან გადმოდი, ფულს გაშოვნინებთო.

პოლიციაც უფრო გამკაცრდა და გამრავლდა. ერთხელ მეტროში პოლიციელმა დამიჭირდა და პირდაპირ უფროსის კაბინეტში შემიყვანა.

მაგიდასთან ჭაღარა კაცი იჯდა და რაღაცას ჩაკირკიტებდა.

– უფროსო, ერთი მაწანწალა მოვიყვანე! – თქვა ჩემმა დამჭერმა.

კაცი წამოდგა, დამაკვირდა და – ეს რა თანამედროვე მაწანწალა მოგიყვანიაო! – ღიმილით თქვა.

მე მომეწონა ეს სახელი და უფროსს ნდობით შევხედე. მან ხელქვეითი დაითხოვა და მაგიდასთან დამსვა. დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, მეც ყველაფერი სიმართლე ვუთხარი.

– ბიძია, კარგი ბიჭი ჩანხარ, სკოლაში უნდა იარო და კაცი უნდა დადგე! – მეუბნებოდა შინაურულად.

– როგორ? – დავინტერესდი მე.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კეთილი პოლიციელის მეშვეობით წყნეთის ბავშვთა სახლში მოვეწყვეთ მეც და ჩემი დებიც.

დაიწყო ჩვენი ახალი ცხოვრება, სევდიანი, მაგრამ წესრიგიანი და იმედიანი. მალე გავითქვი სახელი სწავლითა და ნიჭიერებით. ცეკვის სტუდიიდან ანსამბლში გადამიყვანეს.

დედა სიხარულით აღარ იყო. ყოველ კვირას გვნახულობდა და თვალცრემლიანი გულში გვიკრავდა.

ბავშვთა სახლში ბევრი სახელოვანი სტუმარი მოდიოდა და საჩუქრებს გვირიგებდა. ტელევიზიითაც გვიღებდნენ და გვაჩვენებდნენ. მე უკვე რამდენიმე ქვეყანაში ვიმყოფებოდი ცეკვის გასტროლებზე.

ერთხელ ტელევიზორში მოვისმინე, რომ ერთი მომღერალი კეთილი კაცი უსახლკარო ოჯახებს ბინებს ჩუქნისო. მთელი ღამე ფიქრში და ოცნებაში გავატარე. მეორე დღეს იმ კეთილ ძიას წერილი მივწერე. ქართული ენის მასწავლებელს გავანდე საიდუმლო და ის დამეხმარა.

რამდენიმე თვის მერე, როცა ის წერილიც დამავიწყდა და იმედიც გადამეწურა, დირექტორთან დამიბარეს. იქ აცრემლებული დედაჩემი იჯდა. მე დავიბენი და თვითონაც ცრემლი მომერია. დირექტორმა დროულად ამიხსნა საქმის ვითარება. თურმე ფონდ „იავნანას“ ჩემი წერილი განუხილავს და ჩვენთვის ბინის ჩუქება განუზრახავს.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენ მიგვიწვიეს საქველმოქმედო კონცერტზე, რომლის შემოსავლითაც ქალაქ რუსთავში მშვენიერი ბინა შეგვიძინეს.

არ ვიცი, როგორ გამოვხატო ეს დიდი სიხარული და მადლიერება. ყველაფერთან ერთად თითქოს თვითონაც კეთილი კაცი გავხდი.

ჩვენ ახალ ბინაში მოვეწყვეთ. დედამ სამსახური დაიწყო. ჩემი დები სახლთან ახლომდებარე სკოლაში გადავიდნენ სასწავლებლად. მე კი, ჩემი მეგობრებისა და მასწავლებლების სიყვარულისა და მადლიერების გამო, სკოლის დამთავრება აქვე გადავწყვიტე.

და კიდევ ახალი სიხარული. რუსთავის თეატრს მამაჩემის პიესა უსახსრობის გამო თვითონ რომ ვერ დაუდგამს, გერმანელი რეჟისორისთვის მიუწვდენია და ახლა ის რეჟისორი დიდძალ ჰონორარს გვთავაზობს.

.....

მეტი რა ვთქვა. ამ სიხარულებით ფრთაშესხმულმა გიამბეთ ეს ამბავი. ძალიან მინდა ჩემი სიხარული ყველას გადაედოს და გულში იმედი ჩაესახოს. კეთილ ადამიანებს კი ყველამ ერთად დიდი მადლობა გადავუხადოთ.

მადონა ჯავახიშვილი

იგავი

ერთ სოფელში მოხუცი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა.

როდესაც ვაჟები დაქორწინდნენ მამამ ქონება თანაბრად გაუნაწილა. ვენახები,ყანები,ეზო და სახლ-კარი .თავად სოფლის ბოლოს ქოხში გადავიდა საცხოვრებლად.შვილებს კი ერთი რამე სთხოვა.

– არ მინდა რომელიმეს ხელი შეგიშალოთ და ტვირთად დაგაწვეთ.

სოფლის ბოლოს,მამაჩემის დატოვებულ ქოხში ვიცხოვრებ. ჩემთვისაც ასე სჯობია და თქვენთვისაც,ოღონდ ერთ დღეს,ერთმა უნდა მომიტანოს საჭმელი და ხილი,მეორე დღეს,კი მეორემ.

ასეც იქცეოდნენ ვაჟები.დღეგამოვებით მამასთან მიდოდნენ და სადილი მიჰქონდათ.

უფროსი ვაჟის ცოლი ძუნწი ქალი იყო.შვილის მიტანილი საჭმელი მოხუცს მეორე დღემდე არ ჰყოფნიდა,თუმცა საყვედურს არასდროს ამბობდა.უმცროსი ვაჟის ცოლი კი,იმდენ საჭმელს უგზავნიდა, რომ მეზობლებსაც უნაწილებდა კაცი. ასე გადიოდნენ თვეები და წლები.ერთ დღეს კაცმა ორივე შვილს შეუთვალა საჭმელი მომიტანეთ და მოდითო.მართლაც ორივე მივიდა მამასთან. უფროსს პატარა ჯამით სადილი მოეტანა.უმცროსს კი როგორც ყოველთვის დიდი გობით(დიდი ზომის ჯამი.იყენებენ ცომის მოსაზელად)მოხუცს ჭამის თავიც აღარ ჰქონდა და შვილებს სთხოვა საჭმელი მეზობლებისთვის დაერიგებინათ. ასეც მოიქცნენ.შემდეგ უთხრა, ჭურჭელი გაერეცხათ, ისინიც დაემორჩილნენ მამის დავალებას.

მამამ თქვა. – რაც გამაჩდა თანაბრად გაგინაწილეთ,გული ხომ არაფერზე გწყდებათ? – არა, არაფერზე. უპასუხეს შვილებმა. – მადლობელი ვარ,რომ ეს წლები ზრუნავდით ჩემზე და ცხელი სადილი მოგქონდათ,თქვენს ცოლებსაც მადლობას ვუხდი.

დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩა და სანამ ამ ქვეყნიდან წავალ, მათთან საჩუქარი მინდა გაგატანოთ.აბა მოიტანეთ თქვენი ჭურჭელი,რომ მადლიერებით ავავსო. მივიდა უფროსი შვილი და მამამ ერთი მუჭა ოქრო ჩაუყარა ჯამში. ჯამიც პირამდე აივსო.ჯერი უმცროს ვაჟზე მიდგა. მამა ძლივს გალასლასდა ოთახიდან და ერთი გუდა შემოიტანა. გაოცებული უყურებდნენ შვილები, მათ არ იცოდნენ თუ მოხუცს ამდენი ოქრო და ძვირფასეულობა ჰქონდა. მამამ გუდას პირი მოხსნა და უმცროსი ვაჟის გობიც აივსო ოქროს მონეტებით.

მოხუცმა სიყვარულით შეხედა შვილებს და უთხრა-რა ჭურწელსაც წაიღებთ წყაროზე, იმ ჭურჭელს აგივსებთ. წყალზე არ უნდა გაბრაზდეთ, თუ ბევრ წყალს ვერ მიიტანთ სახლში. არც ჭურჭელია დამნაშავე, ნურც მას დაუწყებთ ფეხების რტყმას. გახსოვდეთ,ყველა იმ სარწყალით მიიღებს, რომლითაც გასცემს.

ინგა გოგიბერიძე

წერილები სიჩუმის ქალაქიდან

(პანდემია-2020)

..... ო, რანაირი ჩუმია მარტი, როცა ბავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით. ო, რანაირია ჩუმია მარტი, როცა ქუჩაზე სამარე გიდევს, ფეხაკრეფით გასავლელი, უხმოდ მოსავლელი და სახლში მშვიდობით დამბრუნებელი. ჰო, რანაირია ჩუმია მარტი, ელდანაკრავი გულის ფეთქვის მომლოდინე და მაინც ხარბი,რომ სიცოცხლის დაბადებას ხელი უშნოდ წამოკრას და დაასამაროს. მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც კი გადაყლაპოს. ჰო,რანაირია ჩუმია მარტი, როცა შიში ზრდის ამ ყვავილებს და თვალებში გაყრის მტვერს, ნაცარს და სასიკვდილოდ გამზადებულ წყლის უცნობ წვეთებს. რანაირი ჩუმია მარტი, როცა ბავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით.

ჰეი შენ მარტო, მე გიბრძანებ- გამოაცოცხლე არემარე, მზით შემოსე ყველა ყვავილი, ააჯეჯილე ველ-მინდვრები, აურიამულე ქუჩა, ეზო და ყველა კართან მიიტანე შენი მზის სითბო,დატოვე და გამოიქეცი, ჩემთან მოდი,გულში ჩაგიკრა, რომ ნაზად, ნაზად გეამბორო მაგ ფერად სულში.

რანაირი ჩუმია მარტი, როცა ბავშვები აღარ ჰყავს ქუჩას და რანაირი სევდისფერი მოჩანს ტყემლის ხე, აფეთქებული მზის ყვავილებით.

პირველი წერილი

ეჰ, მართლა საუკუნე გასულა,რაც წერილი არ მომიწერია .....

ასე მეგონა აღარ კითხულობდი, რადგან შენს უჯრასთან გაუხსნელი კონვერტები შევნიშნე.

მე რა ვიცოდი, რომ ასე სხვისი თვალისგან იფარავდი ჩვენს სიყვარულს.....

როცა დროზე ადრე შემოვედი შენს ოთახში დავინახე, აკანკალებული ხელით, როგორ აწებებდი ისევ კონვერტებს და უკან აწყობდი,როგორც გაუხსნელს, ხელმიუკარებელს, უბიწოს და შეურყვნელს.

როგორ გავიმეტე საკუთარი თავი ამ დიდი ტანჯვისთვის არ ვიცი.

გრძელ წერილს დღეს ვერ მოგწერ,რადგან გარეთ არ გვიშვებენ, რომ გაზაფხულის ყვავილები ვიხილო, რომელიც ასე ჰგავს ჩვენს სიყვარულს.

როცა გარეთ გავალთ, გპირდები,ძაძებს გავიხდი, შავი ფერის კაბას აღარასოდეს ვატარებ, რომ ეს სიყვარული მხოლოდ ფერადი იყოს, როგორც სამყარო.

მე დავბრუნდები თქვენთან, რომ ისევ მოვიდე ბოლონიის საჯარო სკოლაში და ბავშვებს ზღაპრები წავუკითხო ,როგორც მაშინ 2017-ში.

მე დავბრუნდები თქვენთან, რომ იმ პატარებში აღფრთოვანებული თვალები ამოვიცნო, სიყვარულით სავსე, როგორც მაშინ 2017 -ში.

მეორე წერილი.

მე ისევ შენთან მოვედი და ჩემი წერილის სურნელი მოგიტანე, ცოტა უცნაური და განსხვავებული. მახსოვს ახალგაზრდობაში, გაზაფხულის დადგომისთანავე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მზეს ძალები აკლდა, გავვარდებოდი გარეთ შილიფად ჩაცმული და მზეს სიმღერებს ვუმღეროდი -ამოდი მზეო გაგვათბე, შენი სურნელით დაგვატკბე, შენს ლამაზ სხივებს გვადარე, გაგვათბე,გაგვათბეე და აქ ბედნიერი სახით ხელებს მაღლა ვწევდი და მისგან უდიდეს ძალას ვგრძნობდი,თითქოს ესმოდა და მპასუხობდა კიდეც.მზის ძალამ მასწავლა სიყვარული, რომელიც ცხვრებაში ხან თბილია, ხან ტკბილი და ხანაც კი თოვლის ფიფქივით სპეტაკი და გაყინული. ვფიქრობ ახლა ის დრო დგას, როცა თოვლივით თეთრი სიყვარული შინ უნდა შევინახოთ, რათა მზის სხივმაც კი არ დახედოს, არ მოეწონოს და არ წაგვართვას!

მესამე წერილი.

2020 წლის 24 მარტის დილაა. მზის ამოსვლას ველოდი, ვიფიქრე წერილს შემდეგ დავწერ და მზის სხივებით გავუგზავნი მეთქი, მაგრამ არა, რაღაც მოუამული ამინდია ფრიად. ჩვენი მანათობელიც არ ჩქარობს ღრუბლებიდან გამობრწყინებას. ამიტომაც, წერილს რომ გახსნი, შიგ ქაღალდისგან გამოჭრილი პატარა გული იქნება (ბავშვებმა რომ იციან ჩემთვის უანგაროდ ჩუქება, აი, ისეთი) და ოქროსფერი მზე. ეს გულები და მზე ვარსკვლავებივით უამრავი დამიგროვდა ჩემი პატარებისგან, მეგობრებისგან და ახლობლებისგან მოძღვნილი....ჩემთან სტუმრად რომ ვერ მოდიან ისინიც მიგზავნიან ფოსტით, რომ მეც გავიხარო და მზიანი დღე მქონდეს.ყოველთვის ვამბობდი, წერილია მთავარი გულში პატარა გრძნობის გასაღვივებლად მეთქი.მოკლედ არ იდარდო,მე წერილებს არ მოგაკლებ ,შენ კი იკითხე და სხვასაც გაუგზავნე, რომ ყველამ იცოდეს- ქვეყანზე არიან ადამიანები ვისაც ძალიან,ძალიან უყვარხარ!!!!!!!!!!

რა უმწეოა სამყარო მზის და ადამიანების გარეშე.

მეოთხე წრილი.

2020 წლის 25 მარტის დილაა და კვლავ ვერ მოვდივარ შენთან, არადა

როგორ მინდა დაგინახო. ალბათ შენც- ჩართე სევდიანი მუსიკა და ჰანგებს გამოჰყევი ჩემთან. ოღონდაც მაგრად დაჭიმულმა სიმებმა ფეხები არ გატკინოს. შენ კარგად არ იცი, რომ ეს სიმები ზოგ ადგილას ძალიან სქელია და ადვილად გადიხარ, ზოგ ადგილას კი ძაფებივითაა დაჭიმული ..... შეიძლება უცებ გაწყდეს! ფრთხილად იარე,ფრთხილად,რომ არ ჩავარდე .

არა,უფრო ფრთხილად გამოიარე, ფეხისწვერებზე აიწიე და გადმოხედე ზევიდან ქვეყნიერებას, სადაც მე ვარ მოკალათებული და გელოდები. ერთი სული მაქვს როდის დაგინახავ. როგორ მინდა დაგინახო. ეხლა შეიძლება ერთი აკორდიც კი მეყოს შენს შესაცნობად. მაგრამ გუშინ? გუშინ, მთელი სიმფონიაც არ მეყოფოდა შენს დასანახავად, შენს კვალსაც კი ვერ იპოვიდი ჩემს სულში... სიმებს შავი ჩრდილები ახლდა, ჩრდილები კი ბორილობდნენ, იფანტებოდნენ და ბურუსით ფარავდნენ პაწაწინა ადგილს ჩემს გულში.

სადა ხარ? ისევ იმალები? როგორ მინდა დაგინახო. ახლა მე ავიწევი ფეხისწვერებზე და შენთვის გამოვიმზირები ჩემი გულის ჰანგებიდან: ჯერ ცას ავხედავ, შემდეგ მზეს, შემდეგ კი ნაცნობ მუსიკის ჰანგებს შენსკენ გამოვყვები..... მაგრამ ამაოდ. ახლა მთელი ცხოვრება მინდა დავხატო. იქნებ იქ, სანოტო ხაზებსა და მუსიკის ჰანგებს შორის შენ გიპოვო. სოფლის შარაგზა გამოჩნდა. აქ მუსიკის ჰანგები პატარა ბოჩოლებისა და ბეკეკების ხმებს ემსგავსება. მერცხლების ჭიკჭიკი

ქალაქისკენ მიხმობს, სადაც ფაბრიკა -ქარხნების გამონაბოლქვებიც კი დაიკარგა, მათი ნისლიანი მუსიკა ბურუსად მოედო ქალაქის ქუჩებს.. სევდამ აქაც დაისადგურა.

.....შენ კი მაინც გამოჰყევი სიმებს.

..... როგორ მინდა დაგინახო.

.....არა, აღარ მახსოვს, მე გეძებდი თუ შენ!!!!

.....როგორ მინდა რომ დაგინახო...

.....მხედავ?

მეხუთე წერილი.

2020 წლის 26 მარტი დადგა. დღეს ცოტათი დამიგვიანდა წერილის მოწერა. უკვე შუადღეა და ჟინჟულავს. მზე არ ჩანს. ბავშისთვის რძე და ჩვენთვის მარილი არ მქონდა. გამიხარდა გარეთ გავიდოდი და ქუჩას გავხედავდი, რომელიც აივნიდან, უადამიანოდ, ისეთი გრძელი, პირქუში და შავი ჩანს, რომ ვერც კი წარმოდგენ,ოდესმე ცივ ასფალტს მაქანის ცხელი საბურავები თუ უთბობს გულს. მერე რა, რომ პირბადე და ხელთათმანი მჭირდება. გამახსენდა კლდეში, ციცაბო კიბეებად აღმართულ მარილის საბადოებში რამდენი ადამიანი შრომობს პირბადეებითა და ხელთათმანებით, რომ ჩვენ მარილი გვქონდეს. მათ ხელებს მარილის ნატყვიარები და პატარ-პატარა კრისტალები ატყვია. დედამ მითხრა, რომ დაბადებისთანავე თურმე ჩემს ვარდისფერ ტუჩებს ნაოჭებად მარილის თეთრი კრისტალები აჩნდა. ისიც მითხრა, რომ მარილი ძვირად ფასობდა დედამიწაზე, რადგან მარილი აკრისტალებს დროს.

მარილი აჩერებს სიცოცხლეს.

მარილი ინახავს უცვლელად ყველაფერს.

..... ხომ გითხარით,დღეს, 2020 წლის 26 მარტია და ჩემს ხელზე მარილის ნატყვიარი და პატარ-პატარა კრისტალები კვლავ მოსჩანს. ამ მარილის კრისტალებით დრო უნდა გავაჩერო, ხელუხლებლად შევინახო წარსული, დღევანდელობა და როცა მომავალი დადგება, მზით გავათბო დროებით გაჩერებული სიცოცხლე.

ჰო, რძე და მარილი ვიყიდე.

მეექვსე წერილი

2020 წლის ოცდაშვიდმა მარტმაც შემოიჭყიტა ჩვენს ფანჯრებში და უხვად შემოაფრქვია მზე და სითბო. ვიღაცის ნათქვამი გამახსენდა-"როდესაც ქალზე ლაპარაკი გსურთ, კალამი ცისარტყელაში ამოავლეთ და პეპელას ფრთებზე დააბერტყეთო". ჰოდა, დღეს მე უნდა ამოვავლო კალამი ცისარტყელაში, რადგან საკუთარ ფიქრებზე უნდა გელაპარაკო, ჩემს გრძნობებზე უნდა გიამბო...არა, შენს მიმართ არა! ჩემი ქალაქის ქუჩებზე, ჩემი პატარა ქალაქის სახლებზე, მიტოვებულ აივნებზე, მაგნოლიებზე და კამელიებზე, ზღვაზე, დელფინებზე, თოლიებზე -ამ დიდ სიყვარულზე უნდა გესაუბრო....ეს კორონა რომ გაივლის თავზე ულამაზეს გვირგვინს "KAPOHA"-ს დავიდგამ, ფოტოაპარატს გადავიკიდებ და ვივლი ბათუმის ქუჩებში, ფოტოებს გადავიღებ, ადამიანებს დავაკვირდები, მათ სევდას და სიხარულს შევინახავ ხვალინდელი დღისათვის და ამ სილამაზეს პეპელას ფრთებით მოგართმევთ, რომ სიყვარულმა არასოდეს მიგატოვოთ.

არ იდარდოთ. ესეც მალე გაივლის!

მეშვიდე წერილი

2020 წლის 29 მარტია და და კარის ჭუჭრუტანიდან ვიმზირები. იმ ჭუჭრუტანიდან, რომლისთვისაც არასოსდეს მიმიქცევია ყურადღება ჩვეულებრივ ცხოვრებაში. დიახ, დღეს ეს ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი ნამდვილად დაირღვა. ზოგიერთები ჯერჯერობთ ისევ ცდილობენ შეინარჩინონ სულგრძელობა, თუმცა იკლო ტელეფონის ზარებმა, მესიჯებში მხოლოდ ლოცვა კურთხევის ფოტოები მოდის, არავის აინტერესებს როგორ ხარ, რა გინდა, რას აკეთებ ოთხ კედელში, გაგქვს თუ არა ახალი გეგმები და იდეები. სასოწარკვეთილება ჩუმ-ჩუმად იხედება ამ კარის ჭუჭრუტანებში და იმ სახლებში, რომელთა მცხოვრებელთა გულები იკეტება და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს არასოდეს გაიღება ისევ.

ყველას გაქცევა უნდა ამ სამყაროდან, ალბათ მეც, მაგრამ შენთვის წერილები მაქვს დასაწერი, ამიტომ ეს სამყარო ჯერჯერობით ჩემი და შენი სიყვარულით სულდგმულობს:

გაქცევა მინდა ამ სამყაროდან,
შენთვის ნამღერი სიმღერის მერე,
შენთვის ნაწერი სიტყვების მერე,
შენთვის ართქმული ცრემლების მერე
ზღვაში ჩამხრჩვალა მზე.
ვერ მოვბრუნდები,
ცასთან ახლოა ცეცხლის ენების ტყე.
დახურულია სარკმელი გულის,
ხელის, სიტყვის და ხსნის,
გაქცევა მინდა ამ სამყაროდან
ზღვაში ჩამხრჩვალა მზე.
ტალღის სიმძიმეს თუ ვერ გაუძლებ
შევევედრები მე ჩემს მაცხოვარს
გულში ჩამისვას მზე.
ამ წერილს ჯერ-ჯერობით ჩემთან დავტოვებ.
ჯერჯერობით სამყაროში სიჩუმეა, მაგრამ გარწმუნებ
ყველაფერი კარგად იქნება!

წერილი მერვე

შენი სახლი შენი ციხესიმაგრეა!❤ ❤ ❤

.....ახლა ის განცდა უნდა გავიხსენო, შვილი, რომ პირველად ხდება ავად და გული ისე გიცემს, გიბაგუნებს, გეგონება არასოდეს დაწყნარდებაო-ეს შიში სიყვარულისაა.

.....ახლა ის განცდა უნდა გავიხსენო, პირველად ხელს რომ დაიწვავს შენი პაწაწა და ის ადგილი შენც ისე გეწვის, როგორც მას-ეს შიში შენი მოდგმის დღეგრძელობისაა.

.....ახლა ის დღე მინდა გავიხსენო, პირველად რომ შეიგრძნობ შენს სიახლოვეს რეალურად ახლობლის სიკვდილს, გგონია სამყარო თავზე დაგექცა და ვერასოდეს გამოიხედავ თვალებში- ეს მარადიული კანონის, სიკვდილ-სიცოცხლის შიშია.

....ახლა ის წუთი მინდა გავიხსენო ბედნიერებას,რომ ელოდები და ზეცას შესცქერი ფართოდგახელილი თვალებით- ეს შიში ბედნიერების მოლოდინისაა.

.....ახლა ის წუთი მინდა გავიხსენო, როცა გულიანდ კისკისებ და გულში მაინც ჩურჩულებ-უფალო მშვიდობა მომეცი, ამდენი რომ ვიცინეო-ეს შიში სადღაც შორიდან მოდის და მალევე იფანტება შენივე ბედნიერებით.

დღევანდელი შიში კი მსოფლიო შიშია- ჩვენი ცოდვების, უსიყვარულობის, უღმერთობის, შურისა და ბოღმის-ამიტომაც ჩემო ძვირფასებო, გულში შიშს ნუ მიუჩენთ ბინას! შენი ოჯახი, ხომ შენი ციხესიმაგრეა, ამიტომ სიყვარულით დარჩი სახლში!

წერილი მეცხრე

2020 წლის 1 აპრილია და მზემ სასიამოვნოდ მოჰფინა სხივები მთელ დედამიწას. ჩემი დედამიწა კი ჩემი ოჯახია და შენ, რომელსაც უსასრულოდ გწერ წერილებს და გიგზავნი მზის სხივში ამოვლებულ ლუკმას, სულის საზრდოდ. ქალაქის სიჩუმე გუშინ სიცარიელეში გადაიზარდა, შენობებს მთვარის სხივი რაღაც უცნაურად ანათებდა, თუ მომეჩვენა არ ვიცი, თეთრი ღამე გეგონებოდა ისეთი ნათელი იყო ბნელი ღამის, ბნელი ქუჩა. გამიხარდა ეს სითეთრე. ხომ იცი, არ მიყვარს სიბნელე, ოთახში დღისითაც კი შუქს ვანთებ, რომ კარგად ვხედავდე ჩემს გრძნობებს. იცი როგორი ღამე იყო? აი ასეთი-" ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი! /მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი/ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!." ასე ჩუმი მე დედამიწაც არ მახსოვს, თითქოს მდინარეებმა ჩუხჩუხის ხმა შეანელეს, ჩანჩქერები დადუმდნენ, წიწვოვანმა ხეებმა თავისებური ტკაცუნის ხმა შეწყვიტეს, წვიმის ხმა არ ისმის.

ხმა დაიკარგა, ის ხმა, რომლითაც ერთმანეთს სიტყვას ვაწვდენდით,ამიტომ აღარ ინთება კოცონი არც ტყეში და არც გულში.

მხოლოდ შენ იცი, რომ ჩემს გულში მუდმივად გიზგიზებს სიყვარულის კოცონი, რადგან ჩიტუნიებს ჭიკჭიკი არ შეუწვეტიათ და ისეთი მაღალი ხმით მღერიან, რომ ვიცი

ყველაფერი კარგად იქნება და მალე ჩაგეხუტები.

წერილი მეათე

....თითქოს ხელის კანკალით მოვდივარ წერილის საწერად, რაღაც მაჩერებს, რომ კვლავ შეგეხმიანო. სიჩუმე და შიში თუ ერთნაიარად მომაკვდინებელი იყო ადამიანებისათვის არც ვიცოდი. 2020 წლის 6 აპრილის საღამო კი სწორედ შიშს და ნისლს თითქოს ერთად იტევს და ცრემლით დაწერილ წერილს ნამავს. წერილი შენთვისაა განკუთვნილი..... მაშინ როცა ქალაქი,ზღვა, სახლი, ქუჩა და ეზო მზეს ელოდება..... ხელი, გული და თვალი სითბოს....მიწა, სოფელი, ხიდი, წისქვილი მშრომელ კაცს.... მდინარე თევზს, ოკეანე ზვიგენს, ჯუნგლები ჯირაფს -მხოლოდ მე ველოდები წერილის პასუხს, რომელშიც მომიყვები უკდეგანო სიყვარულზე, რომლითაც გაათბობ სივრცეს და გააცოცხლებ მკვდარ დედამიწას.

2020 წელი

გულნაზ ხარაიშვილი

საიდან დავიწყო?

მზეს ახლად ახელილი ჰქონდა თვალები, ძილის საბნიდან გამომძვრალიყო და ვერ გაერკვია ისევ ძილთან და ლამაზ სიზმრებში დატრიალლებულიყო თუ დილა მშვიდობისა ეთქვა დედამიწელებისათვის. ფრინველების ჟრიამულმა გამოაფხიზლა და დღესთან დარჩენა ამჯობინა. მზის ერთი სხივი ჩემს ფანჯარას აეტორღიალა, ახლა მე დამეუფლა ასეთი განწყობა, ცოტა ხანს თვალები ისევ დამესვენებინა თუ ჩემს სულის ჟურნალ „ათინათთან“ ერთად მეტრიალა აქეთ-იქით, ნაბიჯ-ნაბიჯ, აღმა-დაღმა, სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, მერე საზღვარგარეთაც მომეკითხა ჩემი ქართველები, ჩემი სანათესაო, საყვარელი ადამიანები. საქმემ დამძლია და სასწრაფოდ მობილურის ეკრანში ჩავიხედე, გადავათვალიერ-გადმოვათვალიერე. ეს, ის დრო იყო, თებერვლის ჟინჟღლიანი ამიდებით, რომ გაწკუმპლულია დედამიწა. ტელეფონმაც თავი შემახსენა, ლამზირა, მირეკავდა, გულნაზი საუბარი ნაზად და მორიდებით გააგრძელა ლამზირამ, არის ასეთი პოეტი ეთერ ჭელიძე, წიგნი მაჩუქა, მინდა რომ გადახედო, თუ ჩათვლი საჭიროდ ჟურნალ „ათინათში“ დაბეჭდე, ტელეფონსაც მოქცემ, ჯერ ლექსები წაიკითხე და მერე, ხო, იცი? არ მიყვარს ხოლმე მაინც და მაინც სხვის საქმეში ჩარევა, მაგრამ... და აღარ გავაგრძელებინე, იმერელ მოკრძალებულ პოეტს, იმერულად მობოდიშება და სიტყვა შეუბრუნე, ეს, ჟურნალი ყველა აკადემიის წევრისაა, უბრალოდ მე ვარ ამ „ათინათის“ დედა და თქვენ ხართ შვილები. ლამზირას ფეისბუქის საშუალებით, ლექსები გადმოვაგზავნინე, გული მკარნახობდა, ლექსებთან ერთად ისეთი ადამიანი „ქალბატონი“ უნდა შემოსახლებულიყო ჩემს გულში, მთელი სიცოცხლე, გულს რომ გამითბობდა. ეს, წინათგრძნობა უკავშირდებოდა, დედაო იოანა ონიანს. ჩვენ მე და დარიკო ონიანი, ერთად ვმუშაობდით, თბლისში, ბატონ გარი ჩაფიძესთან, ეს, ნიჭიერი ახალგაზრდა შვილივით გვიყვარდა ორივეს, დარიკო ონიანი იურისტი იყო და ლექციებს კითხულობდა, მე კულტურის ცენტრის დირექტორი ვიყავი. მახსოვს ერთხელ საკმაოდ ცნობილ მეცნიერს, ღონისძიებას ვუტარებდი, აწ გარდაცვლილ

ბატონ გიზო ჭელუძეს, ბატონ გიზოს ღონისძიებაზე მოწვეული ყავდა, ზინაიდა კვერენჩხილაძე. მსახიობს, ბატონი გიზოს ლექსი უნდა წაეკითხა, წაიკითხა კიდეც... ღონისძიება, მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობდა, არ ცხრებოდა ტაში და ოვაციები. საღამო მე მიმყავდა, დამსწრე საზოგადოება, ყველა ცნობილი პოეტები, მეცნიერები და ელიტარული პიროვნები იყვნენ...ბატონმა გიზომ ითხოვა ქალბატონ ლია ნაროიშვილთან ლიტერატორული დუეტი. მიმდინარეობს ღონისძიება, იმ დღის გმირი მართლაც საინტერესოდ შეეჭიდა ლექსით ქალბატონს, პოეზიის გრძნობის ქარცეცხლში ჩაძირულ წყვილს, მაყურებელი დაავიწდა და... ჟინანთილნი ერთმანეთის ალერსში გადაიზარდნენ. თვალი თავისდაუნებურად ბატონი გიზოს მეუღლესკენ გამექცა, ქალბატონ ნათელას სახეზე ეჭვის, ტკივილის, თითქოს და მეუღლის სიყვარულში ეცილებოდნენ, ისეთი განწყობა იკითხებოდა, არა და ასე არ იყო, ეს, იყო ლიტერატორული დუეტი. წამში გადაწყვეტილება მივიღე, სცენის შუა გულში ისედაც ვტრიალებდი, წამყვანი ვიყაავი და... მიუბრუნდი ბატონ გიზოს, წარმოვთქვი თავის და უნებურად, ყოველგვარი გეგმიურის გარეშე ეს სიტყვები: იმერთშია ერთი მთა, სახელად ჰქვია

სანთელა, სხვის ლამაზმანებს რას დადევ, აგერ არ გიზის ნათელა?

დარბაზში სიცილი ატყდა, კარგი ფინალია, იყვირა მეორემ. თემას იმიტომ გადაუხვიე აქედან დაიწყო მე და დარიკო ონიანის მეგობრობა. საბოლოდ ასეთი რწმენა დამეუფლა სვანი ხალხი, ერთგულები, გამტანები არიან, უაღრესად პატივს მცემს ახლა უკვე წარსულში დარიკო ონიანი ამჟამად დედა იოანა. ჩემდამი პატივისცემა (ის ასე იხსენებს, ამ ღონისძიებას) მიაჩენია, რომ თანაგრძნობა გამოვხატე ვითომდა დაჩაგრულ მდგომარეობაში პოეტის ცოლის მიმართ. სინამდვილეში ვიმეორებ ეს, იყო ზეაღმატებული ღონისძიება. ჩემში დაუნახავს როგორც თითონ ამბობს უსამართლობის არ მოთმენა ნებისმიერ სიტუაციაში. დაუბრუნდეთ, ქალბატონ ეთერის. ქალბატონი ეთერი არის სრულყოფილი პოეტი. მან, ერთდროულად, რამოდენიმე გვირგვინი დამსახურებულად შეისისხლორცა. ჟურნალ „ათინათში“ ლექსების გამომზიურება, მწერალთა კავშირის წევრობა, ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსობა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ნამდვილი წევრობა. ყველაზე მთავარი ნამდვილი სვანი ქალბატონის დიდი ტიტული, ყველგან და ყველაფერში გამარჯვებაა.

პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი დე: –

„ნიკო ბაღაშვილს კიდევ არ ვიცნობ. არ ვიცი, ვფიქრდები რა გაუკეთე განსხვავებული, არც არფერი. მერე ფიქრის შემდეგ თვითონვე ავხსენი ერთი რამ. ტკიოდა? მოუსმინე... ეწყინა? დავამშვიდე... შევპირდი? არ მოვატყუე. განა თითეული ადამინისთვის ასე არ გამიკეთებია? პასუხი ერთია, ყველა არ დაინახავს. ნიკო ბაღაშვილი ერთი ალალი, ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც თუ იკადრე, ისე დაატრიალებ, როგორც პატარა ბავშვი. ჩემგან მიიღო დედაშვილური დარიგება, და დღეს ის საკმაოდ დაფასებული და სახელგანთქმული პიროვნებაა. მადლობა შვილო, ნიკო ყველაფრისათვის, შენ გელასნაირი სითბო შემოგაქვს და სიცოცხლეს მაყვარებ“. და აი, რას წერს თითონ ნიკო ჩემზე: – არ ვიცი, არც არაფერია იმაზე ბედნიერი და სანუკვარი, როცა დედის ეს სიტყვები, სულს აგიფორიაქებს და თამამად ამოისუნთქებ და დარწმუნდები რომ ტყუილად არ გიცხოვრია, მადლობთ დე, მე თქვენ, ცხოვრებას მილამაზებთ და მაგრძნობინებთ რომ ადამიანები ერთმანეთისთვის მოფერებით და სიკეთისთვის უნდა ვიყოთ გაცისკროვნებულები!

ჩემი გულის ნაწილია, დათა შუბითიძე

იმერეთში საჩხერის რაიონის სოფლები, ხვანი, ჭალვანი, ლიჩი, წმანი, ღოდორა, არის ბუნების წალკოტი. აქ, არის სულის სავანე. აქ, იზრდებიან ზრდილობით და ვაჟკაცობით გამორჩეული მომავალი თაობა. აქ, სიყვარულია, ერთგულებაა, მეგობრობაა. ძირულის გაღმა-გამოღმა დასახლებულ ოჯახებში სუფთა მთის ჰაერით გაზრდილი დიდი და პატარა, ერთმანეთის ტკივილსა და სიხარულს იზიარებენ.

ახლა? სიკვდილი ძალიან გაახალგაზრდავდა. ახალგაზრდა ტკივილი ეს, დათა შუბითიძეა. პატარა დათა, დაიბადა, რაღაც ზეაღმატებული სილამაზის, როცა წლები ემატებოდა, სილამაზე ვაჟკაცობასთან ერთად იზრდებოდა. დათა, ჩემი ძმის თამაზ ხარაიშვილის პირველი შვილიშვილი იყო.

თამაზის ოჯახში დათა იყო, ბებია-ბაბუის დამხმარე და სიცოცხლის წყარო. ერთხელ ახალ წელს რუსთავში ჩამოვიდა, თვალმახარა მზეჭაბუკი, გამლელ-გამოვლელის ყურადღებას იპყრობდა. გავეხუმრე კიდეც, ჩქარე შევიდეთ სახლში შენი თავი გოგოებმა არ მომტაცოს დათათქო. გაიცინა და მითხრა: გულნაზი ბებო, მათმა არ იციან რომ სიყვარულით უნდა მოვიყვანო ცოლიო. გამიკვირდა, დათა, არ იყო იმ, ასაკში, რომ ეს სიტყვები ეთქვა. ჩემს წინ იდგა, ასაკით პატარა და გონებრივად დიდი ბავშვი. საახალწლო ნაძვისხეთან, მთვარის შუქზე, დათას ვაჟკაცური იერი თითქოს მნათობსაც ეტოლობოდა. მხრებგანიერი, ბავშობიდანვე კუნთძლიერი დათა თავისი მამის მამას(ბაბუის) სახელს სიამაყით ატარებდა. ეს, ოჯახი გამორჩელი იყო კულტურითა და განათლებით. ასეთ კულტურულ ოჯახში მოუწია ჩემს ძმიშვილს, ხათუნა ხარაიშვილს ცხოვრება. უმაღლესი განათლებით ხვიჩა შუბითიძემ სიყვარულით შეირთო ჩემი ძმიშვილი. ტკბილმა ოჯახმა, ტკბილად გააგრძელა ცხოვრება. ხათუნა სტუდენტი იყო, როცა ეს, ნაბიჯი მშობლების ნებართვის გარეშე გადადგა. სიყვარულს წინ ვინ აღუდგებოდა. ხათუნას ყავდა, ბრწყინვალე დედამთილი, ქალბატონი დუნია. ეს, ქალბატონი ღმერთქალი იყო თავისი ბუნებით. ხათუნას ხელი არც სწავლაში შეშლია და არც შვილების გაზრდაში. ბედნიერები იყვნენ, დათას გარდაცვალებამდე, ახლა? ახლა კი, ზეცის ტოლია ტკივილის განცდა. ერთი დღის ისტორიაც მინდა გავიხსენო. ამ ზამთარს, ბეჟან ხარაიშვილის სახელობის ჭალვანის საშუალო სკოლას ვეწვიეთ. ამ, სკოლაში დათას დედა ასწავლის, პედაგოგია. წიგნები ჩავიტანეთ და დირექტორს შევხდით.

ღამე ხვიჩასა და ხათუნას ოჯახში მოგვიწია დარჩენამ, რადგან ზამთრის პატარა დღე იყო და გზა აღარ გავაგრძელეთ. დათა, სანადიროდ წავიდა, მეგობრებთან ერთად, ჩვენ დაგვიბარა მე და ჩემს მეგობარ პოეტ ლამზირა შეყილაძეს. თქვენ თუ არ დამელოდებით, ჩემი საძინებელი ოთახი დამითმიაო. ლევან ბაბუხადიას, ბეჟანის თანაკურსელს მიმართა: თქვენი ნებაა ლევან ბატონო, თუ გარეული ქათმების მწვადაობა გინდათ, დამელოდეთ. ვიმწვადაოთ, ვილექსაოთ. მე და ლამზირამ ვთხოვეთ, ჩიტის რძე არ აკლია, სუფრას არ წახვიდეთქო. ქვეშ-ქვეშ ჩაიცინა, ლამაზი თერი ქათქათა კბილები ოდნავ გამოაჩინა და შემოგვძახა, დილით ნედლი თევზი იქნებაო. ჩვენ მართლაც და დავიძინეთ, მის ოთახს ისეთი სასიამოვნო სურნელება ქონდა, თითქოსდა უფლის მოსასვენებელ საძინებელში მოვხვდით. დილით, გარეული შემწვარი ქათმები დაგვხდა. თხუთმეტი ქათამი მოეკლა, ღამით, ბიჭებს გაეკეთებინათ და თან პოზიის საღომოთი დამტკბარიყვნენ. წამოსვლისას ძირულის პირზე, სურათებს ვიღებდით და თან უბარებდი, შენი

სტუდენტობით გამახარე და დანარჩენი ჩემზე იყოსთქო. ვინ არ გაუღებდა სახლის კარს არაჩვეულებრივად აღზრდილ დათა შუბითიძეს. აქაც ბედმა ცინიკურად ჩაიქირქილა, როგორც რვა წლის წინ. მეც დავზარდე ბიჭები, დავაქორწილე, რომ ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-თქო, ომის ქარცეცხლი გამოვიარე, მეუღლე ადრე გარდამეცვალა, ინსულტს გადავურჩი და ცა მოწმენდილზე, ორმოცი წლის შვილი ჩემს თვალწინ გარდამეცვალა გაურკვეველი მიზეზით. ახლა რწმენით ვცოცხლობ. ჰოდა, რწმენით წავედი ამაღლების ეკლესიაში, სადაც დაბრძანებულია ხარაიშვილების საგვარეულო ლომისის წმინდა გიორგის ხატი. მამა ამირანის პატივისცემით და უწმიდესის ლოცვა კურთხევით. ეკლესიაში ბევრი სანთელი ავანთე, დავლოცე ხარაიშვილები, დავლოცე საქართველო, ერთი საათის მოსული ვიყავი სახლში, დათას არ, დასაჯერებელი, არ გაუგონარი ამბავი გამაგებინეს. აი, ბედის ირონია, ცინიზმი... ბედი ცუდი და... გულის მკვლელი. იმ, წამში მზე გამობრწყინდა, და თითქოს უკვირდა წუწუნი ხალხთა, დედის კივილისიც არა გაეგებოდა რა. ღიმილობდა მზე სხივის ხელებს კიდებდა დათას და გულში იკრავდა. თითქოს ეუბნებოდა, გეყოს დედამიწელებთან ყოფნა, შენ მზეჭაბუკი იყავი, ანუ ჩემი შვილი. მითქმა-მოთქმას თავი დაანებონ, შენ ცის ვარსვლავი ხარ. ახლა მარადიულად იკაშკაშებო. დათას, დედის კივილი აცილებდა და ხალხის ცრემლი, მამის ზმუილი, დის სიტყვები არ დამტოვო ძამიკოვო, ნათესავების ღმუილი. მზე წუხდა, მაგრამ რა ექნა, მზეჭაბუკი თავის შვილი იყო და... მიყავდა. დაბლიდან პატარა გოგონა დაიკო ხელგაშლი, ევედრებოდა მზეს, დათა დამიტოვეო. მზე კი მარადიულ გზაზე მიდიოდა და მიყავდა დათა შუბითიძე. უხილავი ხმა ჩურჩულებდა, იმედი არ მოკლათ და დათას სიახლოვეს ყოველთვის იგრძნობთო.

დილით პოეტმა ლამზირა შეყილაძემ დამირეკა და ცრემლიანი სიტყვებით მიკითხავს ლექსს, თითქოსდა დათა საუბრობდა პოეტის ენით, რომელსაც გთავაზობთ:

მზე ყვავილობდა, აღსავლის კართან,
თვრამეტ გაზაფხულს მივაცილებდი,
უფალმა მთხოვა, მჭირდები დათა,
და უფალს ხომ არ გავაწბილებდი.
გამწარებული დავტოვე ყველა,
ვერ მოურიგდი ჩემს საჭეთმპყრობელს,
უდროოდ ჩაქრა, სიცოცხლის კერა,
სიცოცხლის ძალა წავართვი მშობლებს.
ვებოდიშები ჩემს სულის ნაწილს,
ჩემს დიანას და ჩემს სამეგობროს,
ვებოდიშები ყველა ნათესავს,
საყვედურები არ გამაგონოთ.
ვებოდიშები ჩემს ძმადნაფიცებს,
ყველას ვინც ჩემზე ცრემლი დაღვარა,
გაფიცებთ ძმობას, მომისაკლისეთ,.
როცა გექნებათ, თმებში ჭაღარა.
ახლა მე ვწევარ ძირულის პირას,
ჩემს ირგვლივ ხეთა უხვი ჯარია,
დედის ცრემლები მაწვიმს და მათოვს,
მამა ჯავრს უკვე შეუჭამია.
მე დავესწარი თვრამეტ გაზაფხულს,
და გაზაფხულში ფერი ვიცვალე,
მე კი არ მოვკვდი, მშობლებო, ჩემო,
ციურ მნათობად გარდავიცვალე.

აღარ გამკვირებია, ჩემი დათოს მეუღლის(ლალის) გაოცებული შეძახილი, დაინახეთ ანგელოზი გამოისახა, ნახეთ, ნახეთ ჯვრები აქვს შუბლზე, ეს მწუხარება, წამიერად შეშფოთებულ-გაკვირვებულ-გაოცებულ სცენად გადაიქცა, შემოდიოდნენ და დაჩერებოდნენ ჯვრებგამოსახულ დათას. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა.

რით მოვიოხო გული აღარ ვიცი, ვფორიაქობ და განვიცდი და ცრემლები ლექსებად იბადება:

არ მოგაკლებ

არ მოგაკლებ ლექსით ალერსს,
ჩემო ტკბილო, დათა,
სად გეძებო, რომელ მხარეს,
ნეტავ ახლა სად ხარ.
კვლავ ეწვიე, იქნებ თბილისს,
გზების შესასწავლად,
ჩემთან ვიცი გამოივლი,
ბებო, დაგეწამლა.
გენაცვალე დათუჩელა,
გაამაგრე დედა,
იქნებ სიზმრად გეჩურჩულა,
რა დღეშია ხედავ.
როგორ შეგხვდნენ ბაბუები,
თამაზი და ზურა.
ანდა როგორ ეგუები,
ბიჭო, გულზაზუნა.
გენაცვალე ვიცი გიჭირს,
სულს ჭირდება ლოცვა,
ისევ აქ ხარ მარჯვე ბიჭი,
ჯვრებმა გაგვაოცა.

აფრინდი როგორც არწივი

დათიკო, ცის ანგელოზო,
შველივით ბიჭო, მარდო...
დედიკო არ გააბრაზო,
ტირის დათა და გდარდობს.
სიცოცხლის აზრო, მზე ბიჭო,
რაც უფრო ვტირით გვშორდები,
ხვალინდელი დღის ნაბიჯო,
მჯერა, კვლავ განმეორდები.
ახლა აქ, დარდი ტრიალებს,
გულს დარჩა დიდი იარა...
მამა სიმწარით, ღრიალებს,
ნეტავი მოგატრიალა.
აფრინდი, როგორც არწივი,
გაფრინდი, როგორც ჩიტუნა...
შენ იყავ მათი ნაწილი,
ბრგე და ლამაზი ბიჭუნა.
მარადისობის მგზავრი ხარ,
გულში ტკივილად დარჩები,
მე კი ეზოში იმედს ვრგავ...
ბევრჯერ ოცნებას ნაჩვევი!

რა ჩუმად გაზრდილხარ დათა

რა ჩუმად გაზრდილხარ დათა,
ბრძენ კაცს ჩამოგავხარ სიტყვით.
ისევ დარდის ძაფებს ვართავ,
ბედისგან განაბრიყვი.
ნავარჯიშები კუნთი
ზეცას გაიყოლე დათა,
დედაა გულნათუთქი,
სურათი დაუდია თავთან.
დაიკოს ცრემლის ლიცლიცს,
კითხავს მზის ერთი სხივი,
მზემ თვითონ კარგად იცის,
ბედია, გულქვა და ცივი.
გაზაფხულივით თოთქო,
დაიკო ძამიკოს ტირის,
სევდამ შავებით მორთო,
გოგონა სევდის გმირი.
მზემ მზის სასახლე მისცა,
მზეჭაბუკ დათას ცაში,
მცველად ვარსკლავნი იცავს,
ანგელოზი ყავს სახლში.
არ იდარდოვო დედა..
აღარ იტირო მამა.
დათას ცას ღმერთი ხვდება,,
მიღეებს, შვილს თავის მამა.
ნუ ჩამოგტირით სახე,
ბედი ფეხდაფეხ მოგდევთ...
ღმერთი სხვა სახელს არქმევს,
დარდით სული არ მოკვდეს!

ისევ მინდა მოგეფერო

ისევ მინდა მოგეფერო,
გესაუბრო ლექსით...
სიახლოვეს იგრნობ უფრო,
ვიცი დათა გესმის.
გეძებ, ჩემო ტკბილო, დათი,
გეძებ წინ არ მხვდები...
ბედს არ ჰქონდა შენი ხათრი,
ისე კვლავ აღდექი.

დათას ვეძებ, ცის ღრუბელო,
ბედმა დამიმალა,
ხარი არის ჯერ უბელო,
დარდმა გადამღალა.
ლურჯ ცას თვალი გადავავლე,
ცისარტყელას სახეს,
მზე კი თვალებს, აბარბალებს,
დათა, ღმერთთან ვნახე.

მთვარე გთხოვ, სული იშვილო

წუხელი როგორ, გეძინა?
ჩემო, ანგელოზო დათა.
მიწამ ლურჯ ზეცას შეძინა,
დედის ანგელოზი ხატად.
ღმუოდა, ხალხი , კიოდა,
ტიროდა, მოთქვამდა, ერთად,
ოი, მე, როგორ მტკიოდა,
გაფრინდი დედის ერთავ...
წახვედი, ღიმილა ბიჭი,
ოჯახის ფესვო და ბურჯო....
ლექსის დაწერა მით მიჭირს,
გული, არ ამომგლიჯო..
მთელი სოფელი ცრემლს ღვრიდა,
სახეს იკაწრავდა დედა,
სული მზის სხივად გაბრწყინდა,
დაიკო დატოვე კენტად.

წახვედი, ზეცაში გაფრინდი,
სევდას დამიმატე სევდა,
დათუნი შენ არ გაფრთხილდი თუ...
ეგ, ბედმა დაგიბედა.
ნეტავ გეცოცხლა ბიჭო და...
სული შეგრჩენოდა მარტო,
ეზოში შემოჯლაგუნდე და...
ღუმილით ვფიქრობ და ვნატრობ .
გიყვარდა, სიცოცხლე წახვედი,
შავით შემოსე ბიჭები,
ამ, ტკივულს, ვერ გაუძლებ და...
ფიქრით ცას ამოვიჭრები.
მიყვარდი ძმიშვილიშვილო,
ვტირი და ცრემლებს ვმალავ...
მთვარე გთხოვ, სული იშვილო,.
მიწა კი, სხეულს კრძალავს.

დღეს სულობაა

დღეს სულობაა, სული ზეიმობს,
ნაცნობ- უცნობი, ერთმანეთს ხვდება,
უფალო, იქნებ კიდევ შემინდო,
ვამბობ, რომ შვილი არასდროს კვდება.
შვილის სასახლე, დედის მკერდია,
აქ არის, მისი მყუდრო ადგილი.
გარდაცვლილებიც არა კვდებიან.
შვილის სულს იცავს, დედის მანდილი.
დედის ორგანიზმს ისე ეკრობა,
ვით თაფლს ფუსფუსით დედა ფუტკარი,

დედაც შვილს ნაზად ეფერ- ეპყრობა,
დედა-- შვილობა არის უფალი.
თუ გარდიცვლება შვილი ბედისწრით,
სული ცას მიაქვს, ხორცი დატოვა,
არ მოცილდება დედას თმის ბეწვი,
ურწმუნო ფიქრმა თუ არ დათოვა...
ასე გრძელდება ცაში სიცოცხლე,
ღმერთს თუ ენდეთ და კიდეც იწამეთ...
გარდაცვლილები ყველა იცოცხლებს,
მხოლოდ დაჭრილ გულს რწმენით უწამლეთ

ნიკო ბაღაშვილი

დღეს ამაღლებაა – მისი მადლით გავკადნიერდი და ამაღლების ეკლესიის მამა ამირან ამირანაშვილის შესახებ მინდა მოგიყვეთ, წლების წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი და რამხელა შთაგონება წამოვიდა მისგან, როცა თავისი სიმღერით წარსდგა პუბლიკის წინაშე, გავოცდი, მერე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიან მეცნიერებათა აკადემიაში, უკვე ლიტერატორულ ღონისძიებებზე, მისი მეოხებით მიმდინარეობდა ლოცვები და უფრო ახლოს გავეცანი, მე, მორიდება, და ნამეტანი თავაზიანობა მქონდა, მან შემომხედა, ამოიხრა და მეტი სითამამე მომცა, მერე მეც მეტი რა მინდოდა და ერთ ჩემს ფილმზე მივიწვიე, სხვათაშორის დალოცა, ახალგედა მსახიობი, ალექსანდრე ზაზარაშვილი, რომელმაც უკრაინის სიმღერის კონკურსი და სხვა ქვეყანაშიც წარმატებას მიაღწია, ვუცქერდი მამაოს და წარმოვიდგენ-დი ჩემ სულის ნაცოდვარ ფილმებში, მეფედ, თუმცა მეფე ერეკლე ჰქონდა ნათამაშევი თეატრის სცენაზე, მის პოეზიას გავეცანი, უშუალო და ჭეშმარიტი ლირიკით, ლექსთა სტრიქონებში ნაცნობ ადამიანურ სითბოს და სისადავეს ვგრძნობდი.. და იმ სითბოს, ტელეფობის ზარით თუ პირად შეხვედრებში, რომ "ნიკოც" და სხვაც გედნიერები ვყოფილიყავით და ვგრძნობდი რომ ის ლოცულობდა ჩვენთვის, ხოდა, ამ ამაღლების დილას გავკადნიერდი და ჩემი მამაო ამირან ამირანაშვილის დალოცვა მომინდა, მითუმეტეს მისი პოეზიის წიგნის გარეკანის, მისი სურათი, რომ მხვდებოდა ყოველ გაღვიძებისას, ჩემს ოთახში და თუ გამიჭირდებოდა მისი მოკითხვა ტელეფონით, გულს რომ ამიძგერებდა სიხარულით და ყოველგვარ გაბრაზების გაცილაც რომ მშორდებოდა ---

მამაო, დიდხანს გვყავდე ჩვენი სულის სალბუნად და მზეგრძელი, ხო, აღსარებასაც ჩაგაბარებთ, როცა მე კი არა სხვაც რომ შემოგხედავთ, ისეთი ადამიანური ენერგიას გვიბოძებთ, რომ მართლაც სული ყივის, ნავარდობს და ირგვლივ სამყარო საამური და მშვენიერია, გაიხარეთ, გეღურები აუღურტულდნენ მამაო, თენდება ამაღლების ბრწყინვალე დღემ ირიურაუა, გილოცავთ, მრავალს დაგასწროთ და გახარებული ყოფილიყავით თქვენს მეუღლესთან ქალბატონ თამართან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, ხო, დედა მეუბნებოდა მამაო, ადამიანს შუბლზე აწერია ვინაო, დიახ, თქვენს სახეზეც, რაინდულ გამოხედვაზეც, ომახია ხმათა გალობაშიც, ნაღდი ადამიანური სულისკვეთება და სიფაქიზის სიწმინდეა, რომელსაც დიდბუნოვნება და მამა ამირან ამირანაშვილი ჰქვია სახელად, ვამაყობ, რომ თქვენი სულიერი შვილი და უმცროსი ძმა ვხდები, გაიხარეთ!



ელგუჯა მგელაძე

„ოპტიკა“

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საღამოს დასწრებულის №19-ე ჯგუფში ფაქტიურად ყველა კარგად ვსწავლობდით. ლექციები საღამოს შვიდი საათიდან გვეწყებოდა.

ისევე როგორც საერთოდ ყველა სტუდენტს, მეც ჩემს ჯგუფელებთან ერთად ხშირად მიყვარდა ლექციების გაცდენა, ანუ ე.წ. ,,შატალოზე” სიარული.

ერთხელაც, მორიგ ,,შატალოზე” ყოფნისას ექვსი თუ შვიდი მეგობარი რუსთაველის გამზირზე ვსეირნობდით. შემოდგომის თბილი საღამო იყო. დაახლოებით 21 საათი იქნებოდა, როცა, რატომღაც, ზედ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წინ გადავწყვიტეთ პროსპექტის გადაკვეთა. იმ დროს ფეხით მოსიარულეთა მიერ აკრძალული ადგილების გადაკვეთას დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა და მაშინდელი საგზაო მილიციის მიერ ხშირი იყო დაჯარიმების ფაქტებიც. ჯარიმა ორიდან ხუთ მანეთამდე განისაზღვრებოდა.

იმ საღამოს ფიზიკის, ქიმიის და სამშენებლო მექანიკის ლექციები გავაცდინეთ და თითოეულ ჩვენგანს ხელში მხოლოდ ამ საგნების კონსპექტების საერთო რვეულები გვეჭირა.

მოკლედ, პროსპექტი გადავკვეთეთ თუ არა, ქუჩაში მდგომმა მილიციელებმა ისეთი სტვენა ატეხეს, რომ იფიქრებდით, ქვეყანა დაიქცაო. ჩვენ სირბილით აქეთ-იქეთ მიმოვიფანტეთ. ის-ის იყო ბოლოს მყოფი ჩვენი ჯგუფელი გელა ფიცხელაურიც სამშვიდობოს უნდა გასულიყო, რომ მას უზარმაზარი ჭადრის ხის უკან დამალული მილიციელი გადმოუხტა და ხელი ისე მაგრად სტაცა, რომ გელა თავისი სიმკვირცხლის მიუხედავად, ხელიდან ვერ დაუსხლტა. ამასობაში სხვა მილიციელებმაც მოირბინეს და ჩვენი გელა ,,გასკვანჩეს”.

მეგობარს მილიციას ხომ არ შევატოვებდით, ამიტომ ჩვენც მაშინვე მილიციელებს მივცვივდით. გამვლელებმაც უცებ მოიყარა თავი.

ერთმა, შედარებით დაბალმა და მელოტმა მილიციელმა, რომელიც ალბათ სხვების უფროსი უნდა ყოფილიყო, ჯარიმის ქვითარი ამოიღო და ჩვენს გელას, რომელსაც სხვათაშორის ,,სერაფინოს” ვეძახდით, გამოკითხვა დაუწყო და მოსთხოვა პასპორტი, რაც იმ მომენტში გელას არ აღმოაჩნდა. მილიციელი არ მოეშვა, შენი გვარსახელი მითხარიო. გელამ საკმაოდ მშვიდად უპასუხა, რაც ერქვა, მაგრამ ერთმა ახმახმა ,,პუსტა-პუსტა” მილიციელმა ეჭვის თვალით დაუწყო გელას ყურება, თან, ალბათ მისი იქ მყოფი უფროსის წინაშე თავის გამოსაჩენად, ხმამაღლა განაცხადა, ახლავე შევამოწმებო და მან საკმაოდ უხეშად გამოგლიჯა გელას იღლიაში ამოჩრილი რვეული, გარეკანზე დააცქერდა და მელოტ მილიციელს გამარჯვებულის სახით მიმართა: ჩემი ეჭვი გამართლდა, უფროსო, ეს გელა ფიცხელაური კი არა, ოპტიკა ყოფილა. მელოტმაც სასწრაფოდ გადახაზა საჯარიმო ქვითარში უკვე ჩაწერილი გელას გვარსახელი და მას თავზე ოპტიკა დააწერა, მაგრამ გვარი? ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი.

ცხადია, გელამ თავი გამოიდო: რა ოპტიკა, რის ოპტიკა, მე ნამდვილად გელა ფიცხელაური ვარ, ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ ამ ხალხს ჰკითხეთო, მაგრამ ამაოდ.

მილიციის მელოტმა უფროსმა სერჟანტმა მკვახედ მიახალა აღელვებულ გელას: დაწყნარდი, ამხანაგო! ვის მოტყუებას ცდილობ! ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ თქვენ ოპტიკა ხართო.

ამასობაში მაღალმა მილიციელმა კიდევ ერთი სიტყვა ,,ფიზიკა” ამოიკითხა რვეულის გარეყდაზე და ეს სასწრაფოდ ოპტიკის გვარად მიიჩნიეს!

ამრიგად, გელას სამ მანეთიანი ჯარიმა გამოუწერეს.

საჯარიმო ოქმში სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა: 1971 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს 9 საათსა და 32 წუთზე ხუციშვილის ქ. №21-ში მცხოვრებმა ოპტიკა ფიზიკამ, რუსთაველის გამზირზე დაარღვია ფეხით მოსიარულეთა წესები, რის გამოც დაჯარიმდა სამი მანეთით. ოქმზე ოთხმა მილიციელმა ამაყად მოაწერა ხელი და გელას ნიშნისმოგებით მიაძახა: თქვენი ხელმოწერა არაა სავალდებულო, ჩავწერეთ, რომ ოქმს არ ეთანხმებითო...

ამ დროს ჩვენ სიცილით ვიხოცებოდით: იმ დღეს ხომ ფიზიკის ლექცია გავაცდინეთ და იმუამად მის ერთ-ერთ ნაწილს – ოპტიკას გავდიოდით.

ასე შერჩა ჩვენს მეგობარ გელას იმ დღიდან მეტსახელად ,,ოპტიკა", რომელსაც დღემდე ვეძახით.

რაც შეეხება საჯარიმო ოქმს და ჯარიმას, იგი ხუციშვილის ქუჩაზე არ გამოუგზავნიათ, ვინაიდან იმ დროს მილიციაში ჭკვიანი ხალხიც მუშაობდა.

ქირურგიული ოპერაცია საგანგებო პირობებში

1984 წელს ჩემი უმცროსი დაიკო, ცისანა გაგვითხოვდა, რომელსაც ქორწილი სოფელ ზომლეთში გადავუხადეთ და კარგი დროც ვატარებინეთ სტუმრებს, ერთ-ერთი მათგანის გარდა.

სიძეს, თამაზ კოტაშვილს, თბილისიდან სხვებთან ერთად ახლდა ერთი იქაური მეზობელი, ძალიან წარმოსადეგი, გურულებზე შეყვარებული და კარგი მოქეიფე კაცი გურამ ყიფშიძე. მან შესანიშნავად მოილხინა, ერთი განსხვავებული სასმისიც არ გამოუტოვებია, თავის ძმაკაცებთან ერთად ბოლო წვეთამდე სცლიდა ყანწებს.

სუფრა ნელ-ნელა იშლებოდა და სტუმრებს მეზობლებთან ვანაწილებდით, როდესაც კარგად შეზარხოშებულმა გურამმა აიჩემა: მე, ჩემს ძმაკაცებთან ერთად სოფელ ჭანჭათში ჩემს სიმამრთან, ოთარ ბერძენიშვილთან უნდა წავიდე, მოვინახულებთ მას, მოვისვენებთ და ხვალ დილის 11 საათისთვის ერთად დაგიბრუნდებითო. მისი ნათქვამი ძმაკაცებსაც ჭკუაში დაუჯდათ, ღვინით სავსე ჭიქები ასწიეს, ჩვენი დაშლა-არმოშლისა იყოსო თქვეს და ერთდროულად გამოცალეს.

გურამმაც დალია, ჭიქა ამოატრიალა, თქვა, ასე მტერი დაგეცალოთო, უცებ წაბარბაცდა და მის უკან ღვინის ცარიელ შუშის დოქებს ზედ დაეცა. რა თქმა უნდა, მინის ჭურჭელი დაიმსხვრა და შუშის ნამსხვრევები გურამს საჯდომში შეერჭო.

ძმაკაცებს ჯერ სიცილი აუტყდათ, მაგრამ გაჭრილი შარვალი და ჭრილობებიდან გამონადენი სისხლი რომ დაინახეს, შეეშინდათ, მაგიდაზე ყველაფერი მიყარ-მოყარეს და ძლივ-ძლივობით ხელში აყვანილი გურამი მაგიდაზე გულაღმა დააწვინეს.

ატყდა ჩოჩქოლი: არიქა, ექიმი, არიქა, ექიმიო! ამ დროს დაჭრილის ირგვლივ ხალხის წრე გაარღვია ჩემმა მეგობარმა, კარგად შეზარხოშებულმა რომან კვაჭაძემ. აბა, მიმიშვით, ქირურგი ვარ, ცხოვრებაში ამის მეტს არაფერს ვაკეთებო. დახედა ჭრილობებს და დაიყვირა; აბა, ჩქარა, საოპერაციოშიო.

ძმაკაცებმა დაჭრილ გურამს მაშინვე ხელი სტაცეს და სახლის პირველ სართულზე მაგიდაზე დააწვინეს.

ქირურგმა წესისამებრ ხელები დაიბანა, თეთრი პერანგის მკლავები გადაიკეცა, მიიხედ-მოიხედა, მართალია, იქაურობა საოპერაციო ოთახს ვერ მიამსგავსა, მაგრამ ერთ-ერთ პიროვნებას მაინც ომახიანად მისცა ბრძანება: აბა, დამხმარეე, სასწრაფოდ ხელთათმანები, ბამბა, სპირტი, პინცეტი, საოპერაციო დანა მომეცით და დავიწყოთ ოპერაცია, თორემ პაციენტი სისხლისგან დაიცლებაო.

მისმა ასეთმა მოთხოვნამ ყველანი გააოცა; შუა ქორწილში, თანაც სოფლად, ვის ექნებოდა ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო ინვენტარი, ამიტომ მამაჩემმა ალექსანდრე მგელაძემ კარგი, ორნახადი არაყი მიართვა ექიმს, მანაც იგი მაშინვე დააგემოვნა. ექიმს ძლიერმა სითხემ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოაყრევინა. მიუხედავად ამისა კიდევ რამდენჯერმე მოიყუდა ბოთლი, კარგია, კარგიაო თქვა და ბამბისა და პინცეტის მოტანა მოითხოვა. დედაჩემმა, ქსენია მგელაძემ, სანაცვლოდ ჩანგალი და სუფრის დანა მიართვა, რომლითაც, გამოუალ მდგომარეობაში ჩავარ-

დნილმა ექიმმა, პაციენტს ჭრილობებიდან მინის ნამსხვრევები მაინც ამოაცალა, შემდეგ ჭრილობა კარგად დაუმუშავა ორნახადი არაყით და დედაჩემს მიმართა, აბა ახლა, ქალბატონო ქსენო, ნემსი და ძაფი მომიტანეთ, ნაკერებს დავადებ და ოპერაციაც დავასრულოთო. დედაჩემი იმწამსვე მეორე ოთახში გავიდა და საკერავი ნემსი და კოჭის შავი ძაფი მიართვა. ექიმმა გაკვირვებისაგან თავი გააქნია, ერთი ამოიოხრა და მორიდებით უთხრა დედაჩემს: ამას, ქალბატონო ქსენო, თქვენგან არ მოველოდიო, მაგრამ საქმეს მაინც შეუდგა.

,,ოპერაციამ" მშვიდობიანად ჩაიარა და ბოლო შტრიხისათვის ქირურგმა ლეიკოპლასტი მოითხოვა. დედაჩემმა მიუგო: ეგ არ ვიცი, რა არი, შვილო, მაგრამ ჭიკარტი არ გამოდგებაო? ამის გაგონებაზე ტკივილებისაგან ძალაწართმეულმა გურამმა თავი წამოყო, საცოდავი თვალებით შეხედა დედაჩემს და წამოიბღავლა: მე კიდევ ჭიკარტი მინდაო? ამაზე ყველას სიცილი აგვიტყდა, მაგრამ დაზარალებულს, რომ არ სწყენოდა, მაქსიმალურად თავი შევიკავეთ.

მაღალი დონის, მაგრამ მთვრალი ქირურგის კუსტარულად ჩატარებულმა ,,ოპერაციამ" მაინც ბრწყინვალედ ჩაიარა და ჭრილობებს არავითარი გაღიზიანება არ მოჰყოლია.

ასე დაზარალდა სიმამრის სიყვარულით აღტკინებული გურამ ყიფშიძე.

ქორწილის დაუპატიჟებელი თამადა

გომბორის გვერდით, შესანიშნავ სოფელ სასადილოში ცხოვრობს ერთი ძალიან პატიოსანი და მშრომელი კაცი გრიშა, რომელიც გომბორის სახლის მშენებლობაში მეხმარებოდა. ის საკმაოდ ჭკუაგახსნილი, პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული კაცია და თავადაც ლაზათიან ლექსებს წერს.

როდესაც გრიშამ ერთადერთი ქალიშვილი, მარიამი გაათხოვა, ქორწილში მე და შოთა მაისურაძე დაგვპატიჟა და გაგვაფრთხილა, მაყარშიც უნდა გაგაყოლოთო.

ჩვენც საგანგებოდ მოვემზადეთ და ვეწვიეთ სოფელ სასადილოს.

ქორწილის თამადა ნეფე-დედოფლის გვერდით მაგიდაზე მიკროფონით ხელში სადღეგრძელოებს ამბობდა. სულ რაღაც 2-3 სადღეგრძელო ჰქონდა ნათქვამი, როდესაც ჭიშკართან ტაქსი გაჩერდა და რუსთავიდან ჩამობრძანებული ოჯახის ნათესავები მოიყვანა. მათ შორის უფროსმა მამაკაცმა, ტაქსის მძღოლი ცალყბად შეიპატიჟა სუფრასთან. უცნობიც დათანხმდა და სიხარულით უკან მიჰყვა ოჯახის ნათესავებს.

სანამ სუფრასთან მივიდოდნენ, მძღოლმა კარგად გამოიკითხა ნეფე-დედოფლის და მათი მშობლების სახელები. ახლადშემოსწრებულმა ნათესავმა უცნობი წვერგაუპარსავი მძღოლი დამსწრე საზოგადოებას ახლო მეგობრად გააცნო. ტაქსის მძღოლმა თამადას მოკრძალებით მიკროფონი გამოართვა და მაღალფარდოვანი სიტყვებით დაიწყო: ჩემო ძვირფასო ადამიანებო, უპირველეს ყოვლისა ბოდიშს გიხდით დაგვიანებისათვის და ამავე დროს უდიდეს მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ ასეთი დიდი სიხარულით იზიარებთ ჩემი გრიშას ქალიშვილის გაბედნიერებას. დარწმუნებული ვარ, ძვირფასი თამადაც ჯერ ამას იტყოდა და მეც უფლის დიდების სადღეგრძელოს შევსვამ. შემდეგ მან მშვიდობის სადღეგრძელოც მიაყოლა საკმაოდ დიდი ,,რეჩით". ჭიქა გამოსცალა, ამოატრიალა, ასე მტერი დაგეცალოთო და ომახიანი ხმით განაგრძო: აბა ის განსხვავებული ჭურჭელი სად არის, ჩვენს უმშვენიერეს ნეფე-დედოფლის დალოცვას რომ შეეფერებაო? მაშინვე უზარმაზარი ყანწი ღვინით შეუვსეს და ენაწყლიან უცნობს მიართვეს, რომელიც როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს თამადის გვერდით უცხო სუფრაზე. მირთმეული უზარმაზარი ყანწის დანახვას სრულებით არ შეუშინებია, პირიქით, ამაყად ჩამოართვა დალოცვილი სითხით პირამდე სავსე ყანწი და დაიწყო: ,,ჩემო გვრიტებო და ჩიტებო, ასეთი იშვიათი სილამაზის ნეფე-დედოფალი თუ ვინმეს გვნახავთ? ჰოდა, მათი ბედნიერებისა შევსვათ".. ამას კიდევ რამდენიმე საუკეთესო ეპითეტი დაამატა, გამორჩეულად მოიხსენია მათი მშობლებიც, რის შემდეგაც ჯერ კიდევ თამადის წარმოუთქმელი და შეუსმელი სადღეგრძელოები სულმოუთქმელად გამოსცალა. □მან სუფრის წევრებს შორის დიდი ოვაციები და აპლოდისმენტები გამოიწვია, მათ არც მუსიკოსები ჩამორჩნენ და ნეფე-დედოფალს შესანიშნავი მრავალჟამიერი უძღვნეს.

თამადამ უცნობს ბოდიში მოუხადა, მიკროფონი გამოართვა და ნახევრად ღიმილით უთხრა: ჯერ დაგეწევით, ბატონო და მერე გააგრძელეო. უცნობი დაიბნა, ეგონა ეს სადღეგრძელოც ნათქვამი იყო და თამადას მოკრძალებით ბოდიში მოუხადა. სუფრის წინამძღოლი ერთი პატარა, ჩია კაცი გახლდათ, რომელსაც, ჩანდა, ძალიან მოეწონა ეს ახოვანი, დიდებულად მოსაუბრე მამაკაცი, მიხვდა, რომ იგი მასზე ბევრად უკეთესად წარმართავდა სუფრას, სახელი და გვარი გამოკითხა და მიკროფონით მოგვმართა: ჩემო ძვირფასებო, ამ სუფრის თამადა უნდა ყოფილიყო ბატონი ლევან დიდებულიძე, მართლაც რომ დიდებული ადამიანი, რომელიც ცოტა დაგვიანებით შემოგვიერთდა, ამიტომ, თქვენის ნებართვით, კუთვნილ თამადობას ისევ მას დავუბრუნებო. უცნობს მიკროფონი მიაწოდა და სუფრის წარმატებით გაძღოლა უსურვა.

ლევან დიდებულიძემ, მართლაც რომ დიდებული დრო გაგვატარებინა, მეც კარგი თვალით შემომხედა და ხშირად ჩემთან ალავერდსაც გადმოდიოდა, მეც ალავერდის ძალი და მადლი შეგეწიოს-მეთქი ვეუბნებოდი და ვცდილობდი სადღეგრძელოები არანაკლებ სიტყვაწყლიანად წარმომეთქვა.

მოკლედ, ამ შემთხვევითმა თამადამ, კიდეც უმღერა ნეფე-დედოფალს, ცეკვითაც აცეკვა და თავის შეკვეთილ შაბაშებზე მთელი ქორწილიც ააცეკვა.

სამწუხაროდ, მაყარში წასვლის დრო მოვიდა. გვიჭირდა ასეთ დიდებულ თამადასთან განშორება, რომელმაც მთელი გულითა და სულით დაგვლოცა წამსვლელები, დიდი პატივით გაგვაცილა და ასევე დიდებულად გააგრძელა ქორწილი.

იმ ღამით მადლიერმა მასპინძელმა, შემთხვევითი თამადა ლევან დიდებულიძე სოფელ სასადილოში დიდებულად მოასვენა და მეორე დღეს, დილიდანვე მას გააგრძელებინა სუფრა.

როგორც შემდეგ გავიგე, იმუამინდელი ნეფე-დედოფლის პირველივე პირმშო, სხვებთან ერთად, სწორედ ლევან დიდებულიძეს მოუნათლავს.

სადავო იარაღები

გომბორის აგარაკზე სახლები ბოლომდე აშენებული და გამართული არ გვქონდა, როცა მე და ჩემმა მეზობელმა ჟორა ბიძიამ, რომელიც ახალი გაცნობილი მყავდა, დავიწყეთ სხვადასხვა იარაღების შეძენა. მალე ხელთ გვქონდა ურო, ჩაქუჩი, ძალაყინი, ხერხი, ცული, ელექტრობურღი, ბრტყელტუჩა, თოხი, ბარი, ფოცხი, წერაქვი და სხვა. მოკლედ, ისე შევედით ზემოხსენებული ნივთების შეძენის აზარტში, რომ ერთი სახეობის იარაღს, ერთს კი არა, რამდენიმეს ვყიდულობდით, ოღონდ ზომითა და ფორმით განსხვავებულს და კოლექციონერობით თავიც კი მოგვქონდა მეზობლობაში.

ერთ მშვენიერ დღეს, ჟორა ბიძია მესტუმრა და შეწუხებულმა მთხოვა, ძალაყინი გამიფუჭდა და მათხოვეო. მისმა ნათქვამმა გამაკვირვა, ძალაყინის გაფუჭება ვის გაუგია? მაგრამ ხომ იცით გამოთქმა “მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო” და მეც იარაღი სიამოვნებით გამოვურბენინე. ვიფიქრე, ეტყობა, კიდევ უფრო დაახლოება-დამეგობრება უნდა და მიზეზად ძალაყინის თხოვება მოიგონა-მეთქი და საკმაოდ მძიმე იარაღი მეზობელს ჭიშკრამდეც კი მივუტანე.

ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ძალაყინი დამჭირდა. გამახსენდა, რომ ჟორა ბიძიას ჰქონდა წაღებული. მის ეზოში შესვლისთანავე დავინახე, რომ ჩემი ძალაყინი სახლის კედელთან იყო მიყუდებული. მოვკიდე ხელი და მასპინძელს ვუთხარი: ჟორა ბიძია, ჩემი ძალაყინი მჭირდება და უნდა წავიღო-მეთქი. მან კი, ჩემდა გასაკვირად, მთელი სერიოზულობით მიპასუხა: რას ამბობ, კაცო! ეს ჩემი ძალაყინია, ქარხანა ამ იარაღს მხოლოდ შენთვის კი არ ამზადებსო. თანაც შვილიშვილები დაიფიცა, ეს ძალაყინი რამდენიმე დღეა აქ დევს და მისი ცქერით თვალებში ლამის მაზოლი ამომივიდესო. □მოკლედ, ჩემი ძალაყინი არ მომცა, თუ ძალიან გჭირდება, ცოტა ხნით გათხოვებო.

თავიდან მეგონა მეხუმრებოდა, ან სიზმარში ვიყავი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რეალურად ხდებოდა, ძალიან მეწყინა, გავბრაზდი და უკან გამოვბრუნდი.

ამის შემდეგ ორივემ ერთად გადავწყვიტეთ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი დაგვედო ჩვენ-ჩვენი იარაღებისათვის. გავმართეთ ხანმოკლე თათბირი. მიღებული გადაწყვეტილებით, მართალია, ჩემს მანეთიან ძალაყინს საბოლოოდ გამოვემშვიდობე, მაგრამ მაინც წამოვაყენე შემდეგი იდეა: ჟორას იარაღების ტარები ერთი ნახვრეტით, ხოლო ჩემები ორი ნახვრეტით დაგვემშვენებინა. მოკლედ, შეთანხმებისამებრ, დავხვრიტეთ იარაღის ტარები და ნახვრეტებისათვის ფუნქციის მინიჭების მიზნით სახელოსნოებში ლურსმებისგან გაკეთებულ საკიდებზე ჩამოვკიდეთ.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ დამშვიდების მაგივრად, მოუსვენრობა დამჩემდა. ყოველდღე ვხედავდი ჟორას სახლის კედელზე მიყუდებულ ჩემს გასაცოდავებულ ძალაყინს. წავთვლემდი თუ არა, მესიზმრებოდა, თითქოს ჩემი ძალაყინი მეძახდა: ელგუჯ! შენი ვარ, შენი ვარ, წამიყვანე, მომაცილე აქაურობას, თორემ ამ კაცმა გამცვითა მუშაობითო! ამის შემდეგ ბნელი ფიქრები თავს არ მანებებდნენ, მიბიძგებდნენ რაიმე ხრიკებით შეთანხმებაში ცვლილებები შემეტანა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ბიჭი, ალეკო, ჟორასთან გავგზავნე ჩაქუჩისა და ცულის სათხოვნელად. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე მიზნით ალეკო კიდევ ორჯერ გავგზავნე და მეზობლის იარაღებს ერთიანად მოვუყარე თავი. მერე ჩემების მსგავსად, იგივე ზომის მეორე ნახვრეტით გავამდიდრე და ჩემს სახელოსნოში ჩამოვკიდე. იმ ღამეს ძალიან კარგად დამეძინა, თანაც საუკეთესო სიზმრები ვნახე...

რამდენიმე დღის შემდეგ ჟორა წარბაწეული მესტუმრა და მოიკითხა თავისი იარაღები. □მე მხრები ავიჩეჩე და მთელი სერიოზულობით ვუპასუხე: რაღაც ვერ ვიხსენებ შენი იარაღების ჩემთან ყოფნას-მეთქი. შემოდი, დაათვალიერე და, შეთანხმებისამებრ, ერთნახვრეტიან იარაღს თუ ნახავ, წაიღე, რად მინდა შენი იარაღი, ხომ ხედავ, ჩემიც რამდენი მაქვს-მეთქი.

ჟორამ საგულდაგულოდ დაათვალიერა კედელზე მრავალ რიგად ჩამწკრივებული ორ-ორ ნახვრეტიანი იარაღები და ერთ ნახვრეტიანი, რომ ვერ აღმოაჩინა, ნიშნისმოგებით მკითხა: შე, კაცო! მითხარი როდისღა მოასწარი ამდენის შეძენაო?! პასუხი არ დავაყოვნე: □ ეჰ, ჟორა ბიძია, შენ საჭიროება და ფული თქვი, თორემ რა უნდა ამათ შეძენას-მეთქი.

ამ საუბრიდან არ გასულა ორიოდე დღე და ალეკო კვლავ გავაგზავნე მომცრო ჩაქუჩზე ჟორასთან. მან კი, ერთის ნაცვლად სამი გამოატანა. მეზობლის გულუხვობამ გამაკვირვა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ხაფანგი იყო. თურმე ერთ-ერთი ჩაქუჩის ტარზე სახელი ჟორა იყო ამომწვარი, რომელიც ჩემი მხედველობის არეალს გამოეპარა. ჩვეულებისამებრ, სამივე ჩაქუჩს მეორე ნახვრეტი გავუკეთე და კედელზე თავისუფალი ადგილის არქონის გამო, სამუშაო მაგიდაზე დავყარე.

არ გასულა დიდი დრო და ჟორაც მესტუმრა. რა თქმა უნდა, ამოიცნო ჩაქუჩზე საკუთარი ხელით ამოტვიფრული წარწერა. როგორც სჩვევოდა ქვედა ტუჩი ბოლომდე გადმოაბრუნა, თავის ქნევით გაურკვეველი ბგერები ჩაიბუტბუტა, ალბათ გულისხმობდა, მე შენ გიჩვენებ სეირსო და შინ წავიდა. მეორე დღეს თავისი გვარის გამგრძელებელი გიალო გამომიგზავნა ხუთი ჩაქუჩის სათხოვნელად. □მართალია, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ უარის თქმა არ გამოდიოდა, ამიტომ ექვსი გავატანე, მალულად გავყევი გიალოს და მათი სახელოსნოს სარკმელთან მივიპარე.□ჰოი, საოცრებავ, ჩემი თვალით ნათლად დავინახე, თუ როგორ ოსტატურად მოახერხა ექვსივე ჩაქუჩის ტარს თითო ნახვრეტი, როგორ მარჯვედ გაქლიბა ერთნახვრეტიანად გადაქცეული ჩაქუჩები და როგორ ჩამოკიდა კედელზე.

იმ დღეს დამთავრდა დაზვერვითი სამუშაოები და გამოცხადდა ღია ომი იარაღების მისაკუთრებისათვის. ნათხოვარ იარაღებს მე მეორე ნახვრეტს ვუმატებდი, ის კი დაბრუნებულ, უკვე ორ ნახვრეტიან იარაღს ხერხით აჭრიდა ერთ ნახვრეტს. სწორედ ერთ ასეთ მცდელობაზე, ჟორას ისევ ჩავუსაფრდი და ხერხვისას თავზე დავადექი. ხელი ვტაცე ნახევრად მოხერხილ ჩაქუჩის ტარს და ვითომდა აღშფოთებულმა შევძახე: აფსუს, ჟორა ბიძია! მე შენ კეთილსინდისიერი მეზობელი მეგონე, არცერთი არ მინდა, გჩუქნი ამ იარაღებს-მეთქი და დიდი ნაბიჯებით დავტოვე მისი სახელოსნო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი იარაღების სამთვიანი მძიმე ომი იმით დამთავრდა, რომ ჩვენი იარაღები დამოკლებული ტარების გამო, თითქმის გამოუსადეგარი გახდა... ბოლოს კი, მიღწეული ზავის შესაბამისად მეზობლების თანდასწრებით არადანი-არჩევანის პრინციპით გავიყავით ჩვენივე ინსტრუმენტები, თუმცა, ჩემი ძალაყინი, ჟორას მეტად პრინციპული პოზიციის გამო, მასთან დარჩა და დღესაც საცოდავად არის მიყუდებული მისი სახლის კედელზე. ახლა თითქოს აღარც მახსოვს ჩემი ეს საყვარელი ნივთი, თუმცა, თვეში ერთხელ მაინც, სიზმარში უთუოდ მახსენებს ხოლმე თავს.

საქორწილო წიქარა

ჩემი უფროსი და მედეია მგელაძე 1971 წელს გაბედნიერდა, ცოლად გაჰყვა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭყონაგორის მკვიდრს ლადო ორმოცაძეს, რომელიც იმჟამად უკვე თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა. ქორწილი, როგორც წესი ჯერ ჩვენს სოფელ ზომლეთში გაიმართა, ხოლო შემდეგ სიძის ოჯახში.

ლადოს უაღრესად შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი და პატიოსანი მშობლები ჰყავდა – ბატონი მინაგო და ქალბატონი მარუსია. მათ ძლიერი ოჯახი ჰქონდათ, ძირითადად ეწეოდნენ მეაქონლეობას და მიწათმოქმედებას. მინაგო ორმოცაძეს მრავლად ჰყავდა შინაური ფრინველი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ჰყავდა ცხენებიც.

სოფელ ჭყონაგორაში ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე ბატონმა მინაგომ გამომიცხადა, რომ საქორწილოდ მჩუქნიდა ორწლიან მოზვერს, რომელიც, დაჟინებული თხოვნის შემდეგ მაჩვენა კიდეც. მოზვერი რომელსაც წიქარა ერქვა, მუქი წაბლისფერი იყო, ძალიან კარგად მოვლილი და ჩასუქებული. მან დამინახა თუ არა, რატომღაც ჩემსკენ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, შემდეგ შეჩერდა, თავი მაღლა ასწია და თვალებში მომაჩერდა, კარგახანს ასე გაუნძრევლად იდგა, შემდეგ მოულოდნელად თვალები დახუჭა და ნათლად დავინახე თუ, როგორ წამოსცვივდა დახუჭული თვალებიდან ცრემლები. შემდეგ თვალები გაახილა და ისევ მე მომაშტერდა, აშკარა იყო რაღაცას მეუბნებოდა, ალბათ იმას, რომ არ დამეჩქარებინა ჩემი დაოჯახება და ქორწილის გამართვა, რასაც, ბუნებრივია, შეეწირებოდა მისი სიცოცხლე.

იმჟამად მე 21 წლის ვიყავი და ამ შემთხვევამ ცუდ ხასიათზე დამაყენა, მაგრამ სუფრაზე ღვინის სმის შემდეგ იგი სულ დამავიწყა, თუმცა შემდგომში იქ ნანახი უამრავჯერ ამომიტივტივდებოდა ხოლმე ჩემს მეხსიერებაში.

ჩემი დის ქორწილიდან რამდენიმე თვე გავიდა და ცხენზე ამხედრებულმა ბატონმა მინაგომ ჩემი საქორწილო წიქარა ზომლეთში ამოდენა ჩემს მშობლებთან, თან დაარიგა ისინი, რომ კარგად ედევნებინათ თვალი, პირველ ხანებში მაინც, რათა საქონელი თავის ძველ პატრონთან არ დაბრუნებულიყო.

მანძილი ჩვენსა და ჩემი სიძის სახლს შორის, უმოკლესი საცალფეხო ბილიკით, ათიოდე კილომეტრი იქნება. სწორედ ამ გზაზე გამოატარა მოზვერი ბატონმა მინაგომ ზომლეთში ამოყვანისას. მამაჩემს თავდაპირველად წიქარა სულ ეზოში ჰყავდა გაშვებული და იქ აბალახებდა, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ თავის სხვა საქონელთან ერთად საბალახოდ ეზოს გადაღმა საძოვარზე გაუშვა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მოზვერი სხვა საქონელთან ერთად საღამოს შინ აღარ დაბრუნდა. ცოლქმარმა მთელი სოფელი მოიარეს, მაგრამ მისი პოვნა ვერ შეძლეს. შემდგომში ერთ-ერთმა მეზობელმა გაიხსენა, რომ უცხო საქონელმა რომლის აღწერილობაც ზუსტად ემთხვეოდა დაკარგულისას, ჩვენი ეზოს წინ ჩაიარა და გეზი ლანჩხუთისაკენ ჰქონდა აღებულიო. ეს გზა სწორედ იმ ბილიკს უერთდებოდა, რომლითაც იგი ჩვენთან ამოიყვანეს.

მამაჩემმა გადაწყვიტა სოფელ ჭყონაგორაში წასულიყო და გაერკვია თავის ძველ პატრონთან ხომ არ დაბრუნდა მოზვერი, მაგრამ მეორე დღეს ეს რატომღაც ვერ მოახერხა და ერთი დღით გადადო გამგზავრება, თუმცა ეს აღარ გახდა საჭირო, ვინაიდან მეორე დღეს ბატონი მინაგო კვლავ ცხენზე ამხედრებული ეწვია ჩვენებს ზომლეთში და დაკარგული მოზვერი უკან ამოუდენა.

ჩვენების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: უზომოდ გაიხარეს დაკარგულის პოვნით და მძახალის სტუმრობით, მამაჩემმა მაშინვე რამდენიმე მეზობელს უხმო და სულ მალე ოჯახში მშვენიერი პურმარილიც გაიშალა...

ამ ამბის შემდეგ მოზვერს ეზოდან აღარ უშვებდნენ, მან, მართალია, ძალიან მოიწყინა, მაგრამ უზარმაზარ ეზოში მაინც მშვიდად ძოვდა საუკეთესო ბალახს და თითქოს ბედსაც შეეგუა.

ერთხელაც დედაჩემს ეზოს ჭიშკარი ღიად დარჩენოდა, რითაც ისარგებლა წიქარამ და, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. ამის გაგებისთანავე მის საძებნელად საჩქაროდ წასული დედაჩემი ისევ ძველ გზას დამდგარ წიქარას სოფლის ბოლოში წამოეწია და უკან დაბრუნება დაუპირა, მაგრამ ეს იოლი არ აღმოჩნდა, ვინაიდან მოზვერმა არ ისურვა უკან დაბრუნება და ჯიუტად ცდილობდა მისი ძველი პატრონისაკენ გზის გაგრძელებას.

დედაჩემი იძულებული გახდა გზად შემხვედრი ჩვენი სოფლელებისთვის ეთხოვა დახმარება და წიქარას უკან დაბრუნება მხოლოდ მათი გულმოდგინე დახმარების შემდეგ მოხერხდა.

ამის შემდეგ წიქარაზე მეთვალყურეობა გაორმაგდა. მის სამოქმედო არეალს მხოლოდ ეზოში ბალახობა წარმოადგენდა, საღამოს კი სხვა საქონლებთან ერთად ბოსელში თავის ადგილს მიუჩენდნენ.

გავიდა დრო და ექვსიოდე თვის შემდეგ მოზვერი თითქოს საბოლოოდ შეეგუა თავის ბედს, მაგრამ ჩვენივე სოფლის, საკმაოდ მოშორებით მცხოვრები ერთ-ერთი მეზობლის დაკრძალვიდან უკან დაბრუნებულ ჩემს მშობლებს ეზოს ჭიშკარი ღია დაუხვდათ და წიქარა აღარსად ჩანდა, არადა, უკვე მოსაღამოებული იყო. საკმარისზე მეტი მცდელობის მიუხედავად მის კვალს ვერ მიაგნეს და გადაწყვიტეს მის საძებრად მეორე დილით კვლავ ჭყონაგორაში წასულიყვნენ.

მამაჩემი მეორე დილით ერთ-ერთ ჩვენს მეზობელთან ერთად მანქანით მართლაც ეწვია მძახლებს ჭყონაგორაში, რომლებიც სიცილით მიეგებნენ მას და უთხრეს: ეს ჩვენი წიქარა რომ არა, ეტყობა, თქვენს სტუმრობას ვერ ვეღირსებოდითო. მერე მზახლებმა გულთბილად მოიკითხეს ერთმანეთი. შემდეგ კი სხვა საქონელთან ერთად მყოფი წიქარაც მოინახულეს, რომელმაც მამაჩემს დანახვისთანავე ზურგი შეაქცია და რამდენიმე მეტრით გაშორდა, შემდეგ კვლავ მისკენ შემობრუნდა, თავის და რქების ქნევით მკაცრად დააცქერდა, თითქოს მიმართავდა: გამეცალე, უკან აღარ წამოვალ, აქ დარჩენა მინდაო.

მასპინძლებმა სტუმრები შინ შეიპატიჟეს და მშვენივრადაც გაუმასპინძლდნენ. ბატონმა მინაგომ კვლავ თავის თავზე აიღო წიქარას ზომლეთში დაბრუნების საქმე, რაც ორ დღეში შეასრულა კიდეც.

მამაჩემმა გადაწყვიტა ურჩი მოზვერისათვის ჭკუა ესწავლებინა და დაესაჯა: დილით ბოსლიდან გამოყვანის შემდეგ მას გრძელი თოკით ეზოში აბამდა, იქვე კი ვედროთი წყალს უდგამდა.

აი მაშინ მოხდა, რაც მოხდა! წიქარამ პროტესტის ნიშნად ჭამას თავი დაანება და დღის მეორე ნახევარში მხოლოდ წყალს მიირთმევდა, ისიც ძალიან ცოტას. დღის განმავლობაში ძირითადად იწვა, ან ეძინა, ან რაღაცაზე ფიქრობდა. რამდენიმე დღე ამ ყოფაში გაატარა და თითქოს გახდა, დაჩიავდა, თვალები ჩაუცვივდა.

დედაჩემმა მაშინვე ვეტერინარი მოუყვანა, რომელმაც გულდასმით გასინჯა პირუტყვი, შემდეგ კი მისი წარმომავლობით დაინტერესდა. ქსენომ ყველაფერი თანმიმდევრო ბით ჩამოურაკრაკა, ამასთან წიქარას სოფლიდან ორჯერ გაპარვა და ძველ მისამართზე დაბრუნებაც, არ გამორჩენია.

ამის მოსმენის შემდეგ ვეტერინარმა, კარგა ხნის დუმილისა და ფიქრის შემდეგ, რამდენიმე პუნქტიანი გადაწყვეტილება მიიღო:

1) წიქარასთვის სასწრაფოდ მიენიჭებინათ თავისუფლება, რაც ითვალისწინებდა თოკიდან მის აშვებას და ეზოში თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის მოხსნას;

2) წიქარასთან ერთად ეზოში სხვა საქონლის შემოშვებას, რათა ეულად არ ეგრძნო თავი და ცუდი ზრახვებისათვის დრო აღარ დარჩენოდა;

3) მოზვერზე სისტემატური კონტროლის დაწესებას და მისი გუნება-განწყობილების დადგენა-შესწავლას;

4) წიქარასთან ხმამაღალი ლაპარაკის აკრძალვას და მისთვის მსუბუქი მუსიკის ჰანგების ჩართვას!

ამის შემდეგ ვეტექიმმა დედაჩემს უთხრა, რომ, თუ სამ დღეში მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, იგი კვლავ მოინახულებდა მოზვერს და შემდეგ დასახავდა სხვა ღონისძიებებს, საჭიროების მიხედვით.

ქსენომ ეჭვის თვალით გააცილა ეზოდან მიმავალი ვეტექიმი, ჩანდა, რომ მისი ვიზიტით და რჩევა-დარიგებებით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ცხადია, ეს ხმამაღლა არ გამოუთქვამს. წიქარას რქებიდან თოკის მოხსნის შემდეგ ცხოველი კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა, შემდეგ თავი დააქნია, თითქოს დედაჩემს მადლობას ეუბნებოდა თავისუფლების მინიჭებისთვის. მერე ნელი ნაბიჯით გასცილდა იქაურობას და ბალახობა დაიწყო, რითაც ქსენომ ძალიან გაიხარა. მისთვის ცხადი გახდა, რომ ვეტექიმის რჩევა - ეზოში სიწყნარის დაცვის და მსუბუქი მუსიკის ჰანგების გაუღერების შესახებ აშკარად იმედს გაამართლებდა და მისი ხელმეორედ მოხმობა საჭირო აღარ იქნებოდა.

გადიოდა დრო, წიქარა მართლაც მალე მომჯობინდა, ჩვეული ხალისიც დაუბრუნდა. ამ დროს იგი უკვე ორწლიანი მოზვერი კი არა, ოთხ წელს მიტანებული ხარი იყო. ჩემს მშობლებს სოფლელებმა რამდენჯერმე შესთავაზეს: ხომ ხედავთ, ბიჭი ცოლის თხოვას ჯერ არ აპირებს, დაგვითმეთ თქვენი წიქარა, გავხედნით და ურემში შევაბამთო, მაგრამ ჩემმა მშობლებმა, რომ იტყვიან, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: წელს ელგუჯა აუცილებლად დაქორწინდებაო. ასე უკვე მერამდენედ ეუბნებოდნენ ისინი მეზობლებს.

...ერთ მშვენიერ დღეს გაურკვეველ ვითარებაში წიქარა კვლავ გაუჩინარდა. ჩვენებმა იფიქრეს, ნამდვილად კვლავ მინაგო ორმოცაძის ოჯახს დაუბრუნდაო და მამაჩემი მძახალს ჭყონაგორაში ისევ ესტუმრა, მაგრამ ხარი იქ არ აღმოჩნდა. მაშინ კი ყველა შეფიქრიანდა და წიქარას გაუჩინარების ათასგვარი ვერსია განიხილეს, რომელთაგან უმთავრესად მისი ქურდობა რჩებოდა.

მამაჩემი სოფელში დარდიანი და ხელცარიელი დაბრუნდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს აბრალებდა წიქარას დაკარგვას, მაგრამ ამაზე ფიქრმა დიდ ხანს არ გასტანა. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი მინაგო კვლავ ცხენით ესტუმრა ჩვენებს და კარგი ამბავი შეატყობინა: წიქარა საღ-სალამათი მისულა მასთან, მაგრამ ზომლეთში ვერა და ვერ გამოუდენია, ამიტომ გადაუწყვეტია, ჩემს ქორწილამდე ხარი მასთან დარჩენილიყო, ხოლო საქორწილოდ ან ცოცხლად ამოიყვანდა ანდა დაკლავდა და ხორცს უკლებლივ ამოიტანდა.

ეს წინადადება ჩემი მშობლებისთვის ყოველმხრივ მისაღები იყო და დიდი მადლობაც გადაუხადეს, შემდეგ კი რამდენიმე მეზობელთან ერთად სხვა სადღეგრძელოებთან ერთად წიქარას გამოჩენის სადღეგრძელოც შესვეს.

მინაგო ორმოცაძემ კაცურად შეასრულა თავისი დაპირება და 1979 წლის ოთხ იანვარს გამართული ჩემი ქორწილისათვის მართლაც უზარმაზარი, კიდევ უფრო ჩასუქებული და დამშვენებული წიქარა ცოცხლად მოჰგვარა მამაჩემს...

რაოდენ სამწუხაროა, რომ სწორედ იმ წელს, არც ისეთ ასაკში შესული ბატონი მინაგო გარდაიცვალა.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სერგი ლომაძე

ეთერ ჭელიძის ლიტერატურული გამარჯვება

ეთერ ჭელიძის წლევანდელი შემოქმედებითი საღამო, ცენტრალური ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის სააქტო დარბაზში, ლამის მოვლენად იქცა. წამყვანი გახლდათ მშვენიერი ქალბატონი შორენა მამალაშვილი, ხოლო საღამო ჩვენი აკადემიის ეგიდით ტარდებოდა. პირდაპირ ვიტყვი, რომ ღონისძიება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემიის უცვლელმა ლიდერმა და პრეზიდენტმა – ქალბატონმა გულნაზიმ, თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი ამ საღამოს შექმნას, და მისი ორგნიზირებული ნიჭი ყველაფერს ეტყობოდა. მაგალითად: მე და კახა ბაციკაძე, იმ დღეს, ორ მარტს, სხვა საღამოზე ვიყავით მიწვეულნი, ასე ვთქვათ, ელიტარულ შეკრებაზე, რომელიც ერთ-ერთ თეატრში იმართებოდა, მაგრამ ქალბატონმა გულნაზიმ დაჟინებით მოგვთხოვა, რომ სწორედ ეთერის ღონისძიებას დავსწრებოდით – „ეთერი დიდებულად წერს“, – გვითხრა მან, – „ამ ადამიანმა ჩვენს აკადემიას ანდო თავისი საღამო. თქვენ კი სერგი და კახა, მე ცაში ამყავხართ, რას არ გიწოდებთ, მათ შორის – აკადემიის საპატიო პრეზიდენტებსაც კი... ხოდა, ორ მარტს თქვენ რომ სხვაგან იყოთ, ეს გამორიცხულია!“ ამ სიტყვებმა ყველაფერი გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, კიდევ ერთი საპატიო პრეზიდენტი – მამა ამირან ამირანაშვილიც ვერ დააკლდებოდა საღამოს.

ღორისძიებას ბევრი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, – ერეკლე საღლიანი, ლამზირა შეყილაძე, სოფო ზაალიშვილი, გულნაზ ჭელიძე (ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის სეხნია), მარინა უგულავა, ნანა ყალიჩავა, ლია მარტაშვილი, ბექა ჟღენტი, გუჯა ქარჩავა, ჩვენი (ზღვარელების) დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარი ლევან ჟვანია და სხვები.

წელს გამოვიდა ეთერ ჭელიძის წიგნი – „დღეს უნდა გითხრა“, რომლის რედაქტორია ქალბატონ თინათინ სიყმაშვილი. თინათინს, ისევე, როგორც ბევრ სხვას, საღამოზე, მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება. ქაბატონმა თინათინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა ეთერ ჭელიძის პოეზიას, მისი საუბარმა მოხიბლა დარბაზი.

ყველაზე მეტხანს შორენამ ისაუბრა, მან მიმოიხილა ეთერ ჭელიძის ცხოვრება-შემოქმედება,

წაიკითხა პოეტის ლექსები, და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის აზრი, რომ ეთერი უნიჭიერესი პოეტია, ნამდვილი ხელოვანი, რომელშიც სწორედ შეარჩია თავისი ცხოვრების საქმე. ესაა მოღვაწე-ადამიანი თავიდანვე წარმატებული, არაერთი წიგნის ავტორი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, რომელმაც წელს ერთბაშად მოიპოვა რამდენიმე აღიარება, და უნდა ითქვას, რომ ყველა თბილისურ დაწესებულებაში უწევს რეკომენდასციას თავის უნიჭიერეს თანამოქალაქეს სასიხარულოა, რომ ქალბატონი ეთერისათვის გაიღო არაერთი აკადემიის კარი (მათ შორის – ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის კარი), და გადაეცა მწერალთა კავშირის მოწმობა.

საღამო ძალიან თბილ გარემოში წარიმართა. დამსწრენიც, გამომსვლელნიც, უაღრესად დადებითად იყვნენ განწყობილნი პოეტისადმი, მე არაერთხელ გამოვედი სიტყვით, ხოლო კახამ, თავისი გიტარით, თავისი ცეცხლოვანი გამოსვლით, კიდევ ერთხელ აანთო დარბაზი. საბოლოო ჯამში, იმ დღეს, ქალბატონ გულნაზს და შორენა მამალაშვილს წამითაც კი არ გაქცევია ხელიდან ღონისძიების სადავეები. ორივემ გასაოცარი წარმატებით მართეს ღონისძიება, როგორც ხომალდი, და მშვიდობიანად მიიყვანეს იგი გამარჯვების ნაპირზე.

რაც შეეხება ეთერ ჭელიძეს, ესაა თავმდაბალი ადამიანი, კარგად გაწაფული ლიტერატურაში, ნიჭიერი მშრომელი, რომელმაც იცის სიტყვის ძალის ფასი. ესაა მისი კულტურული ძლიერების საფუძველი. სიტყვაა პოეტების უმთავრესი საყრდენი...

პირველად იყო სიტყვაო – წერია ღვთიურ წიგნში.

და მაინც, რა არის (ვინ არის) სიტყვა? ამის ზუსტი თქმა შეუძლებელია. სხვადასხვა საუბარში სიტყვაში მიგულისხმია ძეღმერთიც, მამაღმერთიც, სამაებაც, პოეზიაც და ასე შემდეგ. სიტყვაა უმაღლესი, ხოლო მთელს ჩემს შემოქმედებას, ერთად აღებულს, სხვადასხვა სათაურებს ვუწოდებ ხოლმე, მათ შორის – „ფერთა წიგნს“, „თეთრ წიგნს“, „მწვერვალს“, „სიტყვა-წიგნს“ („წიგნ-სიტყვას“) და ასე შემდეგ... მოკლედ, ჯერაც ვერ შევარჩიე სათაური, მაგრამ...

მაგრამ ჩემი აზრი, ისე, როგორც ზოგადად, პოეტთა აზრი, ძირითადად სწორედ სიტყვის გარშემო ტრიალებს, წიგნის (წიგნების) გარშემო ტრიალებს...

ეთერ ჭელიძე არის სიტყვათა ლაბირინთში დაკარგული მგზავრი, რომელიც ამ ლაბირინთში დიდებულ ლიტერატურულ ქმნილებებში ძერწავს. საერთოდ, ყველა პოეტის მასალა სიტყვებია, უთვალავი სიტყვა. მაგრამ, ამავე დროს, სიტყვა ერთია, ერთადერთი. არ ვიცი, სადამდე მიიყვანს, ბოლოს, ქალბატონ ეთერს, თავისი მშვენიერი ხელოვნება.

ხოლო ვიცი კი ის, რომ გენიალური პოეტები გრძნობენ: სიტყვა თვით არის პოეტი. სიტყვა თვით არის პოეზია. ესეც – პოეტისა და პოეზიის იგივეობა...

წარმატებული საღამოს შემდეგ რესტორან „უშბაში“ რომ გადავინაცვლეთ განწყობილებამ კიდევ უფრო მოიმატა. სხვათა შორის, ის გამაცნო ეთერიმ თავის და. როგორც ჩანს, ღონისძიებას პოეტის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.. საღამო მეორე მიყავდა, ქალბატონი ეთერის ნათესავს, საკმაოდ ცნობილ პიროვნებას, ბატონ ემზარ ჭელიძეს. ასე ლამაზად, უშეცდომოდ მეორე საღამო, ანუ უშბაში ჩატარებული შემოქმედებითი საღამო, დროსაც გაუძლებს და პოეტი ქალბატონი ეთერ ჭელიძის უკვდავებაზეც ისაუბრებს. მამა ამირანის ლოცვა კურთხევით ჩატარებული საღამოები ისედაც ღვთით კურთხეულია.

შეღამდა. სრულდებოდა კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში. რესტორნიდან ვბრუნდებოდით, მანქანით, მე, კახა და დარია.მე ვფიქრობი ამ დღეზე, – ორი მარტის ამ დღეზე.

ვფიქრობდი იმაზე, რომ ესაა მამაჩემის – ფილოსოფოს ამირან ლომიძის დაბადების დღე, და როგორ დაემთხვა ამ ზეიმს!

ვფიქრობდი ლიტერატურულ ზეიმზე, რომელიც მოაწყვეს ეთერ ჭელიძემ, შორენა მამალაშვილმა, სხვებმა და სხვებმა, და რომელსაც ასე ლამაზად, თუმცა საკმად ფარულად წარმართავდა ქალბატონ გულნაზის ხელი...

და ვფიქრობდი უმთავრესზე, უდიადესთა შორის უდიადესზე – პოეზიაზე.

ბატონო პოეზიავ, მადლობა შენ, რომ არსებობ, და ამ უფერულ დროს ასე საოცარად რომ აფერადებ!..

ქალაქ რუსთავის მოღვაწეთა სტუმრობა აკადემიაში

ორ მარტს, რომ დიდი საღამო გამართა აკადემიამ, სამი მარტის სამშაბათობა მაინც არ ჩაავდო და მირზასეულ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი საღამო მოაწყო.

ქალბატონი გულნაზის გეგმა ასეთი იყო, – სამშაბათს, სამ მარტს, სამი ქალბატონი უნდა გვყოლოდა სტუმრად. თბილისქალაქელებს რუსთავქალაქიდან. ამ ორ ქალაქს აერთიანებს, სწორედ, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი.

რუსთავიდან უნდა გვწვეოდნენ ბელა ჯანგაძე, ლია ბეჟანიშვილი და თეა ჟვანია, თუმცა მხოლოდ პირველმა ორმა შეძლო ჩამოსვლა, რიგ მიზეზთა გამო.

მარტის ორივე საწყის საღამოს, ისევე, როგორც ჩვენს ღონისძიებათა უმეტესობას, ნიკო გაღაშვილი იღებდა ვიდეოკამერით. ორივე საღამოს ბევრი გამომსვლელი ჰყავდა.

ქალბატონი ბელა ჯანგიძე გახლავთ საზოგადო მოღვაწე რუსთავის მზეკაბანის საშუალო სკოლის დირექტორი, იგი ამჟამადაც სკოლას ხელმძღვანელობს. ამის გარდა უამრავ საქმეს დაატყო ხელი. იგი რუსთავში ცნობილი პერსონაა, თაობათა აღმზრდელ-მოძღვარი. სასიხარულოა, ასეთ ადამიანს რომ წარუდგენ მთავარქალაქს.

რაც შეეხება ლია ბეჟუაშვილს, ესაა უაღრესად სასიამოვნო ქალბატონი, საბავშვო პოეტი, რომელიც არასაბავშვო ლექსებსაც წარმატებით წერს. თავისი დადებითი, მხიარული ბუნებით, ოპტიმისტურობით, შემართებით, პოეზიისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ძალიან გაგვილამაზა ის დღე.

ეს იყო ხალისიანი შეხვედრა-საუბარი, სადაც სტუმრებიც და მასპინძლებიც თანაბრად იყვნენ წარმართულნი. დამსწრეთაგან ყველას მიეცა გამოსვლის საშუალება. ასეთ შემთხვევაში უბადლოა გურამ ჭავჭანიძე, ეს მარადჭაბუკობაში დარჩენილი ბაბუა, გრიშაშვილისეულად რომ მოხდეს თავისი სტრიქონების ქამანს სივრცეს, რომ აძლიერებდა ლექსებით, და მერე შეჩერება უჭირს, ისე აიტანს ხოლმე გრძნობა. იმას კიდევ უფრო უჭირს გაჩერება და აღარ სრულდება სტროფები მის ლექსებისა. სხვა პოეტებზე იგივეს ვერ ვიტყვი. მაგალითად, ლეილა გაფრინდაშვილი, სხვებიც, ყოველთვის ბევრად უფრო მოზომილნი არიან.

იმ დღეს სტუმრებს ვრცელი პროგრამით დახვდა ანსამბლი „ლალე“ (ხელმძღვანელი – ლეილა ჭიოკაძე). ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულნი ბავშვები, და თუმცა პროგრამა ზედმეტად ვრცელიც კი მეჩვენა, მაინც ბრწყინვალედ გაართვეს თავი საქმეს ხელოვნებას. უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე, მღერიან სხვადასხვა ხმაში, უარყოფენ ფონოგრამას და მათი შესრულება, ძირითადად, სულ ცოცხალია. ცოცხალი შესრულება კი სული და გულია სცენის.

დიახ, სიტყვით ბევრი გამოვიდა, მათ შორის – მეც, ხოლო კახა ბაციკაძემ წაიკითხა თავისი უბერებელი „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ და ჯერ გააოგნა და მერე აპლოდისმენტებით ააფეთქა დარბაზი, ოთხმოცდაათიანი წლები, ორიათასიანებშიც ათიანები, და აგერ, ოციან წლებშიც ასეთი წარმატება აქვს ამ ლექსს, ისევე, როგორც ზღვარელების ხელოვნებას – საერთოდ.

მთავარი მომხსენებელი ლიანა ოისაშვილი იყო. ბელა ჯანგიძის, ლია ბეჟანიშვილისა და თეა ჟვანიას პიროვნებები მან წარმოაჩინა თავის შესანიშნავ სტატიაში. ლიანა, როგორც ფილოლოგი, ჟურნალისტი, გამორჩეულია. მისი ყველა სტატია მომწონს.

საღამოს წამყვანი ჩვენი გულნაზი გახლდათ – აკადემიურობის დედა თანამედროვე საქართველოში. როგორც წამყვანი, რა თქმა უნდა, იგი აქტიურობდა, ხოლო მას, იმ დღეს, აქტიურობაში არ ჩამოუვარდა ჩვენი თეთრი დეკანოზი. მამა ამირანი ძალიან გამოირჩეოდა. დამამახსოვრდა, მაგალითად, „ლილეს“ სიმღერის ფონზე რომ გამოვიდა მონოლოგით და ფაქტიურად, პატარა პიესა დადგა, იქვე, სახელდახელოდ...

მთლიანობაში, იმ დღეს, ძალიან ლამაზი მეჩვენა სამყარო.

სამყარო (სამყაროები) შეიძლება სიტყვა-წიგნად გავიაზროთ. სიტყვა-წიგნი მეტიც არის. არ ვამბობ, თუ ვინ შექმნა იგი. არ ვამბობ, ხოლო...

ხოლო ვამბობ, დიახ, რომ სამყარო ქმნილია ღმერთის მიერ, და ღმერთი (უზენაესი) სულ იყო, არის, იქნება. უზენაესმა თვით შექმნა საკუთარი თავი, რადგანაც სულ არის, რადგანაც შემქმენელი, მას, არა ჰყავს. ღმერთი შემოქმედია. მას, შემოქმედება (ქმნადობა) არის მთავარი, ხელოვნებაა მთავარი...

ჩვენ, უმეტესად სწორედ ხელოვანნი, ვიყავით შეკრებილნი თბილისში, რათა ღირსეულად დავხვედროდით თბილისის ერთ-ერთი მეგობარი ქალაქის სტუმრებს (თბილისი-მცხეთა-რუსთავი, – ესენი ხომ ქართლის გულია).

საღამო ბოლოსკენ რომ მიდიოდა, მაშინ გამოვიდნენ სტუმრები, და თქვეს თავიანთი სათქმელი. ბელა ინტელიგენტი ქალბატონია, მცოდნე ორგანიზატორი, ლიდერი, მაგრამ უბრალოებას, თავდაბლობას არაა მოკლებული ყველას მოეწონა მისი გამოსვლა. ამ ყოველივეს, ლიამ, თავისი ლექსები დაუმატა. ლია ბეჟუაშვილის ლექსებმა გაახალისა, აანთო დამსწრენი. შიო მღვიმელის (საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მეფის) პრემიის ლაურეატი ეს ქალბატონი სიხარულით ავსებდა სივრცეს. მისმა ქმნილებებმა გენიოსი აკაკის „პეპელაც“ კი მომაგონა – ერთი მწვერვალთაგანი საბავშვო ლიტერატურის....

საერთოდ, წიგნი (წიგნები) უდიდესი საოცრებაა და – უდიდესი საოცრებაა ავტორი (ავტორები). ქმნის უზენაესიც და ქმნიან სხვადასხვა შესაძლებლობის ადამიანებიც. ყველა ადამიანი, მეტნაკლებად, პოეტია (შემქმელია)...

ვთქვათ ასე: ბელა ჯანგიძე პოეტია საზოგადო მოღვაწეობაში, ხოლო ლია ბეჟანიშვილი უშუალოდ, პირდაპირ პოეტი, ნამდვილი პოეტი. ისინი ალამაზებენ რუსთავს, თავიანთი ღვაწლით, ხოლო იმ დღეს, სამი მარტის იმ დიდებულ დღეს, მართლაც რომ მხარი დაუმშვენეს ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს ჩვენთან, თბილისში, მირზასეულ ბიბლიოთეკაში.

მოკლედ, ქალბატონმა გულნაზიმ და ქეთი ნიკურაძემ (ბიბლიოთეკის დირექტორმა) მართლაც რომ კულტურის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად აქციეს მირზასეული ბიბლიოთეკა. საერთოდ, აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სწორედ აკადემიები და ბიბლიოთეკები აქტიურობენ ყველაზე მეტად. ეს ასეც უნდა იყოს, – სადაც წიგნიერი ხალხია, სწორედ იქაა დიდი კულტურა, იქაა აზრის დიდი განვითარება...

თბილისი. 2020 წელი. გაზაფხული.

P. S. სიტყვა ყველა და ყველაფერია. აქედან გამომდინარე, სიტყვა არის, ვთქვათ, ბგერა, ის არის, ვთქვათ, ფერი... სიტყვებით შეგვიძლია შევქმნათ წიგნი, მუსიკა, ნახატი... იმ დღეს, იქ, მირზასეულ ბიბლიოთეკაში, სიტყვებით, თითქოს, ერთ დიდ, ულამაზეს ნახატს ვქმნიით, და ამ ნახატს ადამიანთა ურთიერთობა ერქვა, წიგნიერ ადამიანთა დიდებული ურთიერთობა. ისევ გაგრძედება ასეთი შეხვედრები, აკადემიური საღამოები ამის საუკეთესო საშუალებაც არის...

ვაჟა ეგრისელის 100-ტომეულიდან





ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაძსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აძვს გამოცემული საზღვარგარეთის ძვეძნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იძმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს გამოვიდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო სიტყვის ოსტატის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ეგრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. (გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. მიმდინარე, 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი, დანარჩენი 90 ტომი გამზადებულია დასაბეჭდად. პარალელურად დაისტამბება ეგრისელის კლასიკური პოეზიის ხუთტომეული, აბრეთვე, დაიბეჭდება პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიები), სტატიების, წერილებისა და ლექსების ათტომეული.

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახატებს წარმოადგენს, მეტაფორებითა და დრამატიზმით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რამაც ხელი შეუწყო თვითმყოფადი სტილის დამკვიდრებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". 18 ოქტომბერი, 1991 წელი.

გრიგოლ აბაშიძე – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია." („სილბო ნაქსოვისა", 1991 წელი).

ელგუჯა ამაშუკელი – საქართველო სახალხო მხატვარი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები" თუ მშობლიური ეგრისისადმი მიძღვნილი ლექსები, თამამად შეიძლება ითქვას, ღირსეულ დამფასებელს ელოდება და პოეტური ხილვები, სახეები, მეტაფორები ბევრს შემოუბრუნებს მზერას თავისი ქვეყნის მშვენიერებისაკენ, მის სულიერებისაკენ, მიწიერი ტკივილებით აღსავსე სახესრული სილამაზისაკენ..."

აკაკი გაწერელია – პროფესორი, ლიტერატურათმოდნე: „ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყივილია. მისი შემოქმედება ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწდომელი და განუსაზღვრელია... ვაჟა ეგრისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების სახელწოდებებიც დაგვარწნუნებს: „სიცოცხლე," „ამაღლება," „ნათელხილვა," „საგალობელი," „იქმენ ნათელი!" და სხვა. „ფსალმუნი" და „ბიბლია" მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისინი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

...ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია 21-ე საუკუნის რიჟრაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.

არავირა აკაპიტო – პოეტი (იაპონია): „...ყველა პოეტი ღვთის შვილია, მაგრამ ისაკავა ტაკუ-ბოკუ, ფედერიკო გარსია ლორკა, ვაჟა ეგრისელი,–ჩემი სულის ნაწილია..."

რევაზ მიშველაძე – მწერალი, პროფესორი: „ვაჟა ეგრი-სელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მონიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორებითა და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკითხველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქესათვის ადვილად აღსაქმელი მცირე მოცულობის ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი. ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უეცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპიდარულობით ყურადღებას რომ მიგვაქცევინებს, მერე უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური აზროვნებით გაიძულებს, ჩამოჯე და პოეტის ფიქრი გაიზიარო, მის სტრიქონებთან ღამე გაათიო..."

ლევან სანიკიძე – მწერალი, პროფესორი: „საქართველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო სავსეა „სემი პოეტებით" – „ნახევარ პოეტებით" მაინც დიდმა პოეტმა ჰორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის წინათ. ხოლო, „პოეტი სრული" – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი. იგი ჭეშმარიტად დიდი პოეტია..."

გიორგი სიჭინავა – მწერალი, ჟურნალ „აიას" მთავარი რედაქტორი: „...ვაჟა ეგრისელის დიდებულმა პოეზიამ ამამაღლა და დამარწმუნა იმაში, რომ ეგრისელი, როგორც კოლხი, ღირსეული შთამომავალია აიეტის, გუბაზის, ფარტაზის და დიდი ცოტნე დადიანისა..."

ნუგზარ ნადარაია – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „... ვაჟა ეგრისელი – სიცოცხლეშივე ქართული ერის და მისი ძირძველი მხარის – სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა, ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სიმია... „კოლხური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტბე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“

ნიკოლოზ სიანოვი – მწერალი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი: „დედამიწის თითქმის ყველა კონტინეტის ნავსადგურში, სადაც კი შევსულვართ, ყველგან ჩვენი საყვარელი პოეტების: სერგეი ესენინის, ფედერიკო გარსია ლორკას, ისიკავა ტაკუ-ბოკუს და ვაჟა ეგრისელის წიგნები დაგვიტოვებია საჩუქრად...”

რეზო ადამია – მხატვარი, მწერალი: „...კოლხური ცივილიზაციის უცნაური მოვლენა – ვაჟა ეგრისელის პოეზიის მარადმწვანე ველზე ბიბლიურ ხედ აღმოცენდა და მისმა არნახულმა ნაყოფმა უზომოდ გაამდიდრა დღევანდელი ქართული ცივილიზაციის საგანძური. ვაჟა ეგრისელს რამდენიმე ათასი წლის წინათ კოლხეთში რომ ეცხოვრა, უთუოდ ისევ დიდი პოეტი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარსკვლავთ მრიცხველი იქნებოდა...“

სოკრატ არშბა – პროფესორი: „...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...”

მაყვალა გონაშვილი – პოეტი: ინდური სიბრძნეა: “თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები, შენ ადამიანი ხარ. თუ ამ სამებას ნიჭსაც დავუმატებთ, ვაჟა ეგრისელის პორტრეტს მივიღებთ, ადამიანისას, რომლის ყოველ სტრიქონში უფლის მადლი ტრიალებს. ამიტომაც დააჯილდოვა არსთა გამრიგემ ასეთი მშვენიერი ლექსებით.“

გულნაზ ხარაიშვილი – პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული „კოსმიური ფსალმუნების“ ჯერ არ ნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთი ათასზე, ათი ათასზე, თხუთმეტი ათასზე მეტგვერდიანი „ბაჯაღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუთათია“, არეშის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდენილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის მაგიერ თავისი კოლხური ფსალმუნების იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული დავწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმ დროინდელი სამყაროს ოცდამეთოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი – მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

და ბოლოს: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია...

მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გაგრძელება იქნება

ოჯახური ურთიერთობები

ირინა ბალავაძე

რა კარგია, ვიყოთ ერთად

გამარჯობა, ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

წინა საუბრებისას ჩვენ ძალიან დიდი სურვილი გვქონდა დავხმარებოდით ერთმანეთს, თუ როგორ შეგვექმნა იდეალური თუ არა, ნორმალური ურთიერთობები ოჯახის პირობებში, ოჯახის გარეთ და საერთოდ, საზოგადოებაში.

პირადად ყოველთვის ვამბობ და ვიტყვი, რომ კარგი ურთიერთობები ჯანმრთელობაა და საერთოდ, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს აქვს მოთხოვნილება გათანასწორებული ურთიერთობებისა, რომელიც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებით თუ ზოგადად, კაცობრიობის გამოცდილებით – აღმოსავლური თუ დასავლური ფილოსოფიით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ადამიანის, ცალკეული ინდივიდის ჩარჩოებში ჩასმა შეუძლებელია და მადლობა ღმერთს, ეს ასე გახლავთ. მიუხედავად ამისა, საერთო ბევრი გაგვაჩნია. ზოგიერთი დიდი მოაზროვნის გამოცდილება თუ რჩევა ისე მოგვერგება-ხოლმე, გაოცებულებიც კი ვართ.

ჩვენ, თითქოს, თავისუფლები ვართ ყოველგვარი ძალაუფლებისგან, მთავრობისგან, საზოგადოებისგან, დროსაც, თითქოს, ჩვენ ვმართავთ, ადამიანი უფრო და უფრო თავკერძა ხდება და უფრო მატერიალურ სამყაროს ეთაყვანება და მიუხედავად ამისა მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება, რაც ჩემი აზრით, ცუდი ილუზია გახლავთ. ისიც ფაქტია, რომ ადამიანი ბედნიერ მოქმედებაშია, როცა საყვარელ საქმეს აკეთებს, ასეთ შემთხვევაში ის მარადისობაშიც კი გადადის.

მოვუწოდებთ ყველას, ვიყოთ მუდამ მადლიერების და სიყვარულის მდგომარეობაში. მერწმუნეთ, მადლიერებაც ჯანმრთელობაა. დღევანდელი საზოგადოების პორტრეტს თუ შევხედავთ, თანდათან შემოგვეყარა სულიერებისკენ სწრაფვა – სულიერება ჰაერივით გვჭირდება – ეს გასაგებიცაა. ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრეთ ფხიზელი გონების კარნახით (ფხიზელი გონება ყოველთვის აქტუალურია), მაგრამ ისიც ფაქტია და ნათელია მისი შეზღუდულობა, ოჰ, როგორ გვენატრება ფრთების გაშლა, რომელსაც მხოლოდ სულიერად გაწონასწორებულ ცხოვრებაში ვპოვებთ.

დასავლეთის თუ აღმოსავლეთის საზოგადოება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დრო და სივრცე დავუთმოთ სულიერებას თავის მოუცლელ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დროის უკმარისობა და კიდევ სხვა ცხოვრებისეული დაუკმაყოფილებლობანი იწვევს დაძაბულობას, სწორედ ამ დაუკმაყოფილებლობის შევსება ხდება სულიერ სიმშვიდეში. ზოგიერთი ჩვენგანი უკვე დიდი ხანია მიხვდა და სულის სიმშვიდეს ბუნებასთან ურთიერთობაში პოულობს, მას სმოგით გაგუდულ ქალაქში, რა თქმა უნდა, ვერ ვიპოვით, ასე, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი სადღაც შორს არ არის, ის ჩვენშია და რომელსაც გამოვამზეურებთ, იქაც ამოვყოფთ თავს.

აღმოსავლეთში არიან ხალხები – სუფიზმის მიმდევრები, მათ სამყაროს მისცეს ალგებრა და ზუსტი მეცნიერების მრავალი მიმართულება. მათ არა აქვთ რელიგია, არა აქვთ იერარქია და ეკლესიები. მათი ცხოვრების დევიზია: გული – ღმერთთან, ხელები – საქმეში! მათ გულებში არასოდეს ისადგურებს დამთრგუნველი შიში, მომავლის შფოთვა. ისინი განიცდიან და აფასებენ დღევანდელ დღეს და დღევანდელ წუთს, არ მიილტვიან და არ აწუხებთ ზეციური თუ ამქვეყნიური ჯილდოები. მათ უყვართ ცხოვრება, უბრალოდ უყვართ. ისინი ცნობენ ღმერთად შემოქმედს, მათ უყვართ შემოქმედისგან ბოძებული ცხოვრება, რომელსაც ეთაყვანებიან, უყვართ ყოველი ცისმარე დღე, ყოველი წუთი.

დიახ, უყვართ ღმერთი-შემოქმედი – სუფთა, მოუსყიდველი, უბრალო და ნათელი.

სიყვარული არის მათი მიზეზი და სიყვარული არის მათი მიზანი. მათი აზრით, სიყვარული ამოძრავებს სამყაროს და ეს ფაქტია!

და როცა შემოქმედი ასე გიყვარს და როცა ყველა მის შექმნილს სიყვარულს უცხადებ, თავისთავად გშორდება ყველაფერი ზედმეტი და ხელისშემშლელი და მხოლოდ სიყვარული ისადგურებს შენში. ეგოც კი მიმტევებელი და სიყვარულით სავსეა და შენს გარშემო მხოლოდ ვარდისფერების, ნაზი იისფერის და ყვითელი ფერების აურაა.

მე ამით იმის თქმა მინდა, რასაც ყოველთვის ვამბობ: გავიადვილოთ ცხოვრება. სუფისტების ცხოვრება კი ამის საოცარი მაგალითია. ისინი ცდილობენ, იყონ დიდი ბიოლოგიური სფეროს, ბიოსფეროს ნაწილი.

არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი – გავიღიმოთ, უფრო მეტიც, მივეჩვიოთ და ვისწავლოთ სიცილის ხელოვნება. ჩვენ იმდენად მიჩვეულები ვართ სერიოზულ მდგომარეობაში ყოფნას, რომ ჩვენს სიცილშიც ტკივილია. ამიტომ, გავიცინოთ დაძაბულობის მოსახსნელად კი არა, უბრალოდ, უმიზეზოდ გავიცინოთ, სიცილი ისეთი მშვენიერია!.. სიცილი ღრმა სისუფთავეა, ცხოვრება მშვენიერია. გისურვებთ, თვითოეულ თქვენგანს ამ მშვენიერების სივრცეში იპოვოთ თქვენი ადგილი!

იყავით ბედნიერები, წარმატებულები და გზები გაუნათეთ სხვებსაც!

გმადლობთ ყურადღებისთვის!

სიმონ ზაქარაია



ოჯახი ზოგადად და ოჯახი ქართული

სიტყვა ოჯახი (ოჯაკ) თურქულია და ქართულად ნიშნავს „კერას“, „სახლს“ ხოლო მშობლიურ ენაზე კომლი, სახლობა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძველ ქართულად ოჯახს ფანია ეწოდება, რომელიც დღესაც უცვლელად იხმარება სამეგრელოში.

ოჯახის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს ძირითად ობიექტს – წყაროს ადამიანთა უწყვეტი კვლავწარმოებისა და გვარის გაგრძელებისა. ამდენად ოჯახი ისტორიული კატეგორიაა. უკანასკნელ პერიოდში, რიგი მეცნიერები კვლევის საფუძველზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წყვილადი ოჯახები არსებობდა დასაბამითვე. აი რა წერია ბიბლიაში – ღმერთმა ჯერ კიდევ სამოთხეში დაადგინა ოჯახური ცხოვრების წესი, როცა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად შექმნა და უთხრა – „ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას“.

ქალისა და მამაკაცის დაწყვილების საფუძველზე ოჯახის შექმნა პირადი ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

ოჯახი, მისი დაფუძნებიდან იწყებს რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს, ხდება ბავშვების დაბადება, მშობელთა მიერ მათზე ზრუნვა. ხოლო შემდეგ მათ გვერდით დგას სახელმწიფო – საბავშვო ბაღებით, საშუალო, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლებით, მათი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით. ასე, რომ ოჯახს სახელმწიფო იცავს, მათი ურთიერთობა კანონებითაა განმტკიცებული, ქვეყანაში ძლიერი ოჯახების სიმრავლე ძლიერ სახელმწიფოს შექმნის საფუძველია.

ეს რაც მოკლედ შეეხება ოჯახებს, ახლა ცოტა რამ ქართული ოჯახების შესახებ. ერთი შეხედვით ქართული ოჯახები მსოფლიოს სხვადასხვა ოჯახებისაგან ბევრად არ განსხვავდება, მაგრამ ქართულ ოჯახებს ნამდვილად აქვს სპეციფიკური განსხვავება – მოვალეობა, რომელიც მსგვასებას ავლენს მცირე ერების ხალხებთან.

ოჯახი ქორწინებით იწყება და იკვრება. ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებამ საქართველოში კიდევ უფრო აამაღლა ქართული ოჯახების სიმტკიცე. „ქორწინება საღმრთო წერილის მიხედვით წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს (ეფეს. 5.22-33). ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას „მსგავსება უფლის ხატისა“.

ოჯახის სიმტკიცის, მის ბედნიერების საფუძველია სიყვარული. ცოლ-ქმრული სიყვარული – სიყვარულის უძლიერესი სახეობაა. იგი ზეციური წარმოშობისაა და როგორც ღმერთის თვისება – სიცოცხლის მინიჭებასთან ერთად ეძლევა უფლისგან ადამიანს. ყოველ წყვილთა კავშირი ადამიანთა ურიცხვ თაობებს აძლევს სიცოცხლეს. თითოეული წყვილი ახალი ადამიანური სამყაროს დასაბამთან დგას. განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს რჩეულ-ღმრთისშობლის წილხვედრ საქართველოს, ტერიტორიულად და სულიერად ასაღორძინებელ მის მომავალს.

მრავალი რეალურად არსებული ლიტერატურული წყაროები გვაუწყებენ, რომ ამჟამად საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ნამდვილად საგანგაშოა და

მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებისაგან გადამჭრელი და გადაუდებელი კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებას. უნდა აღვნიშნოთ ის საზარელი ფაქტი, რომ „არა ოფიციალური მონაცემებით ყოველწლიურად საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება.“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე, 2014 წ.).

ქართველი ერის ისტორიაში ქართული ოჯახები, მათი მრავალშვილანობა ჭეშმარიტად იყო კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თუმცა დღეს ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტად იმყოფება სტაგნაციის პერიოდში, როცა ქართველი მოსახლეობის რიცხვი წლითი-წლობით დაბლა ეცემა. ამ სტატიაში, დემოგრაფიული და ტერიტორიული საფრთხეების შესახებ რთულ ანალიზს ვერ გავაკეთებ მიზეზთა გამო, მაგრამ თითქმის ყველა მეზობელს საკმაოდ დიდი ტერიტორიები აქვს მითვისებული და ოკუპირებული, ამასთან ერთად უბედურებაა ის ფაქტი, რომ ამჟამადაც საკმაოდ უზნეო პრეტენზიებს უცხადებენ საქართველოს ახალი ტერიტორიების გადასაცემად.

ქართველი დემოგრაფების მიერ გაკეთებული ანალიზისა და გაეროს გამოკვლევების საფუძველზე 2045-50 წწ. საქართველოში ქართული მოსახლეობა შემცირდება 1 მლნ. 170 ათასი კაცით, ხოლო ამ პერიოდში აზერბაიჯანული მოსახლეობა 1 მლნ-ს გადააჭარბებს, სომხები კი 700 ათასს. ამით ქართული ენა და კულტურა დაკარგავს საზოგადოებრივ ფუნქციებს, ის აღარ იქნება სხვადასხვა ეთნოსისა და ხალხთა გამაერთიანებელი ენა, რაც მთავარია სახელმწიფო ენა.

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის კატასტროფული ვარდნის მიზეზთა შორის, უმთავრესია დაქორწინებულთა მცირე რაოდენობა; მცირეშვილიანობა; ბავშვთა სიკვდილიანობა; აბორტის სიმრავლე. ზემოჩამოთვლილ მიზეთა შორის უმთავრესი მაინც მოსახლეობის ეკონომიური სიდუხჭირეა, რის მოგვარებასაც არავინ დარდობს.

ჩვენი წინაპრები ათასეული წლების განმავლობაში აწარმოებდა შემოსეული მტრების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის და ოჯახების გადასარჩენად. ასე მტკიცდებოდა და ნარჩუნდებოდა ქართული ოჯახები წლიდან წლამდე, რაც სახელმწიფოსათვის ძირითადი სიმტკიცის საიმედო საძირკველს წარმოადგენს. მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართულ ოჯახებს ემუქრება ახალი, უფრო დიდი საშიშროება, რომელიც მსოფლიო გლობალიზაციის ეგიდით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, რომ გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი დიდი თუ მცირე კანონების შერწყმა და დანერგვა ქართული ოჯახების საამაყო ტრადიციაზე სრულიად მიუღებელია. ესაა ოჯახების შექმნა ერთსქესიანთა დაკანონებული ქორწინებით. ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი, ქრისტიანი ერისათვის,

სადაც ქალისადმი მოკრძალება, მისი კულტი, ღვთის განგებითაა გამეფებული, კაცთან კაცის ქორწინება არასდროს დაკანონდება. იმ ქვეყანაში, სადაც ერის შვილი თავის ქმნილებაში იტყვის ქალის საქებარს – „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“, ქალისადმი ასეთი სიყვარული და საქებარი სიტყვები არცერთ ეპოქაში, არცერთ ქვეყანაში აღარ თქმულა. ასე რომ ქართველი კაცის ბუნებაში, მის გენში არ მოიპოვება კაცებს შორის ქორწილის სურვილი.

ისმის კითხვა: ვინ მოახვია თავს ერთსქესიანთა ქორწინებით ოჯახების შექმნის იდეა მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომელიც რიგმა ქვეყნებმა უკვე დააკანონეს.

ყოველივე ამ გაუკუღმართებული იდეის დამფუძნებელია ამერიკელი ბიზნესმენი ჰიუ ჰეფნერი, იგი 1953 წლიდან ხდება ჟურნალ „ფლეიბოის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. სწორედ იგი ხდება აშშ-ს საზოგადოებაში სექსუალური რევოლუციის ინიციატორი და შემომტანი. ამით იგი თითქოს ამტკიცებდა, რომ ქალებს „სექსუალურად ანთავისუფლებდა“, სინამდვილეში მას სძულდა ქალები. მან პორნოგრაფია და ქალების სხეულის გაყიდვა ლეგალურ ბიზნესად აქცია (გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“.

№ 35 და 36, ავტორი ია ხაზარაძე). ჰეფნერის მიერ შემოგდებულმა იდეამ ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში ინტენსიურად იმუშავა და ბევრი მომხრეებიც გამოუჩნდა. ამან ხელი შეუწყო ქვეყნებში სასამართლოების მახინჯ გადაწყვეტას ისტორიულად აღიარებულ ქორწინებას მამაკაცსა და ქალს შორის. „აშშ-ის უზენაესმა სასამრთლომ ხუთი ხმით, ოთხის წინააღმდეგ მიიღო ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ, მაშინ როდესაც 60 მილიონმა ამომრჩეველმა ხმა მისცა ქორწინების ტრადიციული განსაზღვრების დაცვას“ (ბრაიან ბრაუნი, აშშ-ს საზოგადო მოღვაწე, მსოფლიო საოჯახო კონგრესის პრეზიდენტი, ზემოთდასახელებული გაზეთი).

აღნიშნულმა კანონმა ევროპის ბევრი ქვეყანა მოიარა და დაკანონდა კიდეც, თუმცა არც საქართველო აღმოჩნდა დაცული ამერიკული კანონებისაგან, მას აქაც გამოუჩნდნენ მომხრეები, რომლებმაც საჯაროდ მოითხოვეს „უმცირესობის უფლებების“ დაცვის მიზნით ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება პარლამენტში, რაც საბედნიეროდ ჯერ-ჯერობით მუღწველია. საუბედუროდ მსოფლიოს ცნობილ ადამიანებშიც იყვნენ ჰომოსექსუალისტები – ფსიქოპატები, პარანოით დაავადებულები, მათ შორის იყო ალექსანდრე მაკედონელი, რუსეთის მეფე ივანე მრისხანე, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ჟან-ჟაკ რუსო, იმპერატორები: კალიგულა, ნერონი და სხვები.

თუ უმცირესობა ითხოვს გაუკუღმართებული უფლებების დაცვას, უბრალო არითმეტიკის ძალით უმრავლესობა, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები, არასდროს არ დათმობენ წყვილად ოჯახებს, რომელიც ღმერთის მიერ არის დაკანონებული, იგი იქნება ერთადერთი წყარო ჩვენი ერის ბედნიერებისთვის.

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

თვალთახილვა (აზრები)

ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

* * *

უღირსი სიამაყე სიკვდილის ტოლფასია, ღირსეული კი – უკვდავებისა.

* * *

ადამიანებს უნდა დაუმტკიცო, რომ არსებობ!..

* * *

დგება მომენტი, როცა სიტყვები ძალზე უძლურია. დგება ენით აუწერელი მდგომარეობა... როცა სიტყვა მკვდარზე უფრო მეტად მკვდარია.

* * *

თუ არ იწრთობი, არაფერი გამოვა შენგან.

* * *

მაკვირვებს, რატომ გვიცნობენ სხვები უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს... საკუთარი სარკე ტყუის?..

* * *

რაგინდ ოცნებებმა გაგიტაცოთ, სჯობს, სიღარიბის და სინამდვილის ირგვლივ იტრიალოთ; მიწის ოხშივარი ცხვირიდან არ მოიშოროთ.

* * *

მწვერვალზე ასვლისას ფრთხილად იყავით... არა იმიტომ, რომ მაღალია ან საშიში, არა, იქ სხვაგვარი გამოცდა გელოდებათ...

* * *

ეს – დედამიწაა, ზედმეტ „ტვირთს“ რომ დაატარებს და არა რომელიმე ადამიანი მასზე...

* * *

ადამიანში რეალობა ტალღისებურად, მომენტ-მომენტ გამოსხივდება, ამის შენარჩუნების ძალა კი არ შესწევს...

* * *

ნურასოდეს ეცდები, საკითხი გააშუქო ბოლომდე, სულერთია, ამას მაინც ვერ შეძლებ. სჯობს, დავტოვოთ იდუმალების საბურველში გამოხვეული.

* * *

ზოგჯერ, ყოფიერების ბურუსიდან თავი უნდა ამოყო, მიიხედ- მოიხედო, კიდევ ერთხელ შეაფასო, რათა რეალური ცხოვრება თვალსაწიერიდან სამუდამოდ არ დაკარგო.

* * *

კეთილშობილება წვრილმანებში უნდა ვეძიოთ...

* * *

სიტყვას და გამოხატვას ყოველთვის აქვს აზრი: მე არ ვიტყვი, სხვა იტყვის; სხვა არ იტყვის, კიდევ სხვა – ექო გაიმეორებს და ვინ იცის, იქნებ, კეთილგონიერებას ყურში მისწვდეს...

* * *

სიტყვა ტემბრისა და ინტონაციის განუსაზღვრელ ტონალობას შეიცავს და ინტერპრეტაციების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

* * *

ნიჭიერს ყოველთვის აჯობებს ჭკვიანი... ჭკვიანი ნიჭიერი კი ყოველთვის მოხერხებულად ხმარობს ლაგამს.

* * *

არ უნდა დაგავიწყდეს უფლის გამონაშუქ სულს რომ დაატარებ და არც ის ადამიანური ხორცი რომ გასხია – რომელთაც სათანადო პატივი უნდა მიაგო.

* * *

ყოველივე ზედმეტი უნდა გადააგდო.

* * *

ქმედებას ხომ მოჰყვება უკუქმედება. ბუნების კანონზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს დააკანონებს. რომ მოძალადე დაიღუპება, არავითარი წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამას.

* * *

მორჩილებამ შეიძლება თავ-ბედი გვაწყევლინოს.

* * *

იუმორი და კომედია ფარი და ხერხია ადამიანური ტრაგიზმისაგან თავდასაცავად და მის შესაფუთავად. ხშირად, მოცინარიც და მოტირალიც – ორივე თანაბრად შესაბრალებელია, სწორედ ადამიანური ტრაგიზმიდან გამომდინარე...

* * *

შენში პატარა ბავშვი არასოდეს ჩაკლა – ეს თვითმკვლელობის ტოლფასია.

* * *

არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე აღმოაჩინე და არ გაგიხარდეს!..

* * *

უნდა შეგეძლოს ადამიანების გახარება..

* * *

ქართველები ნიჭიერი ხალხია... დახატეთ, წერეთ ლექსები და პოემები, შექმენით მუსიკა, რაც გნებავთ, ოღონდ! – საკუთარ დედებს ნუ შეაგინებთ!..

* * *

ცნობადი ხის ნაყოფის სწრაფი გასინჯვა კრახით მთავრდება (ნოვალისის მაგალითი).

* * *

სანამ მუშა-ცხენის ტვირთს იტვირთავდეთ, კარგად დაფიქრდით...

* * *

საშოვარზე და მძორზე გამოსული მდედრი და მამრი ცხოველი არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასევეა ადამიანებშიც (საუბედუროდ)...

* * *

ნუ ვამბობთ, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა არის
უინტერესო და მითუმეტეს – ბრბო..
გენიოსი შენთვის არის გენიოსი, ბუნებისთვის ყველა ერთნაირად საინტერესოა.

* * *

შენს მოღვაწეობას და ამბიციას ადამიანები არ უნდა გადააყოლო!..

* * *

გაუღიმე ბედისწერას!..

* * *

ძალიან ადვილია „ერთ მხარეზე“ დგომა. ყველა მხარეს დგომა და ყველაფრის გათვალისწინებაა ურთულესი...

* * *

უბრალო ადამიანებთან ფრთხილად, დაკვირვებულად და გააზრებულად ისაუბრეთ... მათ შორის ბევრი გენიოსია!..

* * *

ადამიანები „საშველს“ დაეძებენ, არადა, ბევრჯერ ის ხელში უჭირავთ...

* * *

კაცობა რა გგონია???
– ჭამა, ჩაცმა, დროსტარება თუ ბიოლოგიური ნიშნით კაცობა?..

* * *

წუმპეში უნდა იფართხალო, რეალურობას რომ არ გასცდე...

* * *

შეუძლებელია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სხვა განზომილებაში არ მოხვდე და იქედან არ შეაფასო აზრი და არსი ყოფიერებისა…

* * *

დაუცველ (დამოკიდებულ) სამყაროში ადამიანთა გარკვეული კატეგორია ფსიქიკური აშლილობის ზღვართან იმყოფება. მართალია, სხვადასხვა ადამიანს ეს ზღვარი სხვადასხვა დონეზე აქვს, თუმცა დამოუკიდებლობის და თავისი ბედისწერის ფლობის შემთხვევაში ეს საზღვარი მაქსიმალურადაა დაშორებული სახიფათო ზონიდან.

* * *

ადამიანის კმაყოფილების სასმისი ზომიერად თუ არ შეივსო, თრობას გამოიწვევს. ზედმეტმა და სწრაფმა შევსებამ დაბნეულობა, არეულობა და გადაგვარებაც შეიძლება გამოიწვიოს.

* * *

ვინმეს რაიმე რომ დაუმტკიცო, ხანდახან, წლებია საჭირო და მოთმინება...

* * *

შენ და დრომ უნდა დაამტკიცოთ, რომ მართალი ხარ...

* * *

მოწიფულობის ასაკში დგება პერიოდი – შეჩერების, ხელის ჩაქნევის , უიმედობის, შიშისა და დეპრესიის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ იხსნება სუნთქვა, რომელშიც მთელი ცხოვრებაა ჩაბუდებული.
ამ დროს ადამიანი გადის სოციალურ-როლური ან თუ გნებავთ ბედისწერით განსაზღვრული მდგომარეობიდან, წყვეტს მასთან დაკავშირებულ ცრუ თუ ნამდვილ ჯაჭვებს. თავისი მნიშვნელობა და როლი განვლილ ცხოვრებაში უმტკიცებს რწმენას გარდაუვალობისა, მისი მონაწილეობის აუცილებლობისა ზოგადსაკაცობრიო ყოფიერების უწყვეტ ჯაჭვში. თავისუფლად იძლევა განზოგადოებულ, ობიექტურ, სამართლიან შეფასებებს სიცოცხლის არსის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ, – უერთდება რა მარადიულ ღირებულებებს.

* * *

სენსაცია და სანახაობა ადამიანებს იმდენად ხიბლავს, ხანდახან საკვების მაგივრობასაც სწევს...

* * *

სანამ დეფიციტად გადაიქცეოდეს, დროზე აიღე, რასაც გთავაზობენ.

* * *

არ მეგულება ადამიანი, რომელიც მომავალს განჭვრეტს და იტყვის, რა გველოდება ერთი დღის, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ და ამ პირობებში შეიძლება, უდიდეს კანონზომიერებებს დავუპირისპირდეთ?

* * *

დაუოკებელი სწრაფვა ცოდნისადმი მანამ იპყრობს ადამიანს, სანამ ეს ცოდნა თავად არ დაიპყრობს მას...

* * *

ცოტაა ადამიანები, რომლებიც მომხდარ ან მოსალოდნელ ფაქტებს რეალურად განიცდიან და მათ, როგორც გამოცდილებას, ისე აგროვებენ და იყენებენ.

* * *

ზოგიერთი ადამიანი ცოდნით ვერ ძღება...

* * *

არ აღმოჩნდე სულელის მდგომარეობაში, რომელიც ყველას ჭკუას ასწავლის, მათ შორის გრძენსაც.

* * *

ზედმეტად წარმატებული და ამბიციური ადამიანები უფალსაც არ უყვარს, რამეთუ ხშირად უფლის წინაშეც მედიდურობენ.

* * *

მიაგნო ნორმას – ეს ღვთის წყალობაა.

* * *

მთავარი ის კი არ არის, რას ნახავ, არამედ ის, თუ რას დაინახავ მასში.

* * *

თუ სხვა ადამიანმა უკეთ იცის, შენ რა გინდა და ამის შესახებ გაგაგებინებს, ის მტერია?..

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც იწელებიან იმად, რაც არ არიან. ისინი ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებენ და ჩანან.
არიან დიდი სულიერი სიღრმის ადამიანები, რომლებიც, ბევრჯერ, ისე ამთავრებენ სიცოცხლეს, საზოგადოება მათ ვერ ამჩნევს...

* * *

გონიერება უნებისყოფო ადამიანებს ვერ ეუფლება.

* * *

ის, რაც უნდა დაგვემართოს, ჰაერში რიალებს, ჩვენ კი მისი დანახვა არ გვინდა...

* * *

ყოველი ადამიანი შინაგანი მოძრაობის ფორმით და არეალით უნიკალური და განუმეორებელია.

* * *

როცა დიდება გინდა, დაფიქრდი რად გინდა იგი...

* * *

შენება ყოველთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ის სილამაზესთან, გეგმაზომიერებასთან, მხატვრულ აზროვნებასთან,ხელოვნებასთან ასოცირდება.
ნგრავა კი – ძალადობასთან, უხეშობასთან, განადგურებასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთნი მხოლოდ ამ უკანასკნელით არიან ნიშანდებულნი.

* * *

ადამიანები გაურბიან თავიანთ არსებაში დაბუდებულ მხეცთან პირისპირ შებმას.

* * *

ქებამ არ უნდა გაგაბრუოს, სრულიად პასუხისმგებლობად უნდა მიიღო, – გაამართლო იგი სხვა ადამიანების სასარგებლოდ და შვებათა მოსაგვრელად.

* * *

ყველაზე დიდი მტრები სხვა სარწმუნოებაში და ეროვნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკუთარ თავში.

* * *

ძალიან იოლია ცხოვრება, როცა გონებას არ აწვალებ.

* * *

სხვასთან ერთად საქმის წამოწყებისას, იდეალურ ვარიანტად მიმაჩნია, რომ ეს საქმე იყოს პარტნიორთათვის თანაბარმნიშვნელოვანი, ხოლო რისკები საერთო.

* * *

ადამიანები რომ შედგეს, ცხოვრება უნდა შედგეს. ცხოვრება რომ შედგეს ადამიანები უნდა შედგეს.

* * *

ადამიანს თავისუფლების შემზღუდავ ურჩხულად მოეჩვენები და შეიძლება დაუფიქრებლადაც გაგწიროს, თუკი მისი დიდი შეცდომის ან წარუმატებლობის უნებლიე მოწმე ან, თუნდაც, მესაიდუმლე ხართ.

* * *

გახსოვდეს, შენი ტალანტის სულ მცირე გაბრწყინებისასაც კი, დამდგარი მოლოდინები დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს.

* * *

ადამიანი, რომელიც თავისი თავის მნიშვნელობას მხოლოდ ადგილწარმომავლობით საზღვრავს და ცდილობს საზოგადოებაში ამ ადგილის პრესტიჟულობით წარმოჩინდეს, აზროვნებით სიღატაკეს და სულის სიმდაბლეს ამჟღავნებს.

* * *

არშემდგარი ადამიანები არასრულფასოვნების კომპლექსებით მხეცებთან შეჯვარებული მანიაკების ხროვაა.

* * *

ყველაზე საშიში ადამიანები ნიჭიერთა შორის უნდა ვეძებოთ...

* * *

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაზრდამ, „წარმატებების“ მიღწევის მცდელობებმა შეიძლება კაცობრიობა დაღუპოს. დროა, გონების განვითარების პარალელურად, ვიმსჯელოთ გონების „გონივრულობაზე“.

* * *

ვინც არ ამბობს, ის მეტს ამბობს...

* * *

სჯობს, ერთ ენაზე ისაუბრო და იაზროვნო ღირსეულად!..

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-9 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-35-ში

საზოგადოება და ურთიერთობები

ჭეშმარიტი რწმენა, ღვთის რწმენის მიღება განდეგილობის პერიოდში ხდება და იმ ზოგადი ცნობიერების, ე. ი. ჭეშმარიტი ცოდნის მიღებას გულისხმობს თავის თავში, რაზეც არის ყველაფერი არსებული (მატერიალური თუ სულიერი) დამყარებული. ღვთის ნდობა კი ჭეშმარიტი სიყვარულია, რომელიც ღმერთთან როგორც ინდივიდუალურ სულთან კონტაქტის დამყარებას, პიროვნულად დაახლოებას შეაძლებინებს და აქ განდეგილობა, განზე დგომილობა ნამდვილად აღარ არის საჭირო, რამეთუ შეუმცდარი ღმერთისადმი ნდობის საფუძველზე დამყარებული სიყვარული იქნება გარანტი იმისა, რომ მის გზას არ აცდება და მისი სურვილები გახდება საკუთარი სურვილები, მისი მიზნები საკუთარი მიზნები. ადამიანებს ამას ურჩევდა კრშნა სიტვასიტყვით თავისი დედამიწაზე მოვლინების დროს — „ყველაფერს თავი დაანებე და მე მომენდე“. მაგრამ უსამართლობა, უფრო სწორედ უვიცობა გამომივა, რომ არ აღვნიშნო ის, რომ ჭეშმარიტი ცოდნის ანუ რწმენის (ღვთისადმი რწმენის) გარეშე ვერავინ შეძლებს ჭეშმარიტ სიყვარულს ეზიაროს და ჭეშმარიტად მიენდოს ღმერთს.

მოდით, ვეცადოთ აღვწეროთ ეს ურთულესი თავი — თუ როგორ, საიდან დავიწყო და საით წავიდე ამ გზაზე რომ მოვხვდე. ამ გზაზე გადასვლა უნდა მოხდეს ჭეშმარიტი ცოდნის, რწმენის შეძენის იმ რაციონის შემდეგ, როდესაც უკვე ვხვდები, რომ მე ჩემს რწმენას ვეღარაფერს მოვამატებ, ეს კი იმით წარმოჩინდება, რომ განდეგილობაში ყოფნა სასურველი აღარ იქნება ჩემთვის, ანუ გამოჩნდება თვითგამოვლინების სურვილი შეძენილი ცოდნის მხრივ. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, ეს არის ის ადგილი, სადაც რწმენის შეძენაზე გადავედი, აქცენტირებულად სქესობრივი ლტოლვის ამ სახით გარდასაქმნელად.

1.[(4.)] აქედან კი, როგორც გახსოვთ, უკვე შიგნით ჩემში ფანატიკურობა ვლინდებოდა, რომელმაც მუტაციის პირობებში ჩამოყალიბებული წესრიგის მაკეტი შეცვალა. თუ თვითგამოვლინებას პირდაპირი ხაზით გავაგრძელებ, ფანატიკოსების თაყვანისცემის საგანი გავხდები, რამეთუ ჩემში არსებულ ცოდნას „კონტაქტიორი“ ინდივიდები ვერ გაიგებენ და ბუნებრივად გაუჩნდებათ შიში და ჩემი ხატების გაღმერთებით კიდევ ერთი „იზმის“ ან ერთი განშტოების მიმდევრობას შექმნიან, განსაკუთარებით ფიზიკური სხეულიდან ჩემი გასვლის შემდეგ და ა. შ. და ა. შ. აი, რა მოჰყვება საკუთარ კეთილ სურვილებს, რომლებიც ღმერთთან არ არის შეთანხმებული და დამოუკიდებლად არის წარმართული ჩემს მიერ. ეს რომ არ მოხდეს, თვითგამოვლენის სურვილში არსებულ სულიერ ლტოლვას უნდა მივაყურადო, რომელიც თვითგამოვლინების დამუხრუჭების საშუალებაა. უნდა შევეცადო შევძლო იმის გაკეთება, რომ სულიერი ლტოლვა სულიერ ვნებად არ გადაიქცეს. მაშასადამე, გზა უფალი ღმერთის პიროვნებისკენ, მასთან მიახლოვებისკენ, ცათა სასუფეველში მოხვედრისკენ იმყოფება სულიერ ლტოლვასა და სულიერ ვნებას შორის. ჩემი შეხედულებით აქ იქნება ასეთი დევიზი: „სხვათათვის დახმარების გაწევით, ვეხმარებით საკუთარ სულს“. აქ საერთოდ უნდა გაქრეს საკუთარ აღქმაში სხვა, უცხო, მტერი, ეშმაკი და ასეთი ტიპის დამაინტრიგებელი პროვოკაციები, რამეთუ აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი გამოვლინებული უფალში განისვენებს. საჭირო ხდება მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით მიდგომა უფალი ღმერთის პიროვნებისადმი, რაც ჩემში ჯერ კიდევ არსებული უნდობლობის აღმოფხვრაში უნდა დამეხმაროს ღმერთთან მიმართებაში. ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ღმერთის აზრი უნდა მაინტერესებდეს ჩემს ნებისმიერ საქციელზე და აბსოლუტურად უნდა გავთავისუფლდე სხვებზე დამოკიდებულებისგან. ეს უკვე არა ჭკუითი ან გონებრივი, არამედ გრძნობითი და ემოციური განდეგილობაა და მაშინ შეძლებს ჩემი გული ღმერთისთვის თავის მიძღვნას, რამეთუ არავითარი გაორებულობა, ორგულობა, ეჭვები ტვინის მხრიდან აღარ წავა მისკენ და ღმერთისკენ მიდრეკილი ჭკუა გულის ჭეშმარიტი მეგობარი გახდება.

ეს ის პერიოდია, რომლის დროსაც ყველანაირი ცოდნითა და რწმენით პარამეტრალურ ფასეულობებზე ზევით ღმერთის პერსონისადმი ნდობის და სიყვარულის პარამეტრალური ფასეულობები დგება ჩემში და შიდა ამინდი აბსოლუტურად იცვლება. თუ ეს კონკრეტული გადასვლა ჩემში ვერ მოხდება, ღმერთს პერსონალისტური აღქმით ვერასოდეს ვერ მივუახლოვდები. ეს შეიძლება ასე რთულად არ ჩანდეს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს არის, ალბათ, ყველაზე რთული გარდამავალი მომენტი ინდივიდის ევოლუციური სვლის პროცესში. ვინც ამას შეძლებს, ჭეშმარიტად დაადგება ცათა სასუფეველში მიმავალ გზას.

2.[1.] წეღან დამავიწყდა აღნიშვნა, რომ ამ ბოლო თავში ვეხებით ისეთ მნიშვნელოვან თემატიკას, რაც მუტაციის საბოლოოდ განკურნებაა, ანუ ყოველგვარი მუტაციების და ფსევდოების გარეშე წინა (1) პერიოდი იყო ჭეშმარიტი, რეალური გრძნობების პერიოდი, სადაც აბსოლუტურად არავისზე და არაფერზე დამოკიდებულება არ არის პერიოდის სრულად ადაპტირების ფაზაში და სადაც არის აბსოლუტური დამოკიდებულება უფალ ღმერთზე, აქაც პერიოდის სრულად ადაპტაციის ფაზაში. ეს არის ნამდვილი ჭეშმარიტი სიყვარული თავისი სუფთა სახით. ეს მეორე პერიოდი კი იქნება რეალური ემოციის პერიოდი.

ამ პერიოდს მე დავარქმევდი ნებაყოფილობითობის დეკლარირების პერიოდს. არავითარი უკმაყოფილება აღარ დევს ჩემში, როდესაც ამ პერიოდს მივაღწევ. ეს ჩემში აისახება თვითკმარობის, მყუდროების სახით. თუ გზას არ გადავუხვევ, მე ღმერთის თანამდები ანუ მისი ნდობით აღჭურვილი პირი გავხდები. თანამდებობა, სამწუხაროდ, ჩვენს დროში საშინელ ანგარებიანობასთან და უსამართლობასთანაა გაიგივებული, მაგრამ რეალურად თანამდებობა, თანხლებას, ერთიან დიაპაზონში ყოფნას ნიშნავს. თუ ყოველივეს ამ თვალით შეხედვას შევძლებ, მაშინ საკუთარი ნების გამოვლინების სურვილი ღმერთის ნების გამოვლინების სურვილს დაემთხვევა, ღმერთი კი ყველაფერს ერთიანობაში, მთლიანობაში აღიქვამს და რეალურად ცუდად აღიქმება თუ კარგად, ბოროტებად თუ სიკეთედ, ღვთის ნების გამოვლინება ყოველთვის ზრუნვა და გაფრთხილებაა ინდივიდუალური სულებისა, ეს არის უბრალოდ აუცილებელი, რასაც ის ახდენს. მეც კი მატერიალიზირებულობის მდგომარეობაში სრულიად საკმარისია ნებაყოფილობითობის პრინციპი დავიცვა და თვითკმარი მყუდროება არ დამერღვეს საკუთარ „მე“-ში, რომ უფალი ღმერთის თანამდები გავხდე, ეს ძალიან ძნელი ასახსნელია. ვისი გულიც გაცოცხლდება, ის აუცილებლად მიხვდება ამას. ეს პრინციპი წარმოუდგენლად კარგად არის ახსნილი „აიკიდოს“ ფილოსოფიაში, რომელიც მორიხეი უესიბამ შექმნა. ეს თავი მთლიანად წარმოადგენს ჰარმონიის ამსახველ თავს. პირველი პერიოდი თუ ჰარმონიულობის დამყარების მცდელობაა ჩემსა და უზენაეს უფალ ღმერთს შორის, ეს მეორე პერიოდი ჰარმონიულობის განუხრელი დაცვაა საკუთარ რეალურ გარემოსთან მიმართებაში.

მე მინდა მოვიყვანო ერთი ციტატა მორიხეი უესიბას პირადი ჩანაწერებიდან: „თუ შენი გული საკმარისად დიდია იმისთვის, რომ შენში მიიღო შენი მოწინააღმდეგეები, შენ შეძლებ განჭვრიტო ისინი და გაეცალო მათ თავდასხმებს და, როცა მიიღებ მათ შენში, მაშინ შეძლებ მიმართო ისინი იმ გზით, რომელზეც მიგითითებენ ცა და მიწა“. ვგონებ, ეს ციტატა გაცილებით უფრო გასაგებს ხდის იმას, რისი გადმოცემაც მსურდა.

3.[2.] ეს პერიოდი არის რეალური გონების არსობრივობის აღწერის პერიოდი. მივყვეთ თავიდან, ჯერ ჩემში არსებული რწმენით მივეჯაჭვე უფალს, რათა რწმენა ნდობად, ცოცხალ ურთიერთობებად გადავაქციო, შემდგომ ღმერთის ნების აღსრულების საშუალებად ვცდილობ გავხდე ჩემს გარშემო არსებული მატერიალური გარემოსთვის და აი, რა იქნება ახლა ამ საფეხურზე. ეს იქნება გონების, ანუ ინდივიდუალური სულის არაინდივიდუალიზმის მიერ ზომიერი თანამიმდევრულობის შესწავლის და დაცვის მცდელობა, რომელიც ყოველგვარი ძალადობის გამოვლინებისაგან გამათავისუფლებს. ეს არის ცოდნა, რომელსაც მამა ღმერთი, როგორც შვილს, თავის „მე“-ს, ისე მასწავლის დაწვრილებით, ყველაფრის გახსნით. ეს ჰარმონიის ზოგადი ცნობიერების ცოდნაა, არსებულში ჰარმონიის დამყარების საშუალებაა. ამის წინა თავი სრულყოფილებისკენ სწრაფვის ზოგადი ცნობიერების ცოდნა იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაღაც შიდა არეულობის შემთხვევაში იმ ცოდნით შიდა მშვიდობის მიღწევა (ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტური მაჩვენებლით) შეუძლებელია. და თურმე სასტიკად არ შეიძლება ცალსახად სრულყოფილებისკენ სწრაფვა ჰარმონიზირების პროცესთან შეთანხმებულობის გარეშე, დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ობიექტურ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.

დასაწყისი ანთოლოგიის № 6-9-სა და ჟურნალ „ათინათის“ №26-35-ში

მონასტრები და მონაზვნები საქართველოში

VI ს-ის I ნახევარში ასურეთიდან საქართველოში მოვიდნენ და დამკვიდრდნენ წმ. მამები (ბერები) წმ. იოანე, რომელსაც შემდეგ ზედაზნელი ეწოდა, თორმეტ მოწაფესთან ერთად. სწორედ მათს სახელებს უკავშირდება მონასტრების ჩამოყალიბება და მონაზვნობის გავრცელება საქართველოში. მოკლედ, რომ ვთქვათ საქართველოში ბერ-მონაზვნური, ანუ მონასტრული ცხოვრება VI-დან იწყება.

ჩვენში მონასტრების დაარსება მსოფლიო საეკლესიო კანონების მიხედვით მოხდა; ანუ კანონიერად ისტორიიდან ვიცით, რომ წმ. იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებთან ერთად მაშინდელი ზედაზნის მთაზე, რომელსაც ახლა ზედაზნისა ჰქვია. საქართველოს პატრიარქის ევლავის ლოცვა-კურთხევით დამკვიდრდა. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მისმა მოწაფეებმა მიიღეს გამოცდილება მონასტრული ცხოვრებისა, ზოგმა აირჩია სავანეში დარჩენა და მონასტრული ცხოვრება საძმოში (კინოვიალური ცხოვრება) ზოგმა კი აირჩია განდეგილობა (იდიორითმიტული ცხოვრება). შემდგომში მათი მოღვაწეობის ადგლებში სამონასტრო კომპლექსები აღშენდა.

საეკლესიო მმართველობის ორგანოები
ეკლესიის საყოველთაობა, ანუ კათოლიკურობა

„ეკლესია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შემოკრებას, მოწოდებას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვა წმიდა ქრისტიანული წარმოშობის არ არის. ქრისტიანობამდე ის ნიშნავდა ნებისმიერ საკრებულოს ზოგადად (სინაგოგაც საკრებულოს ნიშნავს) ქართული შესატყვისი ბერძნული „ეკლესიისა“ არ გვაქვს. მაგ. ქართულ სიტყვას „ტაძარი“ თავისი შესატყვისი აქვს ბერძნულში „ნაოს“, ხოლო „ეკლესია“ (Εκκλησα) იმდენად ზუსტი უთარგმნელი ტერმინია რომ, ასევე, გადავიდა უთარგმნელად, ლათინურშიც და შემდეგ ევროპულ ენებში. როგორც მეცნიერები შენიშნავენ ეს სტიყვა „ეკლესია“ ერთ-ერთი უადრესი შენაძენია ქართული ქრისტიანული ლექსიკური მარაგისათვის.

„მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია“ – ამ სიტყვებით სარწმუნების სიმბოლოში თავად ეკლესიამ აღბეჭდა მოძღვრება თავისი თავის შესახებ.

წმ. მამები „ეკლესიას“ არ განმარტავენ, როგორც მხოლოდ დროსა და სივრცელში არსებულ ორგანიზაციას.

I ს-ის წმ. მამა კვიპრიანე რომაელი წერს: „ეკლესია ყოვლიერების შექმნისა, ის უწინარესია მზისა და მთვარისა და ჩვენს წინაშე ნივთიერად დაფუძნდა, რაოცა თავად უფალი მოგვევლინა კაცის სახით“.

III ს-ში ეკლესიის შესახებ ყველაზე უფრო დასრულებული განმარტება მოგვცა წმ. კვიპირანე კართაგენელმა. იგი ამბობს: „ცხოვრება ეკლესიის გარეშე არ არსებობს (73-ე ეპისტოლე), კვიპირანე კართაგენელი დამფუძნებელი იყო ლათინურენოვანი მართლმადიდებლობისა) ამავე ეპისტოლეში, სხვა ადგილას ის წერს: „ქრისტიანი არ არის, ვინც ქრისტეს ეკლესიაში არ არის“. იგი, ასევე, განმარტავს: „ეკლესიას მიცემული აქვს გასაღები შემეცნებისა და იგია ერთადერთი უცდომელი განმმარტებელი. გახსოვდეს: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არც ღმერთია მამა“.

წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი (I-II ს.) წერს: „ერთი ღმერთი არს ყოველთაი. უშობელი იგი მამაი; და ერთი მხოლოდშობილი ძე ღმერთი, ღმერთი სრული და კაცი; და ერთი ნუგეშინისმცემელი იგი, სული ჭეშმარიტებისაი; და ერთი ეკლესიაი, რომელი დააფუძნეს წმიდათა მოცქიეულთა კიდითგან ვიდრე კიდემდე ქუეყანისა, სისხლითა ქრისტესითა და თვისითა შრომითა და ოფლითა და თქუენცა ჯერ-არს, რაითა ვითარცა ერი საზეპურო და ნათესავი წმიდაი სამღვდელოი და სამეუფეოი ყოველსავე ქრისტეს მიერ ერთობით აღასრულებდეთ“ (ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ).

წმ. გრიგოლ ნოსელი „ქებათა ქების“ განმარტებაში წერს: „ეკლესია არის სხეული მაცხოვრისა, ცხოველი სხეული ქრისტესი“.

წმ. ეფრემ ასური (IV ს.) ასევე გამოთქვამს: „ნეტარ ხარ შენ მართალთა ეკლესიაო, რამეთუ მეფეთა

მეფემ შენ შორის დადგა საყდარი შენი საძირკველი არასოდეს შეირყევა, რამეთუ უფალია შენი მცველი; და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ გერევიან შენ, მტაცებელი მგლები ვერ შემუსრავენ შენს სიმტკიცეს, ო, რა დიდებული და მშვნიერი ხარ შენ, სახლო ღმრთისაო!"

ეკლესიაში ფართო გაგებით მოიაზრება ყველა მოაზროვნე თავისუფალი არსება, ე. ი. ანგელოზები, ადამიანები, რომელთაც სწამთ იესო ქრისტე და საიდუმლოებით შეერთებულნი არიან მასთან, როგორც ეკლესიის თავთან – „განსაგებლად აღსავსებისა მის ჟამთაისა თავ ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაი-იგი არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა". – რამეთუ აღდგა იგი (ქრისტე) მკვდრეთით და დაჯდა მარჯვენით მამისა „უზესთაეს ყოველთა მთავრობათა და ხემწიფებათა და ძალთა და უფლებათა და ყოველსავე სახლისა, რომელი სახელდებულ არ არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმეცა მას; და ყოველივე დაამორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზესთა ყოველთა ეკლესიასა, რომელი იგი არს გუამი მისი აღსავსებაი იგი, რომელმაც ყოველსა შინა აღავსო" (ეფეს. I. 10,-20-23).

სხვა გაგებით, ეკლესია მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც აღიარებენ ან არ აღიარებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, ყველას მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და სამყოფელისა, ცოცხალთა არაცოცხალთა.

ფართო გაგებით ეკლესიის წევრად ითვლება ყველა ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ მცხოვრებნი. ეკლესია, ჯერ კიდევ სამოთხეში არსებობდა და იარსებებს ქვეყნის აღსასრულამდე. გავიხსენოთ კვიპრიანე რომაელის სიტყვები: „ეკლესია უწინარესია ყოვლიერების შექმნისა". ამდენად ეკლესია იყოფა ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიად და ეს არ არის ორი ეკლესია, არამედ სხეული ეკლესიისა ერთიანია. უფრო ვიწრო გაგებით, ქრისტეს ეკლესია არის ერთი ახალი აღთქმის ეკლესია, მებრძოლი და მადლის მატარებელი.

როგორც აღინიშნა, ქრისტეს ეკლესია ღვთაებრივია, რომელშიც ადამიანი გამოიხსნება, გადარჩება და გაღვთიურდება, ეკლესიის ერთ-ერთი თვისება გადმოცემულია სარწმუნოების სიმბოლოში – ეს არის საყოველთაობა, ეკლესიის საყოველთაობა ჩანს არა მხოლოდ იმაში, რომ განუსაზღვრელია სივრცით და მოიცავს მთელ დედამიწას, არამედ იმითაც, რომ ყოველი მისი ცოცხალი ნაწილი შეიცავს სულიწმიდის ნიჭთა სისავსეს მისტიურად ეკლესიის ყოველი წევრი იგივე ეკლესიაა. მორწმუნე საზოგადოება, ეპისკოპოსის მეთაურობით, რომელიც ურთიერთობაშია სხვა დანარჩენ ეპისკოპოსებთან – არის ეკლესია და მისი არ არის სიცარიელე.

ეკლესიის საყოველთაობა ჩანს იქიდანაც, რომ ავტოკეფალური ეკლესია თუკი მოსწყდება (განდგება) მსოფლიო ეკლესიისაგან ანუ სხეულისგან, რამეთუ მადლი და ნიჭები გარდმოევლინება მოციქულთა შთამომავლობას სიყვარულის ერთობით და ყოვლადწმიდა სამების მიმსგავსებულობით: „რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში ერთად" (იოანე 17.21).

ეკლესიის ერთობისათვის და საყოველთაობისათივს ითქვა: „ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დასძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი" (მთ. 16.18).

მსოფლიო და ადგილობრივი ეკლესიების საყოველთაობისათვის, მისი გაგებისათვის, მთავარეპისკოპოსი ბასილი წერდა: „ადგილობრივი ეკლესია არ ითვლება, მსოფლიო ეკლესიის მხოლოდ საყოველთაო ნაწილად, არამედ მის სრულ გამოვლინებად. ადგილობრივი ეკლესია ისეთივე სისავსის მატარბელია და საყოველთაო, როგორც ღვთაებრივი პირობები ყოვლადწმიდა სამებისა, ნაწილები კი არიან, მაგრამ ყოველი ჰიპოსტასი სისავსეა — ძე ან მამა ან სულიწმიდა, ცალკე არ არის სამება, მაგრამ მისი იგივეობაა. მსგავსადვეა ეკლესიის საყოველთაობა, ე.ი. ადგილობრივი ეკლესია, მსოფლიო ეკლესიის „ნაწილი" კი არ არის, ისე, როგორც ძე — სულიწმიდა არ არის, არამედ იგივეა (ღმერთობით).

ეკლესია საყოველთაო კიდევ იმიტომაა, რომ განისაზღრება დროით. ეკლესია მისი ზეციური (მოიზომე) და ამქვეყნიური (მებრძოლი) გაგებით გაგრძელეაბა, როგორც საშუალება, მაცხოვრის მიზნისა — გამოიხსნას კაცობრიობა. ეკლესია ორთოდოქსალური გაგებით ქრისტოცენტრულია და ამავე დროს ევქარისტოცენტრულიც. „ეკლესია ქრისტეს სხეულია" – ამ თეზას არ აღიარებს არცერთი ქრისტიანული სხვა ეკლესია გარდა ორთოდოქსებისა.

სქოლასტიკოსები სვამდნენ კითხვას ვინ არის მხსნელი — ეკლესია თუ ქრისტე? ისინი პასუხობდნენ, რომ ქრისტე და ეკლესია. იმას რასაც ეკლესია „აკეთებს" სამყაროში ამას აკეთებს ქრისტეთი, ხოლო რასაც ქრისტე „აკეთებს" სამყაროში ის აკეთებს ეკლესიით. აქ გაყოფა შეუძლებელია.

ეკლესია საიდუმლოა, ხოლო კანონები ცხოვრებაა. ეკლესიისა, რომელიც ეკლესიას საშუალებას აძლევს იყოს ფლექსიბილური, იგივე საჭიროებისდა მიხედვით მოქმედი, (პირდაირი გაგებით დრეკადი, მოქნილი, გადატანითი მნიშ. პლასტიური).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წერილები

Ratiani Lali,
Doctor der deutschen Philologie

KLASSIFIKATION DER LEXIKALISCHEN ANTONYMIE AUF GRUNDLAGE VERSCHIEDENER MERKMALE

In dieser Arbeit werden in den modernen linguistischen Forschungen dargestellten Versuche der Konkretisierung des Wesens der Antonymie, der Feststeluung und Systematisierung ihrer Abarten behandelt; bestätigt wird die Richtigkeit des Erkennens des Untersuchungphänomens als Gegenstand mehrer Disziplinen und auch die Berücksichtigung strukturell-semantischer Markere der antonymischen Einheiten, die Zweckmäβigkeit der Bildung des antonymischen Wörterbuches.

Der vorgelegten Forschung wurde das Verstehen der Sprache als organisierte Ganzheit, das System, derer Elemente sich in Wechselbeziehung und Gegensätzlichkeit, oppositionellen Relationen befinden, zugrunde gelegt , die ganz tief in die Sprache eindringen und den Besitz des lexikalischen Systems der Sprache bilden. Die Notwendigkeit der Antonymieforschung wird eben durch das Wesen dieser Erscheinung bedingt.

Die Antonymie wird als eines der relevanten Mittel des Offenbaren des Systemcharakters der Sprache betrachtet. Sie wird als zwischen den sprachlichen Einheiten existierende universale und grundsätzliche Relation behandelt. Durch den Vergleich des Begriffes “Unterschiedlichkeit’ wird mit Hilfe der Analyse seiner semantischen Eigentümlichkeiten in der Arbeit, der Versuch der Formulierung präziser Interpretation des Begriffes “Gegenüberstellung” gegeben. Das Fundament der Gegenüberstellung bilden die nicht nur wechselseitig unterschiedlichen, sondern auch äuβserst gegensätzlichen sprachliche Einheiten der Realität, die rückbezüglichen Erscheinungen ausdrücken. Es ist notwendig diese zwei Begriffe- “Unterschied/Differenz und “Gegenüberstellung”von einander abzusondern. Durch die Gleichheit dieser Begriffe wurden als Antonyme die Lexemen folgender Atrt anerkannt: ***Vater-Mutter; Nadelbaum-Laubbaum; erwerben-besitzen; entstehen-existieren*** *u.a.*

Für die Feststellung des antonymischen Paares reicht es aber nicht, daβ es der maximale Unterschied zwischen den Wörtern auf semantische Ebene gibt. Notwendigerweise soll ein Mitglied des Paares durch das andere negiert und ausgeschlossen werden, mit ihm in Gegenzatz stehen. Solche Relation soll in der Kombination der domminierten Semen des semischen Bestandteils der gegensätzlichen Relation realisiert werden, ein Phänomen soll die Rückseite des Zweitens darstellen. In anderen Fällen wäre es nicht korrekt über die Antonymie zu sprechen. Ausgehend von solcher Aussicht wird die Antonymie in dieser Arbeit als in logischer und semantischer Gegensätzlichkeit existierende Paarung der lexikalischen Einheiten im Rahmen der allgemein-kategorialen Gattungssemantik auf Grundlage der Markscheide/Grenzscheide der konkreten innenkategorialen Artsemantik bestimmt. Unter Antonymie ist zu verstehen: eines der auf Grundlage der Artsemantik gepaarte Glieder der lexikalischen Einheiten, das gegen der Bedeutung des zweiten Gliedes gegensätzliche, äuβerst widersprüchliche/gegentelige und völlig ausschlieβsende rückbezügliche Bedeutung ausdrückt. In solchem Masse wird als Grundlage der Antonymiebestimmung hauptsäechlich die Gegenüberstellung und rückbezügliche Relation betrachtet. Durch die Identität des Bodens wird die Ähnlichkeit der Definitionen bedingt, die es in der Linguistik gibt. ***Antonymie sind die Wörter, die wechselseitige, gegenteilige und zugleich entsprechende/aufeinanderbezogene Begriffe ausdrücken*.**

Bei der ausführlichen Charakterisierung der einzelnen Eigentümlichkeiten der Antonymie werden obwohl solcher gleichen Definitionen auch unterschiedliche Gesichtspunkte abgerechnet. Die Verschiedenheit der Meinungen wird vor allem dadurch bezeichnet-welche Srtuktur die Einheit von den gegenübergestellten Lexemen besitzen soll, um sie als Antonymie anzurechnen. Als wahre Antonyme

werden nach der Meinung einiger Wissenschaftler nur die Stammwörter betrachtet, in dennen die Gegenüberstellung der Bedeutungen durch die Stämme ausgedrückt sind: **arm-reich; fleissig-faul**; Was es die Gegenüberstellung der Lexemen angeht, die durch das Hinzufügen des negativen Teilchen auf das Stammwort realisiert wird : **ruhig-unruhig; Tiefe-Untiefe; ehrenhaft-unehrehhaft**; und für eines der Mitglieder die oppositionelle Bedeutung erworben oder wiederholt./abermalig ist, wird sie als Antonymie nicht betrachtet.

Bei einer Reihe von den Wissenschaftlern wird diese Behauptung weiter konkretisiert: qualitative Adjektive mit den negierenden Präfixen werden als Antonyme nur in solchen Fällen betrachtet, wenn sie die Grenzmitglieder des Paradigmas darstellen. Es gibt auch radikal unterschiedliche Meinung -*die durch das Hinzufügen des negativen Teilchen gebildete eine neue lexikalische Einheit soll bedingungslos als Antonymie des entsprechenden Wurzelwortes anerkannt werden*.

Die Meinung davon, daβ auf den identischen Stamm durch das Hinzufügen des negativen Teilchen die antonymischen Relationen befestigt werden können, soll als regelrecht angesehen werden. Solch ein Verhalten zu diesem Problem wird in vielen Forschungen geäuβert. Da als einer der produktiven Wege der Entstehung der Antonymie mittels der entsprechenden Affixe und Halbaffixe verwirklichte Wortbildung anerkannt werden soll, sind die Folgen dieser Untersuchungen der Beweis davon, daβ eben in der Wortbildung nach der Grundlage der Antonymieentstehung gesucht werden soll.

Der Beweis, der unter Vermutung die Relevantität der strukturellen Markers bei der Gegenüberstellung der lexikalischen Einheiten stellt, soll als korrekt nicht angenommen werden, weil wir es als möglich halten, ein Mitglied des antonymischen Paares als Stamm- und das Zweite als abgeleitete Einheit darzustellen.

Die antonymischen Relationen zeigen sich nicht nur auf Grundlage der Bedeutung gegenübergestellte zwei sprachlichen Einheiten. Die Realisierung der oppositionellen Semantik ist es möglich, auch im Rahmen der semantischen Struktur eines Wortes, bei der Gegenüberstellung der Bedeutungen festzustellen. Solche Gegenübestellung wird durch Termini “Enantyosemie” bezeichnet, was auf die innere Antonymie des Wortes deutet, der Begriff der Antonymie ergänzt und sich zugleich von ihm unterscheidet.

Unter Antonyme wird hauptsächlich auf Grundlage der semantischen Gegenüberstellung gepaarte Vereinigung der Wörter gemeint. Dementsprechend wird als bedeutendes Merkmal der Antonymie die Binarität genannt. Unter den Wissenschaftlern gibt es auch eine unterschiedliche Meinung davon, daβ für das Anerkennen der Wörter als Antonyme es nicht reicht, sie derartig gegenüberzustellen. Auβer der Gegenüberstellung soll zwischen ihnen auch unbedingt zweiseitige Relation bezeichnet werden. Die Antonymie ist hauptsächlich für die Klasse der Adjektive eigen, weil die Adjektive vowiegend in der Lage sind, in Verbindung der gleichen realen Einheiten die gegensätzliche Bedeutung zu zeigen. Die Antonyme treten auch bei den Verben und weniger bei den Substantiven vorwiegend in solchen Fällen auf, wenn sie von den Adjektiven abgeleitete Nomen darstellen.

Zwecks der Feststellung der Qualität der Verbreitung der Antonymie im System der Redeteile wurde in der Arbeit im Rahmen der einzelnen Redeteile die statistische Analyse durchgeführt. Zufolge der Analyse sind die überwiegende Mehrheit der Antonymie im Deutschen, Englischen und Französischen bei Adjektiven.und Verben festgestellt worden.

Um zu zeigen, durch welchen Bestand und die Struktur die antonymischen Relationen dargestellt sind, werden in den linguistischen Forschungen verschiedene Fachausdrücke verwendet werden. Einige Wissenschaftler benutzen für die Bezeichnung der antonymischen Relationen den Terminus **Gruppierung**, die entweder durch eine einfache zweigliedrige oder synonymische, mehrgliedrige Gruppierung dargestellt werden kann. Die Gegenüberstellung des Letzten vollzieht sich durch die synonymischen Reihen. Neben jedem Mitglied der Reihe steht das Glied ihres oppositionellen Paares. Sie werden als “antonymische Paare” bezeichnet werden. Obgleich auch der Terminus “Gruppierung, Gruppe nicht ausgeschlossen wird. Im allgemeinen wird dieser Fachausdruck vorwiegend für die konträre Antonymie verwendet, weil von den Arten der Gegensätzlichkeit: kontradiktirische, konträre, komplementare, conversionale-nur im Falle der Gegensätzlichkeit dieser Art, bei der Präzisierung der Untersuchungsrelation die Wortgruppen-korelative Reihen mehr gebräuchlich sind. Für die anderen Abarten ist hauptsächlich die Zweigliedrigkeit typisch.

Ausgehend vom Charakter der unterschiedlichen Typen der Relationen, kann man ganz bestimmt sagen, daβ die Grundlage der beliebigen Antonymiarten eindeutig der Begriff der Wechselbeziehung ist. Alle andere Merkmale der antonymischen Relationen sind zusätzliche, ergänzende Komponente dieser Erscheinung, die bei der Āuβerung der antonymischen Relationen keine entscheidende Bedeutung haben.

Im Artikel vorgelegte Untersuchung beschränkt sich nur auf unbestreitbare von allen anerkannten, **kontradiktorischen** oder auf die Analyse der äuβerst antonymische Relationen. Um einen Antonymiestatut zu bekommen, soll für das antonymische Paar beliebigen Typs auβer der Gegensätzlichkeit auch folgende Zeichen charaktristisch: allgemeinkategoriale-Gattungs- innenkategoriale-Artsemantik, Binarität, und Grenzscheide/Terminalität.

In der Gegenüberstellung wird der innere Widerstand zwischen dem Gegenstand oder einer Erscheinung, einer Handlung oder einem Zustand, einer Eigenshaft oder einer Zahl, einer Quantität gemeint. Soweit die Gegensätzlichkeit der lexikalischen Einheit mit der Entgegenstellung der in der Realität existierenden Begriffe völlig in Einklang sind, wäre es nicht schwer festzustellen, durch welche lexikalische Einheiten die gegenseitigen Bedeutungen realisiert werden. Obwohl solcher objektiven Grundlage, gibt es öfter die Fälle, wenn in den einzelnen Forschungen und lexikographischen Arbeiten die auβerhalb der Gegensätzlichkeit stehenden Wörter nicht so selten als Antonyme aufgenommen werden. In solchen Fällen wird es in der Arbeit zweckmäβiger zu den einzelnen semantischen Varianten die semische Analyse für die Verteidigung voller Objektivität zu verwenden. Das gibt eine Möglichkeit während der Forschung einen subjektiven Moment maximal auszuschlieβen und fördert dazu die semantische Struktur des Wortes mit absoluter Objektivität zu beschreiben.

Wenn das antonymische Paar durch verschiedene lexikalische Einheit dargestellt ist, wird bei der Gegenüberstellung ihrer semantischen Bestandteile der Unterschied nicht nur im Rahmen von einem, sondern von mehreren Sememen geäuβert. Der Unterschied beruht sich auf den gegenseitig ausschlieβenden Charakter des Zeichens und auf die Semem, die die Eigenschaft bezeichnet. z.B. die Glieder des antonymischen Paares **hart-weich** gleich dem allgemeinen kategorialen Sememen -Merkmal-Eigenschaft, Qualität entsprechen.

Der semische Bestandteil kann folgenderweise dargestellt werden: **hart** besteht aus den Sememen: ***Hartheit, Gewaltigkeit, Strengheit, Intensivität, Grobheit, Altertum****;* Im Bestandteil des Wortes **weich** werden folgende gegensätzliche Sememen festgestellt werden: ***Mildheit, Zartheit, Zärtlichkei****t*. Sowohl in der semantischen Struktur von **har**t als auch von ***weich*** fixierte semantische Varianten werden durch die bezeichneten Sememen abwechselnd realisiert -eine domminierende Position wird zu jeden einzelnen Varianten der für die realisierte Variante entsprechende Semem einnehmen.

Wenn die Gegenüberstellung zwischen den Einheiten auf einen der Mitglieder durch das Hinzufügen der negierenden Elementen verwirklicht wird, ist die Antonymie abgeleitet. Die Gegensätzlichkeit wird eben nur mit Hilfe einer negierenden Semem realisiert werden z.B. **Glück-Unglück.** Glück-*erwünschter, geistiger oder materialer Zustand der Menschen".* Alle diesen Sememen sind für den antonymischen Partner von **Unglück** charakteristisch, aber nur bei seiner negierenden Āuβerung. Eine unbestreittbare und objetkive Voraussetzung für die Feststellung der semasiologischen Wechselrelation der sprachlichen Einheiten der Antonymie ist die direkte Bedeutung.

Man stimmt einer Meinung davon bei, die Antonymie als unzertrennlicher Teil der Sprache anzuerkennen. Die Wissenschaftler heben die mit dem Erlernen dieses Phänomens verbundene Schwierigkeiten hervor. Als das Eigentum der Sprachlexik ist die Antonymie der Untersuchungsgegenstand der Semasioligie. Die semasiologische Forschung ist aber von einem subjektiven, intuitiven Moment weniger gesichert, wodurch nicht so sellten die durch die Untersuchung ergebene nicht objektive Charakter der Schluβfolgerungen bedingt ist. Das geht die Antonymieforschung auch an.

In der Sprachwissenschaft domminiert solch eine Meinung, daβ in nirgend einer sprachlichen Erscheinung die logischen und lexikalischen Kategorien miteinander so sehr verflochten sind, wie es im Falle der Antonymie ist.Eben darin besteht der Grund, daβ ein Teil von den Forschern es zweckmäβig halten, die Antonymie im Rahmen der Lexikologie, der andere Teil; aber als die Zugehörigkeit der Psycholinguistik zu behandeln. Dieser Standpunkt soll nicht völlig korrekt sein. Als Grundlage der Gegenübersteluung der Glieder des antonymischen Paares soll wie es oben erwähnt wurde, nicht nur eine

Spracheinheit, sondern auch eine Redeeinheit dargestellt werden. Ausgehend davon wird die Antonymie in der vorgelegten Forschung als ein sprachliches Phänomen bestimmt, das auf der Sprachebene realisiert wird. Was es aber die Antonymie anbetrifft, die in/durch Winken der Psycholinguistik behandelt wird, wird auf der Textebene realisiert, gibt ihr eine stilische Färbung und in solchem Masse ist es möglich sie als Kategorie der Psycholinguistik darzustellen.

Die Antonymie gehören zum Bereich der Lexikologie. Ihre Forschung beruht sich auf die aktiven synchcronischen Verbindungen der Lexemen, auf die Relationen dieser Verbindungen mit der Wortblidung und mit der grammatischen Natur der gegenüberzustellenden sprachlichen Elementen.

Ausgehend von der Spezifik des lexikalisch-semantischen Paradigmas, kann die Antonymie im Kontext zusätzliche Bedeutungen gewinnen, wodurch öfter die Notwendigkeit des Wexels/der Versetzung von den Mitgliedern des antonymischen Paares bedingt wird. Auf Grundlage der im Kontext gewonnener Meinung wird dem auf paradigmatischer Ebene fixierten antonymischen Paar zusätzlich die durch den syntagmatischen Schnitt bedingte antonymische Relationen ausgesucht. Die Grundlage solcher Relationen stellt die Distribution des konkreten Wortes dar, die lexikalische Ergänzung des antonymischen Paares präzisiert, genauer formuliert, gibt eine Möglichkeit das Verhalten der Antonymie als psycho-linguistische Phänomen, zu den Einheiten der identischen Ebene- ***Synonymie, Antithese und Enantyosemie*** zu zeigen. Der Kontext Solcher Art wird als “antonymischer Kontext”benannt.

Durch den antonymischen Kontext wird im Artikel eine lexikalische Umgebung des Wortes, eine Distribution gezeigt, die nicht so selten die Gegenüberstellung solcher zwei Einheiten auf der syntagmatischer Ebene bestimmt, die auf der paradigmatischer Ebene als Antonyme nicht betrachtet werden können. Als Fundament der Gegenüberstellung ist wesentlich die subjektive Wahrnehmung einer Erscheinung, subjektive Kriterien der Einschätzung, die Pragmatität und die verschiedenen stilischen Mittel des Ausdrücks des Aufgefassten angesehen.

Die Klassifikation der lexikalischen Antonymie ist in der modernen Linguistik auf Grundlage verschiedener Merkmale verwirklicht. Sie stützt sich zwischen den morphologischen und semantischen Aspekte auf das Prinzip des Paralelismus. Aantonymische Relationen werden nur im Rahmen eines bestimmten Redeteiles zwischen den lexikalischen Einheiten mit gegenübergesetzten Bedeutung befestigt werden. Obgleich dieses Prinzip nach der Meinung der Forscher als vollständig nicht betrachtet werden kann, braucht es ebenso/ zu /reinigen. Als Basis der abgesonderten Gegenüberstellung aller Art wird die Semantik betrachtet. Die Klassifikation einer Reihe der Antonyme –stützt sich auf die Struktur in unmittelbaren Verbindung mit der Semantik.

In den Arbeiten, die den antonymischen Problematik gewidmet sind, werden hauptsächlich **identische-gleichstämmige Antonyme, differenzielle /verschiedenstämmige Antonyme** abgeteilt**.** Zu den gleichstämmigen Antonymen wird eine Klassifikation verwendet, die sich auf die im Rahmen der Antonymie wirkende wortbildende Typen stützt. Man unterscheidet einerseits auf die identische Stämme durch das Hinzufügen der Affixen gebildete Antonyme und die Antonyme, derer strukturellen Bestand durch verschiedene Stämme und negierende Affixen dargestellt wird. Zufolge der Angaben der existierenden Forschungen, die der Beschreibung der strukturell-semantischen Typen der Antonymie gewidmet sind, könnenn die Wege der Lösung der mit der Antonymie verbundene Probleme abgetrennt werden, die Voraussetzungen der Untersuchung festgestellt und ihre vermutliche Folgen durchgedacht werden.

Für die Forschung ist vorallerdings nötig:

---Die Beschreibung der lexikonischen und kontextuellen Angaben der Untersuchungseinheit, sowohl einzeln genommene lexikonische als auch im Kontext realisierte Bedeutungen. Hier wird auch der Moment der Gegenüberstellung auf Grundlage ihrer okkasionellen Bedeutungen gemeint.

---Die Präzisierung der wortbildenden Modelle-einstämmige, einfache und mehrstämmige abgeleitete präfixal-suffixale Wöter, in dennen die Opposition sowohl durch einstämmige, primitive, als auch mehrstämmige, abgeleitete Lexeme, präfixalsuffixale Wörter erzeugt werden.

---Die Āuβerung des qualitativen, positiven und negativen Merkmals, Anzeigers.

---Feststellung der Verbreitung des Potenzials der gegenübergestellten Einheiten, auf derer Grundlage ein-und mehrdimensionale Oppositionen ausgesondert werden.

---Die Konkretisierung der logischen Relationen, die Berücksichtigung der funktionallen, semantischen, wortbildenden, grammatischen Markers, Anzeigers.

---Die Konkretisierung der in Antithese und Enantyosemie realisierte Spezifik der antonymischen Relationen.

---Auf Grund der Analyse der semantischen Gegenüberstellung und Invariantität folgende strukturelle Typen der Antonymie aussondern: **konträre, kontradiktorische, conversionelle, komplementäre.**

Die Grundlage der Feststellung der lexikalischen Antonymie mit maximaler Präzisierung bilden eben die semasiologischen Eigentümlichkeiten der sprachlichen Elementen. Als wahres Mittel der Aufzählung dieser Eigentümlichkeiten soll das entsprechende Lexikon anerkannt werden. Das Lexikon der antonymischen Einheiten wird richtig als Garantie der Bereicherung des Wortschatzes der Sprache und ihrer bewuβten Beherrschung behandelt. Auf Grundlage der Organisierung der Prinzipien des empirischen Stoffes und der Analyse der Srtukturierung einzelner lexikonischen Artikels wird in der Arbeit das antonymische Lexikon ebenso vom unterschiedlichen Typ, der Versuch der Feststellung des Musters seines einzelnen lexikonischen Artikels gegeben. Formiert wurden solche unbestreittbare Bedingungen, derer Verteidigung obligatorisch ist, um lexikographische Arbeit solcher Art zu bilden. Bei der Fixierung der oppositionellen Wörter soll allerdings in Betracht usuell-lexikonische Bedeutung dieser Einheiten genommen. Auf Grundlage dieser Einheiten vollzieht sich ihre Formulierung zu antonymische Paare, die Überprüfung der Objektivität der Gegenüberstellung durch die Vergleichung der semantischen Strukturen der oppositionellen Einheiten, durch die Präzisierung ihres semischen Bestandes.

ლექსიკურ ანტონიმთა კლასიფიკაცია სხვდასხვა ნიშნების საფუძველზე
რეზიუმე

ანტონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპების აღწერისადმი მიძღვნილ არსებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ანტონიმიასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების გამოკვეთა, კვლევის წინაპირობის დადგენა და მისი სავარაუდო შედეგების გააზრება; ამისათვის კი აუცილებელი გახდა საკვლევი ერთეულის კონკრეტული და კონტექსტუალური მონაცემების ფლობა, სიტყვაწარმოებითი მოდელების დაზუსტება, საკვლევი ერთეულის თვისობრივ-ხარისხობრივი პოზიტიური და ნეგატიური მაჩვენებლების გამოკვეთა, დაპირისპირებულ ერთეულთა გავრცობის პოტენციალის დადგენა, ლოგიკური მიმართებების დაკონკრეტება, ანტონიმთა ფუნქციონალური მარკერებისა და დაპირისპირებულ წყვილთა სპეციფიკის გათვალისწინება, სემანტიკაში დაპირისპირებულობისა და მათი ინვარიანტულობის ანალიზის მიხედვით ანტონიმთა ძირითადი სტრუქტურული ტიპების გამოყოფა.

Ratiani Lali

THE CLASSIFICATION OF LEXICAL ANTONYMS ON THE BASE OF DIFFERENS SIGNS.
Summary

On the base of given studies concerning the description of structural-semantic types of antonyms it has been possible to show the ways of solving problems connected to antonyms, the determination of precondition studies and the interperetation of its hypothetical results, for this it is inevitable to passess facts of research concrete and contextual unit to make more exactword-formation models, to show qualitative positive and negative indices of research unit, to show potential prevalence of opposed unuts concretization of logical attitudes, taking into account specific character of functional markers and opposed pairs in semantics, according to opposition and their invariant analysis the separation of main structural types of antonyms.

მანანა კვატაია

გრიგოლ რობაქიძე – ფილოსოფიური კონცეპტები, შემოქმედებითი ორიენტირები

"პირველი მოციქული სიმბოლიზმისა, რომელიც სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას", – ლაკონურად ახასიათებდა ტიციან ტაბიძე 1916 წელს გრიგოლ რობაქიძეს. ქართული ლიტერატურის მეტრად აღიარებულმა მწერალმა მოდერნიზმის პრინციპებისადმი ერთგულება საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობით დაამტკიცა. რობაქიძის "მხატვრულ ტექსტებში იმთავითვე უკუფენილი და ინტენცირებულია, ერთი მხრივ, მითოსური პარადიგმებისა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა ფილოსოფიურ მოძღვრებათა ესთეტიკურ-შემოქმედებითი რეცეფციები" (ბრეგაძე 2013: 261).

მეტიც, გრიგოლ რობაქიძე გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოს ინტელექტუალური სივრცის ერთ-ერთი უპირველესი რეფორმატორი გახლდათ. ის, უნიკალური ნიჭის, ორიგინალური ხედვისა და მსოფლაღქმის შემოქმედი, მეოცე საუკუნის დასაწყისის და, საერთოდ, თანამედროვე ქართული აზროვნების სათავეებთან დგას (დაწვრილებით იხ. რობაქიძე 2011). ფილოსოფოსთა ინტენციით, "გადასახედია ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში მყარად ფესვგადგმული აზრი, რომლის თანახმად, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების დამწყებად მიჩნეულნი არიან: შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, დიმიტრი უზნაძე და ა.შ." (კრებული 2011: 9).

გასული საუკუნის დასაწყისში გრიგოლ რობაქიძე თავს ფილოსოფოსად თვლიდა, თანაც ისეთ ფილოსოფოსად, "რომელსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ღირსეული მოკამათე არ ჰყავს" (იხ. "ნაპერწკალი", 1908 წლის 1 ივლისი). მწერალი ადრევე ეზიარა დასავლური აზროვნების მაგისტრალურ ხაზს (პლატონი, ფრ. ნიცშე, გ. ზიმელი, ო. შპენგლერი და ა.შ.), რომლის რეცეფცია და ტრანსფორმაცია ესეებსა და კრიტიკულ წერილებში გადმოსცა. რობაქიძის კულტუროლოგიური წერილები გერმანული აზროვნების კვალს ატარებდა (კრებული 2011: 11).

ამასთან, გრიგოლ რობაქიძემ საკუთარი, კონცეპტუალურად განსხვავებული სააზროვნო სივრცე შექმნა. იგი წერდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო თვით მაგისტრალიც კი დასავლეთის რაციონალისტური ფილოსოფიისა (ე.ი. რაციოს მაგისტრალი). ეს უკანასკნელი გააზრებული იყო, როგორც კალკულაცია, გამოთვლა და ანგარიში. ამგვარად გაგებული რაციოს პირობებში ადამიანისაგან რჩება მხოლოდ ის, რასაც რობაქიძე ნუმერს უწოდებს (კირკეგორი – რიცხვს).

შესაბამისად, მწერალმა მზერა თავდაპირველ ლოგოსს მიმართა. მაგრამ, მისი აზრით, ლოგოსი – ეს ენგადი დასავლური ყოფნისა და აზრისა – გადაგვარდა, მასში ადამიანი ნუმერად იქცა. აქედან იბადება ნოსტალგია, კაეშანი იმისადმი, რასაც გრიგოლ რობაქიძე გამოხატავს სიტყვით **თაური და**, შესაბამისად, **თაურმდგენი**. ამ უკანასკნელს იგი **პრინციპის** ქართულ შესატყვისად ხმარობს. თაურმდგენი ცალკეულში ცოცხლობს, თავის მხრივ, ის არცერთი ცალკეული არ არის.

აქედან გამომდინარეობს მწერლის დამოკიდებულება მითისადმი, რომელიც მისთვის ყოფნის უმთავრესი სფეროა. "იგი ამ საკითხშიც უპირისპირდება დასავლური აზროვნების მაგისტრალს. სადაც მთავარი მოტივი მითიდან გამოსვლაა" (კრებული 2011: 17). სინამდვილე მოჯადოებულია მითით და აუცილებელია, მას ჯადო აეხსნას (თეოდორ ადორნო, მაქს ჰორკჰაიმერი). მითთან დაბრუნება რობაქიძისათვის ნიშნავს **კარდუსთან** დაბრუნებას, რომელიც არის ქართველთა თაურმდგენი. მწერლისათვის მიუღებელია უავტორო მითი. მას ჰყავს ავტორი: კარდუ, ანუ ქართველი ხალხი, როგორც კრებსითი პირი. მითი მოცემულია ენაში, ენის ავტორი კი ერის სულია.

დასავლური აზროვნების მაგისტრალს რობაქიძე სინამდვილის დესაკრალიზაციისადმი (სიწმინდისაგან დაცლა) დამოკიდებულებითაც დაუპირისპირდა. წმინდა არის ის, რაც სამყაროს

კრავს (კრეგული 2011: 20), ხოლო რაც მას ანაწევრებს, არის არაწმინდა (ჰაიდეგერი: დასავლურ სამყაროს აკლია ღმერთი). დერიდა მიიჩნევს, რომ თანამედროვე თეატრის სცენიდან გაძევებულია ღმერთი, თეატრალური სივრცე დესაკრალიზებულია – სცენაზე აღარაა ლოგოსი, არ არსებობს ავტორი, როგორც ტექსტის შემოქმედი, რომელიც მის გარეთაა. წინა პლანზე მოიწევს და სცენას იპყრობს უავტორო ტექსტები, ტექსტები-მირაჟები. თანამედროვე ხელოვნება კარგავს საკრალური ერთობის გრძნობას. საგანი, ნივთი აქ იქცა მირაჟად. მის ნაცვლად რჩება გეომეტრიული პროექცია, სივრცისა და დროის გაშლილი ფორმა (იქვე, 21).

გრიგოლ რობაქიძის შეხედულებით, დასავლურ აზროვნებაში წარმოსახვას უპირისპირდება გონება, როგორც რაციო. მწერალი ერთმანეთთან აიგივებს ფანტაზიასა და მოგონებას. ეს თვალსაზრისი უკავშირდება მარადიული დაბრუნების იდეას (კრეგული 2011: 22), რომლის მიხედვით, პიროვნება კი არ უბრუნდება თავის თავს, არამედ მარადიულობა უბრუნდება საკუთარ თავს პიროვნებაში. ფანტაზია, წარმოსახვა მარადიულობიდან მოდის და, ამდენად, მარადიულობაშივე ბრუნდება. ეს მოვლენა კი ენაში ხდება. სწორედ სიტყვაში შეხვდება ადამიანი იმას, რასაც თანამედროვე ფილოსოფიაში აბსოლუტურ სხვას უწოდებენ. ეს უკანასკნელი არის ღმერთის მეტაფიზიკური სახელი. სიტყვა-ლოგოსი პირველი მნიშვნელობით არის ღმერთი. ცნობილია, რომ რობაქიძეს გამორჩეულად უყვარდა იოანეს სახარება, შესაბამისად, სიტყვა მისთვისაც ღმერთია.

თავის ესთეტიკურ, პოეტოლოგიურ კონცეფციას და ფილოსოფიურ მსოფლხედვას გრიგოლ რობაქიძე გოეთეს ურფენომენის (პირველფენომენი, პირველმოვლენა) მოძღვრებაზე აფუძნებს. "გოეთე ჩემთვის გამოცხადება იყო.. გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა" (რობაქიძე 2012: 230), – შენიშნავდა "ჩემს ცხოვრებაში" მწერალი. კ. ბრეგაძის დაკვირვებით, გოეთეს ურფენომენის მოძღვრება გრიგოლ რობაქიძესთან ვლინდება შემდეგი ფორმებით: 1. როგორც მისი ფილოსოფიურ-ონტოლოგიური მსოფლხედვის საზრისი; 2. როგორც შემოქმედებითი მეთოდი (მითოსურ-სიმბოლური თხზვის წესი); 3. როგორც საკუთარი მხატვრული ტექსტების პოეტური ნარატივი, მხატვრული რიტორიკა, სიმბოლთქმა, კომპოზიციის ბაზისი (კრეგული 2011: 61).

"ჩემს ცხოვრებაში" მწერალი ასახელებს მისი შემოქმედების შთაგონების წყაროებს: 1. ნიცშეს, თუმცა მისი ზეკაცის იდეა, რომელიც "ზარატუსტრაშია" გაშლილი, რობაქიძეს განსაკუთრებით დამაჯერებლად არ მოსჩვენებია. 2. დიონისურ ფენომენს ("ტრაგედიის დაბადება") და, განსაკუთრებით, მარადიული დაბრუნების იდეას, რომლის საბოლოოდ გაგებაში მწერალს აღმოსავლური სამყარო დახმარებია. ევროპაში მწერალი გერმანულ მუსიკასა და ფრანგულ კათედრალებს განუცვიფრებია. ბოდლერი და რემბო, ფლობერი და სტენდალი ის მწერლებია, რომელთა გავლენა გრიგოლ რობაქიძეზე დიდი ყოფილა. ფრანგული გენია მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ხელოვნების ფილოსოფიისა და შემოქმედების ონტოლოგიურ პრობლემებზე წერდა მრავალი ცნობილი ავტორი (ი. ტენი, გ. ზიმელი, მ. ჰაიდეგერი). 1910-იან წლებში სწორედ ამ თემატიკაზე შემდგარა პოლემიკა გრიგოლ რობაქიძესა და შალვა ნუცუბიძეს შორის. დავის საბაბი გახდა 1912 წლის 10 ივნისს ქუთაისის თეატრში წაკითხული რობაქიძის ლექცია "ხელოვნება და სინამდვილე". აქ ფილოსოფიური განსჯის საგანი გახლდათ მშვენიერების ესთეტიკური კატეგორია, ინტუიციის როლი ხელოვნებაში, ხელოვნების ემპირიულ სინამდვილესთან მიმართების პრობლემა, ხელოვნების საგნის გაგება, ხელოვნების ფუნქცია. ლექციაში განხილული იყო ტრაგედიის თემა, "სხვადქცევის" ფენომენი, სინამდვილის ფილოსოფიური კატეგორია და ა.შ.

1911 წელს "სახალხო გაზეთის" ფურცლებზე დისკუსია გაიმართა გრიგოლ რობაქიძესა და დავით კასრაძეს შორის, რომელიც ნიცშეს რეცეფციის ისტორიის ერთ ასპექტს ეხებოდა. კამათის საგანი გახლდათ რობაქიძის მიერ 1911 წელს წაკითხული ლექცია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ. მომხსენებლისაგან განსხვავებით, რომლის აზრით, დარვინის

კონცეფციას ნიცშესთან მეორეხარისხოვანი როლი უკავია, დავით კასრაძე მიუთითებდა, რომ დარვინიზმი ფრიდრიხ ნიცშეს გვიანდელი მოძღვრების ქვაკუთხედია (იქვე, 48).

ხელოვნებისა და სინამდვილის მიმართებაზე გრიგოლ რობაქიძე არაერთხელ დაფიქრებულა. "ხელოვნება – ეს მხოლოდ "ნიშანია", სიმბოლო სხვა, მაგრამ ჭეშმარიტი სინამდვილისა" – წერდა იგი 1910 წელს ესეში "ფიქრები ტოლსტოიზე". წერილში "შემოქმედი და გარემო" (1909) ვკითხულობთ; "შემოქმედი ორგანიულად შედის მსოფლიოში და მის გარემოში შლის თავის ინდივიდუალობას.. ადამიანის სიტყვა სხეულებაა მსოფლიოს შეცნობისა". აქ დროსთან მიმართებაც განსაკუთრებულია: "შემოქმედი ისტორიულ საზღვრებშია მომწყვდეული, მაგრამ იგი გადალახავს საზღვარს და ერთვის უსაზღვროებას".

შემეცნების პროცესში გამორჩეული როლი აქვს წარმოსახვას, რომელიც, თავის მხრივ, სიმბოლოს ბადებს. "სიმბოლო იდეის სხეულია.. შემოქმედი წარმავალს იღებს, მაგრამ არა როგორც შემთხვევითს, არამედ როგორც სიმბოლიურ სინამდვილეს და ამ სინამდვილეში იგი სახავს "იდეალურად – აუცილებელს". ავტორს აქ ერთგვარი დემიურგის როლიც ეკისრება: "შემოქმედი ქმნის წარმავალსა სიმბოლიურ სინამდვილედ, – და მით იგი დროის საზღვრებს სცილდება და უახლოვდება მსოფლიო მარადისობას და რამდენადაც ნიჭიერია იგი, იმდენად უფრო ყოვლისმომცველია მისი ბუნება".

განსხვავებულად აღიქვამს მწერალი თვით ავტორის მისიას: "ჩვენ ველით შემოქმედს, მაგრამ სხვაგვარ შემოქმედს. იგი ხელოვანი არ არის მარტო. იგი წინასწარმეტყველიცაა!" ნარკვევში "ოსკარ უაილდ" (1913) ეს თეზა უფრო დაზუსტებულია უაილდის სიტყვებით: "ყოველი ქმნილება ხელოვნებისა აღსრულებაა წინასწარმეტყველებისა, რადგან ყოველი ქმნილება ხელოვნების "აზრთა სახედ გარდაქმნაა". ამავე თხზულებაში სიმბოლოს არსი ამგვარადაა ახსნილი: "სიმბოლო ფრიად ღრმა და საგულისხმო მოვლენაა, – და ვინც მის იდუმალს აზრს მისწვდება, იგი ნახევრად მაინც ახდის ყოფის საიდუმლოებას ზეწარს".

შესაბამისად, გრიგოლ რობაქიძის, როგორც მწერლის, შემოქმედებითი მეთოდი მისივე მრწამსიდან მომდინარეობს: "ჩემი წმინდად მხატვრული ხასიათის ამოცანა იყო შემოქმედებითი ჩამოყალიბება ქართული აღმოსავლეთის სიღრმისეული წვდომისა, – ევროპული სიმბოლიზმის ტექნიკით, ამ სიტყვას თავისებური აზრით ვიღებ", – წერდა ის 1918 წელს რუსულენოვან ჟურნალ "□ღშ"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში "ქართული მოდერნიზმი"." იქვე მითითებულია: "ჩემი შემოქმედებითი გზა, – პოეტური სიტყვის სფეროსა თუ ესთეტიკური ცდების სფეროში, – აღინიშნებოდა ევროპაში ჩამოყალიბებული და რუსეთში გართულებული სიმბოლური მსოფლაღქმის შემოქმედებითი შემოტანით **ქართველი** ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში".

"სიმბოლოს", "მითოსს", "მარად მყოფადს" მწერალი საკუთარი შემოქმედების მასაზრდოებელ "ცეცხლად", სიცოცხლის წყაროდ თვლის: "ამ ცეცხლით რომ არ ვიწვოდე, მაშინ ჩემი შემოქმედება "უცეცხლო" იქნებოდა, და, როგორც ასეთი, "უნაყოფოც" (რობაქიძე 1996: 88-89).

1949 წლით დათარიღებულ საპროგრამო წერილში "სათავენი ჩემი შემოქმედებისა" გრიგოლ რობაქიძე ერთმანეთს უკავშირებს სიტყვებს: ცეცხლი, სიცეცხლე, სიცოცხლე. იმავე თხზულებაში ხაზგასმულია: "მითიური", მითოსი კოსმიური ამბავია – კოსმიური და არა "ისტორიული". მწერალი იმოწმებს სალუსტიუსის ფრთიან ფრაზას ატისის მითოსზე: "ეს არ ყოფილა, ხოლო არის ყოველთვის". მსგავს აზრს ხედავს რობაქიძე ქართული ზღაპრის დასაწყისში: "იყო და არა იყო რა", რომელსაც ასე ხსნის: "არ ყოფილი, ხოლო მუდამ მყოფი". მისი თქმით, ეს მარადი მყოფადია. "აქ წარსული და მომავალი ერთიდაიგივეა. გოეთე ადასტურებს სალუსტიუსს. მგოსნისათვის, რაც ხდება, წარსულიცაა და მომავალიც" (იქვე: 84).

გრიგოლ რობაქიძის მრწამსისა და შემოქმედებითი მეთოდის განსაზღვრაში გვეხმარება მის მიერ 1923 წელს რუსულ ენაზე დაწერილი ესე "□რო დომო სუა", სადაც ავტორი მიუთითებს: "მე სიმბოლიზმიდან მოვდივარ. პირველ რიგში, სიმბოლიზმს განვიხილავ, როგორც ფილოსოფიურ მსოფლაღქმას. ის ჩემთვის მისაღებია." თუმცა მწერალი სიმბოლიზმში, როგორც მეთოდში, წინააღმდეგობასაც ხედავს: "აქ კიდევ მეტი გადახრაა. საგნის, როგორც სიმბოლოს, მეტისმეტად დაძაბულ განჭვრეტას ახლავს "სიმბოლოს" სქემატიზირება და "საგნის" მოკვდინება. სიმბოლო

რომ "სხეულად" იქცეს, საგანს თავისი ყოფიერება უნდა ჰქონდეს". რობაქიძე სანიმუშოდ მიიჩნევს დოსტოევსკის, რომელიც ისე კუმშავს და იმგვარად გამოსახავს საგანს, რომ ის თავად ხდება სიმბოლო. "ამას ემყარება ის, რომ მისი რეალობა ყოველთვის ფანტასმაა. **პოეტური სიტყვა – საგნის ასტრალური სხეულია. ეს სხეული გახლავთ სახელი**, რომელიც ძველი ფილოსოფოსის ემპედოკლეს აზრით, ყოველი საგნის საწყისი და ნორმაა. სხვა სიტყვის არქონის გამო მე ამ მეთოდს "ნეორეალისტურს" ვუწოდებ" (რობაქიძე 2014: 413).

ამავე □რო დომო სუა-ში დასახელებულია გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობის ორიენტირები: "მე განვიცადე ნიცშე და განვიცადე დოსტოევსკი. ნიცშემ მე დიონისე მომცა, რომლის გარეშე პოეზიას საერთოდ ვერ გავიაზრებ. დოსტოევსკიმ მე იგივე დიონისე მომცა, მაგრამ მხოლოდ სხვა სახელით, რომლის გარეშეც მე კვლავ ვერავითარი შემოქმედება ვერ წარმომიდგენია" (იქვე).

ავტორის ამ ერთგვარ შემოქმედებით აღსარებაში მისი სხვა სააზროვნო სივრცეები და ორიენტირებიც ილანდება: "ფილოსოფოსებიდან, რომლებიც ჩემთან სულით ახლოს არიან, პლატონი და პლოტინია, გონებით – ლაიბნიცი და ჰეგელი. კანტი თავისი გენიალური სიდიადით მაოცებს. გაშმაგებით მძულს კოგენიანობა. თანამედროვეთაგან ყველაზე მეტად ბერგსონი მიყვარს. მხედართმთავართა შორის ჩემი დიდი სიყვარული – ჰანიბალია: ალბათ, იმიტომ, რომ მეტისმეტად მიყვარს პაპანაქება სიცხე" (იქვე, 558).

გრიგოლ რობაქიძის თეორიული მრწამსი მის ორიგინალურ შემოქმედებაშიც აისახა. ირკვევა, რომ მწერლისათვის უნივერსალური ღირებულება თავისუფლების კონცეპტია. "ადამიანი მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავისუფალია; თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში", – უთქვამს მას. ბუნებრივია, აქ უწინარესად შინაგანი, შემოქმედებითი თავისუფლება იგულისხმება. მართლაც, რობაქიძის მხატვრული დისკურსი სიტყვისა და აზრის, პიროვნების თუ საკუთარი ქვეყნის თავისუფლების აპოლოგიაა.

საბჭოთა "სატანოკრატიის" სივრცეს განრიდებული გრიგოლ რობაქიძე 1931 წლის 7 მაისს შტეფან ცვაიგისადმი გაგზავნილ წერილში მისი ევროპაში ემიგრირების მიზეზებს ხსნის. ამ ტექსტის მიხედვით, ევროპაში გასამგზავრებელი ნებართვის აღებას მწერალი ორი წლის მანძილზე ცდილობდა და ბოლოს ეს მოსკოვში მოახერხა. "რატომ მსურდა ასე სწრაფად გამოვმგზავრებულიყავი ევროპაში?" – თავისსავე კითხვას რობაქიძე ასე პასუხობს: "სრულიადაც არა იმიტომ, რომ სსრკ-დან "გაქცევა" ჩავიფიქრე. თქვენ ჩემი პოზიცია იცით", – მიმართავს ის შტეფან ცვაიგს და დასძენს: "მე მთელი საქართველო მიცნობს, როგორც პატიოსან ადამიანს: ჩემი სიტყვა – ჩემი ხმალია". შესაბამისად, სწორედ ეს შინაგანი პატიოსნება ნებას არ აძლევდა მწერალს, თავისი რწმენის წინააღმდეგ წასულიყო. "მე არ ძალმიძს ვიფიქრო (და შევქმნა) უნიადაგოდ და უფესვებოდ. მაგრამ კავშირში ახლა ითხოვენ მატერიალისტურად და მარქსისტულად თხზვას. მე კი არც მატერიალისტი ვარ და არც მარქსისტი" (რობაქიძე 2012, V: 687). – სწორედ ეს იყო საბჭოურ მენტალობასთან გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობრივი ანტაგონიზმის მთავარი მომენტი.

1927 წლის 9 სექტემბერს გრიგოლ რობაქიძე შტეფან ცვაიგს სწერდა: "ჩემი ესთეტიკური ხაზი იყო (და რჩება) ასეთი: შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ ვერლენი, ვერჰარნი, პოლ კლოდელი, რაინერ მარია რილკე, სტეფან გეორგე, სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, ნიცშე, როზანოვი, მერეჟკოვსკი, ვ. ივანოვი, ალ. ბლოკი, ანდრეი ბელი. თქვენ, როგორც მხატვარი და კრიტიკოსი, გაიგებთ, თუ რა მაქვს მხედველობაში. როგორ გავაგრძელო ეს ხაზი საქართველოში?" (იქვე, 679).

შესაბამისად, სრულიად ნათელია მისი სიტყვების არსი შტეფან ცვაიგისადმი მიწერილი იმავე ბარათიდან: "მე ძალზე მიჭირს ემპირიული რეალიზმის სულისკვეთებით წერა, რადგან ყოველ რეალობაში მე სხვა რეალობას ვხედავ. ეს ჩემი ბედისწერაა. ზოგიერთ პოეტს შეუძლია მატერიალისტურ-მარქსისტულად წერა, იმიტომ, რომ მათ არავითარი მსოფლმხედველობა არა აქვთ.. მაგრამ მე რა მოვუხერხო ჩემს ვიზიონერულ-რეალისტურ მსოფლმხედველობას?

მოსკოვსა და თბილისში მე მიცნობენ, როგორც მწერალს და პატიოსან ადამიანს. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ იდეოლოგიურად მე მათთვის მიუღებელი ვარ".

1932 წლის 9 სექტემბერს შტეფან ცვაიგისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიაში მყოფ გრიგოლ რობაქიძეს მიუღია ტელეგრამა საუკეთესო მეგობრებისაგან, რომლებიც მის ბინასთან დაკავშირებით მწერალს თბილისში დაბრუნებას თხოვდნენ. "არ არის სასაცილო? მათ, ჩემმა მეგობრებმა, კარგად იციან, რომ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა ევროპაში ჩემთვის ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბინასთან დაკავშირებული პრობლემა".

იმავე წერილის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოდან მეორე შეტყობინებაც გამოუგზავნიათ. "ჯერ კიდევ გუშინ ღია ბარათი მივიღე დისაგან. მწერს, რომ ავადაა დედაჩემი, მაგრამ ჩემ მაგიერ საქართველოში ჩემს მეუღლეს იხმობენ." მწერალი საქართველოში დაბრუნებას გამორიცხავს: "თუ ახლა დავბრუნდები, ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა აქ მთლიანად შეწყდება – იქიდან მოქმედება შეუძლებელია. დღევანდელ საქართველოში მე წერა არ შემიძლია. მე არც მატერიალისტი ვარ და არც მარქსისტი და ხელოვნების ამოცანა სრულიად სხვაგვარად მესმის".

თავისი მწერლური მისია გრიგოლ რობაქიძეს სხვაგვარად ესახება: "შესაძლოა, არც ისე დიდი ხნის სიცოცხლე დამრჩა და მე მსურს, კაცობრიობას ვემსახურო, მივყვები რა ჩემს შინაგან, მაგრამ გაბედულ გრძნობას". საკუთარ შემოქმედებას მწერალი ასე აფასებს: "ჩემს ნაწარმოებებს – გავბედავ ვთქვა – მე აღვიქვამ, როგორც საკულტო ცხოველებს, მარადიულის წამებს შეწირულთ. ამით მე ბევრ სულს დავეხმარე: აქაც კი, გერმანიაში, უძნელეს პირობებშიც კი", – ვკითხულობთ შტეფან ცვაიგისადმი მიწერილ იმავე ეპისტოლეში.

გრიგოლ რობაქიძის ვრცელი პუბლიცისტური, ესეისტური მემკვიდრეობა, ეპისტოლური ტექსტები მკვლევრებსა და ანალიტიკოსებს ფასდაუდებელ მასალას აწვდის არა მარტო თვით მოდერნისტი მწერლის შემოქმედების, არამედ, ზოგადად, ფილოსოფიური თუ ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული ახსნისა და გააზრებისათვის.

დამოწმებანი:

1. ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ. ქართული მოდერნიზმი. თბილისი: "მერიდიანი", 2013.
2. კრებული 2011: გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება. თბილისი: 2011.
3. რობაქიძე 2014: რობაქიძე გრ. ომი და კულტურა (რუსულიდან თარგმნეს მანანა კვატაიამ და ნათია ორმოცაძემ). თბილისი: "არტანუჯი", 2014.
4. რობაქიძე 2012, V: რობაქიძე გრ. ნაწერები, წ. V (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლალი ცომაიამ). თბილისი: "ლიტერატურის მუზეუმი", 2012.
5. რობაქიძე 2012: გრიგოლ რობაქიძე (1882-1962). თბილისი: "საოჯახო ბიბლიოთეკა", 2012.
6. რობაქიძე 1996: რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი: "ჯეკ-სერვისი", 1996.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-34-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

მარაბდის მოვლენების განხილვა

მარაბდის სევდა ისევ მარადისობს

მარაბდელების ომით დაქანცული სიცოცხლე შთანთქა და შეჭამა მათივე სისხლით გაჟღენთილმა მიწამ. აქ, მარაბდის მიწაში, წვანან მარაბდელები, ოდესღაც მიწაზე ზემოდან მოსიარულენი, შრომითა და ჯაფით დაღლილები, ახლა კი წინდაუხედავობით განწირულნი, სამარეებიდან მდუმარედ ამომყურენი. მტრის ხმალ-შუბით გაწყვეტილ დახოცილები, მათ გულებზედ დაყრილი მიწიდან ყაყაჩოებს ფესვი გამოუდგამთ და ყოველ ზაფხულს წითლად ელვარებენ. ეჰა, თურმე სიკვდილსაც ყვავილები ჰყვარებია. მარაბდის ომში დაღუპულ მეომართა უმხედრეზო ცხენთა ჭიხვინი ისევ მოისმის მარაბდის ველიდან, რადგანაც ომით დაღლილმა და დაღამებულმა მარაბდამ თავის მიწაზე დაინთო თავისი შვილების გარდაცვლილი სიცოცხლე და რომლისგანაც სულ მუდამ უძინარი იქნება ქართული სული.

ის ხმაურიანი მგრგვინავი ომები, რაც ქართლის ცხოვრებაშია აღწერილი, მათი უდიდესი ნაწილი მოგებულ ბრძოლებადაა ცნობილი, მაგრამ გულხელდაკრეფილი უგულობა ხშირად იყო ქართველთაგან ომის წაგების მიზეზი, და მტერთა გახარებისათვის შექმნილი სასურველი პირობა. ასეთი სამწუხარო მოვლენების საფუძვლებზე სავსეა დედათა გოდებიდან ნადინარი ცრემლით ქართლის ცხოვრება. რის გამოც საქართველოს სულ სტკიოდა დედური გული. მტერთა შემოსევებით და ომებით ქართულ ცასა და მიწას ცეცხლი ეკიდა და ღვთის ნებით ყოველთვის იძებნებოდა ძალა, ვისი მეშვეობითაც ქვეყნის გადარჩენა ხერხდებოდა და ერის დამწუხრებულ გულსა და სულს სალბუნად ედებოდა.

დასაბამიდან ომებით დაღლილი დღეები გოდებენ. ადამიანთა ურთიერთდაუნდობლობას, რისგანაც მსოფლიო საომარ ისტორიებს დედამიწა მკვდრებით აუვსია, სამწუხაროდ, ომები საუკუნებად ისევ დაჰქრიან ადამიანთა ნაშენ-ნაამაგარზე და ხალხთა ისტორიებში მოუშუშებელ ჭრილობებად რჩებიან.

მარაბდის ომის შინაარსი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ყველა იმ ომებს შორის, რაც ქართველ ერს ისტორიულ წარსულში გადაუხდია, ზოგი მოგებული, ზოგიც წაგებულის სახით, იმ განსაზღვრებით, რომ ეს ომი ორივე შინაარსს ატარებს. შაჰ-აბასს ამდენი რაოდენობის ირანული ჯარი არც ერთხელ არ გამოუგზავნია აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად. ქართველებმა ბრძოლის ველზე შეარყიეს ყიზილბაშური უძლეველობა 14000 ათასი მეომრის განადგურებით. ამდენად, მარაბდის ომი ჩვენთვის გამარჯვებულ ომად მიგვაჩნია. დამარცხება კი იმ 9000 ათასი ქართველის სიკვდილში იმალება. ჩვენი მიზანია, კითხვებად დავალაგოთ მარაბდის ომის მოვლენები:

1. რა შედეგი გამოიღო სააკაძის საომარი გეგმის უარყოფამ, როდესაც მიღებული იქნა ომში თეიმურაზის სარდლობა, რაც ითვალისწინებდა დაბლა ვაკეზე ჩასვლას და მტრისთვის დილაუთენია ბრძოლის გამართვას, 20000 ათასიანი ქართველი მეომრით მტრის 50000 ათასიან მეომართან.

2. როგორი მისია შესრულდა ქართველთა სარდლობიდან მარაბდის ომში.

3. რა იყო ძირითადი მიზეზები 9000 ათასი ქართველი მეომრის განადგურებისა.

4. რა მოვლენები განვითარდა მარაბდის ომის შემდეგ სააკაძის მიერ გამართულ საბრძოლო მოქმედებებში.

5. მარაბდის ომში ისა-ხან-ყორჩიბაშის 50000 ათასიანი ლაშქარი და შემდეგ მიმატებული შაჰ-ბენდე-ხანის 10000 ათასი მეომარი იბრძოდა. დაეღუპათ 14000 ათასი, ცოცხლად დარჩათ 46000 ათასი, უეჭველად, დაჭრილებიც იქნებოდნენ სავარაუდოდ 6000 ათასი მეომრის სახით, სულჯან-

რთელნი, ისევე საომრად მზად მყოფნი – დაახლოებით 40000 ათასი ყიზილბაშის სახით მაინც დარჩებოდა.

6. მარაბდის ომშივე ქართველთა 20000 ათასიანი ჯარიდან ბრძოლაში დაიღუპა 9000 ათასი კაცი, ცოცხლად გადარჩა 11000 ათასი, სავარაუდოდ დაიჭრა 3000 ათასი კაცი, ჯანმრთელად გადარჩებოდა სავარაუდოდ 8000 ათასი კაცი.

მათი მეომრული შემართება და შედეგები შემდეგ გ. სააკაძის მიერ გაგრძელებულ პარტიზანულ მოქმედებებში რა ღირსებებად დაიდო ქართველი ერის წინაშე.

ამ ორი მეომარი მხარის სისხლის ღვრამ მარაბდის ველზე 23000 ათასი მეომრის სიცოცხლე შეიწირა. ქართველთა 9000 ათასმა მეომარმა შეიწირა 14000 ათასი ყიზილბაში. ამ თანაფარდობით ჩანს, თუ როგორი მედგარი დარტყმა მიუყენებიათ ქართველებს ყიზილბაშებისთვის. მიუხედავად ქართველთა შორის ორ მხარეობამ, ყველამ ღირსეულად იბრძოლა, თავი არავის დაუზოგია, იღვრებოდა ქართველთა შეუცოდავი სისხლი, გაწყდა 9000 ათასი მეომარი, თან ქართულ ცნობიერებაში გაჩნდა ბზარი, სარდლობის ნაკლებად შეუფერებლობისა მათი უნიათობისა და არასანდოობისა. სად 20000 ათასი მეომრისაგან 9000 ათასის დაკარგვა და სად 60000 ათასი მეომრიდან 14000 ათასის დაკარგვა. განა მტერს რამდენი ხნითღა შეეძლოთ საომარ ველზე უმოქმედოდ დგომა. ისინი ხომ დაიწყებდნენ სიჩქარით თუ არა, ნელ მოქმედებებს შაჰ-აბასისაგან დაკისრებული გეგმების აღსრულებისათვის.

საომარ წარმატებას სააკაძე მარტყოფში ელვისებური იერიშით აღწევს, ქართველ ხალხთან ერთად. იქ მარაბდაში კი საბრძოლო ტაქტიკა შეცვლილი აქვს მტრის დიდი რაოდენობის მხრივ და შეტყუებით და ნაწილ-ნაწილ მათი განადგურების მოსურნეა. ამ კუთხიდანაც ნათლად ჩანს მისი საომარი და სარდლური ალღო, მაგრამ უმეცრებით გადადგმული ნაბიჯით ცუდი მოსახდენი მოხდა. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ ასეთ გააფთრებულ სისხლთა ჩქეფაში გადარჩენილი 11000 ათასი ქართველთაგან იქნებოდნენ მძიმედ დაჭრილები, საშუალოდ მძიმედ დაჭრილები და მსუბუქად დაჭრილები. განა შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ მძიმედ დაჭრილები ან საშუალოდ მძიმედ დაჭრილები იმ 9000 ათას დაღუპულ ქართველებში მიეთვალათ, ან კიდევ გადარჩენილ 11000 ათას ქართველთაგან ყველა საღ-სალამათი დარჩებოდა? როდესაც გაფიცხებულ ომში 60000 ათასი ყიზილბაშის წინააღმდეგ 20000 ათასი ქართველი მეომარი იბრძვის, აქედან 9000 ათასი ქართველი 14000 ათას ირანელს ანადგურებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მტრის მხარეზე უფრო მეტი დაჭრილი იქნებოდა. და თუ ირანული ჯარი, მარაბდის ომის დამთავრების ხანს ცოცხლები 46000 ათასი მეომარი დარჩებოდა და გავითვალისწინებთ ქართველთა მედგარ შეტევას მათ წინააღმდეგ და მძიმედ დაჭრილებსა და საშუალოდ მძიმედ დაჭრილებს გამოვაკლებთ, რომელნიც მათი მდგომარეობის გამო ბრძოლებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. შემდგომში, სავარაუდოდ, ისა-ხან-ყორჩიბაშის ჯარი ქართველთა წინააღმდეგ 40000 ათასამდის მაინც დარჩებოდა. ასეთივე მდგომარეობა შეიქნებოდა ქართველთა მხარეზეც. სააკაძისაგან გაგრძელებულ თარეშულ ომებში, ცხადია, მძიმედ დაჭრილნი და საშუალოდ მძიმედ დაჭრილნი ვეღარ მიიღებდნენ მონაწილეობას. მათ პირველ რიგში მკურნალობა დასჭირდებოდათ. აქედან გამომდინარე, დროებით საომარ წყობას გამოეთიშებოდნენ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ასეთი რეალობები უთუოდ შეიქმნებოდა იმ დროს. მაგრამ შაჰისაგან შემოზვავებული ირანული ჯარები საქართველოში ისევ მრავლად იყვნენ, რომელნიც უმოქმედოდ ვერ გაჩერდებოდნენ.

სოფელ ლისთან გამართული ბრძოლა ერთ-ერთი სამაგალითო ნიშანია, წარმომჩენია, სააკაძის საომარი ალღოსი. იგი თბილისთან დაშორებულია და სულაც არ არის მაღალ მთიანი, როგორც ქსნის ხეობა, სადაც მტრის განადგურების მეტ შანსს იძლევა. სოფელი ლისი, წოდორეთი და თხილვანა, მისი შემოგარენი დაბალტყიანი და დაბალმთიანია. რომლის მსგავსია კოჯორ-ტაბახმელას შემოგარენი, სადაც მარაბდის ომის დაწყებამდის ქართველთა 20000 ათასიანი ჯარი იდგა. მარაბდის ომის დასასრულიდან სულ მოკლე დროში სააკაძე 60 კაცით 700 ირანელს ანადგურებს, მან ხომ წარმოაჩინა და დაადასტურა ომის დაწყებამდე სათათბიროდ წამოყენებული თავისი გეგმა: შეტყუებითი ხერხებით მტრის ნაწილ-ნაწილ მოსპობა. რაც ქართველი ხალხისათვის თვალსაჩინო გახდა, თუ როგორ მოახერხა ყოველივე ეს. სოფელ ლისთან მტრის განადგურება უმალ გავრცელდებოდა ხალხში და მათ გონება-რწმენაში იმედი დაისადგურებდა. ხალხის თვალსა და გულს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სააკაძისგან მათ მიმართ მფარველობა. ჯარზე, მათ ჯანმრთელობა-სიცოცხლეზე, რომელნიც ესოდენ საჭირონი იყვნენ და საჭირო იყო მათი არსებობა ქვეყნიდან მტრის მოსაცილებლად. სააკაძისაგან ასეთი დამოკიდებულება ხალხზე მიგვანიშნებს მის კაცთმოყვარეობაზე, ქვეყნისათვის სასიცოცხლო რესურსების გაფრთხილებაზე მიგვანიშნებს დიდ პასუხისმგებლობას თავის სისხლისა და

მოდგმის მიმართ. ამის გამო მას ენდობოდნენ თავის თანამოძმენი, მიჰყვებოდნენ ყველა ფიცხელ შეტაკებებში, ყველანაირ გასაჭირში, იცოდნენ, სულით გრძნობდნენ რომ სააკაძე მათ არასოდეს მიატოვებდა და ჰარი-ჰარალოზე არ დააგდებდა, მათ სიცოცხლეს უბრალოდ არ გასწირავდა. რომელთა მხრებზეც და სისხლზეც გადადიოდა, ისტორიული წარსულის ავი ომები. დაბალი ფენები გულის თვალით ხედავდნენ, რომ სააკაძე მათზე ზრუნავდა, თავისი წარმოშობის ყოფიდანაც გამომდინარე და ცდილობდნენ სამაგიეროდ მისთვის სული არ დაეშურათ, მათ ხომ ნახეს სულ სამიოდე თვის წინ მომხდარი მარტყოფის გამარჯვების სიტკბო, ხომ ხარობდა მათი სული თუნდაც იმის გამოც რომ ხსენებულ ომში მცირედი ქართველობა დაიღუპა. აკი თვითონ სააკაძე განუმარტავდა მარაბდის წინარე თათბირზე, მისი გეგმის მოპირისპირე მხარეს დაბლა ვაკეზე ჩასვლა და მტერთან ომის გამართვა უიმედოა. ასიცხებაც თავისას იზამს და ქვეითად მყოფი წვრილი გლეხობა ადვილად გაგვინადგურდებაო. ხედავდნენ, კარგადაც ხედავდნენ სისხლოფლმდენი ხალხი მათი გულებისაკენ წამოსულ სააკაძის ზრუნვას ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის და ქსნის ომებში თვალსაჩინოსა და ხილულს. მარაბდის ომში აღმოცენდა ან გამოვლინდა ზრუნვა, ანგარიშის გაწევა, ქართველი მეომრების სიცოცხლეზე? სარდლადმოსურნე თეიმურაზის მხარდამჭერთაგან? მარაბდის ომში ისევ ღმერთის წყალობით იმ 11 ათასი ქართველი მეომრიდან, საშუალოდ, რომ 8000 ათასი მაინც ბრძოლისუნარიანი უნდა ყოფილიყო. თუ ასე არა ქართველ მოსახლეობაში მოიძებნებოდა გზა საბრძოლო რეზერვების შესავსებად, როცა სხვა საშველი აღარ იყო.

„მკლავი დაგვიშრა ხმლის ქნევით გარდაყრითა და ხოცითა,
ხან შევიბმოდი ოცდაათით ხან ცოტას ჯარით ოცითა.“
„დიდ მოურავნი“

დიდი მოურავიდან მოყვანილი მოვლენაც გვეუბნება იმას, თუ როგორ შემცირებულან ქართველები მარაბდის ომში და მრავალი დაჭრილებიც იქნებოდნენ.

აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, რომ მარაბდის ჯერ მოგებული შემდეგ წაგებული ომი, ქართველ მეომართა შორის უარყოფითად იმოქმედებდა, რაც ერთგვარ არასასურველ მოვლენად აისახებოდა მათ ფსიქოლოგიაზე და ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომ მათი შერყეული რწმენა, სიმტკიცე, დამარცხებით გამოწვეული ისევ გაეჯანსაღებინა და ქვეყნისგან მტრის მოცილებაზე ეზრუნათ.

სააკაძეს თავისი მცირე რაზმებით, მსუბუქად დაჭრილი და ზოგით ჯანმრთელით, გადაწყვეტილი აქვს მგლის სიხარბის მქონე 40000 ათასიან ყიზილბაშურ ურდოს წინ აღუდგეს

„და ჩაუხტა გ. სააკაძე მცირედითა კაცითა რიცხვ-მრავალსა მტერსა“
(ქართლის ცხოვრებიდან)

როდესაც იმავე, 1625 წლის აგვისტოს თვეში ქსნის გადამწყვეტი ომისათვის მზადება ხდება, და ვნახავათ თუ როგორი ხერხებით შეიტყუა სააკაძემ ზურაბ ერისთავთან და ხოსრო მირზასთან შეთანხმებით არაგვის ხეობით 12000 ათასი ყიზილბაში, მათ სალიკვიდაციოდ ხომ იყო საჭირო საკმაო საომარი ძალა? სააკაძემ კი 2400 მეომრის შეგროვება შეძლო. რას უნდა გვეუბნებოდეს 12000 ათასიანი ყიზილბაშური ჯარის წინააღმდეგ 2400 კაციანი ქართული ჯარი? პირველ რიგში კი, ალბათ, იმას, რომ მარაბდის ომში დაღუპულ ქართველთა იმ 9000 ათასი კაცის გარდა იქნებოდნენ მძიმედ დაჭრილებიც, რომელთაგან ქსნის ომში მონაწილეობა შეუძლებელი გახდებოდა. შესაძლოა ვიფიქროთ ისიც, რომ თვით სააკაძემ აღარ ჩათვალა საჭიროდ ქსნის ომში მეტი რაოდენობის ჯარის გამოყენება, ვინაიდან მტრის შეტყუებითი ხერხით, ქსნის ვიწროებში 2400 კაცითაც იოლად დაამარცხებდა ყიზილბაშთა ჯარს, რის საფუძველიც ქსნის ომის თადარიგიანი სამზადისი იყო. სააკაძის საომარი გეგმის მიხედვით, ქსნის ომში იკითხება კიდევ ერთი გარემოებაც, მან ზედმიწევნით იცის მტრის რაოდენობა, რომ ისინი ჯერ კიდევ ბევრნი არიან, და ეძებს გზებს, ქართველთა მცირე დანაკარგებით, რომ რაც შეიძლება მტრის მეტი რაოდენობა მოსპოს, რაც სააკაძისაგან ქართველი მეომრების ისევ – სიცოცხლის დაზოგვითაც აიხსნება.

„რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია, მე მტერი შემომკვდომია“
„დიდ მოურავნი“

შემდეგი ვარიანტი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომ რადგან შაჰ-აბასისაგან დაზავების პირობა ძალიან გამოკვეთილი არაა, მაგრამ არსებობდა ქსნის ომამდე, რაც გამოიხატებოდა პარტიზანულ ომებში სააკაძესთან ერთად ნაწილ თავადთა არ მონაწილეობაში და ქართველ დიდებულთა ნაწილი,

თავიანთი ინტერესების გამო, ფარულად მომლოდინე ირანული ზავისა და იფიქრებდნენ შაჰისათვის არ გამხდარიყო ცნობილი სააკაძესთან მათგან თანამონაწილეობა ქსნის ომში. ამის საფუძველზე თავი შეიკავეს და არ გამოუყვეს სააკაძეს დამატებითი ჯარი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ნაწილმა დიდებულებმა დაბეჯითებით იცოდნენ და იცნობდნენ სააკაძის თვისებებს, როგორც მეომრისა და სარდლისა. მარტყოფის ომით გამარჯვებამოპოვებული და მარაბდის ომშიც თავიანთი თვალით მისი შემხედვარედ ირანულ ჯარებს იგი თავს არ დაანებებდა. მარტყოფში 27 ათასიანი და მარაბდაში 14000 ათასიანი მტრის ჯარი განადგურებული იყო, შვილიც შეწირული ჰყავდა, ეს მოვლენა სააკაძისაგან მტრის ბოლომდე განადგურებას ითხოვდა, რახან სააკაძე ბრძოლებში წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, თავადთა ნაწილს გაუჩნდებოდა აზრი იმისა, რომ შაჰი დღეს თუ ხვალ საზავო პირობას წამოაყენებდა და ამის გამო თავიანთ ციხე-დარბაზებში ჩარაზულები მოვლენების განვითარებას ელოდნენ.

მაშინდელ ქართულ მოსახლეობაში დიდი გულისტკივილით აღიქმებოდა მარაბდაში 9000 ათასი ქართველი მეომრის დაკარგვა, მათ ხომ ეყოლებოდათ მშობლები, ცოლები, დანი და ძმანი. მათი გამწარებული სულისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მარაბდის ომის წინამძღოლთა უნიათობა, მით უმეტეს, სულ მოკლე დროში მომხდარი ჯერ ლისის ბრძოლა, სადაც სააკაძისაგან და მისი 60 კაციანი რაზმისაგან 700 ირანელი ნადგურდება, შემდეგ ქსნის ომში, სადაც სააკაძისაგან და მისი მეომრებისაგან 12000 ათასი მტრის ჯარი ნადგურდება, მარაბდის, ლისისა, ქსნის ომისა და სხვა მიყოლებით პარტიზანულად გადახდილი ომებიდან, ხალხის გონება ანალიზს გააკეთებდა, აღმოაჩენდნენ დიდ სხვაობით კონტრასტს, დამტკიცებულს ტაშისკარის ომში, მარტყოფის ომში. სიმპათია, სიყვარული და იმედი სააკაძის მიმართ სამართლიანად გაღრმავდებოდა, პოპულარობასა და დიდ ავტორიტეტს მოიპოვებდა ხალხში. მეორეს მხრივ, აშკარავდებოდა ნაწილ დიდებულთა გულგრილობა, თავიანთსავე თანამემამულეებისადმი. ე.ი რამდენადაც იზრდებოდა სააკაძის ავტორიტეტი მოსახლეობაში, მის პარალელურად ჩრდილი ადგებოდათ ზოგიერთ დიდებულთ, რაც სააკაძესთან დაპირისპირების ნიადაგს ქმნიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ბიბილური

/ჩემი საქართველო არასოდეს დაეცემა/

ჩვენ არაფერი გვჭირს სხვისი სამადლო,საქართველო ღვთივკურთხეული დოოვლათით და ბარაქით სავსე მიწაა,რომ არა ხელისუფლებაში მოსული ზოგიერთი ვირთხები,რომლებმაც მალულად თუ თვალწინ გაგვისხვისეს და გაგვიყიდეს სამშობლო.

ყველას, ვისაც ეამაყება, რომ ქართველია!!!
წადით და სხვებსაც მოუყევით!!!

1. მსოფლიოში 5000-მდე ერია და 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ერი ვართ და სახელმწიფოც გვაქვს.
2. საქართველოში ქრისტეს კვართია
3. მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, დამწერლობა კი სულ 14-ია. აქედან, ერთ-ერთი ქართულია, მეხუთე - სიძველის მიხედვით.
4. ქართული მწერლობა 15 საუკუნეს ითვლის. შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს კლასიკადაა აღიარებული.
5. საქართველო – უძველეს ევროპელთა სამშობლოა, – ზეზვას და მზიას შთამომავლები!
6. საქართველო – ძაფის უძველესი სამშობლოა!

დადასტურებულია, რომ 34 ათასი წლის წინათ, დასავლეთ საქართველოში დაიწნა პირველი ძაფი!

7. საქართველო – ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა!
8. საქართველოს მეტალურგიის სამშობლოდ მიიჩნევენ, აქ აღმოჩენილია უძველესი არტეფა-ქტები. ძველბერძნულ ენაში – პროტოქართველ ხალიბთა (ხალდეველ-ქალდეველთა) ტომის სახელი – „ხალიუფს" ითარგმნება, როგორც -,,რკინა"!
   ანუ სწორედ, პროტოქართული ცივილიზაციიდან გავრცელდა მეტალურგია და რკინის იარაღი ასირიაში, მესოპოტამიასა თუ ძველ საბერძნეთში...
9. შესაძლებელია, საქართველო თაფლის უძველეს სამშობლოდაც აღიარონ! არქეოლოგებმა ბორჯომის მახლობლად აღმოაჩინეს 5,5 ათასი წლის წინანდელი თაფლის ჭურჭელი!ეს კი, 2 ათასი წლით ძველი თაფლია, რომელიც ეგვიპტეში, თვით ტუტანხამონის სამარხშია აღმოჩენილი!

10. ქართული ხალხური სიმღერა 2001 წელს ,,იუნესკომ" კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის შესრულებული ,,ჩაკრულო" ნასაში გაიგზავნა.
11. ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში საუკეთესოდაა მიჩნეული.
12. საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. საქართველოში ექვსასამდე ყურძნის ჯიშია.
    საქართველოში აღმოჩენილია 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი, ყურძნის წიპწებით!
    გაერო-მ (იუნესკო-მ) ქართული ქვევრი და ღვინის წარმოება კაცობრიობის არამატერიალურ მემკვიდრეობად აღიარა!
13. საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა, მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალია და აქედან 14 ქართული ჯიშისაა.
14. ქართული სამზარეულო აღიარებული და გამორჩეულია თავისი მრავალფეროვნებით.
15. საქართველოში 1000-ზე მეტი მინერალური წყალია.
16. საქართველოს გარდა, ძნელად დაასახელებთ ქვეყანას, სადაც უდაბნოც, ტროპიკული ტყეც, ზღვისპირეთიც და თოვლიანი მწვერვალებიც იქნება.
17. დედამიწაზე ნიადაგის 47 სახეობაა და აქედან საქართველოშია - 44
18. საქართველო მსოფლიოში გასტრონომიული ტურიზმის პირველ სამეულშია .

19. ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემამ "ზე ტელეგრაფმა" გამოაქვეყნა რეიტინგი -მსოფლიოს 10 არაჩვეულებრივი ადგილი, რომლის შესახებაც ჯერ არ გსმენიათ(იგი შეადგინეს ცნ. მოგზაურებმა სოფი იბოტსენმა და მაქსომ ლოუვერჰორმა) ქალაქ მეროე(სუდანი) ქ. მუშჰედი (ირანი)ვეფხვების ნაკრძალი კანხა(ინდოეთი), კუნძული სოკოტრა (იემენი) კახეთის რეგიონი(საქართველო).
20. ქართული ჩურჩხელა მსოფლიო ტკბილეულთა ათეულშია (მეშვიდე ადგილზე)
21. თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ძველი, ქართული უნივერსიტეტია ევრაზიის კონტინენტზე.
22. საქართველო უძველეს ცივილიზაციათა სამეულში დასახელდა. ამის შესახებ ინფორმაციას სოვა.ნეწს თჰე თოპ თენს-ზე დაყრდნობით აქვეყნებს.
    პირველ და მეორე ადგილებს საბერძნეთი და ეგვიპტე იყოფენ. ეს რეიტინგი ძველი ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით შეადგინეს.
23. გასულ წელს, თჰე თოპ თენს-ის რეიტინგში საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო სამხედრო მეთაურების სიის სათავეში მოხვდა. ქართველმა მეფემ ალექსანდრე მაკედონელსაც გაუსწრო.
24. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა მე-13 საუკუნით თარიღდება და ის მსოფლიოში სიძველით დანიის შემდეგ მეორეა, ეს მსოფლიო ჰერალდიკის საბჭომ დაამტკიცა.
25. საქართველოში, ფლორისმკვლევარების მიერ დადგენილია 4200 სახეობა, ეს ძალიან მაღალი ციფრია.აქედან 22% ენდემია ანუ ისეთი, მარტო აქ, ამ მიწაზე რომ ხარობს.!
    ასეთია ჩემი მადლიანი საქართველო!!!!!!

* * *

ერთი ძალიან ცუდი ჩვევა გვაქვს ქართველებს, ჩვენზე საბრალოებს დავცინით და ჩვენზე უკეთესებს ძირს ვუთხრით და ვანადგურებთ.

სულ პირველობისთვის ვიბრძვით,საკუთარი თავები ყველაზე კეთილი და კდევამოსილები გვგონია.

ზოგი ტანსაცმლით და ფუფუნებით ცდილობს თავი წარმოაჩინოს,ზოგი უმნიშვნელო მადლს ამზიურებს,რომ ყველამ ტაში დაუკრას,

ზოგი თავისი დაკუნთული მხარბეჭით ეჭიდება პირველობას და ასე მოდის თაობიდან-თაობამდე ჩვენდა სამწუხაროდ.

არა და არავინ არ ფიქრობს რისთვის მოგვავლინა უფალმა ,ამა სოფლად.

ეს წუთისოფელი გამოცდაა, იმ ღვთისკურთხეულ მარადიული სასუფევლისა, სადაც ყველა გადავინაცვლებთ ერთ დროს, სადაც არც ცხრა დიპლომი ჭრის, არც ოქრო ვერცხლი,არც დაკუნ-თული მხარბეჭი და არც დიდებისათვის გაკეთებული ფორმალური მადლი,რამოდენიმე დღის წინ ერთ გადაცემას მოვუსმინე,პირველი ქართველი, რომელსაც გული გადაუნერგეს, რომელსაც უამრავი კეთილი ადამიანი დაეხმარა, მაგრამ გული მომილბო მისმა ერთმა სიტყვამ ,სადაც ამბობს რომ პირველი თანხა,რომელიც მის დასახმარებლად გადაირიცხა ერთი ლარი იყო.

--ვინ იცის,როგორ უჭირდა თვითონ,რომ მე ერთი ლარი გადმომირიცხა?!-ო.

მაგრამ იმედი მომეცა,რომ არსებობდნენ კეთილი ადამიანებიო.

ყველამ ვაკეთოთ სიკეთე ადამიანებო,შევაქოთ მოვეფერეოთ ერთმანეთს და შევიყვარეოთ ერთმანეთი ქრისტეში!

დავივიწყოთ ამქვეყნიური,უკუდო ამპარტავნობები და ერთად ერთიანი ძალისევით გადავარ-ჩინოთ ერთმანეთის ცოდვიანი სულები,რადგან ამ ცხოვრებაში უცოდველი არავინ არა ვართ!

მოგვიტევოს,

შეგვინდოს და დაგვლოცოს უფალმა!!!!

პატივისცემით:მარი-მზევინარი ბიბილური.

ეს ჩვენი უახლესი გმირია



არჩილ ტატუნაშვილს ცხინვალის ციხეში სამაჩაბლოს რუკა მიუტანეს და უთხრეს, თქვი, რომ ეს ოსეთიაო.
თავი ასწია და თქვა - ვერასოდეს იქნება ოსეთი, ეს საქართველოა!
მერე ურტყეს წიხლებით, იარაღებით, აწამეს.
ღონემიხდილს საქართველოს დროშა დაუგდეს და ფეხით შედექი და გადარჩებიო.
ამაზე თანხმობას სიკვდილი ერჩია.
გმირები უძლებენ ტკივილებს.
გმირები კვდებიან სამშობლოსთვის
ასეთი გმირებით მოვედით დღემდე.

ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი

ქეთევან ცაბაძე
სასწავლო ცენტრი
უნიკუმი

ფინანსური მენეჯმენტის სპეციფიკა კომერციულ ბანკებში

ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს ფულადი პროდუქტის მოძრაობის, მისი კონკრეტული ბანკის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში ფორმირებისა და განთავსების მართვას. ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებებია:

- საბანკო პოლიტიკის შემუშავება ბანკის საქმიანობის ცალკეული სფეროს კონკრეტიზაციით (დეპოზიტები, კრედიტები, ინვესტიციები, მომსახურებები და ა.შ.);
- საბანკო მარკეტინგი;
- ბანკის აქტივებისა და პასივების მართვა;
- ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის მართვა;
- საკუთარი კაპიტალის მართვა;
- საკრედიტო პორტფელის მართვა;
- საბანკო რისკების მართვა (რისკმენეჯმენტი).

ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებას წარმოადგენს ერთიანი საბანკო სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკური პროცესების მართვისა და საბანკო პროცედურების ორგანიზაციის ერთგვაროვანი ტექნოლოგიების არარსებობა. კონკურენციის პირობებში ფულად ბაზარზე ბანკი ქცევის საკუთარ წესებს გამოიმუშავებს. მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური სიტუაცია საბანკო საქმის გაძღოლის კორექტირებას და ჩამოყალიბებული ხერხების გაუმჯობესებას მოითხოვს.

ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის ობიექტს კომერციულ ბანკში ბანკის ფინანსური ოპერაციების კვლევის პროცესები და საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების ნაკადების მართვა წარმოადგენს.

ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის საგანი მდგომარეობს:

- რაციონალური დაგეგმვის სისტემებისა და მეთოდიკების შემუშავებასა და გამოყენებაში;
- ფინანსური ოპერაციების რეალიზაციაში (ფულადი სახსრების მოზიდვისა და განთავსების პროცესები).

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მიზანია ბანკის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვისა და რეალიზაციის, დასახული პარამეტრების ფარგლებში მათი მდგრადობის მხარდამჭერის უზრუნველმყოფელი ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების მუშაობის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურებისა და რეჟიმების აგების რაციონალური მოთხოვნებისა და მეთოდური საფუძვლების განსაზღვრა, რომლებიც კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნების პირობებისას საკუთარი კაპიტალის (აქციონერული კაპიტალის) და/ან ნაზარდის შექმნისკენაა მიმართული.

კომერციულ ბანკებში ფინანსური მენეჯმენტი, როგორც მართვის ნებისმიერი სისტემა, ორი ქვესისტემისგან შედგება:

- მართვადის, ანუ მართვის ობიექტისგან;
- მმართველის, ანუ მართვის სუბიექტისგან.

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მართვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ფულადი სახსრები, რომლებიც ფინანსური ოპერაციების მეშვეობით კომერციული ბანკის საქმიან ბრუნვაში იმყოფებიან.

კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მართვის სუბიექტს წარმოადგენს უმაღლესი ხელმძღვანელობა, მართვის აპარატი, ბანკის პერსონალი, რომლებიც მმართველობითი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით ობიექტის მიზანმიმართულ ფუნქციონირებას ახორციელებენ.

მართვის ობიექტი საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების მოძრაობას გაფორმებული გარიგებების (ხელშეკრულებების) შესაბამისად ახორციელებენ. აღნიშნული პროცესის სამართლებრივი მხარე უშუალოდ მართვის სუბიექტის კომერციული ბანკის, როგორც იურიდიული პირის მეშვეობით ხორციელდება. პროცესის ეკონომიკური მხარე ფინანსურ ოპერაციებზე (საბანკო პროდუქტებზე, ოპერაციებზე, მომსახურებაზე) არის დაფუძნებული, რომლებიც მართვის ობიექტის მოთხოვნებს პასუხობენ. ფინანსური მენეჯმენტის პროცესში, ობიექტის შესაბამისად, მისი საქმიანობის საგანი და მიზანი, საბანკო კლიენტურის ფულადი ნაკადები ბანკის ფინანსურ ოპერაციებში კონცენტრირდებიან და აღნიშნულის ხარჯზე ბანკის კაპიტალის ნაზარდის უზრუნველმყოფელი დამატებული ღირებულება იქმნება.

ამრიგად, საბანკო მენეჯმენტის შინაარსის ქვეშ ბანკის მართვა გაიგება, რომელიც მენეჯმენტის კლასიკური ინსტრუმენტების დაგეგმვის, ანალიზის, რეგულირების, კონტროლის გამოყენებით უმაღლესი ეკონომიკური შედეგების მიღების ოპტიმალური ხერხის შერჩევისაკენაა მიმართული. თავის მხრივ, „საბანკო მენეჯმენტის სფერო“ დაიყოფა ორ ბლოკად - ფინანსური მენეჯმენტი და პერსონალის მართვა. ფინანსური მენეჯმენტი, ანუ ფინანსების მართვა, მნიშვნელოვანი ხარისხით საბანკო რისკების მართვაზეა დაფუძნებული.

ფინანსების მართვის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის მეშვეობით ბანკების ღირებულება იქნეს მაქსიმიზებული, რომელიც ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მომგებიანობით და რისკების ხარისხით ხასიათდება.

კომერციული ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენს ბანკის ქვედანაყოფები (ადმინისტრაციული, სააღრიცხვო, საწარმოო და დამხმარე) და მათი ერთმანეთთან კავშირები. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მენეჯმენტის მიზნების წარმატებული მიღწევის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს. ორგანიზაციულ სტრუქტურაში ნაკლოვანებებს, ძალიან ხშირად, მძლავრი ბანკებიც კი კრიზისულ სიტუაციამდე მიუყვანიათ. ამიტომ, ბანკის საქმიანობაში ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევა, რომელიც შიდა და გარე ფაქტორებს საუკეთესო სახით შეესაბამება, საბანკო მომსახურების დივერსიფიკაციის საფუძველს და მენეჯმენტის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

ბანკები საბაზრო პირობებში სპეციალიზდებიან სხვადასხვა სახეობის მომსახურების განხორციელებაზე, თავიანთ წინაშე სხვადასხვა მიზანს ისახავენ და, აქედან გამომდინარე, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები ფართო ჩარჩოებში შეიძლება ვარირებდეს. ორგანიზაციული სტრუქტურების სახეობებიდან თითოეულს საკუთარი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია, რომლებიც კონკრეტული საბაზრო პირობების შესაბამისი ორგანიზაციის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მოწოდებულია განახორციელოს ბანკის მომსახურების რაციონალური მუშაობის უზრუნველყოფა, მართვის ყველა ფუნქციის წარმატებული განხორციელება, კლიენტების მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება და, საბოლოო ჯამში, საბანკო მენეჯმენტის წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, განსხვავდებიან ბიუროკრატიის პრინციპით, ანუ საბუთბრუნვის, ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაციით. საბანკო ქვედანაყოფებს შორის შრომის დაყოფამ უნდა უზრუნველყოს ყველა მმართველობითი რგოლის მოწესრიგებული მუშაობა, ფუნქციების მკვეთრად განაწილება, თითოეული მუშაკის საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაცია და მათი კომპეტენციის შესაბამისად კადრების შერჩევა.

საქართველოში საბანკო საქმიანობის სპეციფიკა ბანკების მიერ ორი ძირითადი ტიპის სტრუქტურის გამოყენებას ითვალისწინებს:

- თანამედროვე ფილიალური (სერვისცენტრი) ბანკი დივიზიონალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას იყენებს;
- მსხვილი ბანკების ფილიალები (სერვისცენტრები) და ფილიალის გარეშე ბანკები, თავის მხრივ, ხაზობრივ-ფუნქციონალური სახით არიან ორგანიზებული.

ხაზობრივ-ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურისას ბანკის მთლიანი საქმიანობა მკაცრი მარეგლამენტირებელი ფუნქციების განმხორციელებელ სამსახურებს შორის არის განაწილებული, რომელთა შესრულება მენეჯმენტის მიზნების მიღწევისკენაა მიმართული. უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონალური სისტემა მსხვილი კორპორაციული მომსახურებისას არის მისაღები.

დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა საბანკო საქმიანობის დაყოფას ითვალისწინებს მიწოდებადი საბანკო პროდუქციის სახეობების, მომხმარებლების ჯგუფების ან რეგიონალური ნიშანთვისებების შესაბამისობაში.

ხაზობრივ-ფუნქციონალური სტრუქტურა აიგება პრინციპით, რომელიც ბანკში ზემოდან ქვედა დონის ჩათვლით მთლიანად არის ურთიერთდაკავშირებული; დივიზიონალურ სტრუქტურაში

აღნიშნული სამსახურები საწარმოო განყოფილებების (ფილიალების) დონეზე ყალიბდება. ამ შემთხვევაში ქვედანაყოფები, ხაზობრივის გარდა, კიდევ ავტონომიურ ფუნქციონალურ სტრუქტურასაც ღებულობენ (ფინანსური, აღრიცხვის, დაგეგმვის და ა.შ. სამმართველოები), რომელიც მათ საკუთარი მომსახურების შემუშავებაზე, წარმოებაზე და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობის ნაწილობრივ ან სრულად საკუთარ თავზე აღების შესაძლებლობას აძლევს. შედეგად, სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად ბანკის ზედა ეშელონის მმართველობითი რესურსები გამოთავისუფლდებიან. ქვემოთ მოტანილ ცხრილში ორივე ტიპის სტრუქტურების უპირატესობები და ნაკლოვანებებია მითითებული.

ხაზობრივ-ფუნქციონალური და დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურების შედარება

ხაზობრივ-ფუნქციონალური:	დივიზიონალური:
სტაბილურობა სტაბილურ გარემოში ყველაზე უფრო ეფექტიანია	მოქნილობა დინამიურ გარემოში ყველაზე უფრო ეფექტიანია
მმართველობით ხარჯებში ეკონომია	ოპერატიულობა გადაწყვეტილების მიღებაში
სპეციალიზაცია და კომპეტენტურობა	დისციპლინათშორისი მიდგომა
მარტივი პრობლემების სწრაფი გადაწყვეტა, რომლებიც ერთი ფუნქციონალური სამსახურის კომპეტენციაშია თავმოყრილი	რთული ფუნქციათაშორისი პრობლემების სწრაფი გადაწყვეტა
მოქმედ ტექნოლოგიებზე და ჩამოყალიბებულ ბაზარზე ორიენტაცია	ორიენტაცია ახალ ბაზრებზე და ტექნოლოგიებზე
ორიენტაცია ფასობრივ კონკურენციაზე	ორიენტაცია არამიზნობრივ კონკურენციაზე

კომერციულ ბანკში მმართველობითი აღრიცხვის ჩამოყალიბება ბანკის საქმიანობის ორგანიზაციის სტრუქტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ორგანიზაციული სტრუქტურა ძალიან ხშირად არ უნდა მოდიფიცირდებოდეს. ბანკის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მთელი რიგი სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს.

ბანკის მართვის სტრუქტურაზე გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ: ბანკის საკუთარი კაპიტალის (აქციონერული, საპაიო) მობილიზაციის სამართლებრივი ფორმა და ბანკის ორგანიზაციული აგებულება (მისი ქსელის განვითარების ხარისხი და მისი დამოუკიდებლობა).

ბანკის საკუთარი კაპიტალის ორგანიზაციული ფორმისგან დამოუკიდებლად ბანკის მართვის უფლება მის დამფუძნებლებს უნდა გააჩნდეთ. ასეთი უფლების რეალიზება ბანკის მართვის ორგანოებში უშუალო მონაწილეობის გზით მიიღწევა.

კომერციული ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს აქციონერთა კრება წარმოადგენს, რომელიც ყოველწლიურად იმართება შემდეგი სტრატეგიული ამოცანების-საკითხების გადასაწყვეტად: ბანკის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად; წესდებისა და საწესდებო კაპიტალის შესაცვლელად; ბანკის საბჭოს ასარჩევად; საქმიანობის წლიური შედეგების დასამტკიცებლად; ბანკის ტერიტორიული ქვედანაყოფების შესაქმნელად და სალიკვიდაციოდ. კომერციული ბანკის მართვის უმაღლესი ორგანო საკუთარი ფუნქციებისა და ამოცანების რეალიზაციას უშუალოდ შემსრულებლების, აგრეთვე, მაკონტროლებელი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც მთლიანად მას ექვემდებარებიან.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას ახორციელებენ ქვედანაყოფები (სამმართველოები) და სამსახურები (განყოფილებები). ბანკის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურა ბანკში, მთლიანობაში, შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობის, მისი წარმატებული კომერციული საქმიანობის მნიშვნელოვანი პირობაა.

ბანკის ორგანიზაციული აგებულების ძირითად კრიტერიუმს ეკონომიკური შინაარსი და ბანკის მიერ შესრულებადი ოპერაციების მოცულობა წარმოადგენს. ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში

შეიძლება ბანკის საქმიანობაში უკვე არსებული მიმართულებების ნაწილობრივ ან სრულად შეცვლის, ან ახლების დარეგულირების საჭიროებით, ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს შორის ვალდებულებების გადანაწილების მიზნით ცვლილებებიც იქნეს შეტანილი.

ეკონომიკური მართვა ბანკის მმართველობით ფუნქციების რეალიზებისათვის არის მოწოდებული, რათა ბანკის საქმიანობის ძირითადი პრინციპების - ლიკვიდურობის, რენტაბელობის, საიმედოობის უზრუნველყოფა იქნეს მიღწეული. გარდა აღნიშნულისა, იგი ახორციელებს ბიზნესგეგმის შედგენას, აანალიზებს მის შესრულებას, შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს ბანკის სხვა ქვედანაყოფებისათვის ბანკის აქტიური და ნაწილობრივ პასიური ოპერაციების ოპტიმიზაციასთან მიმართებაში.

ბანკის საერთო ორგანიზაციულ სტრუქტურაში საჭიროა გამოიყოს განყოფილებების ორი ტიპი:

- განყოფილებები, რომლებიც საშტაბო ფუნქციებს ასრულებენ.
- ხაზობრივი განყოფილებები, რომლებიც უშუალოდ საოპერაციო მუშაობის შესრულებით არიან დაკავებულები.

საშტაბო განყოფილებები ხაზობრივი განყოფილებების მომსახურებით არიან დაკავებულები, ისინი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის დახმარებას უწევენ მათ.

ამასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ერთნაირი სტრუქტურის ორი ბანკი არ არსებობს: ბანკები საკუთარი მუშაობის ცვალებადი პირობების, ახალი ამოცანების, მენეჯმენტთან მიმართებაში ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად ცვლიან განყოფილებებისა და კომიტეტების ჩამონათვალს, ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობას.

ბანკის აგებულების რამდენიმე პრინციპული სქემა არის ცნობილი და თითოეული მათგანი ფინანსური ბაზრის გარკვეული ტიპის ადეკვატურია.

ლოკალური ბაზრის, კლიენტების შეზღუდული კონტინგენტის, კონკურირებადი დაწესებულებების აქტიური დაპირისპირებების არარსებობის, ფილიალური ქსელის განუვითარებლობის ან სრულად არ არსებობის პირობებში ყველაზე უფრო ბანკის აგებულების პირამიდული სქემაა გავრცელებული. მისთვის დამახასიათებელია ვერტიკალური კავშირების ზღვრული სიმარტივე და ბანკის უმაღლეს ხელმძღვანელებთან განყოფილებების უშუალო დაქვემდებარება (ნახ. 1.). ასეთი ტიპის ბანკში, როგორც წესი, იქმნება 68 განყოფილება, რომლებიც ოპერაციების ძირითად ნაწილს მოიცავენ: კრედიტის, საინვესტიციოს, დეპოზიტური ოპერაციების, სატრასტოს, მარკეტინგის განყოფილებას, ადმინისტრაციულ და კონტროლის განყოფილებებს.

ნახ. 1. პირამიდული სქემა ბანკში



ცალკეული საოპერაციო რგოლის სპეციალიზაციის გაძლიერებით, საბითუმო ოპერაციებიდან მომსახურების მომხმარებლების მასიური კონტიგენტის საცალო მომსახურებაზე გადასვლით, საბანკო საქმიანობის რაიონის გაფართოებით ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა უეჭველად იცვლება. შესაძლოა რამდენიმე ვარიანტი. ყველა მათ, ამასთან, საერთო ნიშნებიც გააჩნიათ: უფლებამოსილებები ცენტრალური მართვის ორგანოებიდან გადადის უფრო დაბალი რანგის ხელმძღვანელებთან, ბანკის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და დაბალ სტრუქტურებს შორის წარმოიქმნება შუალედური რგოლები.

ერთ-ერთი ალტერნატიული სქემა, რომელიც ბანკის განყოფილების (სერვისცენტრის) ფუნქციებისა და როლის გაძლიერებას უზრუნველყოფს, გეოგრაფიული სტრუქტურის სახელწოდებას ატარებს (იხ. ნახ. 2.).

ნახ. 2. ბანკის გეოგრაფიული სტრუქტურა



ფუნქციონალური სქემის მიხედვით ბანკის ორგანიზება დიდ ტერიტორიაზეც არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ოპერაციების მართვა რესურსების აკუმულაციის ფუნქციისა და მათი გამოყენების ხერხების მკვეთრ განაწილებაზე არის დაფუძნებული (იხ. ნახ. 3.).

ნახ. 3. ფუნქციონალური სქემა ბანკებში



ბანკის საქმიანობის რეგიონალურ და საერთო ეროვნულ ბაზრებზე გაფართოების შესაბამისად მას ცალკეული საოპერაციო რგოლის შემდგომი გართულება და სპეციალიზაცია სჭირდება, რაც სპეციალისტების, ექსპერტების მოზიდვას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს. ასეთ პირობებში მიზანშეწონილია ბანკის შიგნით პროფიტცენტრების სპეციალიზებული სისტემა შეიქმნას. ეს ცენტრები კლიენტებს გარკვეული ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების ნაკრებს მიაწვდიან. მათ საკუთარი სამსახურები, მართვის აპარატი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა, დანახარჯებისა და მიღებული მოგების საკუთარი კალკულაცია გააჩნიათ (იხ. ნახ. 4.)

ნახ. 4. პროფიტცენტრების სისტემა



საბანკო ჰოლდინგკომპანიებში სპეციალიზაციის კიდევ უფრო მეტი ხარისხი მიიღწევა. მას წინა მოდელთან დიდი მსგავსება გააჩნია, რამდენადაც ჰოლდინგის შვილობილი ფილიალები ასევე დიდ დამოუკიდებლობას ფლობენ, მაგრამ საკუთრების ფორმაში სხვაობით განპირობებული კონტროლის მეთოდებში განსხვავება არსებობს. პროფიტცენტრების სქემა ერთიანი ბანკის ჩარჩოებში გამოიყენება. ჰოლდინგის შვილობილ ფილიალებს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი გააჩნიათ. ამერიკული კანონების მიხედვით, თუ ჰოლდინგის პორტფელში ბანკის ხმის მიმცემი აქციების 5%-ზე ნაკლებია განთავსებული, მაშინ ითვლება, რომ კონტროლი საერთოდ მოხსნილია, 5%-დან 25 %-მდე აქციების ფლობისას ცენტრალური ბანკი თვითონ წყვეტს განხორციელდეს კონტროლი, თუ არა, ხოლო 25 %-ზე მეტი ხმის მიმცემი ბანკის აქციების ფლობისას კომპანია საბანკო ჰოლდინგად ითვლება (იხ. ნახ. 5.)

ნახ. 5. საბანკო ჰოლდინგი



საბანკო ჰოლდინგს შეუძლია აკონტროლოს არასაბანკო დაწესებულებები, რომლებიც საბანკო საქმიანობასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული - ფინანსური, ლიზინგური, ფაქტორინგული კომპანიები, სატრასტო და საინვესტიციო ფირმები, საგზაო ჩეკების და საკრედიტო ბარათების გამომშვები კომპანიები, გამოთვლითი ცენტრები, აუდიტორული ფირმები და ა.შ. ამრიგად, შეიძლება

ითქვას, რომ ჰოლდინგური ფირმა შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი მიიღწევა დიდ (მსხვილ) კომერციულ ბანკში, რომელიც შეიძლება ერთდროულად ჰოლდინგკომპანიაც იყოს (იხ. ნახ. 6.).


საბანკო ოპერაციების ბანკის ორგანიზაციული სქემა
საბანკო ოპერაციების ბანკის
ბანკის ფილიალი
ბანკის ფილიალი
ბანკის ფილიალი

ნოდარ ხარაიშვილი

კომერციული ბანკის ლიზინგური ოპერაციები

კომერციული ბანკების ძირითადი ფინანსური მომსახურეობების სახეებს წარმოადგენს ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი და ტრასტული ოპერაციები. უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ლიზინგი - არენდის ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზე ლიზინგგამცემი (არენდატორი) გარკვეული გადასახადის (საარენდო გადასახადის) გადახდის საფუძველზე დროებით სარგებლობაში მიაწოდებს ლიზინგმიმღებს მის კუთვნილებაში არსებულ მოწყობილობას, მანქანებს, ელექტრონულ გამოთვლით მანქანებს, ორგტექნიკას, სატრანსპორტო და სხვა საშუალებებს. ლიზინგი შეიძლება იყოს ორი სახეობის: *ოპერატიული და ფინანსური.*

ოპერატიული ლიზინგის პირობებში კონტრაქტები მოკლე და საშუალო ვადებით (როგორც წესი, ამორტიზაციულ პერიოდზე უფრო მოკლე ვადით) ფორმდება. ამ შემთხვევაში ლიზინგგამცემი, ლიზინგის საგნის კარგი მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის, თავის თავზე იღებს მის ტექნიკურ მომსახურებას (რემონტი, გამართულობა და ა.შ.). აღნიშნულთან დაკავშირებით ლიზინგის მოცემულ სახეობას კიდევ სერვისულს უწოდებენ. ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებისას მისი საგანი უბრუნდება მფლობელს.

ფინანსური ლიზინგი საიჯარო ურთიერთობების ხანგრძლივი ვადით ხასიათდება და, როგორც წესი, სრულად ამორტიზაციულს წარმოადგენს. იგი ქონების ლიზინგგამცემის მიერ მომსახურებას არ ითვალისწინებს. ასეთი ლიზინგი ქონების მფლობელს მოწყობილობისა და სხვა საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით ყველა ხარჯების სრულად ანაზღაურების შესაძლებლობას აძლევს.

ლიზინგის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ახალი მოწყობილობა, ასევე ხმარებაში არსებულიც, აგრეთვე სხვა საგნებიც, რომელთა მესაკუთრეს წარმოადგენს არენდატორი.

ლიზინგი შეიძლება იყოს მოძრავი (მას კიდევ უწოდებენ მანქანა-ტექნიკურებს) და უძრავი ქონება.

ლიზინგური ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს **ლიზინგური გადახდების გაანგარიშება** წარმოადგენს. გადახდების საერთო თანხა ყალიბდება ამორტიზაციული ანარიცხებისგან, საკრედიტო რესურსებზე და ლიზინგამცემის დამატებით მომსახურებაზე, საკომისიო გადახდებზე და დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის გადახდებისგან, რომლებსაც ლიზინგამცემი იხდის ბიუჯეტში (შემდგომ გამოიყენება ე.წ. ჩეკმარევას მიერ შეთავაზებული ლიზინგური გადახდების გაანგარიშების მეთოდიკა)[2]. ლიზინგგამცემისთვის კუთვნილი *ამორტიზაციული ანარიცხების (ამ.ან)* სიდიდე გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{ამ.ან} = \text{ღ ხ ნ}_{\text{ამ.ან}} \text{ ხ პ} / 100 ,$$

სადაც:

ამ.ან - არის ამორტიზაციული ანარიცხები,

ღ - მოწყობილობის საბალანსო ღირებულება,

$\text{ნ}_{\text{ამ.ან}}$ - ამორტიზაციული ანარიცხების ნორმა,

პ - ლიზინგური შეთანხმების მოქმედების პერიოდი.

გადახდები *საკრედიტო რესურსებზე (გდ$_{\text{კრ}}$)* განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{გდ}_{\text{კრ}} = \text{კრ ხ გნ}_{\text{კრ}} / 100 ,$$

სადაც:

$\text{გდ}_{\text{კრ}}$ - არის გადახდები საკრედიტო რესურსებზე,

კრ - საკრედიტო რესურსების სიდიდე მოსაზიდი ლიზინგური ოპერაციების განსახორციელებლად,

$\text{გნ}_{\text{კრ}}$ - საკრედიტო რესურსების გამოყენების განაკვეთი.

ამასთან *საკრედიტო რესურსების სიდიდე (კრ$_{\text{ს}}$)* განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{კრ}_{\text{ს}} = \text{ჯამი პ}_{\text{კრ}} (\text{ღ}_{\text{ნდ}} + \text{ღ}_{\text{ნგ}}) / 2 ,$$

სადაც:

$ღწდ$ - მოწყობილობის ღირებულება წლის დასაწყისში,
$ღწგ$ - მოწყობილობის ღირებულება წლის ბოლოსთვის,
$პკრ$ - პერიოდია (წელთა რაოდენობა), რომელზედაც არის დადებული ხელშეკრულება ლიზინგთან მიმართებაში.

ლიზინგამცემის დამატებით მომსახურეობებზე გადახდების ($გდ_{ამს}$) გაანგარიშებისთვის გამოიყენება ფორმულა:

$$გდ_{ამს} = ხ_{ამვ} - ხ_{ამს} ხ ხ_{ლკ} + ხ_{სხ} ,$$

სადაც:
$ხ_{ამვ}$ - არის ფირმა-ლიზინგგამცემის მუშაკების სამივლინებო ხარჯები,
$ხ_{ამს}$ - იურიდიული კონსულტანტების მომსახურების ხარჯები,
$ხ_{ლკ}$ - ლიზინგგამცემის ხარჯები რეკლამაზე,
$ხ_{სხ}$ - სხვა სახეობის ხარჯები ლიზინგგამცემის მომსახურეობებზე.

საკომისიო გადახდების ($გდ_{სკ}$) სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$გდ_{სკ} = კრ_{ფს} ხ გნ_{სკ} / 100 ,$$

სადაც:
$გნ_{სკ}$ - საკომისიო გასამრჯელოს განაკვეთია.
დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის სიდიდის გაანგარიშება, რომელსაც ლიზინგგამცემი იხდის ბიუჯეტში *($გდ_{დმ}$)*, ხორციელდება ფორმულით:

$$გდ_{დმ} = ამ ხ გდ / 100,$$

სადაც:
ამ - არის ამონაგები ლიზინგურ გარიგებასთან მიმართებაში, რომელიც დამატებულ ღირებულებაზე გადასახადით იბეგრება,
გდ - გადასახადის განაკვეთია დამატებულ ღირებულებაზე.

ამასთან, *ამონაგების (ამგ)* სიდიდე გაიანგარიშება ფორმულით:

$$ამგ = გდ_{ამვ} + გდ_{სკ} + გდ_{ამს}$$

ამრიგად, *ლიზინგური გადასახადების ($ლ_{გდ}$)* საერთო თანხა ტოლი იქნება:

$$ლ_{გდ} = ამ_{ან} + გდ_{კრ} + გდ_{სკ} + გდ_{ამს} + გდ_{დმ}$$

ლიზინგური შენატანების სიდიდე გაიანგარიშება ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული მათი პერიოდულობიდან გამომდინარე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:
ა) შესატანების ყოველწლიურად გადახდისას:

$$ლ_{გდ} = ლ_{ამს} / წრ_{დ} ,$$

სადაც,
$ლ_{ამს}$ - არის ერთი ლიზინგის შესატანი.

ბ) შესატანების ყოველკვარტალურად გადახდისას:

$$ლ_{გდ} = ლ_{ამს} / (წრ_{დ} /4) ,$$

გ) შესატანების ყოველთვიურად გადახდისას:

$$ლ_{გდ} = ლ_{ამს} / (წრ_{დ} /12) .$$

განვიხილოთ ლიზინგური გადახდების გაანგარიშების მაგალითი ოპერატიული ლიზინგის მიხედვით გამოსყიდვის უფლებით.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა

ფურიეს ინტეგრალი

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია ფუნქცია $f(x): R \to R$. შემოვიტანოთ რამოდენიმე განმარტება:

განმარტება 1. $f(x)$ ფუნქციას ეწოდება რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქცია, თუ უშუალოდ ინტეგრალი

$$\int_{-\infty}^{\infty} |f(x)| dx$$

კრებადია.

განმარტება 2. ვთქვათ $f(x)$ ფუნქცია რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქციაა. მაშინ ფ(ხ) ფუნქციის ფურიეს ინტეგრალი ეწოდება

$$\int_0^{+\infty} (a(\lambda) cos\lambda x + b(\lambda) sin\lambda x) d\lambda, \quad x\epsilon(-\infty; +\infty) \tag{1}$$

ინტეგრალს, სადაც

$$a(\lambda) = \frac{1}{\pi} \int_{-\infty}^{+\infty} f(t) cos\lambda t dt, \quad \lambda \geq 0 \tag{2}$$

$$b(\lambda) = \frac{1}{\pi} \int_{-\infty}^{+\infty} f(t) sin\lambda t dt, \quad \lambda \geq 0 \tag{3}$$

შევნიშნოთ, რომ რადგანაც $f(x)$ ფუნქცია რიცხვით ღერძზე აბსოლიტურად ინტეგრებადი ფუნქციაა, ამიტომ ორივე $a(\lambda)$ და $b(\lambda)$ ინტეგრალი კრებადია.

$f(x)$ ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} (a_n cos\lambda_n x + b_n sin\lambda_n x), \tag{4}$$

სადაც $\lambda_n = \frac{\pi n}{l}$, n=1,2,3,….

(1)გამოსახულებაში ჩავსვათ (2) და (3) თან გავითვალისწინოთ, რომ $\cos\lambda t \cos\lambda x + \sin\lambda t \sin\lambda x = \cos\lambda(t-x)$. მივიღებთ, რომ $f(x)$ ფუნქცია ემთხვევა ფურიეს ინტეგრალს

$$f(x) \sim \frac{1}{\pi} \int_0^{\infty} d\lambda \int_{-\infty}^{+\infty} f(t) cos\lambda(t-x) dt \tag{5}$$

თეორემა: თუ რიცხვით ღერძზე განსაზღვრული $f(x)$ ფუნქცია გლუვია ნებისმიერ სასრულ სეგმენტზე და აბსოლიტურად ინტეგრებადია მთელს ღერძე, მაშინ ყოველი

$x \in (-\infty; +\infty)$ წერტილისთვის (5) ინტეგრალი კრებადია და ტოლია $\frac{1}{2}\big(f(x-)+f(x+)\big)$. კერძოდ, თუ $f(x)$ ფუნქციის უწყვეტობის წერტილში კი სამართლიანია ტოლობა

$$f(x) = \frac{1}{\pi}\int_0^{\infty} d\lambda \int_{-\infty}^{+\infty} f(t)cos\lambda(t-x)dt. \qquad (6)$$

თუ ფუნქცია აკმაყოფილებს თეორემის პირობებს და წარმოადგენს ლუწ ფუნქციას, მაშინ

$$a(\lambda) = \frac{2}{\pi}\int_0^{+\infty} f(t)cos\lambda t dt, \quad \lambda \geq 0$$

და $f(x)$ ფუნქცია უწყვეტობის წერტილზე (6) ტოლობა მიიღებს სახეს

$$f(x) = \frac{2}{\pi}\int_0^{\infty} cos\lambda x d\lambda \int_{-\infty}^{+\infty} f(t)cos\lambda t dt, \qquad (7)$$

ხოლო თუ $f(x)$ ფუნქცია კენტია, მაშინ

$$f(x) = \frac{2}{\pi}\int_0^{\infty} sin\lambda x d\lambda \int_{-\infty}^{+\infty} f(t)sin\lambda t dt.$$

ე.ი. თუ $f(x)$ ფუნქცია განსაზღვრულია $[0; +\infty[$ შუალედში და აბსოლუტურად ინტეგრებადია ამავე, გარდა ამისა ის წარმოადგენს გლუვ ფუნქციას ამავე შუალედში, მაშინ ის შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც (7) სახით, ასევა (8) ტოლობით, თუ ის შესაბამისად ლუწი ან კენტი ფუნქციაა.

ლიტერატურა

1. В.Ф. Бутузов, М.В. Бутузова РЯДЫ И ИНТЕГРАЛЫ ФУРЬЕ ОБОБЩЁННЫЕ ФУНКЦИИ МОСКОВСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ им. М.В. Ломоносова 2017 г.
2. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.

ნორჩი ათინათელი

გვანცა ხარაიშვილი

ბეჟანის შვილიშვილის ნახატები.





გახსენება

საზოგადოება საჩხერელი

ხევისბერი

დღეს, 18 მაისს, დაბადებიდან 92 წელი შეუსრულდებოდა ავტორიტეტულ სამეურნეო მუშაკს, იმდროინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენელს, საზოგადოებაში ნამდვილ ხევისბერად ცნობილ ალექსანდრე შუბითიძეს.

ბატონმა ალექსანდრემ ჭალოვანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, პირადი ინიციატივითა და ორგანიზატორობით მრავალი პროექტი განახორციელა ძირულის ხეობის სოფლების ინფრა-სტრუქტურის, კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების, საავტომობილო, საუბნო გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობის, ტყეების განაშენიანებისა და გარემოს ეკოლოგიური, ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესებისათვის.

პირდაპირობა, უშუვალობა, ადამიანებთან საქმიანი დამოკიდებულების დამყარების უნარი, ქართული ეროვნული ტრადიციების ერთგულება იყო ის თვისებები, რომლებიც გამოარჩევდა მას ყველასაგან.

მისაბაძი იყო საკუთარი ოჯახითაც, თუმცა მისთვის ერთ დიდ, მთლიან ოჯახს წარმოადგენდა მთელი ხეობა, სადაც არ წყდებოდა „ფიქრთ-გასართველად“ და „ჭკუის კითხვად“ მოწადინე ხალხის ნაკადი!

ნათელი ადგეს ფიზიკურად და ზნეობრივად ამ მაღალი პიროვნების ხსოვნას.

საზოგადოება „საჩხერელი“

* * *

სიამაყით ვიტყვი, რომ ბატონ ალექსანდრეს ვიცნობდი, ის ჩემს ქორწილში თამადა იყო:

ვიგონებ ხშირად, ძალიან ხშირად, ვიგონებ, ისე ვით ჩემი მამა.
სიტყვას იტყოდა ძალიან ძვირად, მისი სიბრძნე კი ბევრმა იწამა.
ჩემი ქორწილის თამადა იყო, ეს ბუმბერაზი ნაღდი ქართველი,
მან მშობელივით ლუკმა გამიყო, ცას ია-ვარდად ადგეს ნათელი.

ლამზირა შეყილაძე

დღეს შენი დაბადების დღეა

დღეს შენი დაბადების დღეა, შვილო ალიკა და ვერ გამიგია უბედურმა დედამ როგორი ფორმით უნდა მოგილოცო ეს დღე.

შენ უნდა მოგევლო ჩემი საფლავისთვის, დაგეღვარა დედის გულზე ცრემლები, მოგეტანა ყვავილები. როგორც სიცოცხლეში იცოდი ხოლმე. მომართმევდი ყვავილებს და თვალებში მიმზერდი შენი კეთილი და წმინდა თვალებით, გინდოდა ამოგეკიტხა ჩემი სიხარული, დედა-შვილი ერთი-მეორეს ჩავეხუტებოდით და ერთ-ურთს ვავსებდით. ახლა უშენოდ დავცარიელდი და ამ სიცარიელის უმძიმესი ტვირთი მანადგურებს. ყოველი დღე, საათი და წუთი, იმ ავბედით ამბავს მახსენებს, რომელიც გონებაში კადრივით იხვევა და ყოველ წუთს თითქოს თვალხილული ვუყურებ. ამის ატანა შეუძლე-ბელია. რამდენიმე დღის უკან დამესიზმრე თითქოს გაცოცხლდი გულში ჩაგიხუტე და გეფერებოდი, უბედნიერესი ვიყავი სანამ თვალებს გავახელდი. მერე კი როცა გონებამ გადახარშა, რომ ეს სიზმარი იყო საწოლში გავსწორდი მკერდზე ხელები დავიჭვდე, თვალები დავხუჭე და უფალს ვევედრებოდი, რომ წამოვეყვანე შენთან, მაგრამ ჩემს სურვილით ცხოვრებაში არაფერი მომხდარა და ეს ნატვრაც არ ამისრულდა.

ერთი რამ არის ალიკა დედი რასაც ვერ ვხსნი...

რამდენიმე თვეა რაც ჩვენს აივანზე თეთრი, ულამაზესი მტრედი მოფრინდა. რამდენიმე ხანი სამზარეულოში კარადის თავზე დაიდო ბინა. დილით საკვებს მიირთმევდა და მიფრინავდა საღამოთი ისევ ბრუნდებოდა. ახლა კი მხოლოდ საღამლოთი მოვა საკვებს მიირთმევს ცოტა ხნით აივანზე ჩერდება და ისევ მიფრინავს. მახსენდება შენ რომ გყავდა ბავშვობაში მტრედები. როგორ უვლიდი, როგორ გიყვარდა საცხოვრებელიც კი აუგე სადაც პატარ-პატარა ოთახები გამოუყავი სათითაოდ. ფრთა მოტეხილს როგორ უმკურნალე. ასე მგონია ეს მტრედი შენს სულთან რაღაც კავშირში არის... როცა მისი მოფრენის დრო მოახლო-ვდება სხეული მითრთის, გული მელევა, ეჭვი მაფორიაქებს, რომ არ მოვიდეს მეთქი და როცა მოვა ცოტა სიმსუბუქეს ვგრძნობ თვალებით და სიტყვებით ვეფერები. მინდა გულში ჩავიკრა შენსავით, მაგრამ ვფრთხილობ რომ არ დავაფრთხო. უსაშველოდ მტკივხარ და მენატრები...

სიცოცხლე მძულს

უმძიმესი... სასჯელი მაქვს რთული,
შიგნიდან მხრავს ზეზეულად ვხმები.
აღარ მინდა მიფეთქავდეს გული,
სიცოცხლე მძულს და უშენოდ ვკვდები.
წამებაა გათენება დილის
გარიჟრაჟს. რომ უშენობით ვხვდები.
მე, ყოველდღე გულში საფლავს ვითხრი,
ყოველ ღამით იმ საფლავში ვწვები.

ვეღარ ვუძლებ ამ უაზრო ტანჯვას,
ჩემი გული ტკივილების ტყვეა...
ჩავცქერივარ ცივ საფლავის ხახას
მინდა გულში დავიხალო ტყვია.
ეს უაზრო, თოვლი და წვიმა
ურვასა და მწუხარებას მაყრის.
მე, ისეთი სატანჯველი მტკივა
ჯოჯოხეთი მოგონილი არის...



რაც შენ დამტოვე შვილო, ზეცას შევყურებ, იცი დედიკო, თეთრ ქათქათა ღრუბლებში დაგეძებ, ხან შენ ტანად მეჩვენება ღრუბლის ფენა, ხან თიქოს ჩემსკენ მოიწევ და გინდა მომწვდე. ამ დროს ჩნდება ვიღაცის ხელი გკიდებს და მაღლა მიყავხარ, ეს, ალბათ მამაშენია. ასეთი, ხედვები ხშირად მინახავს, ამიტომ სამეგობროდ კალამი ავირჩიე და არც შემცდარვარ.

ცისკარელიც ჩემს თავს მიტომ უწოდე,
რადგან ზეცაში ვარ ფიქრით შვილო!

ოცდაშვიდ აპრილს დაიბადე...

(გელა სხირტლაძის გახსენება)

დილის რიჟრაჟზე,
ოცდაშვიდ აპრილს,
დაიბადე და ყვირის ექთანი,
ამ პატარას მე,
ლომს და ვეფხვს ვადრი,
ო, რა ბიჭია, ნახეთ ღმერთმანი.
აცმაცურებდი ტუჩით ეძებდი,
დედის მკერდს,
დედაც იქვე ვიყავი,
იმ, წამს ვირწმუნე,
გაზრდას შევძლებდი,
ვერ წამართმევდა,
შენს თავს ჭილყვავი.
თურმე ვცდებოდი, როცა გამრიგემ,
შენ აგირჩია და მე დამტოვა,
თუმცა სიკეთეს უხვად ვარიგებ,
შვილის გარეშე გული მარტოა.
ესეც ბედია...ისიც ბედია,
მამტრევს და მსუსხავს,
მას შემდეგ ტანში,
ასეთი ტანჯვა, მეტისმეტია,
დაბადების დღეს, გილოცავ ცაში.

შვილო

(გელა სხირტლაძეს)

აღდომის დღე ახლოვდება შვილო,
შენ კი ალბათ, ელი დედის საგზალს,
არ იჯავრო, არსად დაიჩივლო,
ვერ მოვავო, არც გაივლო აზრად.
მთელ მსოფლიოს სენი შეეყარა,
საქართველოს ქუჩებს-— მოწვდა უკვე,
სხვებმა შვილი უბით შეიფარა,
მეკი შენ გზას უნდა გამოვუყვე.
ასეთი რამ თუ წარსულში მოხდა,
მე არ ვიცი, იქნებ იყო ოდეს,
ყინავს დედი, ყინვა აღარ მოდნა,
ღმერთმა არ ქნას, ერში ვინმე მოკვდეს.
აღდომის დღეს ბიჭო, მოგილოცავ,
ეს, თვე ისეც შენ გეკუთვნის ტკბილო,
აპრილის თვე შენით მიყვარს, ვლოცავ,
ერთად გლოცავთ მეუღლე და შვილო.
ოცდაშვიდი აპრილია, ჩემთვის,
ტკბილიცა და ბალღამივით მწარე,
არ დაუშვებს ჩემი წილი ღმერთი,
არ ვაღაბდე ჩემი სახლის კარებს.
კვერცხიც ბერი შეგიღებო უნდა,
სასაფლაოს ყვავილებიც მოვრწყა.
ცრემლით გულსაც
ჩუმად ბერჯრ ვგუდავ,
ამ წუთშიდაც ბურთებივით მომწყდა.
ეს ტკივილი არის ცაზე დიდი,
ვინც არ იცის, რა იოლად ხედავს,
შენ ვაჟკაცად და კეთილად გზრდიდი,
ახლა შვილო, გული ბერჯერ კვდება.
თუ ვიღიმი სულ არ ნიშნავს იმას,
გული არის ცეცხლში განათუთქი...
ცრემლთან ერთად
ყოველ ღამე მძინავს,
ლექსიც შვილო, ბევრი გამოგითქვი.
ამჟამადაც ფიქრის ლოგინს გავშლი,
და წარსულით ცოტას გავიცინებ...
თურმე ვიყავ ბედნიერი მაშინ,
ახლა ღამით ზეცას შევციცინებ!

ნიკო ბაღაშვილი



თანდათან ვუფიქრდები რომ ცხოვრება მართლა სიზმარია - მძიმე დანაკლისი განიცადა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანმა, საერთაშორისო აკადემიამ, წაავიდა ვალმოხდილი კაცი, ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, რომელიც მართლაც და აკადემიაში ერთ-ერთი ლიდერი იყო და რომელიც გულით გესაუბრებოდა, ისეთი სალამი და მოკითხვა იცოდა, თავის სულს და სიცოცხლესაც რომ განაცვალებდა – გაგიღიმებდა, მის საუბრიდან რაღავ ღვთაებრივი შუქი და ადამიანური მზერა რომ მიგყვებოდა და შენც თავისუფლად დადიოდი – ასეთ ადამიანები ცოტაა ამ დუნიაზე, ვისავ სხვისი ჭირი თუ სიხარული ახარებს, თვითონ ტრაგედიების მოწმეს – ჯერ შვილი გარდაეცვალა, მერე კი შვილიშვილი ავტოკატასტროფაში, მაინც არ გახვევდა თავის ტკივილს და სულ გკითხულობდა – რით ცხოვრობდი, რით სუნთქავდი – ხო, უყვარდა და ეცოდებოდა ჩემი თავიც – და სხვასაც ეხმარებოდა და თავის ფიქრთა არეალში და გულში იხუტებდა – სწორედ რომ მისმა სუფთა გულმა ვეღარ გაუძლო და აღდგომის ღამეს გარდაიცვალა – და ჩვენ საქაო ადამიანებს თითქოსდა გაფრთხილება, მოფერება და ერთურთის პატივისცემა დაგვიტოვა, ბატონო ჯუმბერ, მართლა დამწყდა გული თქვენი წასვლით, არადა ვიცი ბევრ რამეს გააკეთებდით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხოლო ის ნაამაგარი თქვენს მშობლიურ ჭიათურას გაყვება ერთ ლამაზი სულის და კაცის ცხოვრება იმ რეალურ ლეგენდად, სადაც თქვენი ღვაწლი ფასდაუდებელია იქნებ ყურად იღონონ, ამ დამსახურებისთვის, თქვენი რაიონში, თქვენი სახელობის სკვერი ან ქუჩას დაერქვას თქვენი სახელი და გვარი ...

დიდი ტკივილი

ხვიჩა ღამბარაშვილი

ხვიჩა ღამბარაშვილი. დატოვა გამწარწბული დედა და ცოლშვილი. ერთ კვირაში მისმა დამაც მისი გზა გააგრძელა და ქალბატონი ფოთოლამ, კორონა ვირუსის პერიოდში ორი შვილის სიმწარე ნახა. მეკი ისღა დამრჩენია, რომ ჩემს მაზლიშვილს ლელა სხირტლაძეს, გამძლეობა უსურვო და დედას კი რომელმაც ორი შვილის სიმწარე, ზედიზედ ნახა, უფალმა სიძლიერე მისცეს, რათა, მოთმინებით, მისი შვილები სიმშვიდეს დაისადგურებენ მარადიულობაში.

ნინო ღამბარაშვილი

გურამ კუპატაძე



სამგლოვიარო განცხადება
გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქმული დაკრძალვაზე 2020 წლის 9 მაისს

სერგო ილარიონის ძე წურწუმია

აფხაზეთის ა. რ. უმაღლესი საბჭო და მთავრობა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია „საქართველო“, სახალხო მოძრაობა „მესამე გზა“, ჯამბულ წურწუმიას სახელობის №94-ე საჯარო სკოლა, საქართველოსა და აფხაზეთის ა.რ. კაზაკთა კავშირები, ჟიული შარტავას ფონდი, მამულიშვილთა გახსენების ფონდი, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის ეკლესია, ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს „დიდი მოურავი აფხაზეთიდან“, აკადემია „ქალდეას“ თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, აკადემია „საქართველოსა“ და კავშირი „დიოსკურია-2005“-ის პრეზიდენტი, აფხაზეთის ა. რ. კაზაკთა კავშირის ატამანი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი სერგო ილარიონის-ძე წურწუმია და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, საძმო-სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

ბატონმა სერგო ილარიონის ძე წურწუმიამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მძიმე და რთული, მაგრამ ჭეშმარიტად სახელოვანი გზა განვლო, ძირითადად მუშაობა მოუწია სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწემ, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით. ის ძალიან მომთხოვნი იყო, როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე ხელქვეითებისა და თანამშრომლებისადმი, რითაც საზოგადოების დიდი სიყვარული და მაღალი ავტორიტეტი დაიმსახურა. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მაღალი სახელმწიფო და პოლიტიკური იერარქიის მოღვაწეებთან და არც თუ ისე იშვიათად უხდებოდა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოსაგანგებო დავალებების შესრულება, რასაც ის პირნათლად, მაღალი პროფესიონალიზმით, ჩეკისტებისათვის დამახასიათებელი ალღოთი და ინტუიციით, წარმატებით ართმევდა თავს. საკმარისია გავიხსენოთ 1973-74 წლებში, მაშინდელი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, დღევანდელი ჩვენი ქვეყნის კათალიკოს-პატრიარქის, ილია-მეორის სალიკვიდაციოდ მოწყობილი ტერაქტის აღკვეთისა და ტერორისტების გაუვნებელყოფის, საიდუმლო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ოპერაცია გრიფონი“, რომელიც ჩატარდა უშუალოდ ბატონი სერგო წურწუმიას ხელმძღვანელობით, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე. ოპერაცია გრძელდებოდა 7 თვის განმავლობაში და მასში ტერორისტთა საკმაოდ შენიღბული, გასაიდუმლოებული 12 კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა.

1992-93 წლებში ბატონი სერგო წურწუმია იყო აფხაზეთის ა.რ. თავდაცვისა და უშიშროების სამმართველოს უფროსი და სამთავრობო აგარაკების კომენდატი, იცავდა გაეროს (ბრუნერი), ეუთოს (ვიდეგარი), რუსეთის (კოზირევი, პასტუხოვი, შოიგუ) და საქართველოს პრეზიდენტის შევარდნაძის უსაფრთხოებას.

ბატონი სერგო, როგორც ხალხური გამოთქმა არსებობს, არის ორ ცეცხლს შუა გამოვლილი მამულიშვილი, ცეცხლის ერთი მხარე არის, ის რომ მისი მამა ილარიონ პავლეს-ძე

წურწუმია, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წლის 15 ოქტომბერს გმირულად დაიღუპა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში და დაკრძალულია იქვე, გომელის ოლქის, ვეტკის რაიონის, დაბა ბესიდიში. იგი იყო ბელორუსიის ფრონტზე გენერალ პოდოლსკის ადიუტანტი. ხოლო ცეცხლის მეორე მხარეა ბატონი სერგოს უფროსი ვაჟიშვილის, ახალგაზრდა მწერლისა და ჯარისკაცის ჯამბულ წურწუმიასა და მისი, 23-ე ბრიგადის, მე-5 ბატალიონის 106 თანამებრძოლის, 1992-93 წლების აფხაზეთის ომში, კოდორის ხიდთან, გმირულად ბრძოლისა და თავდადების ამბავი.

ამ ამბის გამო ბატონი სერგო ჩაეწერა საქართველოს ჭეშმარიტ, სამშობლოსათვის შვილშეწირულ მშობელთა კოჰორტაში და ასეთები სამწუხაროდაც და საამაყოდაც ძალიან ბევრია, ასეთებია-გიორგი სააკაძე, მემედ აბაშიძე, იოსებ სტალინი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ მიშველაძე,ლევან თედიაშვილი,თამაზ ჭელიძე და სხვა.

ბატონმა სერგომ შექმნა და გამოსცა ძალზედ საინტერესო და ღრმა ფილოსოფიური აზროვნების წიგნები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, დეტექტიური ჟანრის თითქმის 500 გვერდიანი წიგნი დასახელებით „ოპერაცია გრიფონი“.

2018 წლის 5 იანვარს, მან ამ წიგნის ერთი ეგზემპლიარი, თავისივე ავტოგრაფით, საჩუქრად მიართვა, დაბადების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია-მეორეს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბატონ სერგოს ამ წიგნისა, საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე გაწეული ამაგისა და ღვაწლისათვის და მას „საქართველოს მემატიანე“ უწოდა.

მიუხედავად პირადი თუ საზოგადო ტრაგედიებისა ბატონი სერგო წურწუმია არ გაბოროტებულა, პირიქით ყოველთვის ხმამაღლა აფიქსირებდა თავის ურყევ პოზიციას, რომ საჭირო იყო საერთო ენის გამონახვა და ურთიერთმიტევების საფუძველზე, შერიგება ორი სისხლით მონათესავე ერის, ქართველთა და აფხაზთა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, ქვეყნის გაერთიანება, დევნილთა თავიანთ მამა-პაპისეულ სახლებში დაბრუნება და მშვიდობიანი თანაცხოვრება. ამ იდეის განსახორციელებლად მან თავის თანამოაზრეებთან ერთად 2005 წელს დააფუძნა ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“ და 2011 წლიდან უნარიანად უძღვებოდა ამ კავშირს პრეზიდენტის რანგში. ის ყოველთვის აქტიურად და უშურველად ეხმარებოდა და გვერდში ედგა, როგორც დევნილ მოსახლეობას, ასევე ყველა გაჭირვებულსა და უპოვართ, როგორც მორალურად და სამართლებრივად, ასევე მატერიალურად. მისი უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით ეწყობოდა და ტარდებოდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება-შეხვედრები, პრეზენტაციები, საიუბილეო საღამოები, შერიგების გადაძახილები და სხვა. ე. წ. „აფრიკის“ დასახლებაში ჯამბულ წურწუმიას ქუჩის დასაწყისში მოეწყო 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის, აფხაზეთის 1992-93 წლების ომში, გმირულად დაღუპულთა, 106 მებრძოლის მემორიალური კომპლექსი. ანალოგიური კომპლექსი მოეწყო აგრეთვე, იქვე ახლოს, ბატონი სერგოს უშუალო მონაწილეობით აშენებული, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის ეკლესიის ეზოში, ქონგურებიან გალავანთან, სადაც გაკეთებულია „უკვდავების ბილიკი“ და გახსნილია „ბრწყინვალების ვარსკვლავი“, საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილთა უვდავსაყოფად.

მიმდინარე 2020 წლის 18 თებერვალს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, №94-ე საჯარო სკოლას მიანიჭა აფხაზეთში 1993 წელს გმირულად დაღუპული, 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის მაიორის, ახალგაზრდა მწერლისა და მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერის, ბატონი სერგო წურწუმიას უფროსი ვაჟიშვილის ჯამბულ წურწუმიას სახელი, რითაც ბატონი სერგო ძალზედ გახარებული იყო, რამეთუ ახდა და აღსრულდა ბატონი ჯამბულ წურწუმიას წინასწარმეტყველური, ლექსად ნათქვამი სიტყვები 1993 წლის 12 სექტემბერს, დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე. საქმე იმაშია, რომ ამ დღეს კოდორის ხიდთან, სადაც საბრძოლო პოზიციებზე იმყოფებოდა 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონი, მეომრების მოსაკითხად და გასამხნევებლად მივიდა,მაშინდელი აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ჟიული შარტავა, რომელმაც მწყობრად მოწყობილ ბატალიონის მებრძოლებს ჰკითხა თუ როგორი განწყობა იყო მათ შორის. მწყობრიდან ხელი აღმართა ჯამბულ წურწუმიამ და ხმამაღლა, ომახიანად შესძახა: „ვინ დააჩოქებს კოდორის ბოკვრებს, მამა-

პაპათგან ბრძოლებში ნაჩვევთ, სამშობლოსათვის იქნება მოვკვდეთ და მაინც მარად ცოცხლები დავრჩეთ“!

ჭეშმარიტად, კოდორის ხიდთან გმირულად დაღუპული ჯამბულ წურწუმია და მისი თანამებრძოლები ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევიდნენ როგორც ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს თითოეულ ქართველსა და სრულიად საქართველოს ყველა მოქალაქეს, საკუთარი სამშობლო და მიწა-წყალი. არავინ და არაფერია დავიწყებული, ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა სულები, ამინ!

მიმდინარე და უახლოეს პერიოდში მას მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა მან მოულოდნელად მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ჩვენ ყველანი ვგლოვობთ ამ დიდ დანაკარგს.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია-მეორის ლოცვა-კურთხევით, ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი სერგო წურწუმიას წმინდა სული. ამინ!

დიდი წუხილითა და უღრმესი პატივისცემით,

(ხელმოწერები ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, წევრებისა და აქტივისტების, სულ 167 ხელმოწერა)

* * *

პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი ლექსით გამოხატავს, ბატონი სერგო წურწუმიას გაარდაცვალების მწუხარებას:

წავიდა, გაყვა ტკივილი მიწის, აფხაზეთის და სამაჩაბლოსი,
შვილის სიმწარეც იქიდან იცის, ჯვარცმა, გოდება, საქართველოსი.
რა არ უნახავს, სად არ ყოფილა, სვანეთის მთებში, კვნესა, შიმშილი,
საშველი მაინც არსად ყოფილა, მწარედ ბრუნავდა ბედის წისქვილი.
მიდის იქ, სადაც სამართალია, სადაც დახვდება, აზრთა გამრიგე,
ახლა მას ჩვენთვის აღარ ცალია, მადლს ცის სახლიდან კვლავ დაარიგებს.

ვანო მეგრელი-პაპავა

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“ და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია იუწყება ღირსეული მამულიშვილის, აფხაზეთიდან დევნილი მწერლისა და პოეტის, ამავე აკადემიების აკადემიკოსის ღვაწლმოსილი პიროვნების, მრავალი პოეტური თუ მეცნიერული წიგნების ავტორის, ვანო მეგრელი-პაპავას გარდაცვალებას.

წავიდა სამშობლოს ტკივილებით გულდამწვარი, ეროვნული სულით ამაღლებული, მეგობრების ერთგული და თბილი პიროვნება.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას სამარადისოდ!

მილოცვა

იუბილეს ვილოცავთ

გულნაზ ხარაიშვილი

და აი, 2020 წლის 5 მაისი ჯერ გამობრწყინდა, შემდეგ კი დაისის მზეს წაყვა და გაუჩინარდა. მილოც – მოლოცვებში დღე ისე დაღამდა, ვერ გავიგე. ვინც ჩემთვის თბილი სიტყვა დახარჯეთ და დრო დამითმეთ, გლოცავთ. გჯეროდეთ, დაა-კვირდით, მადლი კარგა ხანს გაგყვებათ. ღვთიური მადლი, ზეციური პოეტის დაფასებისათვის.

Avraham Paata Yosef

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

პოეტს, ჯუმბერ ლეჟავას სახელმწიფო მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ

"ა თ ი ნ ა თ ი ნ ი ს "

რედაქტორს, საოცარ ადამიანს, ტკბილენიანს და გულთბილიანს, ხალხის მოყვარულს და მათი სულის გამმზიანებელს, გილოცავთ

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს დ ღ ე ს !

მსურს ახლო წარსულში მიმოწერის ეს მშვენიერი დიალოგი გავიხსენო

ბ ა ტ ო ნ ო პ ა ა ტ ა

ჟუენალი ,,ათინათი,, რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის გამოვიდა, ამ მძიმე ჟამს მოვახერხე, სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი

საერთაშორისო აკადემია მადლობას საჯაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ

მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს

ბატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, რომ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგეცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.

მიხარია, რომ სიტყვა მეთქმის ისეთ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მეამაყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა

გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ მ ა !

ქალბატონო გულნაზი, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალებას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს გაწეულ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!

თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში გაწევრიანებით და მისი დიპლომით დაჟილდიებით მომანიჭეთ, დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

ასე მოგწერეთ პასუხი:

ქალბატონო გულნაზი, უკეთილშობილესო ადამიანო, შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ, ბევრს, ძალიან ბევრს აკეთებთ ჩემთვის, უღრმესი მადლობა!

მადლობას ვუხდი ძვირფას ქალბატონს, უსაყვარლეს მეგობარს, პოეტს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, სპეტაკ ქალბატონს, მაყვალა გონაშვილს, რომ ჩემში დაინახა ღირსეული ადამიანი, რომელიც შეეფერება იყოს თქვენი აკადემიის დიპლომირებული აკადემიკოსი, რისთვისაც მიგითითად ჩემ დაჯილდოებაზე!!

გმადლობთ ძვირფასო ქალბატონო!

გფარავდეთ უფალი!

ქ-ნო გულნაზი, გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მრავალ შემოქმედებით წარმატებებს და დასახული მიზნების განხორციელებას!

მომავალ შეხვედრამდე!

თქვენდანი ღრმა პატივისცემით, უსაზღვრო სიყვარულით და თაყვანისცემით:

აბრამ პაატა იოსებაშვილი

საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!

საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში!

Madona Dvali
ვუერთდები მილოცვას,ურყევი ჯანმრთელობა ქალბატონ გულნაზის!

Natali Chelidze
გილოცავთ ქალბატონო🖤
იხარეთ, იდღეგრძელეთ 🖤
იბედნიერეთ ... ემრავლოს სამშობლოს ასეთი ადამიანებით🖤🖤....

იანელ კოჭლამაზაშვილი

Sazogadoeba Poezieli

დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და სრულუფლებიანი წევრი!

4 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიების წევრი თქვენი აკადენიის ჩათვლით!

პროფესორი აკადემიკოსი!

არქიტექტორი!

Ugulava Naira

ადამიანების სულში ბოლომდე ჩამწვდომო, სხვისი ტკივილების გამზიარებელო, საზოგადო საქმისათვის თავდადებულო, ერის ქომაგო და მოამაგევ, გონიერო, ბრძენო და მისაბაძო ქალბატონო, გილოცავ იუბილეს! გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს – პირად და შემოქმედებით წარმატებებს 🖤

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ქალბატონ გულნაზის

ვერ ვპოულობ იმ სიტყვებს
რომ შენ მოგესადაგოს,
მილოცვაზე პასუხი
თავად ამ ლექსმა აგოს.
მსგავსი მცირე სტროფებით
ივსები, არც იწყები,
მე ის ვიცი არასდროს
რომ არ დამავიწყდები.

Ramaz Abesadze
გილოცავთ, მრავალ დაბადების დღეს და გიორგობას დაესწარით!

Nino Qavtaradze
დიდი პატივისცემით, სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს🖤 უფალი იყოს თქვენი მფარველი🖤

Iza Kvanchilashvili
გილოცავთ დაბადების დღეს საუკეთესო სურვილებით.სიკეთეს და ბედნიერებსა ებარებოდთ თქვენს ძვირფას ადამიანებთან ერთად.

Nazibrola Qobalia



Tengiz Bezhashvili
🤍 მოგილოცავთ!

ციური ხუჭუა
ჩემს უსაყვარლეს ადამიანს,
მეგობარს, შესანიშნავ პოეტს, მწერალთა კავშირის გულს, მრავალი წიგნის ავტორს, თანამედროვე აკადემიის დედას – გულნაზ ხარაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.
დაე, ბედნიერებით და სიხარულით სავსე წლები შეგმატოთ უფალმა მისი წყალობით, შემწეობითა და მფარველობით.
მიყვარხართ და მიხარია რომ არსებობთ

Eliso Jmuxadze
გილოცავთ ქალბატონო გულნაზი. უფალი შეგეწიოთ!
ანანო ხუჭუა
გილოცავთ ქალბათონო გულნაზ . ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ცხოვრებაში . ძალიან მიყვარხართ 💜💜💜

Nikola Bagashvili
დე-პოეტ გულნაზ ხარაიშვილს ----დე,გილოცავ დაბადების დღეს -
ულევი სიხარულები და ბედნიერება , გაიხარე!
ვ ი დ ე ო — მ ი ლ ო ც ვ ა ----

Gulnazi Kharaishvili

ნიკო ბაღაშვილს კიდევ არ ვიცნობ. არ ვიცი, ვფიქრდები რა გაუკეთე განსხვავებული, არც არფერი. მერე ფიქრის შემდეგ თვითონვე ავხსენი ერთი რამ. ტკიოდა,? მოუსმინე... ეწყინა ? დავამშვიდე... შევპირდი? არ მოვატყუე. განა თითეული ადამინისთვის ასე არ გამიკეთებია? პასუხი ერთია, ყველა არ დაინახავს. ნიკო ბაღაშვილი ერთი ალალი , ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც თუ იკადრე, ისე აატრიალებდი, როგორც პატარა ბავშვი. ჩემგან მიიღო დედაშვილური დარიგება, და დღეს ის საკმაოდ დაფასებული და სახელგანთქმული პიროვნებაა. მადლობა შვილო, ნიკო ყველაფრისათვის, შენ გელასნაირი სითბო შემოგაქვს და სცოცლეს მაყვარებ.

ციური ხუჭუა
შესანიშნავია

Temur Gogsadze
დღეს– მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პოეტის,სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით სავსე ქალბატონის, რაც მთავარია, ჩემთვის დედის ენერგეტიკის მატარებელი– გულნაზ ხარაიშვილის იუბილეა!
ვლოცავ და ვეთაყვანები!
უსაზღვრო სიყვარული, ჩემგან!🖤🌹🍷

Nestan Gogsadze

თემო გილოცავ

თამარ მეტრეველი
ვულოცავ დაბადების დღეს, კეთილი სურვილებით

Miranda Khodelidze

June Bicadze
ძალიან თბილს,მოსიყვარულე და საიმედო ქალბატონს ვულოცავ დაბადების დღეს.ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცლეს ვუსურვებ საქართველოს საიმედოდ.მიყვარხართ

Gulnazi Kharaishvili
ჯუნა ბიწაძე ხუთი შვილის დედაა, მას იმხელა დიდი თბილი გული აქვს, მეც გადმომწვდა ,და მომილოცა იუბილე. მადლობა ჯუნა საყვარელო.

Katerina Kiladze
..და გვედრი ღმერთო მიცოცხლე ქალი, სათნოების და სიკეთის დედა!🖤 დაბადების დღეს გილოცავ ჩემო დეიდა

Gulnazi Kharaishvili

(ცისკარელი)! პ.ს ქნ. ეთერ ჭელიძე უღრმესი მადლობა ამ შესანიშნავი სტრიქონებისთვის!🩶🩶🩶

Eteri Chelidze

დაბადების დღეს გილოცავთ, ქალბატონო გულნაზი! ჩვენი ურთიერთობის არცთუ ისე ხანგრძლივმა პერიოდმა ნათლად დამანახა რომ შესაძლებელია ცხოვრების უკუღმართი მედისწერის მიუხედავად,დარჩე ისეთ ადამიანად, მეგობრად, დედად, ქართველ ქალობის მაგალითად, როგორიც თქვენ ხართ!!!

...

ცხოვრებამ, ჭირხლის უღელში შებმულს
მოგახრევინა ვერასდროს მუხლი,
დღეს ანაფორა შემოხვეული
შენს დამბადებელს მადლობას
ვუხდი!
და ცისკენ ვიშვერ ღაღადით ხელებს
ღმერთო! რა ძალა შთაბერე ნეტავ?!
რომ უდიდესი ტკივილის დარად,
იყო და არის რამდენის დედა!
ბოლთა ნაცემი გოგმანობს ქარი,
ნისლივით ბოლავს წარსულის სევდა,
და გვედრი ღმერთო!
მიცოცხლე ქალი,
სათნოების და სიკეთის დედა!!!
ეთო

Gulnazi Kharaishvili
რაა ბედნიერება? ეს არის ბედნიერება, ასეთი სიყვარული თითელი პიროვნებისგან. უფალმა დაგლოცოთ. შენ კი, ხათუნა, დეიდას ძალიან უყვარხარ.

Nana Sheyiladze
მრავალი დაბადების დღე გაგითენოთ უფალმა დაიკო გულნაზ 🩶🩶🩶🩶🩶🩶🩶🩶

ლ ე ქ ს ი ს ა კ ვ ა ნ ი
დღეს იუბილარია ძვირფასი ქ-ნი
გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი
(პოეტი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადამიის ხელმძღვანელი, ჟურნალ ათინათის რედაქტორი და მრავალი სხვა)
ლ ე ქ ს ე ბ ი

გათენდი

გათენდი, ხუთო, მაისო,
გათენდი, ვიგრძნო სითბო...
არსად ჩანს შუქი მთვარისო,
ნეტავი ხომ არ ითოვს.
დაგეგმილ ამ დღის საღამოს,
უნდა მწვეოდა ხალხი.
ფიქრებო, აღარ დამღალო,
შენ მუდამ მგზავრად მახლდი.
ხუთ მაისს უფლის წყალობით,
ველოდი ყვავილთ თოვას...
გზა ვკაფე წვალებ– წვალებით,
სევდამ კვლავ ხელი მთხოვა.
სიხარულს სხვისას ვერგები,
ვიხდენ ვით როგორც ჩემსას...
დავრგე, ვახარე, ნერგები,
ნაყოფიც გამოესხათ...
სახლში ვარ, ახლა რა ვიცი,
ჩაკეტილ სივრცეს, ვართობ...
ვდარდობ და ვეღარ დავიცდი,
ვგრძნობ უკვე ამას ვატყობ.
მომნატრებია შვილები,
დიდი პატარა ყველა,
გულით არიან თბილები,
კახა, სერგი და ბელა.
ჩემს სითბოს, ვიცი ელიან,
აკადემიის დედას...
განა ეს ისე ძნელია,
ყველაში ჩემს შვილს ვხედავ.
ჰო, და ხუთ მაისს ველოდი,
საჩხერიდანაც სტუმრებს,
გაგიკვირდებათ მღეროდი,
ლექსებით განვიკურნე...
ახლა, მარტო ვართ ფიქრებო,
დავემორჩილოთ კანონს,
როგორ ხართ მთათა ირმებო,
როგორ ხარ, ჩემო ხვანო???

დღე უფერული

დღე უფერული და უღიმღამო,
მიდის და უკან არც იხედება...
მოვა ღრუბელი კვლავ ამ საღამოს,
ჩემს და ძილს შუა გაიხიდება...
დღე არ ფუსფუსობს, დუმს ძველებურად,
არ ჟრიამულობს ქუჩის ბიჭები,
არ ჩანს გიორგი, არ ჩანს ჯამბულა,
გული გამიხდა დანაჯინჭრები.
ვირტუალური გახდა ცხოვრება,
იმედი უკვე კბილით მიჭირავს,
ვერ გამიგია, რას იფხორება,
მსოფლიოს სახრე გადაუჭირა.
რობოტივით ვარ სხვისი სამართი,
გულის ისრები ავიდ-ჩვიდა,
უნდა გავიგო მზის მისამართი,
იქნებ ამიხსნათ საით წავიდა?

გაათენე

გაათენე, ღმერთო, მშვიდად გაათენე,
რომ ცეკვავდეს, ძველებურად ცისკრის დილა...
ეს, ღრუბლები ერთიანად გადათელე,
თორემ დარდმა,
მზეს საერთოდ გამაცილა.
გაათენე, დაჟანგდება, სახნისები,
აპეურში შებმა მინდა წყვილი ხარის...
ისევ ცივა, ამ ყინვაში
გავსხვისხდები,
დაჟანგდება,
დაბლაგვდება, დედო ზარი.
გაათენე, დღეს,
იმედი არ დააკლდეს,
ისევ უნდა იყვავილოს, ჩემმა ფესვმა...
არც არავის, შვილი მტერსაც არ მოუკდეს,
არასოდეს, დედის კვნესა არ მომესმას.
გაათენე, იზეიმოს, ჩემმა გულმაც,
დედამიწა დააბნელა, ამ შავებმა. ცდება ქარი,
თუ სუსტ ქალად დამიგულა,
მიტომ ვდუმვარ
არ ვიკადრებ, რომ შევება.
გაათნე, გულის ეზო ახმაურდეს,
სახლის ჭერზე,
დავინახო მეცხლის ბუდე...
ყინვის ლოდზე,
ურემი არ გადაბრუნდეს,
ღმერთმაც ნუ ქნას,
მერცხლები არ დამიბრუნდეს!

დავიძინო?

დავიძინო? კი ბატონო თვალს მივლულავ,
ფიქრი მაინც აბდა– უბდა ხეტიალობს,
რას ხმაურობს ნეტავ ხვანში იქ ძირულა,
ნეტავ ძერა, თავზე ხომ არ დატრიალობს...
დავიძინო? ძილი რომ არ მეკარება,
სად არ ვწდები, ვინ ვიდარდო აღარ ვიცი,
აი, ამ დროს ჩემი მტერიც მებრალება,
მასზეც ვფიქრობ, დამიჯერეთ და განვიცდი.
დავიძინო? კი ბატონო დავიძინებ,
მხოლოდ დილა
გამითენდეს ჟრიამულით,
ღმერთო, ამ გულს
დარდით ნუღარ დამიმძიმებ,
მტერ– მოყვარე,
ერთად ვნახო მხიარული!

საზოგადოება პოეზიელის სახელით
გილოცავთ დაბადების დღეს, ქ-ნო გულნაზი,
გისურვებთ როგორც პირად ასევე კიდევ
მრავალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს !
პატივისცემით
საზანოელი.
05.05.2020 წელი.

Gulnazi Kharaishvili
ჩემო კუთხის შვილო, როგორ მახარებ, არვიცი
რით გადგიხადო, ეს ყურადღება. ვიფიქრე,
ვიფიქრე და გადავწყვიტე, სახალხოდ
ვაცხადებ, აკადამიაში მიგიღებ და დედობრივი
მზრუნველობა, ჩემგან ყოველთვის გექნება.

Sazogadoeba Poezieli

Gulnazi Kharaishvili
მადლობთ..
წარმატებებს გისურვებთ..
თქვენთან კი დიდი პატივი იქნება..
გაიხარეთ

თორღვა ანატორელ-თიღილაური
გილოცავთ!
Xatuna Tabatadze
გილოცავთ კეთილი სურვილებით🖤

თამარი შარიქაძე
ქალბატონო გულნაზი გილოცვთ ჯანმრთელობას და დღეგძელობას გისურვებთ, უფალი იყოს თქვენი დიდი ოჯახის მფარველი.

Bagater Arabuli
გილოცავთ!!!
სულ გ ა ი ხ ა რ აიშვილეთ!!!

თეთი-თინათინ ორბელიანი

Madona Dvali
ვუერთდები მილოცვას,ურყევ ჯანმრთელობას ვუსურვებ ქაბატონ გულნაზის.

ნელი ხარაიშვილი
ქალბატონო გულნაზი გილოცავთ თქვენს დღეს ღმერთმა მოგცეთ ჯამრთელობა თქვენს საყვარელ ოჯახთან და თქვენთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად გფარავდეთ უფალი🌹🌹🌹🌹🎉🎉

Lazashvili Lali-Elene
დიდი სიყვარულით ვულოცავ ქ ონ გულნაზს ამ ლამაზ დღეს და ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს.💚💚💚

Nana Sheyiladze

Nana Sheyiladze
გულნაზზი გილოცავთ იუბილეს ,საუკეთესო სურვილებით.

ზეინაბ მეტრეველი
ვულოცავ და დღეგრძელობას ვუსურვებ!

Nani Xaraishvili
ილოსავტ კსლბატონო გულნსზ ტკვენს დგეს გმერტმა მოგცეტ ჯამრტელობა დს დიდხანს სიცოცხლე ტკვენს კეტილ საკმიანობასტან ერტად

Nomadi Bartaia
გილოცავთ, ქალბატონო გულნაზი, იხარეთ!

Marina Xaraishvili
გილოცავთ იხარეთ მუდამ

Gulnazi Kharaishvili
მადლობა ჩემო ლამაზო, სისხლო ჩემო.

ეკატერინე ციცქიშვილი
გილოცავთ საუკეთესო სურვილებით!🖤🖤🖤

ეკატერინე ციცქიშვილი

Gulnazi Kharaishvili
ეკა, გაიხარე ჩემო ლამაზო.

Manana Kordzakhia

Nana Charkviani
გილოცავთ ჩემო ძვირფასო ქალბატონო 🖤🖤🖤

Lamzira Sheyiladze

იუბილეს ვულოცავ

ერის და ბერის საამაყო მამულიშვილს
ქალბატონ, გულნაზ ხარაიშვილს.
უსამართლობას ვერ უზავდები
შენ, დაიბადე მაისის თვეში
ვარდი ისხარი, სულთა საამო.
გამოწრთობილი წარსულის ცეცხლში,
გწადს, სიყვარული ერში დაანთო.
დაგაქვს მადლი და უფლის დიდება,
ვერ გიმორჩილებს ცივი ზამთარი,
ხარ გულმოწყალე და დიდი დედა...
ყველას ტკივილის თავშესაფარი.
როცა სამშობლო გასაჭირშია,
ყელს გებჯინება მწარე დარდები.
ვერ იტან ცრუთა ორპირობას და
უსამართლობას ვერ უზავდები...
პოეტს სხვა– გვარად გტკივა სამშობლო,
ღვინოს, კი არა ლექსს ეძალები.
ხარ წუთისოფლის უმძიმეს ომში,
მხნე ვაჟკაცივით შეუდარები.
და შენს მამულის კვარცხბეგზე დგეხარ,,
მავთულხლართების ყურება გიწე..ვს.
მუდამ სიმართლის ძიებაში ხარ.
სევდით გაჰყურებ დაპყრობილ მიწებს...
გულდაკოდილი ხარ მრავალ მხრივი,
გელას უდროოდ წასვლამ შეგცვალა.
მას შემდეგ გულში არ გიდგას დარი.
შენში მაისმა ფერი იცვალა...
გულთა სამზეოდ, სულის მეგზურად
შეკრიბე, ნორჩი ათინათები.
არ დაემონე დარდ-მწუხარებას,
შვილებადა გყავს ახალგაზრდები.
ირგვლივ მყოფები დედად გიაზრებთ
შენც, დედასავით გვესაკმევლები.
ამ დაუნდობელ ჟამთა სრბოლაში,
ლურჯ მწვერვალებზე აგვიგე მთები.
დაუდგრომელი სულისკვეთებით,
გულში წყვდიადი გაგვიმზიანე.
ღამენათევი, უებრო შრომით
შენ, გახდი ჩვენი მემატიანე...
ღმერთმა დაგლოცოს ჩვენო გულნაზი,
ქალი კი არა...მზე ხარ ნათელი.
ქორონიკონებს გაალამაზებს,
შენი ღვაწლი და შნი სახელი...
დიდი სიყვარულით და პატივის ცემით შენი,
სულიერი და ლამზირა შეყილაძე.

Gulnazi Kharaishvili
გენაცვალე ლამზოოოო.

Lamzira Sheyiladze
ეს ადამიანი ჩემთვის უძვირფასესია, არა მარტო ჩემთვის ყველას ნაცნობ, უცნობებს უანგაროდ გვინაწილებს სითბოს და გულწრფელ სიყვარულს ამ გაუტანელ წუთისოფელში გვაძლებინებს თავისი მზრუნველობით. მე საერთოდ უბედური ვარ, მაგრამ იმით ბედნიერი ვარ, რომ მყავს სულიერი და რომელმაც ჩემი ჩანაფიქრიც კი იცის... მთელი გულით ვუსურვებ ჯანმრთელობას და უამრავ ბედნიერებას.

დავით იოსებაშვილი

შენ გაგიმარჯოს, ქართველო- ქალო!...
გაზაფხულივით, ლამაზი ხარო..
დაუცხრომელო და მოელვარე
დაუშრობელო, სიცოცხლის წყარო..
საქართველოის სვეტო- ცხოველო,
მისთვის ათსჯერ - მსხვერპლო-ტარიგო..
იდუმალება შენი გულისა,
ვერცერთმა მტერმა, რომ ვერ გაიგო...
ჯადოსნურ ფერთა გალობავ,
ატმის ყვავილში აფეთქებულო...
შენ გაგიმარჯოს ქართველო ქალო!
სიყვარულის და მუზების ქარო...
ყველა ყვავილი მინდა მოგიძღვნა.
შენ საფიცარო, ქართველო ქალო.

Lamzira Sheyiladze
მადლობა ჩვენო უთბილესო და უსათნოესო მენატრები.

Vanda Gamezardashvili
ვულოცავ გულნაზი დეიდას დიდი სიყვარულიტ და პატივისცემიტ,ნამდვილად ეს ის ადამუანია ვისაც ყოველტვის აზლიერებს,არასოდეს დამავისყდება ტქვენი გვერდიტ დგომა,ჯამრტელობას და ყოველივე კარგს გისურვებტ

LaLi MtchedLidze
სიკეთით,უბრალოებით ,ადამიანობით გამორჩეულს ვულოცავ და ვისურვებ ,თავად რომ ოცნებობს,ის მომავალი ჰქონდეს!

სერგი ლომაძე
ლამზო, შენც და მთელს აკადემიასაც გილოცავთ ჩვენი დიდი ადამიანის – ჩვენი გულნაზის – სამოცდაათი წლის იუბილეს!.....

Gulnazi Kharaishvili
ჩემო აკადემიის სულის შვილებო, შემოგევლეთ.

Tamar Jachvaze
გიერთდები ლამზირა, მიყვარხართ შენ და გულნაზი დღევანდელი დღე სულ სხვანაირი სიყვარულით მისალოცია.. გაიხარე გულნაზი, მომავალ წლებში გაგახარებთ ღირსეულად!

Tamar Jachvaze

Eteri Chelidze
ხალისიან და ბედნიერ წელთა მატებას გისურვებთ უძვირფასესო ქალბატონო

Lela Basilashvili
გილოცავთ იუბილეს ქალბატონო გულნაზ!

Lika Bitsadze
გილოცავთ დიდი პატივისცემით

Sazogadoeba Poezieli
გილოცავთ

Tekla Gvelesiani
ვულოცავთ საუკეთესო სურვილებით

Nana Sheyiladze
გულნაზი გილოცავთ იუბილეს ,მუხასავით მედგრად იდექი საქართველოს სადარაჯოზე , ნინიმ მეათე შვილად მიგიღო ,ხარ საუკეტესო და გვეიმედები ,მრავალჟამიერ , გვიყვარხარ .

Shorena Kiladze
შესანიშნავი ლექსია

Rusudan Sirbiladze
გილოცავთ ქალბატონო ლამზირა ასეთი საუკეთესო მეგობრის და სულიერი დის დაბადების დღეს! ერთად იყავით ჯანმრთელად მუდამ. შეგეწიოთ დედაღვთისმშობელი.

ცირა ბულაშვილი
რა ზუსტად შეუფერე ლექსი, ჩემო ნიჭიერო კალმოსანო

Zina Gvelesiani
დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვუერთდები მილოცვას. ღმერთმა ადღეგრძელოს ეს საოცრად დიდბუნებოვანი, სათნო ქალბატონი

Natela Xaraishvili
რა დიდი სიამაყითა და სიამოვნების ღიმილით კკითხულობდი ამ ლექსს, ბოლოში რომ ჩავედი, მაშინ შევამჩნიე ეს განცდა საკუთარ თავს, მართლაც რომ დიდი ავტორიტეტი და მებრძოლი სულის დაუღალავი ცოცხალი წიგნი ზარ, ქალბატონო გულნაზი ერის სიმტკიცედ და საიმედოდ. იცოცხლე დიდხანს და ჯანმრთელად. დაგლოცოს დედაღვთისამ, ლამზო, ესაა მეგობრობა, გულიანი მოფერება ლექსად.მე ვუერთდები და ვიზიარებ ამ ლექსის შინაარსს.🖤🖤🖤🖤🖤ეს გულები ჩემგან ორთავეს!

Aneri Kiladze
უღრმესი მადლობა თქვენ ძვირფასო ქალბატონო ჩემი დის ასეთი თბილი და გულში ჩამწვდომი სიტყვების გადმოცემისთვის გული ამიდუღდა🖤🙏🙏🙏

Leila Gafrindashvili
Neli Maziashvili
უთბილეს და უსაყვარლეს ქალბატონს ღრმა პატივისცემით და დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს!🖤🖤🖤

ქეთი მაზიაშვილი და გულნაზ ხარაიშვილი

Cico Shakaia
დიდი სიყვარულით, პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით გილოცავთ ქალბატონო გულნაზი.

ნაზიბროლა გახოკიძე-ჩიხლაძე

Nati Mchedlidze
გილოცავთ 🕯🕯🎂🎂

Nineli Goginashvili Xaraishvili
ძვირფასო ქალბატონო გილოცავთ იუბილეს საუკეთესო სურვილებით გფარავდეთ უფალი

რა შემიძლია
(თამარ გველესიანს, მამა ამირანაშვილის მეუღლეს)

რა, შემიძლია, ლოცვების მეტი,
მაისელები მინდა დაგლოცოთ,
გინდ იყოთ ბევრი და თუნდაც ერთი,
მოგეხვევით და უნდა გაკოცოთ.
გაუღიმილებთ, გაზაფხულს როცა,
გულს გამოილღობთ,
ნათოვს და ნაყინს,
მაისს აჩუქებთ ფიქრების კოცნას
და სიმღერებით ცის ჭერსაც აყრით.
თვე ახლა დადგა, ვარდის ფერებით,
ყვავილთ სურნელი ბუნებას ათრობს,
დღეს ყველა თამარს მივეფერები
უყვარს და...
გრძნობას არასდროს დათმობს.
მამა ამირანს მეუღლეს კრძალვით,
თამარს ლამაზს და ტანით ნარნარას,
შეხედავ, იტყვი, ეს, არის ქალი,
დიდთან დიდია, ზოგჯერ პატარაც.
დალოცვის მეტი, რა შემიძლია...
დღე გაუთენოს სიკეთის ღმერთმა.
მისი სულია, წმინდა ბიბლია,
ვლოცავ, დაბერდეს,
ჩემს ძმასთან ერთად!
გულნაზ ხარაიშვილი(ცისკარელი)

(მამა ამირან ამირანაშვილი დად მაღიარებს, ამიტომაა, ლექსის დაბოლოვება ასეთი. ვლოცავ დაბერდეს ჩემს ძმასთან ერთად)

მზია მახათაძე

ირაკლი გოცირიძე
ღმეთმა დაგლოცოთ,
გაგაძლიეროთ,
გაბედნიეროთ მრავალჟამიერ 💚💚💚

Leila Gafrindashvili

გილოცავ

სიყვარულის სხივით "ათინათობ"
"ძირულას" ღიღინში გაზრდილხარ,
ქალური ღირსებით, ერთგულებით,
სიმშვიდით, ამაყად დადიხარ!
"შევერკინეო და შემერკინა",
კალმით უმკლავდები ღამეებს,
"დანაჯინჭრებ გულს" ფიქრებში მალავ,
ლექსით, "მზის მისამართს" დაეძებ.
ჰოდა, გიპონვია მზის ნათელი,
სითბოთი გადაწვდი სამყაროს,
მეგობრობის მადლი ვამზიანოთ,
ვიდრე, ზეციურმა გაგვყაროს.
დაბადების დღეს მოგილოცავ!!!
ლექსმა მწვერვალებზე გატაროს!

Leila Gafrindashvili
გული, ხუთ მაისს დავასწარი და მოგილოცე, ალბათ გულმა ასე ინება!💚💚💚
Maia Tkemaladze
💚💚💚🌟🌟🌟ვურეთდები მილოცვას, მაგრამ, ნამდვილად დღესაა?! აი, მზის ვარდი, მზისგულა ქალბატონს!

Maia Tkemaladze
ეს ლექსის მზისგულა ავტორს!

Gulnazi Kharaishvili
მაიკო, არა შვილო, ხომ იცი იმერელია ქალბატონი ლეილა და ყველას დაასწრო, მადლობა ყველას ჩემო ძვირფასებო, გულს რომ მითბობთ.

Lamzira Sheyiladze
ჯერ ხუთი ხომ არ დამდგარა, ნახე როგორ ავხმიანდეთ. წინასწარ გილოცავ.

Eteri Chelidze
ბევრი მოფერება და სიყვარული დაგებედება 5 მაისს💕💕💕

ლალი გონგლიაშვილი

ნელი გიუნაშვილი

გულნაზ ხარაიშვილის იუბილე

საქართველოში საქართვლოს დაბადებული
გულში ანთებულ სიყვარულის უქრობი ალით,
სიტყვის მახვილით დაუღლელად ამორძალივით,
ქვეყნის სვებედზე მოუღლელად მებრძოლი ქალი.
ქალი დედა და ქალი ბებია, ქალი პოეტი,
ქართული სიტყვის დიდოსტატი და პრეზიდენტი,
მამულზე ფიქრით, მისი ბედით შეწუხებული,
გამოსავალი გზების მძებნი და მოქადაგე,
პირადი ბედის, პირადი სევდის განზე გამწევი
და თვის მამულის მძიმე ხვედრზე გულში მტირალი.
ფარხმალს არა ჰყრის, გზას მიგივკვლევს უკვალავ თოვლში,
და სიყვარულის ყვავილებით გვირთავს ბილიკებს.
თავის გარშემო სიყვარულის გვიქსოვს აურას,
მოსისხლე მტერსაც მოყვრადქცევას უპირებს გულით.
ნაზი გული აქვს, მიტომ ჰქვია ალბათ გულნაზი,
და მძიმე ტვირთის საზიდავად ღმერთმა უბოძა
დედაბოძივით მტკიცე გვარი – ხარაიშვილი,
დღეს ამაგდარის იუბილე სიხარულსა გვგვრის,
კიდევ მრავალჯერ მოგველოცოს მრავალი თარიღი,
დიდხანს იცოცხლე, იმოღვაწე ქვეყნის სალხენად,
და მეგობრების სიყვარული ფეხქვეშ გაგეგოს,
ფიანდაზად და საქართველოს გადასარჩენად!

05.05.2020.

ეძღვნება ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

გაგიცანი, სიყვარული გამიჩნდა,
შეხვედრისას ოცნებები ამიხდა,
აფრქვევ ყველას ალერსსა და სიყვარულს,
ცხოვრებაში არ იტოვებ სინანულს.
ყველას გინდა უთანაგრძნო დროულად,
გაუკვალო გზები ამავდროულად,
ამ ცხოვრებამ გული რატომ გატკინა,
დიდმა დარდმა ცხოვრებას შეგარკინა.
მინდა ვიქცე წამლად, გულზე დაგედო.
მსურს, რომ გულზედ, მე მალამოდ დაგედო,
გადავიქცე მხოლოდ წამლად კი არა,
მოგიშუშო ჭრილობები, იარა.
გიყურებ და... არ ვიცი რას გადარო,
მინდა მზეს და ბერმუხას შეგადარო,
გითხრა რა ხარ?...
ხატად გარდასახული,
ბრილიანტი, ბაჯაღლოში ჩასმული.

ლეილა გაფრინდაშვილი

ლეილა გაფრინდაშვილი და ნორა ჩიტაძე-გაფრინდაშვილი
(ლეილას დედა, 92 წლის)

დედას

სევდიანობს გაზაფხულის ცივი დილა,
ფერმკრთალია, ვით მოხუცი დედაჩემი,
მონატრების, შინ დარჩენის, პატიმრობის,
კორონამ გამომიტანა განაჩენი.

ღონესუსტი, თვალჩამქრალი, გულმართალი,
ახლა შორს ხარ ,დედილო, და... ფიქრში ჩანხარ,
მომენატრე, უსაშველოდ მომენატრე,
გულში დედის მაგალითად, ხატად მყავხარ!

ხმა სუსტი გაქვს, მინავლული ჩაღიმება,
ამ ხელებით ო, რა მადლი დაგიწურავს,
მაგიდაზე გაფენილმა ფოტოებმა,
მონატრება უმნიშვნელოდ დამიპურა.

ჩემი კერა, ჩემი ძმა და ჩემი რძალი,
მათ იმედზე მყავხარ დედა, მძინავს მშვიდად,
ძმაო ჩემო, დედას როგორ თავს ევლები,
გაუზრდიხარ იმედად და მართლა შვილად.

ფუტკარივით დაფუსფუსებ და ირჯები
საიმედო გოგოვ, ჩემო რძალო, ხათო,
ფუძესახლში შენით ღვივის ცეცხლის ალი,
დედის ამაგს ფასი ადევს, და მეც ვხარობ!

ჩემი კერა, ფუძესახლი იმერეთში,
დედის გულის გაფენილი ალმასები,
რაც მეტად გაჩნდება წლების ნასეტყვარი,
უფრო მეტად მაღლდები და ლამაზდები.

ვიდრე გვყავხარ, მოფერებას არ მოგაკლებთ,
ფიქრებს სცვივა შენზე სიტყვა საქებარი,
მერე რა, თუ ძველებურად ვერ ბობოქრობ...
ისევ შენ ხარ დედა,"სახლის გენერალი".

გულნაზ ხარაიშვილი

წიგნის თარო

ჯუმბერ ლეჟავას მრავალფუნქციური საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ – „ათინათის“ რედაქცია მის ერთგულ მკითხველებთან ერთად ულოცავს ბატონ ელგუჯა მგელაძეს დაბადების 70 და საზოგადო მოღვაწეობის 45 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალახალ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ახლახან გამომცემლობა „ლეთა“-მ დასტამბა 600 გვერდიანი A-4 ფორმატის წიგნი სათაურით „დიდებული ადამიანები“, ტომი მეორე. წიგნში 27 ადრესატია! პროექტის და წიგნის ავტორი, შემდგენელი და გამომცემელია მწერალი ელგუჯა მგელაძე.



ბატონი ელგუჯა წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „მე ყოველთვის მსურდა, სათანადო პატივი მიმეგო იმ ადამიანებისთვის, ვინც გვერდით მიდგას და მედგა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მართალია, ბევრი მათგანი ამჟამად ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათ რჩევებს, მე დღესაც აქტიურად ვიყენებ ცხოვრებაში და როცა რაიმე სერიოზული საკითხი მაქვს გადასაწყვეტი, ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, თუ ამქვეყნად უკვე ვალმოხდილად წასული ჩემი მეგობარი ან ახლობელი როგორ გადაწყვეტდა იმ საკითხს და მეც ანალოგიურად ვცდილობ შესაბამისად მოქმედებას.

მადლობა უფალს იმისათვის, რომ ცხოვრებაში უამრავი დიდებული ადამიანი შემახვედრა, რომელთა ერთ ნაწილს მკითხველი უკვე გაეცნო წიგნის პირველ ტომში, ხოლო მეორე ნაწილს ახლადგამოსულ II ტომშიგთავაზობთ“.

ახლადგმოცემული წიგნი ძვირფასი საჩუქარია როგორც ადრესატთათვის, ისე მათი ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის და ფართო მკითხველისათვის.

მილოცვა

ცნობილ ქართველ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ელგუჯა ალექსანდრეს ძე მგელაძეს ახლახანს დაბადებიდან 70 და საზოგადო მოღვაწეობიდან 45 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1950 წლის 1 აპრილს ჩოხატაურის რაიონში. იქვე დაამთავრა ვან-ზომლეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1976 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

1969 წლიდან დღემდე იგი ემსახურება დედაქალაქის კომუნალური მომსახურების სფეროს, სადაც განვლო ყველა ეტაპი დაწყებული მუშიდან საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მმართველამდე, ხოლო შემდეგ კი 1987 წლიდან დღემდე მუშაობს ერთ-ერთი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად (ამჟამად შ.პ.ს. „ბახმარო”).

თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ელგუჯა მგელაძე 1991-2004 წლებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაფუძნებულ ტელეჟურნალისტთა მუდმივმოქმედ ექსპედიცია ,,მამული”-ს, ხოლო მოგვიანებით კი რუბრიკა ,,საქართველო არის ესე...” რედაქციის საქმიანობაში. ტელევიზიაში მისი მუშაობის დროს, ამ რედაქციების მიერ ორასზე მეტი დოკუმენტური ვიდეოფილმი შეიქმნა, რაშიც განუზომელია ბატონი ელგუჯა მგელაძის წვლილი, როგორც ავტორის და ოპერატორის ყველა ვიდეოფილმი რამდენჯერმეა გადაცემული საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის და საპატრიარქოს ტელევიზია ,,ერთსულოვნება”-ს ეთერით.

შეუფასებელია ელგუჯა მგელაძის ღვაწლი საქართველოს საპატრიარქოსთან მიმართებაში. კერძოდ, მის მიერ მომზადდა და საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა 500-მდე სიუჟეტი სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ მომზადებული საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის უცხოეთში ვიზიტების ამსახველი ვიდეოფილმები.

რამდენიმე წლის წინ ელგუჯა მგელაძემ მისი უწმინდესობის თხოვნით შეაგროვა კომპაქტდისკებზე გადაწერა და მის უწმინდესობას საჩუქრად მიუძღვნა სხვადასხვა დროს საპატრიარქოზე მის მიერ გადაღებული 40 საათიანი ვიდეომასალა. ასევე სამი სპეციალური ფოტოალბომი, რომელშიც მოთავსებულია 700-მდე ექსკლუზიური ფოტოსურათი, მათი უმრავლესობა მისი უწმინდესობის უცხოეთის ქვეყნებში ვიზიტებს შეეხება.

1996 წლიდან ელგუჯა მგელაძე არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ხოლო 2009 წლიდან სრულიად საქართველოს გაზეთ ,,რაეოს” დირექტორი. იგი 2016 წლიდან არჩეულია ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, ხოლო 2019 წლიდან ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. ამავდროულად იგი 2019 წლიდან არჩეულია საქართველოს ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის საპატიო პროფესორად, აკადემიკოსად და ვიცე პრეზიდენტად. 2018 წლიდან ელგუჯა მგელაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მას 2019 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა მიანიჭა ნოდარ დუმბაძის სახელობის პრემია.

2001 წლიდან იგი არჩეულია მგელაძეთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენტად. თავისი ძირითადი საქმიანობის აქტუალურობის გამო იგი საკმაოდ გვიან გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში უკვე შეძლო ხუთი სქელტანიანი წიგნის გამოცემა. ამჟამად აგრძელებს მუშაობას ,,დიდებული ადამიანები" -ს მესამე ტომზე. მისი წერილები, სტატიები, მოთხრობები და ნოველები სისტემატიურად ქვეყნდება ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში და პერიოდულ გამოცემებში.

ფაქტია, წარმატებული მშენებლის საქმიანობას ელგუჯა მგელაძემ გრწყინვალედ შეუთავსა სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროში მოღვაწეობა, მათ შორის სამწერლო ასპარეზზეც.

ელგუჯა მგელაძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით მას მისალოცი წერილი გაუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირმა, ხოლო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის იუბილარისადმი მილოცვაში ვკითხულობთ: **„ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ელგუჯა მგელაძეს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.**

მან დიდი ხანია მისი ცხოვრება დაუკავშირა ეკლესიას და ეკლესიის ისტორიიდან არაერთი მოვლენა, ფირზეც აღბეჭდილი, უნიკალური კადრების სახით შემოგვინახა.

ვუერთდებით მილოცვებს მის 70 წლისთავთან დაკავშირებით და ვუსურვებთ, ძალისამებრ მისისა ერგულად ემსახუროს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს".

პატივისცემით
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი
30.03.2020 წელი

ელგუჯა მგელაძე

მილოცვა

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნუგზარ ნადარაიას ახლახანს დაბადებიდან 75 და საზოგადო მოღვაწეობიდან 50 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს ქალაქ ფოთში. მისი მამა ოთარ ნადარაია იყო ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

დედა, რუსუდან გველესიანი სახალხო ექიმი. იგი წარმატებით მონაწილეობდა კოლხეთში მალარიის დაავადების სალიკვიდაციო პროფილაქტიკურ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში.

ნუგზარ ნადარაიას დამთავრებული აქვს საქართველოს აგრალური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ასპირანტურა, აგრარულ უნივერსიტეტში იყო სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილებების ქიმიზაციის სამმართველოს უფროსად, საგეგმო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად; ინსპექტორად; პარტიის ხობის რაი-

კომის პირველ მდივნად (1975-1986), პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად (1986-1991), საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი იყო ქალაქ ხობიდან (1992-1995); პარლამენტში ფრაქცია ,,ნეიტრალებისა" და პოლიტიკურ კავშირ ,,თანადგომის" შემქმნელი და თავმჯდომარე; პარლამენტის კოლეგიის წევრი; ფოთის მერი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული (1995-1997); საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (1997-2000); ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 2001 წლიდან, თანაპრეზიდენტი 2009 წლიდან; პრეზიდენტი 2012 წლიდან. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. დაიცვა დისერტაცია თემაზე: ,,საქართველოს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები", არჩეულია მეცნიერებათა მრავალი აკადემიის ნამდვილ წევრად. ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და ბიოგრაფიული წიგნებისა. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით; ცოტნე დადიანისა (1999) და გიორგი ჭყონდიდელის (2005), ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. წმინდანებად კანონზომიერების სახალხო მოძრაობის ინიციატორი და თავმჯდომარე, ფოთში აღდგენილ სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე 1996 წელს საქართველოს ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-ორგანიზატორი, პარლამენტართა დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს წევრი, საპატრიარქოს წარმომადგენელი სამეგრელოში და მხარის გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისი", „დიოსკურია", „ნიკოლაძის გზით", „აფხაზეთის ხმა" სარედაქციო საბჭოების წევრი, საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის" დამაარსებელი და თავმჯდომარე. არჩეულია საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, სპორტსმენთა ლიგის საპატიო წევრად. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მიღებული აქვს საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნასა, ფოთსა და ხობს შორის დამეგობრებისათვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საპატიო დიპლომები.

არჩეულია საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნას, უკრაინის ქალაქ გორობოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგლის, მარტვილისა და ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ.

ნუგზარ ნადარაიას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მას სპეციალური მილოცვა გამოუგზავნა.

საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას მრავალფუნქციური საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ „ათინათის" რედაქცია მის ერთგულ მკითხველებთან ერთად ულოცავს ბატონ ნუგზარ ნადარაიას დაბადების 75 და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ ახალ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ნანა ჩარკვიანის წიგნის პრეზენტაცია

ქალბატონი ნანა ჩარკვიანი, წლებია იტალიაში მუშაობს, პოეტი ქალბატონის ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ „ათინათში“ ის, თბილი და სამშობლოზე შეყვარებული ქალბატონია, მის ლამაზ სხეულში ლამაზი სულია მოკალათებული. საქართველოში და მსოფლიოში აზვრთდა, კორონა ვირუსი, იმ, პერიოდში, ქალბატონი ნანას წიგნი უკვე გამოსული იყო, მაგრამ წიგნის სტამბიდან გამოტანა აღარ მოხერხდა. ამჟამად წიგნმა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავლპროფილიან საერთაშორისო აკადემიაში გადმოინაცვლა, რადგან ქაბატონი ნანა ჩარკვიანი აკადემიის წევრია. წიგნი მამა ამირან ამირან ამირანაშვილმა დალოცა და ავფორს უსურვა, კვლავ შემოქმედებითი გზის გაგრძელება.



დათოვლილ ეზრდებს სციოდათ სულში

მიტოვებული სახლის ეზოდან
ზამთრის სიცივე იმუქრებოდა,
ცა, დანისლული თოვლის ფანტელით,
თანდათან უფრო იქუფრებოდა.
გაუთოვლავი ეზოს ბილიკი
ჭიშკრისკენ სევდით იყურებოდა.
სახურავიდან საბუხრე მილი
დანთებულ ბუხარს ელოდებოდა.
სხვა სახლებიდან ასული კვამლი,
გულზე დარდებად შემოხვეოდა.
დათოვლილ ვარდებს სციოდათ სულში
თავის მებაღე ენატრებოდათ.
მიტოვებული აივნის ზღურბლზე
მარტო ბელურა იბუზებოდა.
და სახლი იდგა მაინც ამაყად,
პატრონს მოთმენით ელოდებოდა.
შორს სხვის მინაზე მცხოვრებ ემიგრანტს,
სამშობლოს დარდი გამოჰყოლოდა,
სიზმრად ხედავდა ეზოს და სახლ-კარს,
გულს სინანული შემოსწოლოდა.

978-9941-477-69-0



შენს თვალებში

(მაია წიკლლაურს)

შენს თვალებში
სიალალის ზღვა დაცურავს,
გულის სითბოს,
სამეგობროს უნაწილებ...
არასოდეს,
არ გადადგამ გიჯგს მაცდურად,
ზრდილობისთვის,
მტერს კარებთან მიაცილებ...
თვალის ფსკერზე,
თუმცა სევდა ილექება,
პირდული ბედით ნაგვემ-ნატკენი,
ერთხელ შენთვის
გამოთენდეს რა იქნება,
დაამშვიდოს,
გული ღრუბლით ნათელი.
რად არ გძალგიძს,
ბედის შეცვლა საყვარელო,
ვისთვის კვნესი,
ნუთუ ღირს კი ამად,
შენ სიკეთის, სიყვარულის ადმირალო,
ყველგან ვეძებ, შენი გულის წამალს!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკაარელი)

თამარს

ჩემო, სულის ზიარო, სიყვარულის კარიბჭევ,
მინდა ას წელს იარო, დედასავით გარიგებ.
ტკბილი გულის პატრონო, აზრის დიდო მესაჭევ,
მზე ხარ, როგორ აგწონო, მზეს მე ვეღარ ვევაჭრე.
ჰო, და სულის ზიარო, შვილთა შვილში დაბერდი,
ქარმა თუ იღრიალოს, დაუთმე და შეჩერდი.
დამშვიდდება რას იზამს, ბოლოს წავა თავის გზით,
შენ მიაღწევ შენს მიზანს, ისაუბრე მშვიდი ხმით.

თეა კანდელაკი

ჩემ უსაყვარლეს და უკაპასელესას 2 წელიწადი შეუსრულდა რაც ჩვენს დიდ ოჯახში შემოგრძანდა და გაგვაგედნიერა😍👧🏻🎂🎈 👩🏻ვერ აღგიწერთ ეს ვინ არის... სუპერ მაშა😍🥰 მინდა ულევი სიხარული, ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვო ჩემს სიცოცხლეს. უფალი და წმ. მარიამი შეგეწიოს ცხოვრების სავალ გზაზე ჩემო სიცოცხლე🎂🎈🎉🎁🎁🎁🧁🍰🥤

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი. უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. უნდა იცოცხლო უწმინდესო. აკროსტიხი 2
მამა გაბრიელი 3
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები** წმინდა პეტრე და პავლე 4
წმინდა იოანე ნათლისმცემელი 5
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე** წმინდა გიორგი 6
გულნაზ ხარაიშვილი. იქნებ! 7

პოეზია

ამირან ამირანაშვილი. კარანტინის დღიურიდან/ დღე პირველი/ დღე მეორე/ დღე მესამე/ დღე მეოთხე/ დღე მეხუთე/ დღე მეექვსე 8

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე. ჰეი!../ ***ისინი საუბრობდნენ/ ლოგოსი/ სახლში დაბრუნება 10
კახა ბაციკაძე. ავანგარდზე მეტი (პოეზიის ლაოკოონი)/ პოპ-არტის მუსიკა სიტყვებში/ პოეტური გრძნობა/ უდროობა/ ზეცისკენ 11
გიორგი ზუხბაია (ზუხბა). ფოთოლი და სიყვარული/ ქაღალდის ჩიტი 12
ვაჟა ეგრისელი. ქრისტეს ბოლო სიტყვები – "ელი, ელი, ლიმა საბაქთანი*"/ ჟამი უჟამო/ მედიუმი/ ერთგულება/ სიცოცხლე/ ვით აქილევსმა/ ვით მენცარი დანიელი/ ***უფლის ხელით დარწეული/ ვიკინგების ხომალდივით/ მოყვავილე ბროწეულის ხე ზღვისკარად/ პოეტია?! რას ბრძანებ!/ ისევ მოლოდინი/ ***ეჰა, ჩემო სამშობლოვ!/ ***შორეულზე – შორეული/***მწუხრი ცის ძელზე 14
ედუარდ უგულავა. თუთიყუში/ ისეთი ბიჭი ვიქნები/ კარგად უნდა ვისწავლო!/ ფეხბურთი/ ბუკნაჭო/ დაჩი და ნუცა 16
ნათია დაშნიანი. დათოს ყურშა/ გულყვითელა წიწილა/ ზღარბები/ ლოკოკინა/ სასამართლო/ ყიყინა ბაყაყი 18
ნაირა უგულავა (ნია გორდელი). ავი სიზმარი/ ადამს!../ კვლავ ველოდები მზეს და განთიადს/ კორონობისას, მაისის თვეში/ მზეადიდდა/ სული ლაჟვარდებით მზესთან ნაფერია/ დაბადებიდან მე მქონდა შიში 20
გერონტი მესხი. დაკარგული სოფელი/ ეზო თუ არ შერაგვე/ დედას/ დიდი დრო/ ვაჟაობა ჩარგალში 22
ლამზირა შეყილაძე. იესო/ ამომაშენე ტაძრის კედელში/ იწვის აგონია/ რომ ყველაფერი კარგად იქნება/ შემინდე დედაო/შენი ნეკნია 24
ხათუნა ჩიტაძე. პეპელა ზვარის/ დაუძლურება/ სასიმღერო/ გამეორება/ ლურჯი აპრილი/ ძველი სამღერი/ მითხარ რამე/ მომავლუს სათქმელი/ ფიქრი სარკმელთან/ ბედის წერა 26
შორენა ჩხიკვიშვილი. უკვდავი მუსიკა/ ნატვრა/ სისხლის წვიმები 28
ეკა კეღოშვილი. ლექსებს აღარ ვწერ / შენამდე მოვალ/ შვილს / ***დაღლილ სხეულს აღარ უნდა ბრძოლა / ცრემლების ნაცვლად / ოდესმე / აღსარება/ არ მსურს ოცნებები დავთმო/ ემიგრანტ დედას 30
ლალი გონგლიაშვილი. სამშობლო/ სიზმარი/ ფიქრები რუსთავის ციხეზე 34
იზა ჭკადუა. ***დროს მივყვები/ ***მე როგორ ვარ? როგორ გითხრა აბა.. / ***მე, რომ ტყეში ხავსის ქოხი მედგა/ ***მე, გრძნობის ქალი, ქალი- მგოსანი/ ***თქვენ დიდი ხართ, უსაშველოდ დიდი/ ***მე ვკვდები, როცა ვიღაცა კვდება/ ***იყო, რაც გვსურდა/ ***მე უშენოდ აბა რა ვარ 35
ეთერ ჭელიძე. გვიანია.../ სათნოების დედას!/ გული გამოტარებით!../ ***გულს ჩავიკარი უფლის იმედი/ თამარ ქალი!/ ***მზე ხვართქალებს ცის უბეში/ ***დღევანდელი/ შემინდე უფალო!/ ***ვერა გწევ ბედსა ჩემსა/***ღილის ცრემლების ნამცვრევებს 38
ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე. უცხო სანახავს, ტანადსა და გულ მდუღარესა 42
ანზორ ჯაფარიძე. რა სიყვარული გოგო ხარ/ ***მსურს ერთად ვიაროთ ჩემო/ მე ხომ პოეტი არავარ/ ***ცალმხრივი ყველა ცუდია/ ***მე შენს მოწყენას ვერ ვიტან 44
ელგუჯა აღეიშვილი. მსოფლიო კორონავირუსს (COVID-19) ებრძვის / ბევრეთის (კალარმოს) წმ. თეკლას დედათა მონასტერი 47
უშანგი მოსიაშვილი. ფიქრები/ მონატრება/ რატომ აჩქარდა წუთისოფელი/ ბერი თევდორე/ დიდი წინაპრები 48
გურამ ჭავჭანიძე. ნატვრა/ რა მომასვენებს/ თუ საქართველო შენი ხატია/ ღმერთმა მომასწროს/ ***ნიკოფსიდან დარუბანდით/ პოეზია – სულის ამოძახილი/ ლექსის ტრფიალი/ ჩემი წყლულეთი/ ნუ მიჯავრდები/ შენი ღიმილი/ ნეტა თქვენ/ ახლა მაინც/ მოძმე უკრაინას/ ჭკუით, ქართველებო!/ ერთი კოცნა რა იყო?/ საგაზაფხულო/ იუმორესკა/ საქართველოში/ ვინ იცის/ ამბობენ 50
მზია ელიაძე. დიდება/ მაღალთა/ შინა/ ღმერთსა/ ქვეყანასა/ ზედა/ მშვიდობა/ და/ კაცთა/ შორის/ სათნოება/ ამინ! 53
ლალი ლაზაშვილი. მარიტა/ სიზმრად ვნახე ერთი ქალი/ სითბო/ მაგნოლია/ ვეძებ ბილიკებს გასაქცევად/ მაგრამ სად არი/ ჩემო ჭიამაია/ თამარ მეფეს/ ჩუმი ტკივილი/ ნამთვარევი ბილიკები/ მე სიყვარულის წვიმებად მოვალ/ შემოდგომა ათენში/ ქართველ ექიმებს 56

ნანა ჩარკვიანი. ***მზემ სარკმლიდან/ მეორე შანსი/ დრო მიჰქრის/ ცხრა აპრილი/ მთვარიანი ღამე/ ბავშვობა/ მევიოლინე/ ქართული ჰიმნი დავაგუგუნე/ ***გლოვის დღე უდგას 60
ნელი გიუნაშვილი. ცა და ხმელეთი/ ბულბული 64
მარი ბერუაშვილი. ***გაიზრდებიან ეს შიმელებიც/ ***ქვაზე დაწერილი სოფლის არაკები 65
ნინო უძილაური. სიყვარულის სტრიქონი/ ლამაზი ქალი/ შემომესია ფიქრები/ ღმერთო/ მიყვარს ძალიან..... 66
პაპუნა ქვარიანი. ექო/ როგორღა/ როს ვეღარ/ მივათრევ/ ვით შევძლო..... 68
ეკატერინე ციცქიშვილი. განსაცდელის ანომალია/ ჟამის სახადი/ გვაკმარე/ გამოსავალის ძიება / უეგრო ფორა..... 69
ბელა ალანია. ***სიცოცხლე ჩემი ქარბუქს მაგონებს/ ***დღეს დილიდან ისე ნაზად თოვს/ ***ბროწეულები ისევ ჰყვავიან/ ***ქარია/ ***ერთ დღესაც, როცა მზე დაილევა/ ***მე და შენ 70
გიგი თეთრაძე. * * * იქნებ გავასწრო, იქნებ წავიდე/ * * * ის, რაც მქონდა, უკვე დავკარგე/ *** და ჰა, გავიდა წლები უმზეოდ/ *** წასვლას ინატრებდა კაცი..... 72
თემურ გოგსაძე. ***... მიზიდავს, მხიბლავს/ „რაგბი ჩვენი თამაშია!“/ სიყვარულის ხატი/ სიყვარულის ანარეკლები.. 74
თამარ ჯაჭვაძე. ხვალ აღდგომაა/ აღსარება/ *** ცივი დუმილი მანგრევს გულგრილთა/ დედავ, ქართველად აღზარდე შვილი!/ ორი ქალი/ ჯარისკაცი მწვერვალები/ მე მარტო შენ გეძახოდი 76
ლეილა გაფრინდაშვილი. მომნატრებიხარ/ მე ფიქრები ვარ/ მოწყენილი გაზაფხული/ მყარი გალავანი/ კითხვი ნიშნები/ პოეტი/ მიგაცილებდი..... 78
მზიური დათიაშვილი-აფციაური. უიარაღოდ წამებული სიცოცხლის მიჯნა/ 1989 წლის 9 აპრილი..... 80
ინდიკო დოლმაია. როცა ბაღში შაშვი გალობს/ უსიმღერეროდ და ულექსოდ/ საქართველოს/ სამშობლოს რომ ვუერთგულო/ სხვისი ოქროც აღარ გინდა/ სანამ/ ტერენტი გრანელს/ შუა ხორგა/ წუთი არ უნდა ავის ქმნას/ ჭყონდიდი/ ასეა წუთისოფელი/ აპრილის თვეში/ ტირიფი/ შარიშურობენ სოსნები/ ჭიჭე ტურა/ დაიძინე მშვიდად/ ბრუნავს ქვეყანა/ ბიჭო სესე/ გიხსენებს მთელი სოფელი/ ცის და მიწის გასაგონად/ ზღვა და გრიგალი/ ელვა/ ვაზო უხსოვარ დროისა/ ვაი, ნანა, სამეგრელო/ მამულო ჩემო/ ზამთარი/ იმერეთში/ მუხა..... 82
მანანა კორძახია. და თუ ერთხელაც გამოიდარებს/ ახლა/ საუკუნის დონკი ხოტი/ დროებით/ პატიება/ აბხაზეთს/ ხელოვნების სამყარო..... 88
ფერონია თურქაძე. *** * *** მე რომ გაფრენა არ მიწერია... / *** * *** სანთლად ქცეულა ეს სიყვარული... / * * * სიმშვიდე დარჩა, სიმშვიდის შემდეგ... / * * * ვარ შქსპირი და პოემას გიძღვნი შენ! / * * * ლურჯი ცა და მწვანე მინდვრები... / * * * ცაზე თითქოს მართლა ღამე აღმოხდა... / * * * თოვლის ფანტელები ეკიდებიან გაზაფხულის ხეებს.....90
გერმანე საზანოელი. მე შენ და აპრილი/ რწმენა გადაგვარჩენს/ მენატრები/ ემიგრანტებო!!/ ფერდობი რომელიც მე დიდი მეგონა..... 92
ლეილა ვადაჭკორია. ვერ შევადრი/ ***კაცმა ჭიანჭველას/ ზურგის ქარი/ მიმოიხედე/ ბეწვის ხიდი/ ძველი კერა მიხმობს/ გაბრწყინებული მენახოს/ საყურე/ დროის დინება/ბუდიდან გადმოვარდნილი 94
იზა კვანჭილაშვილი. შენ არწივობა გჩვეოდა/ შენი ფესვები აქ არის მუდამ/ ***მაისმა ისევ აინთო მზერა/ მინდა, რომ დაგიფიცებ მთელ სამყაროს ეყოს/ ***ეხლა შემოდგომა ტანზე ღრუბელს მაქსოვს/ *** ბევრისთვის წვიმა მხოლოდ წვიმაა/ დრო მოწეულა სიყვარულისა/ ***მაისმა ისევ აინთო მზერა/ შენი ფესვები აქ არის მუდამ/ მინდა, რომ დაგიფიცებ მთელ სამყაროს ეყოს/ დრო კი მიდის და არაფერს ნანობს/ ***ღამეს ნელ-ნელა რიჟრაჟი სცელავს 96
ლალი მჭედლიძე. დედას..../ მე უშენობა მეტკინა დღესაც/ მალე შენგან უხმაუროდ წავალ/ ეს საათიც გაჩერდა/ ისევ ჩუმად, ისევ ჩემთვის/ პატარა ქრისტის/ ანას.../ მტირალა გულებს ვერ დავხატავ..... 101
ირაკლი გოცირიძე. ***სათავისოთ მოიზომა – ზღვა და მინდორ ველი/ ***ყოველთვის ასე ყოფილა/ *** სიყვარულია მთავარი/ *** გული ლამის საგულედან ამოვარდეს/ *** ისევ იმძლავრა ბორბოტმა/ *** წმინდა ნინოს ჯვარს ვატარებთ/ *** სიყვარულით გავიხარეთ/ ლიკა (ლიკა ქავჟარაძეს)/ 10 მაისი, 2019// *** ხან ლექსად ვცადე სათქმელი..... 102
იაკო კოჭლამაზაშვილი. აი, ეს არის საქართველო და ქართველობა/ დრო ცოტა ხნით შეაჩერე ღმერთო!/ სიყვარულზე მეტი/ გულში მიშენიხარ, ჩემო საქართველოვ!/ ***უფლის ნათელი აინთება თვალებში როცა 104
ზაირა კეღოშვილი. ოდა/ ახალს რას მპირდები რას?/ ათენი თეთრი ქალაქი/ დუღს, ბრუნავს, იწვის კაცობრიობა/ მსოფლიოში გაფანტულ ქართველ ემიგრანტ ბავშვებს/ ბეღურა ქანაობს ქარში/ საწუთრო/ რუსთაველი და კაცობრიობა 106
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე. და მაინც ვიფრენ/ ***მე ჩემთვის ჩუმად ვღიღინებ/ ***დროის გასვლას ვჩქარობთ/***თქვენთან მოსვლამდე მაგიური, გზნებით ვიარე..... 108
ზურაბ გრიგალაშვილი (ჰერეთელი). ხმელი ფითელი/ მთის ხალხის ხიმლი მაქვს/ თუ ასეთი ხარ / „გაიხარე გენაცვალოს დედამ“..... 110
ლალი ჩხეიძე. გულმა მწარედ დამცინა/ * * *მზე მაღვიძებს ყოველ დილით ადრე.../ პაემანისთვის მზადება... / * * *გიყურებ, თვალებს მარიდებ/ * * *პოეზიაზე შეყვარებული/ * * *ტაძარი, სანთლები და ჩუმი ვედრება.../ * * *ფიქრებმა იცოდე, გზა შენსკენ, აიღეს.../* * *არ მინდოდა, შენთვის მეთქვა, ჩემს ტკივილზე.../ * * *მახსოვს, ვტიროდი ბავშვივით თუ რატომ, დღეს ვეღარ ვიხსენებ.../* * *შენ, ჩემი სულის ყვავილო 112
მადონა ჯავახიშვილი. * * *და იდგა სველი იასამანი / * * *ღვინობისთვის ცამეტი / სველი ვალსი / მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს / რატომ არ სძინავთ ღამით პოეტებს / შეხვედრა გალაკტიონთან / მტერს არ დავანებოთ საქართველო..... 115
თინათინ ხაბურზანია. ბოლო ფურცელი / მინდა მახსოვდეს..... 118
მანანა ზაზიკაშვილი. ჩანთა / ცა ლურჯია / ძველი პალტო/ჩემი სამშობლო ჰქვია/ჩემი ხატი 119

დავით იოსებაშვილი. მაისი ქუთაისში / ქუთაისს/ნოსტალგია / გაზაფხული / ლაზარე / ***არც მზისა არც მთვარისა... / შენ გაგიმარჯოს / მდიდრებს 120
თამარ რაზმაძე. მესაჩუქრები (ხათუნა კვესელავას)/იასამანი 122
მანანა მიქაძე. ვარდობის თვეს, მაისობას.../ემიგრანტის ფიქრი! 123
ნანა შათირიშვილი. თეთრი გედი/ჩემად/ფიალა 124
ეკა მარშანია. დროში გაფრენილი სული.. 125
მარიამ ბაქანიძე. ქართველს ვინ დასძლევდა!/რწმენა, სასოება და სიყვარული (გერგეტობას გილოცავთ!) / გციოდეს, გშიოდეს, გაწვიმდეს კიდეც რომ... 126
ეკა ბრეგვაძე. ***მე შენს თვალებში სამყაროს ვხედავ!/***რამდენი უნდა დაიტიო, გულო, ტანჯულო?! / ***...სულში შემოხვედი 127
ლაიზი ონიანი. ქარი/ქვიშის საათი / ღამე 128
შორენა მამალაშვილი. ნუ დაღონდები... / ნუ შეშინდები!/***თითქოს დახუჭა მთვარემ თვალები/გუდამაყრელი გვირილა / წმიდაო მარიამ! 129
გურა ანგურა. ღვთისშვილთა გადმოსვლა საყმო ლაშქარის დასახმარებლად / მათქვამნი მღერენ საგმიროს / იახსარისა და ცხრათავიანი დევის ბრძოლა / ***ბერი-ბუქნაი-ბაადური ეშვება ციდან ამხედრებული ბედის ბედაურზე / ***ხმელგორზე ლაშარის ჯვარი/***საყმოთა მშველად, ბრძოლის ველს, ომის ქალღმერთი მიმოქრის/*** თეთრი მთის ქორი/*** ლოცვად დამდგარან ხეობები, მთანით მაღალნით / *** ცულში დავანებულა მოგონებათ ჩრდლები/*** კვლავ შემოივლის გაზაფხლი? / *** შემოვიარე შრიალა ტყენი / ოდესღაც აქ ისმოდა ჟრიამული იების 139
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი). იმედი / დროს ვსადილობ / ბრმა / თამარობას გილოცავთ / ბედის წისქვილი / დედინაცვალი / წყლიდან გამოცურეს წურბელებმა/ბორბალი / ჯერ ისევ მარტია / წვიმს, უცნაურად წვიმს / გათენდა / დამიჯერეთ/მზე როგორ წვალობს /გაათენე / რა ჯობია? 144

ჰოემები

სერგი ლომაძე. სიტყვა 145
არდავიწყება მოღვაწეთა. მირზა გელოვანი (ცეცხლში ნაწრთობი პოეზია)/ვაჟიკა ფხოველი 149
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე. გარდაცვლილთა სამეტყველო ენა /ქართული სულით მეოცნებე პოეტის ქნარი 153

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი. პოემა მარ ბაჯიევი 159
აბაი კენანბაევი. *** ყოვლისმხილველო, გთხოვ, დამეხმარე/ გაზაფხული / ***ღამეა წყნარი, მთვარის ნათელი / ***უტყვია ენა სიყავრულისა / ***ბუნება თუმცა წარმავალია/ ***გულგახსნილ იყავ ხალხში/***ლეკვი დაიწკმუტუნებს / ***საათი როცა წიკწიკებს, ითლის / ***მოისურვე მიუწვდომელი / ***ტანჯვის მალვა უჭირს სხეულს / ***უწიგნურმა და უცოდინარმა / ***ძველიმედებს შეოაჭკნა ფოთლები/ ***მე ბავშვობიდან ვერ შევძელ სწავლა/ ***ჭექა-ქუხილს ღმერთი რაგიტი / ***ლეკვს კოფაკად ვწვრთნიდი / ***ცხენიანიც და უცხენოცცხენიანიც და უცხენოც / ***უხმობს ტრფობას ზოგჯერ სული 162
Ratiani Lali. Aus Samebas Glockenturm 165

ჰროზა

რევაზ მიშველაძე.წამება (რომანი) 168
გარი ჩაფიძე. სიყვარულის ლაბირინთი 171
მერაბ ზაქარიაძე. ძახილი! 175 აღსარების საიდუმლო (მინი ნოველა)/ვარსკვლავბიჭუნას ზღაპარი იცი? 175
გივი სიხარულიძე. იმედის ხაზები / სიკვდილის ყუთი 181
ნინო რეხვიაშვილი. დედა, მადლობა ყველაფრისათვის! / მადლი / გაზაფხული /მადლიანი ქალი 184
ლევან ბაბუხადია. თანამედროვე მაწანწალა და კეთილი ადამიანები 187
მადონა ჯავახიშვილი. იგავი 189
ინგა გოგიბერიძე. წერილები სიჩუმის ქალაქიდან (პანდემია – 2020) / წერილი;პირველი / წერილი მეორე / წერილი მესამე / წერილი მეოთხე / წერილი მეხუთე / წერილი მეექვსე / წერილი მეშვიდე / წერილი მერვე / წერილი მეცხრე / წერილი მეათე 194
გულნაზ ხარაიშვილი. საიდან დავიწყო? პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, ჩემი დე: 196
ჩემი გულის ნაწილია, დათა შუბითიძე 197
ნიკო ბაღაშვილი.დღეს ამაღლებაა 202
ელგუჯა მგელაძე. „ოპტიკა“ / ქირურგიული ოპერაცია საგანგებო პირობებში / ქორწილის დაუპატიჟებელი თამადა / სადავო იარაღები /საქორწილო წიქარა 203
სერგი ლომაძე. ეთერ ჭელიძის ლიტერატურული გამარჯვება 211
ქალაქ რუსთავის მოღვაწეთა სტუმრობა აკადემიაში 213
ეს საინტერესოა ვაჟა ეგრისელის 100-ტომეულიდან 215

ოჯახური ურთიერთობები

ირინა ბალავაძე. რა კარგია, ვიყოთ ერთად 218
სიმონ ზაქარაია. ოჯახი ზოგადად და ოჯახი ქართული 220

ხიბრძნის ხვივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი). თვალთახილვა (აზრები) / ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი 223

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი. სულიერ ფასეულობათა ანბანი 228

შემეცნებითი ხამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი. საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ 230

წერილები

Ratiani Lali. Klassifikation der lexikalischen Antonymie auf Grundlage verschiedener Merkmale 232
მანანა კვატაია. გრიგოლ რობაქიძე – ფილოსოფიური კონცეპტები, შემოქმედებითი ორიენტირები 237

ისტორია

ნიკო ხერკელაძე. ცრემლში ნალესი ხმალი 242
მარი ბიბილური. ჩემი საქართველო არასოდეს დაეცემა 245
ეს ჩვენი უახლესი გმირია 247

ეკონომიკა

ვალერიან მოსიაშვილი, ქეთევან ცაბაძე. ფინანსური მენეჯმენტის სპეციფიკა კომერციულ ბანკებში 249
ნოდარ ხარაიშვილი. კომერციული ბანკის ლიზინგური ოპერაციები 256

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა. ფურიეს ინტეგრალი 258

ნორჩი ათინათელი

გვანცა ხარაიშვილი გეჟანის შვილიშვილის ნახატები 260

გახსენება

საზოგადოება საჩხერელი. ხევისბერი 261
ლამზირა შეყილაძე. დღეს შენი დაბადების დღეა / სიცოცხლე მძულს 262
გულნაზ ხარაიშვილი. ოცდაშვიდ აპრილს დაიბადე... (გელა სხირტლაძის გახსენება) / შვილო (გელა სხირტლაძეს) / მთვარე გთხოვ, სული იშვილო 263
ნიკო ბაღაშვილი 264
გურამ კუპატაძე. სერგო ილარიონის ძე წურწუმია 265
ვანო მეგრელი-პაპავა. 267

მილოცვა

იუბილეს გილოცავთ. 268
ლალი გონგლიაშვილი. გულნაზ ხარაიშვილის იუბილე 282
ლეილა გაფრინდაშვილი. დედას 282
გულნაზ ხარაიშვილი. წიგნის თარო / მილოცვა 283
ელგუჯა მგელაძე. მილოცვა 285
გულნაზ ხარაიშვილი. ნანა ჩარკვიანის წიგნის პრეზენტაცია 287
შენს თვალებში (მაია წიკლაურს) 288

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და გარეკანის მეორე გვერდზე „მავედრებელი მარიამ ღვთისმშობელი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ოჯახური ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი: ირინე ბალავაძე
მათემატიკის განყოფილების რედაქტორები: სოსო ფოჩხუა – პროფესორი და ლალი ქელბა-ქიანი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული აკადემიის ვიცეპრე-ზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ედვარდ უგულავა – პოეტი
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და ლეილა გაფ-რინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

პოეტის ასტომეული



მხატვარი აკადემიკოსი ნიკო ხერკელაძე

ძვირფასო მკითხველო, რაკიდა დრო თავზე საყრელად გვაქვს (მთელი საქართველო თითქმის უმუშევარია), ვიდრე დოკუმენტურად საუბარს შევუდგებოდეთ, ასობით გამოჩენილი ადამიანის გამონათქვამებიდან (ვაჟა ეგრისელის შესახებ, ცხადია), აქ სულ ორი დავიმოწმოთ:

ანდრია აფაქიძე: „ჩემი ხანგრძლივი არქეოლოგიური მუშაობის პერიოდში აღმოჩენილ მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო...“

ესეც გავსინჯოთ: ცხონებული შოთა ნიშნიანიძე ვისაც ხოლმე ადარებდნენ ვაჟა ეგრისელს, მეგობარ პოეტს ერთ-ერთ ლექსში ასე მიმართავს: „წიქარა ხარ ცალუღელა“, ანუ უნდა ვიგულისხმოთ, ტოლი არა გყავსო. ერთადერთი ხარო და მისთანანი. ხოლო, რაც შეეხება ამ ორი პოეტის მსგავსება-არმსგავსებას, ამ საკითხზე დამატებით მინდა გაგაცნოთ ჩემი აზრი.

ფრიად საყურადღებოა ვაჟა ეგრისელის ნახელავები. მისი ნებისმიერი ლექსი იწყება, ვითარდება და მთავრდება, და ძალზე ზუსტი და მართალია მისი ლექსის ფინალი – დასასრული, თანაც ეს ხდება სულ რაღაც ხუთიოდე სტრიქონის მანძილზე და წყობაც (ქართული ყალიბი) მისია და მხოლოდ და მხოლოდ მისი. უმთავრესად ეს ყალიბი ხუთი სტრიქონისაგან შედგება. იშვიათად სამი ან ოთხი სტრიქონისაგან.

მივყვები წიგნს და გზადაგზა ვინიშნავ (ვიწერ) არაჩვეულებრივ სტრიქონებს. „ომებში ბევრი ციხე მოჰკლეს...“ და ორშაბათის შესახვედრად წავიდა კვირა...“ „და დღე და ღამე იყრება, ვით სული და ხორცი...“ „ყოფნა – ხარია, არყოფნა კი – ტორეოდორი...“ „უმთვარო ღამე ჰგავს უშენობას“ .... „ნაპირთან გდია პატარა ნავი, ვით აფროდიტეს ცისფერი ქოში....“ „ზღვა არწივივით აფრენას ლამობს“, „დასატირებლად ცა ღრუბლებს დარჩათ...“ აი, კიდევ, ერთ-ერთი შედევრი – ლექსი-მინიატურა:

სოფლის შარას რომ მიუყვება შავით მოსილი,
არა – საღამო, დედაა ჩემი....

სიტყვა ჰგავს საქმეს, საქმე – სიტყვას. და არც ერთი სიტყვა არაა ზედმეტი, რასაც განაპირობებს ეგრისელის ლექსის ფორმა, საკუთარი ფორმა, თავად რომ გამოიგონა და თავად რომ შექმნა. საკუთარი დაღი, ყველასაგან განსხვავებული, როგორც ხაინდრავების ულაყების დაღი. ერთი ხანობა ვაჟა ეგრისელს ცხონებულ შოთა ნიშნიანიძეს ამგვანებდნენ, თუმცა სულ სხვადასხვაა მათი ფიქრის საგანი და მასშტაბი. ნიშნიანიძე საქართველოს ციხე-ტაძრების მეხოტბეა, რაც ფრიად კარგია და საგულისხმო, ეგრისელი – თვალშეუდგამი სივრცეების მწყემსია და მეგობარი, მგალობელი. „ქუხილი ჩემი ძახილია...“ „ზღვები მომდევენ....“ და მრავალი და მრავალი მისთანანი, „მიყრილ-მოყრილი დღეები ჩანს...“ ვისთვის ჩანს, ვისთვის – არა. დიდი ესპანელი პოეტის მისი გარდაც-

ვალებიდან ხუთისაუკუნის შემდეგ წაიკითხეს. გვიან წავიკითხეთ ფიროსმანი, გრანელი (წავიკითხეთ კი?!), დღემდე ვერ წაგვიკითხავს რუსთაველი.

ნახევარი საუკუნეა, იბეჭდება ვაჟა ეგრისელის ლექსები, წიგნები, ტომეულები. წავიკითხეთ მისი წიგნები? ხომ ვთქვი, მე აქ პოეტის ერთადერთ წიგნზე გელაპარეკებით-მეთქი? სხვა წიგნები? სხვა ტომეულები? ჩვენ წავალთ, წიგნი დარჩება. ამ წერილს რომ ვწერდი, სხვათა შორის, სინათლე ჩაქრა, ავარიააო, მეზობლებმა. წიგნის დენის გათიშვა არ იქნება, წიგნი, ანუ ქვეყანა, ანუ საქართველო:

მივყვები ამ ვეებეროელა ეროტომეულს (900 გვერდს შეადგენს), არაჩვეულებრივ სტრიქონებს, სტროფებს, ლექსებს. ვიწერ, ვინიშნავ, რათა მკითხველიც შევიამხანაგო. ვაჟა ეგრისელი ზოგს მოსწონს, ზოგს – არა, ზოგი ეთაყვანება. ასეა და ასეც უნდა იყოს. „ყველაფერს განაგებს ამინდი“, მონტესკიეს გამონათქვამია. ვაჟა ეგრისელი, ჩემი გაგებით, ჰგავს თავის საყვარელ ზღვას, საყვარელ მთებს. ზღვა რომ ზღვა არის და მთა რომ მთა არის, მუდამ არა ჩანს, ხდება ხოლმე, ნისლი დაეფინება. და თითქოს არ არის, თუმცა არის, ამ ვეებეროელა წიგნში. 2 ათასზე მეტი ლექსია გამოქვეყნებული. ერთ გვერდზე, როგორც წესი, ორი ლექსი მოდის, აქა-იქ, სამიც. ყველა ეს ლექსი ვერ იქნება შედევრი, ცხადია. რამდენი შედევრი მოეპოვება გალაკტიონს, რომ მისი „რჩეული“ შევადგინოთ. ცხონებულმა რევაზ თვარაძემ შეადგინა. რამდენ შედევრს ჩაიტევდა ვაჟა ეგრისელის ეროტომეული? არ ვიცი. პოეტს, მგონი, 30 ათასამდე ლექსი აქვს გამოქვეყნებული, 30 ათასიდან 3 ათასი? 3 ათასიდან – 300? 300-დან 30? ოცდაათიდან 3? ერთ-ერთ ლექსში გვეუბნება. 9-10 პწკარი დამრჩება და ეგ არისო. არ გვეუბნება სიმრავლეს, როგორც მისი დიდი სეხნია: „ჩემისთანები ბაგაზე ასი, ათასი აბაო...“

ვხვდები, რომ ეს ლექსი გენიალურია, მაგრამ თუ რატომ, ამის გენიალური ამოხსნა არ შემიძლია. დიდი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე, პოლ ვალერი მაგონდება. ლექსებს არ უბეჭდავდნენ, წავიდა ერთხელაც სადღაც მთიან სოფელში და ერთ-ერთი თავისი ლექსი მწყემსებს წაუკითხა, რაც მწყემსებმა დიდად მოიწონეს. რა მოგეწონათო, პოეტმა, არ ვიციოთ, მწყემსებმა, მაგრამ ვიღაც უხილავს რომ ელაპარაკებოდი მივხვდითო.

ამგვარია ვაჟა ეგრისელის ამ შედევრის ამბავიც.

შედარებაც არის და შედარებაც, მაგრამ ასეთი?

ცის კიდეზე ეს ვარკვლავი ისე მოჩანს,

ვით იესოს ხელისგულზე ნალურსმალი...

ზღვა არ გვეშვება. დედამიწის ზურგზე, ალბათ, არც ერთ მესიტყვეს არ უხსენებია ამდენგზის ზღვა.

ჩემი კარ-მიდამო ჩემი წიგნიაო, გვეუბნება პოეტი (მომავალში მისი კარ-მიდამო, როგორც დავინახავთ, არა მარტო მისი საკუთარი ეზო-კარი და მისი საყვარელი საქართველო, არამედ მთელი დედამიწა, მთელი კოსმოსი შეიქნება).

მურმან ჯგუბურია

გაზ. „ლიტერატურული საქართველო
2017 წლის 22 დეკემბერი

გამომცემლობა

საარი


ΙΣ ΧΡ
ΟΥ